
ლიტერატურის მუზეუმი
Literature Museum

© გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი
თბილისი, 2023

Ivane Machabeli. *Correspondence and Diaries*

© Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature

Tbilisi 2023

მისამართი: გიორგი ჭანტურიას ქუჩა 8
ტელ.: +995 32 293 20 45

Geolitmuseum@gmail.com

პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
მხარდაჭერით, №YS-21-2276

This work was supported by Shota Rustaveli National Science
Foundation of Georgia (SRNSFG) under grant No YS-21-2276

შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION

გამომცემელი:	**ლაშა ბაქრაძე**
შემდგენელ-რედაქტორი:	**თეა თვალავაძე**
კორექტურა:	**ნანა კობალაძე**
თარგმანი:	**ნინო ძანძავა**
დაკაბადონება და დიზაინი:	**ფატი გაგულია**
აკრეფა:	**ელისო კალმახელიძე,**
	ლია ქიტიაშვილი

დაიბეჭდა სტამბაში ***სეზანი***

ISBN 978-9941-9821-8-7

ივანე მაჩაბელი

მიმოწერა დღიურები

თბილისი, 2023

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ივანე მაჩაბელს (1854-1898) ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეჭირა იმ მოღვაწეთა შორის, რომლებიც თავის შრომასა და გამოცდილებას უანგაროდ სწირავდნენ საქართველოს ცხოვრების გაუმჯობესებას. ივანე მაჩაბელი იყო მრავალმხრივი მოღვაწე – მწერალი, მთარგმნელი და პუბლიცისტი, ჟურნალისტი, თეატრალური მოღვაწე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი და მდივანი, ჟურნალის „ივერია“ და გაზეთის „დროება“ რედაქტორი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი და 1888 წლის გიორგი ქართველიშვილისეული გამოცემის რედაქტორი, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ივანე მაჩაბლის მიერ ნათარგმნი უილიამ შექსპირის ნაწარმოებები. ამ თარგმანებით ივანე მაჩაბელმა სათავე დაუდო არა მარტო შექსპირის გაცნობას ქართველი მკითხველისთვის, არამედ ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთ ფუძემდებლადაც გვევლინება და ამავდროულად, შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანებით იწყება პოეტური ნაკადი ქართულ დრამატურგიაში.

ივანე მაჩაბელი ქართველ მწერალთა იმ თაობის წარმომადგენელია, რომლებმაც კოლონიურ პირობებში სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები შექმნეს: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დააფუძნეს – ქართული სკოლები გახსნეს და განათლება ააღორძინეს; ლიტერატურულ გამოცემათა პარალელურად, მრავალფეროვანი და ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას მორგებული ჟურნალ-გაზეთები დააარსეს; მეტიც, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დამოუკიდებელი ფინანსური ინსტიტუტი – სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი შექმნეს. ივანე მაჩაბელი წლების მანძილზე ამ ბანკის დირექტორი იყო, მოგვიანებით კი, ქართლის სასოფლო-სამეურნეო სინდიკატი დააარსა და საქართველოში მეწარმეობის განვითარებას შეუწყო ხელი. ამრიგად, უდავოა, რომ ივანე მაჩაბლის პიროვნების შესწავლას, მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხის იმდროინდელი კულტურული, ისტორიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების საკვლევად. სწორედ ამიტომ არის საყურადღებო და საინტერესო მისი ცხოვრების, ერთი შეხედვით, წვრილმანი დეტალებიც კი.

მწერალთა ბიოგრაფიისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის შესასწავლად და საკვლევად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელნაწერი წყაროები, რომლებიც ძირითადად

არქივებსა და მუზეუმებში ინახება. ნებისმიერი აკადემიური თუ სამეცნიერო გამოცემა გვერდს ვერ აუვლის ამ წყაროებს. ამიტომ აუცილებელია, რომ საარქივო მასალა იყოს გამოკვლეული და ხელმისაწვდომი.

დოკუმენტური პროზა – პირადი წერილები და დღიურები, მრავალმხრივ წარმოაჩენს ავტორის შინაგან სამყაროს, მის დამოკიდებულებას როგორც ახლობლების, ნაცნობებისა და კოლეგებისადმი, ისე სხვადასხვა თემის, ისტორიული პირებისა და მოვლენებისადმი. ეს ტექსტები გვაწვდის უაღრესად სარწმუნო ინფორმაციას როგორც ავტორის ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად, ისე ბიოგრაფიისა და ბიობიბლიოგრაფიის შესადგენად, ცხოვრებისა და შემოქმედების საკვლევად. წერილებსა და დღიურებში იკვეთება არა მხოლოდ ავტორის, არამედ ეპოქის სახეც, ამიტომ მათი შესწავლით ინტერესდებიან როგორც კონკრეტული ავტორის მოღვაწეობის მკვლევრები, ისე წყაროთმცოდნეები, სოციოლოგები, კულტუროლოგები და ისტორიკოსები. ამიტომ არამხატვრული (non-fiction) ლიტერატურა თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო და უფრო პოპულარულიც ხდება და უფრო ხშირად ექცევა მკვლევართა ყურადღების არეალში.

ივანე მაჩაბლის წერილებისა და დღიურების კვლევა მეტად აქტუალური საკითხია, რადგან დღესაც არ ცხრება ინტერესი მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის, ილია ჭავჭავაძესთან საადგილმამულო ბანკის საკითხებთან დაკავშირებით, „ბანკობიადის“ სახელწოდებით ცნობილი, სკანდალური პოლემიკისა (რაც სხდომების სტენოგრამებსა და თანამედროვეთა მოგონებებში სხვადასხვაგვარად აისახა) და შემოქმედის იდუმალებით მოცული უგზო-უკვლოდ გაუჩინარების გამო.

ივანე მაჩაბლის ეპისტოლური მემკვიდრეობის ისტორიულ-კულტურულ ღირებულებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ, როდესაც პირადი წერილები ავტორის სიცოცხლეში იშვიათად ქვეყნდებოდა, ქართველი საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცნობი, ახალგაზრდა ივანე მაჩაბელი უცხოეთიდან იმდენად მნიშვნელოვან პირად წერილებს სწერდა ძმასა და იმდროინდელ მოღვაწეებს, რომ ილია ჭავჭავაძემ წერილების გაზეთში „ივერია“ დაბეჭდვა მოინდომა. მწერალი ვასილ მაჩაბელს სწერდა: „ვანოს წიგნების ქებას იწერები, ვიდრე ამას შენ მოიწერებოდი, ჩვენმა ავალოვმა დიდი ქება მითხრა მაგ წიგნებისა. რა კარგი იქნება, რომ ეგ წიგნები დამაბეჭდვინო, თუ შესაძლებელია და, თუ ვანო ნებას მოგვცემს. მიჰსწერე შენად და ჩემად, მოგვეშველოს როგორმე. ჭკვიანი ბიჭია და ამასთანაც კარგის კალმის პატრონი – ჩვენთვის ვანო კარგი ნუგეში იქნება. ჰსთხოვე, და არამც თუ ჰსთხოვე, შეეხვეწე ჩემ მაგიერ, რომ სტატიები რამ გამოგვიგზავნოს“. ვასილ მაჩაბელი საპასუხოდ მეგობარს სწერდა: „რაც ჩემს ძმას ვანოს შეეხება, თუმცა გიგზავნი იმის ადრესს, მაგრამ ჩემის აზრით, ამ ერთ წელიწადს, ვიდრე სამზღვარს გარეთ არის და თავის აზრის შესრულებას ადგია, ძნელია იმისთვის ეხლა სხვა საქმის გამოკიდება. დამერწმუნე, რომ ამ ერთ წელიწადს შემდეგ უფრო კარგად დაგეხმარება... ვანოს წიგნების დაბეჭდვა რამ მოგაფიქრა? განა შეიძლება სიცოცხლის დროს ვისიმე კერძო პირთან მიწერილი წერილი დაიბეჭდოს, შენგან არ მიკვირს!“. როგორც ჩანს, ცოცხალი ადამიანის წერილების პუბლიკაციისადმი ვასილ მაჩაბლის ამ სკეპტიკური დამოკიდებულების გამო, ილია ჭავჭავაძემ გადაიფიქრა წერილების გამოქვეყნება, მაგრამ დღეს მათ განუზომელი მნიშვნელობა აქვს.

პეტერბურგის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის, გერმანიაში ჰოჰენჰაიმის სასოფლო-სამეურნეო აკადემიისა და პარიზის სორბონას უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, ინგლისური, ფრანგული, გერმანული და იტალიური ენების საუკეთესოდ მცოდნე და ევროპულად განსწავლული ივანე მაჩაბელი 1879 წელს სამშობლოში დაბრუნდა და ნაყოფიერ შემოქმედებით თუ საზოგადოებრივ მოღვაწეობას შეუდგა.

წინამდებარე კრებულში ქვეყნდება როგორც ლიტერატურის მუზეუმში, ისე კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, საქართველოს ეროვნულ არქივსა და იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცული ივანე მაჩაბლის 100 წერილზე მეტი და სხვადასხვა დარგის მოღვაწეების მიერ მასთან გაგზავნილი 150-მდე წერილი (ქართულ, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე), მათ შორის, აკაკი წერეთლის, დიმიტრი ყიფიანის, თედო სახოკიას, იონა მეუნარგიას, გერმანელი მწერლისა და ქართველოლოგის – არტურ ლაისტის, ბრიტანელი დიპლომატისა და ინგლისური ქართველოლოგიის ფუძემდებლის – ოლივერ უორდროპის წერილები. არა მხოლოდ მაჩაბლის წერილების, არამედ სხვათა მიერ მისთვის გაგზავნილი ბარათების კვლევის შედეგად გამომჟღავნდა მრავალი უცნობი ფაქტი, რომელიც აზუსტებს მწერლის ბიოგრაფიას, შემოქმედებით მემკვიდრეობას და მოღვაწეობის ასპექტებს. სხვათა წერილებს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისითაც, რომ გვაწვდის ინფორმაციას ივანე მაჩაბლის ჩვენამდე არმოღწეული ბარათების შესახებ.

ლიტერატურის მუზუმში ასევე ინახება ივანე მაჩაბლის 1894-1896 წლების ორი დღიური და უბის წიგნაკის ჩანაწერები. ჩანაწერები, ძირითადად, მოგვითხრობს სათავადაზნაურო ბანკის საკითხებზე, რაც დღემდე დიდ ინტერესს იწვევს. ავტორი აღნიშნავს: „ეს ამბები და საბუთები უფრო ბანკის საქმეთ შეეხება და აქ ჩაწერილია განუმარტებლად: იქნება, ოდესმე დრო დადგეს მათდა განსამარტებლად და ჰაერზე გამოსაფენად“. აქვეა ჩანაწერები წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობის, ქალთა სკოლის დაარსებისა და სხვა საზოგადოებრივი თუ ყოფითი მოვლენების შესახებ.

პირადი წერილები და დღიურები იშვიათად იბეჭდება ავტორის სიცოცხლეში, ამიტომ მათი მთავარი წყაროები ავტოგრაფებია, რომელთა ამოკითხვა სხვადასხვა სირთულესთან არის დაკავშირებული, როგორიცაა: გაკრული ხელი, სპეციფიკური მართლწერა, არტეფაქტის დაზიანება, უხეში გადახაზვა-ჩასწორებები და სხვა. ივანე მაჩაბლის წერილების თავისებურებას წარმოადგენს ის ფაქტორიც, რომ მათი ნაწილი შავი პირებია, რომლებიც მისი საოჯახო არქივიდან გადაეცა ლიტერატურის მუზეუმს და არა ადრესატების არქივებიდან, სადაც გადათეთრებული პირები იქნებოდა დაცული. ასევე მისადმი მიწერილი ბარათები სხვადასხვა პირს ეკუთვნის და, შესაბამისად, სხვადასხვა მართლწერასთან გვქონდა საქმე. მიღებული შედეგები მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ხელნაწერებზე მუშაობამ მაღალი რეზოლუციის ციფრული ასლების გამოყენებით.

დავადგინეთ ივანე მაჩაბლის წერილების ადრესატებისა და ადრესანტების (აქამდე ოცდაათამდე წერილის ავტორი უცნობი იყო) ვინაობა, დავათარიღეთ მრავალი წერილი (დაუთარიღებელი ან არასწორად დათარიღებული იყო ასამდე წერილი) და დავადგინეთ

წერილებსა თუ დღიურებში ნახსენებ პირთა ვინაობა. დოკუმენტური ტექსტების კვლევები წარიმართა წყაროების აღწერის, მათი ურთიერთშესაბამისობის გარკვევის, შექმნის დროის, მოტივისა და შემოქმედებითი ისტორიის დადგენის მიმართულებით.

ეს უაღრესად საინტერესო და მრავალმხრივი დოკუმენტური პროზა აქამდე ფუნდამენტურად არ იყო ნაკვლევი. წერილების ნაწილი ფრაგმენტულად თუ სრული სახით გამოქვეყნებულია სხვადასხვა გამოცემაში, ძირითადად, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მონოგრაფიებში: მაჩაბლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოვლენებთან მიმართებით წერილების ფრაგმენტები დაბეჭდილია ვახტანგ ჭელიძის 1968 წლის მონოგრაფია-რომანში „ივანე მაჩაბელი“; 1984 წელს გურამ შარაძემ წიგნში „ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე“ გამოაქვეყნა ლიტერატურის მუზეუმსა და ოქსფორდის ბოდლეის ბიბლიოთეკაში დაცული ივანე მაჩაბლის სამი და ოლივერ უორდროპის ექვსი ფრანგული წერილის თარგმანები, წყაროებისა და თარიღების მითითებით; ჯემალ მჭედლიშვილის მიერ 2007 წელს გამოცემულ წიგნში „მაჩაბელი ლეგენდების გარეშე“ შეტანილია ივანე მაჩაბლის 70 წერილი და დღიურის 6 გვერდი, აქვე მითითებულია სავარაუდო თარიღები და ნახსენებ პირთა ნაწილის ანოტირებული საძიებელი; 2010 წელს ორ წიგნად დაბეჭდილი აკაკი წერეთლის საარქივო გამოცემა შეიცავს ლიტერატურის მუზეუმში დაცულ აკაკი წერეთლისა და ივანე მაჩაბლის მიმოწერიდან 15 წერილს.


ივანე მაჩაბლის წერილებში მრავალი სხვადასხვა ასპექტი და რთული საკითხია განხილული. მათი ნაწილი და დღიურების ჩანაწერები, ასევე მისადმი გაგზავნილი წერილების აბსოლუტური უმრავლესობა აქამდე უცნობი იყო პუბლიკისთვის და წინამდებარე გამოცემაში პირველად ხდება მათი ხელმისაწვდომი.

ივანე მაჩაბლის წერილები

ვასილ მაჩაბელს

1

10 თებერვალს. გორი.



ივანე მაჩაბელი
სანკტ-პეტერბურგი, 1873 წელი
ფოტო: კონსტანტინ ანდერსონ

ძმაო ვასო. ეს ორი დღეა, რაც შენი წიგნი მოგვივიდა, რომელმაც დიდად გვასიამოვნა, მეტადრე იმიტომ, რომ შენს კარგა მყოფობას იწერებოდი. ვერ წარმოიდგენ, რარიგად შეშინებულნი იყვნენ შინა შენი უქეიფობის გამო, რადგან შეიტყეს კიდეც, რომ შენ ძალიან ავად ყოფილხარ; მაგრამ შენმა წიგნმა სრულებით დაგვამშვიდა!

მე ეხლა გორში ვარ. ჩამოვედი კიდევ იმ ტერსტეფანოვის გულისთვის და რაც შენ წიგნში ეწერა, ყველაფერი უთხარი და ისიც ვაყვედრე, რა არის ჩემი მოტყუება მეთქი, მაგრამ, როგორც ეტყობა, ამ მამაძაღლს ფულების მოშორებას სულის მოშორება ურჩევნიან. ისევ ცარიელი მივდივარ შინ.

ჩვენი ჯავრი ნურა გაქვსრა, ყველანი მშვიდობით ვართ: ეს არის, რომ მამიჩემის მოვალე თათარი გვაწუხებს. მეორეთაც მოვიდა, მაგრამ, რასაკვირველია, ხელცარიელი წავიდა ისევ ისე. ახლა მამაჩემს უნდა, სოსიაშვილის მამული დააგირავოს და იმითი ყველა მაწუხებელი ვალები გაისტუმროს, მაგრამ არ ვიცი, როგორ მოახერხებს და ან შენ რას მოიწერები ამაზედ. ჩემის აზრით, თუ ამ მამულით გაუძღვა იმ ვალებს, ძალიან კარგი იქნება.

ჩვენი ამასწინანდელი წიგნი გაგაოცებდა, რომ შიგ ჩურჩხელების გამოგზავნა ეწერა და კი არა მოგივიდარა. ამის მიზეზს შენვე მიხვდებოდი. მე მეგონა, სამი მანათით გაუგზავნი მეთქი. ის კი არა, თუ ცხრა მანათამდინ უნდება. ეხლა კი შენის გამოგზავნილი ფულის წყალობით გიგზავნი ამ ჩურჩხელებს.

იოთამი ჯერ არ მინახავს და როცა ვნახამ, ვეტყვი შენს მოწერილს ანბავს.

შენი უსიამოვნო ძმა ვანო მაჩაბელი
[1871 წელი]



ივანე მაჩაბლის მშობლები –
ნატალია და გიორგი მაჩაბლები
1850-იანი წლები

2

ორშაბათი, 18 თიბათვეს (ივნისი).

შენ, რასაკვირველია, გაოცდები, ეს წიგნი რომ ქალაქის ფოჩტით მოგივა, მაგრამ აი ამის მიზეზი რა არის. მე რომ აქ მოვედი, სამს დღეს მაინც რიგიანათ არ დავბინავებულვარ, რადგან არ იცოდნენ, რომელი ოთახი მოეცათ; რომელიც ჩემთვის მოემზადებინათ, ბნელი და ნოტიო გამოდგა. ამ სამს დღეში ჩამადანი არც კი გამიხსნია და რაღა თქმა უნდა, რომ მარკასაც ვერ ამოვიღებდი. რადგან დღე დღეზე ვოლლენსის ბიძაშვილი (რომელიც ჩემთან დგას) მანდ წასვლას აპირებდა სამსახურში, მითხრა, წიგნი მე მომეციო და ქალაქში მე თვითონ ჩავაგდებ იაშჩიკშიო; მეც ასრე ვარჩიე.

ეხლანდელი ჩემი ოთახი, მართალია, ძალიან პატარაა, მაგრამ ნათელი და უნოტიოა, ასრე პატარაა, რომ აქ ორის დატევა შეუძლებელია, ამისათვის შენს აქ მოსვლას უნდა თავი დაანებო.

აქ ვოლლენსთან მხოლოდ ერთი ბიძაშვილი, პერევერზიევი და იმისი დედა დგანან, სხვა მეტი არავინ არის. თვითონ ძალიან კარგი კაცი ყოფილა, რომ უკეთესი არ შეიძლება.

აი, ჩემი დღიური: დილით ექვს ან შვიდს საათზედ ვდგები, საბანაოთ ზღვაში მივდივარ, რომელიც ხუთს ნაბიჯზედ არის (აქ მოსვლის მეორე დღესვე ბანაობა დავიწყე); დილით ჩაი ან ყავა ნაღბით და ბულკით, 1 საათზე ყავა ერბოთი, ან კვერცხით და სხვ. 4 საათზედ სადილი ოთხი ან სამი თავი, სადილის უკან კიდევ ყავა, საღამოზედ ბანაობა და ჩაი, და თუ მინდა, რძეც. დილიდამ 1 საათამდი მე ჩემს საქმეს ვაკეთებ, 1-დან 7-დი იმისას, მერე 1-ს საათს შექსპირს ვთარგმნი და მერე სხვა ადვილს რასმე ვკითხულობ. იმის საქმე ძალიან ადვილი და სახალისოა, მაგრამ მე მეშინიან, რომ არ ეცოტავოს, თუმცა, აქამდისინ ძალიან კარგათ მექცევა და კიდეც მოსწონს ჩემი ნათარგმნი. ეს არის ძნელი, რომ ნემენცურიდგან ძალიან ცოტაა სათარგმნი. თუ ძრიელ გინდა აქ წამოსვლა, მამწერე



სხედან:
ივანე ჯორჯაძე,
დავით გურამიშვილი,
ვასილ პეტრიაშვილი,
დავით სარაჯიშვილი
დგანან:
ივანე მაჩაბელი,
ოთარ დადეშქელიანი,
ვასილ მაჩაბელი,
ილია ბაგრატიონი-გრუზინსკი
სანკტ-პეტერბურგი
1873 წელი

და იქნება ფასით აქ ახლო მახლო ორს დღეს შენთვინ ოთახი ვიშოვო, მაგრამ საჭმელზედ კი გაჭირდება.

წაღები ძალიან საჭიროა, ეს ერთს ადგილას კიდეც გამიცვდა. თუ შეიძლება, ეგენი შენ პერევერზიევს მიუტანე და ის მე მომიტანს. აი, სად შეგიძლიან იმას გადასცე: В канцелярію военного Министерства, у Исакіевского собора, подъезд с адмиралитейства. შენ იმ კანცელარიის შვეიცარს მიეცი, რომ გადასცეს Павлу Михайловичу Переверзеву.

აი, სად შეგიძლიან, ჩემთან წიგნები გამოგზავნო: по город. почтѣ. По Екатеринскому каналу д. 117. Чубинова, кв. 2. Василию Петровичу Волленсу, прошу передать такому-то. იქიდან თითქმის ყოველს ორ დღეში აქ მოაქვთ.

ადგილი აქ ძალიან კარგია, ჩვენებური ოღრო-ჩოღრო, ზღვა, ტყე და სხვა.

[1873 წელი]

3

კვირა, 15 თიბათვე (ივნისი).

ძმაო ვასო.

დღეს მოვედი და დღესვე გწერ საჩქაროთ წიგნსა. ჩემს მგზავრობაზედ არასა გწერ, რადგან როგორც მანდ დავაწყეთ, ისე მომიხდა, მხოლოდ ბაგაჟზედ უფრო მეტი დამეხარჯა (30 მანეთამდის), ვიდრე მანდ გვეგონა.

ამას თავი დავანებოთ და გაყრაზედ მოვილაპარაკოთ.

ამ წიგნთან ბიძიჩემის, ალექსანდრეს წიგნსაც გიგზავნი, რომლიდგანაც შეიტყობ ტელეგრამის მოუწერლობის მიზეზს. ამ წიგნშივე იწერება, რომ ეხლა, 19 თიბათვეს, ლაგერში მივალო და მარიამობისთვის ნახევრამდინ ვერ შემიძლიან ოტპუსკის აღებაო. მე

და მამიჩემის წასვლა ახალციხეს მაშ ეხლა სულ ტყუილი იქნება. ამას გარდა, მამაჩემი არ ჩადის შენს მოსვლამდინ გაყრას და ამბობს, რომ რაც უნდა ცოტახნობით მოვიდეს, მაინც მოვასწრობთ გაყრასაო, ასე რომ შემოდგომაზედ გაუყრელი არ დავრჩებითო. მაშ, შენს მოსვლამდინ გაყრისა არა მოხერხდებარა. როცა მოხვალ, მაშინ ვეცადოთ, რომ ალექსანდრე მოვიყვანოთ და ბოლო მოუღოთ ამ საქმეს. ეხლაც თითქმის გაყრილებისავითა ვართ, ასე რომ ყველას თავისი მესამედი მიაქვს მოსავლისაგან და რასაკვ., ეს უფრო გააადვილებს გაყრას.

ტუფლები კარგები მოუვიდათ, აგრეთვე, პერანგები, მაგრამ ამათ გულის პირები ცოტა პატარაები მოუვიდათ. ამის გამო უნდა ამის მაგიერებ სხვები უნდა იყიდო შენი წასვლის შემდეგ.

დარიკომ შემოგითვალა, რომ ქამარი ძვირფასი არ იყიდო, უბრალო იყოსო. პოლსაპოშკები, თუ ტუფლების ზომა გახსოვს, იმათ სიდიდეები იყოსო. ამას გარდა, თუ ფული შეგესწროს, ერთი ლეჩაქების ჩასაწყობი შკატულკაც წამომიღოსო.

რაც შეიძლება, ეცადე, რომ მალე მოხვიდე, რასაკვ., შენს საქმეს კი ნურას დააგდებ გაუთავებელს. თუ სევასტოპოლზედ წამოხვიდე, გირჩევ, რომ ბაგაჟი ჯერ მოსკოვამდინ მისცე და მერე მოსკოვიდან პირდაპირ სევასტოპოლამდინ მისცე. თუ ასე არ მოიქეცი, დაგაბრკოლებენ.

გორში ყუბანოვი ვნახე. ძალიან ბოდიშს იხდიდა ფულის დაგვიანებისთვის და თავის ბიძაშვილს (მინგრელსკის ადვოკატს ტერტეფანოვს) აბრალებდა გამოუგზავნელობას. ეხლა კი ბანკზე გადავეცითო. ასე რომ, წამოსვლამდინ მიუსწრებსო.

ადრე მოდი და ბალი ბევრი დაგხვდება.

ვანო

P. S. მამა გითვლის, რომ თუ ჩუბინოვს, ან სხვას ვისმე აქვს ქართული ზღაპრები 1001 ღამისა (Сказки 1000 и 1 ночь), სთხოვე და წამოიღეო, და ისევ უკანვე დავუბრუნებთო გადაწერის შემდეგ.

[1875 წელი]

4

თბილისი. ივლისის 7.

ძმაო ვასო. მოსვლის მეორე დღესვე წავედი სანდრო ერისთავთან, მაგრამ იმავ დილით ვერ ვიპოვნე, რადგან მუშტაიდისაკენ გადასულიყო. საღამოზედ მოვნახე და მივაგენ. ვუთხარი შენი დაბარებული და წერილიც გადავეცი. ასე მითხრა, სამშაბათს, ან ოთხშაბათს უთუოდ იქა ვარო და თან ტრუბებსა და ვატერკლოზეტებს წავიღებო; ვანები და პირ-საბანი მასუკან იყოსო. ძალიან შევეხვეწე, რომ უეჭველად შეასრულოს თავისი სიტყვა.

ქალაქში დიდი სიცხეები არ არის. კაცი გაძლებს. მე სრულებით კარგათა ვარ. დარიკოს უთხარი, რომ მანიჩკას ამბავი ის არის, რომ მშვიდობით არიან-თქო. ამათი მამულიც გადარჩა გაყიდვას. დედა მომიკითხე.

შენი ვანო
[1875 წელი]

5

13/25 დეკემბერს.

ძმაო ვასო.

დიდად მიხარიან, რომ ჩვენი მიწერ-მოწერა სწორედ ლაპარაკს დაემგზავსა; თუმცა რამდენიმე ასი და ათასი ვერსითა ვართ მოშორებული, მაგრამ ისე ხშირად მოგვდის ერთმანეთის წიგნი, რომ ვერც კი ვგრძნობთ ამ დაშორებას. გუშინ მოგწერე წიგნი, მაგრამ დღეს რომ შენი წიგნი შემომიტანეს, ისე წავხალისდი, რომ კიდევ მეორე წიგნსა გწერ. ამ წიგნში ახალს ვერას შეგატყობინებ; ამას მხოლოდ გამოლაპარაკების სურვილის მოსაკლავათა გწერ.

ამ შენმა უკანასკნელმა წიგნმა ცოტათი დამაღონა, რადგან გული დავაჯერე, რომ შენ მე კიდევ კარგად ვერ მიცნობ. დარწმუნებული უნდა იყო, ძმაო, რომ მე იმ ანდაზას არ მივდევ: „საცა შეხვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო“; დარწმუნებული უნდა იყო, რომ აქაური სტუდენტობა თავის ჩირქს მე ვერ მომცხებს და თავისავით პრანჭვას მე ვერ მასწავლის. ამ შენი უკანასკნელი წიგნიდან მივხვდი, რომ ჩემი აზრი აქაურ სტუდენტებზე, შენ ფულის თხოვნად მიითვალე ტანისამოსისათვის. მე ეს სრულებით აზრად არა მქონდა. მე მხოლოდ იმიტომ გწერდი აქაური სტუდენტების ამბავს, რომ შენც გაგეცნო ცოტაოდენად აქაურობა. ახლა ამასა გთხოვ, რომ, შენი ჭირიმე, ჩემი გულისათვის ფულზედ ნუ შესწუხდები და ნუ გაიჭირვებ. რაც უსათუოდ საჭირო იქნება, იმას კი მოგწერ და ლაიკის ფერჩატკებს და ლაიკის პოლსაპოშკებს, სჯობს, თავი დავანებოთ.

ცოტ-ცოტათი ამოვიდგი ენა ნემენცურად; საკვირველია, რომ პროფესორების ენა და ლექციები უფრო კარგად მესმის, სანამ სტუდენტების ერთმანეთში ლაპარაკი; ეს იმისაგან წარმოსდგება, რომ წინაწინ ტეორეტიკულად შესწავლილი მქონდა ნემენცური ენა, მხოლოდ ერთი გარემოება მიშლის ნემენცური ენის სწავლას: სტუდენტებთან ლაპარაკი თითქმის მხოლოდ სადილის დროს შემხვდება ხოლმე; ლექციების დროს სადილზედ ჩემს სტოლზედ სხედან ორი იტალიელი, ერთი ფრანცუზი და მხოლოდ ერთი ნემენცი, ასე რომ, ჩვენი ლაპარაკი სადილათ ნემენცურით, ფრანციცულით და იტალიანურით აჭრელებულია. ეხლა ორი კვირით ლექციები შეჩერებულნი არიან უქმეების გამო; ჩემი ამხანაგები წავიდ-წამოვიდნენ, ასე რომ, სადილობის დროს ნემენცებთან შემხვდება ხოლმე ჯდომა; იმედი მაქვს, რომ ორი კვირის განმავლობაში კარგად შევაჩვევ ყურს ნემენცურს.

მთელს აკადემიაში სულ 80 სტუდენტია და ეხლა, უქმეებში, ოცი ან ოცდაათიღა დარჩნენ, სხვანი სულ წავიდ-წამოვიდნენ; რასაკვირველია, კანიკულებშიაც ესე იქნება: ვინც აქა რჩებიან, არიან გამომწყვდეულნი თავ-თავიანთ ოთახში; მხოლოდ როცა კაი დარია, მაშინ გამოვლენ ხოლმე კარში; იქნება, ზაფხულში უფრო გაცოცხლდეს აქაურობა.

მაგრამ მე მხოლოდ ერთი კანიკული მომიხდება აქ დარჩენა, მარტში, სამის კვირით; ზაფხულის სემესტრი რომ გათავდება, მაშინვე პარიჟისკენ წავალ, თუ შენის მხრით წინააღმდეგი არა იქნება რა.

მართლა ომს აპირებთ, თუ არა? მე კი, როგორღაც გული ვერ დამიჯერებია; დავიჯერო, რუსეთს არ ეშინიან ამდენი მოძალეებისა!?

მართლა, უნდა მომეწერა, რომ დღეს სადილზედ სტუდენტებს მგზავრობაზედ ჰქონდათ ლაპარაკი და ყველას თავი მოჰქონდა, რომ მე ამა და ამ რკინის გზაზედ პირველს კლასში ვიჯექიო და მხოლოდ ცოტა ხნობით მეორე კლასში გადავჯექიო და სხვ. მაგრამ შემეშინდა, არ იფიქრო, რომ მეც მეორე ან პირველი კლასით მინდა ამას იქით მგზავრობა.

ვათავებ ქართველურად:

სხვა რაღა მოგწერო.

მხოლოდ ამას გეხვეწები, რომ როგორც აქამდინ მიგზავნიდი შენს წიგნს, ისე ამას იქით არ მომაკლო ხოლმე.

შენი ვანო
[1876 წელი]

6

22 აგვისტო / 3 სეკტემბერი, 77 წ.

საყვარელო ძმაო ვასო, ამ წიგნს პარიჟიდანა გწერ, სადაც ეს ორი დღე არის მოვედი გერმანიიდან. თუმცა, მაშინვე მინდოდა შენთან წიგნი მომეწერა, მაგრამ პარიჟი ისეთი ქალაქია, რომ სანამ კაცი რიგიანად არ დაბინავდება, სულ „დავთრებ-დაკარგული“ დადის და იმისთანა მდგომარეობაში წიგნის დაწერაც კი მოუხერხებელია.

რასაკვირველია, რამწამს მოვედი პარიჟში, მაშინათვე ნაცნობის ვისიმე მონახვა დავიწყე და გავწიე „Rue St. Honoré“-ზედ, ზარაფოვის საპოვნელად, მაგრამ ერთი მიზეზის გამო მხოლოდ სამის დღის შემდეგ შევძელი მისი პოვნა. შენ რომ ადრესსა მწერდი, იქ Rue du Faubourg St. Honoré იყო, მაგრამ Faubourg-ის მაგიერად Fg ეწერა და პარიჟის ადრესების შეუჩვევლობის გამო, მე ეს Fg უმნიშვნელო, წაშლილი ასო მეგონა და მხოლოდ მაშინ ვიპოვნე ზარაფოვი, როდესაც ერთმა ფრანცუზმა ამიხსნა, რომ ეს ორი ქუჩა სულ სხვა და სხვა არისო. რაკი ზარაფოვი ვერ ვიპოვე, იმავე დღეს გავექანე სხვა ადრესზე იზმაილოვის საპოვნელად. თუმცა, იზმაილოვს არ ვიცნობდი, მაგრამ რაკი ქალაქელი იყო, იმედი მქონდა, მიმასწავლიდა, როგორ უნდა მოვქცეულიყავ, რომ ჩვენის ჯიბის შესაფერი ოთახი და სადილები მეპოვნა. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, სახლის პატრონმა მითხრა, რომ ეს[...] იზმაილოვი თბილისში წავიდაო. ამას გარდა, სახლის პატრონმა მითხრა, რომ მიქელაძე, წულუკიძე და სხვ. აქ ჩემთან იდგნენო. ამის გამო, მეც ამ სახლის პატრონს გამოვართვი ოთახი, რადგან დიდხანს ყოფნა გოსტინიცაში მემძიმებოდა მეტის მეტი სიძვირის გამო. ოთახი მეშვიდე ეტაჟში მომცა 40 ფრანკად თვეში მებელით, მაგრამ უშეშოთ. ამას გარდა, ამავე სახლში აძლევენ საუზმეს (12 საათზედ) და სადილს (6 საათზედ), ვინც თვეობით მოურიგდება, უნდა 90 ფრანკი აძლიოს სადილისთვის და საუზმისთვის, მაგრამ მე მარტო სადილს გავურიგდი 55 ფრანკათ, რადგან საუზმით ძვირად დაჯდებოდა. თუმცა, სადილს ექვს საათზედ აძლევენ, მე მინდა, საუზმის მაგიერად ყავა გავიჩინო, რადგან დილიდან ექვს საათამდის ძნელია მოთმენა, მეტადრე აქაურს სადილამდის, რომელიც თუმცა ოთხი თავი საჭმელიდან შესდგება, მაგრამ ორად კი არა ღირს. როგორც აქედ-იქიდან მითხრეს, შეიძლება, უფრო იაფად ცხოვრებაო და იმედი მაქვს, ამ ერთ თვეს უკან უფრო იაფად მოვეწყო. თუმცა, შენცა მწერდი ფულს გაუფრთხილდიო, მაგრამ ისიც რომ არ მოგეწერა, მეც ვიცოდი, რა გაფრთხილება უნდა მეტადრე ეხლა შენს ჯიბეს, როდესაც მანეთში ორსა და ნახევრის ფრანკს მეტს არ აძლევენ. ზარაფოვმა ძალიან კარგა მიმიღო და მეორე დღეს სადილადაც დამპატიჟა, მაგრამ რაც მინდოდა, იმის ჩვენება კი არ შეეძლო. ის მდიდარი კაცია და არაფრად საჭიროებს იმის ცოდნას, სად როგორ შეიძლებოდა უფრო იაფად ცხოვრება და ჩემთვინ ეს ცნობები უფრო ყველაზედ საჭირო იყო. რაც შეეხება ლაბორატორიაში მუშაობას, ამაზედ დაწვრილებით ვერას მოგწერ, მხოლოდ კი მითხრეს, რომ თუ კერძო ლაბორატორიაში იმუშავებ რომელსამე პროფესორთან, 40

ფრანკამდე დაგჭირდება თვეშიო. აგრეთვე შეიძლება სტუდენტათ ჩაეწერო სადმეო და მხოლოდ ერთბაშად შეიტანო 50 ფრანკამდე და ხიმიის ეგზამენის დაჭერის შემდეგ აიღო ნება ლაბორატორიაში მუშაობისაო. მე მგონი, უფრო ამ უკანასკნელს გზას შევარჩევ ეხლა. ჯერჯერობით კანიკულებია და პირველ ოკტომბრამდინ, მგონი, არა იქნებარა.

შენ რომ მწერდი, ოსმალეთის საქართველოზედ კომპილაცია შეადგინე და „Нашъ Вѣкъ“-ს გამოუგზავნეო, ის საქმე ეს სამი კვირეა შევასრულე, მაგრამ პასუხი არა მომსვლია რა. კარგი იქნებოდა, რომ დაებეჭდათ, მაშინ შეიძლებოდა, აქედანაც კორესპონდენციები მეგზავნა, თუ რედაქცია მოინდომედა და ფულისაც წყარო გაგვეჩინა, მაგრამ ამ დაგვიანებიდანა სჩანს, რომ არაფერი იმედია ამ მხრიდან. პეტერბურგის ჟურნალისტებს კასტა აქვთ შეგენილი და ვინც იმათ კასტას არ ეკუთვნის, ძნელად თუ შესძლებს, დააბეჭდინოს რამე.

სწორე გითხრა, არ ვიცი, სად გამოგიგზავნო ეს წიგნი. თუმცა, ვიჭვნეულობ კი, რომ კავკასიაში მოგისწროს, მაგრამ მაინც მანდა ვგზავნი და თუ ვერ მოგისწრო და თუ სამს კვირაზედ პასუხს არ მომწერ, მაშინ საჭირო იქნება, მეორე ამ გვარივე წიგნი პეტერბურგში მოგწერო. ამის მიზეზით პარიჟზედ არასა გწერ. მეორე წიგნში დაწვრილებით გიამბობ, რაც რამა ვნახე შესანიშნავი ამ ზღვა-ქალაქში. ეხლა პარიჟზედ რომ მომეწერა რამე, მესხისავით უნდა დამეწყო, რომ პარიჟში ბევრი მაღალი სახლებია და სახლებს ზემოთ საყდრებიო. ორ-სამს დღეში ძნელია, კაცი აქაურს ცხოვრებას დააკვირდეს. მაშ, მეორე წიგნამდის, ჩემო ვასო. ვინძლო ისევ ისე ყოჩაღად გადაიარო კავკასიის მთები, როგორც უხიფათოდ ამას წინედ კავკასიაში მიხვედი.

ზარაფოვმა მოგიკითხა.

დედა და დარიკო დამიკოცნე. ყველანი მომიკითხე.

შენი ძმა ვანო

7

21 იანვარი. 78. პარიჟი.

დაცინვაზედ გეტყობა, საყვარელო ვასოჯან, რომ შენ ისევ ისე უწინდებულად კაი ქეიფზედ დამდგარხარ და ეს აზრი რომ არ მომსვლოდა თავში, სწორე გითხრა, იქნება გავებრაზებინე შენს დაცინვას, მით უფრო მეტად, რომ ეგ დაცინვა უსაფუძვლო იყო. ჯერ ერთი ესა, ჩემო ვასო, რომ იმდენი ხანია თამარაშენს თავი დაანებე, რომ იქაური ჰავის ამბავი დავიწყებული გაქვს. შარშანწინ იქ რომ ვიყავ, მაისში სამი დღის განმავლობაში ისეთი სიცივეები დაიჭირა, რომ რთვილმა ვენახები სულ ამოაგდო. თუ ჩემს შენიშვნაში „რთვილის“ მაგივრად „ყინვა“ ვთქვი, ეგ სულ ერთია. იქ ვენახების გაფუჭებაზედ იყო ლაპარაკი და არა რთვილ-ყინვაზედ. მეორეც ესა, ეს შენიშვნა შესანიშნავად ამოვწერე და არა როგორც იმისთანა საშუალება, რომლის გამოყენება შეუცვლელად შეიძლებოდეს. ამის დასამტკიცებლად, რომ ეს ზომა საფრანგეთში ბევრად მიღებულია სიცივეების ასაცილებლად, უნდა მოგწერო, რომ ამ ცოტა ხანში ერთს მემამულეს მოუგონია იმისთანა ტერმომეტრი, რომელიც ციურ ღამეებში ფიჩხის ახლო უნდა დაიდოს და უყარაულოთ მოუკიდოს ცეცხლი ამ ხროვას. სჩანს, რომ საფრანგეთში ეს საქმე ისე სასაცილოთ არ ეჩვენებათ, როგორც პირველი შეხედვითა სჩანს. რასაკვ., პირდაპირ ჩვენში გადატანა ამისთანა მეტოდისა ხეირს არ მოგვცემს, მაგრამ, მგონი, ურიგო არ იქნება, ამისთანა ფაკტები სახეში ვიქონიოთ, რომ გარემოების შესაფერად მოვიხმაროთ ხოლმე. იმ ხილის მომვლელის წიგნი მეორე დღესვე მომივიდა და მწერს, რომ აპრილის პირველამდისინ ჩემს ბაღში არაფერი

მუშაობა არა იქნება რა, რადგან ჩემი ბაღები პრუსიელების დაცემის დროს მომითხარეს და დიდი ხანი არ არის, რაც მოვაშენეო. თუ გსურთ, აპრილიდამ შეგიძლიათ, აქ გადმოსახლდეთ და ბაღშიაც იმუშავოთ და ლექციებსაც ყური დაუგდოთო (პარიჟიდან იქამდისინ ერთი საათის სავალია რკინის გზით). მაგრამ ამ ბაღთან ვენახები არ არის და თუ კაცს ორივეს დათვალიერება უნდა, კაცმა უფრო სამხრეთისკენ უნდა გასწიოს.

იმ დღეს აქაური კატაკომბები ვნახე. რაც პარიჟის შენობებს ქვა უნდებათ, სულ პარიჟის ქვეშიდამ ამოაქვთ და ცარიელ ალაგას იმისთანა კორიდორებს აკეთებენ, რომელნიც პარიჟის ქუჩების სიგრძეები არიან. ამ კორიდორების გვერდები დიდრონ ოთახებად არის დაყოფილი და ადამიანის ძვლებით არის გატენილი, რომელნიც ძველი სასაფლაოებიდან ამოუკრეფიათ ალაგის უქონლობის გამო. ამ ჯურღმულში თვეში ერთხელ შეუძლიან პუბლიკას ჩავიდეს და ერთი საათი მეტი ამ ქვესკნელის ქუჩებში ისეირნოს. ჩვენ ასი მეტნი ვიყავით, ქალი და კაცი. ყველას ხელში სანთელი გვეჭირა. უნდა გენახა, რა გასაოცარი და ცრუმორწმუნეებისათვის საშიშარი იყო ეს პროცესია. აქეთ-იქით სხვადასხვა წლის სასაფლაოებიდგან ამოკრეფილი ადამიანის ძვლები სისტემატიურად ჩარიგებული: ძვლები დიდი რევოლიუციის დროსი, ძვლები ამ საუკუნის დასაწყისისა და სხვა. აქა-იქა ზოგიერთი პოეტებისაგან ამოკრეფილი წარწერილები სიკვდილზედ, მეორედ აღდგომაზე და სხვა ამისთანა დაბადების საკადრისს საგნებზედ. მაგრამ ვერ წარმოიდგენ, რა შთაბეჭდილება ჰქონდა კაცზედ ამ პროცესიას, როცა ერთი გრუპა მეორეს დაშორდებოდა ხოლმე და მოახლოვების დროს ამ „მწყვდიადს“ სიბნელეში კაცი არჩევდა ჯერ რაღაც გაურჩეველ სინათლეს და შემდეგ აჩრდილებსავით მომავალს სულიერებს, რომელთ ჩრდილსა და სანთელს გარდა კაცი ვერაფერს ვერ გაარჩევდა.


კაცს ეგონებოდა, საიქიოსა ვარო. მაგრამ პარიჟელების ჩვეულებრივი ხუმრობა და სიცილი ამ ილიუზიას მალე გააქრობდა ხოლმე.

შენი ვანო

8

პარიჟი. 20 მარტი. 78.

საყვარელო ძმაო ვასო. შენმა წიგნმა ერთი ორად მასიამოვნა. შენს სახეს დავხედე თუ არა, მაშინვე ვთქვი, უწინდელი წუწუნი და ბედზე ჩივილი შარშანდელს თოვლისავით გამქრალა მეთქი და ვიდრე შენს წიგნს წავიკითხავდი, დარწმუნებული ვიყავ, რომ იმაში იმას ამოვიკითხავდი, რაც ამოვიკითხე; იმავე მხიარულებას, იმავე გულმაგრობას და „საქმიანს უდარდელობას“, რომელნიც შენს სახეზედ იყვნენ დაწერილნი. ერთის სიტყვით, შენმა სახემ დამიმტკიცა შენი წიგნი და შენმა წიგნმა შენი სახე. ამ სიამოვნებას მოუმატა კიდევ იმ ამბავმა, რომ ბეჯითად მპირდები პარიჟში მოსვლას, სადაც თუ შენებური დონ-ჟუანობა დაიწყე, წინაწინვე მომილოცავს გამარჯვება, მეტადრე თუ ჩერქეზული ტანისამოსის წამოღება არ დაგავიწყდა. როგორც წინა წიგნში გწერდი, მეც იმედი მაქვს, აგვისტოსთვის დავბრუნდე პარიჟში. მინამდისინ კი ჯერ დარწმუნებით ვერ მოგწერ, სად ვიქნები. დღეს მივწერე ორი წიგნი Ferme e`cole-ის დირექტორებს, რომ შემატყობინონ იქაური პირობები. ამ ორს დღეში პასუხი უეჭველად მომივა და როცა გადავწყვიტავ, საითკენ წავალ, მაშინვე მოგწერ და ფულზედაც შეგატყობინებ. თქმა აღარ უნდა, რომ იმ Ferme e`cole-ის დირექტორებს მივწერე წიგნები, რომლებშიაც ვენახის და ბაღის მოვლაზედ უმთავრესი ყურადღება არის მიქცეული. რაც შეეხება ფულსა, აი,



ვასილ მაჩაბელი
სანკტ-პეტერბურგი, 4 მარტი, 1878 წელი
ფოტო: ბერგამასკო


რა უნდა მოგწერო: სამის თვისა რომ გამომიგზავნე, ის, რასაკვირველია, მეყოფა სამის თვისთვის – აპრილის გასვლამდინ, მაგრამ იმაზედ კი ჯერ ვერას მოგწერ, რამდენი მომინდება პარიჟს გარეთ. იმედი მაქვს, იქ იმდენი არ დამჭირდეს, რამდენიც აქ მინდებოდა. რასაკ., თუ შეიძლებ, ეჯობინება, რომ მალე გამომიგზავნო გზისთვის და პირველ დროს დასახარჯავი. მეც, რამწამს, პასუხი მომივა, წასვლის თადარიგს შევუდგები და იმედი მაქვს, რომ ვიდრე პეტერბურგიდამ წახვიდოდე, იქიდამვე მოგწერო, რამდენი მომინდება აგვისტომდის.

იმ დღეს შენგან მოწერილ წიგნებს ვათვალიერებდი და ვკითხულობდი იმას, რაც ჩვენს პაწია სახლ-კარს შეეხებოდა. იქ ერთი შენიშვნა ვნახე, რომელზედაც მაშინვე მოწერა დამავიწყდა. იქ ამბობ, რომ პატარა ბაღში ხილი უნდა ჩავაყრევინოო. არ ვიცი, რომელს ბაღს ამბობ. მე მგონი, სახლის უკან რომ ბოსტანათა ვნიშნავდით, ისა გაქვს სახეში. თუ ესეა, ძალიან კარგად გიფიქრნია, რადგან ერთი ოციოდე ძირი ხე კაი მოწყალებაა. ბოსტნისთვის მასუკანაც გამოჩნდება ალაგი სადმე გარეშემო. ვიდრე ხეხილი გაიზდებოდეს და დააჩრდილებდეს გარეშემო, შეიძლება, ბოსტნეულება გააჩინოს კაცმა. ეს ძალიან კარგი აზრია იმიტომ, რომ რაც პატივი უნდება ბოსტნეულობას, ხეხილსაც გაუჯდება ფესვებში და ერთის საშუალებით ორი საქმე გაკეთდება. ეხლაც თვალ-წინ წარმოდგენილი მაქვს, რა მშვენიერი სანახავი იქნება ჩვენი კარმიდამო, როდესაც ეს ხეხილი წამოიზრდება. თუ სამოთხე დაერქმევა რასმეს, ეს სახელი მაშინ ჩვენს სახლ-კარს მოუხდება.

ძალიან მიამება, რომ ილია ჭავჭავაძის ლექსი როგორმე გამომიგზავნო, დიდი ხანია ქართული არა წამიკითხავს რა.

როგორცა გწერდი, იმედი მაქვს, ამ ორს დღეში მეორე წიგნი მოვადევნო ამ წიგნს. სარაჯოვმა მოგიკითხა.

შენი ვანო



ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის ნათარგმნი უილიამ შექპირის „მეფე ლირი“ პეტერბურგი, 1873 წელი

9

26 მარტი. გორი.

საყვარელო ვასო. მე ორი კვირა დავრჩი ქალაქში და იქიდან მივწერე ესტატეს, რომ ქვევრები დაერეცხინებინა; ასე რომ, ღვინის გადაღება ჩემის მისვლის უმალვე შემძლებოდა; სწორე გითხრა, ამდენი ხანიც არ დავიგვიანებდი, მაგრამ დარიკო ავათ იყო და თავი ვეღარ დავანებე. ეხლა თუმცა უკეთ არის, მაგრამ მაინც მემძიმებოდა თავის დანებება სხვის ანაბარად.

ქალაქში ვინც დამაბარე, ყველანი ვნახე და სხვა ხუთი კიდევ იმდენი. იმ ალაგზედ რომ გწერდი, ჩოლოყაშვილის ნათქვამზე, უარი ვუთხარი, რადგან ჩემი საქმე არ იყო. ამას გარდა, მაძლიეს ახალ შკოლაში მასწავლებლის ალაგი, 80 თუმნის ჯამაგირით და სრულის ხარჯით, მაგრამ ესეც არა ვქენი. ახლა ჭავჭავაძეს რაკი ივერიაში თანამშრომლობას დავპირდი, ამას უნდა უეჭველათ ზამთარში მაინც ქალაქში დავრჩე და ხან რას მოიგონებს, ხან რასა. ეხლა მეუბნება, რახან მასწავლებლობა არ გინდა, ბანკში ამოგირჩევენ დამფასებლათაო და კასსირის ალაგიც გექნებაო. ასე რომ, წელიწადში 180 თუმანი გექნებაო. მე, სწორე გითხრა, ამაზედ უარი კი აღარ ვუთხარი, რადგან უეჭველათ მაიმედებენ და ამას გარდა, დროც მეტი მექნება, რომ ჟურნალისთვისაც ვიშრომო. ზოგი მეუბნება, დირექტორობა იკისრეო. ამორჩევები 30 აპრილს არის და არ ვიცი, როგორ გათავდება. ეს ადგილი რომ ავიღო, ზაფხულში შემეძლება ჩვენს მამულსაც მოვუარო; შეიძლება, საცა კი მოსახერხებელია, ხილის ბაღები და ვენახები გავაკეთოთ და უფრო გულდამშვიდებით შევხედოთ მომავალს.

შენ რას იტყვი ყველა ამ პლანებზედ?

თუ ასე მოვახერხეთ, რომ ზამთარში ქალაქში ვიცხოვრო, მე მგონი, სახლების მიმატება ჯერ-ჯეროზით საჭირო აღარ იყოს; ზაფხულისთვის ისიცა კმარა, რაცა გვაქვს და ჯერ-ჯეროზით სახლებისთვის გადადებული ფული, სჯობს, მამულს მოვახმაროთ, მით უფრო, რომ ეხლა სახლებისთვის ბევრი აღარა დამრჩარა. ხუთი თუმანი შენგან გამოტანილი ფულიდან დარიკოს წამლობას მოუნდა, ხუთიც დეიდამ გამომართვა, ზოგი კიდევ მე მომინდა; ასე რომ, სასოფლოთ ჯიბე კარგა შემისუსტდა. არ ვიცი, რას მოიწერები, ღვინოები ზოგი გავყიდო, თუ არა? მე მგონი, ეხლა კაი დროა გასაყიდათ. სხვა არა იყოსრა, ამ შემოდგომაზედაც რომ შარშანდელისთანა მოსავალი იყოს, ჭურჭელსაც კი ვეღარსად ვიშოვით.

ამ ორს სამს კვირეს აქ სოფელში დავყოფ და მერე ისევ ქალაქში უნდა ჩამოვიდე, რადგან ჩემგან გადმოთარგმნილს პიესასა სთამაშობენ და მთხოვენ, რომ ორს-სამს რეპეტიციაზედ მაინც დავესწრო. აგრეთვე ამორჩევა მოახლოვებული იქნება და შეიძლება გამოვიდეს რამე. გორში ჯერ ყველანი არ მინახვანან. აქაურს ამბავს თამარაშენიდან მოგწერ. ხვალ მივდივარ. საშინლათა ვწუხვარ, რომ დარიკო მარტო გავუშვი, მაგრამ დეიდა ხვალ უნდა ისევ უკან დაბრუნდეს (ამ დღეებში შაშა ავათ იყო და იმის სანახავათ წამოსულა ახალქალაქში). ეს არის კიდე კარგი, რომ ბერძენოვის ცოლი იქვე სდგას და ყურს უგდებს. მართლა, ძალიან მადლობელია შენი, რომ მაგის შვილს ეგრე ყურს უგდებ. ესტატე თურმე ძალიან ერთგულათ არის, მაგრამ წასვლას აპირობს. ვეცდები, რომ არ გავუშვა.

მოიწერე, შენი ჭირიმე, შენი ამბავი და აგრეთვე, მოხვალ ამ ზაფხულს თუ არა. წიგნი გორში მოიწერე ჩემს სახელობაზედა და აქედან მომივა, საცა ვიქნები.

შენი ძმა ვანო
[1879 წელი]

10

ნოემბრის 9. თბილისი.

ძმაო ვასო. შენი ორი წიგნი ზედიზედ მომივიდა და ამის გამოისობით ორივეს პასუხი ერთათ უნდა მოგწერო. რასაკვირველია, შეიძლებოდა ცალცალკეც, მაგრამ შენის წიგნების პასუხათ ბევრი არა მაქვსრა მოსაწერი. მართალია, შემდეგში კი ვეცდები, რომ შენი დაბარებული საქმეები როგორმე გავარიგო, მაგრამ ჯერჯეროზით კი არა გამირიგებიარა.

შენის წასვლის შემდეგ, მაშინვე წაველ სოფელში ერთის დღით, უმთავრესათ, ბუხრების დასათვალიერებლად. ბუხრები რიგიანათ გაუკეთებიათ და შინაც მითხრეს, კომლი არ გამოდისო, მაგრამ ერთს ბუხარში, ჩვენს ოთახში, ცოტაოდენათ მაინც გამოვიდა კომლი, მაგრამ, მგონია, ამითი არა უშავდესრა.

საბძელიც დაუწნავთ, მხოლოთ ზემოდან დახურვა აკლია; რადგან ეხლა წალამის შოვნა ძნელია, მე დავუბარე, რომ ეხლავე გასხლან ვენახი და ის წალამი დააფარონ. შემოდგომაზედ გასხვლა სრულებით არ აწყენს ვენახს. ბოსელსაც ეხლა თურმე აკეთებენ. ხილების ალაგიც დავუბარე, ამოეთხარათ, სადაც აკლია ბაღში, რომ საგაზაფხულოთ მზათ იყოს.

როდესაც კიდევ წავალ შინ, ვეცდები, რომ სხვაც გავარიგო რამე მამულების შესახებ. მე მხოლოთ ეს მიკვირს, რომ აგრე ადვილათ უცქერი შენ ამგვარი საქმეების შესრულებას. შენ თითონ გამოცდილი ხარ, როგორ ძნელია ჩვენებურებთან მამულებზე მორიგება, ერთი თვე მაინც უნდა გარს უარო და აბა, ორი სამი დღით რა გამოვა. კასრაძე კი თუ ჩავიგდე, იმედი მაქვს როგორმე გავუთავო საქმე.

გუშინ ზაქარა ჩამოვიდა აქა და თან რკინის გზით ცოტაოდენი ჭირნახული ჩამოიტანა. ეს უნდა გაჰყიდოს და რაც ფასი შემოვა, იმისი უნდა რაგინდარაები ვიყიდო საშინაოთ.

ახლა ზოგიერთს აქაურს ამბავს მოგწერ.

იმ დღეს ილია ჭავჭავაძესთან შეყრილობა იყო იმის თაობაზედ, რომ კავკასიაში გაიხსნას ლიტერატურული საზოგადოება იმ პირობებით, როგორც რუსეთშია, მაგრამ ამ საზოგადოების მოწინააღმდეგე უფრო ბევრი იყო, ვიდრე მომხრე და ამის გამო არა მოხერხდარა; მხოლოთ ერთი საქმე კი ხერხდება მგონი: დროებისა და ივერიის შეერთება, ისე რომ დროება გადიდდეს და ივერია კი სამს თვეში ერთხელ დიდ წიგნებათ გამოვიდეს. მე მგონია, რომ, როგორც სხვა და სხვა ჯურის ცხოველების შეერთებისაგან არა გამოვარა, ისე აქედან არა გამოვარა. მაინც ვნახოთ, რა იქნება.

გარდა ამისა, წერა-კითხვის საზოგადოებას უნდა ეხლა უფრო ცხარეთ მოჰკიდოს საქმეს ხელი და ჯერჯერობით ამ აზრით წიგნებისა და სხვა სწავლისთვის საჭირო საგნების მაღაზია გახსნას. ამისთვის საჭირო არის ზოგიერთი ცნობები, სხვათა შორის, პეტერბურგიდანაც და შენ შემოგეხვეწნენ, ეგება, ამისი გაგვიგო რამეაო.

აი, რა არის საჭირო:

მანდ არის ერთი კამპანია ფენუსი, რომელსაც სწავლისთვის საჭირო ნივთების გამოგზავნა შეუძლიან; მხოლოთ ეს უნდა ვიცოდეთ, რა პირობებით გამოგვიგზავნის ამ ნივთებს. ამას გარდა, ამ კამპანიას თავისი წესდება აქვს, რომელიც, კარგი იქნება, გამოგვიგზავნოს.

კიდევ არის მანდ ერთი Складъ педагогическаго музея военно-учебнаго заведеніи. ამ складъ-ის წესდებაც გვჭირდება. ერთის სიტყვით, ძლიერ დაგვავალებ, თუ ამ ცნობებს შეგვიკრეფ. მგონი, ძნელი არ იყოს, кажется въ соляномъ городкѣ всѣ же свѣдѣния можно будет собрать.

იმ დღეს ბანკში ვიყავ და ილიამ ხუთი მანათი მომცა. ვასოსი მემართა და თუ ღმერთი გწამს, შენ აიღეო; მეც, რასაკვირველია, ხელი გავუშვირე. მაგრამ ისიც დაუმატა: მისწერე, რომ მიმიციაო. შაქრო მაღალოვმაც შემოგითვალა, რა ჰქენ ჩემი საქმისა, გუვერნანტკას რომ დამპირდიო.

იმ დღეს ლირის წარმოდგენაზედ იყო ლაპარაკი. ჭავჭავაძემ უთხრა დიმ. ყიფიანს, კარგი იქნება, თქვენ იკისროთ ლირის თამაშობაო. იმანაც უარი არა სთქვა, ვნახავ, წავიკითხავ ხელმეორეთაო. პატარა ხანს უკან წიგნი მოგვივიდა, რომელშიაც ჯერ კი თარგმანს აქებს, ცამდინ აჰყავს, მაგრამ მერე კი ამბობს, მხოლოდ ერთი ნაკლულევანება აქვს, კილოო. თუ ნებას მომცემთ, რომ ლირის როლი მე თითონ გადავთარგმნო და ვითამაშოო, ხომ რა კარგი, თუ არა და ვერ ვითამაშებო. რასაკვირველია, ამის ნებას არავინ მიცემს. მაინც მე მგონია, რომ ლირი უთამაშებელი არ დარჩება ამ ზამთარს. იქნება, მინამდისინ შენც მოუსწრო, რა კარგი იქნება, მაგრამ ეცადე, რომ მოსვლა იყოს და აღარ წასვლა.

შადინოვს შენი წერილი გადავეცი.

ახლა იმედი მაქვს, მანდაურს ამბებს უფრო დაწვრილებით მოიწერები და იქნება, მაშინ მეც უფრო მეტი მოგწერო, იქნება, მანამდისინ შესანიშნავი მოხდეს რამე.

შენი ვანო

ჩემი ადრესი: Тифлись. Инспектору дворянской гимназий, такому то.

[1879 წელი]

11

16 დეკემბერს.

საყვარელო ძმაო ვასო. შენი მოწერილი წერილები თითქმის სამი ერთს დღეს მივიღე, რადგან ნანეიშვილს გზაზედ გაჩერება მოხდომოდა იმის გამო, რომ ის поезд-ი, რომელზედაც ეს მოდიოდა როსტოვიდან – ვლადიკავკაზში, რელსებიდან გადასულიყო და ორმოც კაცამდე ზოგი მომკვდარიყო, ზოგი დაჩეხილიყო. ამას კი არა დაშავებოდარა, მაგრამ ზოგი ამ მიზეზით, ზოგი ვლადიკავკაზსა და თბილისს შუა გზის შეკვრის გამო, ვლადიკავკაზში რამდენსამე დღეს დარჩენილიყო. რამწამს შენი წერილები მივიღე, მაშინვე დავაპირე პასუხის მოწერა, მაგრამ, მინდოდა, შენს კითხვაზედ პასუხი მომეცა და ამიტომ დღე-დღეზედ გადავდე პასუხი.

მეფე ლირი ეს სამი დღეა, რაც გამოგიგზავნე და შენგან გამოგზავნილი წიგნებიც უკლებლივ მივიღე. სწორე გითხრა, ძალიან შემაწუხა ივნათამოვის წერილმა. თუმცა, ბევრი არაფერი სოფლური საქმე შეუძლია, ხშირადაც ავადმყოფობს, მაგრამ იმისთვის, რასაც შენ იწერები, ძალიან გამოსადეგია. ეგ ამბავი პირველად შენის წერილიდამ შევიტყე. ამ შემოდგომაზედ, თუმცა გიგლა ჩამოვიდა, ზოგი რა ჩამოიტანა გასაყიდი, ზოგი რა, მაგრამ მაშინ ის ქალი ჩვენსა ყოფილიყო. ეხლა საშობაოდ სამი დღით ავალ შინ და ვეცდები, ყოველისფერი ჩავაგონო დედას, თუ ჩაიგონა.

გიგლას ჩამოტანილი ყველაფერი გავყიდეთ და ზოგიერთი შინისთვის საჭირო რაგინდარაც ვიყიდეთ, მაგრამ ხილის წაღება კი ვეღარ მოვასწარით, თოვლმა მოგვისწრო. ორმოები სულ თურმე ამოთხრილია, ასე რომ გაზაფხულზედ, რამწამს თოვლს აიღებს, წავაღებინებ და ჩავაყრევინებ. ამ ზამთარში უფროც განოყიერდება მიწა და ორმოებისთვისაც კარგია დიდხანს ეგრე ყოფნა. იქნება, ხილებმა უფრო იხეირონ.

ვასოჯან, იოთამ კობახიძის ცოლი ჩამოსულიყო ქალაქში და მომნახა თავის ქმრის საქმეზე, შემეხვეწა: შენი ჭირიმე, თქვენს ძმას შეატყობინეთ, რომ ჩვენი საქმე სინოდში არის გაგზავნილი აქაურის კანტორიდანაო და იმ საქმეს ყური უგდეო. მე ვუთხარი, ნომერი შეიტყვე მეთქი, მაგრამ ჯერ არ უთქვამსრა. საქმე იმაშია თურმე, რომ ორს კაცს უმოწმებია, ვითომ იოთამის მამა პეტრე თამაზის შვილი (თუ თამაზი პეტრესი) იყო და კანტორას ეპასუხებინა, ის მოწმეები მაშინ სულ სამი წლისა იქნებოდნენ და რა ეცოდინებათო. ეს ანგარიში იმ გლეხკაცების წლოვანებაზედ არის დამყარებული და ხომ იცით, რომ თავის დღეში გლეხკაცმა თავისი წლოვანება ნამდვილად არ იცისო. ერთის სიტყვით, ეს საქმე და ჩვენი საბუთებიც მანდ არის სინოდში გამოგზავნილიო.

ამას გარდა, ამ წიგნთან გიგზავნი ერთს ვექსილს და Доверенность-ს ერთი საწყალი კაცისას, რომელმაცა მთხოვა, ოღონდ თქვენმა ძმამ ეს ფული აიღოს და თუნდა ნახევარი იმის ჭირის სანაცვლო იყოსო. შენ იცი, როგორ მოექცევი ამ ვექსილს და რა პასუხსაც მოსწერ.

სანდრო ე-ს პენსიის ამბავს ამ დღეებში შევიტყობ და ყოვლისფერს მოგწერ.

დიმიტრი ფავლენიშვილზედ კი აი რა უნდა გითხრა. დღედღეზედ მოელიან круговая порука-ს და მაშინ შტატიც უნდა მოუმატოს, მხოლოდ მაშინ შეიძლება მაგის აქ დანიშვნა. მანამდისინ, კი შეუძლებელი იქნება, ჩემის აზრით, ადგილის შოვნა, რადგან ამ ბანკის ავან-ჩავანი ის მამაძაღლი სომეხია და უიმისოთ ილიაცა და სხვებიც, თითქმის ხელფეხშეკრულები იქნებიან. მაინც და მაინც, როცა კი სიტყვა მოიტანს, მაგ საგანზედ ილიას ლაპარაკს ჩამოვუგდებ და ყველაფერს შეგატყობინებ.

სერგეი მესხს ვუთხარი შენი საყვედურის შესახებ კორრესპონდენციის შემოკლებისა და ასე მგონია, დაცინვით უნდა ყოფილიყო, თორემ დროების კორრეკტურა საქებური არ არის. ეტყობა, ვერ გაუგია, თორემ დაცინვას ქებათ არ მიიღებდა. სწუხს, რომ აღარ უგზავნი და მე მაბრალებს, იქნებ შენ მისწერე რამე, არ მოუწონე და იმისთვის აღარ მიგზავნისო.

„ივერიის“ თაობაზედ ჯერ არას გეტყვი; გეტყვი მხოლოდ, რომ პირველი ნომერი პირველს იანვარს გამოვა და, რასაკვირველია, მაშინვე გამოგიგზავნი. ვნახოთ, რა აზრისა იქნები პირველს წიგნზედ.

მანდაურის თეატრის ამბავი მომწერე; აქ ასე ამბობენ, ამ წარმოდგენის შემოსავალი ახალს კასსას უნდა მოხმარდეს, რომელსაც ყველა კავკასიელი აფუძნებსო. სწორე გითხრა, ეს არაფერი სასიამოვნო ამბავია, მეტადრე თუ უწინდელს კასსის გადანარჩენიც მაგას შეუერთეს. შენ კარგათ იცი, რომ ქართველები ერთმანეთში ძლივსა რიგდებიან და ქართველ-სომეხ-რუსი როგორ მორიგდებიან. მაგრამ, რათა, მორიგებით მორიგდებიან, მაგრამ ფულს სომხები ჩაიგდებენ ხელში და ქართველები კი პირში ჩალა-გამოვლებულები დარჩებიან. ბერი, ბევრი ხანი იცოცხლოს მაგ ახალმა კასსამ, ექვს თვეზე მეტს ვერ გასტანს.

ფილოქსერას თაობაზედ ბევრი აყალ-მაყალი ასტეხეს აქა და გაათავეს იმით, რომ მთავრობასთან იშუამდგომლონ; არაფერი არა შემოატანინოსა ხილეული კავკასიაში და ქართულ-სომხურს ენაზედ ბროშიურები დაბეჭდონ.

ილიამ და დათიკო ერისთავმა სიყვარულით მოგიკითხეს. ამათაც და შაქრო მაღალოვსაც გადავეცი, რასაცა მწერდი.

ამ წერილთან გიგზავნი ერთს კორრესპონდენციას – ძალიან მოხარული ვიქნები, თუ გამოდნა რამე, მშვიდობით ნახვამდის.

შენი ვანო
[1879 წელი]

12

28 იანვარი. თბილისი.

საყვარელო ძმაო ვასო. მართალია, მემძიმებოდა კიდევ შკოლის თავის დანებებაზედ გამოლაპარაკება შენთან, მაგრამ შენგან ისეთი მეგობრული და ძმური წიგნი მომივიდა, რომ ძნელია, ამ საგანზედ პასუხი არ გაგცე.

ზოგიერთი მიზეზი, რომლითაც მე შკოლას თავი დამანებებინეს, წინდაწინვე მოგწერე, ეხლა კიდევ ერთს უმთავრესს მოგწერ. რასაკვირველია, კაცმა საქმე თავის ხასიათის შესაფერი უნდა აირჩიოს. მე როდესაც შკოლაში თანამდებობა ავიღე, არ ვიცოდი, გადაწყვეტილი რა საქმე მექნებდა და რა პასუხის-გება. ეს მე არც არავინ მითხრა. მას უკან გამოჩნდა, რომ შკოლის პასუხის-მგებელი სრულებით მე ვიყავი, ასე რომ, პაჟარი მომხდარიყო, ან ბავშვი ავათ გამხდარიყო, ყველაფერი მე დამაწვებოდა კისერზედ. ერთს საღამოზედ ისეთი შემეშინდა, რომ ჩემს დღეში ისეთი შიში არ გამომივლია. ჩემს ოთახში ვიჯექ და უცებ რაღაც ჟღავილ-ჟღუვილი მომესმა. გაველ კარში, ვნახე მთელი ხროვა ბავშვებისა ამოსულიყო, ყველანი ერთბაშათ რაღაცას მეუბნებოდნენ. ზოგი ტიროდა, ზოგს შიშით ნაცრისფერი დასდებოდა. ძლივს-ძლივობით მივხვდი, რომ ლამპა ჩამოვარდაო. ჩავედი მაშინვე ძირს, გამოჩნდა, რომ ბავშვებს თამაშის დროს ლამპისთვის პალტო მოერტყათ და ძირს ჩამოეგდოთ, კეროსინი პოლს მოსდებოდა. შენი მტერი, ყოჩაღად რომ არ მოვქცეულიყავით, ვინ იცის, იქნება სულაც გადავმწვარიყავით.

გარდა ამისა, ზოგიერთი წევრი კომიტეტისა ისე გამოტვინული იყო, რომ წარმოდგენილი ჰქონდა, შკოლაში ბავშვი ავათ არ უნდა გახდესო.

სანამ მე შკოლაში ვიყავ, თითქმის არავინ არ გამხდარა ავათ. თუმცა, მთელს ქალაქში სხვა და სხვა მოარული ავათმყოფობები დადიოდა. ბოლოს ერთი ბავშვი გაჰხდა ავათ. ზოგს ეგონა, სახადი არისო. მობრძანდა ცხვედაძე და მეუბნება – ეხლა რომ მაგას სახადი გამოაჩნდეს, მთელი ქალაქი ჩვენზედ დაიწყებს ყაყანსო. ერთის მხრით გამეცინა, და მეორის მხრით გული მომიყვანა ამ სულელურმა შენიშვნამ და ვუპასუხე, მაშ, ღმერთმა ნუ ჰქნას, შკოლაში ბავშვი რომ მოკვდეს, მე კაცის მკვლელათ უნდა გამოვიდე მეთქი.

ეს პასუხისმგებლობა სრულებით მოსვენებას არ მაძლევდა. ჩემს ოთახში რომ ვიჯექ და ვკითხულობდი რასმეს, თავიდან არ გამომდიოდა შიში, რომ შეიძლება, აი ეხლა უსიამოვნო ამბავი მოხდეს რამე მეთქი. დაუმატე ამას ის, რომ ჩემს გარშემო ყოველთვის ჟღავილ-ჟღუვილი იყო და წარმოიდგინე, ადვილი გასაძლისი იყო თუ არა ჩემთვის შკოლა. რაც იქ ვიყავ, ერთი წიგნი არ წამიკითხავს; დრო, მართალია, ბევრი მქონდა, მაგრამ ორი საათი სრულებით თავისუფალი დრო მერჩივნა მთელი დღე ისე წვალებაში გატარებას.

რაც შეეხება შენს შიშს, რომ ამ ჩემს ნაბიჯს ცუდი ზემოქმედება ექნება ჩემს მომავალზედ, ეგ შიში ტყუილი შიშია. დავიჯერო, გამკიცხავს ვინმე იმისთვის, რომ ჩემთვის შეუფერებელ საქმეს თავი დავანებე?

ახლა, ვასოჯან, რაღას გეხვეწო, რომ იმ მოწმობის გამოგზავნა დააჩქარო, რომელზედაც მე გწერდი.

სავანელმა მთხოვა შემოგითვალო, რომ შენს მიღებას „В займный кредит“-ში დაბრკოლება არაფერი ექნებაო. შაქრო მაღალოვი კიდევ შემოგეხვეწა, რომ ეგება გუვერნანტკა მიშოვნოო; ოთხმოც თუმნამდინ მივცემ, თუ ფრანცუჟანკა იქნება და მუზიკაც ეცოდინებაო.

შინიდან მშვიდობის ამბავი მომდის, მხოლოთ იწერებიან დაკირულის ტყეს სჩეხენ თამარაშენელებიო. მე მივწერე შინ, რომ დაკირულელები ძალიან გააფრთხილონ და როცა შინ მომიხდება მისვლა, მე თვითონ დავათვალიერებ.

ცხინვალსა და გორს შუა დილიჟანსი დადის ყოველდღე, კაცის თავზედა მანეთნახევარს იღებენ; ამას გარდა, ამ დილიჟანსის პატრონებს: ლუარსაბ და მიხაკო ერისთავს და კოლა ფავლენოვს მთავრობამ დაუნიშნა თურმე ორმოცდაათი თუმანი სუბსიდია, ოღონდ ფოშტა ატარეთო; ასე რომ, ზაფხულში შეგვიძლიან გაზეთები და წერილები თავ-თავის დროზედ მივიღოთ. დროება მოგდის თუ არა?

საწყალი მიხაკო მაჩაბელი მომკვდარა.

შენი ვანო
[1880 წელი]

13

თბილისი. 20 თებერვალი.

საყვარელო ძმაო ვასო. სულითა და გულით მადლობელი ვარ, რომ აგრე მალე შემისრულე ჩემი თხოვნა, მოწმობის გამოგზავნის თავობაზედ, მაგრამ ვწუხვარ, რომ მეც ეგრე ადვილათ ვერ გისრულებ შენს თხოვნას. აი, მაგ., ეხლა მწერ, შინაური ამბები მომწერეო და მეც მინდა, რასაკვირველია, შეგატყობინო, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროთ, ჯერ დაწვრილებით ვერას მოგწერ. ამას წინათ მომივიდა მხოლოთ შინიდამ წიგნი – ზურაბის შვილები წაუძღვნენ თამარაშნელებს და დაკიბულას აჩეხინებენო. დაკიბულელები ჩამოვიდნენო

და გვეუბნებიან, თქვენს ტყეს უპატრონეთი. ამასთანავე მომივიდა ამბავი, რომ დედაჩემი ჩასულიყო ცხინვალს და ეჩივლა ბიძაჩემის, ალექსანდრეს ჩაგონებით (იმ დროს ალექსანდრე იქა ყოფილიყო). მე ეს ამბავი, ერთი მხრით, საშინლათ მეწყინა, რომ იმ მხეცებისაგან ყოველთვის უსიამოვნობა უნდა გვქონდეს, მაგრამ, მეორეს მხრით, მიამა, რომ დედაჩემს იმოდენა ფხა გამოუჩენია. სამწუხაროთ, მე მაშინ შინ წასვლა არ შემეძლო და ხიზანოვს მივწერე, თუ ძმობა გწამს, დედაჩემს დარიგება მიეც, როგორ უნდა მოიქცეს მეთქი. მეც საყველიეროთ ორი-სამი დღით უეჭველათ წავალ და ყველაფერს შევიტყობ და მოგწერ. მინამდისინ ეს მოკლე ამბავი იკმარე. იმ დღეს მითხრეს კიდევ, რომ ეხლა გაჩეხას თავი დაანებეს, მხოლოთ მარტო თვითონ ზურაბის შვილები დადიან ხანდისხანაო.

აბესალომ ეხლა აქ არის და გაგნიძის მამულის თაობაზედა მქონდა ლაპარაკი. აქ მითხრა, რა ვქნა, მე კი მეძნელება მამულის გამორთმევა, თუ გინდათ, გაგნიძეს სხვა თავის ბადალს გლეხკაცში გაგიცვლით და მერე თქვენ იცით და გაგნიძემაო. მგონია, ამ ზაფხულში შეიძლება ამ საქმის როგორმე გათავება.

იასეც აქ არის, ტიტიკოს თაობაზედ ჩამოსულა, რადგან მოწერილობა მოსვლია აქაურს მთავრობას პეტერბურგიდამ, სადაც გერჩიოთ, იქ გაგზავნეთო.

დედას ამბავი ხშირათ მომდის ხოლმე. მართალია, მარტოობას იწერება, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ზაქარა ფანჩურიძემ თავის გოგო ჩამომგვარა და ეხლა აღარა მიჭირსრაო. გოგო ძალიან კარგიაო. ამასთანავე ზაქარას ბარათი მომივიდა; ვიღასთვისაც დაებღაჯნებინა. კარგათ კი ვერ გავიგე, მაგრამ, მგონია, იმ ბარათით დათხოვნასა მთხოვდა, რადგან შინ არავინა მყავს და ცოლის შერთვას ვაპირებო. ეხლა შინ რომ წავალ, ამასაც შევიტყობ.

რამდენიმე დღის წინეთ ჩემგან ტელეგრამმა მოგივიდოდა და გაგიკვირდებოდა. იმ ტელეგრამმაში გთხოვდი ერთის კანტორის წესდების გამოგზავნას. უნდა გითხრა, მართალია, ჩემი გვარი ეწერა, მაგრამ ის ტელეგრამმა ჩოლოყაშვილისა იყო (დირექტორისა); იმანა მთხოვა, თქვენს სახელზედ მივწერ, უფრო გამოგზავნისო. ამას გარდა, ჩოლოყაშვილმა გთხოვა, ავალიშვილმა რომ ფურცლები გადმოგცა, თუ აღარ გჭირდება, გამომიგზავნე, უნდა წიგნათ შევაკვრევინოო.

სავანელმა შემოგითვალა აგრეთვე, რომ „взаймный кредит“-ში უეჭველათ წევრათ მიგიღებენო; საქმე სრულებით საქმეზედ არის მოყვანილიო.

შაქრო მაღალოვი შემოგეხვეწა, გეთაყვა, ეგებ შენგან დაპირებული გუვერნანტკა მიშოვნოო.

იწერები, ვასოჯან, თუ დირექტორათ ამოგირჩევენ, მე აღარ ვინდომებო. ყველაფერი შეიტყვე და მომწერე ამ საქმეზედაო. შენგან არ მიკვირს, როგორ უნდა შევიტყო წინდაწინ ამისთანა საქმე, ჩვენში ბოლომდის ერთი პირი არავისა აქვს. აი, თუნდა შენგან მოწერილი მაგალითი ავიღოთ: იწერები, ავალოვმა მითხრა, აქამდისინ გვინდოდა ამორჩევა, მაგრამ რაკი ფიცხი ყოფილა, ველარ ამოვარჩევთო, ილიაც ამ აზრისააო. უნდა გითხრა, რომ შემდეგ ავალოვის მანდ წამოსვლისა, ილიამ მითხრა, მოდი, ჩვენს ბანკში კასირათ შემოდი; ხომ უნდა მაინც, ერთხელაც არის, ამ ბანკს მოჰკიდო ხელი, ჩვენ ხომ უკვდავები, ან გამოუცვლელები არა ვართო; აი, ამ ზაფხულს ჩოლოყაშვილიც გადისო. სჩანს, რომ ან ერთი უნდა ტყუოდეს, ან მეორე, ან ილია, ან ავალოვი. მე მგონია, ის უკეთესი იქნება, რომ მე გზა არ შეგიშალო, მით უფრო, რომ შენთვის ამ ალაგის მიღება ძალიან ადვილი იქნება. ამიტომ დიდი შეცდომა იქნება შენის მხრივ, რომ ამორჩევის წინეთ არ მოხვიდე. თუნდა დაგიგვიანდეს კიდეც, მაინც მე ვერ გავბედავ, თუ ჭავჭავაძე თითონვე არ ჩამომიგდებს სიტყვას და არ მოიწონებს ამ აზრსა.



ივანე მაჩაბელი (დგას პირველი), მამა – გიორგი მაჩაბელი (დგას მეორე), დედა – ნატალია ერივანცევა-მაჩაბელი (ზის მესამე), ბიძა – იასე მაჩაბელი (ზის მეხუთე), და – დარიკო მაჩაბელი (ზის მეექვსე)

1860-იანი წლები

იმ დღეს რედაქციაში აკაკი წერეთელი ვნახე. გამიხმო და მითხრა: სწორეთ მითხარ, გინდა დირექტორობა თუ არაო. მე ეს კითხვა გავიკვირვე და ვუთხარ, მე მაგაზედ არცკი მიფიქრია მეთქი; მაშ, რატომ არ მისწერ ვასოს, მოვიდესო. იმას ორი რამ უნდა გულით: ერთი დირექტორობა და მეორე ერთი ქალის შერთვაო (მითომ არ ვიცოდე). მისწერე მოვიდეს, ორივეში გაიმარჯვებსო. ველი შენს პასუხს; შემატყობინე, თუ შეიძლო, გადაწყვეტით, როდის მოხვალ.

შენი ვანო
[1880 წელი]

14

თბილისი. 10 მარტს.

ძმაო ვასო.

ეს ორი დღე არის, რაც შინიდან ჩამოველ საშინელს თოვლში და ქარბუქში. ამისთანა ზამთარი არავის არ ახსოვს. შინ ორი დღით მომიხდა წასვლა და უეჭველათ დიდმარხვის ორშაბათს ქალაქს უნდა ჩამოვსულიყავ. პირველში ძალიან მეშინოდა მომწყვდევისა, მაგრამ ღმერთმა უშველოთ, რომ ცხინვალსა და გორს შუა სამუდამო დილიჟანსი გაუმართავთ. თუმცა, საძაგელი თოვლი იყო, ასე რომ სურამის ქედზედ ვაგონები აღარ მუშაობდნენ, მაგრამ დილიჟანსი კი მაინც დადიოდა. ასე რომ, ვადაზედ ავედი ცხინვალს და ვადაზედ ჩამოვედი გორსა. ეს დილიჟანსი რომ არა ყოფილიყო, შენი მტერი, მგონი, ხუთ თუმნათ ვერ ავიდოდი და ვერ ჩამოვიდოდი. ჩვენსკენ არშინნახევარი იდო, მეტი. მგონია, ამ ერთს თვეზედ მუშაობა არ გავიდეს.

როგორცა გწერდი, დაკიბულას ტყე კარგა მანძილზედ გაუჩეხიათ თამარაშენელებს ზურაბის შვილებისა და შაქროს ხელმძღვანელობით. ოსები ასე მეუბნებიან – ექვს წე-

ლიწადს მაინც არ უნდა ეხლოს ხელი, რომ კარგი ტყე გაშენდესო. ამ საქმის თაობაზედ ორჯერ მომიხდა თოვლში ცხინვალში ჩასვლა (ცხენი ძლივს მუშაობს) ქვევითი და ოცამდინ Заявленіе დავწერე ყველაზედ სათითაოთ, შიგ წინახედიცა მაქვს მოხსენებული. ხიზანოვმა მითხრა, როცა გინდა, დავანიშვნინებო, მაგრამ ზაფხულში კი ემჯობინება, მაშინ შეგვიძლია, ადგილობრივვე გავშინჯოთო. ამ ზაფხულს თუ არ მოხვედი და ჩვენს მამულს არ მოვუარეთ რიგიანათ, არ შეიძლება. კარგი იქნება, ყველგან დავათვალიეროთ, სამზღვრები გავშინჯოთ და ავწეროთ.

დედაჩემი, მართალია, მარტოკაა, მაგრამ ძალიან ყოჩაღათა და მხიარულათ დამიხვდა. ზაქარა ფანჩურიძეს თავისი ქალი მოუყვანია და დედაჩემი აქებს, ძალიან კარგი გოგოაო. ამას გარდა, იასესთან ძალიან კარგათ არის და თითქოს ყოველდღე დადის იმათთან. ბიჭები შემოდგომაზედ კარგად გარჯილან, ნახევარზე მეტი ვენახი გაუსხლავთ და ეს გაზაფხულზე ძალიან წინ წააგდებს საქმეს. საბძელიც სრულებით გაუკეთებიათ, მხოლოდ დახურვაღა აკლია წალმით, რადგან წალამი არა ჰქონიათ სამყოფი. ამ გაზაფხულზე, მგონია, სულ დახურონ.

ბაიბუხაშვილისეული ვენახიც შემოდგომაზედ ღვთისოს მივეცი სიტყვით, მაგრამ საწყალი მომკვდარა და ძმისწული მეუბნება, მაინც ნუ გამოგვწირავთო, ჩემს ბიძაშვილებს მოვიშველიებ და იმედი მაქვს, სხვებზედ უკეთესად შევიმუშავოო; წრეულსა გვაცადეთ და თუ კარგათ მოვუარეთ, ნუღარ გამოგვართმევთო. მე სიტყვით ვერ ვენდე და ამ თოვლში ვენახის დათვალიერებაც ძნელი იყო. ამის გამოისობით ზაქარას მივანდე, გაზაფხულზედ შენც დაათვალიერე, ნამყენები დათვალეთ და ვინც იმ პირობებით აიღებს, როგორც სომხები აძლევენ, იმას მიეცი ერთის წლითა მეთქი. ამას გარდა, ყური მიგდე, ისე არ მოიქცნენ და არ გასხლან, რომ პირველს წელიწადში კარგი მოსავალი მოვიდეს და შემდეგში კი გლახა მეთქი. ამას გარდა, მგონია, აღდგომამდინ ვერ დაიწყონ ვენახებში მუშაობა და საალმდგომოთ მეც მივალ შინ. დავუგდე კიდევ ამბავი, რომ გაზაფხულზედ უეჭველათ გადმოიტანონ სულხანოვისაგან სამზღვარ-გარეთული ხილი და დანიშნულს ალაგს დარგონ პატარა ბაღში; დიდ ბაღში კი, სადაც აკლია, ტყის ხილი ჩარგონ. იმედი მაქვს, ამას სუყოველისფერს გააკეთებენ. ამას გარდა მინდა, თუ მოვახერხე, ატენიდან, შაქრო ერისთავის ვენახიდან წავაღებინო რქები და ვენახში რომ თავისუფალი ალაგი არის, იქ ჩავაყრევინო.

ახლა, ვასოჯან, რატომ გადაწყვეტილს არა მწერ, როდის მოგიხდება აქ მოსვლა. ჩემის აზრით, უეჭველათ ამორჩევების დროს პირველის მაისისთვის აქ უნდა იყო. ძალიან კარგი იქნება დირექტორობაზედ იყარო კენჭი, მგონია, უსათუოთ ამოგირჩევენ.

სანდრო ერისთავის ფულები ავიღე იმავე დღესვე პრიკაზიდან და ოცდაერთი თუმანი მინდოდა იმავე დღესვე გამომეგზავნა (სულ ორმოცდაერთი თუმანი ავიღე, რადგან 1878 არ მომცეს, კნიჟკა წაღებული აქვსო და მომცეს მხოლოთ 1879 წლისა და 1880 იანვრისა). კნიჟკა ამ წლისა მე აქა მაქვს შენახული და ფულიც, რადგან შენ წიგნში მწერდი, როცა მოვა მანდ, მაშინ მიეციო.

მე ეხლა ერთი ოთახი მიჭირავს კუკიაში და იქა ვდგავარ, ორს თუმანს ვაძლევ თვეში. მებელი სულ ხელუხლებათა მაქვს შენახული, არაფერი არა გამიყიდნიარა. თამარ მეფის პორტრეთიც უვნებელათა მაქვს შენახული (როინოვს ლაქი წავასმევინე).

ჯერ იანოვსკისთან არა ვყოფილვარ, რადგან აქ არ იყო და ამ დღეებში მივალ, როცა მოგზაურობიდან დაბრუნდება.

ამ ჩოლოყაშვილმა გამიჭირა თხოვნებით საქმე და არ ვიცი, შენ როგორ მოიქცევოდი,

ჩემს ყოფაში რომ ყოფილიყავი. ჩემთვის რომ ეთხოვნა და მე შემძლებიყო გაკეთება, მაშინ არაფერი, მაგრამ შენი შეწუხება და დროს დაკარგვინება კი მეზარება.

აი, მაგ., ეხლაცა მთხოვა, ესა და ეს მისწერეო: რომ სთხოვოს კიდევ იმ კანტორაში თავიანთი პროგრამმა დაწვრილებით გამოგზავნონო, მაგ., ის პირობები, რა პირობებითაც შეუძლიანთ უცხო პირთ, ფული შეიტანონო. თუ უარი სთქვან, შეიძლება უპასუხოო, რომ ეგ საიდუმლოება არ შეიძლება იყოს, რადგან არავინ არ შეიტანს ფულს, თუ არ ეცოდინება, რა პირობებით შეაქვს ფულიო.

გთხოვა აგრეთვე, გამოუგზავნო ის „печатные листки“, რომელიც ავალოვს შენთვის მანდ გამოუგზავნია. ამას გარდა, თუ შეიძლება, ერთ-ერთ ბუკინისტს შეუკვეთე, იშოვნოს ეს წიგნიო: Озогловлено кажется: „История Россіиской внѣшной торговли до 1858 г.“, издано въ 1859 г. А. Семеновымъ. ერთი-ორათ მეტი მიეცი და გამოგზავნე კიო.

ჩემის მხრივ, მეც ერთი რამ უნდა გთხოვო:

თუ არ დაგზარდება „ფენუს კამპანიის“ მმართველსა ჰკითხე, ჩვენმა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, ვთქვათ, ასი, ან ორასი თუმანი რომ შეიტანოს მაგ კამპანიაში, რამდენს ასის თუმნის საქონელს (წიგნებს და სხვ.) ანდობენ კომმისიით; ე. ი. რომ ჩვენს მაღაზიაში დავაწყოთ და გაყიდვის უმალვე ფული წარვუდგინოთ ჩვეულებრივის კომმისიის ფასით გადმორიცხვის შემდეგ. ჯერ, მართალია, მაღაზია არ გაგვიხსნია, მაგრამ როცა მაგ ცნობებს სხვა და სხვა ქალაქებიდან შევიტყობთ, გავხსნით. იმედი მაქვს, არ დამზარდები და მალე შემატყობინებ.

მწერ, „დროებაში“ რა პირობით მუშაობო. უნდა გითხრა, მე პირობები არა დამიდვიარა, მხოლოდ ჭავჭავაძემა მთხოვა და მეც ხათრი არ გავუტეხე, ამას გარდა ჯერ პირობების მიცემა არას ეგვანებოდა. ჯერ უნდა საჭირო გაუხადო შენი თავი და თუ გაგიჭირდა, მაშინ შეიძლება პირობებიც დაუდო.

აქაური ახალი ამბავი ეს არის: ნიკოლაძემა ჭავჭავაძეს ცოტაოდენათ გადაკრა „Обзор“-ში, რატომ ხმას არ იღებს ჩემს ლაპარაკზედაო. ჭავჭავაძე გაცხარებულიყო და ეს დიდი შეცდომა მოსვლოდა: ნიკოლაძე დუელში გამოეთხოვა. ამოერჩიათ სეკუნდანტები: ჭავჭავაძეს – შალიკოვი და კოლა ერისთავი და ნიკოლაძეს – სიმბორსკი და გურამოვი. წასულიყვნენ თეთრ დუქნებთან და იქ შერიგებულიყვნენ. არავინ იცის, რა პირობებით, მალვენ. ჭავჭავაძე კი ამბობს: დოკუმენტი მაქვს ხელში, რომლის ძალითაც იმას ლაგამი ამოვდეო.

თეატრის კომიტეტსა და აკტიორებს შუა ცოტა განხეთქილება მოხდა იმერული ინტრიგების წყალობით, მაგრამ ეხლა საქმე სრულებით კარგათ არის. ქართული წარმოდგენები ძალიან კარგათ მიდიან. ამ ათ დღეზედ ზალიკოს ბენეფისია.

შენი უსიამოვნო ვანო
[1880 წელი]

15

27 მარტს.

ძვირფასო ძმაო ვასო. გუშინ მომივიდა შენი უკანასკნელი წიგნი, რომელშიაც საყვედურსა მწერ, რატომ სანდრო ერისთავის ფულისა არაფერი შემატყობინეო. მიკვირს, აქამდინ ჩემი წიგნი არ მოგსვლია, რომელშიაც გატყობინებდი ამ საქმეს. იქნება, ის წიგნი დაიკარგა სადმე და ამიტომ ხელმეორეთ გიმეორებ: 1878 წლის პენსია არ მომცეს,

კნიჟკა წაღებული აქვსო; 1879 წლის და 1880 იანვრისა მომცეს ორმოცდაერთი თუმანი, რომლიდანაც ოცდაერთის თუმნის გამოგზავნას მეორე დღესვე ვაპირებდი, მაგრამ შენმა წერილმა მომისწრო, რომელშიაც მწერდი, მანდ შეინახეო. ახლა ეს ფული აქა მაქვს შენახული და როდესაც კი სანდრო აქ მოვა, ჩავაბარებ ფულსაცა და კნიჟკასაც.

ერთის მხრით, მიამა, რომ კვარტირა აგიღია, მაგრამ იმისიც მეშინიან, ვაი თუ მაგან უფრო გული დაგამყარებინოს მანდა და შენი გადმოსახლება კიდევ გადასდო. შენი ქუთაისის ბანკის აგენტათ ამორჩევა აქვე ვიცოდი, ნიკო ღოღობერიძემ მითხრა.

ახლა, ვასოჯან, ორიოდე სიტყვა მაქვს შენთან მოსაწერათ მონდობილი.

პირველი ესა, რომ ლევანმა გთხოვა, ერთი კარგი ანგლიური უნაგირი იყიდე და როცა წამოხვიდე, თან წამოიღეო და ბეღელის ფასი აღარ მინდა, შიგ გაგიბრიო.

მეორეც ესა, საწყალი ივანე მღვდლის შვილი ჩამოვიდა და შემომჩივლა, ნოზაძემ წისქვილის საქმე მოიგოო და შტრაფიც დაგვაწერესო. ახლა აპელაცია გადავიტანეთ „Окружной судъ“-ში და აბა, მისწერეთ, რას გვირჩევს, როგორ უნდა მოვიქცეთო.

ჩოლოყაშვილის დირექტორობის თავის დანებებაზე აღარაფერი არა ისმისრა. თითონაც გაყუჩებულია, ეტყობა, რომ აღარ აპირებს გასვლას. ასე ამბობენ, ბანკირის კანტორის გახსნას რომ აპირებდა, ველარ ახერხებსო.

თუ ეს მართლა ასე მოხდა, იმედი ბანკისა ჯერჯერობით სრულებით აღარ არის: ჩოლოყაშვილს მხოლოთ მერმის უთავდება დირექტორობის ვადა და წრეულს ავალოვს და მგონია, ავალოვს არას გზით არ გამოსცვლიან.

შინაური ამბავი, რაც ვიცოდი, წინა წიგნში მოგწერე. ამ ზაფხულში, როცა შინ ავალ, მინდა, ჩვენი მამულები სულერთიანათ დავათვალიერო და სამზღვრები ჩავწერო. თუ შენც მოხვალ მანამდისინ, ხომ რა კარგი, თუ არა და მე მაინც ვეცდები.

იწერები, ვანო მაჩაბელს გამოჰკითხე საერთო მამულებისაო. შენგან არ მიკვირს, ვანო მაჩაბელს კაცი როგორ ენდობა; იმას ის უნდა, რომ გაუყრელები დავრჩეთ და თითონ იპარპაშოს.

შენი ვანო
[1880 წელი]

16

თბილისი. 21 აპრილს.

ძვირფასო ძმაო ვასო. ძლივს-ძლივობით მოვახერხე შინ ასვლა. ჯერ იყო და იმისთანა ზამთარმა საქმე გაგვიჭირა და რამდენჯერმე შეჰკრა გზა გორსა და ცხინვალს შუა; რაკი გამოზაფხულდა, ახლა დიდწყლობამ წაიღო ილაჯი: გორში ხიდი მტკვარმა მოიტაცა, პატარა ლიახვიც ჩვეულებრივ მოდიდდა, მაგრამ, რაკი მოვიცალე, აღარც ერთს მივხედე, აღარც მეორეს, გორში ნავტიკით გავედი, პატარა ლიახვზე ურმით და როგორც იყო, შინამდის მივაღწიე. ვეცდები, როგორც კი შევიძლებ, შინაური ამბავი დაწვრილებით მოგწერო.

აი, იმ ორის ვენახის თავობაზედ რა შევიტყვე: გაბრიელა ურია, რომელსაც ლიახვის მხრივ აქვს ვენახი, ორმოცდაათ თუმნად ჰყიდის. მეორე ამას წინადა ჰყიდდა ოთხმოც თუმნადა; მაგრამ ეხლა თურმე აღარ აპირებს გაყიდვას. მე მგონი, რომ ორნივ დიდის სიამოვნებით გაჰყიდიან, მხოლოდ სხვანაირად უნდა მოექცეს კაცი, ე, ი. ვაჭრულად. პირდაპირ ლაპარაკი ჩვენებურ აღებმიცემაში შეუძლებელია და კილო-კავად ლაპარაკისთვის დროც უნდა და მოხერხებაც. რასაკვირველია, თუ გულით მოინდომებ, შეიძლება, ამ

ვენახების შეძენა, მხოლოდ ზაფხულამდის არა იქნება-რა. მიტო ამბობს, კარგი იქნება, რომ ჯერ ის ოთხმოცთუმნიანი ვენახი იყიდოთ და მასუკან მეორესაც ადვილად გაიმეტებსო. ჩემის აზრით, თუ ორივეს ყიდვა ერთსა და იმავე დღეს არ მოხერხდა, მასუკან გაძნელდება, მაგრამ შენ იცი, როგორც სამჯობინაროდ დაინახავ. ამას გარდა, მგონი, აქ ყოფნის დროსაც გითხარი, რომ წვრილ-წვრილ მამულების შესყიდვა, ცალ-ცალკე ძნელია, რადგან მოვლა გაჭირდება. იქნება სთქვა, რომ რაკი ვენახი მექნება, სანახევროდ მივცემო; მაგრამ სანახევროდ მიცემულს ვენახსაც დიდი დევნა უნდა, მეტადრე რთველის დროს, როდესაც კაცი თითქმის რამდენსამე ნაჭრად უნდა გაიჭრას, რომ ყველგან თვალყური ადევნოს.

რაკი მამულებზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, ერთს უფრო საჭირო ამბავს კიდევ მოგწერ: საწყალი ილიკო კასრაძე რომ იყო, იმის ნაჭერ მამულებსა ჰყიდიან, რომელიც ჩვენს მამულს ზედ აკრავს და აი, ეს კი, მგონი, ხელიდამ გასაშვები არ არის. მაგრამ, მგონი, ძვირად კი აფასებენ ძალიან. მე მითხრეს და მეც ასე ვუთხარი, რომ შენს მოსვლამდე მოეცადნათ და დავარწმუნე კიდეც: თუ გაყიდვა უნდათ, შენზედ მეტს არავინ მისცემდა. მე იმედი მაქვს, მაისის გასულამდე მოხვიდე და მინამდის ესენიც მოიცდიან.

შინაური ამბავი ეს არის: გიორგი თუმცა ცდილობს, ყველა საქმე კარგად წაიყვანოს, მაგრამ საწყალი, ყველგან ვერა სწვდება; ჯერ მამასახლისობიდგან კიდე არ დაუთხოვიათ, რადგან იმის შემდეგ ამორჩეული მამასახლისი ჯერ წარდგენილია გუბერნატორთან სხვა მამასახლისებთან ერთად და მალე დაამტკიცებენ. მასუკან, იმედია, უფრო კარგად მოუვლის იქაურობას; ჯერაც კი არაფერს აშავებს; დედაც ძალიან მადლობელია იმისი და ეს მართლა რომ კაი ნიშანია.

თივის დაწვაზედ საქმეა შემდგარი: ლექსო კობერიძეს აბრალებენ და საბუთებიც არის, მაგრამ ზოგი ზურაბის შვილს, კოლას აბრალებს, მთვრალი მოდიოდა და პაპიროზი გადააგდოო. სწორე გითხრა, საციმბიროთ არ არის დასაზოგი, ვინც ეს საქმე ჰქნა, მაგრამ ძნელი ეს არის, ვიდრე არ დარწმუნდება კაცი, ვინ არის დამნაშავე, გამომეტება ძნელია.

წრევანდელს სიცივეს ვენახები დაუზიანებია, ბევრი ვაზი გაუხმია, მაგრამ ხეხილი კი სულ კარგად არის. ვაზის მოშენება უფრო ადვილია, სხვათა შორის, დავუბარე, რომ წრეულს უეჭველად ვაზი ჩაჰყარონ ვენახში, სადაც ცარიელი ადგილი იყო. ბაღი ეხლა სრულებით ნამყენებით სავსეა და ჩინებული სანახავიც არის. გიორგი გზებსაც აკეთებს და ამიტომ იმ ქვის გამოტანას აპირებს, რომელიც კარებთან უშნოდა ჰყრია. მე ვურჩიე, რომ ის ქვა იქ გაეტანა, სადაც კობერიძიანი იდგნენ. იქ წრეულს უეჭველად ბოსელი უნდა დავდგათ, თორემ საქონლისთვის ადგილი აღარა გვაქვს და ორი სტუმარი რომ მოვიდეს, ცხენს ვერსად დავაბმევინებთ. ამისთვის გიორგის ვუთხარი, შეიტყოს, კირს როგორ დასწვამენ დამპალეთში. თუ იქ მოვახერხეთ კირის დაწვა, სახლებსაც გამოადგებათ. საქონელი სულ კარგათ არის, მხოლოდ ორი ხბო ავად გამხდარიყო და დაეკლათ.

აქაური ამბავი (ქალაქური) ეს არის: ბანკის საზოგადო კრებაში შეგვაქვს წინადადება იმის შეცვლაზე, რომ მოგების განაწილება მხოლოთ დამფუძნებელთ შეეძლოთ. მთელი ქართველობა ერთხმად ამბობს ამას, თუმცა, დირექტორები წინააღმდეგნი არიან, მაგრამ, მგონი, ვერ გაბედავენ საზოგადო აზრის წინააღმდეგობას. მე, ჩემის მხრივ, გადავწყვიტე, რომ თუ ამ აზრმა არ გაიარა, ბანკს თავი დავანებო და აღარც დამფასებლობაზედ ვიყრი კენჭსა. მაშინ კი უეჭველად სოფელში მოვკიდებ ხელს მამულის მოვლას. ვასოჯან, ბევრი რამა მქონდა კიდევ სათქმელი, მაგრამ მომიტევე, ცოტა წერის გუნებაზე ვერა ვარ.

შენი უსიამოვნო ვანო

[1880 წელი]

17

23 მაისი.

ძვირფასო ძმაო ვასო!

გუშინ ჩამომივიდა დედას წიგნი და შენი წიგნის პასუხი იმისგანვე, რომელსაც ამ წიგნთანვე გიგზავნი. ზოგს შინაურს ამბავს ამ წიგნიდან შეიტყობ და ზოგი წინა წიგნში მოგწერე. ამ წიგნში ეს უნდა განგიმეორო, რომ თუ მალე არ მოვუარეთ რამე ჩვენს საერთო სამაჩაბლო მამულს, სრულებით დაგვეღუპება, და თუ გაყოფის შემდეგ, გვერგება რამე, გვერგება რამე ხრიოკი, ტყესა და წყალს მოკლებული მამული. გარდა ამისა, დედაჩემი გწერს ერთის რუსისა და რუსის ცოლის მოყვანაზედა სახლში მოსამსახურეთ. ჩემის აზრით, ჯერ ეს ჩვენთვის ადრეა, რუსის სახლობა ჩვენთვის მხოლოთ მაშინ გამოდგება, თუ მიხაკო მაჩაბელთან გაცვლილს მამულზედ, რუსგაღმა, პატარა სახლი გავაკეთეთ და წვრილფეხის გაზდას მივყევით ხელი; მაშინ ბაღსაც არაფერს დაუშავებს წვრილფეხობა და ჩვენც დიდს სარგებლობას მოგვიტანს. უწვრილფეხოთ სოფელში ცხოვრება ძალიან ძნელია.

შინ ყველა საქმე კარგათ მიდის, არც არაფერი ნამყენებს დაშავებიათ რამე, არც ვენახს. მხოლოთ ეს არის, რომ ვენახს შემუშავება ძალიან დაგვიანებია უხელობის გამო... მე რომ მოვდიოდი ქალაქში, დამპალეთელებს ათ-ათი კონა სარი შევუკვეთე და დამპირდნენ, ჩამოვიტანთო, მაგრამ ჩემის წამოსვლის შემდეგ ხალხი მთლათ ერთიანათ კალიის დასახოცათ გამოურეკიათ და მოცლით აღარავინ არის. მე შევუთვალე, რაც უნდა დაგიჯდეთ, სარი იყიდეთ და მუშაობას კი ნუ შეაჩერებთ მეთქი; არ ვიცი, როგორ შეასრულეს ჩემი სიტყვა.

ახლა, ვასოჯან, შენი ჭირიმე, მალე შემატყობინე გადაწყვეტილი, რა დროს მოხვალ, მე მინდა, შენს მოსვლამდე ეს საქმე მოვახერხო. აქამდისინ მე ერთი პატარა ოთახი მეჭირა, რომელშიაც ორს თუმანს ვაძლევდი თვეში. ეხლა შეიძლება უფრო კარგს ადგილს ვიშოვო ორი ლაზათიანი ოთახი თავისის კუხნით, ოცდახუთ მანათათ, მებელი თითქმის სულ ჩემი მაქვს, მხოლოთ ცოტაოდენი მოწყობილობის ყიდვა დამჭირდება, მაგრამ ეს დიდი სარფა იქნება; შენ როცა ქალაქში მოხვალ, ბინა გექნება და ხუთი-ათი თუმანი აღარ დაგეხარჯება გასტინიცაში. მართალია, ცალკე ბიჭის დაჭერა დასჭირდება კაცსა თავის ხარჯით (ცამეტ მანეთათ შეიძლება შოვნა), მაგრამ მაინც კიდევ სარფა იქნება.

რასაკვირველია, იტყვი, ეგ ყველა კარგი, მაგრამ საიდან უნდა აძლიო ფულიო.

რაც შკოლას თავი დავანებე, ვცდილობდი, სამუშაო მეშოვნა რამე, იანოვსკისთანაც მივედი მასწავლებლის ალაგის სათხოვნათ, მაგრამ ასე მითხრა, ჯერ-ჯერობით ეისკში, ბერდიანსკში, შურაში კი არის ალაგი, მაგრამ ქალაქში კი არ არისო.

ამ ბოლო დროს ერთი პატარა საშუალება გამოჩნდა, თუ დიდხანს გასტანა რასმე ხანსა. რაც დროება და ივერია შეერთდა, ხშირათ გამოუცხადებია ილია ჭავჭავაძეს უკმაყოფილება მესხისაგან გაზეთის წაყვანაზედ. იმ დღეს შეყრილიყვნენ ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, გოგებაშვილი, მესხი, ქანანოვი, სარაჯოვი, უმიკაშვილი და სხვ. რედაქციაში – „დროება-ივერიის“ საქმეებზედ მოსალაპარაკებლათ. მეც მიმიწვიეს, მაგრამ ვერ წავედი. იქ გადაეწყვიტათ, ასე საქმის წაყვანა არ შეიძლება, უფრო მარჯვეთ უნდა ჩავკიდოთ ხელიო; ერთხმად გადაეწყვიტათ, მე მიმიწვიონ რედაქციაში, ისე რომ მუდამ დღე რედაქციაში ვიმუშაო რამდენსამე საათით მაინც და მთელი გაზეთი გადავათვალიერო. ჯამაგირი პირველად დანიშნეს ექვსი თუმანი. უნდა გითხრა, რედაქციას საშუალება აქვს და ეს ტყუილი დაპირება არ იქნება.

ეს ფული და ჩემი ეხლანდელი ჯამაგირი ერთად ათ თუმანს იქს თვეში, გარდა წლის დივიდენდისა (ოც თუმნამდე). გარდა ამისა, თითქმის გადაწყვეტილია, რომ პირველს იანვარს ჩოლოყაშვილმა გახსნას კანტორა და გადავიდეს ბანკიდამ, მაშინაც შეიძლება კაცი გახდეს რასმე.

მოველი შენს წიგნს მოუთმენლად და შენს ნახვას.

შენი უსიამოვნო ძმა ვანო
თბილისი, [1880 წელი]

18

9 ნოემბერს. თბილისი.

ძვირფასო ძმაო ვასო. ძალიან დამნაშავე ვარ შენთან, რომ აქამდის პასუხი დაგიგვიანე შენს წერილზედა და ფულის მიღება ვერ შეგატყობინე, მაგრამ ამის ბრალი ის იყო, რომ შენის წერილის სრულის პასუხის მოწერა ჯერჯერობით არ შემეძლო და ეხლა ვეცდები, როგორც კი შევიძლე, შევასრულო ეს ნაკლულევანები: მე პირველს გიორგობის თვეს ჩამოველი გორში, მივიღე სამოცი თუმანი და ქალაქში წამოველ, სხვათა შორის, იმიტომ რომ ხილის გაყიდვაზედ აქ დავსწრებულიყავ (წინა დღით ხილი მქონდა გამოგზავნილი). თუმცა, ჩვენი ხილი იაფად გავიდა წელს, რადგან დიდხანს დარჩა, დაიბეჟა და გოდრებიც დიდები შეურჩიეთ: (წვრილ გოდრებში ძალიან იყიდებოდა) და წმინდად მხოლოდ 35 მან. ავიღეთ ხარჯს გარდა, მაგრამ მაინც საკვლავოდ ეს არის სანუგეშო, რომ თუ კაცმა რიგიანად მოკრიფა და რიგიანად ჩამოიტანა, ხილს ყოველთვის ფასი ექნება და თუ არ მოემატება, არ მოაკლდება. ამ იმედს ის მაძლევს, სხვათა შორის, რომ ბაქოდამ ჩვენებური ხილი სულ არ შემოდის და ამ ბოლოს დროს ჩვენს ხილს ზღვისკენ (ფოთისკენ) დაუწყეს ძალიან ზიდვა და ვლადიკავკაზში ხომ უწინაც ეზიდებოდენ. ასე რომ, მოუთმენლად ველი შენს პასუხს კასრაძის მამულის თაობაზედ. ჩემის აზრით, იქ ხილის ბაღი უნდა გავაჩინოთ სულა და კარგადაც იხეირებს. ქარი საშიში არ არის. თუ კი ავჭალაში ხეირობს, იქ ხომ ამის მეათედი ქარიც არის, ამას გარდა ქარს სხვა წამალი აქვს კიდევ: ქარის მხრივ ნერგების გაჩენა. გუშინ ტელეგრამა მოგწერე, თანხმობა შემოგეთვალა და დღეს-ხვალ პასუხს ველი. იმიტომ დავაშურე, რომ მე 11 ნოემბერს შინ მივდივარ იმ ურიის მამულის ტორგზე დასასწრებად და შინაურობის დასათვალიერებლად. თუ ტელეგრამა მომივა ბინაში შენი, ბარემ კასრაძის ცოლსაც გავუთავებ, თამასუქს გამოვართმევ და როგორც ურიას ვამტკიცებინებ, ისე ამასაც დავამტკიცებინებ. ახალი ვენახი გამოვა ჩვენს წილად 5 კოკა და ოთხი თუნგი. ეს შეადგენს 24 მანათს და, ხილი და თივაც იქნებოდა, როგორც იწერები, 6 მანათისა. ეს წრევანდელს სიიაფეში, მაგრამ იქნებ ტკბილი თავის დროზედ თუმნად გადიქცეს, როგორც შარშან იყო. მაინცა და მაინც წაგებაში არა ხარ. მერმე ურია ბევრი ვიკითხე, მაგრამ არ მოსულიყო. ეხლა რომ ავალ, კიდევ ვიკითხამ.

ვასოჯან, მართალია, მე ბანკში შევედი, მაგრამ ეხლა ვეცდები უფრო ხშირად ავხედო ხოლმე შინაურობას. თუ გიორგიც დაიხარჯა და ხშირ-ხშირად თავის სახლში არ ამოჰყო თავი, იმედია, საქმე კარგად წავიდეს.

ლევანს ბეღლის ფიცრები არ გამოუგზავნია ჯერა, მაგრამ იმედს კი ითვლეინებოდა, მალე გამოვგზავნიო. ის 25 მანათი კი ტყუილად გამოურთმევია ბეღლის დასადგმელი. მე ვნახე ერთნახევრად ჩვენს ბეღელზედ დიდი ბეღელი დამპალეთში, მშვენიერად დადგმუ-

ლი და 75 მანათზედ მეტი არ დასჯდომია პატრონს. დაროს, აბესალომის ცოლს, ფული ორჯერაცა ვთხოვე, მაგრამ დღესხვალიობით მატყუებს. ზალიკოს ფული, ეგება, ეხლა რომ ავალ, მაშინ ავიღო და გიორგისთან კიკინმა კი ილაჯი წაიღო, არ ვიცი, ბოლოს გამოვრჩებით რასმე?

ამ წიგნს საჩქაროდა გწერ და ვაი თუ ზოგიერთი სიტყვები ვერც კი გაარჩიო, ისე დაბღაჯნულია. ვეცდები, თამარაშნიდამ უფრო გარკევული პასუხი მოგწერო.

რასაკვირველია, იმ ურიის ვენახს, ვიდრე ვვოდნი ლისტით არ ჩავიბარებ, ფულს არ მივცემ.

შენი უსიამოვნო ძმა ვანო

P. S. ვასო, ელიოზოვის საქმე ხაზინასთან 16 ნოემბერს არის დანიშნული. მანამდის არა იქნება-რა. მერე კი ვეცდები, ვვოდნი ლისტით ჩავიბარო, ვიდრე ხაზინა ჩაიბარებდეს. ამას წინად მოწერილობა იყო პრისტავთან, რომ აეყარა ყველა [ბორტიანთაგან] დასახლებული გლეხები და მე კი ვუთხარ დამპალეთელებს, რომ ჩვენ ბიჭებთან ერთად სარი ეჭრათ იმ ტყეში და თუ დამშლელი იქნებოდა ვინმე, ჩვენზე მოეთითებინათ.

[თბილისი, 1880 წელი]

19

29 იანვარს.

საყვარელო ძმაო ვასო.

თუმცა შენ თავის დროზედ არ მიპასუხე, მაგრამ მე მაინც არ გადაგიხდი და პასუხს მაშინვე გიგზავნი, რამწამს შენი დაბარებული საქმეები, როგორც შევძელ, შევასრულე: შაქრო მაღალოვი ორჯერ შემხვდა და ორჯერვე მოვაგონე შენი მიწერილი და მითხრა, აქამდისინ ვერ მოვახერხე და ამ ორს დღეში კი უეჭველად გავგზავნიო. ასაკულოვიც ქუჩაში შემხვდა, ვუთხარი შენი დაბარებული და ასე მითხრა: თებერვლის ნახევრამდე იქნება მინგრელსკის და რკინის გზის შუა საქმე დანიშნულიო. სხვა ორი საქმე კი ჯერჯერობით ვერ შევასრულე. მახარაძის ბინა არ ვიცი და თითონ მითხრა, მე თითონ მოგნახავთო და რაც შენი წერილი მომივიდა, აღარ მინახავს. როცა ვნახავ, ვეტყვი და გამოვაგზავნინებ დამატებით ნდობის ქაღალდსაც. ვახტანგ გურამიშვილის წერილიც სულ ჯიბეში მიდევს და ვისაც შევხვდები, ვკითხავ ხოლმე იმის ადრესს, მაგრამ არავინ რა იცის. ამ დღეებში იმის ცოლის ნაცნობს ვისმე გადავცემ და ის გაუგზავნის.

შინაური ამბავი მეც დიდიხანია არა ვიცირა და შენც ვერასა გწერ. ამ ყველიერში კიდევ წავალ და მაშინ მოგწერ დაწვრილებით ყოველისფერს. ამ გაზაფხულზედ მინდა უეჭველად ხილები დავარგვევინო ბაღში. ამოთხრილები მზად არის შემოდგომის აქეთია და ეს ძალიან კარგია, უფრო იხარებენ, რადგან ზამთარში მიწა უფრო ფხვიერად გადაიქცევოდა. ბოსტნეულობის თესლიც მინდა წავიღო, რაც აკლიათ, მაგრამ არ ვიცი, ვინ მოუვლის ბაღსა. აქ ქალაქშიაც ვიკითხე კაი მებაღე, მაგრამ ძვირად არიან. ფულიც ცოტა სუსტად არის. შინ ჯერ ცვარი ღვინო არ გაუყიდიათ. მე კი დავუბარე, თუ მუშტარი იყოს, ცოტაოდენი გაყიდეთ მეთქი, თორემ ზაფხულში თუ მუშტარი ვერ ვიშოვნეთ, წაგვიხდება.

ნატალია დიმიტრიევნას, შენცა გწერდი, ბარათი გაუგზავნა დარიკომ, რომელშიაც დიდს ხვეწნასა სწერდა მისვლისას და ჯერ არ ვიცი, პასუხი რა შეუთვალა. მე თითონ მინდოდა გორში მენახა, მაგრამ დიასამიძის დასთან იყო და იმ ამბის შემდეგ, რაც ჩემსა და

დიასამიძის შუა მოხდა, არ ივარგებდა მისვლა. ტყუილად მისაყვედურებ, დიასამიძეს რად დაუწერეო. ჩემის აზრით, მაგისთანა ორპირი, ცბიერი ხალხი საქვეყნოდ უნდა გამოიყვანოს კაცმა. აქამდის ბევრს ჩვენს ყმაწვილკაცს ეგ კაი კაცი ეგონა, მაგრამ ეხლა კი გაიტეხა იხტიბარი, მეტადრე, რაც ხიზანოვსა სცემა ჩემი გულისთვის. ამ ამბავს დროებიდამ შეიტყობდი და მე დაწვრილებით აღარ მოგწერ. სანამ ეს წერილი მოგივა, დროებაში წაიკითხავ აგრეთვე ჩვენს შუა საქმის გათავებას. არ ვიცი, როგორ მოგეწონება ეს დასასრული.

ამ წერილს ორიოდ დღის წინად მოგწერდი, მაგრამ პირველს თებერვალს ივერია მეორე № უნდა გამოვიდეს და ერთი წუთი არა მქონდა დღემდის თავისუფალი. მიკვირს, რომ ივერიის პირველი ნომერი ჯერ არ მოგსვლოდა, შენს წერილს რომ იწერებოდი. პირველი ნომერი პირველს, თუ ორს იანვარს გამოგიგზავნე.

ქართულის თეატრის საქმე ძალიანა კოჭლობს წრეულს. ჯერ იყო და აკაკი წერეთელმა სულ ჩაფუშა საქმე. აბრალებენ კიდეც, ქუთაისში რომ იყო, ფულები შეჭამაო. ეხლა დრამატიული საზოგადოება შესდგა და იმან ანტონ ლორთქიფანიძეს ჩააბარა. არ ვიცი, ეხლა როგორ წავა.

ჩემი კორრესპონდენცია შემოკლებული წავიკითხე „Новое Время“-ში. მე სულ იმედი გადაწყვეტილი მქონდა, როცა შევხვდი „Порядок“-ში იქიდამ გადაბეჭდილს შენიშვნას ცენზურის თაობაზედ. ამ დღეებში კიდევ გამოგიგზავნი კორრესპონდენციას და ეცადე, იქნება მართლა ფასი დამინიშნონ. ძალიან შეღავათს მომცემს, თუ მოხერხდა. გიგზავნი წერა-კითხვის საზოგადოების კვიტანციას. ძალიან წავა ეს საზოგადოება, თუ რიგიანად წავიყვანეთ საქმე. ქართველოვმა ორი მომგები ბილეთი შემოსწირა, ივანე მუხრანსკიმ – ორმოცდაათი თუმანი. ამას გარდა, იმ დღეს ოცდა ექვსმა აბხაზმა წარმოადგინეს ფული და ითხოვეს წევრად ჩაწერა. ამბობენ, ორასი მეტი აბხაზი აპირებს იმათ მიბაძვასო. ეს, მგონი, იმიტომ მოხდა, რომ ცოტა დავიხარჯენით და თბილისში და ბათუმში სკოლები გავხსენით. ამას გარდა, სახელმძღვანელოებიც წარმოადგინეს. მგონი, მალე ბეჭდვას შევუდგებით.

რა ჰქნეს ყმაწვილებმა თეატრისა?

ლობიო მოგივიდა, თუ არა?

მოგიკითხეს ილიამ, დავითმა, მესხიმ.

შენი ვანო

[თბილისი, 1881 წელი]

20

3 თებერვალს.

ძვირფასო ძმაო ვასო. მე შენთან ძალიან დამნაშავე ვარ, რომ აქამდის ვერ მოგწერე-რა, მაგრამ უნდა გითხრა მართალი, ამის მიზეზი ის იყო, რომ შინაური ამბავი არა ვიცოდი-რა. ეხლა წერილი მომივიდა დარიკოსი და შემიძლიან, ცოტაოდენი რამ შეგატყობინო. ჯერ ეს მიამა ძალიან, რომ დარიკო გადმოსულა თამარაშენში და საწყალი დედა მარტო აღარ იქნება – დარიკო მწერს, დედა ყოჩაღად დამხვდაო და ამას გარდა, შინ შესდგომიან კიდეც ცოტაოდენ საქმეებს. გიორგის რაღაც ძველი სახლი უყიდია ორ თუმნად ლიახვის ტოტის დასაწყვეტად და ყველა მაჩაბლები თურმე სწვევიან. როგორცა მწერენ, ამ სახლით სამუდამოდ გამაგრება შეიძლებაო. ამას გარდა, ქვისა და ქვიშის ზიდვაც დაუწყვიათ, მაგრამ შეშა კი გასჭირებიათ. დარიკო მწერდა, საჟენს ექვსსა და ათ შაურზედ ნაკლებ ვერა ვშოვობთო, მაგრამ მე მივწერე, რომ, რაც უნდა იყოს, მაინც ნუ დააბრკოლებენ აგურის დაწვას. ამისათვის 125 მან. გავუგზავნე, მინამ შენგან ტელეგ-



ნიკოლოზ ბარათაშვილის დები და დისშვილები: ბარბარე ბარათაშვილი-ვეზირიშვილი, ნინო ბარათაშვილი, გიორგი ვეზირიშვილი, სოფიო ბარათაშვილი-ვეზირიშვილი, ანასტასია ვეზირიშვილი-ჩერქეზიშვილი, ნინო ვეზირიშვილი-მაჩაბელი, სოფიო ბარათაშვილი-სუმბათაშვილი

1860-იანი წლები

რამა მომივიდოდა და მივწერე, რომ როცა კი დასჭირდებათ ფული, ერთი ორი კვირის წინად შემატყობინონ, რომ გავუგზავნო. ასე რომ, შენ ჯერ ნუ შესწუხდები და თუ ფული არ გამოგიგზავნია, ნუ გამოგზავნი.

ამ ერთი თვის წინად ნინო იყო აქ თავის დედით; სრულებით კარგად არის, ასე რომ, ნურაფერზე იდარდებ. ეხლა კიდევ მესმის, რომ უფრო კარგად არისო, სვიმონმა მითხრა იმ დღეს, ვეზიროვმა.

შენმა უკანასკნელმა წერილმა ძალიან დამაღონა. რა გაქვს, თუ ღმერთი გწამს, გასაგიჟებელი, ან შესაწუხებელი. მე მგონია, ამას იქით უფრო მხიარულად უნდა იყო, რადგან, ვგონებ, მართლა შესაფერი ცოლი იშოვნე და ნინო იმისთანა ქალსა ჰგავს, რომ შენ სიამოვნებით ცხოვრება მოგელის და არა მწუხარებით. მართლა, ვასო, შენი მცირე წერილი აქამდის ვერ დავბეჭდე, აი, რათა. შენი პირველი წერილი წინასიტყვაობა იყო და მეორეში საქმეს უნდა შესდგომოდი. მაგრამ მეორე წერილიც წინასიტყვაობასა ჰგავს და ეს, მგონი, არ ივარგებს მკითხველისათვის. პირდაპირ რომ საქმეს შეუდგე, უკეთესი იქნება, ან ის ემჯობინება, რომ მანდაური ამბებიც მოიწერო ხოლმე. მაგრამ იმდენი საქმეები გაქვს, რომ სწორე გითხრა, ვეღარ შემიწუხებიხარ.

მინგრელსკისაგან გამოგზავნილი 9 მან. მივიღე და ოთხს მანათსაც ღულაძეს გადავცემ. ამ წერილს მაშინვე გწერ, რამწამს შენი უკანასკნელი წერილი მივიღე, თორემ მეშინიან, ვაი თუ კიდევ დამაგვიანდეს და მაშინ შენგთან კიდევ უარესი წერილი მივიღო.

ვასო, ამ წერილთან ილიასთან მინდოდა წერილის მოწერა, მაგრამ ცალკე მოწერა რაღა საჭიროა. გადაეცი, გეთაყვა, რომ ვექსილების ფიქრი ნუ აქვს და თუ მოხდა რამე

ძალიან საინტერესო ბანკისთვის, ტელეგრამით გვაცნობოს. იმ დღეს სანუგეშო ტელეგრამა იყო მაგისი, მაგრამ ეტყობოდა, იმ ტელეგრამის მოწერის დროს კაი გუნებაზედ იყო, თორემ ჯერ არაფერი ჩანს. არ აჩვენო ეს ილიას, თორემ ეწყინება, ხომ იცი მაგისი ამბავი. ამას გარდა, ერთი სათხოვარი მაქვს და ან შენ შეასრულე, ან მაგან: Вышіи уставъ общества литераторов для взаимного вспомоществованія და თუ შემდგარა: Уставъ общества помѣщиков Петерб. Губ. для освобожденія сельской производительности отъ кулаков. ამ უკანასკნელი წესდების საქმე ილიამ იცის, სახელი წესდებისა კი ნამდვილად არ მახსოვს.

იმედი მაქვს, არ დამიგვიანებ.

შენი ვანო

რატომ არ იწერები, როდის მოგიხდება აქ სამუდამოდ გადმოსვლა. მართალია, ბეღელაშვილისა ჯერ არაფერი ისმის და თუ გაიყიდება, რასაკვირველია, უნდა ვეცადოთ, ხელიდამ არ გავუშვათ.

[თბილისი, 1881 წელი]

21

15 თებერვალს.

ძვირფასო ძმაო ვასო.

გუშინ გავგზავნე შენგან მიღებული ოცი თუმანი შინ და ჯერ, რასაკვირველია, არ მიუღიათ. აი, გიგზავნი ამასთანავე დარიკოს წიგნს, საიდამაც ცოტათი მაინცა სცნობ შინაურ გარემოებას. მე ამ წიგნის პასუხი მაშინვე მივწერე და შევუთვალე, რომ ვიდრე ძვირია, შეშა იმდენი იყიდონ, რაც საჭიროა და დანარჩენი მასუკან შეასრულონ. მასალის ჩამოტანა დაუწყვიათ; ეს კიდევ კარგია, მაგრამ ძნელი ის არის, რომ რიგიანი თავს-მდგომი არავინა ჰყავს საქმეს. მეც სრულებით ვეღარ მოვიცალე, ავსულიყავი და ილიას, როგორც ეტყობა, მანდ კიდევ მოუგვიანდება.

შინ ეხლა ფულის ჯავრი აღარ უნდა ჰქონდეთ, ათი თუმანი მე მივაწოდე, ოცი თუმანი შენ და ამას გარდა რაც საჭირო იყო, ვუყიდე და გავუგზავნე ბიჭის ხელით. კვლავ ნუღარ შეიწუხებ ხოლმე თავს ფულის გამოგზავნით, მართალია, ერთბაშად მომივიდა სხვადასხვა ვალების ვადა, მაგრამ ყოველთვის შევიძლებ ათ-ათ და თხუთმეტ თუმნობით მიწოდებას.

ამას წინათდა გთხოვე ორი წესდების გამოგზავნა და იმედი მაქვს შემისრულებ: – „Устав общества литераторов для взаимного вспомоществованія“ და „Устав общества помѣщиков Петербургской губернии“ და სხვ. (რომლის ამბავი ილიამ იცის).

ნინო ეხლა ქალაქშია თავის დეიდასთან და სრულებით კარგად არის.

შენი ძმა ვანო

[თბილისი, 1881 წელი]

22

თბილისი. 1881 წ., 1 აპრილი.

ძვირფასო ძმაო ვასო.

ეს ათი დღეა, რაც შენთან წიგნის მოწერას ვაპირებ, მაგრამ დღე-დღეზედ გადადებით დღემდის ვერა მოგწერერა. შინაურ ამბებს ზოგს ამ დარიკოს წიგნიდამ შეიტყობ, ზოგსაც მე შეგატყობინებ:

ეს წიგნი გიგლამ ჩამომიტანა შინიდამ, რადგან დაბარებული მყავდა, ხილები უნდა გამეგზავნა. იმავე დღესვე დავათხრევინე და მეორე დღეს გავაგზავნე. რამწამს მიეტანა, მაშინვე ჩაერგო იმ წესით, როგორც მე დავარიგე. ასი ძირი ვაშლი და მსხალი გავგზავნე, ამას გარდა, ორი ბროწეული, ორი გარგარი, ორი კარგი ატამი და ორი ლეღვი ნიმუშად. ვაშლი და მსხალი, ზოგი სამზღვარგარეთული, ზოგიც კავკასიის საუკეთესო ხილი. თუმცა, შვიდს თუმნამდე დაჯდა ეს საქმე, თითონ ხილები და გაგზავნა, მაგრამ თუ იხარეს, ეს ძვირფასი საქმე იქნება. მოუთმენლად მოველი აღდგომის კვირას, რომ შინ წავიდე და დავათვალიერო იქაურობა. მალამოც გავუგზავნე სანამყნობელი და დავაბარე, რომ, რაც კი რამ დარჩა შარშან, წრეულს სულ ანამყნონ. ასე რომ, წრეულს იმედი მაქვს, საცა კი ხილის ადგილია, ჩვენს ბაღში და ორივ ვენახში – ცხინვალისაში და თამარაშნისაში, – ყველგან ნამყენი გვექნება. ვენახებსაც კარგად უვლიან ბიჭები, ცოდნაც ბლომად ჩაიყარა; მხოლოდ ერთი მწყემსი უნდა ვიშოვნოთ ვინმე, თორემ ძნელია იმოდენა საქონლის მოვლა.

ცერაძის მამულის თაობაზედ ისე შევუთვალე ცერაძეს, როგორც შენ მოგეწერა. გიგლა ძალიან მაიმედებს, რომ ოც თუმნად გამოვა და აბა, ვნახოთ, რა იქნება, სააღდგომოდ რომ ავალ.

ბაიბუხაშვილის ვენახში ღობე ჯერ იმიტომ ვერ ავაღებინე, რომ რამწამს აიღებენ, მაშინვე უნდა შეიღობოს ცერაძის მხრივ, თორემ მარგილების ისე დაგდება არ იქნება და ზამთარში წნელის მოჭრა არ იქნებოდა. ეხლაც თუ შეღობის დროს იქ არა ვართ ან ერთი, ან მეორე, შეიძლება უსიამოვნობა და იქნება სისხლიც მოხდეს, რადგან ის მამაძაღლი ბაიბუხაშვილი თავდებით გამოუშვია ხიზანოვს, დათიკო ზურაბისშვილი დასდგომია თავდებად. ამ ზაფხულს, როდესაც უფრო დიდის ხნით მოვექცევით სოფელში, უნდა შევაღობინოთ, თორემ უჩვენოდ არ იქნება.

თბილისის ამბავი შესანიშნავი არა არის. ყველას მანდეთკენა აქვს ყურები დაცქვეტილი და მანდედგან მოელის ახალ-ახალ ამბავს.

ილია ძალიან მადლობელია შენი, კარგი პერანგები გამომადგაო.

შენი ვანო

23

თბილისი. 16 აპრილს.

ძვირფასო ძმაო ვასო. გუშინ-წინ ჩამოველ სოფლიდამ და კასრაძის მამული ჩავიბარე. ცერაძესთანაცა მქონდა მოლაპარაკება და დამპირდა კიდეც, რომ მორიგება ადვილია იმ ნაჭერზედ, რომელსაც თქვენი მამული გამოიტანსო. ასე რომ, თუ მეშვილდიშვილებს მოვურიგდით და იმ ბაჟის პატრონს, შარშან წინ რომ გვევაჭრებოდნენ, მაშინ კაი ერთიანი ნაჭერი შეიქნება, თითქმის ოცის დღისა. ეს მორიგება და მიცვლა-მოცვლა მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როცა შენ აქ მოხვალ. რაც შეეხება ურიის საქმეს, ვერა ხერხდება როგორღაც. ეს მამაძაღლი, ჯერ კახეთში იყო, არა გვეშველარა, არ მოვიდა; ეხლა ძლივს მოსულა ცხინვალში და სანამ მე ავიდოდი, თითონვე დაეწყო თურმე ლაპარაკი მიტოსთან გაყიდვის თაობაზედ; მე რომ ავედი, ასოც თუმნად დააფასა და ფეხი არ მოუცვალა. თურმე ამ ვენახის პატრონს ორი ათას თუმნამდე ვალი აქვს და როგორც სხვა ურიებმა სთქვეს, ერთს მოვალეს ვალში აძლევს ვენახს. მართალია, ჯერ არა გამოვიდა-რა, მაგრამ

ცხინვალში მითხრეს, დღეს იქნება, თუ ხვალ, ის ვენახი ტორგში ჩავარდებაო და მიტოც დამპირდა, თვალყურს ვადევნებ და თუ იქნება რამე, შეგატყობინებო.

შინაური ამბავიც მშვიდობის მეტი არა არის-რა, დარიკო და მანია ავლევს წასულან და მანიას უკეთობას იწერებიან. გიორგი ძალიან კარგად ირჯება, ასე რომ ვენახები და ბაღი ჯერ ასე შემუშავებულები არსად ყოფილა. კარგი იქნება, რომ წასაქეზებლად საჩუქარი წამოუღო რამე, ან რევოლვერი, ან სხვა რამ ნივთი.

ვასოჯან, რატომ შენის მოსვლისას არას იწერები? გამაჯერეს სოფელში კითხვით, როდის მოვაო.

კიდევ ერთი რამა მაქვს მოსაწერი. იმ დღეს ცხინვალში აღალო რომ არის, მიკიტანი, იმან მითხრა, ცხინვალში, თქვენს ალაგში დუქანი ააშენეთ და მე მომაქირავეთო; თუნდა ზოგს ფულს წინდაწინ მოგცემთო. ეს აზრი, თუ გახსოვს, ჩვენცა გვქონდა და ჩემის აზრით, ძალიან კარგი იქნება, მეტადრე იმიტომ, რომ ჩვენს ღვინოს, ქერს თუ ბოსტნეულს უფრო ექნება გასავალი, თორემ ეხლა ღვინო გვაქვს და მყიდველი კი არსადა სჩანს. შეიძლება, ეს საქმე იჯარით მივცეთ ვისმე და როგორც ამბობენ, ორმოცდაათ თუმანზედ მეტი არ დაჯდებაო და წელიწადში კი ათ-თორმეტ თუმნად გავაქირავოთ. ეხლა კი შემომითვალა, არაფერი არა-არისრა, რაღაც ექვსი-შვიდი მანეთის მეტი. ბევრ რამეზედ მინდოდა კიდევ მომელაპარაკნა, მაგრამ, იმედია, მალე პირდაპირა გნახამ და ისე მოგელაპარაკები.

შენი ვანო
[1881 წელი]

24

თბილისი. 27 მაისს.

საყვარელო ძმაო ვასო.

ამ წიგნში შინაურის ამბისას ვერას მოგწერ. რაც მე მომწერეს, შენთვისაც მოუწერიათ, ე. ი. რომ ბიჭებისა ცოტა სუსტობაა. მე მივწერე, რომ როგორც იყოს, დაიჭირონ ვინმე და ჯერ არ ვიცი, რა ჰქნეს. ამას გარდა, ერთი ყოჩაღი დედაკაცი ვიშოვნე მოჯამაგირეთ წელიწადში თორმეტ თუმნად. ანანამ მიშოვნა; ამბობენ, ძალიან ყოჩაღი დედაკაციაო; პურის ცხობა, სარეცხი, ყოვლისფერი იცისო; ამ სამის დღის უკან ვგზავნი სოფელში. მე კი თითონ ჯერჯერობით ვერ მოვახერხებ შინ ასვლას, ბევრი საქმეები მაქვს.

ვასოჯან, ფავლენიშვილის საქმე მოხერხდა; ამ ორს დღეზედ გამოუგზავნიან სამგზავრო ფულსაც და ათს თუმანსაც ჯამაგირში. შენ ყური უგდე, რომ მაშინვე წამოვიდეს.

კორესპონდენცია მაშინვე მივუტანე მესხს და არ დაბეჭდა; იმუქრება და ამას გარდა იმის ლაპარაკზედ ბევრს ეგონება, რომ თითონ უნდა აგენტობაო. გამოვართვი და მე მაქვს შენახული. მე მგონი, სულ რომ თავი დაანებო „დროებაში“ კორესპონდენტობას, ისა სჯობს; მეტად უმადურად და წინდაუხედავად იქცევა; ჯერ, სარგებლობს კაცის შრომით და მერე სრულებით თავს ანებებს.

იაკულოვი შემხვდა და ვუთხარ შენი დაბარებული. იმან მითხრა, რომ ჩვენი საქმე თუმცა პირველს მაისს იყო დანიშნული, მაგრამ გადადესო და ჩვენი საჩივარი უყურადღებოდ დატოვესო (Оставили без послѣдствій). ეს, ერთის მხრით, კარგი არის, რადგან იმედი მაქვს სენატში ჩვენსკენ გადაწყდება. ამ საგანზედ ტელეგრამაც მივწერე თქვენს ძმას და წერილიცაო. არ ვიცი, მართალია, თუ არა. ცოტა ცრუ კაცსა ჰგავს.

ამ ორის თვის წინად რომ მახარაძის თამასუქი გამოგიგზავნე, ჯერ ხომ არ გაგირიგებიარა. არც იმის პასუხი მოგიწერია, მოგივიდა თუ არა მეორედ გამოგზავნილი Довѣренность-ი, ეს ერთი თვე მეტია, რაც გამოვაგზავნე. შენი ჭირიმე, მომწერე, რა ჰქენი იმ საქმისა?

ამ წერილთან გიგზავნი პატარა შენიშვნას ბაბო თარხნიშვილის ცოლისას, გთხოვს, რომ შეუტყო, რაც აქა სწერია, როგორ არის 952 მანათის დაბრუნების საქმე.

გამიჭირეს საქმე და მეც შენ გაგიჭირე. ყოველ წიგნში რომელსამე საქმეზედ უნდა მოგწერო. რა ვქნა, შენს აგენტსავით გადავიქეცი აქა; დღე არ გავა, რომ შენი ადრესი არა მკითხონ. ამას გარდა, ეტყობა, ჩვენი „დეპუტატები“ ძალიან გამოგიკვებია მანდა. შენი მასპინძლობა რომ აგონდებათ, მეც კი მძიმედ თავს მიკრავენ.

დავით ერისთავმა მოგიკითხა და გთხოვა, რომ ჩუბინოვის ლექსიკონი რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ერთი ეგზემპლიარი წამოუღო.

ილიამაც მოგიკითხა და ძალიან მადლობელიც არის, კაი პერანგები გამომადგაო.

სხვა რაღა მოგწერო. გუშინ Великій князь-ი წავიდა აქედგან. მეტად სწუხდა, რომ კავკაზიას თავს ანებებდა. წასვლის დროს მოჰგონებოდა და ეთქვა ჩვენის თავადაზნაურობისათვის, რომ მე ძალიან ვწუხვარ, რომ თბილისის სამხედრო გიმნაზია თქვენთვის დავაარსეთ და თქვენი შვილები კი ნაკლებად არიანო. აქამდისინ ეს არ ვიცოდი და ეხლა ვეცდები, წამხდარი საქმე გავაკეთოო!!

მოუთმენლად მოგელი. როგორც იწერებოდი, ისე შემატყობინე და სტანციაზედ დაგიხვდები. იქავ სტანციასთანა ვდგევარ, ორი კაი ოთახი მიჭირავს და ერთ ღამესაც არ გაგატარებინებ Лондон-ში.

შენი უსიამოვნო ძმა ვანო მაჩაბელი
[1881 წელი]

25

თბილისი. 21 იანვარს.

ძვირფასო ძმაო ვასო, დიდიხანია შენი წიგნი არ მიმიღია და არ ვიცი, რა ამბავია. ამ ერთის თვის წინად მოგწერე შინაური ამბავი, სხვათა შორის, იმ ტყის თაობაზედაც, რომელიც სადავოა ელიოზოვებთან და ხაზინასთან, მაგრამ დღესაც ამაოდ ველი პასუხს. თუ გახსოვს, სარის თაობაზედ გწერდი, არ ვიცი, მოვაჭრევინო ტყეში, თუ ისევ საყიდელი დარჩეს მეთქი. დამპალეთში აღარ მოიჭრებაო და სადავო ტყეს კი ლესნიჩი მფლობელობს და მხოლოდ ელიოზოვთან მოლაპარაკებით შეიძლება იქ შესვლა მეთქი. მაგრამ იმისიც მეშინიან, ვაი თუ ელიოზოვმა ხელზედ დაიხვიოს და მასუკან კლიაუზნიკობაში გამოიყენოს. ამის პასუხი ჯერ არ მომსვლია და იმედი მაქვს, ამ წიგნის მიღების შემდეგ კი უეჭველად მომწერ.

ამ წერილით სამის საგნის თაობაზედა გწერ:

პირველი ესა: გუშინ ჭავჭავაძემ ცალკე გამიხმო და ეს მითხრა: ჩვენ ვაპირებთ ბანკის საზოგადო კრებაში წინადადება შევიტანოთ, რომ მესამე დირექტორიც დაგვინიშნონ, რადგან ბანკის მოქმედების გავრცელების შემდეგ, საჭიროა, რომ ერთ-ერთი დირექტორი რიგ-რიგზედ წავიდ-წამოვიდეს ხოლმე სხვა და სხვა კავკასიის ქალაქებში, ერევანში, ალექსანდროპოლში და სხვ. ჩვენ ვარჩიეთ, ვარჩიეთ და ვასოზე უკეთესი კანდიდატურა ვერ ამოვარჩიეთო; რაც შეიძლება, მალე მისწერე, იკისრებს თუ არაო? ამის პასუხი ძალიან საჩქაროდ უნდა შემატყობინო. ჯამაგირი ორასი თუმანია, დივიდენდს, მაგ.,



ვასილ მაჩაბელი და ილია ჭავჭავაძე
სანკტ-პეტერბურგი, 1873 წელი
ფოტო: კ. ფოხტ

წრეულს თითო აიღებს ორას თუმანზედ მეტს და მასუკან შეიძლება, მოგიმატონ კიდეც. ჩემის აზრით, ძალიან კარგი იქნება, რომ იკისრო. ველი საჩქაროდ ამის პასუხს.

მეორე ესა: სტეფანე მელიქოვმა მთხოვა – შენს ძმას მისწერე, რომ ან თითონ არ იკისრებს, ან სხვას ვერ იშოვის, რომ ნიკოლაძეს ფული გადაახდევინოს, ას ორმოცდაათისა (თუ მგონი, მეტი) **исполнительный лист**-ი მაქვსო. მე მგონია, ეს ისეთი საქმეა, რომ შენ ხელს არ მოჰკიდებ, მაინც მთხოვა და გწერ.

მესამე კიდევ ესა: იქნება მოხერხდეს როგორმე, რომ **Голос**-მა თავის კორესპონდენტობა მე მომცეს, რაკი ერისთავმა **Кавказъ**-ი აიღო. თუ ეს მოხერხდება როგორმე, ისე რომ არავისთან დიდი თხოვნა არ დაგჭირდეს, კაი შეღავათი იქნება ჩემთვის. მე მგონი, თუ ბებუთოვი მოინდომებს, მოახერხებს.

შენი უსიამოვნო ძმა ვანო
[1882 წელი]

26

„ივერიის“ რედაქცია მთა-წმინდაში, ხევის ქუჩა, №9. თბილისი.

26 თებერვალს, 1882 წ.

ძვირფასო ძმაო ვასო.

ვწუხვარ, რომ შემთხვევამ ასე შეწყვიტა მე და შენ შორის მიწერ-მოწერა. არ ვიცი, რა მიზეზია, რომ ჩემი ორი წიგნი შენთან დაკარგულა და მე კი მეგონა, პასუხის მოწერას ზარობდი და კიდევ, ვინ იცის, მიზეზს რას არ ვაბრალებდი, უფრო კი გულის გაგრილებას. იმედი მაქვს, ამას იქით მაინც სხვა ბედი ექნებათ ჩემს წერილებს. აი, ვასოჯან, აქაური ამბავი: შინ წასვლა რთველს აქეთ ვეღარ მოვახერხე, ცალკე იმიტომ, რომ აქა-იქა სიარული მჭირდება თანამდებობის გამო და ცალკე იმისაგანაც, რომ უკანასკნელს დროს მეტის

მეტი დიდი ზამთარი იდგა და გზები შეკრული იყო. სააღდგომოდ კი უეჭველად ავალ და ყოველისფერს მოგწერ დაწვრილებით. ეხლა კი აი, მხოლოდ რა ვიცი შინაურის ამბისა. თივის დაწვაზედ საქმე შესდგა და გამომძიებელთან არის, ლექსო კობერიძეს აბრალებენ. თუმცა, ამისთანა საქმის გამოკვლევა ძალიან ძნელია, მაგრამ მაინც, რაც შეიძლება, ვეცდები, როცა შინ ავალ, ნამდვილი დამნაშავეს ცნობას. სხვაფრივ შინ ყოველისფერი საქმე კარგად მიდის თურმე. ვენახების მუშაობას ნელნელა შესდგომიან, რასაც კი ამინდი შეაძლებინებს. საქონელიც კარგად არის თურმე.

ახლა აქაურს ამბავს მოგწერ. ილიას უთხარი შენი პასუხი და ასე მითხრა: დირექტორის მიმატება საზოგადო კრების საქმეაო და მართლაც ბანკის წესდების მე-63 პარაგრაფს შემდეგი შენიშვნა აქვს: „Число членов правленія и оцѣночной комиссіи может по постановлению общего собранія быть увеличиваемо по мѣрѣ надобности“. ამას გარდა, უეჭველია, რომ ჯერ ამ კანონს მივაღებინებთ და მხოლოდ მაშინ დავასახელებთ იმ პირს, რომელიც სახეში გვეყოლებაო. ეხლა კი იმედი გვაქვს, რომ თუ ეს მომატება მოხდა, უარს არ იტყვი.


მელიქოვს ვუთხარ მე შენი მონაწერი და არ ინდომა მაგ შენის ამხანაგის სახელზედ გამოგზავნა. ნება თავისია. ორბელიანის ცოლი დიდი ხანია იმერეთში წასულა და ასე ამბობენ, რომ სრულებით არა აქვს-რაო. ავალოვს ვუთხარი, რომ მგონი, თქვენ ურჩიეთ ამ საქმის აღება და ახლა სპასოვიჩთან პირშავად გამოდის ჩემი ძმა მეთქი და ასე მითხრა: ჩემი ბრალი არ არისო; მე მთხოვეს – სთხოვე, ყური უგდოსო და მეც ეს თხოვნა შევასრულეო. სამწუხაროდ, მგონი, ეს ფული იმავ გვარად დაკარგულია, როგორც ბატ. ავალოვზედ. ფავლენიშვილი კი ცდილობს საწყალი, გამოგიგზავნოს. იმ დღესაც მითხრა, შენის წერილის მოსვლის წინად, იოსელიანი დამპირდა ფულის სესხებას უსარგებლოდ და ვასოს უნდა გავუგზავნოო. მგონი, ეს მაინც მალე მოგაშველებს.

გახსოვს, ვასო, აქ რომ იყავი, შანშიევი, ცენზორად რომ იყო, გელაპარაკებოდა თავის საქმის თაობაზედ, რომელიც იმ დროს სპასოვიჩს მინდობილი ჰქონდა. ახლა სპასოვიჩს მოუწერია ამისთვის, როგორც თითონ მითხრა, თქვენი საქმე თუმცა მართალია, მაგრამ ისე ვარ პოლიტიკურ პროცესებში გართული, რომ, ჩემდა სამწუხაროდ, ვერ მოვიცლი და გადაეცით ვისმეო. ახლა შენა გთხოვა ამ საქმის აღება, გთხოვა, რომ სპასოვიჩს გამოართვა ეს საქმე, გასინჯო, გაიგო, როდის დაინიშნება და ამის კვალობაზედ მოსწერო ტელეგრამა, ან წერილი, რა პირობებით აიღება, რომ Довѣренность-ი გამოგიგზავნოს. ესეც კი დაუმატა, ერთი საწყალი კაცი ვარ და ბევრს ნუ გამოუდგებაო. მართლაც რომ, ეხლა საწყალი ცენზორობიდან დათხოვილია „за либерализма“.

ამ ჩოლოყაშვილმა გააჭირა თხოვნით საქმე. ეხლა კიდევ მთხოვა, მოგწერო, რომ საჩქაროდ გამოუგზავნო შემდეგი წიგნი: Лавеле, Современный соціализмъ. ახლად გამოსულია და ორი მანათი ღირს. კორესპონდენციების წერას ვეცდები და პირდაპირ შენ გამოგიგზავნი, თუ მიიღებენ.

აქაური ახალი ამბები ეს არის: მანდაურმა გამოჩენილმა მხატვარმა – ზიჩმა ცხოველი სურათები გამართა ვეფხვისტყაოსნიდამ ორჯერ. ორჯერვე აუარებელი ხალხი დაესწრო და აღტაცებითაც მიიღო. კიდევ აპირებენ დონდუკოვის მოსვლის შემდეგ. აგრეთვე დიდი ალიაქოთი ასტეხა აქაურმა კორესპონდენციამ „Московскія вѣдомости“-ში შესახებ სამშობლოს წარმოდგენისა. ყველა უკმაყოფილოა ამ კორესპონდენციით, თითქმის იმისთანანიც, რომელთაც თავის დღეში ამისთანა საქმეზედ არ უფიქრნიათ. მოველი მოუთმენლად შენს წერილს.

შენი უსიამოვნო ძმა ვანო


«ИВЕРІИ»
Редакція
Мта-Сабинской, Хевскій пер., № 9.
1882 г.
Тифлисъ.

ივანე მაჩაბლის წერილი ვასილ მაჩაბელს
თბილისი, 28 თებერვალი, 1882 წელი

27

„ივერიის“ რედაქცია მთა-წმინდაში, ხევის ქუჩა, №9. თბილისი.

18 მარტს, 1882 წ.

ძვირფასო ძმაო ვასო. მომივიდა შენი წიგნი და თუმცა, ერთის მხრივ, ძლიერ მესიამოვნა, მაგრამ, მეორე მხრივ კი, შემაწუხა. შემაწუხა იმიტომ, რომ მაგ ოხერს ქვეყანას ეგრე დაუჩაგრავხარ და გული გაგტეხია. მაგრამ უნდა მართალი გითხრა, მარტო ჩრდილოეთის ბრალი არ უნდა იყოს აგრეთი გულის გატეხა, ეს იმასაც უნდა დაბრალდეს, რომ შენოდენა კაცს ეხლა მარტოობა აღარ შეჰფერის. ამიტომ მიხაროდა შენი აქ გადმოსვლა, რომ ასე თუ ისე მაგ მარტოობას თავიდამ აგაცილებდა. მაგრამ როგორღაც ბედი არ შეგვწევს ჩვენის განზრახვის აღსრულებაში.

იმ დღეს რომ მესამე დირექტორის თაობაზედა გწერდი, ის აზრი ბანკის გამგებლობისა იყო (Правленія банка), მაგრამ ზედამხედველმა კომიტეტმა არ დაამტკიცა, ასე რომ, საზოგადო კრება ამ საქმეს ვერ განიხილავს. რაც შეეხება ილია ჭავჭავაძისაგან მისის ადგილის თავის დანებებას, ამაზედ გადაწყვეტილს ვერას მოგწერ. რაც შენი წიგნი მომივიდა, ეს სამი დღეა, ლაპარაკში ვცდილობ როგორმე გავიგო ამის გულის პასუხი, მაგრამ, როგორც ვატყობ, თითონაც გადაწყვეტილი არა აქვს რა. უნდა კი გუბერნიის მარშალობა, მაგრამ იმ პირობით, რომ თავის ეხლანდელს ჯამაგირს არ მოაკლებს. ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ან ორივე ადგილს ერთს კაცს ჩააბარებენ, ან გუბერნიის მარშალსაც ჯამაგირს დაუნიშნავენ. რადგან ერთიც და მეორეც, ჩემის აზრით, არ მოხდება, ჭავჭავაძე ისევ ბანკში დარჩება და ჩვენი უთავო სუმბათოვი ისევ მარშლად.

მაინც მე არა მგონია, რომ ამ საქმეზედ დამყარდე მხოლოდ და ამის გამოისობით დაიშალო აქეთ გადმოსახლება. მე მგონი, აქ მანდაურზედ ნაკლებ საქმეები არა გქონდეს და

აი რათა. ჩვენში მართლა ძალიან ძვირია სიტყვის კაცი, ე. ი. იმისთანა კაცი, რომელიც თავის სიტყვას ყოველთვის ასრულებდეს და ამისთანა კაცი მეტადრე უფრო ადვოკატებს შორის არის ძვირი. ამის გარდა, აქაურ არისტოკრატობაში იმდენი ნაცნობები გყავს, რომ, ვგონებ, ძვირად ვისმე ექნება იმდენი საქმე, რავდენიც შენ გექნება. ამიტომ, მე სულით და გულით გირჩევ აქ გადმოსვლას, მეტადრე იმიტომ, რომ ეს გადმოსახლება დაგიხსნის იმ უსიამოვნო სიამოვნებით ცხოვრებას, რომელიც მანდ არ გაკლია. თუ ვინიცობაა, ისე მოახერხებ, რომ ბანკის კრებამდე და მარშლის ამორჩევამდე აქეთ გამოისეირნებ, ძალიან კარგი იქნება. ბანკის კრება 29 აპრილს იქნება და მარშლების ამორჩევა მაისის დამდეგს, ჯერ გადაწყვეტილი არ არის, რა დღისთვის.

ვასოჯან, გუშინ შანშიევი ვნახე და ასე მითხრა, რომ დეპეშა მომივიდა, ჩემი საქმე სენატში უადვოკატოდ განუხილავთ და ჩემს სასარგებლოდ გადაუწყვეტიათო. ახლა არ ვიცი გურამიშვილი რას იტყვის. ნეტავი არ გაესინჯოს მაინც საქმეები და ტყუილად არ გარჯილიყოს, ძალიან ეჭვადა ვარ, რომ ზოგიერთი აქაურები ხათაბალაში გააბმენ; წულუკიძის ცოლისა არ იყოს: ასე ამბობენ, სრულებით არა აძლია-რაო და ორმოცი თუმანი სპასოვიჩისა ვასოს დააწვება კისერზედო.

ეს ერთი კვირაა, რაც დონდუკოვი აქ არის. ძალიან კაი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზედ, ყველას ეალერსება, ელაქუცება, ძველს დროს, აქ, კავკასიაში გატარებულს, სიამოვნებით იგონებს. ყოველის მხრივ ეტყობა, რომ ვორონცოვის სკოლის კაცია და შრომის მოყვარეც. ღმერთმა ჰქნას, რომ უწინდელზედ მეტი გამომდნარიყოს. აქ, საზოგადოებაში, დიდი ჩოჩქოლია, უნდათ, რომ სხვა და სხვა ლაპარაკი აღძრან თავადაზნაურობის კრების დროს და მოითხოვონ ის ცვლილებები, რომელნიც რუსეთში არის შემოღებულნი.

ამ ერთ კვირაზედ შინ ვაპირებ წასვლას და რამწამს ჩამოვალ, შინაურს ამბავს მოგწერ. მინამდისინ კი ნახვამდის, ჩემო ვასო.

შენი ძმა ვანო

28

7 მაისი. თბილისი.

საშინლათ ძნელი ყოფილა, საყვარელო ძმაო ვასო, ამ სიშორიდან შენთან წერილით ლაპარაკი. შენი ორი უკანასკნელი წიგნი ეხლა წინ მიწყვია და იმდენი კითხვებით არის სავსე, რომ თავბრუ მეხვევა. სწორე გითხრა, მაკვირვებს ძალიან შენი საყვედური, რატომ დაწვრილებით არას იწერებიო: მაგ., სახლიკაცებთან ხომ არ მოგილაპარაკნია გაყრაზედაო, ან სოსიაშვილს ხომ არ მოლაპარაკებიხარ, ან კობერიძეებს და სხვა.

მე მგონი, ამისთანა საგნებზედ ლაპარაკი კაცს მხოლოთ მაშინ შეუძლიან, როდესაც იცის რამე, ან საქმისთვის ხელი მოუკიდნია. დარწმუნებული უნდა იყო, რომ ეს საქმეები ისეთი მძიმე საქმეებია, რომ თუ მომელაპარაკნა ვისთანმე მაგეებზედ, მოუწერავს არ გავუშვებდი. კიდევ გეტყვი, მაკვირვებს შენი საყვედური. ჩემის აზრით, რაც შესანიშნავი რამ იყო ჩვენის სახლკარის მდგომარეობაში, ყოვლისფერი მოგწერე და თუ ის დამავიწყდა, ნერგები როგორ არიან, ეგ, მგონი, დიდი მომაკვდინებელი ცოდო არ იყოს.

მაინცა და მაინც გისრულებ შენს სურვილს და შენს კითხვებზედ დაწვრილებით პასუხს გაძლევ.

ნამყენებზედ, მგონია, სცდები. სანამ ხე კარგად ფესვებს მიწაში არ მოიკიდებს, იმისმა

მყნობამ შეიძლება ფუჭათ ჩაიაროს. მგონია, ეს საქმე დაემართებოდა მომეტებულს ნაწილს ჩვენის ნამყენებისას, როგორც შენ იწერები, ისე რომ მოვცქეულიყავით.

ბლები, ალუბლები, ნუშები, ორი-სამი თხილი და ვაშლები ჩაუყრიათ და ყველას კარგათ უხარნიათ. დიდი თუთაც ვანამყნეთ ერთს დიდს თუთის ხეზედ.

ღვინოები კარგი დადგა, ჩვენა გვაქვს ეხლა ოთხი პატარა ქვევრი თითო ორ-ორ, სამ-სამ კოკიანი და ერთი დიდი ქვევრი, რომელიც ძალიან კარგიაო და რომელიც არ გადამიღებინებია, რადგან ჭერჭელიც არა გვქონდა და ამას გარდა, არცა რა უჭირსრა, რომ კათათვემდინ გადაუღებელი დარჩეს. რაც შეეხება ღვინის იაფად გაყიდვას, მიკვირს, რომ მაგას იწერები. საქონლის სიიაფე და სიძვირე მარტო საზოგადო სიმცირეზე კი არ არის დამოკიდებული, იმისი ფასი იმის სიუხვეზედ ჰკიდია. წრეულს იმდენი ღვინო წევს ცხინვალის ხეობაში, რომ მიკვირს, კიდევ, ისე კარგ ფასათ როგორ გავყიდეთ. შარშან ჩვენს ვენახში 56 კოკა გამოსულა და შარშანწინ, მგონი, ოცდათხუთმეტი. არა, აბა ამის კვალობაზე იანგარიშე, რამდენათ წრეულს უფრო მეტი ღვინო უნდა მოსულიყო და როგორ უნდა გაიაფებულიყო. ვენახი თუმცა სხვაფრივ კარგათ არის მოვლილი, მაგრამ შეჯალჯება კი ცოტა აკლია, მაგრამ გოგაშვილები მეუბნებიან, რომ როცა ამ გაზაფხულის მუშაობას მოვრჩებით, კარგად შევჯალჯამთო. ნერგები საზოგადოთ კარგათ არიან, მხოლოთ ხუთიოდესთვის იასეს თხებს ქერქი შემოუციცქნიათ; ჯერ კარგათ არიან და არ ვიცი, იხეირებენ თუ არა.

შენგან გამოგზავნილი გაზეთები უკლებლივ მომდიან და კაი შემწეობასაც მიშვებიან. მიროვოი სუდია გავიცან, მაგრამ ჯერ მოკლეთ ვერა. ძალიან კაი კაცსა ჰგავს.

მოვალეებში მხოლოთ თათარმა მნახა, მაგრამ კი არა უთქვამსრა; მხოლოთ შენი მოსვლისა მკითხა. ანიკომ კი ძალიან გამიჭირა საქმე, მაგრამ როგორც იყო, დავაშოშმინე. ამას გარდა, ორი უცნობი მოვალე გამოგვიჩნდა, ერთი ვიღაც თუმანიშვილი, ექვსი თუმნის ვექსილი ჰქონია მამაჩემისაგან და მეორე ვიღაც მამიჩემის სახლიპატრონი!

აქაურს ავათმყოფობაზედ იმაზედ მეტს ვერას მოგწერ, რაც შენც იცი. მოარული ავათმყოფობა დადის ჭვალსავით და ყელის სიებასავით. ძალიან შეამცირა ხალხი, მაგრამ მაინც ძნელია სთქვას კაცმა, ეს ჭირიაო.

სახლში ორი პატარა გოგო გვყავს: ერთი მიხეილას ჩამოუყვანია ოსებიდან და მეორე დარიკოს ქალის მომვლელი. რაც შეეხება ბიჭებს, არ ვიცი, როგორ არის იმათი საქმე. ზაქარა ჩემს მისვლამდის არსად წავა და როცა მივალ, ვეცდები, შენს მოსვლამდის შევაჩერო. ესტატესი კი არა ვიცირა, დაბრუნდა თუ არა, ჩამომსვლელი არავინ მინახავს. ცხენს ცოტა ახველებდა და წამალს ვუშვრებოდით და არ ვიცი, ეხლა როგორ არის. საიმისო არა უჭირსრა.

ახლა აქაურს, ქალაქურს ამბებს მოგწერ. მე ამდენი ხანი ქალაქში უფრო იმიტომ დავრჩი, რომ დარიკოს სრულს მორჩენას ველოდი და მინდა, თან წავიყვანო. ეხლა სრულებით უკეთ არის, მხოლოთ მუცელი სტკივა ხოლმე. მგონი, წელების კატარი აქვს; იმედი მაქვს, ამ ერთს კვირაზედ მორჩება და თან წავიყვან. ამას გარდა, მე შემაგვიანა ბანკისა და მარშლის ამორჩევის თავობაზედ ყრილობამ.

დირექტორათ ამორჩევაზედ რომ გწერდი, მე არ ვიცოდი, რომ წრეულს მხოლოთ ბანკის გამგებელი უნდა ამოერჩიათ და დამფასებლები, დირექტორი კი ერთი მერმის უნდა ამოირჩიონ და მეორე ორის წლის შემდეგ. ბანკის გამგებლათ ისევ ჭავჭავაძე ამოირჩიეს. დირექტორათ, მე იმედი მაქვს, მერმის შემეძლება. დამფასებლობაზედ კი დიდი უარი

ვსთქვი, თუმცა, ძალიან ბევრი მთხოვეს საზოგადოებაშიაც და ჯამაგირიც ასოცს თუმნათ გაუხადეს...

გუბერნიის მარშლათ სუმბათოვი დარჩა. გორის უეზდში კი ამირანდო ამილახვარი ამოარჩიეს ალ. ერისთავის მაგივრათ. იასეც აქ არის სახლობით. ტიტიკო დაიბარეს მეორეთ შესამოწმებლათ. იასემ ბევრი მთხოვა, საზოგადოებაში ტიტიკოს პატივების თავობაზედა სთხოვეო, მაგრამ მე ვუთხარი, არას გზით არ შემიძლიან მაგაზედ საზოგადოებაში ვილაპარაკო მეთქი. ცოტა აბუსხულნი არიან. მაგრამ რა მენაღვლება. მე ცოტათი კარგათ მიცქერის საზოგადოება და მაგათ გულისთვის, სწორე გითხრა, სახელს არ გავიტეხავ.

სხვამ გამოაცხადა ტიტიკოს პატივების თავობაზედ. მამაცაშვილმაც, ილ. ჭავჭავაძემაც იშუამდგომლეს ჩემის ხათრით, მაგრამ მაინც არა გამოვიდარა. ჯერ კი დათანხმდა საზოგადოება ადგომ-დაჯდომით, მაგრამ მერე კენჭი ჩამოატარეს და მომეტებულმა ნაწილმა უარი სთქვა. დარიკომ, დეიდამ, ილიკომ მოგიკითხეს.

ყმაწვილები მომიკითხე.

შენი ვანო
[1882 წელი]

29

თბილისი. 12 მარტს.

ძვირფასო ძმაო ვასო. გუშინწინ მივიღე სანდრო ერისთავის პენსიის ფურცლები და გუშინწინვე გადავეცი. ფურცლებთან ერთად შენი წერილიც იყო, რომლითაც მოკლედ მატყობინებდი შენს ამბავს, მაგრამ ის კი გამიკვირდა, რომ აპრილი მოახლოებულია და მოსვლისას არას იწერები, თუმცა კი, მეორე მხრივ, გასაკვირველიც არ არის, რადგან მაგ ორს საქმეს კაი თავი და მოვლა უნდა. იმ დღეს გრინბერგი ვნახე, ჩვენი თამარაშნელი ნაცნობი და მიამბო შენი ამბავი: მაისში წამოვაო, გვირგვინის კუთხევის დროს მოსკოვში დარჩება პატარა ხანსა და მერე აქეთ გამოემგზავრებაო. მართალია თუ არა, რატომ არას იწერები?

ვასოჯან, შინ ეს ერთი თვეა არა ვყოფილვარ, ამიტომ იქაური ამბავი არა ვიცი-რა. მხოლოდ დეიდაჩემის წერილი მომივიდა. ეს არის, ეხლა რომელშიაც მატყობინებს, რომ დარიკო მანიჩკასთან ერთად ავლევს წასულან. მანიჩკას ამბავს არას იწერება, თუმცა, წიგნის მომტანმა კი მითხრა, ათასში ერთხელ სიცხეს აძლევსო. ამ სამს კვირაზედ იმედი მაქვს, კასრაძის საქმესაც მოვრჩე და Вводный лист-იზე ჩავიბარო, მხოლოდ ოთხმოცი თუმანი კი დამჭირდება კასრაძის ცოლისათვის მისაცემად. რასაკვირველია, ამ ფულს მხოლოდ მაშინ ჩავიბარებ, როცა მამულის ჩაბარება გათავდება, როგორც ურიის ვენახის თაობაზე მოვიქეცი. ცხინვალში რომ ვიყავ, მითხრეს, რომ მეორე ვენახის პატრონი ურია მარტში მოვა და ერთ თვეზე მეტი დარჩებაო; იქნება, შინ რომ ავიდე, იმ ურიასაც გავუთავო საქმე შენი მოწერილობისამებრ.

შანშიევი ვნახე და ასე მითხრა, შენს ძმას ჩემს მაგიერადა სთხოვე, თავისი აზრი მომწეროს ჩემის საქმის თაობაზედაო, დასჭირდება ადვოკატი ამ საქმეს, თუ არაო. სწორე გითხრა, ამ ყბედ კაცთან ლაპარაკმა გამიჭირა საქმე. შენი ჭირიმე, ვასო, მიხსენ როგორმე ამ კაცისაგან და პირდაპირ შენ მოსწერე წერილი ამ ადრესით: Тифлись. Вознесенская ул. собств. д. Григорію Осиповичу Шаншіеву. თუ ადვოკატი დასჭირდება მაგ საქმეს, მოსწერე, რომ ჩემი აზრი ეს არის, უადვოკატოდ არ მოხერხდებათქო და მე ვიცი მაშინ, ეს შენ მო-

განდობს და შეიძლება, პირდაპირ პირობებიც გამოუცხადო წერილით, თორემ, როგორც ეტყობა ამის ღრეჭას, მუქთად უნდა გაურიგო საქმე შინაურულად, ჩვენებურად.

დღეს ედიგაროვი (ღენერალი) დამხვდა და მთხოვა მოგწერო, რომ Здѣсь его повѣренный приготовляетъ черновое прошеніе по его дѣлу (тебѣ известному), чтобы тебя не затруднить тамъ.

ამას გარდა ნიკო ჩოლოყაშვილმა (ციმბირში რომ იყო ცოლის თაობაზედ) მთხოვა შემდეგი მოგწერო: Въ кассаціонном департаментѣ сената находится 2 дѣло: 1. Кассація, поданная Тамамшевымъ и Тулаевымъ на кн. Николая Чолокаева о неустойках и 2. Кассація Николая Фаддѣевича Чолокаева противъ нихъ-же объ убыткахъ. Просилъ онъ следить за этими дѣлами и принять на себя. Также просилъ написать твое мнѣніе – можно ли разсчитывать выйграть эти дѣла. Объ условіяхъ напиши ему. Въ Кухи, Семеновскій переул. д. 12, кн. Николаю Фаддѣевича Чолокаеву.

აქაური ამბავი ეს არის: გრიგოლ ორბელიანი არის ძალიან ავად და მორჩენის იმედი აღარავისა აქვს. ამას გარდა, გაზეთებიდამ შეიტყობდი, იმ დღეს ტრუპამ „მეფე ლირი“ ითამაშა, მაგრამ ისე საძაგლად, რომ მაყურებლები ყურებში თითებს იცობდენ, თუმცა კი, თითონ კ. ყიფიანი ლირის როლში ადგილ-ადგილ ჩინებული რამ იყო.

ამასწინად მესხს ვუთხარი, „დროება“ ეგზავნა შენთვის და არ ვიცი, მოგდის თუ არა. მართლა, მეტად ცუდად არის ამ გაზეთის საქმე, მატერიალურად კი არა, ლიტერატურულის მხრივ. მესხი ძალიან ავად არის, ასე რომ ექიმებმა აუკრძალეს ორის-სამის წლით კალმის აღება და თავს ანებებს გაზეთს – ჰყიდის და ექვსას თუმანსა თხოულობს, რომლიდანაც უნდა ოთხას ორმოცდაათი თუმანი რედაქციის ვალებში მისცეს და ასორმოცდაათი თუმანი თითონ მოიხმაროს მოსარჩენად. აგროვებენ კიდეც ამ ფულს და უნდათ, იმისთანა პირს გადასცენ, რომელსაც უფრო რიგიანად შეეძლოს გაზეთის წაყვანა. საქმე დღემდის ასეა გაჩერებული: ცალკე კაცის შოვნა უჭირდებათ, ცალკე ფულისა. ჭავჭავაძეს უნდა, რომ რედაქტორათ ქანანოვი დააყენონ, მაგრამ სხვები თითქმის ყველანი წინააღმდეგნი არიან, რადგან ზარმაცი კაცია და ჟურნალის წაყვანის დროს დაამტკიცა თვისი უსაქმურობა. მეტადრე უფრო ყმაწვილები არიან ამის წინააღმდეგნი და ესენი მე მთხოვენ, რომ ვიკისრო. უნდა გითხრა, რომ რედაქტორს უნიშნავენ ჯამაგირს სახლს გარდა 1500 მან. წელიწადში, მაგრამ ეს ჯამაგირი სამუდამო არ არის. შესანიშნავი უფრო ის არის, რომ დროება ეხლანდელს ცუდს მდგომარეობაშიაც კი ორასს თუმნამდე ნაღდს მოგებას აძლევს, თუ, რასაკვირველია, მუქთი მშრომლები ვიანგარიშეთ და ყველას იმედი აქვს, რომ თუ რიგიანად წავიდა ამ გამოცემის საქმე, მაშინ, შეიძლება, ყველა თანამშრომლებს (მუდმივებს) ფასი ეძლეოდეთ. არ ვიცი, შენ რას იტყვი ამ საქმის თაობაზედ?

შენი ვანო
[1883 წელი]

30

16 მარტს.

ძვირფასო ძმაო ვასო!

კოინდარის თესლი ვაყიდვინე მებაღეს ლომიძესთან და აი, გიგზავნი პეტრე მძინარაშვილის ხელით. არ ვიცი, გამოგადგება თუ არა. დათიკო მაჩაბელი არ მინახავს. სამეურნეო საზოგადოებაში აღარ ჰქონდათ, სულ გაეყიდნათ, რაც ჰქონდათ. დედაკაცისას და მებაღისას საიმედოს ვერას მოგწერ და თუ ხეირიანი ვიშოვნე ვინმე – გამოგიგზავნი.

რკინის გზის ამბავი სრულად მტკიცდება, ამბობენ ამ ზაფხულშივე დაიწყებენ მუშაობას, რადგან 20 მილიონი პეტროვსკის გზიდამ ამ გზაზე გადმოიტანესო. ნიკოლაძის ამბავი არაფერი ვიცი, არც ელიზბარისა. ამას გარდა, გესიამოვნება მანიჩკას ამბავი: ორჯერა გვყავდა ბენკლევსკისთან და ასე სთქვა, მარცხენა ყური სრულიად კარგადა აქვს და წამლობა საჭირო აღარ არისო; მარჯვენა ყურში კი შიგნით კანი (бар. переп.) ცოტა სქელი აქვს და ისიც მალე მოურჩებაო. ყველანი დამიკოცნე. თამრიკო როგორა გყავს?

შენი ვანო
[1883 წელი]

31

ძმაო ვასო! ეს არის, ეხლა ჩამოვიდა თბილისში ერთი ბათუმელი მცხოვრები, რომელსაც საკმაო მამული აქვს ბათუმში, მაგრამ საქმე სახათაბალოდ გახდომია. ამის გარედ დანარჩენს ბათუმელებსაც, ვისაც ამგვარად გაჩხაბნული აქვსთ საქმე, ამ კაცისთვის მიუნდვიათ იპოვოს ისეთი პირი, რომელსაც მათი დაცვა და გაჭირვებისაგან დახსნა შეუძლიან.

ფულად საქმის წარმოებისთვის გადახდა ხსენებულს ბათუმელს არ შეუძლიან, მაგრამ საქმის წარმოებელს აძლევენ მთელი მამულების მეათედს, რაც შეადგენს დაახლოებით 11000 ოთხკუთხს საჟენს და შუა რიცხვით საჟენის ფასი რომ 50 მან. მივიღოთ, მაშინაც საკმაისო ფულს შეადგენს.

თუ ქსურს და ხელს მოჰკიდებ, შემატყობინე საჩქაროდ და ყოველის ღონისძიებით ვეცდები, ხელიდგან არ წაგივიდეს ეს საქმე.

ჩემთვის სასიამოვნო იქნება, რომ მათი მსარჩვლელობა შენ მიიღო, რადგანაც ერთის მხრით: „ლუკმა თუ აგვარდეს – ჯამში ჩავარდეს“, თუ აღებაა, ჩვენმავე აიღოს და მეორეს მხრით, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენის მოძმესთვის შენ უფრო გული შეგტკივა, სანამ სხვა და სხვა -ოვებს და -იცკებს. მაშასადამე, მაშინ არც მწვადი და არც შამფური დაიწვის.

კნეინას მდაბლად თავს დაუკრავ.
ისურვებს შენს მშვიდობიან ცხოვრებას
შენი ა. ყაზბეგი

P. S. საქმე ჩვენთვის ისე საინტერესო ი. ჭ. და ი. პ-ის შემწეობით ჯერ კარგად მიდის და იმედია, ჩვენდა სასურველად გათავდეს.

ძმაო ვასო. ეს არის ეხლა გაათავეს პოლტორაცკიმ, ილიამ და იმისმა სე-ებმა მოლაპარაკება. ილია და პოლტორაცკი იმ აზრს დაადგნენ, რომ მე იმისგან გამოთხოვება არ უნდა მიმეღო. მაგრამ იმისი ს-ები არ დაკმაყოფილებულან და უთქვამთ, რომ ხვალ 6 საათამდე ელიან ჩემგან პასუხს და თუ პასუხს არ მიიღებენ, მაშინ თავისუფალნი იქნებიან თავიანთ მოქმედებაში. მე, სწორე გითხრა, იმათი ბაქი-ბუქებისა არ მეშინიან და არც დუელში გავალ და თუ გაბედავენ სადმე ჩემს დახვედრას, შესაფერს პასუხს მიიღებენ. თუ მომხრეებზე მიდგა საქმე, იქნება მე უფრო ბევრი მომხრე ვიშოვნო მათზე. შენ ნურაფერი ჯავრი გექნება.

შენი ვანო
[1883 წელი]



ალექსანდრე ყაზბეგი, სერგეი მესხი და ივანე მაჩაბელი

მხატვარი: თეიმურაზ ყუბანეიშვილი

32

ვასოჯან, გიგზავნი გურამოვის ტელეგრამას და აპელაციის საჩივრის გამო გადაწყვეტილებასაც. ორივ სანუგეშოა; მეტადრე ელიზბარის საქმე; ასე რომ, ამ ამბავმა, მგონი, აღარ უნდა შეგაწუხოს ისე მაინც, როგორც აქამდის გაწუხებდა; რაც შეეხება როკის გზას, კაი ამბავი არა ისმის-რა. გადაწყვეტილება არა ყოფილა-რა მინისტრების კომიტეტისა. მხოლოდ სამხედრო მინისტრს უნდოდა თურმე, მაგრამ იმის აზრს ჯერჯეობით ყურადღებას არავინ აქცევს. ნინო და თამრიკო ჯერ არ მინახავს. ხვალ ან ზეგა ვნახავ და იმათს ამბავს მოგწერ. დედაკაცისა და მებაღის შოვნა ძალიან გამიჭირდა, ისე შენ თუ არ ჩამოხვედი, ძნელი იქნება სათქვენო მოსამსახურეების შოვნა. კოინდარი პეტრე მძინარაშვილის ხელით გამოვგზავნე.

მაშ, ამ დღეებში გელი. ყოჩაღად იყავ; ნურაფერზე შეწუხდები.

შენი ვანო

დედას აკოცე.

[1883 წელი]

33

ძმაო ვასო.

ეს არის ეხლა მომივიდა ის ტელეგრამა შემდეგი შინაარსისა: „Сообщи Васо, Нико только вчера вернулся изъ Парижа, посылает тебѣ нужное письмо, необходимо, Васо, прочесть раньше выезда. Рокская дорога – отдаленное будущее“.

ეს ტელეგრამა, თუმცა, ერთის მხრით, სანუგეშოა, მაგრამ როკის გზის შესახებ ამბავმა კი შემაწუხა. საკვირველია, რომ ქალაქში სულ სხვას ლაპარაკობენ, არ იცის კაცმა,



რუსუდან ნიკოლაძე, დავით გურამიშვილი, თამარ ნიკოლაძე,
ნიკო ნიკოლაძე, ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძე
თბილისი, 1890-იანი წლები

რომელს ერთს დაუჯეროს. მოგივიდა გუშინ გამოგზავნილი წიგნი და კოინდარის თესლი თუ არა?

ყველანი დამიკოცნე.

შენი ვანო
[1883 წელი]

34

15 აპრილს.

ძმაო ვასო.

როგორცა მწერდი, ვიყავ თუმანიშვილთან და პასპორტი მივეცი. ასე მითხრა, რომ 18 მანეთის გადახდევინებას მე ვერ ვიკისრებო და ვეცდები მხოლოდ, რომ ეს საქმე როგორმე მოისპოსო, რადგან იმის საჩივარი სამართლიანია ფორმალურადაო, თორემ ვიცი, რომ იმ რუსს უკან ვიღაც ამოსდგომია და ის აკლაუზნიკებსო. რუსის ხელმოწერილი 40 მანეთის თაობაზედ დამიბრუნა და მითხრა, რომ თქვენ უფლებას არა ჰკარგავთ ამ ფულის გადახდევინებისას, მაგრამ პასპორტი კი არ უნდა დაგეჭირათ, პოლიციაში მაინც უნდა წარგედგინათო.

ამის გარდა, დ. სარაჯოვმა მითხრა, რომ ოცი თუმანი შენთვის მზად არის, როცა კი მოისურვებ იმ ათ თუმანს გარდა, რომელიც სახლის ქირაში გაგიბარა. მომწერე, ეს ფული აქ ჩამოსვლამდის თუ დაგჭირდება, შემიძლიან, გამოგიგზავნო.

შენი ვანო

ნინო მომიკითხე, აგრეთვე ყმაწვილები.

[1885 წლის შემდეგ]

35

1 აგვისტო. თბილისი.

ძმაო ვასო. ძალიან გაჭირდა დედაკაცების შოვნა და იმიტომ ვერა შეგატყობინერა. მებაღისა მათეს შევუკვეთე და დამპირდა კიდეც; მაგრამ დედაკაცები, თუმცა იმდღესვე შევუკვეთე შიო დავიდოვს, რამწამს შენი წერილი მივიღე, – არა ყაბულდებიან სოფლად გასვლას. შიომ მითხრა: განა არა, არიან მოხუცებიც, ბავშვების მომვლელნიც, მაგრამ სოფლად არ ჩადიან წასვლას, თუმცა ბევრს ვარწმუნებ, რომ იქ სულ სხვა სოფელიაო. ახლა ერთი ბებერი დედაკაცი აღმოჩნდა. ძალიან ბებერი კია, კბილებჩაცვინული და ყაბულდება წამოსვლას ერთ თუმნად თვეში: ბავშვების მოვლაც შემიძლიან და სარეცხიცაო. არცა ვსვამ, ბავშვებიც მიყვარს და კაი სახლებშიაც ვიდექიო. არ ვიცი, ღმერთმანი, გამოგიგზავნო თუ არა. მეც ძალიან დაღონებული ვარ, ვაი თუ არ გამოგადგეს. თუ უწინდელებს დაიყაბულებ როგორმე, უკეთესი იქნება, თორემ საშინელი ძნელია აქ სასოფლოდ შოვნა. ახლა რას მომწერ ამ ბებერ დედაკაცზე, შენ იცი. პირველის შეხედვით ეს დედაკაცი ძალიან ბებრია, მაგრამ ცოცხალ დედაკაცს კი ჰგავს. გივუნაშვილის საქმე ხერხდება. ჩქარა მომწერე პასუხი.

ყველანი მომიკითხე.

შენი ძმა ი. მაჩ.

[1885 წლის შემდეგ]

36

თბილისი. 12 დეკემბერი.

ძვირფასო ძმაო ვასო.


მომივიდა შენი წერილი და დიდი მადლობა უნდა შემოგითვალო როგორც ჩემის მხრივ, ისე გიორგი ქართველიშვილისა, რომ ყველაფერი შეგიტყვია, რაც საჭირო იყო. მაგრამ იმედი მაქვს, არ დაიზარებ და ერთხელ კიდევ ნახავ ზიჩსა და ლემან-მეის. მასუკან შენ რომ აღარ შეგაწუხონ, შეგიძლიან უთხრა, პირდაპირ მე მომწერონ ხოლმე წიგნი და პასუხსაც მე მივცემ.

ჯერ ზიჩის თაობაზედ: ზიჩის გამოვუგზავნე ფოტოგრაფიული სურათები ზოგიერთი ძველი მხატვრებისა ვეფხვის-ტყაოსნის პირველი სურათისთვის; არ ვიცი, მოუვიდა, თუ არა? ამას გარდა, თუმცა კუდს არა ეშველება-რა, მაგრამ თუ ზიჩს არ დაზარდება, შეიძლება, იგივე სურათი ხელმეორედ შევუკვეთოთ, სრულიად ისე, როგორც არის, მხოლოდ უკუდოდ კი. ხარჯს ზიჩი ნუ მოერიდება ამ საგანზედ. რასაკვირველია, ამას ისე ეტყვი ზიჩს, რომ არ ეწყინოს და თუ ცოტათიც არის სამძიმო, მაშინ თავი დაანებოს, რაც არის, იგივ დარჩეს.

რაც შეეხება ლემანსა და მეის, მაგათ, არ ვიცი კი, რომელს უნდა ჰქონდეს ეხლა შემოკვეთილი და ჯერედ ჩემთვის გამოუგზავნელი:

8 სათაური ასო, 9 კანცოვკა (cul lampe) და 6 ბორდიურა.

უნდა შემიტყო, ეს რომელს მაგათგანსა აქვს, ან რამდენს იღებენ უკანასკნელს ფასს და როდის გაათავებენ. უნდა უთხრა, რომ რამწამს მორჩებიან საქმეს, მაშინვე მე გამომიგზავნონ და ფულს ვაველბერგის შემწეობით გამოვუგზავნი მაშინათვე. გეთაყვა, ამ ასოების, კანცოვკების და ბორდიურების ბედი შემატყობინე და აგრეთვე ამასთან გამოგზავნილი 9 ასო და 3 კანცოვკა რომელსაც გინდა, იმას მიეც. მგონი, შენი თქმისა არ იყოს, ლემანთანა სჯობდეს; ესეც უთხარი, რომ ყოველს ასოს, კანცოვკას და ბორდიურს



გიორგი ქართველიშვილი
1880-იანი წლები
ფოტო: გენრიკ ფილიპოვიჩ

გამოაყოლონ თან гальванопластический оттиск-ი, როგორც ამას წინად გამოატანეს გამოგზავნილ ასოებს და კანცოვკებს.

ამასთანავე დაუმატე, რომ არამც და არამც იმაზე მეტი არ აიღონ, რაც უწინადღეს და ხელწერილიც ჩამოართვი, რომ მიიღეს გასაკეთებლად. დააშურებინე.

მიამა მანდაური კარგი ამბები და აქაც ძალიან გახარებული ვართ მინგრელსკის ამბებზედ, თუ გამართლდა ეგზარხოსის გადაყვანაზე, თუმცა, ამბობენ, რომ ეგზარხოსი უკანვე დაბრუნდებაო. თუ ნამდვილი იცი რამე, მომწერე.

ნინოსი და ყმაწვილების დარდი ნურა გაქვს-რა. სრულიად კარგად არიან. ნინოს წამლობა თურმე არაფერი უნდა, მიზეზიანად ყოფილა. პატარები ისე არიან, რომ მოგეწონება. თუმცა გიორგიმ ცოტა ინაღვლა და სიცხეც მისცა, მაგრამ უშაკოვმა უწამლა კარგად და ეხლა ფეხზედ დაცუნცულებს და თავისებურად იცინის. მხოლოდ ხშირად იძახის „პაპაო“.

თამარიკო ძალიან შემეჩვია და ისეა გასუქებული, რომ მოგეწონება.

იმ დღევანდელი ათი თუმანი გადავეცი ნინოს, მაგრამ გაგარინმა არაფერი გამოგზავნა. ნინომ მისწერა, მაგრამ პასუხიც არ აღირსა. ისევ უნდა უჩივლოს, მეტი გზა არ არის.

შენი ძმა ვანო

P. S. ვასო, ერთს ასოს და ერთს კანცოვკას, რომელსაც ამ წერილთან გიგზავნი, ზოლები უსხას: ამ ასოსა და კანცოვკაში ტატიშვილს ჩაუსხამს ასოები გ. ტ. ლემანს უთხარი, ეს ასოები ამოშალოს და კვლავაც ამოშალოს ხოლმე, როცა შეხვდება ამისთანა ასოები.

აგრეთვე ლემანმა გამოგზავნოს მატრიცები წინად გამოგზავნილის ბორდიურებისა და თვით ორიგინალები, რომლიდამაც გადაიღო. კვლავაც გამოგზავნოს ხოლმე მატრიცები და ორიგინალები.

[1886 წელი]



მიხაი ზიჩი

1880-იანი წლები


37

10 იანვარს.

ძვირფასო ძმაო ვასო. ბევრს გაწუხებ ამ მიწერ-მოწერით, მაგრამ რა გაეწყობა? შენ რომ არ გამოგერკვია, ძალიან აიწეწებოდა ჩვენი საქმე საბინგუსის ხელში და შენ კი იწერები, ხომ არ გეწყინათ, 12 ბოთლი ღვინო რომ გავუგზავრე ზიჩსაო. შენგან არ მიკვირს? გიორგი ქართველიშვილი ისეთი მადლიერია შენი, რომ თორმეტი ბოთლი ღვინო კი არა, ასჯერ უფრო ძვირფასი რომ გაგეგზავნა, არ დაგემდურებოდა, თორემ 12 ბოთლი, აბა, რა სათქმელია!

ეხლა სრულებით ცხადია კანცოვკებისა და ასოების საქმე და აი კიდევ გიგზავნი 8 ასოს და 2 კანცოვკას; ამათაც მეის მისცემ და ეტყვი, რომ მიაქციონ ყურადღება იმ შენიშვნას, რომელიც ზოგიერთ ასოებ ქვეშ არის მიწერილი. ამას გარდა, იქნებ დაყაბულდეს, რომ ზედიზედ ყველა ასო და კანცოვკა, როგორც ეს ათი, ისე კვლავ გამოსაგზავნი, ექვს-ექვს მანათად გააკეთოს; თუ არ დაყაბულდეს, მაინც გაურიგდი, როგორც ამჯობინო. ამას გარდა, ყოველ ამისთანა კანცოვკას და ასოს გალვანოპლასტიკური ოტტისკი უნდა (ერთ მანათამდე დაჯდება თითო); ესეც მეის უნდა შეუკვეთო, რომ იზრუნოს და როგორც ხეზედ ამოჭრილი, ისე გალვანოპლასტიკური ოტტისკები, მაგან გამომიგზავნოს ხოლმე; ან თუ იკისრებს, ლემანმა. მაგრამ ისე კი მოაწყე, გეთაყვა, საქმე, რომ შენის წამოსვლის შემდეგ საქმე აღარ დაბრკოლდეს და მუყაითად იყვნენ.

რაც შეეხება ბორდიურებს, მე უწინ ბორდიურების მატრიცებზე გწერდი და არა სხვაზედ. ლემანს კიდევ უთხარ, მატრიცები გამოგზავნოს იმ ორი პუნცონისა, რომელიც ჩაბარებული გვაქვს სრულებით. ამას გარდა, მეისთვის შეუკვეთნია ექვსი ბორდიურა საბინგუსს. როგორც იწერები, ეს ბორდიურები სულ სხვაფრივ იქნება გასაკეთებელი, ვიდრე ორი, ლემანისგან ჩაბარებული. ეს არ ივარგებს. ერთნაირად უნდა გაკეთდეს. ამისთვის უთხარ მეის, თუ შეუძლიან პუნცონების გაკეთება და მატრიცებისა, მაშინ გააკეთოს და



ივანე მაჩაბელი
თბილისი, 1880-იანი წლები
ფოტო: ვლადიმირ ბარკანოვ

ფასი დაგვინიშნოს, თუ არა, ლემანს გარდაეც, რომ უწინდებურად გააკეთოს (უწინ თითო სამ თუმნად გააკეთა). ამასთანავე ორივეს უნდა უთხრა, რომ ორიგინალები გამოგვიგზავნონ იმისიც, რაც გაკეთებულია და იმისაც, რასაც შემდეგ გააკეთებენ. თუმცა, ფასებსა გწერ, ვასო, შენდა საყურადღებოდ, მაგრამ თუ მეტი გზა არ იქნება, მეტი მიეც, მხოლოდ საქმე კი ნუ დაბრკოლდება.

ზიჩისათვის რომ კუდი წაგიშლევინებია, ყველას ძალიან გაგვეხარდა.

ვასოჯან, ეს, მგონი, უკანასკნელად გაწუხებ. ამას იქით მე პირდაპირ ლემანსა და მეის მივწერ ხოლმე წიგნსა, მხოლოდ მეის ადრესი არ ვიცი, თორემ ლამის თავი გამოგილაყო ამდენ ტექნიკური ტერმინებით.

აქაური ჯავრი ნურა გექნება-რა. ყველანი კარგად არიან, მეტადრე თამრიკო და გიორგი. ნინო მიზეზიანობს, მაგრამ კარგად არის სრულებით. დედაჩემიც ჩამოვიდა და აქ არის ჩემთან. შენც მალე მოგელით. ნინოს შენგან ოცი თუმანი მოუვიდა. შინიდამ სასიამოვნო ამბები ჩამოიტანა მოურავმა, მხოლოდ ის გეწყინებოდა, ბოსელი რომ დაუდგამს შაქროს, მაგრამ ჯერ მარტო ხის კედლებია თურმე და თუ მოინდომე, მალე ააღებინებ. რატომ მინგრელსკის საქმისას არას იწერები, როგორ არის.

შენი ძმა ვანო მაჩაბელი
[1887 წელი]

38

თბილისი. 30 მარტს.

ძვირფასო ძმაო ვასო. დღეს მომივიდა შენი ტელეგრამა და დღესვე მივიღე ფული. ცნობები ყველა შეკრეფილი მაქვს, ასე რომ, ამ ორს დღეზედ შინ ავალ და მამულს ვვოდნი ლისტით ჩავიბარებ. ფულსაც მხოლოდ მაშინ მივცემ კასრაძის ცოლს. ურია თუ

მოსულა, იმასაც ვეცდები, საქმე გავუთავო. შინ რომ ვიყავი, მეუბნებოდნენ, მარტის გასულს მოვაო და ერთი თვე დარჩებაო. ვნახოთ, რა იქნება. მე ჩემსას ვეცდები და იქნება მოვრიგდეთ როგორმე.

შინაური ამბავი არა ვიცი-რა და როცა იქიდამ ჩამოვალ, მაშინ მოგწერ. ეხლა კი გიგზავნი მიხაკო ამირაჯიბის წერილს, რომლიდამაც კარგად ვერა გავიგერა, არ ვიცი. ორასს თუმანს თხოულობს, თუ ოთხასს. მგონი, შენ უფრო მიხვდები, რადგან მოლაპარაკება გქონდათ. როგორც ეტყობა, სხვა მუშტარი ტყუილი მიზეზია; იქნება, მიზეზი უფრო ის იყოს, რომ რიგიანად ვერასა სარგებლობენ იმ მამულიდამ და ვანო მაჩაბელმაც გაუჭირა დავებით საქმე. როგორც დაინახო საჭიროდ, ისეთი პასუხი მისწერე.

ვასოჯან, წინადღეს ანანა იყო, კარაპეტას ცოლი და მთხოვა, იმის საქმე გაგახსენო, თითონ მოაგონდებაო: ფული მართებია ამისი ვიღაცას და თუ მოეგვარება რამე, ნახევარი თითონ აიღოსო. ამას გარდა, იოთამ კობახიძის ცოლი იყო ჩემთან, – რა ვქნა ძმაო, – ისეთ საქმეებში ჩაები, რომ გინდა თუ არა, ჩემს წერილებში ორიოდ-სამი სახათაბალო საქმე უნდა ამოიკითხო, – და მთხოვა, რომ შეუტყო რამე ამის საქმისა, ამის ქმარი რომ აზნაურიშვილობას ეძებდა. ბლაღოჩინისაგან წარმოდგენილი მოწმობა სინოდში, უკანვე დაუბრუნებიათ, აქაო და თუ მოეგვარება რამე, გვიბძანოსო.

რატომ მოსვლისას კიდევ არას იწერები. გრიუნბერგმა კი მითხრა შენი, რომ კორონაციის დროს მოსკოვში გამოივლის და მასუკან კავკასიაშიც მოვაო; არ ვიცი, მართალია, თუ არა. წიგნების სიას (მაღაზიისათვის) ამ ორ კვირაზედ გამოგიგზავნით და ძალიან მადლობელი დაგრჩებით ყველანი, რომ იაფად დაათმობინო. ამას გარდა, თუ იმისთანა პირობას დაგვიდებენ, რომ რაც გაუყიდავი დარჩება, უკანვე მიიღონ, კარგი იქნება. რაც შეეხება წიგნის მაღაზიის წაყვანას, იმედია, კარგად წავა, რადგან მომეტებულ ნაწილ სასწავლებლების ხელში მოგდება შეიძლება. ზიჩის კარგი იქნება, დააჩქარებინო პასუხის მოწერა და არ იქნება ურიგო, ისიც მოგვწეროს, სად ემჯობინება ამოჭრა სურათებისა და რაზედ.

წელან დამავიწყდა მიხაკო ამირაჯიბის ადრესი მომეწერა: В Гоми (п.-м. ж. д.). Кн. Мих. Давид. Амираджиби.

მამუკა ჭავჭავაძეს გადავეცი შენგან მოწერილი ამბავი.

მშვიდობით. ეხლა კი მეორე წერილამდის. იმედი მაქვს ამ ერთ კვირაზედ შინაური ამბები სულ მოგწერო.

შენი ძმა ვანო
[1887 წელი]

39

20 ენკენისთვეს. თბილისი.

ძვირფასო ძმაო ვასო.

შაქრო ჯორჯაძემ კიდევ გთხოვა, რომ შენის ჩამოსვლის დროს თან წამოიღო ძველი ღვინის ჭაშნიკი და ესეც დაუმატა, როცა ჩამოვა, მოვილაპარაკებთ ტკბილების თაობაზედ და თუ ფული გადამრჩა, მივცემ დასაკვეთადაო. როგორც ეტყობა, მანდაური ღვინოები მოსწონს და უეჭველად იყიდის. ამას გარდა, დღეს ელისაბედ, ორბელიანის ცოლის წერილიც მომივიდა, მთხოვს შეგატყობინო, რომ ოცდასამისთვის ის თათარი არ იქნება

აქა და ამ საქმისთვის ჯერ-ჯერობით ნუღარ ჩამოვა, მეც თითონ სოფელში მივდივარო. ამას გატყობინებ მხოლოდ, რადგან მთხოვა, შეგატყობინო, მაგრამ შენ, რასაკვირველია, ამის გულისათვის არ დაიშლი ჩამოსვლას, რადგან, მე ვგონებ, ძალიან საჭიროა ჯორჯაძესთან მოლაპარაკება ღვინოების თაობაზედ და გულით მოგელის.

გაგარინის ცოლმა ძალიან გააჯანჯლა საქმე. მე ჯერ გავგზავნე კაცი, წერილიც მივწერე, მაგრამ ვერაფერმა ვერ გასჭრა, ამათთანა უსინდისო ხალხი მე არ მინახავს, რაღაც უცნაურ პასუხებს იძლევიან, ხან ბარონს მოელიან, ხან გრაფს, ხან ვიღაც კნიაზს, რომელსაც ვითომ ამათი საქმე აქვს ჩაბარებული. მეტი გზა არ არის, როცა ჩამოხვალ, უნდა უკანასკნელი ულტიმატუმი გაუგზავნო, თორემ ესენი თავიანთ ღმერთს არ შეჰხედვენ.

მაშ, ნახვამდის, მალე გელი. ბავშვები დამიკოცნე. დედა და ნინო მომიკითხე.

შენი ვანო

[1887 წელი]

40

თბილისი. 18 თებერვალს. 96.

ძვირფასო ძმაო ვასო.

დღეს ჩამოვედი ქალაქში და ჯაბადარმა მაჩვენა წერილი კოლა ორბელიანისაგან მოწერილი. კოლა იწერება, რომ გამგეობის პასუხზედ ორს ქაღალდს ამზადებს: ერთს მოკლეს, საქმიანს და მეორეს ვრცელს, ლანძღვისას. მე ცალკე წერილითა ვწერ, რომ მეორე ქაღალდი თუ ჯერ არ მიუცია, ნურც მისცემს, რადგან საქმეს ტყუილად გააგრძელებს და პირველი საქმის ქაღალდით გასცეს პასუხი. შენ ნურაფერს ეტყვი, რომ ზოგან გაქვს რამე მიწერილი, მიდი იმასთან და მოახერხე, რომ ეგება წაგიკითხოს, რაც დაწერილი აქვს, ამასთანავე მოხერხებულად ეცადე, საკრედიტო კანცელარიას სთხოვოს, დაპირდნენ გადაწყვეტილს, როდის გაათავებენ საქმეს, რომ ან ჰო ვიცოდეთ, ან არა. ეს ყველაფერი ისე ოსტატურად მოახერხე, რომ კოლას არ აწყენიო, ხომ იცი, ცოტა ფხუკიანია, მაგრამ თქვენ ხომ თანშეზრდილები ხართ და შენ უფრო იცი მაგისი ხასიათი.

გაზეთზედ თუ დაგვეხმარები რასმე, ხომ ჩინებული იქნება. მინგრელსკი თუ კარგად იცნობს გორემიაკინს, ძალიან საქმე იქნება, რომ „დროების“ ნება-რთვა მომცენ. Закавказье-ზედ ყველაფერი გილომა და კოლამ იციან. აქაური ჯავრი ნურა გექნება-რა, ყმაწვილები კარგად არიან, ოღონდ მანდ ეცადე.

წერილი საჩქაროდ მომწერე ქალაქში.

Тифлись, Ольгинская 40.

ჩვენებმა ყველამ გაკოცეს.

შენი ვანო

41

თბილისი. 7 აპრილი.

ძვირფასო ძმაო ვასო.

შენი წერილი, 25 მარტს დაწერილი, ეს ხუთი დღეა მივიღე და, სწორე გითხრა, შემებრალე, რომ მაგ უცნაურ კაცთანა გაქვს საქმე და მაგის უთავბოლო საქციელს უნდა უხა-

დო ბოდიში. როგორც ვატყობ საქმეს, მანდ უარესი ამბებია და შენ ნელ-ნელა გვაჩვევ, არ გინდა, უეცრად შეგვაწუხო, მაგრამ, შენი ჭირიმე, ვასო, მოურიდებლად, რამწამს ეს წერილი მოგივიდეს, მოიწერე სწორი და უტყუარი ამბავი, ჩვენ ყოველნაირ საძაგელი ამბისათვის მომზადებული ვართ, რაკი იმდენი არ გაგვიჭრა გამჭრიახობამ, რომ ვერ შევატყეთ, რა კაცის ხელში ვაგდებდით ამოდენა ხალხის ბედს. მე დარწმუნებული ვარ, რაკი ეს წერილი მოგივა, მაშინაც არ ექნება შეტანილი თავის „20-თაბახიანი“ პასუხი, თუმცა, უნდა 29 მარტს შეეტანა. რაც შეეხება ადგილის შოვნას, სარაჯევთან წინადაც ვცადე, მაგრამ არა გამოვიდა-რა. სხვაგანაც ვცადე, რაც შეიძლებოდა და კიდევაც ვცდილობ და ვნახოთ, რა გამოვა.

საშინლად დაღალული გწერ ამ წერილს და იქნება ყოველ შენს საკითხავზედ პასუხს ვერ გაძლევდე.

შინ ყველანი კარგად არიან, აქაურობის ჯავრი ნურა გაქვს-რა, ნეტავი მანდ კარგად იყოს საქმე, შენი მაინც.

გუბერნიის მარშლის თაობაზედ გადაწყვეტილი არა ისმის რა, ზოგნი ამბობენ ის პარტია ილია ჭავჭავაძის ან პეტ. გრუზინსკის გამოყვანას აპირობსო ჯამაგირათ და შეიძლება, გაიტანონ კიდეც თავიანთი ამ ადვილი გამარჯვების შემდეგ, რომელიც ბანკში მივანიჭეთ.

აქ ახალი ამბავი ის არის, რომ ჭავჭავაძე და თუმანიანი ძალიან წაიკიდნენ სომხების თაობაზედ. ველიჩკომა და ჭ-ძემ ერთად გაილაშქრეს სომხებზედ გაზეთებში და ძალიან გადაიმტერეს სომხები.

რა ჰქენი შენი და მინგრელსკის თამასუქისა, რომელსაც 30 აპრილსა აქვს ვადა, არას იწერები, რას უპირობ. ამას გარდა, 25 მაისს მე და შენი თამასუქია წარსადგენი და ამ ვადამდე თუ არ მოხვალ, მოიწერე, რომ გამოგიგზავნო ბლანკი ხელმოსაწერად. ველი შენს წერილს მოუთმენლად.

შენი ვანო

ჩვენებმა ყველამ მოგიკითხეს.

[1896 წელი]

42

თბილისი, 21 თებერვალი, 97.

ძვირფასო ძმაო ვასო.

გუშინ ტელეგრამა მოუვიდა ჯაბადარს კოლასი, რომლითაც თხოულობს, გამოვუგზავნო კოპიო რეზოლიუციისა არუთინოვის საქმისა. რას ნიშნავს ეს ამბავი? თუ პასუხისათვის უნდა, სად წავა საქმე? ჯერ ერთია ესა, ეხლა უქმეებია, რეზოლიუციის მიღება შეიძლება მხოლოდ 25-26 თებერვალს, მანდ მოვა მარტის დამდეგს და სანამ ეგ ჩააკერებს თავის პასუხში და სანამ კანცელიარია გასინჯავს, ვინ იცის, რამდენი დრო გავა და საქმე კი არ გათავდება არამცთუ მარტში, იქნება აპრილიც ზედ მიეჭყლიტოს. აქ კი, კრება, ამბობენ, უნდათ, მარტში მოახდინონო, აპრილში ხომ უეჭველად იქნება და იქნება, დააკანონებენ თავიანთ პასუხს და მერე გინდა გადასწყვიტოს სამინისტრომ, გინდა ნუ, საქმეს აღარა მოევლება-რა. ამის გამო თხოვნა მოვწერე კოლას ტელეგრამით, საქმე, რაც

შეიძლება, დააჩქაროს, მაგრამ არ ვიცი, გასჭრის ჩემი თხოვნა თუ არა. თუ ვინიცობაა, ჩემ თხოვნაზე შეფუცხუნებულა, ან შენ არა გაქვს იმედი, სამინისტრომ გაათავოს საქმე, დეპეშა მომწერე მაშინვე და მე წამოვალ უთუოდ და ვთხოვ სამინისტროს, გადაჭრილი პასუხი სთქვას. ეხლა საქმე საქმეზეა მიყვანილი და კოლა რაღაც წვრილმანებს გამოუდგა და იმიტომ ბრკოლდება საქმე. რასაკვირველია, ჩემი წამოსვლა მანდ ეხლა ძნელია, მაგრამ სხვაფრივ, ვგონებ, არა მოხერხდება-რა. აი, როგორ შეიტყობ, საქმე რა მდგომარეობაშია: კოლას რომ ჰკითხო, შეიძლება იცრუოს და იწყინოს კიდეც, შაქრო ნახე მაღალოვი და იმას სთხოვე, არ დაგზარდება, მივიდეს შიპოვთან და შეიტყოს გადაჭრილი, როდის გათავდება საქმე. თუ შაქროს პასუხზედ დაატყო, რომ საქმე შეიძლება გაგრძელდეს, მაშინვე დეპეშა დაჰკარ და წამოვალ უსათუოდ. ვგონებ, სამინისტრო მიიღებს სახეში, რომ 9 თვე ველით საქმეს და ასე თუ ისე, გადასწყვეტს. ასე თუ ისე, საქმის მალე გადაწყვეტა აუცილებლად საჭიროა; აი, ეხლაც იყვნენ ჩემთან სოხუმის თავის ადგილზედ მოსალაპარაკებლად, იქ ხმოსნები დაუმტკიცებიათ და არჩევნები თავისა სააღდგომოდ იქნება. მე გადაწყვეტილი პასუხი ვერ მივეც კიდევ მაგ საქმის გამო.

ერთის სიტყვით, დაჩქარებაა საჭირო აუცილებლად, კოლას ნუ შეაფუცხუნებ კი და აუხსენ, რომ ეს მამაძაღლები ცდილობენ ჩემს გაჭყლეტას და შემოფანტვას: მიშო თელავში გადაჰკარგეს, ელიაშვილი – ზაქათალაში, ბახტაძე ბაქოში მიდის, მეც უნდა გარდავიხვეწო სადმე და დასხდნენ და იპარპაშონ. აი, რას მოგვიტანს გარემოება, თუ ეხლაც გაიმარჯვეს, ან თუ სამინისტრომ მარტის 15-20-მდე არ გადასწყვიტა საქმე.

ასე, ჩემო ვასო. აქ სხვაფრივ მშვიდობაა, ველი შენს ტელეგრამას, ყველამ მოგიკითხეს.

შენი ვანო

მომწერე, შეიძლება უშუბოთ სიარული პეტერბურგში, თუ არა.

43

5 მარტს. 97. ს. ფცა.

ძვირფასო ძმაო ვასო.

ეს არის, ეხლა მომივიდა შენი წერილი და ცოტა ნუგეში მომცა, თორემ, სწორე გითხრა, სულ გადამიწყდა იმედი, ისე უცნაურად იქცევა კოლა. დავანებოთ იმას თავი, რომ ჩემს აუარებელს წერილებზედ პასუხს არას იძლევა, ამ ტელეგრამებით ვადების დანიშვნამ, რომ ამა და ამ დროს გათავდებაო, ხომ სრულიად მოთმინება დაგვიკარგა ყველას. 15 ოქტომბერს აქეთ 15-ჯერ დანიშნულა ვადა, რასაკვირველია, უმნიშვნელოდ და უნაყოფოდ. ეხლაც ძალიან ეჭვი მაქვს, რომ 3 მარტს მისცეს ქაღალდი. ან კი რა საჭირო იყო ეს პასუხი, რაკი ასე უჭირდებოდა იმის დაწერა? დეე, გადავიწყვიტოთ მაგის საჩივრის ძალით და იმ პროტოკოლების ძალით, რომელნიც თავიანთ პასუხისთვის თან გამოუყოლებიათ. ახლა იმისიც მეშინიან, მაგის პასუხი კიდევ არ გამოუგზავნონ ამათ საპასუხოდ, მაშინ სად წავა! მაგრამ ერთი გარემოება მანუგეშებს: ნიკოლაძეს მანდ პეტერბურლში ულაპარაკნია ერთ სარწმუნო პირთან, კოჩაკიძესთან, რომ სამინისტროში გადაწყვეტილი აქვთ, პირველი არჩევანი დაიმტკიცონო და ულაპარაკნია ძალიან გულმოსულს. თუ ეს მართალია, საქმე კარგად ყოფილა და მხოლოდ დაჩქარება უნდა. კარგად გიქნია ძალიან, რომ აგრე სათუთად ექცევი კოლას, მაგრამ მეშინიან, ამ სათუთობამ იქამდე არ მიაღ-

წიოს, რომ იმის ყოველ სიტყვას ენდო და როგორც ვატყობ, ყოველ მაგის სიტყვას კი შემოწმება უნდა, დარწმუნება. უამისოდ არ შეიძლება არაფერი დაეჯეროს. ვწუხვარ, გულით ვწუხვარ, რომ ასე ყოფილა საქმე, მაგრამ რა გაეწყობა, უნდა ბოლომდე ვიწვნიოთ წვენი. შენი ჭირიმე, ვასო, მიიღე რაიმე საშუალება ამ შემოწმებისთვის, თორემ მარტო მაგის სიტყვაზედ დანდობა სულ უქმი იქნება. რა საშუალება იქნება, აქედან ძნელია კაცმა სთქვას, შენ უფრო მოახერხებ, როგორ და რა გზით მოიქცე.

შენი ჭირიმე, ვასო, მომწერე, საჩქაროდ წერილი და შემატყობინე:

1. მისცა კოლამ ქაღალდი თუ არა, ან როდის მისცა.

2. წაგიკითხა შენც, თუ არ წაუკითხავს.

3. საროდიოდ აპირებენ საბოლოოდ გადაწყვეტას.

რა ცნობასაც კი მოიწერები, ისიც დაურთე ხოლმე, მარტო კოლასაგან გაქვს შეტყობილი, თუ სხვაფრივ შემოწმებული.

ჯერ არა არის-რა გამოცხადებული საზოგადო კრების შესახებ, ამბობენ, აშურებენო, მაგრამ არ ვიცით, როდის იქნება. რამწამს გამოაცხადებენ, ეს ორი კვირის წინად უნდა მოხდეს, მაშინვე ტელეგრამით გაცნობებთ.

თუ ამ წერილის მოსვლამდე არ გამოგიგზავნია წერილი, შენი ჭირიმე, მაშინვე წერილი მოიწერე და დაწვრილებით შემატყობინე.

აქაურობის ჯავრი ნურა გაქვს-რა. ყველანი კარგად არიან; ამ ერთ კვირაში ჩავალ ქალაქს და ყველასა ვნახავ კიდევ.

ჩვენებმა ყველამ გაკოცეს.

შენი ვანო

44

თბილისი. 15 მარტი, 97.

ძმაო ვასო.

ამ ფალავანდიშვილს, კიაზოს შვილს, საქმე აქვს პეტერბურგში ძალიან საჭირო და შენი ჭირიმე, რაც შეიძლებოდეს, დაეხმარე. თითონ კარგი ყმაწვილია და სრულიად უბრალოდ კი იტანჯება. ვიცი, ბევრი საქმე გექნება, მაგრამ ერთი-ორი სიტყვა, ვისთანაც საჭიროა, დახარჯე ამისათვისაც.

შენი ვანო

45

15 მარტს. 97 წ. თბილისი.

ძვირფასო ძმაო ვასო.

შენმა უკანასკნელმა წერილმა გიორგისთან, 8 მარტს დაწერილმა, ცოტაოდენი იმედი მოგვცა. რაკი ნავსი გატეხილა და გაზეთის თაობაზედ ქაღალდი მიუცია, იქნება ეხლა მაინც უფრო მუყაითად შეუდგეს საქმეს. კიდევ და კიდევ მადლობა ღმერთს, რომ შენ წახვედი, თორემ რაკი თავისებურად ზარმაცობისათვის მიუყვია ხელი, ველარც კი დააბოლოებდა. მხოლოდ ერთ რასმეს არ იწერები, – შეუდგა თუ არა წერას? სამწუხაროდ,

ეხლა ყოველს მაგის სიტყვას შემოწმება უნდა, თორემ სიცრუე სენადა აქვს შეჩვეული. ძალიან კარგია, რომ ეგეთის სიფრთხილით შესდგომიხარ საქმეს და იმედია, ბოლომდეც აგრე გაატან. შენი ჭირიმე, რამწამს ეს წერილი მოგივიდეს, შემდეგი შემატყობინე:

1. დაწყებული აქვს თუ არა კოლას თავის პასუხი, და წაგიკითხა თუ არა?

2. თუ წაგიკითხა, როგორც მოგეწონა, ან მეტის-მეტი ლანძღვა ხომ არ არის, რამაც შეიძლება ძალიან ცუდი შთაბეჭდილება იქონიოს კანცელარიაზედ? იქნება როგორმე შეამოკლებინო ლანძღვა, თუ არის.

3. არ შეიძლება, მიხვიდე კანცელარიაში და უთხრა, რომ შეიძლება თუ არა მოგცენ კოპიო იმათ პასუხისა, თუ მე რწმუნების ქაღალდი გამოგიგზავნე და რა დაჯდება ეს კოპიო? ამ კოპიოს მოთხოვნა შეიძლება იმ საბუთის ძალით, რომ მრავალი სიცრუეა ჩემს შესახებ და იქნება, სამართლის გზითაც მოვნახო პასუხი. თუ შეიძლება, რომ კანცელარიამ იმათვე მოსთხოვოს მეორე ეგზემპლიარი დაბეჭდილი საჩივრისა (რაკი დაუბეჭდიათ, უეჭველია ბლომად დაბეჭდდნენ) და მოგვცეს, ან შენ, ან კოლას, რომელმაც თავის საჩივარი იმათაც გაუგზავნა, ხომ კიდევ უკეთესი.

4. როცა კოლა მისცემს ქაღალდს, მაშინვე შემატყობინე და არ შეიძლება, შაქრო მაღალოვის შემწეობით (შიპოვს კარგად იცნობს) შეიტყო, როდის გაათავებენ და იმისვე შუამავლობით იმოქმედო შიპოვზედ (დირექტორის მაგიერია კანცელარიაში და ვგონებ, ამ საქმეს სულ ის აწარმოებს)?

ახლა აქაურ ამბებს მოგწერ.

შინ ყველანი მშვიდობით არიან, ბავშვებიც, სულ ერთიანად; გუშინ ვიყავი, დარიკოც აქ არის.

კომერციულ ბანკში შენი და მინგრელსკის თამასუქის (1500 მან-იანის) ვადა 30 აპრილს არის.

დანილოვთან ოთხჯერ ვიყავ და სახლში ვერ მოვასწარ; წუხელის ვნახე მხოლოდ და მოველაპარაკე იმ საქმეზედ, რაზედაც გწერდი, მაგრამ წინააღმდეგია როგორღაც მინგრელსკისა, მაგრამ ასე სთქვა, ამ ათ დღეში მე თითონ ვიქნები პეტერბურღშიო; там съездъ юрисконсультов казенныхъ желѣзныхъ дорогъ. პროფესორ ფრინიცკისთან ვდგები ხოლმეო; ამ პროფესორის ადრესს შეიტყობ, რასაკვირველია, და შენ თითონ ნახავ დანილოვს და მოელაპარაკები, თუ თითონ არ მოგნახა. შენი ადრესი მივეცი, სთქვა, ვნახავო, მაგრამ სჯობს, შენვე მოსძებნო, ვინ იცის, გაიცხელებს თავს სხვისი საქმისთვის.

თუმცა, ხმები იყო, მარტში იქნება კრებაო, მაგრამ გამტყუნდა. ნამდვილად შეიძლება ვთქვათ, რომ აღდგომამდე არ იქნება და აღდგომას შემდეგ როდის ინება, არ ვიცით. იქნება, იმ დრომდე როგორმე ბოლო მოეღოს ჩვენს საქმეს, თორემ კრების შემდეგ გინა კარგად გადაწყდეს კიდეც, მნიშვნელობას დაჰკარგავს, მაგრამ ამაზედ ლაპარაკი რაღა საჭიროა, შენ თითონ უკედ გესმის და ჩინებულ გზასაც დასდგომიხარ. იქნება, შენმა დიპლომატობამ გასჭრას კოლასთან და გაათავოს როგორმე.

ჩვენებმა ყველამ გაკოცეს. გიორგი აპირობდა ამ წერილზედ მიწერას რიღაცისაც, მაგრამ მერე მითხრა, ცალკე წერილს მივწერო.

ხვალ სოფელში მივდივარ და იქნება, აღდგომამდე არ ჩამოვიდე. ტელეგრამა თუ მომწერო რამე, გორში მომწერე, წერილები კი ქალაქში გამოგზავნე, მალე მომივა.

შენი ვანო

46

თბილისი. 19 მარტს, 97 წ.

ძვირფასო ძმაო ვასო.

რაღა მადლობა უნდა გარდაგიხადოთ და გარდავუხადოთ იმ შემთხვევას, რომელმაც შენ ეხლა პეტერბურგში გადაგტყორცნა. უშენოდ საქმე წაგებული იყო, რაკი კოლამ აგრე გული აიცრუა და ეხლა კიდევ ცოტაოდენი იმედი გვილვივის გულში. ვერ წარმოიდგენ, რა სახით შეგვაშინა „ლისტოკში“ გამოცხადებულმა ამბავმა, ვითომ საკრედიტო კანცელარიას უყურადღებოდ დაეტოვებინოს საჩივარი, მაგრამ შენმა ტელეგრამამ ეს შიში გაგვიფანტა, თუმცა „Коля подастъ объясненіе“, კარგად ვერ გავიგეთ, რას ნიშნავს; კიდევ ისე გააჭიანურებს, როგორც წინად, თუ მომზადებული აქვს და დღეს-ხვალ მისცემს? იმედია, ეს ამ წერილის მანდ მოსვლამდე გამოირკვევა და თუ ვერ გამოირკვა, შენი ჭირიმე, მაშინვე მაცნობე, რამწამსაც მისცემს თავის პასუხს.

ბარემ აქვე გეტყვი, რომ გიორგის სახელით გამოგზავნილ ტელეგრამებს მე ვაგზავნი ხოლმე და იმის სახელს ვაწერ. გიორგი შიშობს, არ ეწყინოს, რომ ამდენს ვაწუხებო, მაგრამ ვარწმუნებ, ამ შემთხვევაში ის არაფერს დაიზარებს მეთქი.

აი, ეხლაც, კიდევ პატარა სათხოვარი მაქვს. შენ იცი, რომ „დროებაზედ“ თხოვნა მივეცი 8 იანვარს; პაკელს 18 იანვრამდე ეს თხოვნა თავის არზით წარუდგენია პეტერბურგს; დათიკო მელიქოვმა, რომელსაც დახმარება ვთხოვე, მირჩია, სახელი გამოუცვალეო და მეც გუშინ დამატებითი თხოვნა გამოვგზავნე Главное управленіе-ში, „დროების“ მაგივრად „სიმი“ დავარქვი. დათიკო დამპირდა, წერილს მივწერ პეტერბურგში ჩემს ერთს ნაცნობსაო და მისწერს კიდეც, მაგრამ, ვგონებ, არაფერი გამოვიდეს, რადგან, როგორც ამბობენ, პაკელს ცუდი აზრი წარმოუდგენია მიუხედავად იმისა, რომ დათიკო მელიქოვი ძალიანა ცდილობს ამ საქმეზედ. თუ შეიტყობ რასმე გილოს შუამავლობით ამ საქმეზედ და იმედი იქნება, ხომ დამეხმარები, მაგრამ თუ იმედი გადაწყვეტილია, გილოს მოელაპარაკე და ეცადე, რომ ხელაძეს მაინც დავეხმაროთ, რომლის გაზეთიც (წყარო) ჩვენს ხელში იქნება. იმან უწინ რედაქტორად მუსხელოვი წარადგინა, მაგრამ დაუწუნეს, ქართული არ იცისო და ოფიციალურად მისწერეს (მე თვითონ ვნახე ქაღალდი): Вамъ будетъ разрѣшена газета, если представите соответствующего редактора. ეხლა ამას გ. ყიფშიძე წარუდგენია და ვგონებ, მიზეზი აღარა ჰქონდეთ უარის თქმისა. რაღა გაგიმეორო, თუ შეიძლებოდეს, ყოვლის გზით დაეხმარეთ.

აქ მარტში ვერ მოახერხეს კრება, იქნება აპრილშიც გაუჭირდეთ, რადგან ბანკში დიდი უწესრიგობაა; აქამდის წლის ანგარიში არა აქვთ მზად და მოხსენებებს არც კი შესდგომია. ამბობენ, ტელეგრამაც მოუვიდათ პეტერბურღიდან, Не созывать собранія впредь до особого распоряженія Министра. იქნება ეს კიკოს საჩივრის პასუხიც იყოს. კიკომ 27 თებერვალს კიდევ მეორე საჩივარი გაუგზავნა სამინისტროს, რომლის ბოლოშიაც ამბობს: მოვიდა დრო მეორე კრებისა და აქაც იგივე უწესობა და კანონის დარღვევა იქნება, რაც შარშან საგანგებო კრებაზედაო.

ახლა კიდევ, ვასოჯან, აი, რა უნდა მოგწერო. შენ ჩინებული თავს-მდგომი გაუჩნდი კოლას და ვგონებ, დარწმუნდი კიდეც, რომ მაგის მარტო დატოვება არ შეიძლება. თუ შენს წამოსვლამდე საქმე არ გათავდა, ერთი-ორი კვირის წინად მომწერე, რომ მე წამოვიდე შენს მაგიერად. ვეცდები, არ გავაჯავრო და შენსავით ფრთხილად მოვექცე. საქმის მაგის სინაბარად გახდომა კი ყოვლად შეუძლებელია.

ველი მოუთმენლად შენს წერილს.

შინ ყველანი მშვიდობით არიან, ნურაფერი ჯავრი ნურა გაქვს-რა აქაური. ყველა ჩვენმა მეგობრებმა დიდი მადლობა შემოგითვალეს დამამშვიდებელი ტელეგრამისთვის.

შენი ვანო

47

ს. ფცა. 25 მარტი. 97.

ძვირფასო ძმაო ვასო.

„ივერიაში“ გამოცხადებულია, რომ ამ დღეებში ზედამხედველმა კომიტეტმა გადასწყვიტა, ბანკის კრება 20 მაისს დაიწყოსო. ეს ოფიციალურად არ არის გამოცხადებული, მარტო ახალ ამბებშია და შეიძლება, განგებაც იყოს დაბეჭდილი ჩვენს დასამშვიდებლად, მაგრამ ჭკუასთან ახლოა, რომ ეს გამართლდეს. მაინც და მაინც ეს ამბავი შენთვის შეინახე, კოლას ნუ ეტყვი, თორემ ვაი თუ იფიქროს, აჩქარება რა საჭიროაო. მაგრამ სწორედ 20 მაისსაც რომ იყოს დანიშნული, მაინც აუცილებლად საჭიროა, სამინისტრომ, რაც შეიძლება ჩქარა, გადაწყვიტოს როგორმე, ან ცუდად, ან კარგად ეს საქმე. თუ ჩვენს სასარგებლოდ გათავდა და პირველი კრება კანონიერად იცნეს და მეორე უკანონოდ, ეს უნდა ერთი თვით ან სამი კვირით მაინც ადრე შევიტყოთ კრებამდე, რომ მოვემზადოთ, თორემ ისინი, როგორც შევიტყვე, აპირებენ, ამისთანა შემთხვევაში ყველანი გავიდნენ და არავინ არ აგვარჩევინონ, იძულებული გაგვხადონ, უარი ვთქვა მე თითონ. მე, რასაკვირველია, არ შევეპუები, მაგრამ საჭიროა, რომ ჩვენც რაიმე ძალას წარმოვადგენდეთ და ამისათვის უნდა წინდაწინვე ვიცოდეთ სამინისტროს გადაწყვეტილება. იქნება, ეხლა მიცემულიცა ჰქონდეს კოლას ქაღალდი და თუ ასეა, იქნება, აღდგომამდისვე გადასწყვიტონ. ძალიან გეხვეწები ამ საქმის ბევჯითობას, ან კი რა საჭიროა მოგონება, შენ უფრო კარგად გესმის ამ საქმის მნიშვნელობა.

შენი ჭირიმე, ვასო, ხშირად მომწერე ხოლმე წერილი და მაცნობე ყოველივე გარემოება. აღდგომამდე თუ მომწერო რამე, სჯობს, გომში მომწერო, თუმცა, არც თბილისში მოწერილი დაიკარგება, მხოლოდ ერთი ორი დღით დაგვიანდება.

შენი ვანო

დარია მაჩაბელ-ამირეჯიბს

1

1876 წ. 8 გიორგობისთვე (ნოემბერი).

სასურველო დაო დარიკო. ორი კვირის მგზავრობის შემდეგ ძლივს დავბინავდი ერთს ალაგას. დავბინავდი, მაგრამ ცალკე თქვენი ჯავრი მაწუხებს, რომ ეგრე უპატრონოდ დარჩით, ცალკე ჩემი მარტოკაობა. ვერ წარმოიდგენ, საყვარელო დაო, რა ძნელი ყოფილა ესე უცხო ქვეყანას ჩამოვარდნა, სადაც ერთს სიტყვას ვერ გაიგონებს კაცი, რომელმაც



სხედან: იასე მაჩაბლის მეუღლე – მარიამ ციციშვილი-მაჩაბელი, ივანე მაჩაბლის პაპიდა – ელენე მაჩაბელი-დიასამიძე, და – დარია მაჩაბელი-ამირეჯიბი; დგანან: ბიძაშვილი – ტიტიკო მაჩაბელი, ბიძები – ალექსანდრე და იასე მაჩაბლები, მამა – გიორგი მაჩაბელი 1850-იანი წლები

პატარა გული მოულბოს, სადაც ყოველი სახე და ყოველი სიტყვა უცნობია და ვერაფერი ვერა მოაგონებს რა კაცს თავის სამშობლო ქვეყანას. თუმცა, მე აქაც არაფერი მაკლია და ყველანი კარგად მეკიდებიან, მაგრამ მაინც კიდევ სხვა ყოფილა კაცისთვის სამშობლო ცის ქვეშ ყოფნა და უცხო ქვეყანას გადაკარგვა. ეხლა პატარა გულზედ დარდი მომეშვა, რომ შევიძელ შენთან ქართულად გამოლაპარაკება. ასე მგონია, კიდევ თამარაშენში ვარ და კიდევ შენ გელაპარაკები მეთქი. მაგრამ დავანებოთ თავი ამ ქალურ წრიპინს, რა გამოვა ბევრი ჩივილისაგან. ისა სჯობს, რომ თვალწინ წარმოვიდგინოთ ის იმედი, რომ ორი წლის უკან (და არა სამი წლისა, როგორც ფიქრადა მქონდა) კიდევ მეღირსება მანდეთკენ პირის გამობრუნება. მანამდისინ კი ამასა გთხოვ, რომ, რაც შეგეძლოს, ხშირად მომწერე ხოლმე წიგნი. იქნება, სთქვა, რომ აქ არაფერი ამბავი არა არისრა და რა მივწეროო. მაგას ნუ იტყვი. რაც უნდა წვრილმანი ამბავი იყოს, მაინც მანდაური ამბავი ჩემთვის საინტერესო იქნება. დედა სიყვარულით დამიკოცნე და უთხარი, რომ ამ ორი წლის უკან რომ მოვალ, ჩურჩხელები დამახვედროს. პაპიდაჩემი რასა იქს? ჯერ ხომ არ გაუსეირნია. თუ კიდევ ეყურება რამე, ასე უთხარ ჩემს მაგიერად, ამ ორწელიწადს კბილები მაგრად მოუჭირე, არ გაიპაროთქო და თან ისეთს წამალს მოგიტან, რომ ოცი წლის ქალს დაგამზგავსოთქო; ეს წამალი ეხლა მოუგონიათ აქათქო. ესტატე მომიკითხე და ესე უთხარი, კოპი ხომ აღარ გაცურებულა პოლზედათქო. ზაქარა თუ თქვენთან არის, მომიკითხე და უთხარი, რომ ჩემს მოსვლამდინ არსად წავიდეს, თუ ჩემი ხათრი ცოტათი მაინცა აქვს. იოსებს უთხარი, რომ მოვალ, წიგნის კითხვა თუ არ გეცოდინება, ან მე და ან შენათქო.

ჩვენი სოფლელები ყველანი მომიკითხე.

ილიკოს მანდ ყოფნა საეჭვოდა მაქვს და ამიტომ ყველაზედ ბოლოს მოვაქციე. თუ მანდ იყოს, სიყვარულით დამიკოცნე (შენ ხომ გიყვარს ტლაშა-ტლუში) და უთხარი, რომ შენს წიგნში მაინც მომწეროს ორიოდე სიტყვა, რა ჰქნა ან რას სჩადის თავის საქმისას.

მართლა, კინაღამ ზალიკო არ დამავიწყდა. რა ჰქნა, ჯვარი ხომ არ დაუწერია. თუ

აპირებს ჯვარის წერას, ასე უთხარი, ქორწილში ჩემი სადღეგრძელო დალიეთქო და მეც შენს სადღეგრძელოს აქ დავლევთქო. თუმცა, ღვინო ძვირია აქა, მაგრამ ლუდით მაინც ვადღეგრძელებ, ჩვენებურად ოსურადათქო.

შენი უსიამოვნო ძმა ვანო

რაღას გეხვეწო წიგნის მალე მოწერას.

ჰოჰენჰაიმი

2

15 გიორგობისთვე (ნოემბერი).

ძვირფასო დაო დარიკო. სასაცილო იყო ჩემი პირველი წიგნი შენთან; არ ვიცი, მოგივიდა თუ არა, მაგრამ თუ მოგივიდა, ძალიან გაგაოცებდა ჩემი ისე გულითადი თხოვნა – წიგნი მომწერე ხოლმე მეთქი. მართლაც, წიგნის მოწერას კი გთხოვდი და კი არ გწერდი, სადა ვარ და რა გზით უნდა მომწერო. განა არა, წერის დროს სულ მაგონდებოდა – ბოლოს ადრესი ჩაურთომეთქი, მაგრამ გულის ყური სულ სხვაგანა მქონდა და როცა წიგნი გამოგზავნილი იყო, მაშინ მომაგონდა, მაგრამ გვიანღა იყო. მეშინიან, კიდევ არ დამავიწყდეს და ამიტომ ეხლავე მოგწერ ჩემს ადრესს: კონვერტრზე უნდა დააწერო: Въ Германію. Штуттгарт. Stuttgart. Hohenheim. Zögling der Akademie Hans Matchabeli.

გაჭირდება კი ამ ადრესის დაწერა თამარაშენში, მაგრამ თუ ზალიკო მანდ არის, სთხოვე ჩემს მაგიერად, რომ როგორც იყოს, გადახატოს; ამისთვის განგებ გარკვევით დავწერე.

ეხლა კი კანონიერად შემიძლიან, გთხოვო წიგნის მოწერა. ჯერ ერთი ესა, რომ აგერ მეორე წიგნსა გწერ (ხომ იცი ჩემი სიზარმაცე წიგნის წერაში); მეორეც ესა, რომ გამოგზავნა აღარ გაგიჭირდება.

რა ამბავია თამარაშენში? რა ცვლილება მოხდა ჩემი წასვლის შემდეგ? ვინ გათხოვდა, ვინ დაქორწილდა? დათოვლა ჯერ, თუ ისევ ისე თბილა?

ილიკო, მე ვიცი, ეხლა მანდ იქნება და სიყვარულით დამიკოცნე, ზოგი ჩემს მაგიერად, ზოგი შენს მაგიერად. დედა რასა იქს? თავის ტკივილი ხომ აღარ მოსდის; ან სიძუნწეს თავი დაანება, თუ არა; მეორე ჩაინიკი ისევ ისე მთელია, თუ არა? ესე იგი პაპიდაჩემი?

ესტატეს უთხარი, თუ იხვები ბევრი გამოჩნდებიან ლიახვზე, სანადიროდ ხშირად წადი ხოლმე თქო; თუ დახოცო, დალორე და შემინახეთქო, მაგრამ ხორგ ქვეშ კი ნუ შეინახამ, გაზაფხულზე წყალი წაიღებს-თქო.

ზაქარა ისევ თქვენთან არის თუ არა?

იქნებ გაგიკვირდეს ჩემი ესე წვრილმანებზე ლაპარაკი, მაგრამ შენ რომ ჩემს ალაგას იყო, სრულადაც არ გაგიკვირდება. ჩემთვის ეხლა ეს მიწერ-მოწერა ქართული ლაპარაკის მაგიერია. ეს არის, ეხლა ვასიკოს წიგნი მომივიდა და უნდა გითხრა, რომ სრულებით გამაცოცხლა; ასე რომ, წიგნის წერისაც კი მადა მომგვარა.

ამ სამს კვირაზედ ველი შენს წიგნს. მართლა, ბაღში ხილი ჩაჰყარეთ თუ არა?

შენი უსიამოვნო ძმა ვანო

სახლები როგორი გამოდგა. ხომ ძალიან არ ცივა ხოლმე.

[ჰოჰენჰაიმი, 1876 წელი]



ივანე მაჩაბელი
თბილისი, 1860-იანი წლები

3

ჰოჰენჰაიმი.

საყვარელო დაო დარიკო, გახსოვს, პატარები რომ ვიყავით, დავსხდებოდით ხოლმე ახალწლის წინა დღეს და ვანგარიშობდით: ეხლა ახალწელიწადი ქალაქს არის მოსული, ეხლა გორს, საცაა აქაც მოვაო. ამ ჩვენს ბავშვურს ანგარიშს ცოტა არ იყოს, საბუთი ჰქონდა; აი, მაგალითად, დღეს აქ ახალწელიწადია და ეს წიგნი რომ მოგივა, იქნება თქვენში ჯერ ახალწელიწადი არცკი იყოს დამდგარი. ეს იმისაგან წარმოსდგება, რომ რუსეთს გარდა, თითქმის ყველა ქვეყნებში ყოველი უქმე დღე თორმეტის დღით ადრე მოდის, ასე რომ, ეხლა თქვენში ჯერ 20 დეკემბერია. მაშ, ნუ გაგიკვირდება, რომ ამ წიგნით მოგილოცო ახალი წელიწადი და ვისურვოთ, რომ, – რადგან ეს წელიწადი მართლა განსხვავებულად ახალია შენთვის: ჯერ ერთი ისა, რომ ქმრიანი ხარ და მეორეც ესა, რომ მალე დედობას მოელი, გისურვო, რომ ამას იქით არაფერი უსიამოვნება აღარა ნახო და რაც მწუხარება გინახავს, ყოველივე სიხარულად შეგეცვალოს; დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასე იქნება, რადგან იმედი მაქვს, რომ ილიკო ისეთი ბიჭია, უბრალოდ არაფერზედ შეგაწუხებს, რასაკვირველია, თუ შენც რიგიანად მოიქცევი და არ აუხირდები ხოლმე.

დღეს დილით ჯერ არ გამომეღვიძნა, რომ შენი წიგნი შემომიტანეს; უნდა გითხრა, რომ ეს წიგნი კაი ახალწლის საჩუქარი იყო ჩემთვის, სანამ გავხსნიდი; რაკი გავხსენი, ისე შემაწუხეს მაგ უსიამოვნო ამბებმა, რომ თუმცა კიდევ ძილის ბურანში ვკითხულობდი, მაგრამ მაგის შემდეგ ძილი აღარ მომსვლია; რა დამართნიათ ამ ზემოქართლელებს; დავიჯერო ერთმანეთის ჟლეტის მეტი საქმე არა აქვთრა? კარგად შეინახა ლევანმა ჩემი მოცემული სიტყვა, ღვინოს აღარ დავლევო. ეგღა აკლდათ: აქამდის ხანჯლებს ატრიალებდენ ხოლმე, ახლა რევოლვერიც შემოიღონ მოდათ. რატომ არ იწერები, ლევანი დაჭერილია თუ არა, ან საქმე სუდამდის მივა თუ არა?

ჩემი ამბავი რა მოგწერო; მე არაფერი არა მიჭირს, სრულებით კარგადა ვარ, მხოლოდ ცოტა ამ შენმა წიგნმა შემაწუხა თქვენის გამოისობით. არ ვიცი, როგორა ხართ, ან მოსამსახურე გყავთ თუ არა, რადგან ეს ესტატეც წასულა; ზაქარა თქვენთან არის თუ არა?

ერთით კარგია, რომ ბაღი ეგრე დაგიგდიათ, რადგან ორი წელიწადი ბევრს არას შეადგენს და მე რომ მოვალ, უფრო რიგიანად ჩავყრით მაშინ ხილსა.

შენი ჭირიმე, დარიკო, ყოჩაღად იყავით შენცა და დედაც, ნურაფერზედ შესწუხდებით, ყველაფერს ეშველება.

თუ არ დაიზარებ და ხანდისხან მანდაურის ამბით მასიამოვნებ ხოლმე, იცოდე, რომ შენი წიგნი იქნება დიდს ნუგეშად და გულის გამათბობლად ამ შორ ქვეყანაში შენის ძმის ვანოსათვის.

დედა სიყვარულით დამიკოცნე. ყველანი მომიკითხე.

საყვარელო ძმაო ილიკო.

დიდათ მასიამოვნა შენმა წიგნმა, მეტადრე იმიტომ, რომ არ მოველოდი, რომ აგრე თავისუფლად შეგეძლო ქართული წერა. თუმცა, შენმა წიგნმა დიდად მასიამოვნა, მაგრამ ლევანის ამბავმა კი ძალიან შემაწუხა. როგორღაც გებედებათ ზემოქართლელებს რევოლვერის სროლა. მიამა აგრეთვე, რომ შენს საქმეებს მორჩენილხარ. ეხლა უფრო დამშვიდებით იქნები და უფრო კარგად უპატრონებ როგორც შენს სახლს, ისე ჩვენსას, რომელიც, რასაკვირველია, შენი სახლით არის და რომელსაც ეხლა შენს მეტი პატრონი არავინა ჰყავს.

როცა დარიკო მომწერს ხოლმე წიგნს, შენი ჭირიმე, ილიკო თუ ქეიფზე იყო, ორი კალამი წაუსვი ხოლმე შენცა, მეტს არ მოგთხოვ, რადგან ვიცი, რომ შენც ჩემსავით ზარმაცი ხარ წერაში.

შენი ძმა ვანო

20 დეკემბერი, [1876 წელი]

4

3 თებერვალი, ჩყოზ (1877 წელი).

ძვირფასო დაო დარიკო. ძალიან მეზარებოდა პირველი წიგნის მოწერა, რადგან ასე მეგონა, რომ ჩემს წიგნს იმდენი ზღვა, კლდე, ღრე აქვს გასასვლელი, რომ დანიშნულს ადგილამდის ვერ მოაღწევს მეთქი, მეტადრე არა მქონდა იმედი, რომ გორიდან თქვენამდე მოაღწევდა, მაგრამ რადგან ეხლა აბესალომის შემწეობით ქსელი გავაბით, უფრო ხალისიანადა გწერ ამ წიგნს; მით უფრო ხალისიანად, რომ შენი უკანასკნელი წიგნი დიდის სიამოვნებით წავიკითხე და ეს სიამოვნება ბოლომდის ჩამყვა, რადგან არაფერი შემაწუხებელი არა იყორა პირველის წიგნის მზგავსად.

ლევანის ამბავზედ ძალიან დაღონებული ვარ; თუმცა, იმედს იწერებით, მაგრამ სანამ სრულს განთავისუფლებას არ შევიტყობ, გული არ დამიშოშმანდება. რაკი ილიკო მოწმათ არის დანიშნული, იმედია, რომ საქმე კარგად წავა.

ილიკოსთან ბოდიში მომხადე, რომ ცალკე წიგნს ვერა ვწერ. ამის მიზეზი ეს არის, რომ მე რომ მოვწერო, მაგანაც უნდა მომწეროს და როგორც ვატყობ, ცოტა ტყუილების გარევა ჰყვარებია ამირეჯიბულად. შენ ასე უთხარი და თითონ მიხვდება, რაზედაცა

ვწერ. ამას გარდა, აქედანაც მოვწერდი ვისგანმე მოკითხვას, მაგრამ ტყუილის დარიგების დროს მაჩაბლებს ძალიან ცოტა წილი შეხვდათ. ასე უთხარი და შენებურად ტლაშა-ტლუშით დამიკოცნე.

ამ წიგნის ბოლოს დაწვრილებითა გწერ, როგორ უნდა ჩაიყაროს ხილი ბაღში და ჩემმაგიერებ ესტატეს უთხარი, რომ იმისათვის მიმინდვია ეს საქმე და ვინძლო კარგად შეასრულოს. ამას გარდა, ჰკითხე, როგორ მოუხდა იმერეთის სალოცავები, ან იმერეთის მარჩიელები.

ჩვენს პატარა მოურავს უთხარი, აგრე ორპირი როდი უნდა იყოს: ხან ვასიკოს ჰპირდება მოურავობას, ხან მე.

შევიტყვე, რომ გორში ჩასვლას აპირებთ შენ და ილიკო ვიზიტების გასაკეთებლად – ვიზიტების გაკეთება ახალის ცოლ-ქმრისა, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ ჩემს დისწულს ცოტა ადრე აჩვევ მოგზაურობას. ეხლა შენთვის უფრო დამშვიდებული ცხოვრებაა საჭირო, სანამ აქა-იქა სიარული. ამით ნუ გეგონება, რომ ერთს ალაგს უნდა იყო და ალაგიდან არ დაიძრა. შენს მდგომარეობაში დამშვიდებული მოძრაობა და სეირნობა აუცილებლად საჭიროა, მაგრამ მაგ სიშორეზედ წასვლა, ჩემის აზრით, მეტისმეტია. მაგრამ შენ იცი, როგორც ჭკუამ გაგიჭრას, ისე მოიქეც. დედა სიყვარულით დამიკოცნე, აგრეთვე ყველანი, ვისგანაც მოკითხვასა მწერ. რატო ტიტიკოზე არასა მწერ?


აბესალომიანთ მომიკითხე და დიდი მადლობა უთხარ, რომ იმათ შუამავლობით მოგვეცა შეძლება წიგნების მიწერ-მოწერისა.

შენი ჭირიმე, დარიკო, ყველაფერი ამბავი დაწვრილებით მომწერე ხოლმე. ეხლა გაზაფხული იწყება და უფრო ბევრი გექნება მოსაწერი.

შენი უსიამოვნო ძმა ვანო

ბაღში ხილი როგორ უნდა ჩაიყაროს

რაც შეიძლება ადრე მოახვნევინეთ ამ გაზაფხულზედა დიდის გუთნით და დააფარცხვინეთ. დაფარცხვის შემდეგ პატარ-პატარა ორმოები ამოათხრევინეთ იმ ალაგას, საცა ხე უნდა ჩაინერგოს. ერთი რიგი რომ ვაშლის ხე ჩააყრევინოთ, მეორე რიგი მსხალი უნდა იყოს, მესამე – ვაშლი, მეოთხე – მსხალი და აგრე ბოლომდინ. ყოველს ხესა და ხეს შუა ცხრა არშინი უნდა იყოს, რიგსა და რიგს შუა კი – რვა არშინი. ვაშლი მსხლის პირდაპირ არ უნდა იყოს; ხეები ისე უნდა ჩაიყაროს, როგორც მეორე გვერდზეა ნაჩვენები.



ხეები ისე უნდა მოათხრევინოთ ტყიდან, რომ ჯერ ფოთოლი არ გამოეღოს: უმჯობესია, მარტში. მოთხრილი ხეები რაც შეიძლება უნდა სწორე და ლაზათიანები იყვნენ; რამოდენაც უნდა იყვნენ, ყველამ იციან მანდა. ბაღში დარგვის დროს ისე უნდა დარგათ, რომ სადამდინაც პირველად იჯდა მიწაში, იქამდისვე ჩაჯდეს და ფესოები თავისუფლად უნდა გაიშალნონ. მიწის მიყრის შემდეგ ნელა დაიტკეპნოს და თუ ვინიცობაა, წვიმა არ მოვიდეს, ოთხ დღეში ერთხელ, ან როგორც დაატყოთ, მოირწყოს. თუ ვინიცობაა, რომელსამე ხემ არ იხეიროს, უნდა მაისის გასულს ეს ხე მოთხაროთ, ფესოს ბოლოები დანით მოუჭრათ და ერთ საათამდის წყალში ჩააყუდოთ. შემდეგ ისევ თავის ალაგას ბაღში ჩარგოთ.

თუ ვინიცობაა, ვერ გაიგოთ რამე, ზალიკოსა ჰკითხეთ: აქ რომ მოვდიოდი, იმას დაუგდე პლანი და ვუთხარი კიდეც, რომ უჩვენე, როგორ ჩაჰყარონ მეთქი. იმან იცის, როგორც უნდა მოიქცეთ.


[ჰოჰენჰაიმი]

5

(კჰ) 26 აპრილს, 1877 წ.

ძვირფასო დაო დარო, გწერ კია წიგნსა, მაგრამ არ ვიცი, პასუხი როდის მომივა. აქედან მანდ წიგნის მისვლა-მოსვლას უნდება ორ თვემდინ და მგონი, ეს წიგნი რომ მოგივათ, მანდ ძეობა გექნებათ გაჩაღებული; იმედია, მალე მოილოგინებ და მანდაურს ამბავს შემატყობინებ; მეტადრე ეხლა ჩემთვის საინტერესოა მანდაური ჩვენი პაწია სახლ-კარის ამბავი, რადგან შარშანდელს დაწყობილს საქმეს ეხლა თანდათან მოემატება და ჩვენი სახლი და იმის გარეშემო უფრო გალაზათიანდება. ძალიან მიამა, რომ ბაღში ხილი ჩაგიყრიათ და თუ ესტატე და ზაქარა ისე იბეჯითებენ, რომ არ მოაცდენენ და კარგად უგდებენ ყურს, მაშინ ხომ ეგ საქმე ერთი სახლის აშენების ტოლი იქნება. ამას გარდა, ვასიკოს მესამე ბალკონისთვის ფული გამოუგზავნია და თუ მალხაზას ურიგდებით ამ ბალკონის გაკეთებას, კარგათ თვალი ადევნეთ, რომ არ მოგატყუილოთ. მეტადრე, თუ თავის მასალით გაურიგდით, უფრთხილდით, რომ ან დამპალი მასალა არ შემოგაპაროთ, ან ცაცხვის მაგიერებ, მაგალითად, ნაძვი არ ამუშავოს. ამას გარდა, მესამე ბალკონიც სწორედ სხვა ბალკონისაებ რომ იყოს, ისა სჯობიან, – მხოლოდ, თუ მოხერხდა, ცოტა განიერი დააჭერინეთ მეორე ბალკონებზედ.

მე ვიცი, ზალიკო ქორწილს აქამდინ გადაიხდიდა და ჩემმაგიერებ აყვედრე, რაღა ჩემს წამოსვლას ელოდითქო. ილიკო შენებურად დამიკოცნე და უთხარ, რომ თვალყური დაიჭიროს, მოაგონე, რომ თუ ზამთარში ავლევში უფრო კარგი დროს გატარებაა, ზაფხულში ხომ, უეჭველია, გახოკილს ავლევს ჩვენი მორთული თამარაშენი სჯობს. ამაზედ, მგონი, შენც დამეთანხმები, თუმცა, იქნება კი შენს ქმარს მიემხრო და ავლევი დაამჯობინო თამარაშენს. დედა სიყვარულით დამიკოცნე. პაპიდაჩემი რასა იქს; ისევ თავისებურად ყოჩაღადა არის, თუ დროთაბრუნვამ მოაუძლურა? ასე უთხარი, ჩემს შვილსაც ხომ მოესწარითქო და ეხლა იმდენი კიდევ უნდა იცოცხლო, რომ როგორც მე მასწავლე წიგნი, ჩემს შვილსაც ისე ასწავლოთქო. ესტატე მამიკითხე და ბეჯითობისთვის მადლობა უთხარ, აგრეთვე ზაქარა და პატარა მოურავი. სახლიკაცები სულერთიანად სიყვარულით მამიკითხე. დეიდასთან ბოდიში მომთხოვე, რომ ცალკე წიგნს ვერა ვწერ. ეხლა ამ წიგნში ვწერ ცოტაოდენს მოუცლელობის გამო და შემდეგ ცალკე წიგნს მივწერ. თუ ჩემს ამბავს იკითხამ, ისე კარგადა ვარ, როგორც მანდ ვიყავი და ჩემი ჯავრი ნურა გექნებათრა.



დეიდა – ეფემია ერევანცოვა-ამირეჯიბი,
დეიდაშვილი – ლევან ამირეჯიბი

1850-იანი წლები

მგონი, ეხლა ჩვენი სახლები ძალიან ლამაზი უნდა იყოს; როდესაც გადავედით, მაშინ შემოდგომა იყო და ზაფხულში, მგონი, სულ სხვა უნდა იყოს, მეტადრე, ბაღის მხარეს, სადაც მზე ძვირად მიადგება და ბაღიდგან ყოველთვის სიო უბერავს. ვინძლო ზაფხული კარგად გაატაროთ. იწერები გიორა მოდის და პურსა გვთხოვსო და მიეცი თუ არაო. სწორე გითხრა, მე რიგიანად არ მახსოვს, როგორ ვიყავით მაგასთან გასწორებული. მგონი, საქმე ესე იყო: ჯაბას იმ ორ კოდში ღორი გამოვართვით და გიორა რუსთაველს ოსს ივანეს შევაპირეთ. მე რომ წამოველ, აკი, ყველაფერი დავწერე, ვისი რა გვემართა, ან ვის რა ემართა და, მგონი, ესეც შიგ იყო ჩაწერილი.

შენი ძმა ვანო

საყვარელო დეიდა,

დარიკო თქვენს მაგიერებ საყვედურსა მწერს, რატომ დეიდას წიგნს არ სწერო, მაგრამ პირველსავე წიგნში, რომელიც მანდედან დარიკოსაგან მომივიდა, ასეთი უსიამოვნო ამბავი ეწერა ლევანზედ, რომ სწორე გითხრათ, ამის გამო ვერ მოვახერხე თქვენთან წიგნის მოწერა; რა ნუგეში იქნებოდა აქედან ცარიელი სიტყვების მოწერა? მაგრამ, ეხლა, როგორც დარიკო მწერს, რადგან საქმე კარგად წასულა და სახიფათო არა მოსდევსრა, ამის გამო უფრო გულდამშვიდებული გწერთ ამ ორიოდე სიტყვას; მით უფრო, რომ ეხლა დარიკოს დასაწოლად ჩვენსა იქნებით და ეს წიგნი უფრო პირდაპირ მოაღწევს. პირველს ამბავზედ არა ნაკლებ შემაწუხა ლევანის პახოდში ჩაწერამ; ლევანს თავის საყოფს საცხოვრებელზედ უფრო მეტი აქს და რაც შეეხება სახელს, ჯარში მიღებულს ჯილდოს, ჩემის აზრით, დიდი მნიშვნელობა არა აქვსრა და არ ვიცი, რამ აფიქრებინა ჯარში ჩაწერა. უეჭველია, თქვენც არ მოგეწონებოდათ ეს აზრი და თუ კიდევ შეიძლება სიიდან ამოშლა და თუ ლევანმა თავის ჯიუტობას მოუკლო, ჩემმაგიერადაც ურჩიეთ, რომ თავი დაანებოს ამ აზრს.

ჩემი საკუთარი პაწია ძალუა მაშო სიყვარულით მომიკითხეთ და თუ თამარაშენში გადმოვა ამ ზაფხულს, ასე უთხარით, რომ ჩემი წილი ხილი მაგისთვის დამითმია. ლევანი დამიკოცნეთ.

თქვენი უსიამოვნო დისწული ვანო

თქვენი მაზლი მიხეილი და ძალუა სოფიო ჩემს მაგიერებ მომიკითხეთ. მომიტევეთ, გეთაყვა, დეიდა, რომ დარიკოსთან ერთს ქაღალდში გწერთ ამ წიგნს.

6

16 გიორგობისთვე (ნოემბერი), 1878 წ. პეტერბურგი.

საყვარელო დაო დარიკო,

იმ დღეს მე და ვასიკო მოვედით პარიჟიდან პეტერბურგს, სადაც შენი წიგნი დაგვხვდა. ვერ წარმოიდგენ, რა რიგად შეგვაწუხა შენის ავადმყოფობის ამბავმა. ის იყო პასუხის დაწერას ვაპირებდი, როდესაც შინიდან წიგნიც მოგვივიდა დედასი, რომელშიაც იწერება შენზედ, რომ თუმცა ავად იყო, მაგრამ ეხლა კარგად არისო. რაღა თქმა უნდა, რომ ამ ამბავმა ძალიან გვასიამოვნა.

მაგრამ შენს წიგნში ავადმყოფობის გარდა, სხვა უსიამოვნობაც გეტყობოდა. თუ ისე მწარედ გამოთქმული სიტყვები, რომელნიც შენს წიგნში ამოვიკითხეთ, ავადმყოფობისაგან გაავზნების ბრალი არ არის და თუ მართლა მცირედიც არის უსიამოვნება გადგია რამე საიდანმე, დარწმუნებული უნდა იყო, საყვარელო დაო, რომ არაფერს დავზოგავთ, ეგ უსიამოვნობა თავიდან აგაცილოთ. ბევრი უსიამოვნობა გამოგვივლია ჩვენს სიცოცხლეში და თუ იმდენს უსიამოვნებას გადავრჩით, შემდეგისთვისაც არაფრისა არ უნდა გვეშინოდეს.

კიდევ ვიმეორებ, თუ ვინცობაა გაკლია რამე, ფიქრი ნურაფრისა გაქვს; მალე შენს ყოველს უსიამოვნებას ბოლო მოეღება.

ახლა, ჩემო დარიკო, პატარა საყვედური უნდა შემოგითვალოთ. სირცხვილი არ არის, რომ აგრე გულ-გასახეთქს წიგნს იწერები? „იქნება, ეს წიგნი უკანასკნელი იყოსო“ და სხვ. კარგი კიდევ, რომ დედას წიგნი მოგვივიდა და შენი წიგნისაგან შემოსეული დარდები გაგვიქარვა, თორემ ჯავრით აღარ ვიყავით.

ვინძლო, ჩემო დარუბხანა, მალ-მალე წიგნები მოგვწერო ხოლმე, იმისთანა კი არა, რომელიც ამ ერთი კვირის წინედ აქ დაგვხვდა.

ამას გარდა, ერთი სათხოვარი გვაქვს შენთან. ლევანი დაიბარე და უთხარი, სირცხვილი არ არის მაგისთვინ, რომ აგერ სამ წიგნსა ვწერთ მე და ვასიკო და პასუხს კი არ გვაღირსებს. თუ ეხლაც არ მოიწერა, უთხარ, რომ მაგითი დაამტკიცებს თავისს უთაურობას და ამის შემდეგ მაგას არა საქმე მიენდობარა, არც მე და არც ვასო მაგას თავის დღეში წიგნს აღარ მოვწერთ.

ვასოსაც უნდოდა წიგნის მოწერა, მაგრამ საქმეების გამო ვერ მოიცალა, სამაგიეროთ დაგკოცნა ბევრი.

დამიკოცნე ილიკო, რეზო, მაშო, ლევანი და შენი ქალი. ჩემი ნაცნობები ყველანი მომიკითხე.

შენს დედამთილს მოკითხვას მოვახსენებ.

შენი ძმა ვანო

7

12 მაისს.

ძვირფასო დაო დარიკო,

შენი წიგნი მომივიდა. მსაყვედურობ, რატომ წიგნს არა მწერო. შენმა გაზდამ, დარიკო, მეტის-მეტად მოუცლელად ვიყავ, მეტადრე ამ უკანასკნელ დროს. ვასოც მოვიდა და შენი ჯავრი ძალიანა აქს. მალე აპირებს, სამშაბათისათვის თამარაშენში წასვლას და შენთანაც გადმოვა. ნურაფერზე შესწუხდები, შენს საქმეს ყოველიფერს რიგიანად მოვარიგებთ. ვასო გადმოვა და აპეკუნად დაგენიშნება. მე შემოდგომისთვის უეჭველად აქ ჩამოგიყვანთ შენცა და მანიჩკასაც, დედასაც. შენს თავს გაუფრთხილდი, გეთაყვა, დარიკო. მწერ, მანიჩკას ბაშმაკები უყიდე და მიანგარიშეო. შენგან არ მიკვირს, ნუთუ სამი და ოთხი მანათი უნდა გიანგარიშო. მხოლოდ ამასა გთხოვ, თუ არ გამოდგეს, გამოგზავნე და სხვას გამოვუგზავნი, მერკისა ვერა გაიგესრა; დეიდას უთხარ, იასონისთვის ძალიან ვეცდები, მაგრამ ცუცა არ მეკარებათქო. მანიჩკა სიყვარულით დამიკოცნე. რეზო მომიკითხე.

შენი ძმა ვანო

ჩემი ადრესი: В редакцію „Дроэба“, Кн. Ивану Мачабели.

გადააწერინე ვისმე.

[1883 წელი]

8

ნოემბრის 13.

ძვირფასო დაო დარიკო. ეს ეს არის ეხლა დავბრუნდი მგზავრობიდამ და შენი გამოგზავნილი წერილი და ხილი დამიხვდა. გულით გმადლობ, დაო, ამდენი შეწუხებისთვის, მაგრამ ვწუხვარ, რომ სამაგიეროდ ვერას გასიამოვნებ. მწერ შესახებ ჩემის დაბინავებისა და თქვენის ჩამოყვანისა. ჯერ მე არ დავბინავებულვარ სრულად, თუმცა კი გადმოვედი, მაგრამ პურის ჩამოტანა შეუძლებელი იქნება, რადგან ახალ სადგურში, თუმცა კაი ადგილს არის, ცოტა ვიწროობა იქნება და ფქვილს ვერსად შევინახავ. პურზედ ნუ შესწუხდები, დიდს ანგარიშს არას შეადგენს. იმედი მაქვს, დეკემბრის დამდეგისთვის ისევ ჩამოგიყვანოთ, დედაცა და შენცა. მანიჩკაზე ნუ შესწუხდები, დიდი რამ არა არის-რა, მხოლოდ ჩირქს ნუ შეუწყვეტ, თორემ უფრო ცუდია. ბევრი ყოფილა თურმე აგრე და მორჩენილა. აქ რომ ჩამოვიყვანთ მოვუვლით. პარკსა და კალათს გიგზავნი ამ სოლო დვანაძის ხელით, თუ კალათი წამოიღო. რაც შეეხება კლიტეს, სწორე გითხრა, აღარ მახსოვს იმ კლიტის ამბავი, მგონი, გავაკეთებინე და შინ გავგზავნე თამარაშენში. ესეც რომ არა ყოფილიყო, მაინც გამოვგზავნიდი, თუ მომესწრო, მაგრამ არ ვიცი, მოვასწრებ გამოგზავნას თუ არა. თუ ხვალ პატარა დაიგვიანა, დვანაძეს უეჭველად ვაყიდვინებ ახალ კლიტეს და გამოვგზავნი. იმედი მაქვს, მალე გნახავ და ყველაფერს მაშინ მოვილაპარაკებთ, მხოლოდ ყოჩაღად იყავი და გულს ნუ გაიტეხ. ვწუხვარ, გამდლიშვილი ვერა ვნახე, რომ მეთხოვა მანდაურობაზე თვალყურის დაჭერა.

შენი ერთგული ძმა ვანო

[1883 წელი]

9

ძვირფასო დაო დარიკო, აღარ ვიცი, რა მადლობა უნდა გადაგიხადო მაგგვარ მზრუნველობისთვის. იმედი მაქვს, მალე ფეხზე დავდგები სრულებით და მაშინ მაგცე სამაგიერო. ეხლა თითქმის სრულებით კარგათა ვარ, იქნება ათს ამ თვეს გორშიაც წავიდე კრებაზედ და მალე თქვენი ნახვაც მეღირსება, მანამდის კი მიიღე ჩემგან გულთბილი მილოცვა მომავალ დღესასწაულის გამო. ჩამოსვლას ხომ არ აპირობ? საშინლად მინდა თქვენი ყველასი ნახვა. მანია და ბავშვები დამიკოცნე.

შენი ვანო
2 აპრილს

საყვარელო ჩემო დარიკო!

დიდათ და დიდათ გმადლობთ, არ ვიცი, რითი გადაგიხადოთ ამდონი პატივისცემა. სულ იმას ვფიქრობ, რომ ვანო მალე მორჩეს, რომ ყველას გადაუხადოთ პატივისცემა. მე კი ვერაფრით გამოგადექით, ჩემო დარიკო. ვანო სრულებით კარგათ არის, ისე რომ, მე მგონი, ამ თვის გასულს სრულებით განთავისუფლდება. სხვა რა მოგწერო, დედა, ვასო თავის შვილებით კარგათ არის. დედა ეხლა სრულებით გაყმაწვილდა, რაც ვანოს უკეთესობას ხედავს. ბევრს ვაკოცებ მანიას თავის შვილებით. დეიდა მოიკითხე, ბევრს გაკოცებ.

შენი ტასო
[1898 წელი]

10

ძვირფასო დაო დარიკო.

ეხლა თითქმის სრულებით კარგათა ვარ და იმედი მაქვს, ცოტა ხანში აღარა მექნებარა სატკივარი. მგონი, წერაზედაც შემატყობ, რომ ეხლა უფრო მარჯვედა ვწერ. დეიდა სიყვარულით მომიკითხე. აგრეთვე ვასო, მანია და ბავშვები. ვასოს უთხარ ჩემს მაგიერად, რომ უეჭველად ბოლომდე იწამლოს და არ შერჩეს ეგ სმენის სიმძიმე.

შენი ძმა ვანო
15 თიბათვე (ივნისი)

საყვარელო დარიკოჯან!

არ მეგონა, რომ არ მოხვიდოდი და ვანოს ნახავდი. რაც მოვედით ქალაქიდამ, ცოტა სისუსტე ქონდა, მაგრამ ეხლა უკეთ არის. ძილი და მადა მშვენიერი აქვს. გასუქდა და ჯანიც მოემატა. ჭრილობა ჯერ არ შეკვრია, მაგრამ ცოტა კიდევ დარჩა და ამ ორ კვირაზე სრულებით კარგად იქნება. ნიკუშკას ცოტა აციებდა, ეხლა კი უკეთ არის. ბაბომ ბევრი მოკითხვა შემოგითვალათ, შენ, მანიას და ვასოს. დეიდასაც შეატყობინე ვანოს უკეთობა. ბევრს გაკოცებთ ყველას. ბავშვები როგორ არიან?

შენი და ტასო მაჩაბლისა
[1898 წელი]



ბეჟან წერეთელი, დავით და ბაბო ბაგრატიონი-დავითიშვილები,
ნინო ბაგრატიონი-დავითიშვილი-წერეთელი, ანასტასია ბაგრატიონი-დავითიშვილი-მაჩაბელი,
ლიტა წერეთელი, გიორგი ბაგრატიონი-დავითიშვილი, ივანე მაჩაბელი
თბილისი, 1891 წელი

ანასტასია (ტასო) ბაგრატიონ-დავითიშვილ-მაჩაბელს

1

თბილისი, 16 სექტემბერს.

ჩემო სიცოცხლე ტასო!

დავიწყებ იქიდამ, რომ თავი სრულებით აღარა მტკივა, ამ მხრივ შეგიძლიან, სრულებით დამშვიდებული იყო. მე და ვასო ერთად ჩამოვედით და კარგად მოვეწყვეთ. იონა მეუნარგია არის ეხლა აქ, ხვალ დილით მოდის მანდეთკენ და ამას ვატან ამ წერილს, რომ ეგება გზაში გადმოგცეთ. მეჩქარება კიდეც ამიტომ, რომ ღამის პირველი საათია და ხვალ ადრე ასადგომი ვარ. ეხლა მხოლოდ რაც საჭიროა, იმას მოგწერ და ამ დღეებში უფრო დაწვრილებით მოგწერ ყველაფერს.

სვიმონ წერეთელი ვნახე აქა და იმან მითხრა ნიკოს, ბიძაშენს, ეხლა დიდი ძალა აქვსო და შეუძლიან, ადგილი ადვილად მოახერხოსო. მაშ, რაც შეიძლება საჩქაროდ მისწერე ან იმას, ან კატოს, რომ მოახერხონ და მოელაპარაკონ გუბერნატორს. Можно будетъ устроить или по военно-народному управленію, или членомъ присутствія по крестьянскимъ дѣлам. ეს მისწერე და აქაც ყოველის გზით ვეცდები. მართლა, თუ ნიკო მოელაპარაკება გუბერნატორს, შემატყობინოს და მერე სვიმონიც კვერს დაჰკრამს, დიდად დამპირდა.

გენაცვალე, ტასო, ნუ გამიჯავრდები, რომ ასე მოკლეთა გწერ, ცოტ ცოტათი სჯობს შეგაჩვიო კითხვას. ამას გარდა, საშინლად მეძინება. ჩემი ჯავრი, ერთის სიტყვით, ნურა



ზაქარია სარაჯიშვილი, დავით ერისთავი, ეკატერინე სარაჯიშვილი-ერისთავი, ნიკოლოზ ერისთავი, მარიამ სარაჯიშვილი-ერისთავი, დავით სარაჯიშვილი
თბილისი, 1880-იანი წლები

გექნება რა. თუ ვერ გაარჩიო, მომწერე და უფრო გარკვევით მოგწერ. დაგკოცნი უანგარიშოდ, აგრეთვე ყველა ჩვენებს. ელიჩკაც დამიკოცნე, თუ მოახერხო.

შენი ვანო
[1891 წელი]

2

თბილისი, 18 სექტემბერი.

ტასოჯან. დღე ისე არ გავა, რომ რამდენჯერმე არ მომინდეს სტოლთან მიჯდომა და შენთან წერილის დაწერა. ისე მომწყურდება ხოლმე შენთან გამოლაპარაკება, თითქოს მეორე ოთახში იჯდე და კარების გაღების მეტი არა დამჭირდებოდეს-რა, რომ ეგ მშვენიერი თვალები გადაგიკოცნო. პორტრეტები კი, ღვთის წყალობა გაქვს, ბევრი შემოვიმწკრივე გარშემო, რომ შენს მაგივრად შენს სურათს მაინც ვუალერსო ხოლმე. სამძიმოა შენთან შორს ყოფნა, მაგრამ იმედი არ მაკლია, მალე, ძალიან მალე, გაივლის ეს დრო და მით უფრო დიდის სიამოვნებით გამოვექანები შენსკენ, რომ შენა და ელიჩკა გულში მიგიკრათ.

ახლა საქმეს შევუდგეთ. ბებია, ანნა ივანოვნა ჯერ არ მინახავს. ვნახავ ამ ორ დღეში და ყოვლისფერს გაცნობებ. სინოს ველი და როცა ჩამოვა, გამოვგზავნი, რაც კი დამაბარე. ნიცას უთხარ, რომ ძალიან ვცდილობ, დედაკაცი ვუშოვნო ვინმე, ყველას დავუარე, ვისი ადრესიც კი გამომატანა და დრო დავუნიშნე ჩემთან მოსვლისა; მეორე დღეს ასეთი ხალხი დამეხვია გარს: ზოგი კოჭლი, ზოგი ბრმა, ზოგი კბილებ-ჩაცვინული, რომ კინაღამ მეც

დამაფრთხეს, არამც თუ ბავშვებს შეაშინებენ თავიანთი შეხედულობით. რასაკვირველია, ვერც ერთი ვერ დავიჭირე. მხოლოდ ერთი მოვიდა, რომელზედაც ნიცამ იწინასწარმეტყველა, ეს უსათუოდ კარგი იქნებაო და სხვებზედ მეტად მომეწონა. პოლკაა, ერთი წელიწადია რუსეთიდამ გადმოსულა, რუსულს ძალიან კარგად ლაპარაკობს. წასვლაზედ სადმე პირველში ცივი უარი სთქვა, მაგრამ ბოლოს თავი მოვუქონე, ჩვენი გრუპპა გადმოვუღე, ვაჩვენე ბეჟან, ნიცა, ცუცუნკა, ვუქე მაგათი მდგომარეობა და ბოლოს დათანხმდა, მხოლოდ ერთი ორის-სამის წლის ვაჟი მყავს, იმის ნება უნდა მომცენ, თან ვიყოლიოო. თუ ამაზედ დათანხმდება ნიცა, ეხლავე მომწერეთ პასუხი, რადგან ხუთი დღის უკან კიდევ მოვა ეს დედაკაცი და უნდა პასუხი ვუთხრა. სწორე გითხრა, მე ვურჩევ აყვანას. დედაკაცი ძალიან რიგიანსა ჰგავს, ბავშვები უნდა უყვარდეს, ჭრა-კერვაც იცის და სიტყვასაც იძლევა, რომ ჩემი ბავშვის მოვლა სრულებით არ დამიშლის ჩემის მოვალეობის ასრულებასო. უნდა ამ საგანზედ მალე პასუხი მომწეროთ. ფასზე თანხმდება 9 მანათს თვეში, მხოლოდ სარეცხის დარეცხვა არ შემიძლიანო; იქნება, ნაკლებსაც დასჯერდეს, რაკი ბავშვი ჰყავს.

დათას საჩქაროდ შეატყობინე, რომ პარასკევს, ოცს ამ თვეს, გვერდწითელი უეჭველად დამპირდა წამოსვლას ცხინვალში ვვოდნი ლისტისათვის და ლიპიაცკის აცნობოს, რომ არ დააბრკოლოს და მაშინვე გაჰყვეს ნულს. თითონ დათაც უნდა იქ დაესწროს. ესე, გენაცვა, ტასოჯან, დაგკონი ბევრს. ჩვენები ყველანი დამიკოცნე.

შენი ვანო

ჩემი ადრესი: Тифлисъ, Фрейлинская №5, Кн. Ив. Георг. Мачабели.

[1891 წელი]

3

თბილისი, 21 სექტემბერს.

ტასოჯან! ვგზავნი უკანვე სინოს და ვატან ყოვლისფერს, რაც დაგებარებინათ. დავუმატე 4 გირვანქა უნაბი, 2 ყუთი სარდინკა და კამფეტები. მე ჩემი საქმისა ასე გადავწყვიტე, ყველგან ქსელები გავაბი, მაგრამ უმთავრესი იმედი სტაროსელსკის ცოლისა მაქვს. იმ დღესაც შემოეთვალა, უეჭველად ვუშოვნი მალე ადგილსაო; მგონი, მარკოვთანაც ულაპარაკნია, მარკოვის წასვლის წინად. ამის გამო, ვიდრე სტაროსელსკის ცოლი ჩამოვიდოდეს, მე ისევ ფცაში ამოვალ და როცა ჩამოვა, მაშინვე წერილს მომწერენ. მაშ, სამშაბათს, 24-ს თუ ცხენი გყავთ, ცხენი გამოგზავნეთ გომს, დილის მაშინით მოვალ და თუ ცხენი არა გყავთ, ნურც მაგაზედ შესწუხდები, გომში ვიშოვი ცხენსა.

სინოს ერთი თუმანი მივეც სახარჯოდ და მანდ გამოართვი როგორც ამ თუმნის ანგარიში, ისე შენგან მოცემულის ფულისა და შენს დავთარში ჩასწერე.

ნიცას დედაკაცისას ვერას მოგწერთ, მანამ მანდედან პასუხი არ მომივა ჩემი წერილისა ამ საქმის შესახებ. თუ დაყაბულდა ბავშვიანი დედაკაცის აყვანას, იქნება, თანაც წამოვუყვანო. კიდევ სხვასაც მოვძებნი წამოსვლამდის და ვნახოთ.

ანნა ივანოვნა ვნახე, ვუამბე ყოვლისფერი შენი ამბავი და დიდად ესიამოვნა, რომ აგრე კარგად მიდის შენი ორსულობა. მე ვიცოდი, რომ ტასო ჯანმრთელი ქალი იყო და სრულებით თავისუფლად მორჩება მელოგინეობასაო. ვანებს ჯერ ნუ გაიკეთებს, სანამ ერთი თვის წინად ქალაქში არ ჩამოვაო და მე ყურს არ ვუგდებო, იაროსო ზომიერად, პერი და ფქვილეული, მსუქანიც ნაკლებად სჭამოსო. კამფეტები, მართალია, ძალიან უყ-

ვარს, მაგრამ ხანდისხან რომ დასთმოს ხოლმე, ურიგო არ იქნებაო. დანარჩენებს ყველაფერს მანდ გიამბობ.

დათას საქმის გამო გვერდწითელი მანდ გამოვაგზავნე ცხინვალისკენ და არ ვიცი, რა ჰქნეს. საქმე კარგად მიდის, იმედია მოგებისა.

კიდევ ბევრი რამ მინდოდა მომეწერა, მაგრამ რაკი მალე გნახავ და გადაგკოცნი, პირდაპირვე გეტყვი ყველაფერს, ჩემო სულის-დგმავ, ჩემო სიხარულო, ტასო. დაგკოცნი უანგარიშოდ.

შენი ვანო

P. S. ხუთის თუმნის მაგივრად სამს თუმანს გიგზავნი. დანარჩენს თან მოგიტან. ამას გარდა, ლევანის მაგივრად შევიტანე 51 მან. 55 კაპ. და ამის კვიტანციასაც გიგზავნი, რომ ლევანმა მანდ მოგცეს, როცა ექნება. ნიცას ბავშვების ბაშმაკები პირობით ავიღე.

ასე, ჩემო სიცოცხლევ.

ვანო

ნიცას ცალკე წერილს ვერა ვწერ. ბოდიში მომხადე.

[1891 წელი]

4

თბილისი. 7 ივლისი.

ჩემო ძვირფასო ტასო. ქალაქში მშვიდობით ჩამოვედი, თუმცა, ფციდან წამოსულები გზაზედ წვიმამ ძალიან დაგვასველა. შაქარი ერთი ფუთი ფცაში გამოგიგზავნე და 7 მანეთი დავუგდე გიგო გომართელს. ერთი ფუთის ფასი უნდა მიეცა და ხურდა მეურმესთვის გამოეტანებინა, შენთვის ჩასაბარებლად. აქ მე სრულიად კარგადა ვარ და ნურც არაფერი გეფიქრება. ხოლერა კიდევ ნაკლებად არის, სინამ გაზეთებში სწერენ. საშიში სრულიად არა არის-რა. Сиротскій судъ-ში საქმეები არა წამხდარა, ასე რომ მომავალ ხუთშაბათს, 16 ივლისს საღამოზედ ფცაში ვიქნები და ათი დღე კიდევ თქვენთან დავრჩები, თორემ ნიკუშკასი და შენი ნახვა ძალიან მომწყურდა. რაც წამოსაღებია, ყველაფერს მაშინ მოვიტან და ურემი რომ დამიხვდეს 16-ს გომში, ძალიან კარგი იქნება, რადგან ბოჩკა და კალიასკა იქნება წამოსაღები.

ჩვენი ყმაწვილები ყველანი ვნახე და კარგად არიან. მირზაშვილის საქმე, ვგონებ, კარგად დატრიალდეს; როცა მოვალ, მაშინ გიამბობ ყველაფერს.

სახლის პატრონს ქირა მივეცი და როგორც ეტყობა, ძალიან უნდა, რომ აქ დავრჩეთ, ჩვენც უკეთესს სახლს ვერ ვიშოვით და გადასვლაც ძალიან დაგვტანჯავს და ხარჯიც მოგვემატება ახალის მოწყობისათვის; ვგონებ, ისა სჯობს, ისევ აქ დავრჩეთ. გვპირდება, თუ დარჩებით, წყალსაც გამოგიყვანთ და ფეჩსაც გაგიკეთებთ ზალაშიო. მომწერე ამის პასუხი. მე ვამჯობინებ დარჩენას და შენ როგორც გიჯობდეს, ისე მოვიქცეთ. ასე, ჩემო სიცოცხლევ. დათას უთხარ, რომ საყვარელიძე სოფელში იყო, ამ დღეებში ვნახავ და პასუხს მოვწერ. დამიკოცნე ყველანი, მეტადრე ჩვენი კუკუშკა.

შენი ვანო

ვეტერანის სტატია თუ წაიკითხეთ, ნუ შეშფოთდებით, სისულელის მეტი არა არისრა.

[1892 წელი]



ანასტასია, ნანო და ბაბო ბაგრატიონი-დავითიშვილები
1891 წელი
ფოტო: ჯორჯ ქენან
ანასტასია ბაგრატიონ-დავითიშვილის წერილი აკაკი წერეთელს

5

11 ივლისი.

ტასოჯან. საჩქაროდა გწერ ამ წერილს და ამიტომ მოკლედ ვიტყვი. როგორც გწერდი ხუთშაბათს, 16, უეჭველად მანდა ვარ და მოუთმენლადაც მოველი ამ დღეს. რაც დამაბარე, ყველა ვიყიდე და არ ვიცი როგორ მოგეწონება. კუკუშკას კალიასკა ვუყიდე. შენი წერილი არ მომსვლია, დღეს ხვალ მოველი. აქ სრულებით მშვიდობაა, ხოლერისა არავის არ ეშინიან და არც საშიშია. დამიკოცნე ყველანი.

შენი ვანო
[1892 წელი]

6

28 ივლისი. სამშაბათი.

ტასო. მე, დაპირებისამებრ, შაბათს მოვალ გომში. თუ ვინცობაა სოფელში არ მოინდომეს ჩემი შეშვება, შეატყობინეთ ყარაულებს, რომ წამლებიც მექნება გაკეთებული და მოწმობაც ექიმისა. ქალაქში ხოლერა განელდა, სოფლებში კი მატულობს თურმე. ბანკის მოთავეებს თუმცა ფული გადაუდვიათ, მაგრამ არ იციან, ამ ფულს რა უყონ და როგორ მოახმარონ საქმეს. ისეთი სასაცილო კრება იყო კვირას, რომ სიცილით დავწყდით. როცა მოვალ, მაშინ გიამბობ ყველაფერს. მანდ ძალიან გაფრთხილდით. თუ შეიძლება, ისე მოახერხეთ, რომ თუ არ ადუღებული წყალი და მასუკან გაციებული, ისე არ სვათ.

მიტოს წერილი აღარ იბეჭდება. აქ ყველანი მეუბნებიან, რაკი Сиротскій судъ-ში არ

გამოვლენ, ამ გაზეთთან ლაპარაკი აღარა ღირსო; მით უფრო, რომ მიტოს წერილი რომ დაებეჭდათ, იქნება, ხრიკიც მოედოთ მიტოსთვის და დაეთხოვნათ. ჩემს წერილს კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია აქა.

ჩვენი მოგება 500 მანეთისა ნამდვილი გამოდგა, პეტერბურგიდამ მოსულმა ტაბლიცებმაც დაამტკიცეს. ასე, ჩემო ტასო, ველი შაბათ საღამოს მოუთმენლად, რომ გადაგკოცნოთ შენა და ჩემი ნიკუშკა.

ყველანი დამიკოცნე.

შენი ვანო

[1892 წელი]

7

19 იანვარი. თბილისი.

ტასოჯან. ბევრი წყევლა შეხვდება ჩემგან იმას, ვინც პირველად ჩურჩხელები მოიგონა. მართლა ჩურჩხლობამდის ასე მარტო უნდა ვიყო? ეხლა ქალაქში აღარა ცხელა და ხოლერაც სრულიად განელებულია, მაგრამ მაინც მეძნელება უთქვენოდ ყოფნა. მე 5 სექტემბერს მოვალ ერთის კვირით და მაშინ უნდა დავაწყოთ პლანი აქ ჩამოსვლისა. მცხეთაში დეზინფექცია ადვილი ყოფილა და არც არაფერი წახდება. თუ წახდა რამ, გადაგვიხდიან.

ვასო ჩამოვიდა მეორე დღეს ჩემის ჩამოსვლისა და მაშინვე ლაპარაკი ჩამოაგდო ერთად ცხოვრებაზე. ის სახლი, რომელიც დაჭერილი აქვს, ერთის წლით აუღია თურმე კიდევ და მე მითხრა, ორნივე მოვთავსდებითო. მაგრამ, რომ კარგად მოვიფიქრე, ყოვლად შეუძლებელი გამოდგა, თუმცა, რასაკვირველია, ბევრით იაფად დაგვიჯდებოდა. ახლა ფიქრობს, გიორგი ვეზიროვთან ერთად იცხოვროს, პატარა თამრიკოს ზავედენიეში აძლევს და გიორგისაც სადმე პანსიონში.

საწყალ ნინოს იმისაგან მოსვლია ის უბედურება, რომ საპნის კლიზმა გაუკეთებია და ეს თითქმის საწამლავად გადაჰქცევია.

გორში გიორგი ვნახე, გადავეც წერილი ბაბოსთან. გიორგი ათი დღე ავადა ყოფილა, თითონაც არ იცის, რითი. გენაცვა, ტასო, თქვენს თავს გაუფრთხილდით და მომწერე დაწვრილებით, მანდეთკენ ახლო-მახლო ავადმყოფობა ხომ არა არის-რა. ან გაბო ოსაძეს რომ ცოლი ჰყავდა ავად, რითი გამოდგა ავადმყოფი. გიორგის პურისა ვუთხარი და დიდის სიამოვნებით დაყაბულდა. იქნება გარეცხვაცა და დაფქვაც სატივეში მოვახერხოო. ამ საგანზედ თითონ გიორგი გნახავს ფცაში და მოგელაპარაკება.

ნანოს უთხარ, ამ დღეებში გავიგებ, რისი გაგებაც კი შეიძლება და მოვწერ მეტრიკების შესახებ. ილიკო ციციშვილი ეხლა აქ არის და კარგად არის-თქო. დამიკოცნე ყველანი და ჩქარა წერილი მომწერე.

ვერ წარმოიდგენ, რარიგად მომინდება ხოლმე პაწია ნიკოს ნახვა.

შენი ვანო

შაქრო ხერხეულიძემ მოგიკითხათ ყველანი. ბაბოს ბაშმაკი დავაკერებინე და არ ვიცი, ვის გამოვატანო.

[1893 წელი]

8

21 ივნისს, 93. თბილისი.

ჩემო ძვირფასო ტასო. შენმა წერილმა დაიგვიანა და ცოტა არ იყოს, ჯავრი მქონდა. მადლობა ღმერთსა, რომ მშვიდობით მისულხართ, ნიკუშკასთვის ჰაერს ურგია, როგორც იმედი გვქონდა და იმედია, შენც მალე მოსულიერდები. მე ვეცდები, უთუოდ 26 მოვიდე საღამოს მაშინით. კოლასი და ლიზასი კი არ ვიცი. კოლა ეხლაც მანდეთკენ არის წამოსული და თუ მოიცლის, უეჭველად წამოვა მაშინათვე. აკაკი ჯერ არ ჩამოსულა, „კვალის“ საქმე ისევ იმავ მდგომარეობაშია, ვაპირებთ ხელის-მოწერის ფული მივცეთ და გამოვეთხოვოთ სრულებით, იქნება მერე თითონვე შემოგვეხვეწონ, როცა ნახვენ, რომ ხელის-მომწერლები გაუნახევრდებათ. თარხნიშვილის საქმეც იმავ მდგომარეობაშია. Запис-ი შევადგინეთ, მაგრამ არას მატყობინებენ მასუკან, ვგონებ, სექტემბრამდე გადაიდება. მე ამ საქმისა სრულებით არ მეფიქრება, რადგან საქმე კარგად არის დაყენებული.

იმ დღეს ბიძა-შენი კოტე და სონა იყვნენ ჩემთან – объяснялись въ любви. ასე გასინჯე, სონამ ამ სიბერის დროს მოინდომა ჩვენს ბალკონზედ ღამის გათევა, რასაკვირველია, კოტესთან ერთად, ქვეშასაგები მოვამზადებინე კიდეც, მაგრამ უქეიფოდ შექმნილიყო ცოტა და ისევ ხერხეულიძესთან დარჩენილიყო.

ასე, ჩემო ტასო; წრეულს, თუმცა ბევრი საქმე მაქვს, შარშანდელზედ მომეტებული, მაგრამ, როცა მოვიცლი ხოლმე, მეტად მარტოკა ვარ და მოწყენილი, ძალიან მენატრება თქვენი ნახვა, სამაგიეროდ, შენ და ნიკოს პორტრეტებს ვუყურებ ხოლმე. დღეს ორშაბათია, ხუთი დღე კიდევ და სიხარულით გადმოვფრინდები. ყველანი დამიკოცნე. მიშოსი არაფერი ამბავია, მგონი, ტყუილი „ტრევოგა“ გამოვიდა.

შენი ვანო

9

16 ივლისს.

ჩემო ძვირფასო ტასო,

თუმცა ძალიან ვჩქარობდით ფცაში, მაგრამ ისე მოვედით სტანციაზე, რომ ნახევარს საათამდე მოგვიხდა ცდა. ქალაქში მშვიდობით ჩამოვედი, მაგრამ საშინელი სიცხე დამხვდა. მთელი დღე კაცი ოფლში იწურება. მეტად მომაბეზრა თავი ცალკე მარტოობამ და ცალკე ამ ზაფხულმა; მაგრამ იმედათ ესა მაქვს, რომ აგვისტოს 5-დამ თავისუფალი ვარ ერთი თვით. ეს ერთი თვე კარგად უნდა გავატაროთ და ყველანი ვნახოთ, ვინც სანახავები გვყავს. ვასო იწერება, რომ წირვა 29-სა აქვს ამ თვეს; თუ მოახერხებთ წამოსვლას შენ და გიორგი, ან დათა, ძალიან კარგი იქნება, მე კი ვერ ამოვალ, მგონი; ვასოსაცა ვწერ ამას. ნიკუშკა როგორ არის? მომწერე დაწვრილებით და ეცადე, რომ კაი ხასიათზე დააყენო, თორემ ეგ დედაკაცი სრულებით წაახდენს. ტასოჯან, ტომრებისა უთქვამს მეფურნეს სტეფანესთვის, რომ პოვარს მივეცითო, ჰკითხე მიხას და შემატყობინე. თუ ის ტომრები ვერ ვიპოვეთ, უნდა სხვები ვიყიდო და თან წამოვიღო, რომ დროზე ჩამოვიტანოთ პური. მომწერე, რამდენი ტომარა დაგვჭირდება. შეშისა რა ჰქენი, კარგი იქნება, ეხლავე შეუკვეთო და მოაჭრევინო ან დარიკოს ტყეში, ან ლევანისაში.

ნიცა და ბაბო რას იწერებიან, როდის მოვლენ? ასე, ჩემო სიცოცხლე, მეტად ცხელა და წერის თავიც არა მაქვს, ეცადე, მალე პასუხი მომწერო, შენ ხომ სიგრილეში ხარ.

დამიკოცნე ყველანი, განსაკუთრებით ნიკუშკა.

შენი ვანო

[1893]

10

თბილისი, 24 ივლისი. 93.

ტასოჯან. რა არის, ეგრე გაზარმაცდი, რომ ერთ წერილს აღარა მწერ. მე ვაპირობ საწყალ ნინოს წირვაზედ ასვლას და შენც იქ დამხვდები, როგორც ვასო იწერება. მე ოთხშაბათს, 28, საღამოზე, პირდაპირ ფაეტონით ამოვალ თამარაშენს და მეორე დღეს უკანვე დავბრუნდები. გიორგი უეჭველად წამოვიდეს, საცა იყოს, შეატყობინე. მიშო და მიტოც მოდიან, დიდი ხალხი იქნება და საჭირო საქმეზედ უნდა მოვილაპარაკოთ.

გაიგებდი მიტოს დათხოვნას ბანკიდან – ეს ღა აკლდა იმათ ავკაცობას. ხალხი მეტად აღელვებულია და ეს იაფად არ დაუჯდებათ.

ნიკუშკა დამიკოცნე; ეგება, თამარაშენში წამოიყვანო. მე 5 აგვისტოს ერთი თვით მოვდივარ – სრულიად თავისუფალი ვიქნები.

გიორგის უთხარ, გუშინ ბაბო (გაიანეს დედა) და გაიანე შემხვდნენ ბანკში და ბაბომა სთქვა, რომ გაიანე თქვენსკენ მოდისო. მგონი, ლიზა და ის ერთად წამოვლენ, მაგრამ ჯერ შენ უნდა მიხვიდე თურმე ახალქალაქს.

ვჩქარობ ამ წერილს.

შენი ვანო

დათა დამიკოცნე.

11

თბილისი, 14 სექტ., 93.

ტასოჯან. იმ დღეს საჩქარო წერილსა გწერდი, აქამდის მიიღებდი, კოლა თუმანოვი მოგაწოდებდა. ახლა უფრო დაწვრილებით მოგწერ შენ და გიორგის და ორივემ შეგიძლიანთ, წაიკითხოთ, რასაცა გწერთ:

ბავშვები თავისუფლად ჩამოვიყვანე, მივიყვანე სკოლებში, ჩავაბარე, მეც სრულებით კარგათა ვარ და იქნება ოთხ ხუთ დღეში ბაქოში წასვლა მომიხდეს ერთი კვირით, ასე რომ, ჯერ ნუ დააჩქარებთ შეშისა და ფქვილის გამოგზავნას. 17 ან 18-ს გადაწყდება, მივდივარ თუ არა და მაშინვე შეგატყობინებთ, როგორ მოიქცეთ.

მიტო კარგად არის, ჯერ ადგილი არ უშოვნია, მაგრამ პირდებიან. თუნდა ადგილიც ვერ იშოვოს კრებამდის, მაინც არა უჭირს-რა. ისე აქვს საქმე მოწყობილი, რომ არა დაუშავდება-რა და იმათი უსინდისობა უფრო გამოაშკარავდება. იქნება, ეს უკეთესიც იყოს. მე რომ მიბარებდნენ, სულ მიშოს ამბავი ყოფილა და არც ისე საჭირო ვყოფილვარ, როგორც იწერებოდენ. აქ ადრე ჩამოსვლით მეტი არა გაკეთდებოდა-რა და მანდ კი წახდებოდა. მაინც გიგო გაბაშვილი რამდენსამე საღამოს დაესწრო ჩემთან ერთად კრებაზედ

და ყველაფერზედ მოვილაპარაკეთ. ძალიან გაალმასებულია ისიც. თავის მოუსვლელობას კრებაზედ მაისში იმითი ხსნის, რომ დღე-დღეზედ ვაპირობდი, მაგრამ არას გზით არ მომცეს წამოსვლის ნება და მერე შემრცხვა მოწერისაო. მომავლისთვის კი ძალიან იმუქრება და ამბობს, ყოვლის ღონის-ძიებით ვეცდები მაისისათვის 28 დღით Отпускъ-ი ავიღოო. მირზაშვილის საქმეც ბევრად უკეთ მიდის, წრეულს 274 მანათის შეგირდები ახლავე ჰყავს და ყოველ-დღე ემატება მსურველები; ეს იმიტომ, რომ იმის შეგირდებს – რვა ყავდა და რვასვე დაუჭერია ეგზამენები. იმედია, რომ თუ ასე წავიდა საქმე, ჩვენი კოჭი ალჩუზე დაჯდება, თუმცა, ყოვლის გზით ცდილობენ ჩვენი მტრები თუ არ სხვაფრივ, შიმშილით ბოლო მოგვიღონ. მეც ძალიან ჩამციებიან ბანკში, მაგრამ ვერას გააწყობენ. მიტოს მაგივრად პალიკო ყიფიანს ნიშნავენ და ყიფიანის მაგივრად სულხანოვს, რომელსაც არაფრის თავი არა აქვს, მაგრამ ჩემის ჯიბრით უნდათ ადგილი მისცენ. ახლა კიდევ კოლა თუმანოვს გადაეკიდნენ, რომელიც ოთხის მაგივრად მუშაობს. იმედია, ისეთ გზას ადგანან, რომ ბოლოს კისერს მოიტეხენ, მხოლოდ ჩვენ სიმხნე და გულმაგრობა გვჭირდება.

ასე, ჩემო ტასო. გიორგის უთხარი, რომ იმის ბილეთი 1 სექტემბერს არ გადაგირავდება. ვადა 9 თვე, გასული ჰქონდა და უნდა ეგ აქ დაესწროს უეჭველად. ბანკში სიტყვა მომცეს, რომ ბილეთს არ გაჰყიდიან მაგის ჩამოსვლამდე და მხოლოდ 88 კაპეიკი შტრაფი გადახდება.

დიასამიძე ძალიან მოკუნტულა და წასჩხუბებია გიორგი წერეთელს ჩვენის ლანძღვისათვის.

მოგელი მოუთმენლად, ჯერ შენს წერილს და მერე თქვენს ჩამოსვლას.

ნიკუშკა დამიკოცნე.

ყველანი მომიკითხე.

შენი ვანო

12

სექტემბრის 20, 93. თბილისი.

ჩემო კარგო ტასო. ეს არის ეხლა მივიღე შენი წერილი, რომლითაც მატყობინებ, რომ ჩამოვიდოდი მალე, ბაქოში რომ არ მიდიოდეო. აქამდის მიღებული გექნება მოკლე ბარათი ჩემი, რაშიაც გწერდი – ბაქოში აღარ მივდივარ მეთქი და არც მალე ვაპირობ იქ წასვლას, ასე რომ შეგიძლიან, თამამად შეშა და ფქვილი მალე გამომიგზავნო და შენც მალე თან ჩამოჰყვე. მერე რარიგად მინდა შენი და ნიკუშას ნახვა. თუ ნანოს წამოიყვან, კარგი იქნება, რომ საღამ-საღამოობით ხანდისხან მარტო არ დარჩე ხოლმე. მაშ, ველი მალე შენის ჩამოსვლის დღის ამბავს. ახლა დედაკაცზედ მოგწერ. ნიცასთან რომ დედაკაცი იყო, ისა დგება ჩვენთან რვა მანათად, აგრაფინა აჯერებს დადგეს და ყველაფერს კისრულობს, გარდა სარეცხის; ბავშვის სარეცხსაც დავრეცხ ხოლმეო. მართალია, ნიცასაგან ცოტა უკმაყოფილოდ წამოსულა და ისინიც არ დარჩენილან მადლიერნი, მაგრამ ეს იქნება იმის გამო მოხდა, რომ ნიცა და ბეჟანი, შინ არ იყვნენ და არჩილი თავისებურად ძუნწობდა და კერძობას აჯავრებდა. მაშ, მომწერე მალე, როგორ მოვიქცე, თითონ დედაკაცი ცოცხალ, რიგიან ადამიანსა ჰგავს და აგრაფინაც აქებს.

ტასოჯან, შენგან არ მიკვირს, მაფრთხილებ, ბანკში არ გაგაცხარონო და თავი არ დაანებოო. ბავშვი ხომ აღარა ვარ. ისე გულ-მაგრადა და არხეინადა ვარ, რომ გაგიკვირდება

და ამას გარდა, ესეც ვიცი, რომ შემოდგომაზედ, როცა ბუზებს აღსასრულის დღე უახლოვდებათ, უფრო კაპასდებიან და იკბინებიან. ვგონებ, ბანკშიაც ჩვენს მოპირდაპირეთ სწორედ ამ ბუზების დღე ადგათ...

ბაბოსა და ნიცას წერილები მომივიდა და ვეცდები, რა საყიდლებსაც მწერენ, ყველაფერი გავუგზავნო მარიამის ხელით, დავით როსტომიჩის ცოლისა. ასე, ჩემო ტასოენი, გაკოცებ ბევრს შენ და ნიკოს.

მართლა, გიორგის უთხარ, შემომითვალოს, რა ვუყო დათიკო ამილახვრისაგან გადმოცემულ 160 მანეთს, ან ვალი ხომ არა აქვს-რა ბანკში, რომ შევიტანო. ამას გარდა, ჩემი ვალებისა, რომელშიაც ბილეთებია დაგირავებული, ან ლიზასი, ნურა ეფიქრება-რა, თავთავის დროზე მაგაზედ უფრო კარგად ვადევნებ თვალყურს. უთხარ აგრეთვე გიორგის, რომ აკაკის ცუდად ნუ მოექცევა, როცა ჩამოვა, აქ მიზეზს ვეტყვი.

შენი ვანო

მომიკითხე ყველანი.

13

26 სექტ.

ტასოჯან, წუხელის ლევან იყო ჩემთან. პირადად დავაბარე ზოგიერთი რამ შენთან, მაგრამ წერილითაც გწერ. შენი ჭირიმე, არამცა და არამც არ წახვიდე საჩხერეს. ჯერ ერთი, ესა, მეტად შეწუხდები მაგ მდგომარეობაში და მეორეც, – მეტად შემაწუხა მარტოკაობამ, სულ შენა და ნიკუშა მელანდებით თვალწინ. ამას გარდა, რა გეჩქარება, ნიცა და მაშო უთუოდ დეკემბერში ჩამოვლენ და იქნება ისეც მოვახერხოთ, რომ ნოემბერშივე ჩამოვიყვანოთ და მთელი ზამთარი ერთად გავატაროთ.

ის დედაკაცი, რომელზედაც წინა წერილში გწერდი, ნიცასთან რომ იდგა, აღარ დავიჭირე, სხვაგან დამდგარა 12 მანეთად. აგრაფინამ სხვა მომგვარა, ძალიან აქებს და რვა მანათად დავიჭირე, მხოლოდ შენს ჩამოსვლამდე ვაცდევინებ, ამ ერთ კვირაზე ჩამოვა მეთქი. ძალიან კარგსა ჰგავს, აგრაფინაც აქებს და სარეცხს კისრულობს ბავშვისას... და ორი ბავშვის მოვლას, ოთახების დალაგებასაც – სპალნისას. თუ ვინიცობაა, ვასილა არ ჩამოვიდა, მაინც წამოსვლას ნუ დაიშლი და გიორგის უთხარ, ან სერგო გამოგატანოს, ან არა და აქ როგორც იქნება, ვიშოვით ვისმე დროებით სერგოს ჩამოსვლამდე. მიხასა და დედაკაცის ინაბარას ვიქნებით, ან თუ გაჭირდა, სტეფანეს მოვიშველიებთ.

სახლი-პატრონთან ტკბილად შევიყარენით, ყველაფერს აკეთებს, რისი პირობაც ჰქონდა, ზოგი გაუკეთებია კიდეც. აკაკი ჩემთან არ ჩამომხდარა, „კვალთან“ სრულიად მოვრჩით საქმეს და ფულიც ჩავაბარეთ.

გიორგის უთხარ, 250 მანათისათვის ნუ შესწუხდები, ვადაზე მე შევიტან როგორც იქნება, მხოლოდ, როცა ჩამოვა, ხელმეორედ გამოტანა მაგვიანდება; ამისათვის ნუ ჩამოვა, მაშინ ჩამოვიდეს, როცა მოიხალისებს მანდ ყოფნას და ტკოცაში აღა-მაჰმად-ხანობას. რა დაემართა, რით ვერ გაათავა ეგ დავიდარაბა გლეხებთან, სწორე გითხრა, ძალიან მეშინიან, არა აწყეინონ-რა. მომწერე, როგორ გაათავა ეგ საქმე, ანუ უფრო მიამბე, რადგან იმედი მაქვს, შენ უფრო მალე ჩამოხვალ, ვიდრე შენი წერილი. დამიკოცნე მაგრად ნიკუშა.

შენი ვანო

[1893 წელი]

14

ოქტომბრის 3, 93. თბილისი.

ტასოჯან. ეს არის ეხლა მივიღე შენი წერილი საჩხერიდან, თუმცა ამ წერილამდის ვაპირებდი ფცაში მოწერას და პასუხის გაცემას იმ საყვედურებზედ, რომლითაც ისე უსამართლოდ მომმართე. დიმიტრი ვეზიროვი ხომ არა გგონივარ, რომ პირიქით, მევე მტუქსავ, ლევანს რად დააბარეო? ან რა დავაბარე ლევანს ისეთი, რომ საწყენი ყოფილიყო. საჩხერეში წასვლის დრო არ არის მეთქი. მართალია, ჩემთვის ძალიან ძნელი იყო კვლავ მარტო დარჩენა, მაგრამ მე უფრო შენის გულისთვის გითვლიდი, მეშინოდა, შესწუხდებოდი მაგ მდგომარეობაში სიარულით და მერე ურმით ასის ვერსის მანძილზე და მერე იმასაც ამბობდნენ, საჩხერისაკენ თითო ოროლი შემთხვევაც იყო ხოლერისაო. მადლობა ღმერთსა, რომ ყველა კარგად გათავდა. შენმა წერილმა საჩხერიდან ძალიან დამამშვიდა, მით უფრო, რომ ჩემს მარტოკაობასაც ბოლო ეღება. თუმცა შენი და ნიკუშას პორტრეტები წინ მიწყვია და ხშირად ვუალერსებ ხოლმე, მაგრამ ისევ ცოცხლადა მყვანდეთ აქ, ის მირჩევნია. ხვალ, ან ზეგ გნახამთ (10-11 ოქტ.), გადაგკოცნით და გიამბობთ ყველას აქაურ ამბებს, ასე რომ დაწვრილებით წერილს აღარა გწერ, მხოლოდ შემატყობინე, რა დღეს ჩამოხვალ, რომ სტანციაზე დაგხვდე. დედაკაცი დავიჭირე 1 ოქტომბრიდან, ძალიან კარგსა ჰგავს. რატომ ბაბო არ წამოიყვანეთ? გელით მოუთმენლად და გკოცნით ბევრს.

შენი ვანო

P. S. შეშა და ფქვილი მივიღე, კარგად დავაბინავე. გიორგის უთხარ, ფულს მე შევიტან 250 მან. Взаймный кредит-ში, ეგ მაგისთვის ნუ დააჩქარებს ჩამოსვლას. ნანოს უთხარ, რომ მაგის ძმის წულს ვუყარეთ კენჭი პანსიონში მისაღებად ათთუმნიანში და კენჭი გამოუვიდა. 14-ს ვუყარეთ კენჭი, სამი ვაკანსია იყო და ერთი მაგას შეხვა. გაკოცებთ ბევრს და გელით მოუთმენლად.

იქნება ერთი დღის წინად მიხა გამოგზავნო და მეორე დღეს შენ ჩამოხვიდე. მეორე კლასით წამოდი. 11 და 12 უეჭველად ჩამოდით.

ვანო

15

პეტერბურგი, 16 ივლისს, 96 წ.

ჩემო ძვირფასო ტასო. წამოვედი ძალიან მხიარულად, კარგადაც გამომაცილეთ, კარგადაც ვიმგზავრე, მაგრამ საშინლად გული მწყდებოდა, მანდაურობას რომ მოვშორდი. დიდი ხანია, ასეთი გძელი მგზავრობა არ მომსვლია და ალბად, გადავეჩვიე. პეტერბურღი კიდევ ისე არ მომეწონა, რომ კინაღამ ვიტირე, ამ ვიწრო ოთახებში გამომწყვდეულს ჩვენი გაშლილი ბუნება რომ მაგონდებოდა. ეხლა ცოტა შევეჩვიე, კოლაც ჩამოვიდა, ერთად დავდექით და კარგად მოვეწყვეთ. ვგონებ, საქმეც კარგად წავიდეს. თუმცა, ესტატე თარხნიშვილის ტელეგრამა მარტო ცნობის-მოყვარეობით მოწერილი გამოდგა, მაგრამ ვიტტეს ტელეგრამას კოლასთან მნიშვნელობა ექნება უთუოდ. მინისტრი ეხლა აქ არ არის, ამ დღეებში აპირებსო მოსვლას; თუ მოვა, იმისგან დავიწყებთ საქმეს, თუ არა, მაშინ კიდევ იმისგან ნაჩვენებს კაცს მივმართავთ. ყველანი კი ამბობენ, რომ გააუქმებენ უკანასკნელ



ივანე, ელენე, ანასტასია და ნიკო მაჩაბლები

თამარაშენი, 1896 წელი

კრებასაო. ვნახოთ, რა იქნება. შაქრო მაღალოვი ვნახე; ოჯახობით აქ არის. ძალიან კარგად მიმიღო და დახმარებასაც დამპირდა, რითაც კი შეუძლიან. ჯაბადარი ჯერ არ მოსულა, ამ სამ-ოთხ დღეში მოვა, ვგონებ. ისიც ჩვენთან დადგება, ესტატეც აქ არის და მთელ კოლონიას შევადგენთ ერთად.

შენ როგორა ხარ, შენი და ბავშვების ამბავი მომწერე. რა კარგი ვქენ, რომ პორტრეტი წამოვიღე, აქ ცოტაოდენად მაინც თქვენს მაგივრობას მიწევს. ვერ წარმოიდგენ, რა რიგად მომინდება ხოლმე თქვენი ნახვა. თუ ღმერთმა ჰქნა და კარგათ გათავდა, როგორ ფრთებს შევისხამთ და სიხარულით გადმოვფრინდებით. სწორე გითხრათ, მომწყინდა ამდენი ვაი-ვაგლახი და წანწალი. წრევანდელმა ზაფხულმა სულ ფუჭად ჩამიარა. მინდა ერთი დამშვიდებით, ერთი კვირა მაინც სადმე მიყრუებულ სოფელში ჩემ პატარებთან ხეების ჩრდილ ქვეშ გავატარო.

დათიკო ამილახვარმა ოცი თუმანი გამომიგზავნა, აკი გითხარ, გამოგზავნის მეთქი. თუ ფული დაგაკლდეს, გიორგის გამოართვი და მომწერე. კოწია წერეთელმა მოგიკითხათ. აგრეთვე კოლა ორბელიანმა. ბაბო, ნიცა, ბეჟან, ბავშვები დამიკოცნე. იქნება, ამ დღეებში კიდევ მოგწერო.

არჩილი მომიკითხე.

ჩემი ადრესი: Петербургъ, Невский 54, кв. 38, К. И. Г. М.

შენი ვანო

16

პეტერბურღი, 29 ივლისი, 96 წ.

ჩემო ძვირფასო ტასო. მართალია, ჯერ ჩემი პირველი წერილის პასუხი არ მომსვლია, მაგრამ ისე გეშურებათ, მე ვიცი, აქაური ამბების შეტყობა, რომ მოცდა ცოდო იქნება. აი,

გწერ, დაწვრილებით, რაც შევიტყვეთ. კოლასა და მე მანდ ჩვენი არზები არა გვქონდა მომზადებული და აქ მოვამზადეთ. კოლას არზა დიდი გამოვიდა და ბევრი დრო მოუნდა, ამას გარდა, მინისტრიც არ იყო აქა. ღვთის მადლით, ამ დღეებში მოვიდა და ვგონებ, 20 აგვისტომდე დარჩება, როგორც ამბობენ. ამ დრომდე ან ჰოს შევიტყობთ, ან არას. კოლამ ნახა ვიტტე და ძალიან კარგად მიიღო. ეს ამბავი საიდუმლოდ შეინახე, სულ ნურავის ეტყვი. ვიტტე დაჰპირებოდა, რომ მაგ საქმეს უთუოდ მე გავსინჯავო. ეს დიდი ამბავია. თუ მართლა ყურადღებით გასინჯეს, არ შეიძლება ჩვენ მართლები არ გამოვიდეთ, იმისთანა საბუთები გვიჭირავს ხელთა. ამ ორ დღეში მივცემთ ორნივ არზას და უფრო დაბეჯითებით გვეცოდინება საქმე. გაზეთისაც ზოგიერთი რამ შევიტყვე: ვიყავ იმ დღეს სოლოვიოვთან (Предсѣдатель главнаго управленія по дѣлам печати), რომელზედაც არის დამოკიდებული გაზეთების ნება-რთვა. გილოს კაი ნაცნობი გამოდგა. „დროების“ ისტორია ვუთხარ და ვკითხე, შეიძლება სულ ახლად ვითხოვო ამ გაზეთის გამოცემის ნება მეთქი. რატომ, თუ ადგილობრივი მთავრობა წინააღმდეგი არ იქნებაო. ახლა, ქალაქში რომ დავბრუნდები, პირდაპირ შერემეტიევთან, ან ტატიშჩევთან უნდა ვეცადო და ისე მივცე თხოვნა. რუსულ გაზეთის შესახებ კოლას ჯერ საქმე არ დაუწყია. უნდა ვიტტეს რეკომენდაცია გამოართვას და ისე წავიდეს. გიორგი თუ მანდ იყოს, უთხარ, მაგის სინდიკატისათვისაც ვცდილობ. ერთი სტოლიდან მეორეზე კი გადავაჩოჩებინე და ვცდილობ, სრულად დავამტკიცებინო და არ ვიცი, მოვასწრობ თუ არა. მე და კოლამ ისე გადავწყვიტეთ, საქმე ჯეროვან გზაზედ დავაყენოთ და თუ დაიგვიანებენ, ბოლოს ვეღარ მოვუცდით: 20 აგვისტოს იქით უნდა წამოვიდეთ. იმედს გვაძლევენ, რომ ამ დრომდე სრულიად გამოირკვევაო. იქნება, მე მარტო კიდევ უფრო ადრე წამოვიდე. წამოსვლის წინად დეპეშას მოგწერ და კარგი იქნება, ქალაქში დამიხვდე, ან ჩემი ჩამოსვლის მეორე-მესამე დღეს მოხვიდე. იქ პლანს დავაწყობთ, როგორ მოვიქცეთ და სად ველოდოთ საქმის დაბოლოვებას.

ვერ წარმოიდგენ, ტასოჯან, რა რიგად მომწყურდა თქვენი ნახვა და როგორ მეზიზღება ეს ოხერი პეტერბურგი. რომ წარმოვიდგენ ხოლმე 3000 ვერსტი გვყოფს. გული მიღონდება და მოუთმენლად ველი იმ წამს, როცა პირს მანდეთკენა ვიქ და ველირსები თქვენს გადახვევას. ეხლა თქვენი სურათი მიდგას აქ და ამითი ვნუგეშობ, თუმცა, ასე სურათით ალერსი უფრო სურვილსა ჰგვრის დაახლოვებისას. იქნება, შენმა წერილმა ვერ მომისწროს, მაგრამ მაინც მომწერე, შენი ჭირიმე, რომ დარდები გადამეყაროს.

დამიკოცნე ყველანი გულიანად და ეს ნიკუშას წაუკითხე:

ჩემო ნიკუშა!

დედა არ გააჯავრო, მე მალე მოვალ. მომწერე, რა მოგიტანო.


შენი მამა

ტასოჯან, გეთაყვა არავის უთხრა, რომ კოლამ მინისტრი ნახა, თორემ ვაი თუ ხმა გავრცელდეს და არაფერი ხრიკი არა მოგვდონ-რა ჩვენმა „კეთილის-მყოფებმა“.

ჩემი ადრესი: Невскій №54.

შენი ვანო

კოლამა და მართა ისიდოროვნამ მოგიკითხეს ყველანი.



ივანე მაჩაბლის წერილი ანასტასია ბაგრატიონ-დავითიშვილ-მაჩაბელს
პეტერბურგი, 29 ივლისი, 1896 წელი

17

2 აგვისტო, 96 წ. პეტრბურლი.

ძვირფასო ტასო. გუშინ შენი წერილი მომივიდა და ერთის მხრით მასიამოვნა და მეორეს მხრით შემაწუხა. სირცხვილი არ არის, იწერები, ბევრს ვიტანჯებიო. სატანჯველი რა გაქვს, გენაცვა. ღვთის მადლით, იმედია, საქმე კარგათ წავა. ვიტტემ კარგათ მიიღო ძალიან კოლა და ორჯერ სადილადაც დაჰპატიჟა. დაჰპირდა კიდეც, რომ საქმის განხილვაში შევა. აქაურმა ჩინოვნიკებმა არაფერი არა იციან-რა ჩვენი საქმისა; არც კიკოსა და ბარათაშვილის-ყიფიანის არზები გაესინჯათ, მაგრამ ეხლა დაჰფაცურდნენ, რაკი ვიტტე ყურადღებით არის. ვისაც კი ვუამბე, თუ რა განსხვავებაა ჩემს აზრსა და 13 აზრს შორის, ყველანი იმას ამბობენ, გადარეულები ხომ არ არიან ეგ ცამეტნი, რომ ასეთ სისულელეს ჰქადაგებენო. ხვალ კოლა არზას აძლევს – ძალიან დიდი გამოვიდა და გვპირდებიან ძალიან მალე გასინჯვას. იქნება, საჭიროდ დაინახონ და მანდედამ პასუხი მოითხოვონო, მაშინ, მე ვგონებ, გაებმიან ეგენი მახეში, რადგან საპასუხო არა აქვთ რა და თავიდან ბოლომდე მტყუანები არიან. ფულზედ ნუ შესწუხდები, ტასოჯან, აქ იქნება სულ ხუთიექვსი თუმანი დამაკლდეს და კოლა მაძლევს, რომლის საქმეც გადაგირავების შესახებ კარგად მიდის.

გუშინ მიხას წიგნი მივწერე და დავარიგე, ბანკში შესატან ფულის შესახებ; შენ ნუ შესწუხდები, არაფერი წახდება. აგრეთვე მივწერე, რომ თუ ფელიცინის „კვარტირა“ არ გაუცია 30 მანეთად, დიდი სახლები მისცეს, მაგრამ თვეში 70 მანათ ნაკლებ ნუ მისცემს ტელეფონით. შენც ასე მოიქეცი, თუ ვინცობაა თბილისში მოგიხდეს ყოფნა ჩემს მოსვლამდე და თუ კაი მდგმური იქნება, შეგიძლიან, დაუკლო, როგორც საჭიროდ დაინახავ. ჩვენ თუ ქალაქში ვიქნებით: პატარა სახლებში ვიდგეთ, არა გვიჭირს-რა ერთ ზამთრობით.

რკინის გზის საქმე ჩაუფუშნიათ იმათ, მაგრამ ვერც რასმეს თითონ გაარიგებენ; ერ-



ივანე მაჩაბლის შვილები – ნიკო და ელენე

1898 წელი

თის მხრით, ესეც კარგია, რომ ჩვენ ხელს არ ვუშლით შაქროს, რომელსაც საქმე საქმეზედ ჰქონდა მოყვანილი. რაც შეეხება ადგილზედ მოლაპარაკებას, არაფერი მითქვამს არც მიტოსთვის, არც შაქროსთვის. თუ საჭირო იქნება, თითონ დათიკოს მოველაპარაკები, შაქროსთან კი მემძიმება ამ საგანზედ ლაპარაკი; მაგრამ მე ვგონებ, საჭირო არ იქნება ადგილის ძებნა, რადგან 90 შანსია 100-ში, რომ გააუქმებენ საგანგებო კრების გარდაწყვეტილებას.

„დროების“ შესახებ ვიყავ და ველაპარაკე უფროს ჩინოვნიკს და ასე მითხრა, თუ ადგილობრივი მთავრობა წინააღმდეგი არ იქნება, ჩვენც არ ვიქნებით წინააღმდეგიო. როცა მოვალო, ვნახოთ და იქნება, გამოვიდეს რამე, მაგრამ პირდაპირ უნდა შერემეტიევთან მივიდე და ვნახოვო.

გიორგის ძალიან უსაყვედურე, რომ ერთ წერილს არ იწერება. კოლაც ემდურის, აქამდის დაპირებული დავერნოსტი და მოწმობა ბანკისა, რომ დოკუმენტები არ გაგვასინჯეს, არ გამოგზავნაო.

დამიკოცნე ყველანი გულიანად. ბაბოს უთხარ, რომ კრაევსკი ნიჟნი ნოვგოროდში წასულა და პეტერბურღში არ არის-თქო.

ნიკუშკას წააკითხე:

ჩემო ნიკუშკა,

მე მალე მოვალ, დედა არ გააჯავრო. როცა მოვალ, ერთად ვიბანაოთ ხოლმე. შენი მამა.

ელას უთხარ: Папа скоро приѣдет.

გაკოცებ ბევრს.

შენი ვანო

მრავალი მოკითხვა ყველასგან. იცოდე, ტელეგრამას მაშინ მოგწერ, თუ საქმე სრულიად გათავდება, ან წამოსვლის წინად.

მიხეილ მაჩაბელს

1

2 კათათვე (ივლისი). თამარაშენი.

ძმაო მიშო. დიდად დამნაშავე ვარ შენთან, რომ აქამდის დაგიგვიანე შენი ხელნაწერი. ქალაქში გაუსწორებელი ვეღარ გადავეც, შემრცხვა და თან წამოვიღე სოფელში. ეს ერთი კვირაა, გავასწორე, მაგრამ ფოსტას ვერ ვენდე და აი, ეხლა სრულიად სანდო კაცის ხელით გიგზავნი. ძალიან კარგად არის დაწერილი და რაც კიდევ უფრო საკვირველია, მოკლედაც არის. მიშო, აგრე უნდა, მოგვატყუეთ და არ ამოხვედით თამარაშენს. პირობის გატეხა კარგი არ არის... ხვალ-ზეგ მე და ვასო, ჩემი ძმა მივდივართ ოსებში და შენსავით მინდა, ერთი კვირა მთებში გავატარო. 18 კათათვეს ქალაქში ვიქნები და იმედი მაქვს გნახავ. თქვენებს მოკითხვა მოახსენე ჩემ მაგიერადაც და ჩვენების მაგიერადაც.

კოლა აქ არის, ფავლენიშვილი და ასე შემოგითვალა, მებრალები, რომ ლილოში ჩემისთანა მომთმენს ვერავის ჩაიგდებ სალაპარაკოდ, ისე რომ, არა თუ ცხენ-და-ცხენ, მგონი, ფეხ-და-ფეხაც დაგავიწყდეს ლაპარაკიო.

შენი ძმა ვანო მაჩაბელი

[1880 წელი]

2

19 ოქტ.

ძმაო მიშო.

ვინ იცის, როგორა ჯავრობ ჩემზედ პასუხის დაგვიანებისათვის, მაგრამ რომ იცოდე ჩემი მდგომარეობა, შეგებრალები. დილის 7 საათიდამ საღამოს 10 საათამდე მოსვენება არა მაქვს. ჯერ არის ამ თეატრმა „ზაპლა წაიღო“, იმდენი ხათაბალა სდომებია; კარგი რამ გამოდის, მგონი, მაგრამ კარგა ფულიცა ჯდება; ჩავიფალით, რაღა! ეჰ, მახლას, დიდი ყაყანი იქნება, თუმცა, ჩვენც ციფრებით შეჭურვილნი გამოვალთ და დავამტკიცებთ, რომ რაც დაიხარჯა, ხუთ-ექვს წელიწადში ადგება ისევ ისე მარტო შემოსავლის მომატებით. დიდის ამბით ვაპირობთ თეატრის გაღებას. ჩემის აზრით, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ 15-20 ნოემბერს. ვინძლო შენც აქ დაესწრო მაშინ.

ახლა ამ თეატრს გარდა ვეფხის-ტყაოსანიც იბეჭდება და ამ საქმის შესრულება სულ მე დამაწვა კისერზედ, თუმცა, იყო განსაკუთრებული კომისია შემდგარი, მაგრამ შენ „დუმაში“ ნამსახური ხარ და გეცოდინება კომისიის ფასი. სხვაფრივ აქ ცხოვრება თავის წესზედ მიმდინარეობს: წვეროსანის გადაყვანამ ყველანი ასიამვონა, ყაზანში გადაუბრძანებიათ, „კავკაზმა“, თუ წაიკითხე, იმით გაამართლა ეს გადაყვანა, რომ ყაზანის ეპარქია უფრო დიდია საქართველოს ეგზარხოსობაზეო: იქ, ყაზანში უნივერსიტეტიც არის, აკადემიაც და ვეტერინარების ინსტიტუტიცო; ამ უკანასკნელ დაწესებულებასაც კავშირი უნდა ჰქონდეს რაიმე ალბათ ეპისკოპოზობასთან. მეორე ბობოლის გადაყვანასაც ამბობენ, მაგრამ დიდი ხანია ამბობენ...



მიხეილ (მიშო) მაჩაბელი
მოსკოვი, 1870-იანი წლები
ფოტო: ალექსანდრ ეინეხვალდ

ჩვენ ჩვეულებისამებრ ვპარასკეობთ, ძალიან თვალში გვაკლიხარ; ხშირად გიგონებთ, მეტადრე მაშინ, როცა წასვლის დრო მოახლოვდება ხოლმე და შენი პორიდორის „რეჩები“ გაგვახსენდება.

ვწუხვარ, ჩემო მიშო, რომ ეგრე დაუკრავს შენთვის იმერეთის ჰაერს და მოგწყენია მანდაურობა. სოლიკომ მითხრა, რომ ეცადოს, ადვილი იქნება იმის გადმოყვანა აქაო. რატომ არ ცდილობ? შენ, ძმაო, მანდ ისე ვერ გასძლებ, როგორც თევზი უწყლოდ. ბევრი, ბევრი ორი თვე გასძლო მთაში, ისიც კი ბევრია შენთვის. მეტადრე ეხლა უნდა იყოს შენთვის ეს სამძიმო, რაკი ხმოსანი ბრძანდები და კანონიერად შეგიძლიან ხმის ჩამორთმევა და ლაპარაკი... „პროხვოსტ!“, იტყვი და გაიცინებ შენს გულში, მაგრამ ეგრე კია და.

პარასკევობას დიდი ყაყანი გვაქვს ხოლმე ჩვენის სათავადაზნაურო სასწავლებლის გადაკეთებაზე. ვაპირებთ, რეალური ხასიათი მივცეთ, როგორც შარშანა ვფიქრობდით. იმედი მაქვს, ეს საქმე უშენოდ არ გადატყდება და როცა საბოლოო ლაპარაკი იქნება, მაშინ შენ აქ იქნები გადმოყვანილი.

ეცადე, შე შეჩვენებულო, მალე გადმოსვლას, თორემ скучно безъ тебя... სოლიკოსაც რაღაც დაემართა, ყარაიას დაუცდია და აციებს. წარმოიდგინე სოლიკოს სახე და მიმტკნარებული ლაპარაკი, არ უხდება სრულიად.

ლეისტი ნემენცურადა სთარგმნის ვეფხის-ტყაოსანს ლექსად. კარგი უნდა გამოვიდეს, თუ გული დაუდო. სხვა რაღა მოგწერო, შენი დაბარებული შევასრულე, ნიკო დიასამიძის ხელით გადავეც ის ერთი თუმანი, „ვისაც ჯერ არს“.

მიტომ, სანდრომ, ერთი სიტყვით, ყველამ, ვისაც ახსოვხარ – და ვის არ ახსოვხარ! – მოგიკითხეს და შენის სირინოზის ხმის გაგონება ინატრეს.

შენი ძმა ი. მაჩაბელი

[1887 წელი]

3

4 სექტემბერი. თბილისი.

ძმაო მიშო. გუშინ მომივიდა შენი ტელეგრამა, რომელსაც ეტყობა, რომ ძალიან ჩაუფიქრებიხარ ჩვენის თამასუქის საქმეს. მაგრამ ამაზედ შენ ნუღარ შესწუხდები. თუმცა, სახლის გაყიდვა ვერ მოახერხეს თქვენებმა და მყიდველებმა ათი თუმანიც დაჰკარგეს ბედ მოცმული, მაგრამ თამასუქს მაინც მოვუხერხეთ: ოცი თუმანი შევიტანეთ და დანარჩენი გვადროვეს ექვს თვემდის. ამასთანავე გავგზავნეთ ქაღალდი პეტერბურგს შვიდასი თუმნის სესხის დამტკიცებაზედ. თუ იმ დრომდის, ვიდრე დაამტკიცებენ, თქვენები მოახერხებენ გიროვნების მოწმობის აღებას, ხომ რა კარგი, საქმეც გაიწმინდება სრულიად და სახლსაც, რაკი მეტი ვალი ედება, უფრო ადვილად მოუხერხებთ გაყიდვას, რადგან მყიდველს ნაკლები დასჭირდება ნაღდი ფული.

მართალია, მოგწერე, შენ საჭირო არა ხარ მეთქი, რადგან მეშინოდა, მანდ აჩქარებით საქმე არა წაგეხდინა-რა, მაგრამ კარგი იქნება, რომ მალე ჩამოხვიდე ქალაქში. თქვენის საქმისათვის არ ვამბობ, საქმეს ისედაც მოევლება. ვამბობ იმისთვის, რომ ბევრი სხვა საქმეები გვაქვს ამ ენკენისთვე-ღვინობისთვეში დასაწყები და შენ ძალიან საჭირო ხარ. მე იმედიცა მაქვს, რომ მალე გაათავებ შენს „სახელმწიფო“ დავიდარაბას და ჩამოხვალ. ეს ზაფხული ხომ გაგითავდა და ახლა საზამთრო საქმეებს უნდა შეუდგე შენცა. რატომ არასა მწერდი შენს წერილში, რას გიპირებენ, ქალაქში გტოვებენ, თუ გგზავნიან სადმე. ან იქნება, შენც არა იცოდი-რა ამ საგნის შესახებ, რაკი მთებში იყავ გადაკარგული.

თქვენები ყველანი კარგად არიან. მომწერე დაბეჯითებით, როდის ჩამოხვალ ქალაქში. მე ექვსს ამ თვისასა თამარაშენში მივდივარ და 15-სათვის ჩამოვალ. კარგი იქნება, მაშინ ერთად შევიყარნეთ. მოგიკითხეს ყმაწვილებმა.

შენი ძმა ი. მაჩაბელი

[1888 წელი]

4

ს. ფცა. 5 ივლისს.

ძმაო მიშო.

ჩემს წერილებზე არას მოგწერ იმის მეტს, რომ ძალიანა მწყინს, ჭავჭავაძე პეტერბურგს წაბძანებულა და ცოტა გვიან მიუვა. იქნება ისიცა ჰქნას, რომ ჩემამდის ვერ მოაღწიაო და პასუხი არ გამცეს. მაინც ამის მეტი არა დამრჩენია-რა. ქართულში ჯერჯერობით არას დავწერ, ვიდრე ხმას არ ამოიღებს და არ დაბრუნდება ქალაქში, მაშინ კი უნდა ქართულად სრული მისი უვიცობა გამოვაშკარავოთ. კარგად ვერ გავიგე, მართლა გწყენია შენი „доморощенный финансист“-ობა თუ არა. თუ საწყენი იყო რამე შენთვის, რატომ არ მიაქციე ყურადღება, რომ მეც შიგა ვარ მოყოლილი და თუმცა შენზედ ხმა არ ამომიღია სტატიაში (რომ მეხსენებინე, ძალიან ცუდად გადააკეთებდენ), მაინც ხშირად არის გაკვრით ლაპარაკი. როცა გნახავ! მერე როდისა გნახავ? ძალიან კარგად გიფიქრიათ შენ და მიტოს ერთად მოსვლა, მით უფრო, რომ მიტოზედ იმ დღესაც მეუბნებოდენ ბაბო და დათა, მისწერე, მოვიდესო, მაგრამ როდის მოხვალთ? უნდა გადაჭრილი ვიცოდე,

რომ აქ დაგიხვდეთ. მაშ, რამწამს ეს წერილი მოგივიდეს, დანიშნეთ დღე წამოსვლისა და მაშინვე შემატყობინეთ, მეც მაშინვე გაცნობებთ, აქ მოხვიდეთ, თუ თამარაშენში, მხოლოდ რამდენიმე დღის წინად კი უნდა შემატყობინო.

ჩემს საქმეებზე რა მოგწერო, მეც არ ვიცი, როგორ წავა საქმე. იმ დღეს სტაროსელსკის ცოლს წერილი მივწერე, მარკოვისთვის უნდა ეთხოვნა ადგილი, თითონვე დამპირდა, მაგრამ ჯერ პასუხი არა მაქვს. ამბობენ, ყველანი ქალაქს გარეთ არიანო და, მგონი, გაჭირდეს სექტემბრამდე რაიმეს გარიგება. სწორე გითხრა, ეს ძალიან მაწუხებს და თუ ბეჯითად არ დამაიმედეს ამ ვადამდე, იქნება, შორს გადაკარგვა დამჭირდეს სადმე, რასაკვირველია, დროებით. დროებით, ვამბობ, იმიტომ, რომ ძალიან მინდა ქალაქში დაბრუნება, ეხლა მანდ, ქალაქის საქმეებს საინტერესო ხასიათი მიეცათ, მეტადრე, რაკი მიტოც ალაპარაკებულა. სამწუხაროდ, გაზეთებში არაფერია მოყვანილი ჩვეულებისამებრ. ნიკომ, დაისამიძემ მითხრა, იზმაილოვი ამოირჩიეს ქალაქის თავის მოადგილედ და ჯამაგირიც ასი თუმანი დაუტოვესო. ეს კი სწორე არ უნდა იყოს, ამაზედ გაზეთებში, უეჭველია, დაბეჭდავდენ. განა ქალაქის თავი თავის სიტყვას გადავიდოდა? მგონი, ნიკოს უნდა შესცდენოდეს.

გუშინ აკაკის წერილი მომივიდა. გვისამძიმრებს დამარცხებას და თან გვილოცავს გამარჯვებას. როცა გნახავ, მაშინ გიამბობ დაწვრილებით იმის ამბავს.

ბაბო ძალიან მხიარულად არის. გენეროზოვაც აქა ჰყავს და გთხოვს, როგორც хотятка, შენცა და მიტოსაც მალე მოსვლას. ჩვენები ყველანი კარგად არიან და მადლობას გითვლიან მოკითხვისთვის. ბევრი რამა მქონდა მოსაწერი, მაგრამ სწორე გითხრა, არ მინდა, ყოველისფერი წერილში მოვაქციო, ზოგი პირადად გადასაცემად დამჩეს.

მომიკითხე ყველა ჩვენი მეგობრები.

შენი ერთგული ი. მაჩაბელი

[1891 წელი]

ილია ჭყონიას

„ივერიის“ რედაქცია.
მთა-წმინდაში, ხევის ქუჩა, №9.
15 იანვარს, 1882 წ. თბილისი.

ძმაო ილია.

შენი ლექსი ლამაზი ლექსია და იანვრის წიგნში დაიბეჭდება, თუ არა და თებერვლის წიგნში. რაც შეეხება „ივერიის“ გამოგზავნას, აი, რა უნდა მოგწერო: შარშანაც ბევრი დაეკარგა ნისიად რედაქციას და წრეულს გადასწყვიტა, ნისიად არავის უგზავნოს; ამიტომ ნუ ეწყინებათ ალ. მუსხელოვს, ივ. გველესიანს და ნიკოლაძეებს, რომ ივერია არ მიუთვალოთ, ვიდრე ფულს არ გამოგზავნიან. რატომ არას იწერები, ილია, როგორ მიდის შენი ხუმარას საქმე!

შენი ძმა ი. მაჩაბელი



ილია ჭყონია
ქუთაისი, 1880-იანი წლები

დიმიტრი ყიფიანს

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „დროება“.

16 ნოემბერს, 1883 წ. თბილისი.

უპატივცემულესო ბატონო დიმიტრი,

გაახლებთ ამასთანავე თქვენს წერილს „ბუნების კარის“ შესახებ და მოგახსენებთ მიზეზს აქამდის დაუბეჭდველობისას.

მე ვერიდებოდი, რომ თქვენს წერილს რაიმე უსიამოვნება არ გამოეწვია; რაკი თქვენს წერილს დავბეჭდავდი, გოგებაშვილსაც მიეცემოდა უფლება ცხარე კრიტიკაზედ ცხარევე პასუხი დაეწერა და ამგვარი პოლემიკა არ მოუხდებოდა ეხლანდელს დროს, როდესაც იანოვსკიმ სასტიკი ომი გამოუცხადა ქართველთა შორის განათლების საქმეს და თავის უკანასკნელს ცირკულიარში „წერა-კითხვის საზ.“ და გამგეობის წევრთა უწოდა „неразумные педагоги“.

მაინცა და მაინც თუ ისურვებთ თქვენის წერილის დაბეჭდვას, უკანვე გვიბოძეთ და მაშინვე დავბეჭდავთ.

თქვენი ლექსი პირველსავე ნომერში დაიბეჭდება.

თქვენი გულითადი პატივისმცემელი ი. მაჩაბელი



დიმიტრი ყიფიანი
თბილისი: 1880-იანი წლები
ფოტო: ალექსანდრე როინაშვილი

დავით მესხს


1

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „დროება“.
თბილისი, ოქტომბრის 6, 1884 წ.

ძმაო დათიკო.

უკაცრავად, რომ ტელეგრამაზე პასუხს ცოტას გიგვიანებ. აი, საქმე როგორ არის: მე ჯამაგირის ძლევა (30 მანათისა თვეში) მხოლოდ ნოემბრის პირველიდან შემიძლიან, რადგან ამ დრომდე ძველი კორექტორი რჩება. საქმე შემდეგი გექნება: სადილის უკან პირველი კორექტურის დაჭერა (მეორედ მე ვასწორებ) და დილით უეჭველად რედაქცია-ში ყოფნა სამი საათის განმავლობაში – 10 საათიდან 1 საათამდე, როდესაც შეგეძლება, წვრილ-წვრილი ამბების თარგმნა გაზეთებიდგან და თუ გატყვრა ხოლმე საიდამ ხელის მოწერა, ან განცხადება, ამის მიღება. მე იმედი მაქვს, თუმცა, სრულად ვერ დაგაიმედებ, რომ სხვა სამუშაოსაც გიშოვით შემდეგში და ასე მცირე ულუფაზედ არ დადგები. მაშ, ვახსენოთ ღმერთი, გამოართვი ჩემ მაგიერათ სამგზავრო ფული, 10 მანათი იყოს, თუ 15, ან 20 ჭილაძეს ამ წიგნის ჩვენების შემდეგ და გამოემგზავრე ამ თვის გასულს. მალე შემატყობინე, თუ ამ პირობებს არ უარჰყოფ. თუ ჭილაძემ უარი გითხრა რედაქციის ან-გარიშში მოცემაზე, მომწერე კიდევ ორი სიტყვით და მაშინვე გამოგიგზავნი.

ი. მაჩაბელი



დავით მესხი
1880-იანი წლები

2

ძმაო დათიკო. გ. ყიფშიძეს დავაკლებინე 5 მანათი თვეში, მეც გავიქექე ჯიბე, მივუმატე ხუთი მანეთი და როგორც იყო, შეგისრულე ოთხი თუმანი, თუმცა, რედაქციაში სადგომი არ გექნება; ეხლა რედაქცია ცოტა კაი ადგილზედ გვაქვს და ვიწროდა ვართ. ერთი სიტყვით, შენი „ავლა-დიდება“ ოთხი თუმანი იქნება თვეში და იმედი სხვა სამუშაოსიც. რაც შეეხება რედაქციის შეძლებას, ამაზედ აქ ვილაპარაკებთ და გაგაცნობ კიდეც ჩემს მდგომარეობას, როგორც დაახლოებულს წევრს რედაქციისას. მანამდის კი ნახვამდის. გელი უეჭველად.

შენი ვანო მაჩაბელი
[6 ოქტომბრის შემდეგ, 1884 წელი]

3

ივლისის 26.

ძმაო დათიკო.

ჭყონიას წერილი მივწერე და ვაცნობე, რომ საჭირო არ არის, ვინმემ იკისროს ფელეტონის ავტორობა. მე თვითონ ვიკისრებ. მაშასადამე, ოზურგეთში წასვლა საჭირო არ არის. ოზურგეთში წასვლა კი საჭირო არ არის, მაგრამ ის კი შემატყობინე, როდის შეგეძლება აქ მოსვლა. მე აქ ვერავინ ვიშოვე, რომ ეშრომა და ფულზედაც ძალიან კოტრობაა, ასე რომ, საქმე სულ მე დამაწვა კისერზედ თითქმის. კორეკტურის გასწორება კი არ მაწუხებს, რადგან ამის იქით გადავწყვიტე კორეკტურა მე თითონ ვასწორო. შრომა, ერთია, პირველი და მეორე, კორეკტურის გასწორებაზედ და ამწყობებიც ძალიან დახელოვნდნენ. მაგრამ კაცი არ არის, რომ რედაქციაში იყოს ხოლმე დილით, როცა მე იქ არა ვარ.

ამას გარდა, აცნობე ჭილაძეს, რომ რაც მერგება ფული, გამომიგზავნოს უეჭველად. ორი თვეა მოვწერე და არაფერს მატყობინებს. ფული მჭირდება, რადგან ამწყობები მაწუხებენ და შემოსავალი კი ამ სამ თვეს არა იქნება-რა.

ი. მაჩაბელი
[1885 წელი]

4

ძმაო დათიკო, აუცილებლად საჭიროა, რომ, რაც შეიძლება, მალე ჩამოხვიდე თბილისში. რა წამს ეს წერილი მოგივიდეს, მაშინვე გამოსწიე თბილისისკენ. მინდა, რომ კვირამდის აქ იყო, ან ორშაბათისთვის, რადგან სამშაბათს სხვაგან მივდივარ ორის კვირით, ან ათი დღით. მაშ, გელი.

ვანო
[1885 წელი]

5

17 ივნისს.

ძმაო დათიკო.

შენს წიგნზედ ცოტა პასუხი დაგიგვიანე. ჩემი ბრალი არ არის. მართლაც, ამ შენს წერილს საიმედო პასუხი ეკადრებოდა და იმედის მოუცემლობას სულ მოუწერლობა სჯობს. ეხლაც იმედს ვერას გაძლევ, მაგრამ ვიფიქრე, ვაი თუ უპასუხობა სხვაფრივ ჩამომართვას და დავიწყება მისაყვედუროს მეთქი. კარგად იცი, ჩემო დათიკო, რომ მე მაგისთანა გული არა მაქვს და რომ შესაძლებელი ყოფილიყო, აქამდისაც ვეცდებოდი რამე ადგილის შოვნას, მაგრამ ესეც იცი, რა ძნელია ამ დაწყევლილი ალაგების შოვნა და მეტადრე იმისთანასი, რომელიც მუდამ მშიერი კუჭით მაინც არ გატარებდეს. რაც შეეხება ჩემსა და დიასამიძის ვალებს, შენგან არ მიკვირს, რაებს იწერები. ან მე და ან დიასამიძე თავის დღეში როგორ ვიფიქრებთ, რომ გისაყვედუროთ რამე. როცა კაცს ზღვა აღრჩობს, წყაროზე ფიქრი ამაო არ იქნება? როცა რვაას-ცხრაასი თუმანი დამედო, შენი რამდენიმე მანეთი რაღა სახსენებელია, მერე იმისთანა მანეთები, რომელიც აუცილებელმა გაჭირვებამ აგაღებინა. შენ კარგად იცი, რომ შენს შრომას ყოველთვის მეტად ვაფასებდი და თუ მეტის მოცემა არ შემეძლო, ეს მხოლოდ რედაქციის ხელმოკლეობით მომდიოდა.

გუშინ ლაგიაშვილის საქმე გადაწყვიტეს, ოცის წლით კატორგა დაუნიშნეს, ბევრნი ჩამოხრჩობას ცდილობდენ. პროკურორმა ძალიან პატიოსანი სიტყვა წარმოსთქვა, ადვოკატი უფერული იყო. სხვას ვერაფერს მოგწერ, დაწვრილებით ამბის შეტყობისათვის გამამტყუნებელი ოქმი წაიკითხეთ.

იწერები, დათიკო, შენც დამპირდი რამეო. არას დაგპირდები, მაგრამ იქნება ამ დაუპირებლობამ უფრო გაჭრას.

შენი ვანო მაჩაბელი
[1885 წელი]

6

ივნისის 26.

დათიკო.

იმ დღეს რომ ფელეტონში შეცდომა მოსვლოდათ სტამბაში, გაასწორებინე, თორემ უაზრობა გამოდის. ამას გარდა, თუ არ გადმოგიბეჭდიათ, გადმობეჭდეთ „ნოვოე ობოზრენიედამ“, რომ ივანე მუხრან-ბატონი გუბერნიის მარშლად დაუმტკიცებია ხელმწიფეს თქო.

ორს ამბავს ვგზავნი შინ, ქრონიკისათვის. ხვალ და ზეგ მოწინავე წერილს გამოვგზავნი.

[1885 წელი]

7

ძმაო დათიკო. ცოტა დაგიგვიანე შენის წერილის პასუხი. დაგიგვიანე იმისთვის, რომ ველოდი „რუსთაველის“ 5 წარმოდგენას. მეშინოდა, ვაი თუ წაკითხვამ შემაცდინა და სცენაზე კი არა გამოვიდეს რა მეთქი, – მე სწორე გითხრა, ხშირად მეშლება ეს ორი საგანი და მშვენიერი სასცენო პიესა, ვიდრე სცენაზე არ ვნახავ, უხეირო მგონია. „რუსთაველის“ შესახებ კი არ მოვტყუვდი, კოტემ წაგვიკითხა და მოგვეწონა კიდეც, მაგრამ არ მეგონა კი, ისე მოსაწონი იქნებოდა საზოგადოებისთვის. რეცენზიებს წაიკითხავდი, მაგრამ ჩვენი რეცენზენტები ცოტა საბაკვიჩობენ, როცა პიესის ღირსებაზე მიდგება საქმე, ან კარგსა არას ამჩნევენ, ან ისე ცალებად იტყვიან ხოლმე, თუმცა, ესა და ეს ნაკლულევანება ჰქონდა, მაინც პიესა დიდ განძს შეადგენს ჩვენის ღარიბის რეპერტუარისთვისო და სხვ. და სხვ. არც ერთმა რეცენზენტმა არ მიაქცია ყურადღება ორს შესანიშნავს საგანს: ერთი ესა, რომ მთელი პიესის განმავლობაში არც ერთხელ ხალხს არ გაუცინია – პიესაში არა იყო რა სასაცილო და მაინც კიდევ ყელთამდე სავსე თეატრმა დიდის ყურადღებით და ასე გასინჯე, მოწონებითაც კი მოისმინა მთელი პიესა. მაშასადამე, ჩვენი საზოგადოება მარტო სასაცილოს არ ეტანება და ესეთი ყურადღება საზოგადოების ცოტას რასმე მაინცა ნიშნავს – ალბად, ნაკლულევანების გარდა მართლა ღირსებაცა აქვს რამე. მესამეც ესა – პიესას, კოტეს გარდა, სულ მეორე ხარისხის არტისტები თამაშობდნენ და კარგმა რეჟისორობამ ეს მეორეხარისხოვანი პირველს პლანზე წამოაყენა. ესეც კიდევ იმის საბუთია, რომ ჩვენი თეატრი წინ წავა და ხალხში ფესვს გაიდგამს, თუ რიგიანი მოთავე ეყოლება და „რუსთაველის“ მზგავს პიესებს ხშირად მოვესწრებით.

ტყუილად ბოდიშობ „ოტელოს“ შესახებ. თუ შეამჩნიე, „ივერიის“ რეცენზიას, მარტო შენ არ დაგიწუნეს თარგმანი, იქ ამბობდენ – თარგმანი მოითოხარიკებდაო(!!), განსაკუთრებით სამი უკანასკნელი მოქმედებაო. მაშასადამე, პირველი ორი მოქმედება ხომ ჩემი იყო. რა გაეწყობა, ღმერთმა ქმნას, „ივერიას“ უკეთ დაეწეროს და უკეთესად ეთარგმნოს და ჩვენც ღმერთს მადლობა შევწიროთ; ან რა გასაკვირველია, მჯობის მჯობი არ დაილევა.

შენი ვანო

[1885 წელი]


იოსებ მერკვილაძეს

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „დროება“.


თბილისი, იანვარის 4, 1885 წ.

სოსიკო. თუ შეიძლებოდეს, თქვენი კორესპონდენციის შესახებ დაწვრილებით ცნობები მოიწერეთ. ამ კორესპონდენციაში იწერებოდით თელავის მაზრაში გავრცელებულ სატკივრებზედ და განსაკუთრებით აწყურ-ხოდაშენში. ამ კორესპონდენციამ დიდი აყალ-მაყალი აუყენა საექიმო გამგეობას და აპირებენ ოფიციალურად გამტყუნებას. იქნება, ამ შემთხვევაშიაც ისეთი წვენი ვაწვნევინოთ, როგორც შაქრიანობის საქმეში. კარგი იქნება, სია შეადგინოთ ამ გვარად და გამომიგზავნოთ საჩქაროდ.

სოფელი:



ან ასე:



ერთი ათიოდე მაგალითი რომ მოიწერო, ისიც საკმარისი იქნება და ვგონებ, კისერს მოვტეხავთ მანდაურ ექიმს, რომელსაც ისედაც მეტისმეტად ემდურებიან.

თქვენი ი. მაჩ.

იონა მეუნარგიას

1887 წ. 27 აგვისტო.

ძმაო იონა! გიგზავნი ოტტისკს, რასაკვირველია, შავს; შევუდექით ბეჭდვას. ჯერ უნიფხვოდ იბეჭდება, უასოებოდ, უკანცოვკებოდ, უბორდიურებოდ, უსათაურებოდ. შემდეგ, როცა გათავდება მთელი წიგნი, მაშინ ხელახლა დაუბრუნდებით და ფერადით დავბეჭდავთ ამ მორთულობას. ყდა კარგი გამოდის, სურათებსაც არა უჭირს-რა. ნახავ, თუ ჩვენმა პირველმა დალაქობამ არ გასჭრას. წიგნი 1 იანვრისათვის, ვგონებ, გამოვიდეს. ბევრი თავში ცემა უნდა: ხელახალი რედაქცია სჭირდება ნიშნებისა და ორთოგრაფიის მხრივ. შეგებრალები, რომ ნახო ჩემი სიტყვების სია, სად, რა, როგორ უნდა იწერებოდეს:



იონა მეუნარგია
თბილისი, 1880-იანი წლები
ფოტო: გენრიკ ფილიპოვიჩ

შექმნა თუ შეჰქმნა, სდის თუ დის, სულთქმა თუ სულ-თქმა და სხვა ამისთანა დავიდარაბა. მგონი, რუსთაველს ფეხებზე ეკიდა ამისთანა ორთოგრაფია და იქნება ამ საქმის მასწავლებელს „ორი“ შინაურად დაესვა მისთვის და ჩვენ კი თვალსა და გულს ვიწყალებთ. როგორ მოგეწონა ოტტისკი, მომწერე, მაგრამ გულს კი ნუ გამიხეთქავ, ღულაძეს შენიშვნები მეყოფა. იმ დღეს ერთი ყოფა დამაწია, როგორ თუ არ იცი, გარტი რა არისო. ერთი ყოფა დამაწია და კი არ ამიხსნა. შენ კი იცი, იონა!? თუ იცი, მანდედან მაინც მიხსენი. ყველას მოეწონა ეს ოტტისკი. იმედია, შენც მოგეწონება, თუ ეს იმედი ჩვენებური მოწინავე წერილების იმედს არ ჰგავს.

სხვა რაღა მოგწერო. თეატრს კარგს ვაშენებთ, მაგრამ სათეატრო პიესები კი არა იწერება-რა. ლიტერატურაშიაც ვსუსტობთ. ნიკოლაძე Обозрение-ში პოლიტიკო-ეკონომიკობს, ილია ამზადებს ряд передовых статей о производстве хмелья вообще, на Кавказе – в частности. მე ოტელო გაუთავებელი შემექნა, მაგრამ, იმედია, მალე შევუტევ ჩემებურად. ილია ახლა საგურამოშია და აპირობს თურმე შოთა რუსთაველზე ლექციების წაკითხვას. ტყუილად კი არ ამბობს დავით ერისთავი, რას ჩააცივდით ამ შოთა რუსთაველს, მამაჩემმა რაღა დააშავა, რომ იმას კი არ ახსენებთო.

ელისაბედ ქართველიშვილს

Въ Тифлисъ, Елизавете Григорьевнѣ Картвеловой.
Лабораторная, №70.

22 Октября.

Лиза.

Богъ знает, что ты подумала. Я былъ въ деревнѣ и только вчера пріехалъ. Сегодня получил твое письмо и спѣшу ответить. Будь завтра, 23 октября въ 7 часовъ вечера между штабомъ и Дворцомъ по дворцовой. Если часъ неудобный, напиши, я назначу другой.

[1886 წელი]

ოლივერ უორდროპს

1

ძვირფასო ბატონო ოლივერ!

თქვენი გულითადი წერილი სოფელში ყოფნისას მივიღე და ამიტომ მაშინვე ვერ შეგისრულეთ ყველაფერი, რასაც მთხოვდით. ძალიან ვწუხვარ, რომ პასუხი შემიგვიანდა, მაგრამ, იმედია, რომ მაპატიებთ, მით უმეტეს, რომ ჩემი ჩამოსვლისას თბილისში, სადაც ამჟამად საშინელი სიცხე დგას, ვერ ვნახე ის პირები, ვისთვისაც უნდა მეთხოვა თქვენთვის გამოსაგზავნი სურათები. ამ წერილთან ერთად გიგზავნით მეფე ერეკლე II-ის, ილია ჭავჭავაძის და ჩვენი საუკუნის რამდენიმე ქართველი პოეტის სურათებს. ესენია: გრიგოლ ორბელიანი (გარდაცვლილი 1883 წელს) – ზოგი რამ მისი პოეზიიდან გამოქვეყნებული იყო ბატონ ლაისტის წიგნში „ქართველი პოეტები“, ლაიფციგი, 1887 (გერმანულ ენაზე); აკაკი წერეთელი, რომელიც ამჟამად უდიდესი პოპულარობით სარგებლობს, ქართული თეატრის დამაარსებელი, აწ განსვენებული გიორგი ერისთავი და კიდევ ოციოდე სხვა. ეს ფოტოები შეგიძლიათ გადაიღოთ და გამოაქვეყნოთ, თუ ამას საჭიროდ ჩათვლით. გიგზავნით აგრეთვე ჩემს სურათს, როგორც შორეული მეგობრობის უბრალო მოსაგონარს. ჩემი წვლილი ჩვენი ქვეყნის ლიტერატურულ და ინტელექტუალურ ცხოვრებაში არც ისე მნიშვნელოვანია, რომ გავბედო და ადგილი დავიკავო თქვენს წიგნში, რომელსაც მოუთმენლად ველით.

თქვენ მეკითხებით, თუ რითი შეგიძლიათ მემსახუროთ. ნება მომეცით, ძვირფასო ბატონო ოლივერ, შეგიბრუნოთ კითხვა და ჩემი დახმარება შემოგთავაზოთ. თუ ამაზე დამთანხმდებით, გარწმუნებთ, რომ ბედნიერად ჩავთვლი თავს, გასიამოვნოთ და სამსახური გაგიწიოთ.

რაც შეეხება დასავლეთში ჩემს მოგზაურობას, სიამოვნებით ჩამოვიდოდი, ვისარგებლებდი ამ შემთხვევით და განვაახლებდი ჩვენს ურთიერთობას. მაგრამ, საუბედუროდ, აქ ბევრი რამ მაკავებს და კიდევ დიდხანს ალბათ ვერ ვიხელთებ დროს, რომ აქაურობა დავტოვო.



ოლივერ უორდროპი
ლონდონი, 1902 წელი

ის დიდი მოვლენები, დღეს რომ ინგლისში ხდება, ძალიან გვაინტერესებს. ჩვენ, ქართველი ლიტერატორები დიდი გულისყურით ვადევნებთ თვალს თვენი დიდი მოღვაწის წარმატებებს და მისი წინსვლის გარემოებებს. ეს უკანასკნელი, ეტყობა, მეტად დახელოვნებულია როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში.

თავს ნებას ვაძლევ, შემოგთავაზოთ შექსპირის პიესების „ჰამლეტისა“ და „ოტელოს“ უკანასკნელი თარგმანები ინგლისურიდან. ხომ ხედავთ, ინგლისიდან ასე დაშორებულ კავკასიაშიც როგორ პატივს სცემენ თქვენს დიდ პოეტს.

თავადი ილია ჭავჭავაძე მთხოვს, მისგან მოკითხვა გადმოგცეთ.

იწამეთ, ძვირფასო ბატონო ოლივერ, ჩემი თქვენდამი საუკეთესო სურვილები და მიიღეთ ჩემი გულწრფელი სალამი.

ივანე მაჩაბელი
[თბილისი, ზაფხული, 1888 წელი]

2

თბილისი, 17/29 იანვარი, 1894.

უძვირფასესო მეგობარო

მადლობას გიხდით იმ სიამოვნებისთვის, რომელიც თქვენმა მომხიბლავმა და გულითადმა წერილმა მომანიჭა. თქვენი მეგობრები დიდად დაგვაიმედა იმ ამბავმა, რომ მალე ჩვენ შორის გიხილავთ და კვლავ განვაახლებთ მეგობრულ ურთიერთობას. მოხიბლული ვართ თქვენი დის გულმოდგინებით ქართული ლიტერატურის შესასწავლად, რაც, უეჭველია, თქვენს წიგნთან გაცნობის შედეგია, წიგნთან, რომელიც ასე სასახელოა ჩვენი ქვეყნისათვის.

ამ დღეებში ერთ მცირერიცხოვან საზოგადოებაში მოვყევი ამბები, რომელიც თქვენგან შევიტყვე. მეორე დღეს კი ეს ცნობები პატარა შენიშვნის სახით აქაურ ცნობილ გაზეთ „კავკაზში“ წავიკითხე. გიგზავნით ამ შენიშვნას და გთხოვთ პატიებას, თუ ჩემდა უნებურად, ამის გამო რაიმე უსიამოვნება შეგხვდებათ.

გთხოვთ, ნუ მომერიდებით და შემატყობინეთ ყველა თქვენი სათხოვარი. ბედნიერი ვიქნები, ეს უმნიშვნელო მეგობრული სამსახური გაგიწიოთ. ველი აღნიაშვილის ზღაპრების ინგლისურად თარგმნის ცდებს და გიგზავნით შეკვეთილ წიგნებს. ჩემთვის ეს ახლა სულ იოლია, რადგან თბილისში ჩამოყალიბდა წიგნების საგამომცემლო საზოგადოება, რომელიც ყველა დაკვეთას ასრულებს. მხოლოდ სამი წიგნი ვერ გიშოვეთ, ეტყობა, გაყიდულია და თუ ხელახლა გამოიცა, უეჭველად გამოგიგზავნით.

წიგნის ცენტრალურ მაღაზიაში სულ 2 მანეთი გადავიხადე. „მოამბე“ ყოველთვიური ჟურნალია და მისი გამოცემა „ქართველთა წიგნის გამომცემელი ამხანაგობის“ საქმეა. ამ ამხანაგობის კომიტეტი მას უფასოდ გიგზავნით. თქვენ მხოლოდ გამოგზავნის ხარჯები უნდა გასწიოთ. რაც შეეხება გაზეთ „ივერიას“, მის გამომცემელ თავად ჭავჭავაძესთან კარგ დამოკიდებულებაში არ ვარ. მაინც ვთხოვე ერთ საერთო ნაცნობს და იმედი მაქვს, რომ გამოგიგზავნით.

თქვენ შესახებ საუბარი მქონდა ლევან ვაჩნაძესთან, რომელიც ამ დღეებში წერილს გამოგიგზავნით. ჩვენი საერთო ნაცნობები გულითად სალამს გითვლიან და კეთილად ჩამობრძანებას გისურვებენ.

სამი დღეა, რაც მამა გავხდი. ჩემს ოჯახში თქვენი სტუმრობა ყველასთვის სასიხარულო იქნება.

თქვენი წერილის მოლოდინში მყოფი,

მუდამ თქვენი ივანე მაჩაბელი

3

თბილისი, 12/24 აპრილი, 1898.

ძვირფასო მეგობარო ოლივერ!

ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ შევძელი, მაშინვე მეპასუხნა უკანასკნელად მიღებულ წერილზე. აი, უკვე ერთი წელია, რაც ავად ვარ. ორჯერ გამიკეთეს ოპერაცია: ჯერ ნაწლავების ანთება მქონდა, შემდეგ კი პლევრიტი დამემართა. ახლა, თუმცა, მთლად ვერ მოვმჯობინდი, თავს მაინც უკეთ ვგრძნობ და ნაოპერაციები იარები წერას აღარ მიშლის.

თქვენი დის წარმატებები ქართულ ენაში იმედს გვაძლევს, რომ მალე ჩვენს განთქმულ „ვეფხისტყაოსანს“ ინგლისურად წავიკითხავთ.

თარგმნას მეც განვაგრძობ, ჩვენს საზოგადოებას შექსპირს ვაცნობ. ავადმყოფობის წინ ვთარგმნე „ანტონიოს და კლეოპატრა“ და „კორიოლანოს“. პიესები ჯერ არ დაბეჭდილა, მაგრამ გამოქვეყნებისთვის სულ მზად მაქვს.

მე და ჩემმა მეგობრებმა წამოვიწყეთ სავაჭრო საქმე, რათა გავაადვილოთ კავშირი მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის. აქამდე ქართველი მეწარმეები ჩავარდნილი იყვნენ შუამავალთა ხელში, რომელნიც მათ საშინლად ყვლეფდნენ. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი საზოგადოება მათ ამ მარწუხებიდან დაიხსნის. ამავე დროს ჩვენ ვხსნით მაღაზიებს, მწარმოებლებს მათთვის საჭირო საგნები რომ მივაწოდოთ.

ამ დღეებში გამოგიგზავნით ჩვენი საზოგადოების წესდებას და გასული წლის ანგარიშს, ალბათ, ხელსაყრელი იქნებოდა, ინგლისელ კომერსანტებთან რომ დაგვეჭირა საქმე. თუ ეს შესაძლებელი იქნება, გამოგიგზავნით ჩვენთვის საჭირო საქონლის სიას, თქვენ მას გადასცემთ თქვენს თანამემამულეებს და თუ მათი ნაწარმი უფრო იაფი და უკეთესი ხარისხისა იქნა, ვიდრე ის, რასაც ახლა ჩვენ ვშოულობთ, ინგლისელ ვაჭრებს ერთი სოლიდური მყიდველი შეემატება.

ჩემი გულწრფელი მოკითხვა თქვენს დას.

მუდამ თქვენი ი. მაჩაბელი


აკაკი წერეთელს

1

ს. ფცა, 6 ივნისი, 1891.

ჩვენო ძვირფასო აკაკი!

არ გიკვირს, რომ აქამდის შენის წერილის პასუხი დაგიგვიანე? მაგრამ ჩემის ტელეგრამიდამ მიხვდებოდი, იმდენი ხათაბალა დამატყდა თავსა – რომ წერილისათვის და მერე გულდამშვიდებული წერილისათვის დრო სრულებით არა მქონდა. და შენ, მინდოდა, მართლა გულდამშვიდებით და მეგობრულად გამოგლაპარაკებოდი. ძლივს ჩავიგდე დრო და მერე რა დრო: გაზეთებიდან შეიტყობდი იმ ამბავს, რაც ბანკში მოხდა. ილია ჭავჭავაძემ და მისმა ღირსეულმა „ამხანაგმა“, როგორც ეხლა თავის თავს ეძახის ბ. თარხნიშვილი, ერთად გამოილაშქრეს ჩემზედ თანადახმარებით გ. ორბელიანისა, ნ. ხუდადოვისა, ჩერქეზიშვილისა, გ. ანდრონიკოვისა, ლევ. ჯანდიერისა და სხვათა. გამოილაშქრეს და დამამარცხეს კიდეც. მეც თავი დავუკარ ამ ვაჟბატონებს, ბანკი დავულოცე და გამოვემშვიდობე. საზოგადოება ერთხმად მთელი ხუთის მინუტის განმავლობაში მთხოვდა დარჩენას. მაგრამ მადლობა მოვახსენე და გადაწყვეტილი უარი ვთქვი. ეხლა ვეძებ ალაგს. დამპირდენ კიდეც არა უარესს ბანკის დირექტორობაზედ, აგვისტოს ან სექტემბრისათვის. მინამდის კი, მივანებე ქალაქს თავი და მინდა, მთელი ზაფხული სოფლად გავატარო. ჯერ ფცაში ვარ და მალე თამარაშენში წავალთ. ასე ჩემო აკაკი, ეს არის გარეშე მხარე ჩემის ისტორიისა, მაგრამ დამარცხებამ ისე გამწრთვნა და გამაგულისა, რომ, არა მგონია, ესეთი გამარჯვება გამარჯვებულებს დიდხანს შერჩეთ. ჯერ ვაპირებ გაზეთების ოსტატობა გამოვააშკარავო. „ივერია“ რომ „ივერიაა“ და „ნოვო ობოზრენიე“-შიაც ხომ ილია ჭავჭავაძემ თავის ადიუტანტები და თანამშრომლები ჩააყენა თანამშრომლებად და ბანკის ანგარიშების მიმცემად. ხაჩატუროვიც ხომ კიდევ ხაჩატუროვია... ახლა ვაპირობ, ვრცელი წერილები დავბეჭდო, როგორც „ნოვოე ობოზრენიე“-ში, ისე „ივერიაში“ და გამოვააშკარავო ის მიდგომილება, რა მიდგომილებითაც იბეჭდებოდა ყველაფერი ბანკის შესახებ. „ნოვოე ობოზრენიე“-ში დამპირდნენ დაბეჭდვას და „ივერიაშიც“ ნება გამოვითხოვე შეუცვლელად წერილების დაბეჭდვისა. ეს ნება თუმცა ძალიან არ ეჭაშნიკათ, არც მე დამიტანებია ძალა და ასე ვუთხარი, თუ არ დამაბეჭდვინებთ, ყოველ თქვენს ამბებს რუსულ გაზეთებში გამოვაშკარავებ და ცალკე ბროშურადაც გამოვცემ ქართულად მეთ-



აკაკი წერეთელი
1914 წელი
ფოტო: ნიკოლოზ წერეთელი

ქი. ალბად, ამ მუქარამ შეაშინა და ადგილი დამითმეს, მაგრამ ვაი ამ დათმობას... თუ „ივერია“ არ მოგდის, მაცნობე და გამოგიგზავნი. მასუკანაც, იმედი მაქვს, რომ ვერ დაგვაძაბუნონ და იქნება ისე გაუხდეს საქმე ილია ჭავჭავაძეს, რომ პიროსსავით წამოიძახოს: ერთი ამისთანა გამარჯვება კიდევ და მე ულაშქროდ დავრჩებიო. მე ძალიან მესიამოვნება, რომ შენ ადევნო თვალყური ჩვენს პოლემიკას და სეირები ნახო...

ეს ყველა ასე. მაგრამ შენ რასა იქ და როგორა ხარ. მართლა გულის სიგანიერე დაგჩემდა, თუ რ...ები განგებ გაშინებენ. ან როდისა გნახავთ კიდევ და ჩვენს მოგონებას განვიხორციელებ. დღე არ გავა, რომ ან შენი აქ ყოფნა არ მოვიგონო, ან შენი ალბომში ჩაწერილი ლექსები არ წავიკითხოთ. ტასოც ძალიან მონატრულია შენის ნახვისა და შუბლში კოცნას გითვლის... მერე მევე რომ მაწერინებს... ბაბოც აქ არის თავის გენეროზოვათი და... მთხოვეს, რომ ისიც გაგახსენო. იქნება, არ იცოდე, გენეროზოვა ვინ არის. ესეც ბაბოს კოლა თუმანიშვილია. დათამ მრავალი მოკითხვა გიძღვნა. გთხოვათ, რომ ჩვენს ყველას მაგიერად შენს მეუღლეს უმდაბლესი მოკითხვა მოახსენო.

არასა გწერ შენს ავადმყოფობაზედ. ჩემის აზრით, ტყუილად შეუშინებიხართ და რასაც ნაკლებ იფიქრებ მაგაზედ, ის უკეთესი. ვინატრით გულით შენს მალე ნახვას და კარგად, შენებურად მხიარულად ყოფნას.

მართლა, ტელეგრამის ამბავი ვერ აგიხსენი. ილია ჭავჭავაძეს 16 მაისს კერძო ტელეგრამა მოუვიდა სარაჯოვისაგან, რომ 5%-იანი ქაღალდების საქმე დამტკიცებულია და გამოსაცხადებლად გაგზავნილია სენატის უწყებაებშიო და ეს ტელეგრამა უდროო დროს პირში მომაჩეჩა. შენის ტელეგრამიდან კი სჩანს, რომ ის ამბავი ცოტა ნაადრევი ყოფილა. მინისტრს რაკი ხელი არ მოეწერა, ვერც გამოსაცხადებლად გაგზავნიდენ, ეს აშკარაა და ისიც აშკარაა, თუ რა ხრიკებს არ მიმართეს იმ ცერბერებმა თავის გასამართლებლად.

შენი მარად ერთგული ი. მაჩაბელი

P. S. დათას შენგან წერილი არა მოსვლიარა.

2

19 ივლისი. 91. თამარაშენი.

ძვირფასო აკაკი!

შენის წერილისა და შენის ლექსის ერთად მიღება მით უფრო სასიამოვნო იყო, რომ ამ წერილმა გაგვიქარწყლეს ხმა შენის ავადმყოფობის გამო გავრცელებული. სჩანს, ავადმყოფობას ვერა უქნია-რა შენთვის და დაგიძლევია, რომ მაგისთანა მშვენიერის ლექსის დასაწერად მოგიცლია; მაგრამ ეს კი ძალიან გვეწყინა, რომ წელიწადს გვიდებ ვადად მორჩენისათვის. ჩვენ რაღა პასუხს გვაძლევ-ო, აბა, ახლა გვმართებს თქმა: ჩვენ იმედს არა ვკარგავთ, რომ წელიწადი ხუმრობაა და თუ ენკენისთვეში ბარათაშვილის გვამის გადმოტანა მოხერხდება, შენ შენებურს მჭევრს სიტყვას არ მოაკლებ. შენიშნავდი, რომ სულ „ჩვენობითა“ გწერ და მიხვდები, რადაც ჩავდივარ ასე. საცა უნდა ვიყო, რაც უნდა მივალიო, შენგან საერთო საკუთრებად გადაიქცევი ხოლმე. იმ დღესაც მიღებული ლექსი ყველა იქ დამსწრემ სიამოვნებით მოისმინა და რამდენჯერმე გამამეორებინეს. მასუკან მეტად გავრცელდა შენის ავადმყოფობის ამბავი და სანამ ტელეგრამით ნუგეში არ მოგვეც, ვერ დავმშვიდდით.

გაზეთის თაობაზე იწერები. ძალიან კარგი იქნება. მაგრამ მე თითონ არ ვიცი, ჯერ სად ვიქნები და როგორ ვიქნები. როდესაც თავი ხელთ მექნება, მაშინ შეიძლება მაგაზედ ფიქრი და ჯერ კი მინდა, მაისში დაწყებულ ბრძოლას ბოლო მოვუღოთ. ნიკო დიასამიძემ მითხრა, „ნოვოე ობოზრენიე“ მისდისო, თორემ ჩემის წერილების გამოგზავნას ვაპირობდი, თუ მოგდის, უეჭველია, წაიკითხავდი და შენიშნავდი, რომ ოსურად მინდა რჯულამდე ჩავყვე და ჩემის მოპირდაპირეების უვიცობა და ყალბობა გამოვააშკარავო. ჯერ რუსულად გამოვესაუბრე და მასუკან ქართულადაც ვაპირობ. იმედი მაქვს, ვერა მიხრიკონ-რა, მეც ცოტაოდენ ხრიკებს შემაჩვიეს, იმათ ხრიკების ყურებით. ჯერ ჩუმად არიან და თუ გამობაასებას სიჩუმე არჩიეს მასუკანაც, ისეთ ადგილს მოვთხოვ ანგარიშს ამ სიჩუმისას, რომ ნება-უნებურად ხმა ამოვაღებინო. ილია ჭავჭავაძეს ჰგონია, თავის ლათაიებით ყოველთვის ხმა გაუკმიდოს ადამიანს და საზოგადოება კოჭსავით ათამაშოს, მაგრამ ნათქვამია: კოჭი ყოველთვის ალჩუს ვერ დაჯდებაო. ეხლა თამარაშენში ვართ და ამ ორ-სამ დღეში ფცაში წავალთ. ვგონებ, სექტემბრამდის ქალაქში წასვლა ვერ მომიხდეს, მაინც ეხლა იქ არავინ არის. თუ არ დაიზარებ და ორი კალმის მოსმით გვასიამოვნებ, ფცაში გამოგზავნე წერილი იმავ ადრესითვე.

ტასო, ვასო, ნინო მრავალ მოკითხვას გითვლიან, როგორც შენ, ისე კნეინა ნატალიას.

შენი მარად ერთგული ი. მაჩაბელი

3

თბილისი, 1 დეკ., 91 წ.

ძვირფასო ძმაო აკაკი!

ყველას გვიკვირდა შენი სიჩუმე და მიზეზი ამ სიჩუმისა ძლივს აგვიხსნა შენმა წერილმა. თურმე კიდევ ავად ყოფილხარ. ჩვენ იმედი გვქონდა, აი, საცაა, აკაკი გამოჩნდება და თავის ჩვეულებისამებრ შუბლ-გაშლილი მხიარულად შემოვა და ჩვენც სამხიარულოდ წაგვახალისებსო, მაგრამ შენმა უკანასკნელმა წერილმა ეს იმედი გაგვიცრუა. მერე, იქნება, მართლა აღარ აპირობ დაბრუნებას და აგრე პირი გვიქციე? ჩვენ რაღა პასუხს გვაძლევ? – იმ ერთი

მსახურისა არ იყოს, ჩემო აკაკი, ეს ქვეყანა ისეა გაჩენილი, რომ თუ ყოველსავე უსიამოვნებას გულით მოეკიდე, მალე სამარისაკენ გაგაქანებენ. არ მეგონა შენგან, რომ აგრე საერთო სამდურავს შემოგვითვლიდი. ენდე ჩემს გულწრფელობას, რომ შენი ავადმყოფობა, ვისაც კი შევხვდი, ყველას დიდ საწუხარადა ჰქონდათ. მართალია, ზოგიერთი ინტელიგენტები (უფრო ვირიგენტები) ჭკუას ძალას ატანენ და უალაგო ალაგას თავის ძალა უნდათ გამოაჩინონ, მაგრამ ისინიც იმის გამო არ ჩადიან, რომ მტრობა რამ ჰქონდეთ შენი.

ხუმრობა, ანუ ცუდი ქეიფი, იქით იყოს და მართლა აღარ აპირობ დაბრუნებას? ეგ რა სათქმელია, ვინ იცის, აქ რამდენი საქმე გვექნება და უშენოთ ვერა საქმე ვერ წარმომიდგენია. ჯერ-ჯერობით კი სწორე გითხრა, მეც საქმეებისთვის ვერ მოვიცალე. ეს ერთი თვეა ვეწყობით და ძლივს მოვეწყვეთ. დავდექით ისეთ სახლში, რომელიც სწორედ შენს გემოვნებაზედ არის გაჩენილი. ტასომ შემოგითვალა, ჩქარა ჩამოდი, რომ შენი საყვარელი ნარდი გაგიმართო ხოლმეო; გიორგი ჩვენთანა დგას და კარგად ვატარებთ დროს. მხოლოდ შენი საზოგადოებაღა გვაკლია. ვდგევართ ვერაზედ. Ольгинская №40, საცა ცხენის რკინისგზა დგება. გარშემო ბაღი გვარტყია და ჰაერიც კარგია. შეიტყობდი, თუ აქაურ გაზეთებს თვალყურს ადევნებ, რომ მე ქალაქში ამომარჩიეს Предсъдателемъ сиротскаго суда. ჯამაგირი, მართალია, ცოტაა, მაგრამ ალაგი თავისუფალი და მე ვარ ჩემი ბატონი. დროც ბევრი მაქვს თავისუფალი. კარგად წავიყვან საქმეს თუ ცუდად, პასუხის გამცემი მე ვარ. ასე, ჩემო აკაკი. გეთაყვა, შენს წერილს და უფრო შენს ნახვას, ნუ დაგვიგვიანებ.

გოგებაშვილი სიხარულით თანხმდება, რომ იმის „იავნანა“ გადათარგმნონ.

ტასომ, ბაბომ, გიორგიმ სიყვარულით მოგიკითხეს.

შენი მარად ერთგული ი. მაჩაბელი

4

29 დეკემბერი, 1891 წ.

ძვირფასო ძმაო აკაკი!

შენს წერილში ორი შეცდომაა: ჯერ ერთი ესა, მეკითხები, რად დაიგვიანა პატარა მაჩაბელმაო, როდესაც ის დიდი ხანია აქვე ჩემ გვერდით გასჭყივის და გაჰკივის. ტასოს ვაჟი ეყოლა 6 დეკემბერს და ეხლა ორნივ სრულიად კარგად არიან. ვიცი, არ გეწყინება ჩვენი მშვიდობის ამბავი და ამიტომ ვჩქარობ გაცნობო. მეორეც ესა, შეცდომით წარმოგიდგენია, ვითომ მე და ჩემ მომხრეთ იარაღი დაგვეყაროს და კერძოობას გამოვდგომოდეთ, – ეგ ხომ მეტის-მეტი სულმოკლეობა იქნებოდა და მაგისთანა სულმოკლეობის აღმომჩენი შენი მეგობრობის ღირსი არ იქმნებოდა. თუ ჩემს წერილში პირადს მშვიდობიანობაზედ გწერდი, ეს იმიტომ, რომ მართლა ცოტა მოსვენება მეჭირვებოდა შემდეგ იმ გაწა-მაწიისა, რაც ამ ზაფხულს გამოვიარე. ეხლა კი იმედი მაქვს, უფრო ბეჯითად მოვკიდოთ ხელი საქმეს, რამდენადაც კი დრო და შეძლება ხელს შეგვიწყობს. სამწუხაროდ, შენგან ცუდი ამბები მოგვდის და იმ განმაცოცხლებელი სიტყვების მაგივრად, რომელსაც ასე შეგვაჩვიე, ავადმყოფობის წუწუნი-ღა მოგვესმის. ვინ ამბობს, იქნება, ამ წუწუნს ცოტაოდენი საფუძველი ჰქონდეს, მაგრამ არა მგონია, საიმისოდ ავად იყო, რომ ეგრე სულით ხორცამდე თავს გვანებებ და მხოლოდ ათასში ერთხელ შორიდან გვემუსაიფები.

აქაური ამბავი ეს არის, რომ საზოგადოებაში უკმაყოფილება გაისმის უგაზეთობის გამო – „ივერიას“ გაზეთად აღარავინ აგდებს და თითონ რედაქტორიც კი, აღარ კითხუ-

ლობს თავის თანამშრომლების ნაჯღაბნს. აქა-იქა გაისმის სურვილი ახალი გაზეთის ან ჟურნალის გამოცემისა, მაგრამ სურვილი სურვილადვე რჩება, რადგან ცალკე საშუალება არ არის და ცალკე ნების-გამოტანა ჭირდება. ქართული თეატრი საკმაოდ კარგად მიდის წელს. იმ დღეს ოპერეტკა წარმოადგინეს და მთელმა თეატრმა ძალიან მოიწონა მუზიკა, თუ დარბაისლური არა, სახუმარო მაინც აყვავდა ჩვენში წვალობით.

ეს ყველაფერი იქით იყოს და მოსვლას როდის ინებებთ? შენი წერილიდამ ყრუ პასუხის მეტი ვერა გამოვიტანე რა. არა მგონია, პეტერბურგის ექიმებმა ისე გიწამლონ, როგორც აქაური ჰაერი გარგებს. მრავალი მოკითხვა გიძღვნეს ყველა ჩვენებმა: ტასომ, ბაბომ, გიორგიმ, ნიცაც აქ იყო ორი-სამის კვირით და ყოველ-დღე გიგონებდით. იმის მოსვლა კი გვიამა, მაგრამ წასვლა კი, არა – რადგან შენი დიდი პორტრეტი მოგვტაცა და ორგვარად დაგვაობლა.

შენი მარად ერთგული ი. მაჩაბელი

5

18 აგვისტო, 93. ს. ფცა.

ძმაო აკაკი!

ეს არის, ეხლა დავბრუნდი ფცაში. შემდეგ ხანგრძლივის მოგზაურობისა ქართლში და ერთბაშად შემხვდა „კვალის“ ნომრების გადათვალიერება. წავიკითხე შენიშვნა იმაზედ, ვითომ მე ორასი თუმანი რუსთაველის ფონდისა მქონდეს ჩაბარებული სერგეი მესხისგან. ეს სრული სიცრუეა, გროშიც არავის გადმოუცია და არც მოვალეობა უკისრებია ვისმე და, როგორც მახსოვს, თვით სერგეის „დროების“ დროსაც არ ყოფილა რუსთაველის ფონდისათვის ხელის მოწერა გამართული. მერე წავიკითხე ლექსი იმის შესახებ, თუ როგორ მოვპარე „კვალის“ რედაქტორს და მის თანამშრომელთ კლიტე იმათის კასისა და როგორ „აქშა“ უთხრეს მხოლოდ ერთს კაჭკაჭს, რომელმაც მათი კასა დაისაკუთრა და იმავე ნომერში დაბეჭდილი შენი საყურადღებო წერილი შავი-ქვის თაობაზედ.

ყველაფერი მიკისრია ჯერჯერობით, „კაჭკაჭის“ სახელწოდებაც, კასის მიტაცების ბრალიც...

კარგი რამა სთქვან, გვიკვირდეს, ავი რა საკვირველია. მაგრამ შენ მიხვდები, რომ ამისთანა რაინდულ გამოლაშქრების შემდეგ ბ. გიორგი წერეთლის და იმის თანამეცხედრის მხრივ, მე აღარაფერი იმედი აღარ შემომრჩებოდა, რომ „კვალის“ საქმე თავის დროზე დამდგარიყო და მეც შემდეგში როდისმე მონაწილეობა მიმეღო. ამიტომ, მე მსურს, რომ ყოველივე კავშირი მოვსპო ზემოხსენებულ პირებთან და ან ავად ან კარგად გავათავო ის ანგარიშები, რომელიც ჩვენ შორის დარჩა. ამისათვის უმორჩილესად გევედრები, რამწამს ეს წერილი მოგივიდეს, შემომითვალო, მიიღებ რასმე იმ შრომის ფასს, რაც ჩვენს საერთო თანამშრომლობის დროს მოგივიდა ოთხი თვის განმავლობაში და თუ არ მიიღებ, ვის ან რას მოვახმაროთ. დანარჩენ ფულს, როგორც გადასწყდება – ანასტასია თუმანიშვილის ქალისგან უარყოფილი კომიტეტი ისე მოვიხმარებთ, ან უკანვე დავუბრუნებთ.

ველი მოუთმენლად შენს პასუხს, რომელსაც ან ფცაში გამომიგზავნი ამ თვის დამლევამდე, ან ქალაქში, შემდეგ.

შენი პატივისმცემელი ი. მაჩაბელი

6

თბილისი. 7 აპრილი, 98 წ.

ძმაო აკაკი.

შენმა ავადმყოფობამ ყველანი საშინლად შეაწუხა და მეტადრე ჩვენ: ისე შეგეჩვიეთ, რომ შენი წასვლის შემდეგ მეორე დღესვე თვალში გვაკლდი და წამდაუწუმ გიგონებდით. გვიღალატე და იმიტომ მოგვივიდა აგრე. გორშივე ვერა ყოფილხარ კარგად და ქუთაისი ხომ უფრო ცუდად დაგხვედრია. მორჩი მალე და დაგვხედე, თორემ ელა და ნიკუშკა ძალიან ჯავრობენ შენზედ. მართალია, მხიარულება აქაც არაფერია, მაგრამ ერთად ყოფნა დიდი ნუგეშია შეწუხებაში. თოფურიას ტელეგრამა მოვწერეთ. გიკითხეთ და ძალიან დაგვიანდა პასუხი. შენი იმედი მაქვს, არ დააგვიანებ, მაგრამ თუ აკრძალული გაქვს წერა, ხმას ნუ გამცემ. ისევ სჯობს, მოვითმინოთ მორჩენამდე.

მაშ, ნახვამდის, რომელიც ყველას მეტის-მეტად გვენატრები.

ბავშვებმა ბევრი გაკოცეს. ნიკუშკა გითვლის: მალე მეც ვისწავლი წერას და წერილს მოგწერო. ტასომ მრავალი მოკითხვა შემოგითვალა. ბაბომაც გვიღალატა, ეხლა საჩხერეშია.

შენი ი. მაჩაბელი

მოსე ჯანაშვილს

28 სექტემბერს.

ძმაო მოსე.

ჩვენის სასამართლოს წევრს, ესტატე სოლომონის ძეს მაისურაძეს ჰყავს სასულიერო სასწავლებელში მისაცემი შვილი, რომელსაც სემინარიის მოსამზადებელს სკოლაში კარგად გაუთავებია სწავლა. ძალიან დამავალებ, თუ შეძლებისამებრ დახმარებას აღმოუჩენ, რასაკვირველია, კანონიერს.

თქვენი პატივისმცემელი ი. მაჩაბელი
[1892 წელი]

გრიგოლ ვოლსკის

თბილისი, 24 ოქტ., 93.

ძმაო გრიშა. ამ ზაფხულს ქალაქში რომ იყავ, რუსულ გაზეთის გამოცემაზედ გვქონდა ლაპარაკი და გთხოვეთ, რედაქტორობა გეკისრა. აღგვითქვი კიდეც, მაგრამ დაბეჯითებით არა გვქონია ლაპარაკი. თუ აზრი არ გამოგიცვლია – და მე სრული იმედი მაქვს, ამ გვარის გაზეთის საჭიროებას შენ უკეთა გრძნობ ჩვენზედ, – ჩაჯექ ვაგონში და საჩქაროდ ჩამოდი ქალაქში ერთის ან ორის დღით, რომ თხოვნა შევადგინოთ და გავგზავნოთ. იმედი

გვაქვს, პეტერბურგშიაც დაგვეხმარებიან. ველით საჩქაროდ შენს პასუხს, ანუ უკეთესია, რომ ვთქვათ, შენ თითონ გელით, რომ ეს საქმე წინ წავწიოთ. იმედს გვაძლევენ, რომ იანვრიდანვე იქნება გაზეთი. ვინც კი აქაურ რუსულ გაზეთებში მუშაობს და პატარა ნიშანწყალი ეტყობა ნიჭისა, თითქმის ყველა გვპირდება დახმარებას. აქ მანდაურ Вексельный кредит-ზედაც მოვილაპარაკებთ. გელით მოუთმენლად.

შენი ერთგული ი. მაჩაბელი

ჩემი ადრესი: Тифлисъ, Вера, Ольгинская, 40, Ив. Георг. Мачабели.

სვიმონ წერეთელს

თბილისი, 16 იანვარი, 1894.

ძმაო სვიმონ.

იანვრის 20-სათვის გამოცხადებული გვაქვს კრება იმერეთის თავადაზნაურობისა ბანკში დეპუტატების ამორჩევის თაობაზედ. პირველის შეხედვით, ეს საქმე თითქო მარტო ქუთაისის ბანკს შეეხება, მაგრამ რომ ჩაუკვირდეს კაცი – და დარწმუნებული ვარ, შენ აქამდის ჩაუკვირდებოდი – მიხვდება ადვილად, რომ ეს შეეხება ორივ ჩვენს ბანკს და ამისათვის შეთანხმებით გვმართებს მოქმედება. საქმე ის არის, რომ ადრე თუ გვიან, ეს ორი ბანკი უეჭველად უნდა შეერთდეს, ეს აუცილებელია და ეხლავე გვეჭირვება ისე მოაზრებით მოქცევა, რომ მანდაურმა გარდაწყვეტილებამ აქაურ საქმესაც არ ავნოს და შემდეგში ყველას ერთად თავში საცემი არ გაგვიხდეს. რაკი ამ ორი ბანკის შეერთება აუცილებელია, აუცილებელია დეპუტატების შემოღებაც, რადგან სამი და ოთხი ათასი პირი კრებაზედ ვერ ივლის, და ისიც უეჭველია, რომ მანდაური გარდაწყვეტილება 20 იანვარს გავლენას იქონიებს შემდეგში ყოველ ჩვენს ამგვარს საქმეზედ. აქ, ამ საგანზედ, ამ დღეებში რამდენიმე პირს მოლაპარაკება გვქონდა და მე მომანდეს, გთხოვო შემდეგი. თუ მოხერხდება, რომ კრებამ კომისია ამოირჩიოს ამ საქმისათვის, ხომ რა კარგი, მაშინ შესაძლებლობა იქნება, კომისიის წევრნი აქაურებსაც დაეკითხნენ და საერთო პროგრამით იმოქმედონ, მაგრამ თუ კრებამ არა ჰქმნა და ეხლავე მოინდომა გარდაწყვეტა საქმისა, ეს სამი საგანი მაინც უნდა დავიცვათ.

1. დეპუტატები ამორჩეულ იქმნენ ხოლმე მაზრობით დამფუძნებელთა წევრთა კვალობაზედ, მაგ., თუ 20-ზე ერთი კაცი იქნება დეპუტატი, – რომელ მაზრაშიაც 200 დამფუძნებელია, იქიდან 10 გაიგზავნება და რომელ მაზრაშიაც 2000 დამფუძნებელი, 100 დეპუტატი გაიგზავნება, თორემ თანასწორად რომ განაწილდეს მაზრების კვალობაზედ – ეს უსამართლობა იქნება.

2. მსესხებელთ (заемщики) ბევრად ნაკლები უფლება უნდა მიენიჭოთ დამფუძნებლებზე, თორემ შემდეგში აქ მსესხებელნი დამფუძნებლებს სრულიად ჩაჩრდილავენ და თითონ დაისაკუთრებენ ბანკს. თუ შესაძლოა, ამათ ეხლაც ნუ მივცემთ უფლებას დეპუტატების ყოლისას – აუქციონერულ ბანკებში, რომელნიც ჩვენის ბანკების გვარად არიან დაფუძნებულნი, ცოტაოდენის განსხვავებით, მსესხებელთ სრულიად არავითარი უფლება არა აქვთ. და

3. მაზრებში დეპუტატების ამორჩევის დროს ამომრჩეველთ ნება ჰქონდეთ გამოცხა-



ივანე ერისთავი, სვიმონ წერეთელი,
ნიკოლოზ ჯამბაკურ-ორბელიანი
1880-იანი წლები

დებული კრების პროგრამის გასინჯვისა, რომ დეპუტატები გარდაწყვეტილის პროგრამით გამოცხადდენ კრებაში. ამ სახით მაზრის კრებებსაც მიეცემათ ჯეროვანი მნიშვნელობა, აღარ წარმოადგენენ მხოლოდ ამორჩევისათვის შეგროვილ პირთ და თვით ეს ამომრჩეველნი უფრო ხალისით ივლიან.

იქნება, ამ სამივ საგანს მანდ ისეთი მნიშვნელობა არა ჰქონდეს, როგორც აქ, მაგრამ დარწმუნებული ვართ, ამ საქმის გადაწყვეტის დროს ჩვენს ბანკსაც იქონიებ სახეში და ეცდები, საქმე ისე გადაწყდეს, რომ ბოლოს თავში საცემი არ გაგვიხდეს.

შენი მარად ერთგული ი. მაჩაბელი

გიორგი თუმანიშვილს

1

Милостивый Государь, Господинъ Редакторъ.

Вчера, въ общемъ собрании Тифлисскаго дворянскаго Земельнаго Банка, произошелъ очень крупный инцидентъ, въ разъясненіе котораго прошу Васъ дать мне место въ Вашей уважаемой газетѣ.

Когда дебатировался вопросъ о коммисіи, которой обѣ борющияся партіи должны были поручить выясненіе всех недоразумений и прекалій между Кн. Чавчавадзе и мною, я заявляю собранію, что справедливость требуетъ, чтобы обѣимъ сторонамъ была предоставлена свобода выбора лицъ въ равномъ числе и что нельзя согласиться съ теми, которые считаютъ нужнымъ избрать коммисію общимъ собраниемъ, ибо собраніе можетъ избрать сторонниковъ только той партии, у которой въ данную минуту окажется случайное большинство. На этом я былъ прерванъ,

поднялся шумъ, и председатель счелъ нужнымъ закрыть собрание, заявивъ, будто я отказываюсь отъ коммисіи. Но печальнее всего было то, что во время этой невообразимой суматохи въ литерной ложѣ поднялась вице председательница школьнаго комитета Княгиня Марія Вахтанговна Орбеліани и заявила, что она не считаетъ возможнымъ оставаться въ комитетѣ съ такимъ человекомъ (т. е. со мною), который отказывается отъ своего слова. Можно себе представить, какъ это было на руку моимъ противникамъ и съ какимъ восторгомъ они должны были встрѣтить это заявленіе, но надеюсь, г. Редакторъ, Вы будете болѣе безпристрастны и дадите мнѣ возможность досказать то, что мне не было позволено сказать предсѣдателемъ общаго собранія: я хотѣл докончить вчера мою мысль и сказать слѣдующее: по справедливости слѣдуетъ дать свободу выбора обѣимъ сторонамъ и потому, если партія кн. Чавчавадзе желаетъ только выясненія истины а не попрания ея, изучить и доказать [...], то предлагаю изобрать съ одной и другой стороны лицъ в равном числѣ, сколько будет угодно кн. Чавчавадзе. Означенные лица изберут одного или трех для составления нечетного числа. Вчера я хотелъ этимъ кончить и сегодня повторяю тоже самое, съ удовольствіемъ предоставляя свою судьбу в руки будущей к-сіи. Говорю „судьбу“ потому, что это письмо я считаю обязательствомъ отказаться отъ всякой общественной деятельности, если буду обвиненъ коммисией. Чтобы не оставить ничего невыясненнымъ, я здесь же отмечаю те изъяны въ дѣятельности кн. Чавчавадзе, которые были причиною известных всѣмъ разногласий между нами:

1) нерадѣніе и небрежность, вслѣдствие чего банкъ понесъ большіе убытки;

2) совершенное незнакомство съ нѣкоторыми отраслями банковскаго дѣла;

3) полное пристрастіе при ведении делъ банка и даже нередкое извращеніе фактов для оправдания своих действий.

Предлагаю съ своей стороны кн. Чавчавадзе формулировать пункты обвиненія противъ меня и мы можемъ тотчасъ же приступить къ дѣлу.

Судите сами, насколько была права кн. Орбелиани, назвавъ меня человѣкомъ отказавшимся отъ своего слова. Вслѣдствіе ея заявленія вчера же я вынужденъ былъ сказать ей, что признавая ее полезнымъ членомъ комитета въ особенности для основанія женской школы, вопросъ о которой назрѣл и, не желая, чтобы она вышла изъ него из за меня, я слагаю съ себя званіе члена комитета, что не замедлю сдѣлать формально тотчасъ же по выборе Губернского Предводителя Дворянства, который будетъ вместѣ съ этимъ и председателем школьного комитета.

Въ заключеніе считаю нужнымъ добавить два слова по поводу заявления кн. Тарханова въ собрании и намековъ кн. Чавчавадзе по этому же поводу. Кн. Г. И. Тархановъ въ прошлом году предложилъ мне избрать третейский судъ для того, чтобы очиститься отъ взводимых мною на него обвиненій. Я тотчасъ же избралъ судью съ своей стороны, согласившись на редакцію записи, предложенную кн. Тархановым, но если дѣлу не данъ ходъ, то вовсе не по моей винѣ. Намеки же на то, будто я уклонился отъ этого суда, ни на чемъ решительно не основаны. Я и теперь готовъ судиться съ кн. Тархановымъ, когда только ему угодно.

Жду ответа какъ отъ кн. Чавчавадзе, такъ и отъ кн. Тарханова.

Кн. И. Г. Мачабели

27 мая 1894 г.

2

М. Г. г. Редакторъ

Въ N вашей газете появилась заметка о какой то телеграмме, где то найденной и доставленной въ полицейское управление, каковой телеграммой будто бы лагерь одной изъ борющих-

ся банковских партий приглашали лиц к приезду въ Тифлисъ на 20 Мая, ко дню баллотировки, обязавшись принять на себя все расходы на выдачу по „пяти“, должно быть рублей, на человека. Если вамъ почему то понадобилось сообщение этого сведения, необходимо было добавить когда, где и кому послана такая телеграмма, дабы можно было проверить достоверность факта. Но вы предпочли другое: вы указали на эту телеграмму, даже не сказав, какая из двух групп прибегала к такимъ „неблаговидным“ средствам. Но отношение ваше къ той и другой из борющихся партий всеже указывает на насъ. Вы намекали: исчерпав, в последних прениях все средства къ поражению <вожака> супостатов, не довольствуясь [...] на глазах лиц, не имеющих права голоса и уехал получивъ одинъ другой лишний шаръ.(Вспомните пример кн. И. Д. Эристова, а если угодно, я вам напомню деяния других, после вашего поражения вы изобретаете другие способы для скомпроментирования противников, делаете недостойные намеки на какіе то телеграммы и усердно пользуетесь услугами своей и чужой газеты (на этот раз совершенно солидарной с вами) для приготовленной вами лжи. Казалось бы Кн. Чавч. с его сладкоречием, не следовало бы говорить ни о каких телеграммах. Ведь в доме повешенного о веревке не говорятъ, а знаменитая „телеграмма“ без печати о растрате вклада 5%-ных еще свежа на памяти; но раз вы заговорили, позвольте (мнѣ какъ агитатору, вам какъ одному из ораторов оппозиц. партии) прямо заявить всемъ, что упомянутая вами телеграмма есть ложъ вашей собственной канторы. В противном случае, приглашаю васъ указать № этой телеграммы, фамилию пославшего, получившего [юридический адрес] и число когда она послана.

Жду вашего ответа в возможно сжатыѣ сроки...

[1896 წელი]

ევსტაფი დობეცკის

Варшава, Земское Кредитное Общество.
Евстафію Евстафіевичу Добецкому.

На дняхъ будетъ посланъ краткій отвѣтъ на объяснительную записку полную невѣрных свѣдений. Убедительнейше прошу, повременить заключеніемъ.

Князь Мачабели

[1895 წელი]

ბაბო ბაგრატიონ-დავითიშვილს

Бабо. Актеры хотятъ сегодня же окончить разсчетъ между собою, но еще не вручен имъ окончательный разсчетъ. Посылаю тебя 6 руб. за ложу, можѣт быть сумѣешь покончить съ ними. Придется для этого, можетъ быть, съездить къ Кеке Месхи, взявъ на себя, её библіиотѣку, собираніе недоимокъ, а съ ними разсчитаетесь чистыми деньгами.

Вано

4 апреля, [1895]

კოტე ყიფიანს

24 ივნისს.

ძმაო კოტე.

ისრე უცებ მოგიხდა თბილისიდამ წასვლა, რომ ვეღარაფრის თქმა ვერ მოვასწარი. აი, სხვათა შორის, რა არის აუცილებლად საჭირო: შენს სახელობაზედ არის კომერციულ ბანკში დაგირავებული სამი ბილეთი წერა-კითხვის საზოგადოებისა, რომელთაც ვადა 20 ივნისს გაუვიდათ. მე გადავაგირავე ერთის თვით და შტრაφიც გადამახდევინეს. გამოსყიდვა უშენოდ არ შეიძლება. მე დავეკითხე ბანკში, როგორ შეიძლება გამოსყიდვა და მირჩიეს, განცხადება გამოგზავნოსო.

გიგზავნი ამ განცხადებას. მოაწერე მარტო ხელი და დაუყოვნებლივ გამოგზავნე. დამტკიცება შენის ხელმოწერილობისა არ ეჭირვება არავისგან.

სხვა მომწერე, რასა იქ.

შენი ძმა ვანო მაჩაბელი

რიცხვი დაუსვი ბოლოში შენს განცხადებას და ისე გამომიგზავნე.

ი. მაჩაბელი
[1896 წელი]

თედო სახოკიას

1

თბილისი, 10 ოქტომბერი, 96.

დიდად პატივცემულო ბატონო თედო,

თქვენი წერილი გვიან მივიღე, რადგან სოფელში ვიყავ და არ ვჩქარობ პასუხის მოწერას. მომიტევებთ, იმედი მაქვს, ამის გამო პასუხის დაგვიანებას.

ბანკის საქმე პეტერბურღში ჯერ არ გადაწყვეტილა და დიდი იმედია, რომ ამ თვის ბოლომდე ასე თუ ისე გარდაწყდება. ორბელიანი ისევ პეტერბურღშია და სანამ არ გავათავებ, ფეხს არ მოვიცვლიო. მოწერა კი იმისა, რის იმედები გვაქვს, ან რას ფიქრობენ ზოგიერთნი გავლენიანი პირნი, მეტი იქნება, რადგან ადვილად შესაძლებელია, იმედიც გაგვიცრუვდეს და გავლენიან პირებსაც სიტყვა არ შეუსრულდეთ.

ახლა სოხუმის თაობაზედ აი რა უნდა მოგახსენოთ. სწორე გითხრათ, მეც, ჩემი სახლობაც, ძალიან მონდომებულნი ვართ, რომ გავშორდეთ აქაურობას და მყუდროდ სადმე შევუდგე მოღვაწეობას. შევიძლებ თუ არა პირიანად მინდობილის შესრულებას, არ ვიცი, წინდაწინ ვერას დაგპირდებით, მაგრამ ამაზედ კი სიტყვის მოცემა შემიძლიან, რომ ყოველ ჩემს ღონისძიებას დავასრულებ, ხალხის მინდობილობას არ ვუმტყუნო, მით უფრო, რომ ქართველობას უფრო მაგისთანა განაპირებში, როგორც სოხუმია, გვმართებს პირნათლად თავის გამოჩენა. ვიმეორებ, თუმცა სურვილი დიდი გვაქვს, მაგრამ ბანკის საქ-



თედო სახოკია
თბილისი, 1899 წელი
ფოტო: ალექსანდრე როინაშვილი

მის გათავების შემდეგ შეიძლება გარემოება ისე შეიცვალოს, რომ ხელფეხი შემიკრას და ქალაქიდან აღარ გამიშვას; იქნება, ჩემმა ამომრჩევლებმა ზნეობითაც დამავალონ, აქედან ფეხი აღარ მოვიცვალოთ ჯერ-ჯერობით მაინც. საქმე ჯერ ასეა და ამის გამო უნდა ამ თვის, ოქტომბრის გასვლამდე, მომითმინოთ. მაშინ კი, ვგონებ, გადაწყდება საბოლოოდ და გადაწყვეტილს პასუხსაც მოგცემთ. მანამდის მაინც ხომ მანდაც არა არის-რა გადაწყვეტილი; ხმოსნები არ დაუმტკიცებიათ და თუ არ დაამტკიცეს, ვინ იცის, ახალი არჩევნები კიდევ უფრო გაგვამაგრებსო, მაგრამ ასეც რომ იყოს, საქმე, უეჭველია, იანვრამდე ვერ გათავდება. მრავალი მოკითხვა ჩვენებისაგან.

თქვენი მარად პატივისმცემელი ი. მაჩაბელი

2

თბილისი. 7 აპრილი, 1898 წ.

ძმაო თედო.

დიდი ხანია, მინდოდა, პასუხი მომეწერა თქვენთვის, მაგრამ ავადმყოფობა მიშლიდა. ეხლა ბევრით უკეთა ვარ, ჭრილობაც თითქო მთელდება და კალმის აღებას ისე აღარ მიშლის.

თქვენი გამოგზავნილი ხეები მივიღე, მეორე დღესვე ჩავარგეინე ბაღში და აი, დღეს დავათვალიერე, რადგან ამინდმა ნება მომცა ჰაერზე გასვლისა. ჩაის ბუჩქის ფოთლები ჯერ კიდევ მწვანეა, ინდოურ მცენარეს არა ეტყობა-რა და ხურმას ორივეს ფოთოლი გამოაქვს, კოკრები უჩანს. იმედია, ეს ხილები იხეირებენ და თქვენს სახსოვრად დაგვრჩება.

დიდად მადლობელი ვარ მოგონებისთვის, მაგრამ ვინ იცის, რამდენს შესწუხდებოდით ამაების გამოგზავნაში.

შეიტყობდით აკაკის ავადმყოფობას. ქუთაისშია, თოფურიას საავადმყოფოში და აწუხებს თურმე ძალიან გულის ავადმყოფობა – Грудная жаба. ეხლა კი უკეთ არის.

ჩვენებმა მრავალი მოკითხვა გიძღვნესთ. პატარები ძალიან გიმადლიან ხეების გამოგზავნისთვის.

თქვენი მარად ერთგული ი. მაჩაბელი

აღალო თუთაევს

1

დეკემბრის 29, 97.

ძმაო აღალო.

საშინლად ვწუხვარ, რომ აქამდის გალოდინე, მაგრამ შენ თითონ იცი ჩემი მდგომარეობა. ამოდენა ხარჯია და სახლიც გაუცემელი დამრჩა. იდგა ერთი ინჟენერი ორი თვე და ისიც გავიდა, ეხლა ვიღას მივცემ? მაგრამ მაინც ვეცდები, ყოვლის ღონის ძიებით ცოტა მაინც გამოგიგზავნო ამ ცოტას ხანში.

შენი ი. მაჩაბელი

2

ძმაო აღალო. რა ვქნა, მე თითონ ვწუხვარ, რომ აქამდის ვერ მოგაწოდე ჩემი ვალი, მაგრამ ღმერთს ერწმუნე, არა მქონდა ღონისძიება. ეხლაც ვერ გიგზავნი, მაგრამ ვეცდები, მაინც მალე გამოგიგზავნო, თუმცა არა მაქვს იმედი.

შენი ი. მაჩაბელი


[1897 წელი]

ნიკო ნიკოლაძეს

Тифлись, 20 апреля.

Многоуважаемый Николай Яковлевичъ!

Замѣшательство, проiсшедшее въ нашей фракціи въ Думѣ во время баллотировки дополнительныхъ кредитовъ по водопроводу крайне неблагопріятно отозвалось на делах нашей фракціи. Вы, конечно, понимаете, что въ партіи, только что выступившей на общественное поприще, такія замешательства могутъ происходить, но это не должно убивать энергию, твердо преслѣдовать разъ намеченную цѣль и всякое такое недоразуменіе и ошибка должна еще больше сплотить силы фракціи. Потому мы просимъ Васъ, когда только Ваши частные дѣла позволятъ, помогать намъ Вашей опытностью и знаніем дѣла, не взирая на те промахи нашей фракціи, каковые неизбѣжны въ каждом новом дѣлѣ.



ნიკო ნიკოლაძე
თბილისი, 1880-იანი წლები
ფოტო: ალექსანდრე როინაშვილი

В ожиданіи Вашего скораго и благопріятнаго отвѣта, просим принять увѣреніе в нашемъ к Вамъ уваженіи.

В. Мачабели
[1897 weli]

კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანსკის

Его Сиятельству Господину Тифл. Губ. Предв. Двор.

На предложение Вашего Сият. отъ 28 марта с. г., касающееся проекта положения о дворянскихъ кассахъ взаимопомощи, имею честь сообщить мнение свое о значении его для нашего д-ства.

Касса взаимопомощи могла бы быть полезна дв-ству лишь въ том случае, если бы она имела целью подходить на помощь всемъ дворянамъ, попавшимъ, вследствии неблагоприятныхъ обстоятельствъ, въ затруднительное положение. Между тѣмъ (I-ому § проекта помощь может быть оказана только дворянамъ-заемщикамъ Госуд. Дв.Земъ Б., т. е. она должна удовлетворять нужду лишь одной части дворянства, части притомъ наиболее крупно поместной), ибо мелко поместные дворяне, вследствие затрудненности получения ссуды и исходя из расходовъ сопряженных съ ними, редко прибегаютъ къ помощи Банка.

При такихъ условияхъ, дворянство, полагаю, не согласится обокрасть всего себя, какъ это указано въ § 4-омъ, для удовлетворения потребности отдельныхъ дворянъ, неоплатно задолжавших Госуд. Двор. Банку.

Если даже предположить, что, несмотря на значительные затруднения, касса будетъ организована, едва ли она сможетъ оказать существенную пользу, ибо проѣктъ кассы предполагаетъ

ссужать неисправимых заемщиков Банка, т. е. прибавлятъ на неоплаченный заем новые деньги и только лишь на одно или два полугодия отсрочить продажу имения. Встречный проект предполагаетъ передавать такие имения въ управление кассой, которой доверено въ силу § 26 продать его въ течение двухъ лѣтъ, но таковая продажа редко можетъ состоятся без убытков, ибо имение будетъ обременено не только долгом банка и кассы, но и процентами, за то время, въ каковое оно находилось в рукахъ правления кассы. Последнему трудно будетъ получить доходы съ имения, от которого вынужден был отказатся прежний владелец и которое в этом случае предоставлятся обыкновенно банку же лишь разоренным.

На основании всего сказанного я полагаю, что касса взаимопомощи съ столь ограниченными задачами, не будетъ достигать цели, если даже устройство ее последуетъ, что крайне невероятно, согласие всего дворянства.

[1898 წელი]



ივანე მაჩაბელი (პირველ რიგში მერვე)
სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტი, 1871 წელი

სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ადმინისტრაციას

1

14 Авг. 1871.

Его Превосходительству Господину Ректору Императорского СПБ Университета
Окончившаго курсъ ученія въ Тифлисской Классической гимназии Князя Ивана Мачабели

Прошеніе

Желал поступить въ число студентовъ СПБ Университета, физико-математическаго факультета, по разряду Естественныхъ наукъ, покорнѣйше прошу распоряженія Вашего Превосходительства о допущении меня къ вступительному екзамену, при семъ предоставляю слѣдующіе документы: аттѣстатъ объ окончаніи курса въ гимназіи подъ №372, о дворянскомъ происхожденіи, метрическое свидетельство о рожденіи и крещеніи и свидѣтельство о бѣдности.

Иванъ Мачабели
1871 года авг. 14 дня

Жительство имѣю въ новомъ переулкѣ, домъ №6, квартира №4.
Установленные правила съ обязательствомъ исполнения получилъ.

И. Мачабели

2 Сентября 1871 года определить князя Мачабели въ студент. I курса Естеств. наук.

Документъ образца получил 31 мая 1876 г.

В. Мачабели.

2

31 Авг. 1871.

Его Превосходительству Господину Ректору Императорскаго СПБ Университета
Окончившаго курсъ ученія въ Тифлисской Классической гимназіи Ивана Мачабели

Прошеніе

Выдержавъ вступительный экзаменъ для поступленія въ число студентовъ Университета, физико-математическаго факультета, по разряду естественных наукъ; но находясъ въ крайне затруднительномъ положеніи, по неименію средствъ, покорнѣйше прошу распоряженія Вашего Превосходительства объ освобожденіи меня отъ платы за слушаніе лекцій, при чемъ прошу обратить особенное Ваше вниманіе на атестатъ, выданный мнѣ изъ гимназіи и свидетельство о несостоятельности.

Иванъ Мачабели
1871 года, Августа 31 дня

Потребовать новое свидетельство о бѣдности.

3

16 Сент. 1871.

Его Превосходительству Г-ну Декану физико-математическаго факультета Императорскаго СПБ Университета
Студента 1-го курса физико-математическаго факультета по разряду Естественныхъ наукъ, Ивана Мачабели

Прошеніе

Поступивъ въ число студентовъ Университета и не имѣя средствъ къ существованію, покорнѣйше прошу ходатайства Вашего Превосходительства передъ Советомъ о назначеніи мнѣ стипендии.

Студентъ Иванъ Мачабели
1871 года, Сентября 16 дня

В стипендии отказать.

4

13 Окт. 1871.

Его превосходительству, Ректору Импѣраторскаго С-тъ Петербургскаго университѣта
Студента 1-го курса физико-математическаго факультета Ивана Мачабели

Прошеніе

Не имѣя никакой возможности внести плату за право слушанія лекціий въ университетѣ, покорнѣйше прошу Ваше превосходительство отложить это взыманіе до Декабря мѣсяца 1871 года.

Студентъ Иванъ Мачабели
1871 года, Октября 13-го дня

Оставить безъ последствій. Студентъ Мачабели.

5

14 Окт. 1871.

Его превосходительству, Г-ну Ректору Императорскаго СПб Университѣта
Студента 1-го курса физико-математическаго факультета Ивана Мачабели

Прошеніе

Я имелъ честь покорнейше просить ходатайство Вашего Превосходительства объ освобожденіи меня отъ платы за слушаніе лекцій, на что Совѣтъ Университета опрѣделилъ потребоватъ съ меня новое свидетельство о бѣдности. Въ настоящее время покорнѣйше прошу Ваше превосходительство, дать мнѣ отсрочку по Январъ мѣсяцъ 1872 года, время выписать выше-означенное свидѣтельство изъ Кавказа.

Студентъ Иванъ Мачабели
1871 года, Октября 14 дня

Отсрочить плату по 15-ое Января 1872 года – съ месяца 14 окт. 1871.

6

25 Января 1872.

Его Превосходительству, Г-ну Ректору Императорскаго С-тъ Петербургскаго университета
Студента 1-го курса физико-математическаго факультета по разряду Естественных наукъ Ивана Мачабели

Прошеніе

Весьма крайняя нужда принуждаетъ меня обратиться къ ходатайству Вашего Превосходительства передъ Совѣтомъ о выдачѣ мнѣ одновременнаго пособія.

Студентъ Иванъ Мачабели
1872 года, Января 25 дня

27 Января 1872 года определяем: отказать Мачабели въ выдачѣ пособия.

7

28 Февраля 1872.

Его Превосходительству, Г-ну Ректору Императорскаго С-Петербургскаго Университета
Студента 1-го курса физико-математическаго факультета по разряду Естественных наукъ Ивана Мачабели

Прошеніе

Въ декабрѣ прошлаго 1871 года я имѣлъ честь покорнейше просить объ освобожденіи меня отъ платы за слушаніе лекцій, при семъ предоставилъ свидетельство о моей несостоятельности. Совѣтъ Университета, найдя это свидѣтельство неудовлетворяющимъ формальным условіямъ, опредѣлилъ потребовать съ меня новое свидетельство, составленное по формѣ, до полученія котораго отсрочить мнѣ взносъ платы. Нынѣ-же, получивъ оное, и представляя при семъ, покорнѣйше прошу ходатайства Вашего Превосходительства предъ Совѣтомъ объ освобожденіи меня отъ выше-упомянутой платы.

Студентъ Иванъ Мачабели
1872 года, 28 Февраля

Отсрочить плату по 1-ое Октября и требовать свидѣтельства по формѣ. За 2-й 1871 и 1-й 1872.

8

16 Мая 1872.

Его Превосходительству, Г-ну Ректору Императорскаго С-Петербургскаго Университета
Студента 1-го курса, физико-математическаго факультета, по разряду Естественных наукъ Ивана Мачабели

Прошеніе

Безвыходное положеніе, вслѣдствіе не именія материальныхъ средствъ, принуждаетъ меня, обратиться къ ходатайству Вашего Превосходительства передъ Советомъ о выдачѣ мне пособія.

Студентъ Иванъ Мачабели
1872 года, Мая 16 дня

По неімѣнии средствъ отказать в пособии. 18 Мая 1872

9

5 Сентября 1872.

Его Превосходительству Господину Ректору Императорскаго СПб Университета
Студента 2-го курса физико-математическаго факультета, по разряду естественных наукъ Ивана Мачабели

Прошеніе

Вслѣдствіе крайней нужды я долженъ обратиться къ ходатайству Вашего Превосходительства передъ Совѣтомъ объ освобожденіи меня отъ платы за слушаніе лекцій въ Университетѣ.

Студентъ Иванъ Мачабели
1872 года, Сентября 5-го дня

Честь имѣю засвидетельствовать передъ правленіемъ Университета, что Г. Мачабели действительно обременем залогомъ и не можетъ взять на себя оплату.

Кн. Абашидзе, 1872 г., г. Гори, 5 Сентября

Освободить отъ платы, но безъ снятия долга. Къ секретариату. 5 октября 1872

10

4 Декабря 1872.

Его Превосходительству, Господину Декану физико-математического факультета, Императорскаго С-тъ Петербургскаго Университета
Студента 2-го курса физико-математическаго факультета, по разряду Естественных наукъ Ивана Мачабели

Прошеніе

Крайне безвыходное положение принуждаетъ меня обратиться къ ходатайству Вашего Превосходительства передъ Советомъ о выдаче мнѣ одновременнаго пособія.

Студентъ Иванъ Мачабели
1872 года, 4 ноября

Пособие въ 40 руб. съ удержаніемъ 25 руб. на уплату долга за слушаніе лекций.
Къ секретариату. 14 декабря 1872

11

29 Мая 1873.

Его Превосходительству Господину Ректору Императорскаго С-Петербургскаго Университета
Студента 2-го курса физико-математическаго факультета, по разряду Естественныхъ наукъ Ивана Мачабели

Прошеніе

Доведенное до крайности положеніе вынуждаетъ меня обратиться къ ходатайству Вашего Превосходительства передъ Совѣтомъ о назначеніи мне Императорской стипендіи.

Студентъ Иванъ Мачабели
1873 года, 29 Мая

По Совета СПБ Университета 31 Мая 1873 – назначена Университетская стипендія съ 1 Июля сего года по 1 Июля 1874.

12

19 Мая 1874.

Его Превосходительству, Господину Ректору Императорскаго С-Петербургскаго Университета
Студента IV-го курса физико-математическаго факультета, по разряду Естественных наукъ, Ивана Мачабели

Прошеніе

Хотя съ Июля месяца прошлаго года я и получаю Университетскую стипендію по 15 руб. въ мѣсяцъ, но весьма стѣсненныя обтоятельства первыхъ двухъ лѣтъ и невозможность поправить маломальски ихъ настоящею стипендіею, принуждаютъ меня обратиться къ ходатайству Вашего Превосходительства о замѣнѣ на послѣднемъ курсѣ этой стипендіи Императорскою.

Студентъ IV курса Иванъ Мачабели
18 Мая 1874 года

По решению Совѣта 31 Мая 1874 года назначена Университетская стипендія въ 180 руб. съ 1 Июля 1874 по 1 Июля 1875 года.

თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს

1

Въ наблюдательный комитетъ тифлисскаго дворянскаго банка.

Действительного статского советника Дмитрія Ивановича Кипіани, Николая Яковлевича Авалова, князя Георгія Михайловича Туманова, князя Ивана Георгіевича Мачабели, Иосифа Зосимовича Бакрадзе и Давида Захаровича Сараджева

Заявленіе

Вследствие заявленія одного изъ насъ, кандидата правъ Туманова, общее собраніе членовъ тифлисского дворянского банка, въ маѣ настоящаго года постановило: три тысячи рублей изъ дивиденда этого банка передать въ безсрочное пользование грузинскому театральному товариществу, когда сеѣ послѣднеѣ оснуетъ грузинский театръ и дастъ ему прочную организацию. Въ виду того, 1. что труппа уже составлена означеннымъ комитетомъ еще весною настоящаго года, 2. что труппа эта съ тѣхъ поръ безпрерывно даетъ представленія какъ въ Тифлисѣ, такъ и въ другихъ частяхъ Закавказскаго края, 3. что комитетомъ издержано немало денегъ на пріобретеніе театральнаго имущества для постоянного грузинского театра, и 4. что всего этого недостаточно для прочности сказанного учрежденія лишенного пока сноснаго репертуара, костюмовъ для оригинальныхъ піэсъ, библіотеки и прочаго нужнаго имущества, мы, нижеподписавшіеся, составляющіе грузинское театральное товарищество, покорнѣйше просимъ наблюдательный комитетъ тифлисскаго дворянскаго банка выдать такому-то деньги, следуемая намъ по постановлению (мая н. г.) общаго собрания членовъ банка.

[1881 წელი]

2

Въ Наблюдательный Комитетъ Тифлисского Дворянского Земельного Банка

На отношеніе ко мнѣ отъ 12 Мая сего года имѣю честь заявить, что одновременно съ подачей моей докладной записки Господину ревизующему, копію съ нея я вручилъ Правлению Банка для пріобщенія къ дѣламъ.

Кн. Иванъ Георгіевичъ Мачабели
1895 г. Мая 14

3

Въ Наблюдательный Комитетъ Тифлисского Дворянского Земельного Банка
Члена правленія кн. Ивана Георгівича Мачабели

Заявленіе

Наблюдательнымъ Комитетомъ отказано мнѣ въ выдаче копий съ протоколовъ „Соединенного Присутствія“ относящихся к моей дѣятельности в банке до тех пор, пока я не учиню подписей на этих протоколах. Имею честь заявить, что въ Уставе Банка Соединенное Присутствие предусмотрено лишь для оказанія льготъ заемщикамъ. Если еще можно оправдать какими либо соображеніями законность соединенных присутствий, обсуждающихъ другие вопросы по порученію общего собрания, то ни в каком случае не могу признать законным то соединенное присутствіе, которое собралось для того, чтобы обсуждать насколько терпимы или нетерпимы дѣіствія одного из равноправных сословиях своих. Потому, не признавая законность соединененного присутствия 2, 6 и 20 января сего года въ той же части, в которой обсуждались мои действия с точки зрения их терпимости, или нетерпимости, вновъ покорнѣйше прошу выдать мне требуемые копии без моей подписи, каковое въ данном случае решительно не можетъ иметь никакого места.

[1896 წელი]

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას გამგეობის წევრის ი. მაჩაბლის

მოხსენება

დასამალი არ არის, რომ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა ნახევრადაც ვერ ასრულებს თავის რთულ და მეტად მძიმე მოვალეობას, ამ „საზოგადოების“ წესდების ძალით გამგეობა მოვალეა, იზრუნოს სკოლების დამართვაზე, წიგნების ბეჭდვაზე, სახალხო ლექციებისა და ბიბლიოთეკების დამართვაზე, ღონისძიების გაძლიერეზე და სხვ.; მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მის ანგარიშებს, საზოგადოება თითქო ერთ წერტილზეა გაჩერებული და თითქმის არც ერთ საგანში არ ეტყობა სასურველი წინ-მსვლელობა, ამ მოვლენას ბევრი რთული მიზეზები აქვს, რომელთ აცილება მართო გამგეობაზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ გამგეობამ თავის მხრით მაინც უნდა მოსპოს შეძლებისამებრ საქმის შემაფერხებელი მიზეზები და იზრუნოს „საზოგადოების“ წარმატებისათვის. ჯეროვანად საქმის წასამართავად საჭიროა სრული წესიერება დამყარდეს როგორც „საზოგადოების“ გარეგანს ფორმალურს მოქმედებაში, ისე შინაგანში, არსებითში. ამის გამო მე მოვახსენებ გამგეობას რამოდენიმე წინადადებას, რომელიც ზემოხსენებულ საგნებს შეეხება:

1) კანცელარიაში შემოღებული იქმნეს, რომ ყოველი საგნისათვის ცალკე საქმე იყოს შედგენილი და ყოველივე მიწერ-მოწერა ამ საგნის შესახებ საქმეში ჯერისამებრ ჩაჰკერდეს.

2) შემოწმდეს დაწვრილებით, როგორც ფულის კასსა, ისე წიგნების რაოდენობა მაღაზიაში. საფუძვლად ამ რევიზიისა უნდა დაიდოს ანგარიში 1890/1891 წლის დამტკიცებული იანვრის 26 შემდგარის კრებისაგან. წიგნების რევიზია სამად უნდა გაიყოს:

ა) შემოწმდეს „საზოგადოების“ ბიბლიოთეკა კატალოგისამებრ და დამყარდეს წესი, თუ როგორ აღინიშნოს ყოველივე შემოწირულობა, თუ შეძენილობა ბიბლიოთეკისა. ბ)

გადაითვალოს სათითაოდ „საზოგადოების“ კუთვნილი წიგნები, როგორც ნაწარმოები ახალის ლიტერატურის, ისე ძეგლისა, გ) გადაითვალოს სათითაოდ წიგნები საკომისიოდ მოცემული სხვა პირთაგან. ამასთანავე საჭიროა, შემოწმდეს, თუ რამდენი წიგნი აქვთ როგორც ჩვენი, ისე საკომისიოდ ჩვენთვის მოცემული სხვა და სხვა აგენტებს. ამ შემოწმების შემდეგ უნდა შესდგეს სავაჭრო წიგნები მაღაზიაში ისეთის წესითა და რიგით, რომ ყოველ საათს შეეძლოს მსურველს შეტყობა, რამდენი წიგნი აქვს და რომელ „საზოგადოებას“ ან მის აგენტს.

3) ფულის ანგარიში ისე უნდა წარმოებდეს, რომ ყოველივე შემოსავალ-გასავალი წიგნში იწერებოდეს მდივანისაგან; და წლიურ ანგარიშში და სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაში მოქცეული იყოს, როგორც საკუთარი თანხა საზოგადოებისა, ისე პირობით შემოსული (სკოლების ფული, ან სხვა პირობით შემოწირული).

4) შემოწმდეს, საზოგადოების დაარსებიდანვე თუ რამდენი წევრი ჰყოლია საზოგადოებას და რომელს შემოუტანია საწევრო ფული, ან რა წლისა. თუ ვინიცობაა, აღმოჩნდა ვინმე, რომელსაც ათის წლის განმავლობაში არ შემოუტანია საწევრო ფული, წევრობიდამ გამოირიცხოს. დანარჩენ წევრთაგან მოიკრიფოს ფული სხვადასხვა საშუალებით, რომელსაც კი გამგეობა სამჯობინაროდ დაინახავს.

5) „საზოგადოების“ საშუალების გასაძლიერებლად მიენდოს მდივანს, მაღაზიაში იქონიოს ყველა სამწერლო იარაღები და ჰყიდოს ისინი მოთხოვნისამებრ. შეიძლება, ზოგიერთ სასწავლებელს და დაწესებულებათ სამწერლო იარაღები ჩვენი მაღაზიიდან ვაძლიოთ, რაც არა მცირედად გააცხოველებს ვაჭრობას.

6) რადგან თბილისში დაარსებული ამხანაგობა კისრულობს ჩვენი მწერლების თხზულებათა გამოცემას, ჩვენის საზოგადოების მოქმედება წიგნების ბეჭდვაში შემდეგში უნდა მდგომარეობდეს: მან ჰბეჭდოს სახელით: „იაფი ბიბლიოთეკა“ წვრილ-წვრილი წიგნები არა უმეტეს 40-50 გვერდისა, როგორც ბავშვებისათვის, ისე მდაბიო ხალხში საკითხავად. ამ წიგნებში უნდა მოქცეს: ა) ადვილად საკითხავი მოთხრობები, როგორც ორიგინალური ისე ნათარგმნი, ბ) მოთხრობანი ან თხზულებანი ბუნების მეტყველებიდამ და გ) ისტორიულნი მოთხრობანი: ამისათვის გამგეობამ უნდა გამოაცხადოს ჯილდო 20 მანეთიდამ 50 მანეთამდე წიგნის ღირებულებისამებრ და პირველი გამოცემა საზოგადოებას უსასყიდლოდ უნდა დაეთმოს.


მე, რასაკვირველია, ვერ ვაჩვენე ყოველივე გზა, რომლითაც შეიძლება „საზოგადოების“ წარმატება და ფეხზე დაყენება, მაგრამ, იმედია, ეს გზა თანდათან უფრო გამოირკვევა და გამოცდილებას შეგვძენს საქმის ერთგულად სამსახურისათვის.

ი. მაჩაბელი

4 თებერვალს, 1892 წ.

წერილები ივანე მაჩაბელს

ვასილ მაჩაბელი



ივანე და ვასილ მაჩაბლები
სანკტ-პეტერბურგი, 1873 წელი
ფოტო: კონსტანტინ ანდერსონ

1

თებერვლის 12-ს, 1877 წ. ს-პეტერბურგი.

ვიცი, ჩემო კარგო, რომ ეს წიგნი შემდეგ იმ აღსარებისა, რომელიც მე ჩემ უკანასკნელ წიგნში ვაღვიარე, ძალიან გაგაკვირვებს, მაგრამ მე გთხოვ, კარგათ დაუფიქრდე ამ ჩემს სიტყვებს და ისრე წარმოსთქვა შენი მსჯელობა.

კაცმა ყოველ მოვალეობის კისვრის წინათ უნდა დამჯდარის ჭკუით და გონებით გასაჯოს, შეუძლიან იმ მოვალეობის ასრულება თუ არა? იმას ყოველთვის სახეში უნდა ჰქონდეს როგორც თავის ინტერესი, ისე მომეტებულათ სხვისა. რაც უნდა წმინდა სურვილი ჰქონდეს, უნდა ამ სურვილის ასრულებამდის დაუფიქრდეს თავის მომავალს, წარმოიდგინოს თავის მდგომარეობა და ნამეტნავად იქონიოს ის კაცობრიული სვინიდისი, რომელიც უნდა მიუძღოდეს ფარნად ყოველ გონიერ და სვინიდისიან კაცს მთელ თავის სიცოცხლეში და, რასაკირველია, შემდეგ ამისა თუ დაინახა, რომ ის ვერ აასრულებს იმ მოვალეობას, რომელიც მოსდევს მის სურვილის ასრულებას, მაშინ უნდა მას თავი დააანებოს. მართალია, ამგვარი თავის სურვილის მსხვერპლად შეწირვა, ბევრს არ შეუძლიან, რადგან მათი გულის წადილი აჩრდილებს და აუქმებს ყოველგვარ გონივრულ სჯას. ისინი ამ შემთხვევაში არასოდეს არ ფიქრობენ მომავალზედ და მთელ თავის სიცოცხლეს

აბარებენ თავის ბედს, მაგრამ კიდევ გავიმეორებ იმ გვარ ნაბიჯის გადადგმაზედ, რომელზედაც მთელი სიცოცხლეა დამოკიდებული, კაცი უნდა ძალიან დაფიქრდეს. ვიტყვი მოკლედ, ჩემს მდგომარეობაში მყოფ კაცს არ შეუძლიან, ამგვარი მოვალეობა იკისროს. ამის მიზეზს შენ მალე მიხვდები, ერთი ნამცეცი რო დააკვირდე ჩემ ცხოვრებას და მდგომარეობას, მაშასადამე, ჩემდა საუბედუროდ, ამ ჟამად ვერ ვპოვებ ღონისძიებას ჩემი რომანი გავაგრძელო და დავაბოლოო. თუმცა, ამგვარი ჩემი ქცევა სამძიმო და გულმომაკვდინებელია. ეს ფიქრები მომივიდა შემდეგ უკანასკნელი შენთან წიგნის მოწერისა. ახლა შენზედ ჰკიდია, როგორ გასჯი და დაინახავ ამ ჩემ გადაწყვეტილ ჯერჯერობით აზრსა.

დარიკოს წიგნს ამ ერთ კვირაზედ გაუგზავნი. ამასთანავე მინდა, ერთი ხუთი თუმანი გაუგზავნო ზოგი ხეხილის ჩასაყრელად და ზოგი ისრე სახარჯოთ. შენც ცხრა მარტამდინ გამოგიგზავნი ას მარკას და პირველ აპრილისათვისაც იმედი მაქვს, ხუთასი მარკა მოგაშველო და ამაობით აგვისტომდინ იქნება იყოფინო ეს ექვსასი მარკა.

აგვისტოში კი შეიძლება კიდევ საპარიჟოთ ერთი ოც თუმნამდინ გიშოვნო, რასაკვირველია, ჯერჯერობით, თუ ვინიცობაა, შენის ანგარიშით ეს ექვსასი მარკა არ გეყოფა აგვისტომდინ, მაშინ მომწერე, კიდევ რამდენი დაგაკლდება.

ამ წიგნში გიგზავნი „ივერიის“ გამოსვლის განცხადებას. ილიკო ჭავჭავაძეს გუშინ გაუგზავნე ექვსი მანათი და ვთხოვე, მიგზავნოს ეს გაზეთი, მე რომ წავიკითხამ ხოლმე, მაშინვე შენ გამოგიგზავნი.

ბელელიჩის მამულზედ არა ისმის რა და არც მე მაქვს ეხლა ღონის ძიება ამჟამად მოვეკიდო იმ მამულს. ჩემი მდგომარეობა გავს ეხლა დღიურ მუშის მდგომარეობას. დღესა მაქვს, ხვალ არა და ამგვარ მდგომარეობაში მყოფ კაცს, რაც უნდა კაი სურვილი მოსდიოდეს, ძნელია მისი ასრულება. არ ვიცი, როდემდისინ გასტანს ამგვარი ჩემი ცხოვრებასთან ბრძოლა და ან ვინ დარჩება ბოლოს გამარჯვებული?

შენი ვასო

2

დღეს უეცრივ დავით ავალოვს შევხვდი ქუჩაში და, რასაკვირველია, მანდაური ამბავი ვკითხე. სხვათა შორის, გულნაკლულის ხმით მითხრა, რომ ქაღალდი მიგიცია შენ თანამდებობის თავის დანებებაზედ. სწორე გითხრა, ამ ამბავმა თავზარი დამცა. მართალია, ამასწინათ მწერდი, რომ ძალიან სამძიმეო თანამდებობა არისო, მაგრამ მაინც იმას ვერ მოვიფიქრებდი, რომ ამის მიზეზით ეგრე ჩქარა თავს დაანებებდი, მით უმეტეს, რომ, არა მგონი, მოიძებნებოდეს ისეთი საქმე ანუ თანამდებობა, რომელსაც თავის შესაწუხარი არა სჭირდეს რა. ყოველ მხრივ სასიამოვნო საქმეს ჩვენ გაჭირვებულ ქვეყანაში კაცი ვერ იპოვნის. ვინც კი გულით და სულით გრძნობს თავის სამშობლოს სიყვარულს, ვისაც კი ნამდვილი სარგებლობის მოტანა უნდა თავის ხალხისათვის, არა ოდეს საქმის უსიამოვნო მხარეს არ უნდა გაექცეს. მერე რა საქმეს, საქმეს, რომელსაც შეუძლიან, რამდენიმე ათი და ასი სასარგებლო მწევრი შემატოს თავის სამშობლოს. ამაზედ, იქნება, ჩაიცინო და მითხრა, მერმე იცი, რა უსიამოვნობა მომაყენესო, განა შეუძლიან, ვისაც კი ცოტაოდენი თავის მოყვარეობა აქვს, გაუძლოს ამ გვარ შევიწროებასაო და სხ... ამაზედ ისევ იმასვე გიპასუხებ, რაც ზეით გითხარ. თუ დიდი სასარგებლო საქმე გაბარია, შენი თავის მოყვარეობა უნდა ამ საქმეს ანაცვალო, რაც უნდა უსიამოვნობა ნახო, არათ უნდა ჩააგდო, იმ იმედით, რომ ბოლოს ყოველი შენი შეწუხება და სიმწარე დაგავიწყდება, როდესაც ნახავ

შენი შრომის ნაყოფს, რომელიც ასარგებლებს და ახარებს თავის პაწია სამშობლოს. აი, ჩემი ვანო, ამისთანა საქმეებში უნდა გამოიჩინო მოთმინება და სულგრძელობა. გახსოვს, ილიკო ჭავჭავაძეს მე და შენ როგორ მივარდით ყელში, როდესაც იმან აქ წამოიძახა, თუ ჩემი სახელი არ იქნება, ბანკი ფეხებზედ მკიდიაო. ნუ თუ ეს გრძნობა აღარ გიღვივის შენ გულში, ნუთუ თბილისის ტალღებმა სრულებით შეგაცვლევინეს ყოველი ამგვარი ნათელი აზრი? ნუ თუ შენა გგონია, სხვა უფრო სასარგებლო საქმეს რას შეუდგები? მე კი ჩემი ცოდვილის პირით ვაღვიარებ და გეტყვი, რომ ეგ შენი გარდაწყვეტილება მოუაზრებელი და უსაფუძვლოა და დიდი მავნებელი მოქმედება ექნება მთელ შენ მომავალ ცხოვრებაზედ. მართალია, იქნება ამ უკანასკნელმა სიტყვებმა გაგაცხარონ, მაგრამ არ უნდა დაივიწყო, რომ აქამდისინ მე შენ გიცნობდი ჩემ გულითად ძმათ, ერთათ ერთ მეგობრათ და, მაშასადამე, მეგობრული კანონი მაძლევს ნებას, პირდაპირ გითხრა ის, რასაცა ვგრძნობ.

ამ საგანზედ შეიძლებოდა დიდი ბაასი გამემართა, მაგრამ ისეთი შეწუხებული ვარ ამ ამბის შეტყობით, რომ ამ მოკლე სიტყვებით ვათავებ ამ წიგნს.

ამას კი ნუ დაივიწყებ, რომ თუმცა ამ უკანასკნელ ხანებში, ჩემთან სამძიმოთ მიგაჩნია ლაპარაკი, მაგრამ მაინც ჩემ გვარი მეგობარი შენ არავინ გეყოლება.

შენი ვასო

[პეტერბურგი, 28 იანვრამდე, 1880 წელი]

3

5 აგვისტოს, 1892 წ. ს. თამარაშენი.

ჩემო გულით საყვარელო ძმაო ვანო,

თუმცა შენი ორი წერილის წაკითხვაში ბევრი ცრემლები მცვივოდა, მაგრამ მაინც ორივენი დიდი მანუგეშებელი იყვნენ ჩემი გულისათვის. წინა წერილში, რომელიც ტასოს სახელზედ გამოვგზავნე ფცაში შენდა გადმოსაცემად, მოკლედ გწერდი ნინოს უბედურებაზედ და ჩემ შეწუხებაზედ. ეხლა კი უნდა ცოტაოდნათ ვრცლად გაიმბო მიზეზი იმის უბედურებისა, როგორც მე მგონია:

რასაც წამს ხოლერა გაჩენილიყო თამარაშენში, მაშინათვე ვარიანში კაცი ეფრინა (რადგან მეჟევოი კომისია იყო და ორი დღით მეც იქ წაველ) ჩემთან. მთხოვდა, მყისვე მივშველებოდი სოფელს და სახლს და კარს. მაშინვე მოვიჭერ. მართლად ორი კაცი გამხდარიყო ხოლერით. მეორე დღესვე დავიბარეთ ხალხი, შევადგინეთ „სანიტარნი კომისია“, გავასუფთავებინეთ მთელი სოფელი, თუმცა, მომეტებული ნაწილი გახიზნულიყო, რასაც წამს შეეტყოთ ხოლერა გაჩნდაო. გუბერნატორსაც დეპეშა მივწერეთ ექიმისა და წამლებისათვის, რადგან ვერ წარმოიდგენ ამ მხრით რა უპატრონოთ და უნუგეშოთ არის ჩვენი სოფლები დაგდებული. საწყალი ნინო ძალიან ცდილობდა ყველასთვის, ვინც გახდებოდა ავათ, მაშინვე პატრონობა გაეწია. ექიმს არ მოაყვანინებდა, არ წაიყვანდა, თითქმის სახლშიაც კი უნდოდა შესვლა, სადაც ავათმყოფი იყო, ჩვენ რომ არ დაგვეჭირა. ამასთან ცოტა კუჭიც ჰქონდა მოშლილი და ჩივოდა მუცლის წვას. მე მაშინათვე ვურჩიე, სასაქმებელი ზეთი დაელია და მერმე კაპლები(რომლითაც ეხლა, თუ თავის დროზედ მითხრეს, ყველას ვარჩენ). მოიკლა თავი და ზეთი არ დალია. მის მაგიერ ოყნა გაიკეთა და მე ვგონებ, იქიდან თუ შეყვა ბაცილა წელში და ისე სწრაფათ გამრავლდა, რომ 12 საათის განმავლობაში გათავდა. და ასე უბედურათ დაგვტოვა.

რასაკვირველია, ჩემო კარგო, გულის გამაგრების და მხნეობის მეტი მე არა დამრჩენია რა შვილების მოსავლელათ, მაგრამ მაინც გული კვნესის და ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ მე ნინო აღარა მყავს!!.

რასაკვირველია, ყველას ჩემ ნათესავებს ტელეგრამები გავუგზავნე. სიკვდილის დღეს ჩემი სიდედრი, სიმამრი და ლიზა გადმოვიდნენ. მეორე დღეს დასაფლავებისა, მოვიწვიე. ბლაღოჩინი და ჩვენი მღვდელი პრისტავითა თავის ჩაფრებით, ექიმი თვითონ მოვიდნენ. ერთი მაჩაბელი არ მომკარებია, თუმცა, დათიკო და აბესალომი შინ იყვნენ. და როგორც შეეფერებოდა ამ დროებას, ლაზათიანად დავასაფლავეთ. იქვე მუხასთან, სადაც მე აგურხანა მქონდა და სადაც მომავალში ეკლესიის აშენებას ვაპირებთ. ბავშვები გარდა ილუშასი, რომელიც აქამომდე გადადებული ავათ მყოფი მყავს და რომელზედაც საწყალი უკანასკნელ წიგნსა სწერდა ტასოს, ოსიაურში გავატანე ჩემ სიმამრსა და სიდედრსა, რადგან იქ ჯერ ხოლერა არ არის, ისინი იქ დარჩებიან, სანამ განელდებოდეს. აღმზრდელი გამექცა თითქმის წინა დღით. სამი მებაღე ლეჩხუმელებიც დამეთხოვნდნენ, დანარჩენი კერძობა კი ისევა მყავს. მანიაც 1 აგვისტოს დარიკოსთან გავისტუმრე და საწყალს რამდენი წვალება გამოეარნა ყარაულების გამო. მაგრამ რას ვიზამდი, როგორ დამეგდო საწყალი აქა. იქ დარიკოს გული გაუსკდებოდა ჯავრით და ეს ვამჯობინე. ნეტა, დედაჩემი მაინც აქა მყავდეს, რომ ესე მარტოთ მარტო, ავათმყოფის ბავშვის სინაბარა და ნინოს მოგონებაში ვატარებ ამ ჩემ უბედურ ცხოვრებას და ვიმაგრებ, რაც შეიძლება, გულსა. მთელი კერძობა ჩემი შემყურებელია და ის დღეა, დავდივარ, ვამხნევებ, თუ შევატყე რამე. და ამ რიგათ მირბის საათი საათზედ.

ტასოს, ბაბოს, დათას, ლევანს და მაშოს სიყვარულით მოვიკითხავ და გულით გულით ვმადლობ თანაგრძნობისათვის. ველი შენს წიგნსა. ნიკო დამიკოცნე, მაგრა, მაგრა. გთხოვ, რომ პოჩტით თქვენი ამბავი მაცოდინოთ. მე ათისათვის მსურდა ქალაქში ჩასვლა, მაგრამ თუთხმეტამდინ გადავდე.

შენი ერდგული ძმა ვასო

4

1 ივნისს, 1896 წ. ს. თამარაშენი.

ძმაო ვანო,

აი, გიგზავნი ნათაძის ხელით დოვერენოსტობას და ეს გიამბობს დაწვრილებით, თუ როგორ მოვახერხეთ ამ ორ-სამ დღეში ამის გაკეთება. მეც დღეს მივდივარ ქუთაისს და იქიდგან ერთი-ორი დღით ჩამოვალ ქალაქს და, იქნება, მანდვე მოგისწროთ და თუ ვერ მოგისწარით, მაშინ მინისტრთან ლაპარაკის დროს იქონიეთ სახეში შემდეგი, ჩემის შეხედულობით, საჭირო აზრები:

1) უნდა უეჭველათ მინისტრს ჩააგონოთ, რომ, настоящее правленіе и наблюдательный комитетъ в данном воросѣ заинтересованная сторона, которая всеми силами старается во 1-х вызвать изъ Банка всѣх мало мальски безпристрастных людей (примеръ Джаврова, Павленова), во 2-х съ помощью экспроприорнаго капитала, находящегося въ безотчетном распоряженіи наблюдат. Ком. задобрить всех влиятельных лицъ в селах, чтобъ этимъ набирать для себя как можно больше шаров и быть несменяемыми, в 3-х во время общих собраній браковать произвольно доверенности всѣх тѣх, которых они считаютъ своими противниками и этимъ самымъ составлять

въ свою пользу большинство голосовъ. Такимъ образомъ, Тифл. Двор. Зем. Банк изъ солидного общественного учреждения, сдѣлаѣтся учреждениемъ для пользы известных лицъ, следовательно, потеряет тотъ общественный характеръ, который онъ долженъ иметь (указать на примеры Абхази, Бебуро- Вачнадзе, Георгия Авалова и проч.).

2) Не достигнувъ своей цѣли на очередном общемъ собраніи 20 Апр. 21 Мая, они созвали чрезвычайное общее собраніе на 19 Июня подъ предлогомъ избиранія выбывших въ отставку лицъ, а между тѣм, заднею целью они имѣли удалить изъ Банка тебя. Критикующая незаконность дѣйствія большинства членовъ правленія и наблюдательного комитета их защищающая, положенія, высказанныя в министерской газете.

3) Они, вопреки уставу, не объявили за две недели в газетах, о этих вопросах, которые подлежали разрешенію общего собранія, дабы не дать возможности собраться всемъ тем, которые находили выборы 21 Мая законными.

4) Если Кн. Чавчавадзе, Кн. Грузинский и члены наблюдательнаго комитета вышли въ отставку и отставка ихъ была принята общимъ собраніемъ 21 Мая, то постановка вопроса на чрезвычайномъ общемъ собрании, о том, чтобъ упросить ихъ остаться, является неправильною, ибо упрашиваютъ остаться только тѣх, которые уходятъ, но не тѣх, которые уже ушли, а надо вновь избрать, но именно каждого, а не цѣлую коллегію.

Изъ всего сказанного явствуетъ, что для спасенія нашего Банка необходимо вырвать его изъ рук настоящих узурпаторовъ; а вырвать можно только тѣмъ путемъ, чтобъ во 1-х выборы 19-21 Июня признать неправильными, во 2-х признать выборы 21 мая правильными, в 3-х признать отставку Кн. Чавч., Груз. и членовъ наблюдат. комит. принятымъ общимъ собраніемъ 21 Мая дѣйствительными и на этомъ основаніи устранить ихъ отъ участія въ созывѣ нового чрезвычайного собранія, предоставивъ таковое, либо бывшему председателю очередного собрания Мусхелову, либо правленію, образованному 21 Мая 1896 г. Иначе, если созывъ чрезвычайного общего собранія будет предоставленъ наблюдательному комитету, как въ высшей степени заинтересованному лицу, то врядъ ли можно ожидать успѣха въ перемѣнѣ состава как правленіи, так и наблюдательного комитета по изложеннымъ выше соображеніям.

აი, ამისათვის ყოველი ღონისძიება უნდა მიიღოთ, რომ მინისტრმა შეიგნოს ჩვენი სიმართლე და კრების მოწვევა იმათ აღარ ანდოს. ამ ჩემ მოკლე მოაზრებას, რასაკვირველია, თქვენც თქვენ ვრცელ საბუთებს დაამატებთ და იმედია, კარგათ წავიდეს საქმე. მხოლოდ უნდა დაეშუროთ, რომ მინისტრი პეტერბურღიდგან, ზაფხულის გამო არსად წავიდეს.

გარდა ამისა, ისიც სახეში უნდა მიიღოთ, რომ მინისტრთან ისინიც ყოველ ღონის ძიებას იხმარებენ გავლენიან პირების შემწეობით, რომ თქვენი საჩივარი არას გახდეს, მაგრამ ეს დოვერენოსტობები ბევრს დაგეხმარებიან. თქვენ შეგიძლიანთ, მინისტრს სთხოვოთ, რომ ხელმეორეთ დანიშნოს თავისი ჩინოვნიკი გამოსაძიებლათ იმისა, თუ როგორ ხმარობენ და ვის ურიგებენ ეკსრაორდინარის კაპიტალს. რა კარგი იქნება, მინისტრმა თავისის წინადადებით მოსპოს ამ გვარი ხასიათი ამ კაპიტალისა და უბძანოს, რომ იმაშიაც ჩვენ ანგარიში შეგვატყობინონ ხოლმე.

ერთის სიტყვით, იმაზედ არის დამოკიდებული, თუ როგორ მიგიღებთ მინისტრი და რას გათქმევინებთ.

კარგი იქნება, მუსხელოვიც უეჭველათ წამოვიდეს.

ახლა ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი.

ეს არის, ეხლა ზალიკო მოვიდა სოფლებიდგან, სადაც ნოტარიუსთან ერთი გავგზავნე, ხელი მოეწერათ ამ დოვერენოსტობაზედ. უიმისოდ არ შეიძლებოდა. ძალიან ძნელი იყო ეს საქმე, მაგრამ მადლობა ღმერთსა, როგორც იყო, გარიგდა. ლუკაშევსკის მაგიერათ რო სხვა ყოფილიყო, არ გააკეთებდა, მაგრამ ეს ძრიელ დავალებულია ჩემგან და უარი აღარ მითხრა.

შენი ძმა ვასო

დედამ და ბავშვებმა ბევრი გაკოცეს.

ქალაქში, რაც შეიძლება, ბლომათ მოაწერინეთ მსესხებლებს დოვერენოსტებზედ ხელი. მანდ უფრო ადვილია და ვინც მაშინ მოთავენი იყვნენ, იმათის დახმარებით მიიყვანონ ნოტარიუსთან და ხელი მოაწერინონ.

5

4 Июня 1896 г., г. Кутаисъ.

ძვირფასო ძმაო ვანო,

საჩქაროთა გწერ ამ წერილს ქუთაისიდგან. გუშინ კალისტრატს ჩიკვაიძეს შევხვდი სუდში და მითხრა, რომ მართალია, დოვერენოსტობებზედ მთხოვეო, მაგრამ სრულიად საჭირო არ არისო, რადგან თითონ მიდიან და პირადათ აუხსნიანო. ამას უფრო დიდი მნიშვნელობა ექნებაო. რასაკვირველია, ძიელ დიდძალი დოვერენოსტობაზედ ხელის მომწერელნი რო იყვნენ, მაგალითად, ათასამდინ, მაშინ სხვა არისო, მაგრამ ეს ყოვლად შეუძლებელია, რადგან ნოტარიუსები არ ჩადიან, რომ თითო თითო იარონო ხელის მომწერლებმაო, ამისათვის რომ დავთარშიაც ხელი უნდა მოაწერონო და ეს ძნელიაო. ვინ იცის, როდის დასრულდებაო; იმის აზრით, უფრო კარგი იქნება, მინისტრმა თუ აღძრა ეს საგანი. მარტო თქვენა სჩივით თუ სხვებიცაო. თქვენ უთხარით, რომ ძალიან ბევრნი არიან ამ აზრისანიო, ჩვენ შეგვეძლო, მოგვეგროვებინა ხმები ყველგან, მაგრამ არ მივეცით ჩვენ თავს ეს კადნიერებაო. აი, მაგალითად, ორის ადგილიდგან მოგვივიდა ცხინვალიდგან და სურამიდგან დოვერენოსტობები (თუ თან გექნებათ, უჩვენეთ), მაგრამ იმედი გვაქვს, უამისოთაც შეიწყნარებთ ჩვენ თხოვნებსათქო, რადგან ზედამხედველმა კომიტეტმა და მომეტებულმა მართველობის წევრებმა ისეთი უკანონო და ცუდი სამაგალითო საქციელი ჩაიდინეს, რომ თუ მათი გადაწყვეტილება ძალაში დარჩა და 50 კაცს შეუძლიანთ მოწვევა და დარღვევა ჩვეულებრივი კრების გადაწყვეტილების, ყოველთვის არეულობა მოხდება ჩვენ ბანკებშიათქო. მე აქ გაბმული ვარ საქმეებში და არ ვიცი, მოგისწრობთ თუ არა. მინდოდა გულით თქვენი საჩივრის წაკითხვა. ჩემის აზრით, აი, საბუთები მათი გადაწყვეტილების დარღვევისა: 1) Наблюдательный Комитетъ, как официально оставившій свою должность и вышедший в отставку, не имелъ права обратно вернуться, принимать участие въ решеніи – каких либо вопросовъ, в томъ числе и созыва чрезвычайного собранія. 2) Онъ, как заинтересованное лицо въ этой борьбе, не имелъ права проверять списки и доверенности и хулой опорочивать массу довѣренностей своих противниковъ. 3) должен был довести до сведенія членовъ путемъ публикаціи въ газетах о этих вопросах, которые подлежали разъяснѣнію и <разреш. созвать> общ. собрание. 4) Общее собр. не имело права кассировать лишь одинъ вопросъ о твоем выборе, оставивъ вам все другие вопросы, рѣшенные этимъ же составомъ общ. собр. 5) Председатель общ. собр. не имелъ права постановить и баллотировать въ той формѣ, въ каковой



ვასილ მაჩაბელი
პეტერბურგი, 1870-იანი წლები

онъ баллотировал „упросить“, а должен былъ поименно выбрать. 6) Чрезвычайное общее собраніе не имеет права кассировать постановление очередного собранія, въ особенности вопроса о выборахъ, так как если даже допускать нарушенія, то оно касалось пропорционально всѣхъ выборныхъ, между которыми, во всяк. случаѣ, у тебя было преимущественное право на большинство бѣлых шаровъ передъ [...стевым]. Словомъ, я бы многое хотелъ сказать, но к сожаленію время и обстоятельства не позволяютъ. Сердечный поклонъ всемъ.

Твой Васо

6

საყვარელო ძმაო ვანო.

ვერ წარმოიდგენ, რა რიგათ აღლვებულია ხალხი იმათ საზიზღარ საქციელზედ. ვისაც კი შევხვდი, ყველა იმას ამბობს, არას გზით არ უნდა შევარჩინოთ იმათ ეს ამბავიო.

გუშინ გორიდგან მე და სულხანოვს ერთათ მოგვიხდა მგზავრობა. ისიც იმ აზრისა არის, რომ შენ და კოლა ორბელიანი პეტერბურგში წახვიდეთ და მინისტრს აუხსნათ ყოველი იმათი უკანონო და საზიზღარი საქციელი და რომ ამ გვარ თქვენ ლაპარაკს მინისტრთან უფრო მეტი ძალა ჰქონდეს და გავლენა. უნდა, რაც შეიძლება სიჩქარით, შეადგინოთ რწმუნების ქაღალდი წევრთა დამფუძნებელის სახელით, რომ თქვენ ორთ ანუ სამთ თუ კიდევ სხვაც წამოვა, გირჩევენ თავის ვექილათ (уполномочѣным), რომ მინისტრს აუხსნათ ეს ამბავი და აგრეთვე ისიც, რომ იმათ სურთ, სამუდამოთ ბანკი თითონ ხელში ჩაიგდონ ეკსტრაორდინინარნის კაპიტალის შემწეობით და როგორც უნდათ, ისე ატრიალონ და დააკარგვინონ საზოგადო მნიშვნელობა ბანკსა, ერთის სიტყვით, ყოველი იმათი უკანონობა უნდა ჩაიწეროს მოკლეთ და შემდეგ ამ რწმუნების ქაღალდზეც, რომელიც საჩქარო რამდენიმე ეკზემპლიარათ გადიწერება, უნდა გაიგზავნ-გამოიგზავნოს ყველგან

ჩვენ მეთაურებთან და მეორე სეფია თაბახზედ ხელი მოაწერინონ ჩვენ თანამოზიარებთ. ამ გზით შეიძლება საჩქაროზედ ათას ხელის მომწერი ანუ ამაზედაც მეტი მოვაგროვოთ. დავამტკიცებინოთ, თუ შეიძლება, იმათი ხელი და ამ გვარათ ამ იარაღით რო მიხვალთ მინისტრთან, უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება. მხოლოდ რაც შეიძლება, მალე შეადგინეთ ეს ქაღალდი და რამდენიმე ეკზემპლიარათ ყოველ კუთხეში გაგზავნეთ, აგრეთვე კახეთშიაც. მხოლოდ გაფრთხილება კი უნდა, რომ იმათ არ ჩაუვარდეთ ხელში ეს ქაღალდი. გენაცვა, ვანო, ამ წერილის პასუხი მალე შემატყობინე.

დედა გავამხნევე და ბევრსა გკოცნის, აგრეთვე ჩემი შვილებიც. შენი ჭირიმე, ვანო, მაგრა დაიჭირე თავი და ყოჩაღათ იყავ. ღმერთი მოწყალეა, არას გზით არ შერჩებათ იმათ ის ღალატური და თვალთმაქცური საქციელი.

შემდეგში რო ამ საქმეს გავარიგებთ, მაშინ ნახე იმათი სეირი.

გუშინ კოლასაც გამოვუარეთ და ისიც ამ დღეებში აპირებს შენთან ჩამოსვლას.

ველი საჩქაროთ შენს პასუხს.

შენი ერთგული ვასო
23 ივნისი, 1896 წ.

P. S. მე პირველს კათათვეს ქუთაისში წავალ და იქიდგან ქალაქში ჩამოვალ.

ალექსანდრე ნათაძემ სიყვარულით მოგიკითხა და გთხოვა, რომ მარჯვეთ და ყოჩაღათ იყვე. კარგი იქნება, რომ მესამე ვექილათ მუსხელოვიც წაიყვანოთ პეტერბურგში. მე ვგონებ, დიდი მნიშვნელობა ექნება და ქაღალდშიაც თუ დათანხმდა (ტელეგრამით ჰკითხეთ და სთხოვეთ), ჩასწერეთ. ამასაც ეცადეთ, რომ იმათ ჯერჯერობით ვერ გაიგონ თქვენი პეტერბურგში წასვლა.

7

თამარაშენი. 23 ივლისს, 1896 წ.

ძვირფასო ძმაო ვანო.

შენი წერილი, ეს არი, ეხლა მომივიდა და ვეშურები პასუხს. ქუთაისში და თამარაშენში მოწერილი შენი ორი წიგნი მივიღე შესახებ ვექსილებისა და ქუთაისიდგანვე ჩაველ ქალაქში და ორივე ვექსილზედ ხელი მოვაწერე. რომ მცოდნებოდა, შენ მზარეულსაც ვნახავდი, რომ ის ფული შეეტანა თავის დროზედ. ამ დღეებში ნათაძე წავა ორი დღით ქალაქს და იმას დავაბარებ ნახოს მიხა და უთხრას, შეიტანოს. გუშინ წინ ტასოს წერილიც მომივიდა საჩხერედგან და ყველანი კარგათ არიან, ჯავრი იმათი ნურა გექნება რა. მწერდა, მალე გნახავთო და მე მაშინვე მივწერე, ყველანი – ტასო ბავშვებით და ბაბო ჩემთან გადმოსულიყვნენ და აქ გაეტარებინათ ზაფხული, რადგან ბავშვებისათვის ძალიან კარგი პირობებია თამარაშენში. იმედია, მალე გადმოვლენ. ერთის სიტყვით, აქაურებზედ ნუ შესწუხდები, ოღონდ მანდაური საქმეები გარიგდეს, ისე როგორც შენა მწერ, რომ ის შაიკა იქიდგან გაჰყარონ.

ყველანი კი იმ აზრისანი არიან, რომ მინისტრი უყურადღებოთ არ დასტოვებს იმათ უკანონო და საზიზღარ საქციელსაო. შაქრო მაღალოვზედ მწერ, ვნახეო და კარგათ მიმიღოო და ზოგიერთი რჩევაც მომცაო. მე ერთისა მეშინიან. პეტერბურგში ამ ჟამათ დათიკო სუმბათოვი არის, რომელთანაც შაქრო მეგობრულათ არის და ძიელ ნუ გადუშლი შენ გულსა და პლანებს, რომ არაფერი არ წარმოათქმევინოს დათიკომა. მე ამას საიდუმ-

ლოთა გწერ. შენ კარგათ უნდა იცოდე, რომ სუმბათოვი ჩვენი მტერია და ყოველ ღონისძიებას იხმარებს, საქმე ჩაგიფუშოთ და თავის სიძეს, გრუზინსკის დაეხმაროს. ჯაბადარი ვნახე ქალაქში და ისიც აპირებდა წამოსვლას, უნდა, ჩემის ანგარიშით, ისიც მანდ იყოს, თუ, რასაკვირველია, კახეთის გზა ჯერ არ გათავებულა. რატომ არ იწერები, მართლა შაქრომ აიღო კონცესია თუ არა? იქნება იმ გრუპას დარჩეს იმის კონცესია და მაშინ შეიძლება, თუ შაქროს არ აუღია, ისიც შეიყვანონ ამხანაგათ.

ახლა რაღას გეხვეწო, ვანო, ყოველი მანდაური, რასაკვირველია, შესახებ ჩვენი ბანკისა, ამბავი მალმალე შეგვატობინო, ესე იგი, როდესაც მინისტრსა ნახავთ და უფროს ჩინოვნიკებსა, რას გეტყვიან ან როგორ შეხედავენ იმათ საქციელს. ამ ამბავს, როგორც მანანას ზეცით მოვლინებულს, ისე მოველით.

რაც მოგეწერა დეპეშაზედ, ის ყველაფერი ჯაბადარმა მიამბო და დიდი იმედი მაქვს ვიტესი. კარგა გიქნია, რომ ბობრიშჩევი პუშკინი გინახავს, ჩემ მაგიერ სიყვარულით მოიკითხე და თუ საჭირო იყოს რაშიმე, ჩემ მაგიერათა სთხოვე, დაგეხმარებათ რჩევაში, ძალიან კაი ბიჭია.

ერთის სიტყვით, მალე მოველი შენ წერილს და ამბავს. დედამ და ბავშვებმა გაკოცეს. ნათაძემ მოგიკითხა. კოლა მომიკითხე და ჩემ მაგიერ გარდაეცი, რომ აი ეხლა გმართებს დატრიალება თქო, უფრო უმეტეს იმისა, როგორც ჩვენ ერთ დროს პეტერბურგში დავფრინავდითქო. ყოველი თავის მჭევრმეტყველური ნიჭი ეხლა უნდა გამოიჩინოს და იმათი სასაცილო არ გავხდეთ, აი, წაბრძანდნენ პეტერბურგში და რა გაარიგესო?

დღეს ჭორათ რაღაც გვიამბეს, ბანკში მომხდარა ამბავი, მაგრამ მანამდისინ ნამდვილათ არ შევიტყობ, არ მოგწერ.

შენი ერთგული ძმა ვასო

8

თბილისი. 1 აგვისტო, 1896 წ.

ძვირფასო ძმაო ვანო.

ეს არის ეხლა ილიკო ბახტაძემ საიდუმლო მითხრა, რომ კოლა ორბელიანს კაი ამბავი მოუწერიაო და ამასთან ისიც მითხრა, რომ ვიტეს კარგათ მიუღიხართ და ეგეც ძალიან ჰკიცხავს იმ შაიკის საქციელსო და სიხარულისაგან აღარა ვარ. უნდა გითხრა, რომ ეს საიდუმლო ამბავი მხოლოდ იოსელიანთ, ილიკომ და მე ვიცით, სხვა არავის ვეუბნებით.

ახლა თქვენ იცით, რომ როგორც ისარგებლებთ მინისტრის ამ გვარის თანაგრძნობით. შეიძლება ბანკის საქმესთან ერთათ, რომ გაზეთის საქმეც გაარიგოთ. იქნება, როგორმე ეცადო დროების გამოცემის ნება ხელახლათ მოგცენ, რადგან იმ საგანზედ, რა საგანზედაც დაგიხურეს, ხომ სუდმა გაგამართლა. მაშინ ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს და ისინი დამარხულები იქნებიან. ერთის სიტყვით, როგორც რუსები ამბობენ, надо воспользоваться моментомъ пропустить этот моментъ – Баста, ничего не подѣлаешь. მეორე ჩემი რჩევა ის არის, რომ თუ ღმერთმა ინება და მინისტრმა დაარღვია საგანგებო კრების გადაწყვეტილება, ისე უნდა მოხდეს ესა, რომ იმათ საბაბი არა ჰქონდეს საჩივრის მინისტრზედ. მაგალითად, თუ იმათ პასუხი არ მოსთხოვა სამინისტრომ ან პროტოკოლები, მაშინ იმათ შეუძლიანთ, სთქვან, რომ безъ нашего объясненія рѣшилъ дѣло, не выслушав другую сторону и т. д., словомъ, надо соблюсти и требуемые закономъ формальности. რა კარგი იქნება, რომ ჩვენი განზრახვა და ნატვრა ასრულდეს, ესე იგი დაარღვიონ უკანასკნელი კრების განაჩენი.

კოლამ თავის საქმე გაირიგოს და გაზეთიც მიიღოს „Закавказье“ და შენც დროების ნება რთვა მოქცეს, მაგრამ, ვაითუ, ეს ნატვრა ნატვრათ დარჩეს, რადგან მე ცოტა, როგორც იცი, პესიმისტი ვარ. მაგრამ ღმერთსა ვსთხოვ, მალე შეგისრულდეთ თქვენი სურვილი და ბედნიერათ დაბრუნებულიყვნეთ.

მე ეს ორი დღეა, ქალაქში ჩამოველ ჩემი ვალების გამო და ხვალ ქუთაისში მივდივარ. შენი მეორე წერილი ჯერ მე არ მიმიღია. ბანკში, როგორც მოგწერე, იმ ვექსილებზედ ხელი მოვაწერე, მაგრამ როგორც მითხრეს, ოცდა ხუთ ანუ ოცდა ექვს თუმნამდის დასჭირდება შეტანა. ათ ათი თუმანი თითო ვექსილის და ექვსი თვის სარგებელი ას ათი თუმნისა. და არ ვიცი, ეს ფულის შეტანა ვის მიანდე. მიხას უთქვამს, რომ მე თორმეტი თუმნის მეტი არ მიბძანა, შეიტანეო და არცა მაქვსო მეტიო და არ ვიცი, ვის მიანდე ეს საქმე. რატომ მე არ მომანდე? მაინცა და მაინც ვეცდები, ქუთაისიდგან ცხრა აგვისტომდინ დავბრუნდე და დაწვრილებით შევიტყობ. ერთი ვექსილის ვადა ცხრას არის და მეორე ამ თვის ოცდა ათსა. მაინც და მაინც ვეცდები, რომ ამ გზით უსიამოვნობა არა მივიღოთ რა და შენც მოიწერე დაწვრილებით შენი ამბავი, ცხინვალში გამოგზავნე წერილი. როგორც ამბობენ, სოლოვიევი – ბეჭდვის უფროსი ძალიან კარგი კაცი არისო და იქნება მანდ მაღალოვის შემწეობით ანუ ბობრიშჩევ-პუშკინისა და ან კიდევ სხვისა დაიჩარჩო და ორივე გაზეთი ერთი რუსულ ენაზედ და მეორე ქართულზედ (თუ „დროება“ იქნება, იმას რა სჯობია) გაირიგოთ.

ამ ცოტა ხანში მინგრელსკიც აპირებს მანდ მოსვლას და თუ წამოვიდა, შეგატყობინებ და ესეც დაგეხმარებათ.

ერთის სიტყვით, რაღა გითხრა, უჩემოთ თქვენ კარგათ იცით, როგორ მოიქცეთ და ის დრო, რა ხანსაც მანდ იქნებით, უნაყოფოთ არ დაჰკარგოთ.

კოლას, მარფა ისიდოროვნას, შაქროს გულითადი მოკითხვა გარდაეც. ბევრს გაკოცებ და შენ მშვიდობით და გახარებულ მოსვლას გულით ვინატრი.

შენი ვასო

9

ძვირფასო ძმაო ვანო.

რაც მე შენ უკანასკნელი წერილი მოგწერე, მას აქეთ დავრბივარ ამ სიცხეში აქა იქ საქმეების გამო და, აი, ეხლა კიდევ ქალაქიდგან გწერ ამ წიგნსა.

მე დღეს სოფელში მივდივარ და იმედია, შენი წერილი და ამბავი იქ დამხვდება, რადგან ეს მეთორმეტე დღეა, რაც სოფლიდგან წამოველ. აქ კი დიდი ამბებია. შეიტყობდი, შაქრო მაღალოვის გამოჯავრებით და ჯაბადარისა, ჭავჭავაძემ როგორ იეშმაკა და საგანგებო კრება თავად აზნაურობისა მოაწვევინა კახეთის რკინის გზის გამო. რადგან იმის სახელი არ იყო ჯაბადარის გრუპაში და მეორეს მხრივ შაქრო ცდილობდა, ებრძანებინა, არც იმას დავანებებ, არც იმასაო და ხელ ახლათ თავად აზნაურობას ათხოვნინა, თუმცა, ძალიან ცოტანი ყოფილან და ბევრს მათგანს ცენზიც არა ჰქონია, მაგრამ მაინც გადაუწყვეტიათ. ოჰ! რა კარგი იქნება, რომ მაგათ გამოაცალონ ხელიდგან. გარდა ამისა გუშინწინ გამგეობას მოსვლია სამინისტროდგან ქაღალდი: საჩქაროზედ გამოგზავნეთ ორივე კრების პროტოკოლების კოპიოებიო და აღარ იციან, რა ქნან. ლამის თავები დაჰკარგონ. ამბობენ, ჭავჭავაძე ისე დაბნეულია, ლაპარაკსაც ველარ ახერხებსო.

ოჰ! რა უცხო იქნება, რომ მარტო საგანგებო კრების გადაწყვეტილება გააუქმონ. მაშინ უყურე იმათ გაგიჟებას. ამ ჟამად მანდაური პოეტი ველიჩკო აქ იმყოფება და, რასაკ-

ვირველია, სულ ჭავჭავაძესთან არის, ცდილობს კაი ნადიმი გაუკეთოსო და ამ ამბების გამო რაღა ნადიმის ქეიფი აქო. ესეც შევიტყე, რომ ძიელა ცდილობენ მანდა. როგორც მითხრეს, ბარონ ნიკოლაისათვის უთხოვნიათ და იმასაც ვიღასათვისთვის მიუწერია. მაგრამ რას მისწერდა? ჩემის აზრით, იმას მისწერდა, რომ მეორე მხარესაც მოუსმინეთო. ისე აჩქარებულათ ნუ გადასწყვეტთო. თქვენ კი უნდა ეცადოთ, რაც შეიძლება, მალე დააბოლოებინოთ საქმე. მართა ისიდოროვნას მოუწერია, იქნება, ვანო წამოვიდესო, ჩემის აზრით, მინამდისინ ეს პროტოკოლები მანც არ მოვა და არ შეიტყობ, როგორა სწყვეტენ, შენი წამოსვლა უადგილო იქნება.

მერმე გაზეთზედ რომ მოგწერე, რას ფიქრობ? შენი ჭირიმე, ყოველისფერი დაწერილებით მომწერე. ხომ იცი, დღე და ღამე სულ მაგაზედა ვფიქრობ. შენი ერთი ვექსილის საქმეც მოეწყო. მეორე ვექსილს მხოლოდ ამ თვის 30-სა აქვს ვადა, თუმცა, მე რაცა ხანია, ხელი მოვაწერე იმ ვექსილზედაც და თუ მიხამ ვერ იშოვნა, მე, როგორც იქნება, მოვაწყობ, რომ არაფერი უსიამოვნობა არა ნახორა. ამის ჯავრი ნუ გაქვს. ოღონდ მანდაური ამბით გამახარე.

ამ ცოტა ხანებში ტასოს თავის შვილებით მოველი თამარაშენში, როგორც თითონ მპირდებოდა და ამითი ჯავრიც ნურა გექნებარა. ყველანი მომიკითხე, აგრეთვე შაქროც. ბევრს გაკოცებ და შენ გამარჯვებით მშვიდობით მოსვლას ღმერთსა ვსთხოვ.

ველი მოუთმენლათ შენ დაწვრილებით წერილს ცხინვალში.

შენი ვასო

10 აგვისტოს, 1896 წ. თბილისი

P. S. ჰო, ის კი დამავიწყდა, კახეთის გზის თაობაზედ შედგენილმა კომისიამ (რომელიც საგანგებო კრებაში ამოარჩიეს, და მეთაურათ განგებ ნიკო ამილახვარი დააყენეს, ჭავჭავაძეს იმისთვის ვითომ დაუთმია. მიუწერია კოლიასთვის, რომელიც ეხლა ბორჯომშია, რომ მალე შემოგვიარეო, რომ შეუდგეთ საჩქაროზედ საქმესაო. იმას უპასუხია, მე ენკენისთვემდინ ოტპუსკში ვარო და მაგ საქმესაც თანა არ ვუგრძნობო, რადგან ჩვენ უგარანტიოთ არავინ მოგვცემსო. და თუ ეშურებით, შეგიძლიანთ, ჩემი მოადგილე, თ-ა ბებუთოვი მიიწვიოთო. როგორც მითხრეს კოწიას გულს აკლია, თქვენ რომ არ გინახავთ პეტერბურგში.

10

ძვირფასო ძმაო ვანო.

აი, გიგზავნი ას თუმნიან ვექსილის ქაღალდს ჩემის ხელმოწერით და თხოვნას ბანკისათვის. ხვალ საღამოს ვაპირებ პეტერბურგში წასვლას, თუ ქუთაისიდგან საგზაო ფული მომივიდა. თუმცა, ერთით, ძიელ მემძიმება აქაურობის უპატრონოთ დატოვება, მაგრამ მეორეს მხრივ, იქნება, როგორმე ცოტა მაინც წავეხმარო ჩვენ საქმეებს. გეთაყვა, ვანო, დარიკოს შეატყობინე, თუ ჩამოსვლა უნდა ეხლა ჩამოვიდეს, დედა მარტოკაა და რაც უნდა თავის საქმესაც გააკეთებს და დედასაც ასიამოვნებს. სხვაფრივ, იყავ მშვიდობით. ტასო მომიკითხე. შენი შვილები დამიკოცნე. თუ საჭირო იყოს, რამე მომწერე მინგრელსკის სახელზედ Моховая, домъ №16, ჩემდა გადმოსაცემად და მერმე კი ჩემ ადრესსაც შეგატყობინებ.

შენი ვასო

11 თებერვალს, 1897 წ.

11

26 თებერვალს, 1897 წ. ს. პეტერბურგი.

ძვირფასო ძმაო ვანო.

შენი წერილი მომივიდა დღეს და დღესვე გიორგის ტელეგრამაც, რომელიც მინგრელსკის სახელობაზედ იყო გამოგზავნილი. ამ ტელეგრამაზედ მოკლე პასუხი გადმოგეც დეპეშით და ეხლა კი წერილით ვრცლად. გწერ: მე, ეს მეექვსე დღეა, რაც პეტერბურგში ჩამოველ და გუშინდლამდინ სულ უქმეები იყო, რადგან შენ თითონ იცი, რუსეთში ყველიერს რა მნიშვნელობა აქვს. რასაკვირველია, მეორე დღესვე კოლაც და გილოცა ვნახე და გამოვკითხე ჩვენ საქმეებზედ. გაზეთის საქმე, ვიდრემდე მანდედგან ლაკელის ქაღალდი მოვიდოდა, ძალიან თურმე კარგათ იყო და სოლოვიევიც დაპირებული ყოფილა, ნებართვა მალე მოეცათ, მაგრამ შემდეგ კი, როდესაც იმის ქაღალდი მიუღია, სულ გამოცვლილა. გილოსთვისაც სხვა თვალით დაუწყვია ცქერა და ბოლოს უთქვამს, რომ მინისტრს არა სურს, ამ წელს გაზეთის ნება მისცეს ვისმეო. არ ვიცით, მაგ შეჩვენებულებს ლაკელისათვის ისეთი რა ქაღალდი მიუწერინებიათ, რომ ამ გვარათ შესცვალეს ჩვენზედ სოლოვიევი? მაინცა და მაინც ვეცდები, გამოვარკვიო ეს საქმე და იქნება, მინგრელსკის და პროფესორ თარხანოვის და მანასეინის დახმარებით მინისტრთან რამე მოვაგვაროთ. ხვალ მიმყამს კოლა მინგრელსკისთან და თარხანოვთან ამ საქმეზედ მოსალაპარაკებლათ.

რაც შეეხება ბანკის საქმეს. როგორც იცი, ბანკის გამგეობის პასუხი აქ იანვარში მოსვლიათ. ორი კვირა ჯერ კრედიტნი კანცელიარიის ჩინოვნიკებს უკითხავთ, კოლას სიტყვით და არ შეიძლებოდა იმის გასინჯვაო. მერმე თითონ კოლა გამხდარა ავათ და ორი კვირა წოლილა ქვეშაგებში. შემდეგ დაუწყვია კითხვა და შესწავლა საქმის. და როგორც ამბობს, ისეთი წვრილათ არის დაბეჭდილი, რომ ლუპით უნდა წაიკითხოს კაცმაო და ამაში დიდი დრო იკარგებაო. ამ კვირას გაათავებს თავის პასუხს და როგორც მპირდება, საორშაფათოთ მისცემს, ესე იგი სამს მარტსა. იქაც დაპირებულნი არიან, რომ ორი კვირის მეტს შემდეგ პასუხის შეტანისა აღარ გააგრძელებენო. მე სწორე გითხრა, თუმცა გიორგის ტელეგრამა მომივიდა, შემეტყო კრედიტნი კანცელიარიაში საქმის გარმოება, როგორც დამფუძნებელი წევრი, მომჩივანი, მაგრამ კოლას მიზეზის გამო ვერ მიველ, რადგან ამგვარი ჩემი საქციელი სულ გადარევდა ამას და, შეიძლებოდა, სულ თავი დაენებებინა, ისეა აღელვებული ამ საქმეზედ. ისევ ისე დაწყნარებით და გულდამშვიდებით ვეკიდები და ვაშურებინებ. მე ძალიან კარგათ მესმის საზოგადოთ თქვენი საერთო და განსაკუთრებით შენი მდგომარეობა ამ საწვალებელი საქმის გამო, მაგრამ რას იზავ, ცოტა კიდევ უნდა მოითმინოთ. ნუ თუ მათლა, როგორც შენა სწერ კოლას და გიორგი ტელეგრამით მე, კრება მარტში უნდა იყოს? უეჭველათ გვაცნობეთ, რა რიცხვში უნდა მოხდეს? კოლამ არ იცოდა არუთინოვის საქმის გადაწყვეტა და მე რომ ვუთხარ, ძალიან გაეხარდა და ტელეგრამით რეზოლიუცია მოითხოვა. მე მაშინვე ვუთხარ გიორგის, რომ კარგი იქნება, რეზოლიუცია კოლას გაუგზავნოთ მეთქი და იმედიცა მქონდა, რომ გამოუგზავნიდნენ და არ ვიცი, რატომ დავიწყებია?

ერთის სიტყვით, რაც კი ჩვენგან შეიძლება, ვეცდები, ამ ორ საქმეს კაი მიართულება და დასასრული მოჰყვეს და ვნახოთ, ღმერთი რას ინებებს.

ყველანი, ვისაც ვახსოვდე, დამიკოცნე. დღესვე მინგრელსკიმ გადმომცა თამაროს, გიორგის, ნიკოს და არჩილის წერილები და ვერ წარმოიდგენ, რა რიგათ მანუგეშა ამ ცივ

და შორ ქვეყანაში. გიგო დიასამიძეს გარდაეც, რომ ამ დღეებში შეუტყობ და მოვწერ იმ საგანზედ, რომელზედაც მთხოვა.

ჩემი ადრესი: Кирпичный переулокъ, дом №5, кв. №17.

გეთაყვა, ვანო, მანდაური ამბავი მაცნობე ხოლმე.

შენი ვასო

P. S. შენი ჭირიმე, ვანო, ქალაქში რო იყვე, ჩვენები ხშირათ დაათვალიერე. ბავშვების ჯავრი ძიელა მაქვს.

12

ძვირფასო ძმაო ვანო.

ძალიან ვწუხვარ რომ აქამდისინ შენი წერილის პასუხი დაგიგვიანე და დღეს შენმა მეორე წერილმაც მოუსწრო იმ პასუხს. ამის მიზეზი ის იყო, რომ კოლა ორბელიანი, რომელსაც მართლა და მეთავდგომეთ გავუჩნდი, დღეს დღეზედ მპირდებოდა, აი, ამ დღეს გავათავებ, აი, ამ დღესაო და მერმე ერთათ გადავათვალიეროთო და მეც ვუცდიდი. მინდოდა ამ საგანზედ მომეწერა. ეხლა კი მართალია, ჯერ არ მიუცია თავისი ქაღალდი, მაგრამ ნამდვილათ ვიცი, რომ გაათავა და ათეთრებს და ამასთან აბეჭდინებს. აი, გიგზავნი იმის ბარათს, რომელშიაც მთხოვს, ხუთშაფათს ერთათ გადავათვალიეროთო, თუმცა, დღეისთვის ჰქონდა დაპირებული. უეჭველია, თავათ პარასკევს, თორემ შაფათს მისვლია და მისცემს. თუმცა, დაგვიანდა, მაგრამ თუ ორი იქნება და დაარღვიეს, სულ ცხვირიდან ვადენთ ამდენ ჩვენს შეწუხებას და [...] კოლაზედ იწერები: უნდა გითხრა, საშინელი კაცი ყოფილა და ამასთან ნერვებით ავათმყოფი. მართალია, ძიელ ნიჭიერია, მაგრამ ყოველთვის ლალაობა უნდა და ისეთი ლალა, რომ მოთმინებიდგან არ გამოიყვანოს. მე კინაღამ ჩხუბი მომივიდა ამას წინათ იმაზედ, რომ, როდესაც ის ამბობდა, რომ ძალიან ძნელი იყო ამ პასუხის დაწერაო, მე შევნიშნე, ნეტავი, ჩემი ძმა დაგებარებინა თავადაპირველათა მეთქი. ამაზედ იმან მითხრა, რომ უფრო აირევოდა საქმეო და არც საკრედიტო კანცელიარიაში გააშინჯვინებდნენ იმას საქმესაო. რაღა ბევრი გაგიგრძელო, მე აღარ აუხირდი, რადგან შევატყე, რომ ამ საქმის გამო ძიელ აღელვებულია. ამის მიზეზი ის არის, რომ გამგეობის პასუხში, როგორც ის ამბობს, მე კი არ წამიკითხავს, ბევრი ლანძღვა და უკადრისი მოხსენებაა შესახებ კოლასი და ეს ძიელ აღელვებს და რასაკვირველია, რაკი აღელვებულია, რაღას დასწერს აზრიანს. ოხ, ნეტავი, ვანო თავდაპირველათვე, [როგორც] მე გწერდით პეტერბურგში, მარტო იურიდიული საბუთებით შეგედგინათ საჩივარი და არ გამოსდგომოდით იმ Объяснительная Записка-ს, რომელმაც ჯერ გამგეობა იმდენ ხანს გააჩერა, რომ პასუხის დაწერას ოთხ თვეს მოუნდნენ და გამოიწვია ისეთივე ლანძღვა-გინება და ეხლა კიდევ კოლას პასუხი, აქამდინ სამჯერ იქნებოდა ეს საქმე გადაწყვეტილი. როგორ შეიძლება სამინისტროში მაგ გვარი ქაღალდების მიცემა? Развѣ они интересуются личными препирательствами и отделываніем другъ друга, как бы талантливо оно не было вырезано. შენა მწერ, რომ იქნება, კოლას შეამოკლებინო პასუხიო. ეს ყოვლად შეუძლებელია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მე დაწვრილებით საქმის გარემოება არ ვიცი ქაღალდებით და მეორე იმისათვის, რომ კი ვარ ისეა გაბრაზებული, რომ ჩემსა ნუ მოვიდეს. უნდა იყოს სხვა, თხოვნაზედ გაწიწმატდეს და, შეიძლება, დახიოს კიდეც თავის ქაღალდი. არა, ისევ რაკი დაიწყო და დაჰპირდა საკრედიტო კანცელარიას, დეე, მისცეს. და მაშინ

ყოველ ღონის ძიებას ვიხმარებთ, დააშურონ საქმის დაბოლოება. კოლას ქაღალდი, მგონი, ოც თაბახამდე შედგება.

ახლა იმასა მწერ, რომ კოპიო, იქნება, გამოიტანოთ გამგეობის პასუხისა იმ საბუთით, რომ რაკი შენზედ იმდენი სიცრუეა, სუდითაც დასაჯო. ამის გახსენება ეხლა საკრედიტო კანცელიარიაში, სადაც უფრო ისე უცქერიან საქმეს, რომ ვინც დაჩაგრულია, სუდით აღადგინოს თავის უფლებაო, ყოვლად შეუძლებელია. ადგებიან ისინიც და სუდზეც მიგვითითებენ. დეე, ჯერ დაარღვიონ საგანგებო კრების გადაწყვეტილება და მერმე გამოვიტანოთ კოპიო. გაზეთის ამბავს ჯერჯერობით ვერას მოგწერ სანუგეშოს. ამ დღეებში მინგრელსკი ნახავს ჩერემიკინს და პირადათ სთხოვს და რასაც შევიტყობ, გაცნობებ. რაც შეეხება შენი „სიმისას“, ვეცდები. აგრეთვე, როდესაც კოლა მისცემს ქაღალდს, შეგატყობინებ წერილით, რადგან კოლას არ უნდა, რომ ტელეგრამით ეს გარემოება გამომჟღავნდეს. არც შენ უნდა უთხრა ვისმეს, რომ კოლამ პასუხი შეიტანაო. ჩემი წამოსვლა, ჯერ არ ვიცი, როდის მოხდება. აქ ისე ადვილათ და ჩქარა არა თავდება საქმეები, როგორც კაცსა ჰგონია. მეორეს მხრივ, სამეგრელოში თურმე ძალიან გაჭირვებული მდგომარეობაა და ფულს არ გვიგზავნიან არც მე და არც მინგრელსკის და ძიელ გაჭირვებაში ვართ. არ ვიცი, როგორ დაბოლოვდება ჩვენი საქმეები. მე ვგონებ, საღდგომოთ აქ მომიხდება დარჩენა.

ძალიან გამაკვირვა შენმა უკანასკნელმა წერილმა. პირველ წერილში იწერებოდი, რომ ხვალ სოფელში მივდივარ და აღდგომამდინ, იქნება, ვერ ჩამოვიდეო და ამ წერილს კი ქალაქიდამ მწერ ოთხი დღის შემდეგ იმ წერილის გამოგზავნისა. გეთაყვა, ვანო, როდესაც ქალაქს იყო, ჩემები დაათვალიერე ხოლმე.

აქ მოვიდნენ გუნცაძე და ახვლედიანი და ერთი სასიამოვნო ამბავი მოიტანეს. ვითომ ველიჩკოსა და ჭავჭავაძეს შუა ის მეგობრული კავშირი აღარ არის, წინათ რო იყოვო. და ველიჩკომ ბახტაძეს მიუგზავნა კაცი, რომ თანამშრომლობა იკისროს იმის გაზეთში. თუ ეს მართალია, ძალიან კარგი იქნება, რომ ვიდრემდე ჩვენი გაზეთის საქმე გარიგდება, რომელიც, ჩემის აზრით, სათუოა (ისე წაუხდენიათ ეს საქმე), ბახტაძემ იკისროს ამ შემთხვევით და აგრეთვე გიგო დიასამიძემ, თუნდა შენც და, იქნება, ველიჩკო შემდეგში ხელში ჩაიგდოთ. Всегда надо пользоваться моментомъ, пропустишь, бѣда, не веришь в последствіи. Иногда для общей цѣли надо погнертвовать... своимъ самолюбіемъ. ამისთვის, თუ რასაცა გწერ, მართალია, ურჩიეთ ილიკოს, დაუახლოვდეს ველიჩკოსა. აქაც შეიძლება, ვუშოვნოთ გაზეთი, რომ რასაც მანდ არ დაუბეჭდიან, აქ დაბეჭდონ და ფული მისცენ ხოლმე.

ახლა გთხოვ, მანდაური ამბები მომწერო. გიორგი და ყველა ჩვენები სიყვარულით მომიკითხე.

ჰო, კიდევ რა უნდა მეთქვა. თუნდა კიდეც რომ დაარღვიონ კრების გადაწყვეტილება, ვანო, შენ ბანკში, ჩემის აზრით, დიდხანს არ გედგომინება, ამისათვის ეხლავე რო შეუდგე ადგილის შოვნას და სარაჯოვს როგორმე ან შენ ან კიდევ დაახლოებული პირით რომ მოელაპარაკო, ურიგო არ იქნება. შენი ჭირიმე, ვანო, ეს რჩევა მეგობრულათ მიიღე და ნუ გეგონება, რომ მე იმედი არა მქონდეს ჩვენი საქმისა საკრედიტო კანცელიარიაში. მე მხოლოდ იმისი მეშინიან, რომ მოსვენებას არ მოგცემენ, ისე გაგაწვალებენ. მომწერე გუბერნიის მარშალზედ რას ფიქრობენ, ვინ უნდათ? აქ მოიტანეს ამბავი, რომ ნიკო ჭავჭავაძის დასაფლავებაზედ კოწია არ დაესწროო და ამ გარემოებამ ძიელ აღელვა საზოგადოობაო. სწორე გითხრა, ეს მეც მეწყინა. რაც უნდა უკმაყოფილობა ჰქონოდათ, მაინც

უნდა დასწრებოდა უკანასკნელ ვალის გადახდაზედ. უეჭველათ გამოსცვლიანო, ამბობენ. მართალია ეს უკმაყოფილობა თუ არა?

შენი ვასო
სამშაფათი, 1897 წ. 25 მარტს
ს. პეტერბურგი, Кирпичный переулокъ №5

P. S. კოლა გადმოვიდა ჩემ ქუჩაზედ, მხოლოდ იმის სახლის ნომერი არის 8.

13

ძვირფასო ძმაო ვანო.

მომიტევე, რომ აქამდისინ შენ და ტასოს პასუხი ვერ მოგწერეთ. ამის მიზეზი ის იყო, რომ კოლა ორბელიანი ცალკე ავათმყოფობის მიზეზით და ცალკე რაღაც ნერვების ტკივილებით დღევანდლამდინ სულ მათათბირებდა, აი დღეს, აი ხვალ გავათავებო და მეც მანამდისინ ნამდვილათ არ მეცოდინებოდა, არ მინდოდა მოწერა და გულწრფელათ უნდა გითხრა, ისეთი შეწუხებული ვიყავ ამის გამო, რომ გულიც არა მქონდა მოწერისა. დღეს კი ნამდვილათ მისცა შიპოვსა, და აი, გატყობინებ. იქაც დაპირებულნი არიან долго не задержитъ-ო. თითონ პეტროვმა მითხრა ეს სიტყვები. პეტროვი არის შიშკინის ნაცვლათ, რადგან ის, ჩვენდა სამწუხაროთ, სხვაგან გადიყვანეს. ეს პეტროვი, როგორც შევიტყე, თურმე იმ აზრის მომხრეა, რომ სუდმა უნდა განიხილოს ამგვარი საჩივრებიო. და ჩვენ მალეშევსკის და შიპოვის იმედი გვაქვს და უფრო ბობოლა ვიტესი, თუ, რასაკვირველია, კოლა დაფაცურდა. მე ამას იმიტომა გწერ, რომ კაცი ყოველ შემთხვევისათვის მომზადებული უნდა იყოს და ძალიან კარგს იზამ, როგორც წინა წერილში მოგწერე, სარაჯოვს მოელაპარაკე და ყოველ შემთხვევისათვის სხვა გზებიც დავიმზადოთ. გაზეთის საქმეზედ ჯერ ვერას მოგწერ, რადგან მინისტრს უთქვამს, წრეულობით ახალ გაზეთს არავის მივცემთო და ვნახოთ, კიდევ რა გამოვა.

ძალიან მეწუხება, რომ ამ გვარ სამწუხარო წერილსა გწერ, მაგრამ მწარე მართლის თქმა სჯობია მლიქვნელობით წარმოთქმულ ტკბილათ ტყუილსა. ტასო სიყვარულით მომიკითხე და მიულოცე ქრისტე აღდეგა. ღმერთმა ინებოს, რომ ამ დღესასწაულების მოლოცვას ზედ მოჰყვეს ბანკში გამარჯვების მოლოცვაც. შენი პაწიები დამიკოცნე. ძალიან მეტანჯება გული, რომ თითქმის ტყუილათ გამომიწერა მინგრელსკიმ, რადგან არა გამოდის რა. თითონ არა ცდილობს, სულ მპირდება და არაფერს ასრულებს და მე რა უნდა გავუკეთო, თუ თითონ არავისა სთხოვს თავის საქმეზედ.

ძალიან ჭანდრაკულათ არის ჩემი საქმე და არ ვიცი, რა ვუყო. მანდაც ისე უპატრონოდ დავყარე ჩემი შვილები, სოფელშიაც არავინ არის გულშემატკივარი მეთვალყურე, თუმცა კი, ხშირათა ვწერ, რა გააკეთონ, მაგრამ არ ვიცი, კეთდება რამე თუ არა?

მაინც და მაინც კაცმა გული არ უნდა გაიტეხოს და რაც შეიძლოს, ებრძოლოს გარს შემოხვეულ გარემოებას.

აქ მოიტანეს ამბავი, რომ ილია ჭავჭავაძე ძალიან ავათ არისო და მართალია თუ არა ეს ამბავი, არ ვიცით. ნუ დაიზარებ, ჩემო ვანო, მანდაურ ამბების მოწერას და თუ დრო გქონდეს, ჩემი შვილები დაათვალიერე ხოლმე. ახლა ვისურვებ შენ გამარჯვებას და გულით დამშვიდებას.

შენი ერთგული ძმა ვასო
10 აპრილს, 1897 წ., ს. პეტერბურგი

P. S. ტასოს ბოდიში მომთხოვე, რომ ცალკე წერილს ვერა ვწერ. ძიელ დაკავებული ვარ ცალკე ჩემი საქმეების გამო და ცალკე იმდენა მონდობილობისა. დღე არ გავა, რომ ზოგმა რა მთხოვონ, შეიტყეო, დამიწერეო და სხ. სულ ამაზე მიდის ჩემი ძვირფასი დრო. ამ წერილთან ერთ დროს გიორგისაცა ვწერ წერილს.

ეს წერილი მზათა მქონდა, ის იყო, უნდა გამომეგზავნა, რომ კოლას ბარათიც მომივიდა და, აი, გიგზავნი.

14

ჩემო ძვირფასო ძმაო ვანო.

წუხელის შენი წერილი მომივიდა და ვეშურები პასუხის მოცემას. ჯერ ერთი ესა, რომ ეგრე უიმედობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ბანკის საქმეზედ. როგორც წინა წერილში გწერდი, კოლამ დიდ ხუთშაბათს შეიტანა თავის პასუხი და დაჰპირდნენ ოცდახუთ ამ თვისთვის გადაწყვეტას, მაშასადამე, ჯერ კაცმა არ უნდა დაჰკარგოს იმედი. თუ შენგან ადგილის ძებნაზედ გწერდი, ეს საქციელი ჩემ ხასიათს მიაწერე, რადგან მე წინდაწინ შეჩვეული ვარ თავდარიგის დაჭერას. ვინ იცის იმ მამა-ძ-ბმა, რომ სთქვან, სულით ეძიეთო, ხომ უნდა სხვა გზა მოვნახოთ. და თუ ეს სთქვეს, რომელიც ღმერთმა ნუ ქნას, ჩვენი ბრალი იქნება, რადგან, თავდაპირველათვე, უფრო პირადობას მოვანდომეთ ის ქაღალდები, ვიდრე იურიდიულ მხარეს და ამით აიწეწ-დაიწეწა ეს საქმე. მაშინვე რომ მხოლოდ ის საგანი გვქონოდა სახეში, რომ საგანგებო კრებას არავითარი, არც იურიდიული, არც ზნეობრივი უფლება არ ჰქონდა, მოეშალა ჩვეულებრივი კრების არჩევნები. მხოლოდ ეს საგანი კარგად გამოგვერკვია, რასაკვირველია, აქამდისინ ათჯერ იქნებოდა გადაწყვეტილი. მაინცა და მაინც ყოველ ღონისძიებას ვიხმარებთ, რომ ეს საქმე ამ თვის ბოლომდინ მაინც გადასწყვიტონ და კრებას მოესწროს. კოლა იმედეულობს ძიელ და ჰგონია, რომ კრებისათვის, ესე იგი ოც მაისისათვის ჩვენები მოემზადებიან და ალბათ ჩამოვლენო, რადგან ამაზედ ჩვენ გადაწყვეტილება გვაქვსო. არ ვიცი მე ეს გადაწყვეტილება და, რასაკვირველია, კარგი იქნება, რომ ჩვენები ბლომათ დაესწრნენ, მხოლოდ თუ გაჭირვებულ მდგომარეობამ არ დაგვიშალა. ისიც არ ვიცი, ემზადებით თუ არა?

მე უსიკვდილოთ თავათ პირველ მაისს, თორემ ორს ანუ სამს მაინც გამოვალ აქედგან, რაც უნდა მომივიდეს. მეც უმთავრესათ ეს საქმე მაჩერებს, რა პირით უნდა გავიდეთ, როდესაც აქამდისინ ვერ გადავაწყვეტინეთ. მინგრელსკის საქმეებიც, როგორცა გწერდი, ისე რიგად ვერ მიდის, ჩემი აქ ყოფნა ტყუილია. ხარჯის და შეწუხების მეტი არა არისრა.

ჩემი და მინგრელსკის ვექსილის თაობაზედ უკვე ყველა კომბინაცია, რაც შეიძლებოდა, მოვაგვარე. შენი და ჩემი ვექსილის ვადამდინ უსიკვდილოთ მოვალ და მაშინ გავაკეთოთ.

ხუთშაფათს სოლოვიოვთან მე თითონ ვაპირებ მისვლას და თხოვნას შენს „სიმზედ“ და რასაც მეტყვის, მოგწერ. გილო ვერა ბედავს თხოვნას. იქით კვირაში კრედიტნი კანცელიარიაშიც ვივლი და შაქრო მაღალოვსაც ვთხოვ დაგვეხმაროს. იმათ ძალიან ბევრი ნაცნობობა ჰყავთ აქა და გაიძვერა კაცები, როგორც, მაგალითად, ვანო სუმბათოვი, ივანე ნაკაშიძე. ქალებიც ჰყავთ და მე ვგონებ, რომ ამათ მეოხებით ისინი აქამდისინ ბევრს ცდილობდნენ და ჩვენი კაცი კი იშვიათად გამოდიოდა თავის ოთახებიდგან. არ ვიცი, როგორ მოანდომა ამოდენა დრო თავის პასუხს და ყოველ დღე გვატყუებდა, აი, დღეს გავათავებ და მივცემ, აი ხვალაო.



ანასტასია (ტასო) ბაგრატიონი-დავითიშვილი-მაჩაბელი
თბილისი, 1890-იანი წლები
ფოტო: ალექსანდრე როინაშვილი

Изъ этого я заключилъ, что онъ недостаточно обнялъ содержаніе той бумаги, против которой он писалъ. ახლა, რაღას მიუმატებთ.

ეხლა იმას გთხოვ, ვანო, რომ მაგრათ და ყოჩაღათ იყო. თუ ღმერთმა მომხედა და ერთი საქმე გავარიგე, უეჭველათ შენ გაგრევ იმ საქმეში და ღმერთი მოწყალეა, კარგათ იქნები.

ტასო და თქვენები სიყვარულით მომიკითხე, ბავშვები დამიკოცნე.

შენი ერთგული ძმა ვასო
14 აპრილს, 1897 წ., ს. პეტერბურგი

ანასტასია (ტასო) ბაგრატიონი-დავითიშვილი-მაჩაბელი

1

ვანოჯან, შენი წერილი გუშინ მივიღე, მადლობა ღმერთსა, კარქა ხარ და არაფერი არ წახდა შენი ჩაუსვლელობით. მაინც მიშო შურიანია, უნდოდა, რომ ჩვენ ერთათ არ ვყოფილიყავით და ჩემ გასაჯავრებლათ მიბარებდნენო. გენაცვა, ვანო, ჩემი თხოვნა სულ ის არის, რომ რა კი აგრე არიან ბანკში, რომ სულ უნდა როგორმე გაგაჯავრონ, შენ თავი შეიკავე, რომ გენაცვალე, ვანო. რომ იციან შენი ხასიათი, იმიტომ შვრებიან მაგ საქმეს, რომ გაგაცხარონ და მაშინდელისავით სურპრიზი მიართვა და დაანებო ბანკს თავი. ვანოჯან, ეხლა შენ რომ ეგ საქმე ჩაიდინო, ჯერ ეს ერთი, რომ შენ საქმესაც წაიხდენ და საზოგადო საქმესაც. ხომ იცი, რანაირი მუშაკი არიან, მანდ ვინც მსახურებენ. ნამცეცი სვინდისი არა აქვთ. ამაზე რაღა დარიგება გინდა, შენ ჩემზე კარგად გესმის, მხოლოდ თავი დაიჭირე, რომ არ გაცხარდე, ჩემო სიცოცხლე.

ახლა ჩვენი ამბავი მოგწერო, მე და ნიკო მარტო ვართ. გიორგი ტკოცას არის, დათა – გორს. მე პურს ვაკეთებინებ, ამ ორ სამ დღეს უნდა გამომეგზავნა, და ახლა არ ვიცი, რა ვქნა. შეშა სულ ჩაიტანეს გომში, ხერხენ და 20-სთვის გვინდოდა, გამომეგზავნა. მეშინიან, რომ იქ არ მოიპარონ, აგრე დიდხანს რომ დარჩეს გომში. მეც ველი, რომ კაკალი დააბერტყონ, რომ დავანტვრიო და წამოვიღო.

ახლა ველი შენ წერილს, თუ ბაქოს მიდიხარ, მე როდისთვის ჩამოვიდე. როგორც დაბრუნდები იქიდან, მომწერე და მეც ჩამოვალ. ნიკუშას რომ კითხამენ შენზე, სად არისო, ამბობს ხოლმე შორს, შორს და როცა უნდა რომ აჩვენოს, რომ შორს ხარ გააგრძელებს ხოლმე სიტყვას და ისრეთი სასაცილოა, რომ რა. ხშირათ გიგონებს და ოთახებში დარბის და გეძებს ხოლმე „ანო და ანო“. მალე მომწერე წერილი, როდის გამოვგზავნოთ შეშა, უნდა კი დააჩქარო, თორემ სულ მოიპარამენ; თუკი აგრე იყო შენი საქმე, რატომ წინათ არ შემატყობინე, რომ ისევ ტყეში ყოფილიყო შეშა. თუ ბაქოს მიდიხარ, купи фисташки, по крайнѣй мѣрѣ 1/2 пуда и икру также привези. გაკოცებ ბევრს მე და ნიკუშა. ველი შენ წერილს უთუოთ ამ ორ დღეში.

შენი ტასო
18 ენკენისთვე, [1893 წელი]

2

საჩხერე. 22 ივლისი, 96 წელსა.

ჩემო ძვირფასო ვანო. მოუთმენლათ მოველოდი შენ წერილს. მადლობა ღმერთს, კარგათ იმგზავრე, ღმერთმა ნუ ქნას რომ ცუდი ამბით დაბრუნდეთ. საშინელი სირცხვილი იქნება. ყველა ელის შენ დაბრუნებას კარგი ამბით. ისინი კი ამბობენ, რომ ვერაფერს ვერ გაარიგებსო. ჯაბადარისათვის პირობა გაუუქმებია იმ ინჟინერ მიხაილოვსკის და 28 ამ თვეს საგანგებო კრება დაუნიშნია ბებუთოვს, ვითომ ამ კრებაში სხვები უნდა ამოირჩიონ. გიორგი არის აქა და და იმან მოგვიტანა ეს ამბავი. საშინლათ შემაწუხა ამ ამბავმა, ისრე რომ, თელი ღამე არ დამიძინია. რა უბედურობა არის, გაკეთებულ საქმეს რომ ცხვირ-პირიდან გვაცლიან ხოლმე. ვნახოთ 28 კრება რას მოგვიტანს. თითონ ჯაბადარი მოგწერდათ უფრო დაწვრილებით. გიორგიმ კიდევ მეორე ამბავი მოგვიტანა, რომ აცენიკებს ჩხუბი მოსვლიათ, დივიდენდი ცოტა არისო და „подали въ оставку“ გარდა ჩერქეზიშვილისა. ესეც მანიოვრი ხომ არ არის იმათგან. ახლა ჩვენი ამბავი მოგწერო. ჩვენი მდგმური ფელიცინი ხვალ მიდის, კიდევ გადაიყვანეს? ისრე რომ, ჩვენი ოთახები ცარიელი დარჩა. ეხლა მოიწერე, რა ვუყოთ. მე მგონი, რომ დიდი სახლები გავაქირაოთ და პატარაში დავდგეთ, თუ ქალაქში ვიქნებით ამ ზამთარს. დაწვრილებით მოიწერე, როგორ სჯობიან ან შენ როგორ ისურვებ. ვასოს წერილიც მომივიდა, ის რასაც სწერდი ვექსილზე, ყველაფერი გააკეთა, როგორც უნდოდა. მიხასთვის ხომ არაფერი დაგიბარებია, ბანკში შესატანი არისო 120 მანეთიო. მომწერე, რა არის, რომ არაფერი წახდეს. ვანოჯან, გენაცვალე, თუ საქმე ვერაფერი გაარიგე, იქნება, შენთვის რამე ალაგი გარიგდეს, თუ შაქრო მაღალოვი გპირდებოდა, რომ გვიშველის, იქნება, ალაგისაც იცოდეს რამე. რატომ არა მწერ, მოსკოვში ნახე მიტო თუ არა, ან რა გითხრა? ხომ არ მოგილაპარაკნია ადგილზე დათიკო სარაჯოვთან? „დროებისა“ თხოვნა გინდოდა, რა ქენი? ყველაფერი მომწერე. ჩემი სული და გული და ჩემი ფიქრები სულ შენთან არიან. ვერ წარმოიდგენ, რა რიგ ვიტანჯები. Оказывается ни одинъ Чавчавадзе можетъ присутствовать „духомъ“. ბავშვები საშინლათ გიგონებენ. არ მეგონა, რომ აგრე მოუნდებოდათ შენი ნახვა. ნიკუშას შენი წერილი რომ მივეცი, როცა წაიკითხა, რომ

„შორს წაველო“, ამოუშვა ტირილი და ძლივს დავამშვიდე. სულ შენ გელის. საბანაოთ როცა მიდის, იგონებს, რომ „მე და პაპა უფრო კარგათ ვბანაობდითო“. ელა სულ შენს მოგონებაშია, როგორც ადგება, კითხულობს „папа не пріѣхалъ“, და როცა დაწვება ხოლმე „папа завтра пріѣдетъ“. ნაღვლობს საშინლად ნასტას და მიხას. საჭმელებს არ სჭამდნენ აქამდინ, მიხას გაკეთებული არ არისო; ეხლა ცოტა-ცოტა ეჩვევიან. ვანო, შენი ჭირიმე, მე ვიცი, ფული დაგჭირდება და მოიწერე, აქ როგორმე ვიშოვი და გამოგიგზავნი, თორემ შენ ჯაბადარის იმედით იყავი და ეხლა რას იზამ. ეხლა გამოანგარიშებული გექნება და მოიწერე, კიდე რამდენი დაგჭირდება. ინგლისელები იყვნენ აქ ორი დღით და შეგეხვეწეს, უთუოთ ქერჩში გამოგვიაროსო, ჩემ ძმას უნდა კნიაზის ნახვაო. ყველამ ბევრი გაკოცეს ჩვენებმა. კოლა, მარფუშა, ესტატე, კოწია წერეთელი და შაქრო მოიკითხე. გაკოცებ ბევრს.

ტასო

მარფუშას უთხარი, რომ დამპირდა წერილების მოწერა და ველი. ვანოჯან, შენც ნუ დაიზარებ, ხშირათ მოიწერე. თუ კარგი ამბავი იყოს, ტელეგრაფით მაცნობე.

3

ჩემო ძვირფასო ვანო.

საშინლათ მიკვირს შენი სიჩუმე. დავიჯერო, არ გრძნობ, რომ საშინლათ მაწუხებს შენი უამბობა. ნურაფრის ნუ გეშინიან, თუ გეზარება ცუდი ამბის მოწერა, ყველაფრისთვის უნდა მომზადებული ვიყოთ. შენც ნუ შეწუხდები მეტი მეტათ. გახსოვდეს რუსული ანდაზები: „Терпѣніе и трудъ все перетрутъ“ и „Что ни дѣлается все къ лучшему“. შენ ყოველთვის მხნე იყავი და ეხლაც ნუ დაეცემი. და თუ კაი ამბავია, მეც გამახარე და მოიწერე. 28 საბაჟოში ვიყავით ქორწილში. იქ სულ იმას მკითხამდენ, რას იწერება ვანოო, ყველა იმას მკითხამდა – ნაცნობი და უცნობი. იქ მითხრეს, ვითომ შენ 26 ამ თვეს უნდა მისულიყავი მინისტრთან, თუ მართალია, რა იყო ან როგორ მიგიღო მოიწერე ყველაფერი დაწვრილებით. ფული ხომ არ შემოგაკლდა? როდის მოდიხარ? კოლა ორბელიანი და მარფუშა ხომ კარქათ არიან? კოლამ რა გაარიგა თავის საქმისა? გაზეთის ამბავი ხომ არა არის რა? ყველა მომწერე. ჯაბადარის ცოლი ავათ გამხდარა და წასულა იქ ისე, რომ 28 კრებაზე ვერ დაესწრებოდა. ნიკუშა და ელა კარგათ არიან. ელა დღეში ოთხჯერ მაინც გიკითხავს „гдѣ папа, когда пріѣдетъ“. ნიკუშას კი არ ახსოვხარ, მხოლოთ ვინც კითხამს, ვანო სად არისო, отвѣчаетъ, что в Петербургѣ. მოიკითხე კოლა, მარფუშა, ესტატე, კოწია წერეთელი და შაქრო მაღალოვი. გიორგი აქ არის და ელის შენს წერილს. გაკოცებ კიდევ.

შენი ტასო

31 ივლისი, 1896 წელი, საჩხერე

4

1896 წელსა, 8 აგვისტოს. საჩხერე.

ჩემო ძვირფასო ვანო, შენი მეორე წერილიც მომივიდა, მაგრამ აქაც ის ამბებია, რაც პირველ წერილში. ჩვენ გვითხრეს, რომ ვითომ შენ უნდა გენახა მინისტრი, რატომ არას იწერები, ნახე თუ უნდა ნახო. მანამ შენი წერილი მოგვივიდოდა, წარმოიდგინე, რომ აქაურ გაზეთებში იყო დაწერილი, შენ კი მწერდი, რომ ჩინოვნიკებმაც არ იციანო. გიგზავნი

გაზეთებიდან ამოჭრილ ამბებს... მეშინიან, შპიონი არვინ იყოს მანდ და არ წაგიხდინონ საქმე. თუ ღმერთი გწამთ, ნუ აჩქარდებით, რაკი დაიწყეთ ეგ საქმე, კიდეც მიჰყევით ბოლომდე. ხომ შენც იწერები, რომ ყიფიანის და ბარათოვის არზა არც კი გაუშინჯიათო, მაშასადამე, სულ უნდა სდიოთ მაგ საქმეს, რომ კანცელარიაში არ დაიმწყვდეს. გაზეთში წავიკითხეთ, რომ მინისტრი 14 ამ თვეს ნიჟნი ნოვგოროდში მიდისო, მაშინ უფრო ცქვიტათ უნდა ჯობდეს ყურება, რომ არაფერი გამოგეპაროთ, თორემ, თუ მინისტრი წავიდა, მაშინ არ მიაგდონ თქვენი საქმე. რას მოეშურებით, თუ საქმე სრულებით არ გათავდა. რასაკვირველია, მე აქ გამეხარდება შენი მოსვლა, მაგრამ თუ საქმე არ გააკეთეთ თქვენ თვითონ და სხვას მიანდეთ, რა გამოვა. თუ ფული შემოგაკლდა, გამოგიგზავნი, ბაბოს აქვს 100 მანეთი, იქნება კოლასაც დასჭირდეს და ზრდილობით არ გეუბნება უარს. „დროებაზე“ რომ იწერები, იქნება, რამე გამოვიდეს, თუ კი მანდ გაძლევენ პირობას. აქაც ვეცადოთ, მხოლოთ ჯერ ნურავის ეტყვი, რომ არ დაგვიშალონ. იქნება, შენ თითონ რომ ნახო შერემეტიევი და აუხსნა, არ დაგიმალოს. მერე ეხლა ამისთანა უგაზეთობა არის, ძალიან ბევრი ხელთ მომწერი გეყოლება, თუ ჯეროვან გზაზე დააყენე, ხომ კარგად წავა ეგ საქმეც. გუშინ ბეჟანი მოვიდა ქუთაისიდან, იქ უნახამს ერთი მეგრელი ცომაია, სუხუმის ხმოსანი და იქ გადაუწყვეტიათ, რომ უთუოთ გთხოვონ შენ და ამოგირჩიონ въ городской головой 3500 р. содержанія. ძალიან კარგი იქნება, ღმერთმანი, ბანკის საქმეც კარგათაც რომ წავიდეს, მაინც თავი დაანებე ბანკს და წავიდეთ სუხუმში. მეორე სახლიც გავაქირავოთ და ეკონომიით ცოტა ვალებიც გადავიხადოთ. ქალაქში რომ არ დაგინახავენ რამდენიმე წელიწადს, თითონვე შეგეხვეწებიან დაბრუნებას. ამაზე ნუ გამიჯავრდები, რასაც გწერ. მაგაზე უკეთეს ადგილს ბანკის გარდა ვერ იშოვი. მაინცა და მაინც იცოდე ეს ამბავი და როცა ჩამოხვალ, მაშინ მოვილაპარაკოთ. ველი შენს ამბავს, როდის მოდიხარ მანდედან, ან შემოივლი აქ თუ არა. მე მგონი, არა ღირს აქ შემოსვლა, მხოლოდ მომწერე ტელეგრამა და მეც ჩამოვალ. ტელეგრამა რომ მოიწერო ნაჩალნიკის სახელზე. მოიწერე: на имя начальника Бегтабегова для передаче мнѣ или Бежану. თორემ ისე ტელეგრამები იკარგება. წარმოიდგინე, მე რომ მაშინ მოგწერე ტელეგრამა, არ მიგიღია და ნაჩალნიკის სახელზე კი არ დაიკარგება. როგორც მოიწერები, მეც წამოვალ. ფცაში პური უნდა გავაკეთებინო საზამთროდ, შეშისა კი გიორგის არაფერი არ უთქვამს. მე უთხარი და მითხრა, იქნება ქალაქში არ იყოთო. მომწერე შენ, თუ საჭიროა. ყველამ გაკოცეს.

შენი ტასო მაჩაბელი

5

ჩემო მამა.

იგრუშკები, წიგნები პატარები და სუმკა მომიტანე. დედას არ ვაჯავრებ. გაკოცებ. მალე მოდი, ელა გელის და ტირის, მამა მალე მოვიდესო.

შენი ნიკუშკა

ნიკუშკამ თითონ მოგწერა, მე მეჭირა იმისი ხელი. გაზეთები 4 აგვისტოსი, „Кав. ლისტოკი“ არის მეორე „Новое Обозреніе“. Цѣлую крепко. ყველანი მოიკითხე.

შენი ტასო

კოლა ორბელიანის და მიშოს რეჩები დაიბეჭდა ცალკე წიგნათ.

მიშომ გამოგვიგზავნა რამდონიმე ეგზემპლიარი. „ნოვოე ობოზრენიაში“ წაიკითხამდი,



ანასტასია და ივანე მაჩაბლები (უკან)
1898 წელი

გადმობეჭდილი „ჩერნომორსკი ვესტნიკიდან“. ძალიან გაქებენ იქ როგორც კარგ მთარგმნელს შექსპირისას, მაგრამ ეგ მამაძაღლი თუმანოვი მაინც თავის შენიშვნას უკეთებს, №24 ივლისი იმ გაზეთისა. კვალშიაც იყო რაღაც სტატიები შენი პეტერბურგში წასვლისა და დაცინვა, მაგრამ საშინელი სულელობა კი იყო, наборъ словъ только и больше ничего. ველი შენ მშვიდობის ამბავს. გაკოცებ.

შენი ტასო
[1896 წელი]

ნიკოლოზ ფავლენიშვილი

1

ძმაო ვანო! აკი, იცოდი ხოლმე ამოსვლის დროს ჩემთან შემოვლა, არ ვიცი, ეხლა რაღათ უღალატე შენს ჩვეულებას. მე კი გელოდი და თანაც წამოგყვებოდი, რომ ვასოს ღვინოები დამელოცნა – სულ რომ მე არ ვეგდო მანდა, არ შეიძლება, ახლა თქვენ საერთოთ გადმობრძანდეთ როდისმე? ისე კი არა, მგზავრათ (ამ ოხერი დილიჟნის გადამკიდე, საკუთრივ ჩვენთან ეხლა ხომ აღარავინ მოდის, გაივლ-გამოივლიან დილიჟნით, გვნახამენ ჩვენც და ამ ნახვაში გვიბრიან ჩვეულებრივ მისვლა-მოსვლას; აბა, ჰკითხე კნ. ნინოს და ვასოს, თუ ეგრე არ იყოს.

გადმოდით, თუ ღმერთი გწამთ, როცა კი ფანტაზია შეგითამაშებთ, არ მოგაწყენთ; მერე ეხლა, ისე მოვეწყე ჩემ ორ ციდა ბაღში, რომ გიამება. ვასომ კი ნახა (რასაკვირველია, პასსაჟირათ გამოიარა).

გინდა სულ ნავით გასეირნო, შლუზებით შევაგუბებ ხოლმე ჩვენ პატარა საწისქვილე წყალს და ვეებერთელა მდინარეთ იქცევა ხოლმე. ზალიკო რომ წამოიყვანოთ, მთვარიან ღამეში, – ნავით სეირნობის დროს, – სერენადებით დაგვატკბობს. საარშიყოთ კი აქ არა ვინა გყვავს, ცხინვალიდამ წამოიყვანოს ვინმე, თუნდ ის, მაშინ რომ ლაპარაკი გვქონდა.

კნ. ნინოს და დედას მოკითხვა; თამრიკო ლეკურებით როგორ გართობს?

შენს ორ თუმანს ეხლა გიგზავნი, მგონი ორი იყო, აღარც კი მახსოვს, თუ მეტია, შემატყობინე. იმიტომ დავაგვიანე, რომ იქ გამოგზავნათ აღარა ღირდა, რაკი შენ აქ მოგელოდით, მინამ კი უამისოთაც, ვიცი, არა გიჭირდარა. მშვიდობით და ნახვამდინ.

თქვენ დაიკოს უთხარი, თხა რა უყო?

შენი ძმა კოლა ფავლენიშვილი

P. S. ილიას მილიონებისა რა ისმის? თუ მართალია, გახსნას საკუთარი ბანკი და სულ უკენჭოთ ამოირჩიოს ხოლმე თავის თავი, – კენჭს იქაც მოერიდება, ალბათ, მეცილება ვინმეო...

ს. ტყვიავი, 18 ივნისს
[1880 წელი]

2

ძმაო ვანო! სულით და გულით გილოცამ შენს ბედნიერებას, მე მგონია, უკეთესს ვეღარას ჩაიდენდი შენს საკეთილოთ, მაგრამ საოცარის სისწრაფით კი მოახდინე ეგ საქმე; სწორეთ რომ „მოველ, ვნახე, გავიმარჯვე“-ა რაღა! ვაცხონე მატინოვის მამა! მაჩაბლებმა იმასთან ბრძოლაში ისეთი იერიშები შეისწავლეთ, რომ რაღა ციხე გაგიმაგრდებათ?

შევიტყე, რომ მატინოვის განკიცხვის დღეებში შენ თურმე ამურებთან იბრძოდი, ჩვენი ძალა დაქსაქსულიყო და ამიტომაც ჩვენი დედა ქალაქი ისევ ნახევარ „ღოროდათ“ დარჩენილა; მაგრამ, ღმერთი მოწყალეა, იქაც ხომ პატარა ფეხი ჩავდგით, და შემდეგისთვის ის გვანუგეშებს, რომ ყველა პატარა გაზდილა, თუ დარმა უდარა... შენც თურმე, ალექსანდრე ეპისკოპოზის სიტყვით, ერთხელ პატარა ყოფილხარ.

საქორწილოთ ძრიელ და ძრიელ მინდოდა ჩამოსვლა, ვიცი, შენთან მე არასდროს მეტი არ ვიქნები, თუმცა დაუპატიჟებელიც ვიყო, მაგრამ სწორეთ იმ დღეებში ჩემი ძმა იყო ძრიელ ავათ ტყვიავში, ექიმები თავს ადგნენ და მეც თავი ვეღარ დავანებე.

მოიკითხე და მიულოცე შენ მეუღლესაც ჩემ მაგიერ, თუმცა, პირდაპირი ცნობა მაგათი არა მაქვს, მაგრამ გიგას და ნინოს კარგათ ვიცნობ იმოდენათ, რომ თამამათ შემიძლიან, ეგენიც ჩემ ნაცნობათ ჩავთვალო.

ნინომ გუშინ ამოიარა პოეზდით, შენ გამოგეცილებინა ვოგზალამდე. გიგა სადღაა? თუ მანდ იყვეს, მოიკითხე და უთხარი, რათ გვიღალატა, ჩვენ სხვა რამე გვედო გულში და ეგ კი თურმე ახალციხისკენ ემზადება პოსრედნიკათ. სხვა არა იყოსრა, სად ვიაროთ ხოლმე იმ სიშორეზე მე და ვანო ბეგთაგოვმა მაგასთან პროფერანსის სათამაშოთ.

თითქმის მანდაური ამბები სხვა ყველაფერი ვიცი, მაგრამ ვერა გავიგერა ეს „ახალი დროება“ რაღაა, სადაურია, ვისია. შენ იღებ რასმე მონაწილეობას, თუ არა? ნეტავი კი ერთი სალომკირიძეო იყოს რამე, თორემ ამდენმა სიჩუმემ ენას ობი მოუკიდა. აქამდისინ

„ივერიას“ ვერ შეუწყე ხმა და ვერა, იქ სულ მქადაგებლები უნდათ და აბა მე სად შემიძლიან იოანნე კრონშტანდელობა...

აქაური რაღა მოგწერო, ისეა არეული ერთმანეთში ესრედ წოდებული ინტელეგენცია, რომ ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს. დიასამიძესაც უკანასკნელი ალაგი არ უჭირამს ამ არეულობაში. ხომ იცი ამ ოღრო-ჩოღრო კაცის ხასიათი, დურაკი რომ უწოდო, ხმას არ გაგცემს და თუ იმის გენიოსობაში ეჭვი რამ შეიტანე, – ხანჯალს მივარდება. ამას წინათ მე უთხარი, ბანკში ანტონზე ხანჯალი არ უნდა გეხმარა მეთქი, და ერთი დავა-დარაბა გამიმართა, პადლეცები ხართო, ანტონი სულ თქვენ გამალახვინეთო (ე. ი. მე და შენ, მაშინდელი არჩევანების გამო, ანტონს რომ მიაყრანტალა, „ჩვენ“ დაგიწუნეთ და უთუოთ უნდა გაგაშავოთო). სწორეთ ამის უდროვო და უალაგო ყბედობის გამო ჰგონიათ კიდეც, რომ დიასამიძემ რაც უნდა სისულელე ჩაიდინოს თავის თავათ, ალბათ, მაჩაბელმა ჩასძახაო; спору нѣт, что человѣк он очень часто нужный и полезный, но его глупая болтовня, съ перлами которой, конечно, и ты знакомъ, окончательно портитъ всякое дѣло, съ которымъ только онъ такъ или иначе соприкасается.

რაღა თავი მოგაბეზრო, პირადათ ნახვა მინდოდა შენი, მაგრამ ეხლა ვერ მოხერხდა და მერე იყოს, როცა ერთმანეთს შეხვდებით, დანარჩენზე მაშინ გიამბობ. საზაფხულოთ თუ თამარაშენს იქნებით, ხომ ხშირათ ვნახამთ ერთმანეთს, ფცაშიაც, რასაკვირველია, მოგაგონებ; თუ სამძღვარ-გარეთ აპირებთ და იქ წამოსვლის იმედი კი აღარა ფერი მაქვს, თუ 200 ათასი მანეთი არ მოვიგე. ესე, ჩემო მეფის ძველა, იყავ მშვიდობით და გამარჯვებით. თქვენები ყველანი მომიკითხე და ეს თუმანიც შენ ძმას, ვასოს გარდაეცი, იმან იცის, რა ფულით არის.

შენი ერთგული კოლა ფავლენიშვილი

P. S. დიდ თანხებს კი დაგპირდით, მაგრამ, მგონი, აღარა გამოდისრა. ბუჯანაძემ მითხრა გუშინ, რომ კასრაძეს ვალი ბლომათ აღმოსჩენია, და იმის წილი ქონება კი სულ უბრალო. ვაი თუ ჩიტი პტღვნათ აღარ ღირდეს და უკან დევნა მუქთი იყოს. მისწერე ბურჯანაძეს, როგორ მოიქცეს შენი სურვილისამებრ.

ს. ტყვიავი 15. II. 91 ე.

3

ძმაო ვანო!

ამას წინათ ბანკის ფული გამოვატანე შენთან ერთ პირს და არ ვიცი, მოგიტანა თუ არა, გენაცვა, შემატყობინე ამ დეკანოზოვის პირით და ამასვე უანბეთ დაწვრილებით ყველა ბანკის საქმეები, რომ ერთხელ და სამუდამოთ გაითქვიფონ თავში, რაშია საქმე. კოლა ორბელიანის ჭირიმე, ძალიან გვასახელა ყველაფერში, მაგრამ იმის უკანასკნელი სტატიები სწორეთ რომ შედევრია ოპოზიციისა; ორი დღე და ღამე ჩვენ სახლში სულ კოლა ორბელიანის სადღეგრძელო ისმოდა და იმის ეშხით მამა ჩემმაც კი დაიწყო რუსული გაზეთების კითხვა, თუმცა, რუსული ყველაფერი ეჯავრება.

შემატყობინეთ, შენ როდის გერგება „ოტპუსკი“, რომ შარშანდებულათ კიდევ ერთათ შევიყაროთ ჩვენი ხალხი. გუშინ ჩვენთან გორიდან იყვნენ სტუმრები, სხვათა შორის, შკაბიჩი (აქაური პოლკის კომანდირია) სახლობით, სიკო ვაჩნაძე სახლობით, ჩვენი გვახარია და სხვანი, ძრიელ კარგი დრო გავატარეთ, რეხას ჩავგზავნე კაცი, მინდოდა, კნ. ტასო და ბაბოც მომეპატიჟნა, მაგრამ ასიკოს შემოეთვალა, წავიდნენო. სად წავიდნენ და როდის, არა ვიცირა. გიორგიც ახირებული კაცია, ორი დღე რეხას ყოფილიყო და არაფერი

შემომეხმაურა, თორემ ძრიელ მინდოდა თქვენების ნახვა. ისევ შენ რომ მოხვალ, მაშინ დავაწყოთ ჩვენი მარშრუტი, თორემ უშენოთ არამც თუ ბანკში, აქაც ლაზათი არა გვაქვს.

შენი ერთგული კოლა ფავლენიშვილი
29 июня, Гори

ნალოთავი ვარ და სულ ხელები მიკანკალებს წერაში.

[1891 წელი]

4

ძმაო ვანო!

სულხანოვი ჩაგაბარებს ხელის-მომწერელთა სიას; თუმცა, მთელ-წლის ფული ბევრს არავის შემოუტანია, მაგრამ თითქმის ყველა მათგანი წლიური ხელის მომწერელთაგანია; ვინც რა მოგვცა, ის ფული ეხლა მიიღეთ და დანარჩენსაც თავის დროზედ ჩაგაბარებო. გაზეთი კი ეხლავ უნდა გამოუგზავნოო ყველას, ვინც მაგ სიაშია ჩაწერილი, გროში არა-ვიზედ დაიკარგება – მე და სულხანოვიც ვიქნებით თავდებათ რედაქციის წინაშე. მართალია, ეგ რიცხვი ხელისმომწერელთა ცოტაა, მაგრამ იმიტომ, რომ ამ მოკლე ხანში შორს ვერსად მივდექ-მოვდექით და ვერც ხმა მივაწოდეთ; იძულებულნი ვიყავით, გაზეთის დამკვეთელნი მოგვეპოვა ჯერჯერობით მეტათ მცირე, თითქმის შინაურ წრეში; სრული იმედი კია, რომ ჩვენს მაზრაში ასსზე მეტი ხელის-მომწერელი გვეყოლება; ეცადეთ კი, რომ პირველივე ნომრებში ფხიანი და საინტერესო რამ მოგვიკვლიოთ, აქედანაც მერე მოძახილებს მოგაშველებთ და საქმე გაიჩალხება!

ჯერ „კვალი“ აქ არავის მოგვსლია და იმის მოლოდინში ლამის სული ამოგვაძრეს, ახალ წელს არცკი ულოცავთ ერთმანეთს, ისევ ძველი გვგონია, ვიდრე „კვალი“ გამოვა. – ნუღარ დააგვიანებთ, დროზედ მოგვაშველეთ. კითხვის საღერღელი იმდენათ აშლილია საზოგადოებაში, რომ თუ „კვალს“ ყველა ერთის გულით არ მოელის, ეჭვი არ არის, რომ ერთნაირის მოუთმენლობით კი უნდათ იმის ნახვა.

ვიცი, ეხლა გიგაც დიდ ამბებში იქნება „კვალის“ დაბადებაზე, მაგრამ საქმე ის არის, რომ მაშინაც შეინახოს გული გულის ალაგასა, როცა „კვალი“ რაიმე პოლემიკაში შეებმება. შენ კი გამოცდილი კაცი ხარ მაგისთანებში, გულს ადვილათ ვერ გაგიტეხენ, მაგრამ მაგას კი, მგონი, ხშირათ მოაძებნინონ თავის „монрепо“ – სატივე – ნერვების გასამაგრებლათ. შენი ოთხი თუმანი, აი, მომირთმევია, რაც შეეხება „კვალის“ ფულებს, სულხანოვს ვატან, იმას გამოართვით ანგარიში. მეც მალე ჩამოვალ და დაწვრილებით მაშინ მოვილაპარაკოთ ყველაფერზედ. თქვენებს ერთობრივ ყველას მილოცვა, მოკითხვა და ნახვის ნატვრა.

შენი ერთგული კ. ფავლენიშვილი
7/I. 1893 წ. ს. ტყვიავი

5

12 მარტი, ქ. გორი.

ძმაო ვანო, გვაფთხილებ, რომ გუგუშვილის საქმეზედ პროკურორთან ჩვენებაში ფთხილათ იყავით და ბანკის საქმეებს ნუ შეეხებითო; შენ პირს შაქარი, ჩვენც სწორეთ მაგ აზრისა ვიყავით და ძრიელაც არ მეჭაშნიკა, როცა შენმა ძმამ ვასომ ათასი რამე ჩასწერა თავის ჩვენებაში; ეხლა, მადლობა ღმერთს, ალბათ, შენი რჩევით, გამოუცვლია ჩვენება და

რაც პირდაპირ საქმეს არ შეეხება გამოუშვია; მაგრამ უბედურობა ის არის, რომ აღარც არაფერს იმაზედ ამბობს, რის მოწმეთაც ეგ იყო მოყვანილი მეხმანდაროვისაგან და სულხანოვისაგან; მაგან კარგათ იცოდა, რომ ზოგიერთი გუგუშვილის საქციელი მიმართული მეხმანდაროვის და სულხანოვის წინააღმდეგ იყო უკანონო და მეფხობით გამოწვეული, დააპირდა კიდეც, ამათ ვაჩვენებ მაგასაო, და ეხლა კი მთელი იმის ჩვენება ორი სიტყვით გამოიხატება: არაფრისგან არაფერი ვიცი მაგათი საქმისაო. სწორე გითხრა, ორივეს ძრიელ ეწყინა ეგ უცნაური მოქმედობა ვასოსი, მით უფრო, რომ ამათგან ეგ იყო მოწმათ ჩაწერილი მაგისივე თხოვნით და ეხლა კი ისე გამოდის, თითქო ამათ წინააღმდეგ იქცეოდეს.

პროკურორი ჯალალოვი ჩემი ნაამხანაგარია, კარგათ ვიცნობ, მეც ვიყავ დაბარებული იმასთან მაგ საქმეზედ, ბევრი რამ ველაპარაკე, რომ დამენახვებინა თვით ბუნება და მიზეზი ჩვენი მაზრის პარტიობისა, მაგრამ დაწერილი ჩვენებაში, როგორც მოწამე, არაფერს ვამბობ არჩევნების დავიდარაბაზე და პირდაპირ ვეხები გუგუშვილის მოქმედებას, როგორც პოლიციელი მოხელისას, უსაბუთოთ არა მიჩვენებიარა და რაც ვაჩვენე, თუ უნდათ, სულ ნოტარიუსით დაუმტკიცებ, როგორც მაშინ უყავი სიფთას და ამილახვარს.

შენკი ჩვენგან დარიგება არ გინდა, მაგრამ შენც მეტი სიფთხილე რომ გამოიჩინო მანდაური დავი-დარაბაში, ურიგო არ იქნება. შევიტყეთ, რომ ბანკის რევიზორები აღარ ხუმრობენ და უნდათ, ყველაფერი ნათლათ გამოარკვიონ, რასაკვირველია, შენს ჩვენებას მეტს ყურადღებას მიაქცევენ და სასურველია, რომ ყოველივე შენი სიტყვა და საქციელი იყოს ათასნაირათ აწონილ-დაწონილი; იქნება შენი თანამოსამსახურეთაგანი ბევრნი სახრჩობელის ღირსნიც იყვნენ, მაგრამ შენ ნუ ისარგებლებ მაგ შემთხვევით, უენო და უსიტყვო ფაკტები უფრო ნათლათ აუხსნიან ყველაფერს ჭეშმარიტების მაძიებლებს, იქნება, შენი მომხრეები სხვა აზრისა იყვნენ ამ საქმეში, მაგრამ მე კი მგონია, რომ რაც შენ ნაკლებ მონაწილეობას მიიღებ მაგ დავიდარაბაში, მით უფრო, შენი პირადი ღირსებაც დაცული იქნება და ბანკის საქმეშიაც ბევრს მოვიგებთ. – ესე, ჩემო კარგო, ჩქარა გწერ, არეულ დარეული, იქნება ვერც კი გაარჩიო ეს მონაწერი, მაგრამ მიხვდები კი, რაც უნდა მეთქვა, წერილი ეხლავ დახიე და გვაცნობე ხოლმე ორიოდე სიტყვით მანდაურ საქმეებზედ.

შენი კოლა ფალავანდიშვილი

ღმერთმა შეგარგოთ ვარინკასთან ქეიფები, ჩვენ კი ფონოგრაფით თუ დავსტკბებით, თორემ სხვა აღარა დაგვრჩნია.

ეცადეო, გაარკვიოო, რაოდენი უფლება აქვთ გრუზინსკებს მანდ სამსახურისა.

Вано! По моему мнѣнию, если дѣла хорошо пошли бы, было бы желательно познакомить ревизующихъ со всѣмъ ходомъ борьбы и подлостями, къ какимъ прибѣгали противники, съ незнаніемъ ихъ, надувательствомъ, фальшивой телеграммой, календаремъ Гуніа, но чтобы все это исходило не отъ тебя и не имѣло бы характера доноса. Вамъ необходимо держать себя тактично, скромно и любезно съ противниками нашими, какъ будто ничего не было, при настоящемъ положеніи вещей – это единственный способъ сблизиться съ противниками, чтобы ими же доканать нашихъ враговъ. А я боюсь, что Сандро и Мишо теперь такъ подбодрятся, что по старому будутъ показывать кулаки и кричать о своей правотѣ, чемъ только понапрасну озлобятъ всѣхъ. Отсюда послали мы телеграмму Коціа съ соболезнованьемъ, 16-го будетъ тутъ панихида и собираемъ деньги на вѣнокъ, это все дѣлается, разумѣется, тутъ же заферъ фютюръ (кажется, я выразился правильно и понятно). Теперь вотъ что тебе необходимо сдѣлать:

1. Объявить въ Кавказе на первой страницѣ, что 16 Марта Гори. предводитель дворянства...

[1893 წელი]

6

ძმაო ვანო, რამდონი ხანია, მანდაური აღარა ვიცითრა, თუმცა, ყრუთ კი ათასი რამე ისმის შენ და ბობოლას შეტაკებაზე მიტოს შესახებ; აგრეთვე შევიტყეთ, რომ „კვალშიც“ არევ-დარეულა საქმეები, მაგრამ სწორე კი არა ვიცითრა. – ამას წინეთ სულხანოვს მოუვიდა გიორგი წერეთლის წერილი, სადაც, სხვათა შორის, იწერება, რომ, რაც მაჩაბელი ამოვირჩიეთო, მეტათ თავს გაუვიდა, ყველაფერში ბატონობა მოინდომა და „კვალიც“ უნდა ჩამოერთმია ჩვენთვისაო, მერმე რის უფლებით, შრომა და აუარებელი ხარჯი ჩვენ მოგვახვია და ის უნდა მზა-მზარეულს დასწოლოდაო. ეხლა ის ჩვენთან აღარ მუშაობს, „კვალის“ გამგებლათ ჩვენ დავრჩით და თქვენა გთხოვთ, რომ შემდეგშიაც თქვენ ყურადღებას „კვალს“ ნუ მოაკლებთო. თხოულობს აგრეთვე გასწორებას ძველ ანგარიშებში და სიას, ვისაც შემდეგისთვის გაზეთის დაკვეთა სურსო. სულხანოვს ჯერ პასუხი არ მიუციაო, რაც შეეხება ანგარიშს, სულ ცამეტი მანეთიღა არის. ამასთან პირველი ნახევარი წლისა და ისიც არ იცის, ვის ჩააბაროს, თქვენ თუ მაგასა. რაც შეეხება გაზეთის დახმარებას, შემდეგში ჩვენის მხრივ, გზას კი არას შევუკრამთ, მაგრამ არც კი ძალიან თავს შევიწუხებთ, ვიდრე საქმე არ გამოირკვევა; შეგვატყობინე რამე ამ გარემოებაზე.

არ ვიცი, ეხლა თქვენები მანდ ვინ არიან, ან საზაფხულოთ საით აპირებთ წასვლას, თუ ჯერ არ წასულხართ, თქვენ ხომ ვერ მოახერხეთ აქეთ მოსვლა და ჩვენ მაინც დაგხვდებით, რომ მოვილაპარაკოთ ყველაფერზედ. ჯერ-ჯერობით კი მე და სულხანოვს სასიარულოთ არა გვცალიან, ძრიელად ვართ შეწუხებულნი: იმას ცოლი ყამს ავათ, მე – მამა, და ეს ორი კვირეა ამათ წამლობა-ექიმობას უნდებით, – უკეთესობა არა ეტყობათ რა, ექიმები ბევრს ვერაფერს გვშველიან და არ ვიცი, ჩვენი საქმე როგორ იქნება; ძალიან ქეიფებსაც ვაპირობდით ამ ზაფხულობით, მაგრამ როგორღაც საქმე-საქმეზე აღარ მოგვდის. თქვენ მაინც იყავით მშვიდობით, გამარჯვებით. კნ. ტასოს უმდაბლესად თავს დაუკრამ და მოკითხვაც ყველას, ვინც მანდ არიან.

შენი ერთგული კოლა ფავლენიშვილი

P. S. ამ წერილის მომტანი ვანო კორინთელია, ურიგო ყმაწვილი არ არის და მანდ რომ საარჩევნო კამანდა მყამს, იქ ძალიან მეხმარება ხოლმე; სარაჯევის კანტორაში მსახურობს, ეხლა მოსწყენია, დუქნური საქმეა და სხვა არაფერიო, უნდა ალაგი იცვალოს; შეუტყვია, რომ თქვენ ბანკში ბუღალტურს ნაწილში, თუ სხვაგან სადმე, მოხელეს ეძებენო და დაეხმარე, რითაც შეგიძლიან, რომ ამან მანდ ფეხი ჩადგას როგორმე. თუ ბობოლამ არ ინება და თავისებურათ ეჭვში შევა რაშიმე, – რადგანაც ეს მთხოვნელი შარიანია, – ძრიელაც თავს ნუ შეიწყენ და ამას ნუ გახდი ახალ მუგუზლათ თქვენს ურთიერთობაში. დრო კია, მე და ჩემმა ღმერთმა, რომ თქვენს ურთიერთობასაც ბოლო მოეღოს, ყველას მოგვაბეზრა თავი და აღარცა რამე საზოგადო საქმე კეთდება თქვენი გადამკიდე.

მართალია, მაგას ბევრი „Нраву моему не препятствуй“ ჭირს, მაგრამ არც თუ ისეთი მაშენიკია, რომ მაგასთან უღლის გაწევა შენთვის საჩოთირო იყვეს, შენც გაუწიე და не препятствуй, в мелочахъ, по крайней мѣрѣ. ესეც კი, რომ მაგას თავისი დღენი მოუჭამია, შენ ეხლა შედიხარ ცხოვრებაში, სხვა არა იყოსრა, მამათ შეგეფერება, ეხლა ცოტა რომ დაუთმო რამე, მომაკვდინებელი ცოდო არ იქნება და შემდეგში თითონ დრო გაასწორებს თქვენში ყველაფერს. ამასაც გიჩურჩულებ, რომ, ღმერთმა კი ნუ ქნას, და ერთი კიდევ რომ გაგვრიყოს, რის იმედით ყოყოჩობ? Самачабло, вѣдь, мифъ, а какъ тебѣ жить в пріятной,



ივანე მაჩაბელი და გიორგი წერეთელი
ნახატი: ბზიკი

но тѣмъ болѣе трудной и отвѣтствѣной роли paterfamilias? Все это прими въ соображеніе. ამას გირჩევ, – ნუ გამკიცხამ მე ამ მწარე რჩევისათვის!..

კ. ფავლენიშვილი
15/VI. 93 გ. ს. ტყვიავი

7

ძმაო ვანო, მგზავრი ვერავინ ვნახე და პოჩტით გამოგზავნა არა ღირს იმ ფულისა, ჩვენ რომ შესატანი გვაქვს ბანკში (32 руб. 50 к.); გენაცვა, ეხლა შენ შეიტანე და არ დაგიგვიანებ, გიორგი რომ ჩამოვა მანდ, იმის ხელით მოგართმევ; დღეს გაუთავდება ამასაც მუშაობა ჯარის კაცების მოკრეფაში და ცოტა მოისვენებს, თორემ საწყალს დღემდინ ჩვენთვის არ მოუცლია, რაც ამ საქმეს შეება. უნდა კი გითხრა, რომ ბევრი, ძალიან ბევრი კეთილი რამ გაარიგა ამ მოკლეს დროს მუშაობაში, და სახელიც იმისთანა გაითქვა, განურჩევლივ ყველა წრეში, რომ ამისთანა „მარშალი“ ჩვენ საწყალ თავადაზნაურობას კი არა, თვით ნაპოლეონსაც არ ეყოლებოდაო... ვინც კი იცნობს გიორგის, რასაკვირველია, ყველა მოელოდა მაგ უნარს მაგისაგან, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეხლა ყველამ გაიცნო და ყველა იმას იძახის, რომ „ოპოზიციის“ მადლობელნი ვართ, რომ მაგისთანა კაცი გამოსჩიკაო.

დღეს გვაქვს „ზასედანიე“, მე, გიორგის და ბეგთაბეგოვს, სად და როგორ გავატაროთ დღესასწაული დღეები, მგონი, უფრო ტყვიავ-ტირძნისისაკენ ვაპირებთ მოგზაურობას და იანვარში მანდ დაგიკრამთ თავსა. აკაკის გამოსვლას საჩხერიდგან დიდის მოუთმენლობით ველით, კნ. ნიცას მივწერეთ ორი დღის წინათ, შეგვატყობინოს იმის გამოსვლა და დანარჩენი ჩვენ ვიცით, როგორც დავხვდებით; მანდაურებიც, რასაკვირველია, უნდა მოგვეშველოთ და ისეთი მანიფესტაცია გამოვა, რომ ანტონს და კ-ას ზიარება ველარავინ მიასწროს; იქნება ეხლა მაინც მიხვდნენ ეგ „ჟურნალისტები“, რა გავლენა აქვს მაგათ

სიტყვას საზოგადოებაზე... დათა მწერს ფციდამ, რომ 28-29-ს ქალაქს უნდა ჩავიდეო. თუ ჩამოვიდა, უთხარი, რომ სემინარიას ფული არა მოუციაო აბანოსთვის და რაც შემოსავალი ექნება აბანოს, ყოველ დღე გამოვართმევ მოიჯარადრეს, და იმედიცაა, რომ ამ სამი თვის იჯარა პირნათლათ ჩააბარონ. სხვაფრივ იყავით ყველანი მშვიდობით და გამარჯვებით.

შენი ერთგული კოლა ფავლენიშვილი

ბანკის კვიტანცია შემინახე, არ დაკარგო; მამა ჩემს თუ არ ვაჩვენე, ხელ-მეორედ ავათ გახდება.

მოწყალეს კნ. ტასოს ულოცამ სახელწოდების დღეს: ღმერთმა ქმარს ბედნიერებით შეაბეროს; გოგო-ბიჭი გაუზარდოს; და გაუთხოვოს იმის სურვილისამებრ; დათას – ცოლი შერთოს და გიორგი მარშლისაც ფელდ-მარშლობას მოასწროს. საჩხერელების სიცოცხლეც ნუ მოაკლოს, მათთან მისვლა-მოსვლა ნუ დააშლევინოს, კნ. ვარინკა სახლში აწვიოს და თქვენ უუმორჩილესი მონაც იქ ამყოფოს იმ დროს.

[1895 წელი]

8

27/III. 96 წ. ს. ტყვიავი.

ქრისტე აღსდგა! ძმაო ვანო, ღმერთმა მრავალი გაგითენოს ცოლ-შვილის სიცოცხლით!

ჩემს ამბავს კი ნუღარ იკითხამ, ამოდენა ხანია, ორ-ორი მომაკვდავი ადამიანის შემაცქერალი ვარ, ყოველივე წამლობა ამაოთ დგება და გულ-ხელ დაკრეფილნი უბედურობას მოველით; ეს ლოდინი უბედურობისა თვით უბედურობაზედ მეტი ყოფილა: მთელი ოჯახის ძალი და ღონე ამ ლოდინმა შეილია, შინ აღარა კეთდება და გარეთ; ნივთიერ ზარალს რომ გაუძლოთ კიდევაც, სულით ისე ვართ დაცემულნი, რომ კარგა მყოფნი ავანტყოფებს შევნატრით!! ამისთანა გარემოებაში მყოფი ვისთვის და რისთვისა ვარ გამოსადეგი? ძმობას გეფიცები, მე კი ის უფრო მაწუხებს, რომ ვაი თუ სხვასაც რაიმე ჭირი ადგეს თავს და ის საქმე, რომლის დახმარებაც ჩვენ ზნეობრივადათ გვიკისრნია, – ღვთის ანაბარა გახდეს?! ღვთის ანაბრობას ვინ იჩივლებს, მაგრამ სად ღმერთი და სად ჯანდიერ-ფურცელაძე-ჟურული მამაძაღლები! არ ვიცი, სად რა კეთდება და როგორ; რა გზას ადგანან ან მტრები და ან მოყვარენი? ჯერ-ჯერობით კი, რაც ნიშნებსა ვხედამ, საიმედონი არიან და ჩვენი გამარჯვება უაგიტაციოთაც კი შესაძლებელათ მიმაჩნია, მაგრამ მარტო ამას ნუ დავჯერდებით: წრევანდელ გამარჯვებას მრავალი მნიშვნელობა ექმნება ჩვენთვის, და მით უფრო უნდა უზრუნველვყოთ იგი ყოვლის მხრივ; თვით გარემოება დაგვანახვებს, რა საქმეს როგორ უნდა მოევლოს და მე რომ თავისუფალი ვიყვე, მოუვლიდი კიდეც – ზოგიერთს მაინც, მაგრამ, აბა, ეხლა რა ვქნა, შინ ხელ-ფეხ შეკრულმა? აქეთკენ კი ისეა საქმე დაყენებული, რომ ვინც ჩამოვა – წინააღმდეგი არავინ იქნება, მხოლოთ, რაც შეეხება ჩამოსვლას, ვშიშობ, რომ არ დაგვიშალოს, ერთის მხრივ, უგზოობამ და წყალ-დიდობამ (აქ ეხლავ დაიწყო წვიმა-ავდრები), მეორეს მხრივ – ჩამომსვლელებთ ხელმოკლეობის მაინც და მაინც ყოველი ნიშნებიდამა სჩანს, რომ წრეულს „დიდი კრება“ არ უნდა იყოს და ამისთანა კრებაში პატარა გუნდსაც დიდი საქმე შეუძლიან. მაგრამ მოველი კიდეც არჩევნებს, ჩემის მხრივ, 40 კენჭი მაინც მანდ მექნება (იმათთვინ აუცილებლათ შავი) და სულ იმისთანები, რომ თქვენ უჩემოთ სანთლითაც ვერ მონახამდით; ამის ნახევრათ რომ სხვა მოთავეებიც იყვნენ მომზადებულნი – საქმე გაჩალხული იქნებოდა, მაგრამ სად ვინ არის? მე რომ შინ დაბმუ-

ლი არ ვიყო, სხვების დახმარებას არც თუ ძრიელ დავისაჭირებდი და იმ ერთი გოგოსი არ იყოს – ზევიდანაც მე ვიქნებოდი, ქვევიდანაც... გიორგის უთხარი, რომ მოთავეებს ხშირათ კონტროლი უკეთოს, თორემ ვაი თუ ვერ შეასრულონ ნაკისრი მოვალეობა. მე დავრწმუდი, რომ ამ შემთხვევაში მაინც, უჩინარი მომხრეებიც უფრო ბევრი გვყოლია, ვიდრე ჰგონიათ ჩვენ მოწინააღმდეგებს და შარშანწინანდელის მაგალითით ტყუილათ ხელმძღვანელობენ წრეულსაც; მხოლოთ თქვენ ლაპარაკით ხალხს თავს ნუ მოაწყენთ და ნუ დაგავიწყდებათ, რომ „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“ ხოლმე და წრეულ ხომ მით უფრო. ძრიელ ვეცდები, რომ ჩამოვიდე, თუ არ ჩამოვედი, ალბათ, ჩემს თავზედ რამე უბედურება იქნება, და თუ მანდედან მაინც გამარჯვების ხმას გამაგონებთ, აქ თქვენი ჭირიც წაუღიათ... მშვიდობით და გამარჯვებით! კნ. ტასოს უმდაბლესათ თავს დაუკრამ და ულოცამ ქრისტეს აღდგომას. ნუ დაავიწყდებათ კი, რომ თუ სააღდგომოთ ნათლიანთ კონიაკი მიართვეს, ჩემი წილი შეინახოს, რომ თქვენი გოგო-ბიჭის სადღეგრძელო დავლიო ხოლმე, მანდ რომ ჩამოვალ.

კნ. ნიცასთან დიდი დამნაშავე ვარ, რომ იმ უბედურების შემდეგ დღემდის არ მინახამს; მანდ ჩამოველ და დოესს წაბრძანებულიყო; გარემოებამ ნება არ მომცა, რომ იქ მაინც ვხლებოდი და ახლა შენ გთხოვ, თუ ჩამობრძანებულია დოესიდან, მოახსენო ჩემი უულრმესი მწუხარება ძვირფასი და საყვარელი ქალიშვილის დაკარგვისა გამო. ჭკვიანი გოგონა, შვილობას კი არა, ამხანაგობასაც კი ჰპირდებოდა უბედურ დედ-მამას და სამაგიეროთ რა ცეცხლი მიაყენა?! კნ. ნიცას რა ჩემი დარიგება უნდა, თითონ სხვის დამრიგებელი ბძანდება, მაგრამ გონივრობა კი მოითხოვს, რომ მწუხარებას თავი არ მისცეს და იმათთვინ იცოცხლოს, ვინც დარჩენია და ვიზედაც ამაგი აქვს: ქმარ-შვილს ნუ გააუბედურებს და ძმებს და დებს ნუგეშს ნუ მოაკლებს.

საწყალი ლიტას დღენი, ჩვენ ხომ ვიცით, დიდი ხანია, დათვლილი იყვნენ საშინელის სენისგან და თუ აქამდინ იცოცხლა, ისიც დედის თავგანწირული მოვლისა გამო და ზედაც რომ დაეკლა თავი, – მეტი ვერა შეეძლო რა...

რუსული წერილი გიორგის გარდაეცი. თუ შენ დრო და მოცალება არა გაქვს, მაგას რაღა ღმერთი გაუწყრა, რო აქამდინ აღარას მატყობინებს?

შენი ერთგული კოლა ფავლენიშვილი

გიგო გაბაშვილი

ბათუმი. 11 მაისს.

ძმაო ვანო! წუხელ დიდათ სასიამოვნო ამბავი ამოვიკითხე „დროებაში“. საღამო იყო და ვიჯექ შინ რაღაცნაირად მოწყენილი და დარდიანი. არაფერი არა მაქვს რა საკითხავი, არც წერილები მომდის ვისგანმე და ამ ახლად მოსულს მხარეში როგორღაც ობოლათა ვგრძნობ ჩემს თავს. ხანდისხან თუ შევხვდები სადმე ჩვენ გაზეთებს: „დროებას“, „კავკაზს“ და იქიდგან ამოვიკითხამ ცოტაოდენ ამბავს ჩვენი მხრისას, თუ არადა ხვთისგან განაჩენი არა ვიცირა, რა ხდება დედამიწის ზურგზედ. ხომ ხედავ, ვანო, რომ ამგვარ ყოფნაში ბევრი არა უნდა რა იყოს სანატრელი, მაგრამ, უეჭველია, ვისაც თავის თავზედ არ გამოუცდია ამნაირი ყოფა-ცხოვრება, ის ძნელად იგრძნობს ამ ხვედრის სრულს სიმძიმეს... როგორღაც შორს მომივიდა წასვლა და ძალიან აუხვივე იმას, რისიც თქმა მინდოდა. მაშ, ჭრიაშვილივით, მოდი, ისევ თავიდგან დავიწყობ და, თუ მოვახერხე, დალაგებით ჩავალ ბოლომდისინ.

ვიჯექი გუშინ საღამოს ნაღვლიანად ჩემს ოთახში და ბოლოს მომაგონდა, რომ ბანკის და სკოლის ყრილობები ეხლა გათავებული უნდა ყოფილიყო და ურიგო არ იქნებოდა, ცოტაოდენი ამბავი მეც შემეტყო: ან როგორ იყო საქმე, ან რიდ გათავდა. ამ განძრახვით დაუძახე მაშინვე კაცს და გავგზავნე ჩემს მეზობელთან გაზეთის სათხოვად და პატარა ხან უკან მომივიდა ერთად-ერთი № დროებისა, მაგრამ, ჩემდა სასიხარულოდ, აკი ეს ერთი № ყველაზედ სასურველი გამოდგა! ეს იყო წარსული კვირის მე-85 №. გადავშალე გაზეთი და პირველად შევხვდი: „ჩემს მკითხველს“, გადავაბრუნე, ვხედამ აწერია: „სერგეი მესხი“. რასაკვირველია, მაშინვე შუბლზედ თითი მივიდე და გოგოლის დობჩინსკისავით ბრძნულად წამოვიძახე კარგად ცნობილი: „ე!“ აბა გეტყვი და შენ გამაგებინე, თუ ვალდებული არ ვიყავი წამომეძახე სწორედ ეს „ე“ და არა სხვა რამე. ვის უნახავს მის დღეში, რომ სერგეი მესხს თავისი სტატია, გარდა დაუვიწყარი ორი ასოსი „ს. მ.“, სხვაფრივ როგორმე მოეწეროს! მაშ, ცხადია, ვიფიქრე, რომ ეს სხვას რაღასაც უნდა მოასწავებდეს; ვიფიქრე, რომ მე კარგად ვიცოდი და დღე-დღეზედ მოველოდი მესხის „განთავისუფლებას“ „დროებისაგან“, შეადარე ეს ორი ახირებული შემთხვევა ერთმანეთს და მითხარ: ნუ თუ ისეთ მიუხვედრებულ კაცად მიცნობ, რომ ეხლაც არ წამომეძახა „ე-ე-ე!“ მის შემდეგ შეუდექი სტატიის კითხვას და, რაღა თქმა უნდა, შევიტყე: აქამდის მე თქვენი ვიყავ, თქვენ – ჩემი და ჩვენ – ერთმანეთისაო და ეხლა კი თქვენ სხვისი იქნებით, თქვენი – სხვაო და მე კი მარტო ჩემს თავს ღა დავრჩიო. წავიკითხე ყოველი ეს, ორი-სამი ცრემლიც ჩამოვაგდე, ჩვეულებისამებ ყოველი გულჩვილი კაცისა და დავდე № სტოლზედ. ეს ყველა კარგი, შევიტყე, რომ დღეიდგან სხვა პატრონი უჩნდება „დროებას“, მაგრამ ვინ არის ის „სხვა“? მე დიდი ხანია, ვიცოდი, ვინც უნდა ყოფილიყო ეს „სხვა“, ეს ბევრში რჩეული, მაგრამ მაინც მინდოდა, გაზეთში გამოცხადებული ცნობით დამეჯერებინა გული და შეუდეგ ამ ცნობის ძებნას. გადავაბრუნე გაზეთი პირველს ფურცელზედ, რედაქციის განცხადებიდგან შევიტყობ მეთქი ამას ყველაზედ უკეთესად, მაგრამ იქ მესხის სადილის ამბავის მეტი სხვა ვერა ამოვიკითხერა. თავიდან გადავხტი გაზეთის ბოლოს, ვიფიქრე, იქნება ახალმა რედაქტორმა ბევრი ლაპარაკის მაგივრად პირდაპირ მოაწერა თავისი სახელი და გვარი და ამით აცნობა ქვეყანას თავისი თავი ახალ სამოსელში. იქაც ისევ ძველი გამომცემელი და ისევ ის რედაქტორი – მესხი შემხვდნენ. გადავავლე გაზეთის ფურცლებს თვალი, ვხედავ შენ სწერ რაღაზედაც, ჩვენი ყაზიბეგი ესალმება თავის წინანდელს რედაქტორს და დათიკო კეზელი ჩვეულებრივ საკვირაო „კისრულისთვის“ ემზადება. დავრწმუნდი, რომ დღევანდელი ნომრიდგან ვერაფერს შევიტყობდი და შეუდეგი დამშვიდებული დანარჩენი სტატიების კითხვას. პირველად შენს სტატიას მოვავლე ხელი, დავიწყე კითხვა, ვკითხულობ და მიკვირს, მიკვირს და ვკითხულობ! რა ვქნა, ვფიქრობ, რა მოსვლია ამ კაცს! იმ გაზეთში, რომელიც დღეს ისევ მესხის საკუთრებას შეადგენს. გამოსულა ბ. მაჩაბელი და აქებს და ადიდებს უფ. მესხს, ეუბნება მთელის 14 წლის განმავლობაში შენ რედაქტორობა არ მოგწყინდა და ბარაქალა შენს კაცობასაო! რატომ, მესხის ქება ურიგო არ არის და საჭიროც არის, ეს უეჭველია, მაგრამ თუ მარტო ამის თქმა უნდოდა, რამ დააშურა ეს კაცი, რად არ მოიცადა ქება მაშინ შეესხა, როდესაც გაზეთი გადავიდოდა სხვის ხელში და რისგან მოხდა, რომ ჯერ კიდევ მესხის გაზეთში მასვე აქებს და ადიდებს. საქმე თურმე სულ სხვაში ყოფილა და მე კი სრულიად ვერ მომეფიქრებინა ის. როგორც იყო ჩავედი ბოლომდისინ და რომ წავიკითხე: „ჩვენ ვკიდებთ ხელს სერგეი მესხისაგან დატოვებულს გაზეთს“, ვიტკიცე ხელი შუბლში, მაგრამ რაღა დროს! მაშინ ამეხსნა თვალები და ყველა ცხადად დავინახე. აბა, რას მოვიფიქრებდი, რომ შენ შეგხვდებოდი დროების რედაქტორად, როდესაც სულ სხვაზედ ვიყავი დარწმუ-

ნებული. რაღა თქმა უნდა, რომ ამ ამბავმა ძალიან გამახარა. მაშ, ნება მომეცი, ჩემო ვანო, ძმურად მოგილოცო ამ ახალი საქმის კისვრა, მომილოცამს ჩვენი 17 წლის „დროების“ მესამე რედაქტორობა და ვისურვებ შენს ხელში ისე იყოს გაძლიერებული, გაზდილი და გავრცელებული, როგორც შეჰფერის საჭიროებას და ყველა ჩვენს გულითადს სურვილს.

ამითი რომ გათავებულიყო საქმე, ესეც საკმარისი იქნებოდა ჩემთვის, მაგრამ ბოლომდის, ჯერ კიდევ შორს ვიყავ. კეზელის საკვირაო „კისრულმა“ ორ ნაირად მასიამოვნა: ერთი ის, რომ ბ. ავალიშვილი ბანკის დირექტორობისაგან გადუბრძანებიათ. ვინც უნდა ყოფილიყო მის მაგივრად ამორჩეული, იმას ბევრ არ დავდევდი, მე მხოლოდ ისიც მასიამოვნებდა, რომ ბ. თავადი ავალიშვილი ჩვენ ბანკში ველარ იპარპაშებდა; სწორე გითხრა, იმ კაცს ჩემთვის არა უმტრიარა, თორემ ეს შენც ხომ კარგად იცი, ხეირიანად არც კი ვიცნობ, მაგრამ მაინც მძულდა და მწულდა; და როდესაც შევიტყე, რომ მის მაგივრად შენ ამოგირჩივეს, რასაკვირველია, სიხარულს სიხარული მოემატა და ნება მომეც, ეხლა ხელ ახლად მოგილოცო ამ შემთხვევაშიაც გამარჯვება. ყოველთვის სასიამოვნოა, როდესაც ჩვენი კოჭი ალჩუ ზის და, რომ ამ ორ შემთხვევაში ნამდვილად ალჩუა და არა სხვა რამე. ამას, შენ თუ არ იცი, მე გეტყვი ჩუმად ყურში. მაშ, ეგრე, ვანო, ღმერთსა ვსთხოვ, მრავალჯერ შემასწროს შენი ვაჟკაცობის გამარჯვებას და ამასთან ძველი მეგობრები და ამხანაგები არ დაგავიწყოს და მათ შორის არა უკანასკნელი.

შენი გიგო გაბაშვილი

P. S. მოცლით როცა იქნები, ორი სტრიქონი წერილი რომ მომწერო, დიდად დაგიმადლებ. Адресъ на всякій случай: В Батумъ Врачу Гуріиской дружины такомуто.

[1883 წელი]

ელისაბედ ორბელიანი-ბარიატინსკაია

1

3/15 Октября. Illenau. Achern.

Если подписка на грузинскую газету „დროება“ на имя Княгини Елизаветы Дмитріевны Барятинской уже истощилась, то прошу Г. Редактора возобновить ее и высылать по тому же адресу въ В. Герцогство Баденское, если случится перемѣна мѣста пребыванія, то въ Редакцію будетъ посланно увѣдомленіе, и данъ новый адрессъ – одновременно съ газетой получался журналъ „ივერია“, не знаю почему высылка этого журнала была вдруг прѣкращена.

Кн-ня Е. Д. Барятинская
[1883 წელი]

2

2/14 Ноября. Ilenau. Achern.

Любезный Князь,

Я получила увѣдомленіе, которое Вы потрудились мнѣ выслать, если только возможна высылка отъсюда въ вашу Редакцію стоімости журналовъ, то я буду очень рада возобновить подписку

и на будущий годъ, если доживу, на „დროება“ и на Иверию, хотя признаюсь, что злобы дней нынѣшнихъ, интереснѣе злобъ давно минувшихъ, которым кажется преимущественно бывают посвящены періодическіе журналы, впрочемъ говорить, что анализъ злобъ произошедших можетъ служить исправительнымъ способомъ злобъ переживаемыхъ. О томъ говоритъ польза изучения исторіи.

Куда это выписывать книги, любезный Князь, въ такую даль! Изъ такой дали! Что с ними дѣлать послѣ, когда ихъ накопиться здѣсь цѣлая куча? Недальше какъ сегодня, я отправила русскихъ ихъ, огромную связку обратно въ Петербург. – вотъ если Бог дастъ выехать изъ заграницы или къ вамъ, на дорогую родину, или въ другую нашу общую сердечную родину, то удовлетворять этимъ пріятнымъ потребностямъ души будет гораздо легче.

Простите пожалуйста бесцеремонный тонъ моего письма, ваше имя такъ привычно моему слуху, что какъ-то странно считать мнѣ васъ чуждымъ человекомъ, потому только, что мы может быть незнакомы, развѣ не все члены Гамарджобскіе Княжескіе фамиліи болѣе или менѣе сродни другъ другу, неисключая и техъ которые, какъ мы Орбеліановы попали къ вамъ Богъ знаетъ, отъ куда, но истинно сроднились съ вами ни только кровью, но и душой и сердцемъ! Движимая этимъ чувствомъ, я на днях провела тяжелый вечеръ прочитавъ въ двухъ страницахъ „დროება“ что, чуть не всѣ дома и не всѣ именія рискуют быть проданными съ аукціона, тяжесть эта еще и теперь не совсемъ прошла, это напоминаетъ последнее письмо Князя Г. Д. Орбеліани къ Фельдмаршалу въ Женеву, въ которомъ онъ жаловался именно на подобную угрожающую минуту, потрясло фельдмаршала до глубины души, оно чудно было написано! – Ни того, ни другого уже нѣтъ – но тот же фактъ повторяется, какъ видно, периодічески, и теперь тяжко откликается только въ моей одинокой душѣ.

Однако, какъ болтается съ соотечественникомъ, вотъ уже 3-й листъ бумаги – простите пожалуйста! – а также и за помарки, я больна и пишу вообще съ трудом.

К-ня Е. Д. Барятинская
[1883 წელი]

3

8/20 Ноября. Ilenau. Achern.

Единственную книгу, которую я бы хотела выписать, любезный князь, если вы потрудитесь взять на себя трудъ выслать мнѣ ее съ места, по почте анонимости. Это новый Лексикон или Диксіонар, составленный Кн-емъ Эристовымъ Грузинско-Русско-Латынскаго, о котором было объявленіе въ вашей газетѣ. Вы меня черезмерно обяжете.

К-ня Е. Д. Барятинская
[1883 წელი]

4

9/21 Декабря. Illenau. Achern. 9-d Duche decsale.

Благодарю васъ отъ всей души, любезный Князь, за высылку книгъ, я ихъ получила вчера и до трехъ часовъ ночи (т. е. уже утра) – провела и пріятные и грустные часы съ Княземъ Эристовымъ частью съ его біографіей, частью съ его поэзіей! Я бы желала возобновить подписку на დროება, и буду очень вамъ благодарна за продолженіе высылки – я съ вашей маленькой газетой,



ელისაბედ ორბელიანი-ბარიატინსკაია
თბილისი, 1860-იანი წლები
ფოტო: დიმიტრი ერმაკოვი

маленькой по объему, а в канунъ года, газетою богатой матеріалами (судя по малому числу полученному мною) все болѣе и болѣе ознакамливаюсь, привыкаю къ ее приемамъ и сдружаюсь съ нѣю – жаль только, что читаю съ трудомъ – она мнѣ служитъ ежедневнымъ маленькимъ урокомъ грузинскаго языка и грузинского чтенія – и вамъ я буду обязанна если сумею выучиться читать порядочно на родномъ языкѣ – видите какъ многимъ вы меня обязываете и какъ многимъ я вамъ должна быть благодарна! – желаю отъ души встрѣтить счастливо праздники.

Родственной, отечественной связью преданная вамъ незнакомка ваша

Княгиня Лиза Барятинская

P. S. სად დავიბადე, სად აღვიზარდე... и пр. и пр. –

Вчера я отъ нихъ чуть не заплакала, а сегодня пишу ихъ съ улыбкой – в каждой судьбѣ есть своего роду отрада – интересъ – хоть бы и неожиданности! – неправда-ли?!

[1883 წელი]

5

26-го Февраля – 9-го Марта. Illenau. Achern. 9-d Duche decsale.

Любезный Князь,

Прилагаю при семъ вырезку из вашей почтенной газеты. Эта уже 2-ая статейка объ одномъ и томъ же предмете упущения напечатанія объявления на грузинскомъ языкѣ – до этого лично мнѣ дѣла нетъ, чтоб сказать мою мысль, если они могутъ или не могутъ обойтись без объявлений, переведенных съ русского на „ихъ“ языкъ, и если это комплиментъ о необходимости подобного перевода! – но какъ одна-племенка съ дорогими Гамарджобами, признаюсь, мнѣ стыдно за нихъ, если имъ послѣ болѣе вѣкового присоеденения къ Россіи, еще нужны подобные переводы! Неужели они такъ глупы и такъ неспособны на изученіе хоть одного языка?! И если бы было подобного рода упущеніе въ объявлении, развѣ это скорѣе ни комплиментъ именно на то – что

гамарджобы въ томъ не нуждаются?! Это принудительное изучение чужого языка имъ скорѣе въ радость нежели въ обиду?! Для всякой мало мальски неглупой башки понятно, что изученіе и приобретеніе всякого чуждаго языка, есть прибыль не только матеріальная, но и умственная! А мне здесь обратилась въ грусть именно моя немощность выучится здешнему языку – и эту любовь въ приобретеніи знаній – я считала за искру данную мнѣ моимъ гамарджобскимъ родомъ! – и предполагала ту же любовь во всех соотеческах – а ваша газета все это дорогое вѣрованіе обращаетъ въ прах!!

Простите за распѣканцію, больной и ворчливой старухи! – дѣло въ томъ, что вопросъ о «принудительномъ» (какъ глупо это слово! – да за подобное принужденіе следовало бы поклониться въ ноги!) – изученіи языка и объ обидахъ подобного роду – я столько наслышалась в бытность мою въ Польше! – и думала, что все забыто и была такъ рада – а тутъ ваша газета затронула тотъ же вопросъ да о насъ же бѣдныхъ гамарджобахъ, и теперь это чувство мне гораздо ближе и чувствительнее – У васъ теперь и газеты и книги на нашем языке, – кажется чего бы болѣе? нервамъ еще переводы! – неужели въ Тифлисе кто прочитает по грузински, не сможет прочесть по-русски?!

Преданная вамъ Княгиня Е. Барятинская

Рожд. Княжна Орбелиани

P. S. Если бы вы знали, какъ часто я рассматриваю и любуюсъ въ вашей газетѣ надъ грузинскимъ шрифтомъ различныхъ формъ и величинъ – онъ мнѣ кажется так грациозенъ, гормониченъ, живописенъ, – это въ самом делѣ – чуть ни живопись! – округленность буквъ д, л, у – мнѣ кажется такъ чудно хороши!!!

Въ вашей газете часто находятся объявления о поступленіи въ продажу барсовой кожи на французскомъ языке, если бы былъ въ ней указанъ адресъ, то я выписала бы его из Парижа – отъ васъ же не рѣшаюсь – такая даль!

მართალი არ გამოდგა ის ამბავი, რომელიც გუშინ წინ ჩვენს მკითხველებს ვაცნობეთ შესახებ ვერის ხიდზედ ქირის აღების წესის გამოკიდებისა. ეს წესი სამივ ენაზედ არის დაბეჭდილი: ჯერ რუსულს, მერე სომხურს და ბოლოს ქართულზე. შეცდომა იმიტომ მოსვლოდათ ამ ამბის გადმომცემთ, რომ ცალი მხარე ქაღალდისა ამოკეცილია და ქართული განცხადება სრულად არა სჩანს. ვწუხვართ, რომ ესეთი შეცდომა მოგვივიდა, მაგრამ არ შეიძლება ჩვენი გაკვირვება არ გამოვხატოთ, რომ თუ უეჭველად ამოკეცა იყო საჭირო, რაღა ქართული ზედ წარწერა ამოიკეცა!!

[1884 წელი]

დიმიტრი ყიფიანი

„დროების“ რედაქტორს.

ბატონო რედაქტორო!

დიდათა გთხოვთ, ამ ჩემ წიგნს ადგილი უბოძოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში და ამით მძიმე ვალი მომახდევინოთ, ბ-მა იაკობ გოგებაშვილმა რომ დამატეხა.

ძალიან მძიმეა ეს ვალი, რადგან საქვეყნოა და საქვეყნოა, რადგან პირდაპირ მცნებათკიდობანს ეხება ჩვენსას, ჩვენს წმიდას წმიდათას.

ხუთი-ექვსი წელიწადი იქნება მას აქეთ, რაც „ბუნების კარი“ მომხვდა ხელში და შინჯვა დავუწყე. სხვადასხვა ათასნაირი შესამეცნებელი ამბვის ერთ წიგნად მოქცევა ძალიან მომეწონა და მართლადაც, ჩემის ფიქრით, კარგად იყო შეწყობილი; მაგრამ რა ენით? ღ-თო დიდებულო! „Подъячій слѣдовалъ за стряпчимъ“ – ქვეშე ვისი კვალავდა მზვარეულსაო, – ეს მთარგმნელების საკიჟინებელი სიტყვა მომაგონდა და ვსთქვი ჩემს გუნებაში: – ბ-ს იაკობს დიდი შრომა გაუწევია და ახალ მოსწავლეთათვის შეუდგენია ეს წიგნი. მოდი, შინაურულად, მეგობრულად მოვეხმარები, რომ ეს მთასიქითური ენა გადმოვაქართულებინოთ როგორმე; თორემ ენა ხომ ენათ წაიპილწა და მოსწავლეთაც თავი საწყევლად გაუხდებათმეთქი.

ავიღე ხელში კარანდაში და, მალე იყო თუ გვიან, პირველი სტრიქონიდამ სულ ბოლომდინ ისე გავუარე, რომ მეორედ დაბეჭდვაში საქმე, როგორც მეგონა, უნდა კარგა გაადვილებულიყო. ეს ვიცოდით – ერთმა იმან, ერთმა მე და ერთმაც ჩვენმა მეგობარმა.

ვალი მოვიხადე მეთქი, გულში ვთქვი და აღარ მიდევნებია კარგა ხანს თვალი, დაიბეჭდა ღა ეს წიგნი მეორეთ თუ არა! თურმე – რას ბძანებთ – არა თუ მეორეთ, მეოთხეთაც დაებეჭდათ და ერთს დილას შემომიტანეს ახალი წიგნი. მიამა, რასაკვირველია და ჯერ წინასიტყვაობას დავადექ! ოჰ! ნეტავი ეს წინასიტყვაობა კი არ დაეწერა და მე თუნდა გაველახე. სათავურშივე სწერს ბ. იაკობ: „ყურადღება მივაქციეთ ენის გაუკეთესოებასა; დიმიტრი ყიფიანმა გულდადებით გადაიკითხა და თავის შენიშვნები გამოგვიგზავნა... და ჩვენც ჯეროვანად ვისარგებლეთ და ენა ყველგან გადავასწორეთ, სადაც კი მის უკანონობაზედ დავრწმუნდითო“.

მე ჩემი მონაწილეობის გამოცხადება გუნებაშიაც არ გამვლებია; ახლა კი, რადგან ბ. იაკობ გოგებაშვილი თვითონ აცხადებს, დაფარვა აღარ არის საფიქრებელი და უნდა ვსთქვა, რაც აუცილებლად არის საჭირო, რომ ქართულის მასწავლებლებმა მაინც შეიტყონ როგორმე.

ბ-ი იაკობ საქვეყნოდ, ესე იგი, ათასჯერ მაინც დაბეჭდილი სიტყვითა ბძანებს: ყიფიანისაგან შენიშნული შეცთომა ყველგან გავასწორეთ, სადაც კი უკანონობაზედ დავრწმუნდითო. – მაშ, თუ ამ მეოთხედ დასტამბულ წიგნში კიდევ არის სადმე უკანონობა, სჩანს, მე არ შემინიშნავს, ან შევნიშნე, მაგრამ ბ. იაკობ არ დარწმუნებულა უკანონობაზედ. – ვნახოთ.

ჯერ რაც გადაშლილია, – წინასიტყვაობა, – იმას დავჰხედოთ: მეორე სტრიქონში არის – ენის გაუკეთესოებასაო!

რატომ არა, შეიძლება ითქვას, სამაგალითოდ, სახუმრელად: გაუმჯობესობა, გამშვენიერებლობა, გაუმშვენიერესებლობა, გაუპატივცემულესობა; მაგრამ სამასწავლებლოსა და გასამასწავლებულესობის წიგნში ამისთანა სიტყვებს რა ადგილი უნდა ჰქონდეთ? წმინდა ქართული – განვითარება – რათ დაიწუნეთ?

იქვე, ბოლოდამ 3 სტრიქონში: წიგნის გარეთ დაანარჩუნაო, რ-ლი ქართველი იტყვის?

ახლა გადავშალოთ წიგნი, სადაც უნდა იყოს:

გვერდი 48. ბოლოდამ 10 სტრ. – სირაქლემა მალე მიეჩვევა მოსამსახურობასაცა. მოსამსახურობა და სამსახური, იქნება, ბ-ს იაკობს ერთი ეგონოს, მაგრამ არ არის ერთი.

გვერდი 49. ზევიდამ 4 და 5 სტრ. – „არ ავიწყდება... როცა არიან“. – ქართულად უნდა: ან ავიწყდება როცა არის, ან ავიწყდებათ, როცა არიან.

გვ. 50. ბოლოდამ 5 სტრ. აქ ყორანზედ არის ლაპარაკი და არა ყვავზედ.

– 145 – 11, 12, 13 სტრ.: „იგი გაკეთებულია... ნაფოტებისაგან და სხვა ბევრი რამისაგან“. – ჯერ ეს, რომ იგი – ნაცვალსახელი არის სამწიგნობრო კილოსი და თქვენი წიგნი

სასაუბროთია დაწერილი. მეორე – ნაფოტებისაგან არის ჯინჭვლის ბუდე გაკეთებულიო, – ნაფოტებმა როგორ გააკეთესო, ამას არ იფიქრებს მაშინვე თქვენი მოწაფე? ნაფოტებისაგან კი არა, ნაფოტებით, ან ნაფოტებისა. რამისაგან – სადაური ქართულია? აი ამისი ქართული ბრუნვა: რამე, რისმე, რისგანმე, რისთვისმე, რითიმე, რასმე, რაზედმე, რამ ან რამან.

– 165. ბოლოდამ 13, 14 სტრ. „შუბლის ქვეშ... რომლებსაც. რაზედაც გნებავთ დაგენაძლევებით ბ-ო იაკობ, რომ არა ქართველმა კაცმა არა სთქვას, ეს ქართულიაო, თუ არ თქვენმა მოზარდმა ვინმე.

– 246. ზევიდამ 10, 11 სტრ. „უცოდინარო“ კი არა, უცოდინარი უნდა.

– 247. – 11. „უბედურებას მორჩა“. შეიძლება, თავისი საქმე გაეთავებინოს კაცსა და თქვას, მოვრჩიო, ან სნება სჭირებიყოს რამე და რომ განთავისუფლებულიყოს, ეთქვას მოვრჩიო, მაგრამ თუ კაცს უბედურება ელოდა რამე, ან სხვა განსაცდელი დასცილდა, – მაშინ ის კაცი იტყვის – მოვრჩიო კი არა, გადავრჩიო, ან გადავურჩიო; მესამე პირი: გადარჩა, გადაურჩა. – 13. „ჯალაბობა გაუსაღდებოდა“, – თუ კარგათ ეყოლებოდა? გასაღება ქართულად გაცემა არის, დახარჯვა, მოხმარება.

გვერდი 258. ბოლოდამ 7 სტრ. ...„უღელი კისერზედ არ სდგომიათ“. სდგომიათ – ერთია და სდგმიათ – სხვა არის. კაცი სახლში სდგომიათ, მსახური თავსა სდგომიათ. ბოთლი სტოლზედა სდგმიათ, ლიტრა წყალი გვერდითა სდგმიათ. უღელი კისერზედ სდებიათ.

– 259. ზევიდამ 14 სტრ. „სიღნახი ათიათასს მცხოვრებს იპყრობს“. როგორ? ხელში უჭირავს ყველანი? მიპყრია – მიჭირავს, მიჭერია.

– 267. ბოლოდამ 2, 3 სტრ. „თუ თავი ჩემი მეგობრად მყავს, ღარიბად არ ვიხსენებიო“; – ეს ხომ რუსულ-ნემეცურს დაემსგავსა: для того щука въ морѣ живетъ, чтобъ караси не ложилися спать. ქართული ანდაზა ასე გახლავთ: თავი თუ მყავს მეგობრათა, ღარიბათ არ ვიხსენები.

– 317. ზევიდამ 6 სტრ. „ქვეყნის მდებიარობამ“... მდებიაროზა ავათმყოფობაზედ ითქმის, მძიმე ავანტყოფიაო, მდებიარეაო. თქვენ რომ თქმა გინდოდათ, ის არის მდებარება, მდებარეობა. – ბოლოდამ 15 სტრ. ...ირაცხებოდა და ირიცხებოდა დიაღ სხვადასხვაა. მეოთხე ნაწილად ირიცხებოდა და ცუდკაცად ირაცხებოდა. ერთის დასაბამი არის რიცხვა (თვლა), მეორესი რაცხვა. – 5 სტრ. ანდრიამ დაარსაო, ქართული არ არის. ქართული ზმნა არის დაარსება და ასე მიმოიხვრის: ...დავაარსე, დააარსე, დააარსა...

– 343. ზევიდამ 6 სტრ. „ვალდებული იყო, თავის ქვეყანა... ემართა“. ვისი ემართა? თქვენ ეს გინდოდათ, გეთქვათ: ვალდებული იყო, რომ თავისი ქვეყანა ემართა, ან თავისი ქვეყნისათვის ევლო ან მოევლო...

– 367. 15 სტრ. „ანგარეობას“... ვერ დავიჯერებ, რომ გრიგოლ ორბელიანის ლექსში ანგარეობა იყოს და არა ანგაარება.

– 391. 3, 4 სტრ. „არამედ მასში... მისდამი“, ორი კილო კიდევ შერიეთ?

– 14, 15 სტრ. „ყველაზე კარგა“ კი არა, ქართულად უნდა – ან ყველაზედ უკეთ, ან ყველაზედ უფრო კარგა. – „სიმღერას დაიწყობდა კი არა, – დაიწყებდა. ვაწყობ, ვიწყებ; – დავაწყობ; დავიწყებ; დააწყო, დაიწყო; ამ სიტყვებში რომ გარჩევა არის, რწმუნდებით ნეტავი თუ არა? ესე იგი, იჯერებთ თუ არა?

– 402. ბოლოდამ 4 სტრ. „ბუზსავით“ – არ ითქმის. რასაც სახელს ბოლოში ი უზის, მაგალ.: კაცი, ქალი, ცხოველი, – შესადარებლად თან დაჰყვება ვით. კაცივით, ქალივით, ცხოველივით და რასაც სხვა ასო უზის რამე, უხმო თუ ხმოვანი, მაგალით.: პეტრე, ან-

დრია, ოქრო; ბაგრატ, ლუარსაბ, – თან დაჰყვება სავით: პეტრესავით, ანდრიასავით, ოქროსავით, ბაგრატსავით, არჩილსავით.

გვერდი 403. ზევიდამ 8 სტრ. წინ ედგა სტაქანი, ბოთლი, საღვინე, ქვაბი, და წინ უდგა – კაცი, ბიჭი, გოგო. – ბოლოდ. 9. „ვიღაცამ თუ ვიღამაც? აი, ამისი ბრუნვა: ვიღაც, ვიღასიც, ვიღასაც, ვიღასგანაც, ვიღასთანაც, ვიღამაც.

კი არ იფიქროთ, რომ ამას გარდა სხვა შეცთომა „ბუნების კარში“ აღარა იყოს რა. ძალიან იშვიათად შეგხვდებათ 415-ში ისეთი გვერდი, რომ დამახინჯება არა იყოსრა ქართულის ენისა.

ეს ჩემი ბრალია თუ ვისი, ახლა საქმეს გასწორება უნდა როგორმე; თორემ წახდა ჩვენი მშვენიერი, ჩვენი სათაყვანებელი ენა!!

ქართველებში წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება რჩება ახლა საქვეყნო პასუხისგებაში; – თუ კიდევ არსებობს, ან წიაღსაშინა იაკობისასა არ განისვენებს, უსაცილოდ უნდა გაასწორებინოს ვისმე, ქართულის მცოდნეს ეს „ბუნების კარი“ და სხვა გოგებაშვილის სამოსწავლო წიგნი რაც არის, თუ არა და თავისს სკოლებში მაინც არა ვის ახმარებინოს.

ჩემთავად, მე ამას გავბედავ და მოვახსენებ: ერთი ათიოდე თუმანი გადასდვას საზოგადოებამ და ქართლს სოფელს ვარიანში იქირავოს ვინმე ერთ-ერთი იქაური ხნიერი კაცი; – იმას უკითხონ გოგებაშვილის წიგნი; რასაც ვერ გაიგებდეს, აუხსნან ხოლმე და, როცა გააგებინებენ, ჰკითხონ, ის როგორ იტყოდა და როგორც იტყვის, ისე დასწერონ. უეჭველია, სწორეთ გამოსადეგი წიგნი გამოვა მაშინ და იმის გასამრჯელოთაც ათი თუმანი, დიაღ, იკმარებს.

რაც ქართული ასოებით დაიწერება, ყველა ხომ ქართული არ იქნება: მე სპარსული წიგნიც მინახავს ქართული ასოებით დაწერილი. – ქართული ასოებით რომ სომხურად, მეგრულად ან ჭანურად შეადგინო წიგნი და ქართველ ბავშვებს აკითხოთ, რა უნდა გაიგონ. – ზოგი რომ აქითური იყოს და ზოგი იქითური, ეს ხომ უარესი.

ეს უნდა მეთქვა და ვსთქვი. ახლა თქვენ იცით.

დიმიტრი ყიფიანი

3 ნოემბერი, 1883. ს. ქვიშხეთი

2

12 ნოემბერი, 1883. ს. ქვიშხეთი.

მოწყალეო ხელმწიფევ, კნიაზო ივან გიორგისძევ,

4 ამ თვეს გამოგიგზავნეთ „ბუნების კარის“ შესახები ჩემი წერილი დასაბეჭდავად.

შევსცდი.

ამასთან 3 ფოჩტის მარკას გიგზავნით და გთხოვთ, თუ დასტამბული არ იყოს, დამიბრუნოთ.

ამას გარდა:

„დროების“ 222 №-ში არის დაბეჭდილი ვ. ო-ს ლექსი „ძველს მეგობარს“.

ეს ჩემთან არის მოწერილი და რადგან თქვენს გაზეთშია დაბეჭდილი, ვჰგონებ, სიმართლე მიმიძღოდეს, რომ ჩემი პასუხიც იქ დაიბეჭდოს.

ამ იმედით გიგზავნით ჩემი ფსევდონიმით მოწერილს „ძველი მეგობრის პასუხს“.

თქვენის ბრწყინვალების უმორჩილესი დიმ. ყიფიანი

3

18 ნოემბერი 1883. ს. ქვიშხეთი.

უძვირფასესო ბატონო კნიაზო ივანე,

ჩხუბში მე თქვენი მხარე უნდა დავიჭირო და, ჯერჯერობით მაინც, ისეთი აღარა დავბეჭდოთ რა, რომ კვერის დაკვრას ეგვანებოდეს მტრისას.

მაგრამ, გთხოვთ, ეს გადასცეთ ბატონს იაკობს, რომ თუ მეხუთედ დაბეჭდილს წიგნშიაც ამნაირი საბრალო ჩვენი ენის გაუპატიურება ვნახე, მაშინ კი, ნურას უკაცრავად, რომ აღარც ჩხუბს მივჰხედო, აღარცა ვის ხათრი შევუნახო და მოურიდებლად ვთქვა ჩემი სათქმელი.

ვარიანი რომ ვახსენე, მე ეს არ მიხუმრია. იქაურია ბ. იაკობი და მგონია, იქ არავინ უთხრას უარი, თუ სთხოვს ვისმე და შინაურულად გადააქართულებინებს, რაც ქართული არ არის.

გულითადი პატივისმცემელი თქვენი დიმ. ყიფიანი

მაჰმადიანი ქართველი თავად-აზნაურები

მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, ბათუმის მაზრის მაჰმადიან ქართველნი თავად-აზნაურნი თქვენის პატივცემულის „დროების“ შემწეობით გამოუცხადოთ გულითადი ჩვენი თანაგრძნობა და პატივისცემა ქუთაისის და თბილისის კეთილშობილთ, რომელთაც გუბერნიის მარშლებად აირჩიეს ღირსეული მამულიშვილნი, ცნობილნი დაუღალავი საზოგადობრივი მოღვაწენი, დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი და ივანე მუხრან ბატონი.

იმ გულწრფელს აღტაცებას, რომლითაც მიეგება მთელი საქართველო ამ სამაგალითო აღმორჩევებს, ჩვენ გულწრფელად ბანს დავსძენთ და თანავუგრძნობთ.

ჩვენ, გამაჰმადიანებული ქართველნი კეთილშობილნი ბათუმის მაზრისა, ვმადლობთ უზენაესს განგებას, რომელმაც ორასი წლის შემდეგ ისევ შეგვყარა საქართველოს სახელოვან კეთილშობილებთან, ჩვენს ღვიძლს ძმებთან. გულწრფელად ვაღვიარებთ, რომ გულით, სულით, მთლად ჩვენი არსებით ვეკუთვნით აღნიშნულს წოდებას ჭირშიც, ლხინშიც, ავშიც და კარგშიც.

ამ ზნეობრივს კავშირთან საჭიროა ფორმალური აფიციალური კავშირიც: ჩვენ გვსურს, რომ ჩვენც მიწერილნი ვიყვნეთ ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურობასთან.

სრული იმედი გვაქვს, რომ დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი იშუამდგომლებს, საცა ჯერ არს, რომ ჩვენც მიგვაწეროს ქუთაისის გუბერნიის კეთილშობილთა წოდებას, რათა მათთან ერთად შეძლებისდაგვარად ჩვენც ვემსახუროთ იმ წმინდა დანიშნულებას და მოვალეობას, რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად დაუნიშნა საზოგადოდ მთელი იმპერიის თავად აზნაურობას უმაღლესის რესკრიპტით.

ქ. ბათუმი. ივლისის 8-ს

1. ხუსეინ ბეგ სანჯაკ ბეგ ზადე აბაშიძე, 2. იბრაჰიმ ბეგ სანჯაკ ბეგ ზადე აბაშიძე, 3. ხუსეინ ბეგ აზაბ აღა ზადე, 4. ბიბინ ზადე დურსუნ ბეგ გუსეინ ეფენდი ბაარან ზადე ზაქარაძე, 5. გუსეინ ეფენდი კარა აღა ზადე ზაქარაძე, 6. ხასან აღა ქიქავა ზადე, 7. ესეთ აღა ლონკრო ზადე (მარადიდელი), 8.

ოსმან აღა მუფტი ოღლი, 9. ალი აღა ჯედთ ოღლი (ჩურუქსუელი), მაჭახლიდგან – 10. ოსმან აღა შაშიკ ზადე, 11. ქიქავა მემედ აღა, 12. ფაღავა თაირ აღა, 13. გვარელ ოღლი ალი აღა, 14. აბდი არა ზადე ყედირ აღა, 15. იბრაჰიმ აღა ელი ოღლი, 16. არიფ აღა აბდი აღა ზადე, 17. გვარელ ზადე ხუსეინ აღა (მაჭახლიდგან), 18. თოფალ ოღლი ხასან აღა, 19. ჩელებაღა ზადე ხასან აღა ჩიჩავაძე

[1885 წელი]

ნოვოროსიის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები

„დროების“ რედაქციისადმი.

14 ენკენისთვეს ტელეგრაფმა მოგვიტანა შემაძრწუნებელი ამბავი ჩვენი – ერთად-ერთი საქართველოს გაზეთი დაგვიხურეს თავის ოცი წლის პატიოსნურ სამსახურში ჩვენის სამშობლოსთვის, „დროებამ“ მოიპოვა იმისთანა სიყვარული და პატივისცემა საქართველოს დიდიდამ პატარამდის, რომ ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია მისი დაკარგვა. ჩვენ, აქ ქართველი სტუდენტები, ვუერთდებით დღეს თქვენ და საზოგადოთ საქართველოს მწუხარებას და გულწრფელად ვივსებით ზიზღით და მძულვარებით მათდამი, ვისაც ჩვენი დაჩაგვრა მიზნათ აუღია.

მაგრამ იცოდენ მტარვალებმა, რომ რაიც უნდა უფრო მაგრათ მოგვიქნიონ ხელი, მათ აღარ შეუძლიათ, სამუდამოთ დააძინონ ჩვენი სამშობლოს ნელი აღორძინება, გაღვიძება, საქართველოს ძარღვმა დაიწყო მაგრად ცემა და მისი გაჩერება აღარ შეუძლია ჩვენი მტარვალების უქაზებს და დადგინებაებს.

„დროების“ დიდი შრომა, ღვაწლი მიუძღვის ჩვენ სამშობლოს აღორძინებაში – ყველა ჩვენი პოეტები, ლიტერატორები და საზოგადო მოღვაწეები იღებდენ მასში მონაწილეობას.

დიდება თქვენ და მათ, რადგან ამ დიდს შრომაში არაფერ დაბრკოლების წინ არ დაწეულხართ და არც აწი დაიწევით.

ნოვოროსიის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები:

ივ. ელიაშვილი, ი. ლორთქიფანიძე, ივლ. ანჯაფარიძე, ვლ. მესხი, დიმიტრი ჩაჩიკაშვილი, ი. სალაყაია, ახვლედიანი, თ. ედიგაროვი, დ. ყიფიანი, ნ. ხარაძე, რ. ბარათაშვილი, გ. ლორთქიფანიძე, ვასილ წერეთელი, კ. ვარფოლომეევი, რომანოზ ფანცხავა, გ. ჩაჩიბაია, გიორგი ლასხიშვილი, ბახცელიანი, ივანე აფხაზი, ა. ხევცურიანი, ვლ. აბულაძე, კ. მესხი, ლ. ანდრონიკაშვილი, გ. ოჰანეზოვი, ი. ოცხელი, პ. მოსიძე, ს. ბახთაძე, მ. ოგანეზოვი, ერ. ქორქაშვილი

[1885 წელი]

პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები

ბატონო რედაქტორო!

გაზეთებში ამოვიკითხეთ მართებლობის განკარგულება თქვენი პერიოდული გამოცემის შესახებ. ამ მოულოდნელმა ამბის გაგონებამ თავზარი დაგვცა ყველას. თქვენი გაზეთი, რომელიც ოცი წლის განმავლობაში კეთილ მწყემსობას უწევდა ჩვენს ობოლს

ქვეყანას და საზოგადოებას, სამუდამოთ აღუკრძალავთ. ყოველი წერა-კითხვის მცოდნე ქართველი, რომელსაც მომავალი ბედისწერის იმედი არ გაჰქრობია, უთუოდ შეძრწუნდება და ამ აზრით მით უმეტეს, რომ „დროებისაგან“ დიდათ არის დავალებული ჩვენი ქვეყანა – „დროება“ იყო ერთადერთი მეთვალყურე, გულშემატკივარი ჩვენი მკვდარ-ცოცხალი ცხოვრების, მისი ინტერესების და წარმატებისათვის გულწრფელი და პატიოსანი მებრძოლი. ახლა ჩვენ ხელთ არის იმის დაწვრილებით გადათვალიერება, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა თქვენს ორგანოს ჩვენი ქვეყნისათვის საზოგადოთ, ან კი შესაძლოა, დამჯდარის გონების თვალით გაზომო რომელიმე საზოგადო მოვლინების მნიშვნელობა იმ დროს, როდესაც უბედური დღის სიმწარე საშინელის სამსალით გიშხამავს მთელს არსებობას? ვიტყვით კი, რომ ჩვენ, კერძოთ, სტუდენტები სამუდამოთ მადლობელნი და დავალებულნი დავრჩებით „დროების“ იმ სამსახურისთვის, რომელსაც გვიწევდა იგი ჩვენ, სამშობლო არე-მარეს დაშორებულებს. – თქვენ კარგათ უწყით, ბატონო, თუ რა ზედ-გავლენა აქვს ადამიანზე მშობელი ქვეყნის დაშორებას რამდენიმე წლით. – შენს გარშემო ყოველი და ყველაფერი უცხოა შენთვის და შორეული. – იქ კი, შორს, სატრფო მხარეს, რომელსაც უხეირო დრომ დაგაშორა, იქ არის შენი გული, შენი ოცნება. – იმ მხარის ყოველი გულისთქმა, სულისკვეთება ახლო შენთან, მის მაჯისცემა შენი საკუთარი სხეულის აქტია. – თქვენი გაზეთი იყო ამ ჩვენის – მშვენიერის, მაგრამ გაბედდოვლათებულის – სატრფოსი ჭირისუფალი, მისი კარგის მოხარული, მის ავზე მკვნესარი; თქვენი გაზეთივე იყო ჩვენთვის კერძოთ ყოველდღიური ხმა სამშობლოდამ, ჩვენი ერთგული შიკრიკი. – და ეს უკანასკნელი ნუგეშიც წაგვრტაცეს!

ძალადობით სიკვდილმა დღეს სამუდამოთ მოგვისპო „დროება“, მაგრამ ჩვენ სილაჩრეთ მიგვაჩნია მომავალისადმი იმედის დაკარგვა. – ვინუგეშებთ, რომ „დროების“ სახელის წარხოცით არ გაჰქრეს ჩვენში ის არსი, ის მიმართულება და სანატრიონი, რომელიც „დროების“ პატიოსან მუშაკებს ამხნევებდა და ახელმძღვანელებდა. ჩვენ გვრწამს ჩვენი საზოგადო მოღვაწეების სიმედგრე.

თქვენი მოღვაწეობის გულითადი თანამგრძნობელნი და მადლობელნი პეტერბურგში მოსწავლე ქართველთა ახალგაზრდობა:

იას. ნიჟარაძე, დ. ქუთათელაძე, დ. ჯორჯაძე, პ. ბრაილოვსკი, ტ. კეჟერაძე, მ. ქართველიშვილი, ი. დადიანი, ს. ჯანაშვილი, მ. მღვდლიშვილი, ი. გუნცაძე, ალ. ლორთქიფანიძე, კ. გოცირიძე, იას. ლორთქიფანიძე, ე. თაყაიშვილი, ი. რატიშვილი, ივ. გურიელი

[1885 წელი]

ნოდარ ჯორჯაძე

Февр. 13. гор. Телавъ.

Другъ Вано!

Не знаю, право, какъ и начать: ведь я надоѣлъ тебѣ вѣчными своими просьбами!.. Но, что дѣлать?..

Скажи, пожалуйста, что дѣлать, – разумѣется, кромѣ немедленной высылки дѣнегъ?

Нельзя-ли сдѣлать такую вещь: садъ оставить за банкомъ и пусть будетъ за нимъ еще два-три

мѣсяца. Все равно, вѣдь, за это время съ него урожая получить нельзя, а, между тѣм, я, по всей вѣроятности, смогу уплатить слѣдуемое по истеченіи этого срока. Впрочемъ, ты не поверишь этому, хотя-бы и потому, что я уже обманулъ тебя.

Является, поэтому, надобность объясниться: увидишь, что я не такой врунъ какъ долженъ был-бы казаться. Мнѣ обѣщано было за эту кропотливую, надоѣдливую и огромную работу 400 руб., – дали только 250; такъ что последніе два мѣсяца я работалъ (и вѣдь работа какая, – не повѣришь, не менѣе 12 часов, и часто 14 в сутки), бѣзо всякого вознагражденія. Затемъ, самимъ Его Превосходительствомъ обещано мѣсто въ началѣ Января, – и до сихъ поръ его нетъ. Тутъ по неволѣ обманешь, – сидишь все время безъ денегъ.

Я думалъ такъ: дадутъ мѣсто, займу и уплачу, вѣдь тогда будетъ обширный кредитъ. И это такъ-бы и было, но видишь, „не моя въ томъ вина“, что это не такъ случилось.

Если можно будетъ, пожалуйста, повремените полнымъ очужденіемъ.

Увѣряю тебя, что в моихъ словахъ нѣт неправды и ты можешь повѣрить, что я употреблю всѣ меры, чтобы сдержать свое слово. Окончательный ответъ я въ состояніи буду дать въ первыхъ числахъ апрѣля.

Попроси отъ меня и кн. Илью. Нужно имѣть въ виду, что за отчужденіемъ этого сада у насъ не останется ничего. Я то, признаться (къ стыду своему долженъ сказать), не дорожу этимъ садомъ, – но мои бѣдные старики... ихъ жаль.

Пожалуйста, Вано, постарайся еще разъ для меня.

Твой Нодаръ Джорджадзе

P. S. Не нужно говорить мнѣ много, чтобы ты повѣрилъ, какое большое удовольствіе я чувствую вследствіе успеха Гамлета. Всѣ въ восторгѣ отъ твоего перевода. Э-эхъ! Ужасно хочется къ Вамъ. Какъ тутъ скверно и пошло!

Н.

[1886 წელი]

2

3 Июня, вечеръ.

Любезнейший и дорогой другъ!

Благодарю тебя за вниманіе и нѣкоторое участіе. Мнѣ, неизбалованному товарищескими и дружескими отношеніями, крайне приятно видеть ихъ хоть изрѣдка.

Я не помню, въ какихъ именно словахъ писалъ тебѣ относительно женитьбы, но мнѣ кажется, что во всякомъ случае они были не таковы, мнѣ кажется, чтобы ты мнѣ дѣлалъ заключения, выраженныя в твоемъ письмѣ. Съ моей стороны было только исполненіе долга, – больше ничего и, напротив, я не раскаиваюсь въ сдѣланномъ мною. Быть можетъ, я нашелъ бы подругу, съ которою у меня было бы болѣе общаго, но на это нужно было время и средства. И вообще объ этомъ предметѣ когда либо на свободе поговорю с тобой, теперь-же хочу поспѣть въ этом же письме ответить относительно дѣла.

Ты говоришь, – нужно заплатить еще 20 руб. (двадцать или двести?); т. е. какъ же это, в счетъ ли процентов пойдут эти деньги или всѣ расходы по укрепленію превзойдутъ имѣющіся у Васъ 120 руб. на эту сумму? Прошу не сердиться за безпокойства, мною тебѣ причиняемые и подробно это дело объяснить. Из за двадцати руб., хотя мнѣ это трудно, не оконфужусь. Я желал-бы приобрѣстъ садъ на свое имя. Доверенность думалъ прислать Шакро Вахв., но его часто въ

Тифлисъ не бывает. Нельзя-ли на твое имя или на имя кого-либо из служащихъ подъ твоимъ руководствомъ? Как только получу твой ответъ, сейчасъ вышлю и деньги и, по всей вероятности, деньги. Мнѣ-бы обернуться только эти два-три мѣсяца, а тамъ даже и источникъ средств есть; пожалуй даже черезъ мѣсяцъ въ моемъ распоряжении будетъ цѣлый капиталъ, – подумай, до 150 руб. (ста пяти десяти).

Дорогой Вано, такъ что пиши и не ругайся.

Бедный, бедный Ревазъ! Поверишь, – я плакалъ! Говорятъ, есть надежда, ему, какъ передавали мнѣ, лучше.

Нотариусъ Цицкіевъ, въ квартирѣ которого пишу сію эпистолу, шлетъ тебѣ сердечный приветъ.

Искренно любящий и уважающий тебя

Н. Джорджадзе

[1886 წელი]

ნიკოლოზ დიასამიძე

ძმაო ვანო!

ჯერ ერთი ესა, რომ „ბოშას“ რისთვის მეძახი? რომელის კანონით და უფლებით? სასაცილოდ ასაგდები ყოველთვის მე გყევარ. აქაც არ მასვენებ; მაშინაც კი მასხრად მაკეთებ, როცა საჭირო საქმე გაქვს ჩემთან. ზემო ქართლში ციგანს ეძახიან „ბოშასა“. მაშ, მე ციგანი ვარ და ვყოფილვარ კიდეც!? ბოშა ხარო, რომ გეთქვა, ქრისტიანულად თქმა არ შეიძლებოდა? მეორედ... მეორედ კი, კარგს იწერები, „ფორმალისტობა არ გიყვარსო“, ეგ მართალია და თუ მართალია, შენი თხოვნაც საბუთიანია; ergo... დასკვნა შენც იცი. შენმა გაზრდამ, თხოვნას შეგისრულებ და იმედიც მაქვს, რომ შევასრულო. ერთს რამეს კი მეცა გთხოვ: ბოშა აღარ დამიძახო. სხვა არა იყოს-რა, წლოვანებით შენზე უფროსი ვარ... მეგობრობაც სრულ ნებას მაძლევს, ამ თხოვნით მოგმართო. ბოშა... ბოშა... მე ეს სიტყვა ვერ მამინელებია!.. პირს გაკოცებ. დიდხანს ველარ გნახამ. სუდია სიღნაღში გადაჰყავთ, ეხლა ქალაქში მოდის და მე დავრჩები მარტოდმარტო.

შენი ნიკო

26 აგვისტოს, 86 წ.

იონა მეუნარგია

1

23 ივნისი, 1887. ზუგდიდი.

ასე არ უნდა, ძმაო ვანო, თორემ შენ იცი.

ანუ: ისევ შენ, თორემ სხვა ვინ? მე ვიცი, ილია მომწერს წიგნს და შემისრულებს თხოვნას. არც აქეთ, არც იქით. უნდა გამომიგზავნო: ახალ-გამოცემული ჩარკვიანის „ვეფხის-ტყაოსანი“ და „ძმური სიტყვა“ მაჩხანელისა. Diable, le voilé placé a coté Rousta vel. თუ

რამე ახალი წიგნი არის და იმასაც ზედ დაატან, კარგი იქნება, მაგრამ უნდა გამოგზავნო შენებურად, ე. ი. à la vapeur, მიღებისთანავე, რომ მე დროზე მივიღო, თორემ ლეჩხუმს მივდივარ საზაფხულოდ და მერე გვიან იქნება. სეკდემბერში ჩამოვალ ქალაქს და მოგართმევ, რაც მემართება.

ვანოჯან, მომწერე, რა ამბავია ქალაქში. არაფერი არ ვიცი, რა ხდება გაზეთ გარეთ. ათასში ერთხელ თუ ნიკოლაძე მომწერს, თორემ არავის ვახსოვარ.

ეჰ! წავიდა უშნოდ, უგემოდ ეს სიყმაწვილეც. მეგობარი არა, სიყვარული არა, ცოლი არა, შვილი არა, იმედი არა. შენ მაინც მომხედე გაჭირებულს და დიდი, დიდი თაბახი მომწერე, გადაჭრელებული ჰამბებითა, ჭორებით, არშიყობით.

მომწერე „ვეფხ. ტყაოსნის“ საქმე. არამც და არამც არ დაიწყო ბეჭდვა შემოდგომამდის. მე გამოცდილი ვარ ბეჭდვაში და ვიცი: ბეჭდვა მაშინ უნდა დაიწყო კაცმა, როცა ყოველისფერი მზად არის, როცა ტიპოგრაფიასთან პირობა გაქვს შეკრული, შტრაფით, რომ არც ის დაიგვიანებს ბეჭდვას და არც შენ, როცა ერთი სიტყვით არაფერი დაბრკოლება არ არის რედაქციის მხრით, თორემ, შენი მტერი, „დასტურ-ლამალსავით“ საქმე მოხდება. მოუმზადებლად რომ დაიწყო საქმე და შენებურად აჩქარდე, კიდევ უარესი. ტექსტს რომ თავი დავანებოთ, ზაპიატაიები და ტოჩკები არ არის დასმული ჯერ რიგიანად. ძნელია და თავ-საქეჩი ეს საქმე, მაგრამ რა კი ხელი მოჰკიდე, მეტი რა ღონეა, თავში ქვა უნდა იცე. კიდევ იკითხო, ასწორო, ოფლი ღვარო და სულ ყველაფერი რომ დამზადდება, მერე მოჰკიდო ხელი ბეჭდვას. აი, კიდევ მეორე რჩევა: თუ სხვა-ფრივ მზადა ხართ, დაბეჭდე, ნიმუშად ერთი ფორმა (რვა გვერდი), ვითომ და მართლა გამოსაცემად ბეჭდავთ, თავის ბორდიურებითა და სხვა ჰანგებით, წმიდათ, ფაქიზათ, დაბეჭდე ასე, ოციოდე ეკზემპლიარი. აჩვენე ნაცნობ-მეგობრებს, იმათი ჰაზრი მოისმინე, შენც და სხვათაც დააკვირდით ამ ზაფხულ (დრო დიდი ოსტატი არის) და ბოლოს ვნახოთ, რა გამოვა რისაგან. დამიჯერე, ხარჯს ნუ მოერიდები, ამ ფორმის აწყობა ერთ თუმანზე მეტი არ დაჯდება და ეს ერთი თუმანი ბევრ ჭკუას გვასწავლის. ხომ ხედავ, საფრანგეთი 8 მილლიონს ხარჯავს სამაგალითო მობილიზაციისთვის. ვითომ შენ ბულანჟე ხარ!

წიგნები ქუთაისში გამომიგზავნე ამ ადრესით: Кутаисъ. Его свѣтлости, Генерал-адъ. кн. Григорію Дадіани. გადაეცით ი. მეუნარგიას.

ქაღალდიც გათავდა.

შენი იონა

2

ძმაო ვანო.

შენი წიგნი სწორედ იმ დროს მომივიდა, როცა სვანეთში დავაპირე წასვლა და ამიტომ ვერ მოგწერე, შემხვდებოდა ჩამოსვლა ქალაქს, თუ არა. მას აქეთ განძრახვა ასრულებაში მოვიყვანე – ვნახე სვანეთი – საცა სამი კვირა დავყავი და დაბრუნებულზე „ნოვაია ობოზრენიაში“ წავიკითხე „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვა დაიწყესო. Въ добрый часъ! არ იქნება კარგი, რადგანაც ეს პირველი გამოცემა არის, როსკოშნისა, მაგრამ ხომ უნდა დაიწყოს როდისმე, – ჩვენი თაობის შეცდომაზე მეორე თაობა დალაქობას ისწავლის. მაგრამ, რაც შეიძლება, ცდას ნუ დააკლებ, გამოცემას შენი სახელი ერქმევა. ჰკითხე ასთა და სრედნაია გამოარჩიე. ასე, ჩემო ვანიჩკა.

მე ხომ ვარ და ვარ მუხთალი. ქალაქს ვერ ჩამოვალ, რადგან გუბერნატორს დაუნიშნივარ ვოინსკი პროსუსტვიის წევრად და სალდათობა ოკტომბრის დამლევამდის არ გათავდება. მაშინკი ჩამოვალ, თუმცა კი გვიან იქნება. ოტტისკი რათ არ გამომიგზავნე? თუ ძმა ხარ გამოგზავნე, სული მიმდის, სანამ დავინახავდე.

ამასთან მოგწერ ქალაქის негазетныя новостьи политическаго свойства. პოლიტიჩესკი რაღა, უბედურება იქნება? შენ რა გააკეთე თამარაშენში? მოათავე თუ არა ოტელლო? გული არ აიცრუო.

1 სეკტემბრამდის ქუთაისს მომწერე გრიგოლ დადიანის სახელზე, მერე ზუგდიდს პირდაპირ ჩემ სახელზე.

მომიკითხე ილია, პეტრე, აკაკი. აკაკის უთხარი, ჩემს მაგიერ, რით ვერ მორჩი ამ წერილების წერას გაზეთში თქო.

შენი ერთგული იონა მეუნარგია
19 აგვისტოს, 1887. სურმუში

ვანოჯან! შენი ჭირიმე, უნდა მიშველო, მეტი ღონე არ არის. ეხლა ხომ ქალაქში ცხელა და კუკიაში ხშირად დადიხარ. შეიარე დიმიტრი ბაქრაძესთან და მითხოვე: 1. Путешествіе по Грузии и Аджарии და 2. Путешествіе по Сванетіи. თუ გასაყიდი აქვს ან იმას, ან სხვას ქალაქში, მიყიდე და დამავალე, გამომიგზავნე, ერთობ მეჭივრება. თუ ბაქრაძე არ იყოს, იკითხე ბერნშტამთან და იონისიანთან. თუ გასაყიდი არსად არის, ეგებ ვინმემ გათხოვოს და ქუთაისის ადრესით მომაშველო. ჩემო ვანო, ნუ დაიზარებ, ბანდეროლით გამოგზავნე.

მომწერე, სულ რა მემართება და ქუთაისიდამ გამოგიგზავნი.

კონსტანტინე მამაცაშვილი

1

Дрожайшій К. Иванъ Георгіевич!

Сегодня былъ у Васъ, звонилъ (электрическій звонокъ) долго, но звонокъ оказался молчаливъ, вѣрно не было Васъ дома. Я хотѣлъ Васъ поздравить съ праздникомъ и теперь искренно поздравляю съ желаніем Вамъ всего лучшего, успеха въ жизни и въ томъ благородномъ направленіи, къ чему Вы всею душою клонитесь.

Я былъ у Княгини Амилахвари (распорядительница бала), просила она, чтобъ Вы зашли къ ней по делу раздачи билетовъ, она очень просит, чтобъ Вы зашли къ ней, если можно сегодня. Затѣм, чтобъ завтра и послѣ завтра заходили бы къ ней Вы и Цхведадзе.

Душевно преданный Вамъ К. Мамацевъ
3-го декабря, 1888 года

2

Дрожайшій Князь, Иванъ Георгіиевич,

Я слышал, что Вы перевели мою статью въ „Квали“ съ русского, я очень радъ и благодарю



კონსტანტინე მამაცაშვილი
თბილისი, 1880-იანი წლები
ფოტო: ალექსანდრე როინაშვილი

Васъ, лучше Васъ такую статью, какъ моя, никто не могъ перевесть. Признаюсь, я нѣсколько торопясь и взволнованный писал, потому что всѣ подобные статьи какъ статьи сотрудников Иверіи изходятъ изъ одного и тогоже источника черезъ разных идиотовъ. Может быть я что-нибудь рѣзкое и написалъ. Вы меня очень обязали бы, если мнѣ доставили бы возможность просмотрѣть въ грузинском переводѣ. Я лично хотел бы приехать къ Вамъ, чтобы не безпокоить Васъ, но до ближайшего времѣни по моей старости не выхожу.

При этомъ присылаю Вамъ добавленіе къ моей статьѣ, чтобъ она кончилась этим добавлением. Как скоро подпишу свою фамилію подъ статью, мнѣ хочется, чтобъ добавленіе это въ концѣ статьи было напечатано. Я извиняюсь, что безпокою Васъ, если благоволите ко мнѣ пріѣхать, я всегда дома. Вечером так же къ услугам вашимъ.

Искренно преданный Вамъ Константин Мамацевъ
1893 года, 17 февраля

3

Дрожайшій Князь, Иванъ Георгіевичъ!

Благоволите отъ меня просить Анастасію Михаиловну, чтобъ мою статью целиком напечатали въ своей газетѣ, иначе она никакого впечатленія не сделаетъ на читателя, если будутъ печатать частичками. Такіе читатели, какихъ у насъ масса, забывь предшествующую часть статьи, не поймутъ последующей части.

Я желалъ бы, чтобъ сущность дѣлъ о школахъ поняли-бы те малосведущіе люди, которые больше всѣхъ шумятъ и ажитируютъ противъ нашей школы.

Я не знал, что Г. Чичинадзе тоже хотелъ отвечать на статью Иверіи, а то я съ нимъ сговорился бы съ какой стороны хочу писать, а то теперь прочитавший его начало статьи, много совпадаетъ съ моими мыслями и выходит повторенье, но нечего делать, нужно печатать, какъ есть.

Отчетъ отпечатанный по преніям в банке 14, 15 и 16 вышѣл совсемъ другой, чѣмъ сообщали отрывками другія газеты.

Отчетъ полнее и правдивее въ „კვალი“.

Душевно преданный Вамъ К. Мамацевъ

В. Извините, что безпокою Васъ этою просьбою.

1893 года, 23 февраля

4

Многоуважаемый Князь Иван Георгіевич!

Покорнейше Васъ прошу, если не будетъ для Васъ тяжело, пожаловать ко мнѣ сегодня, или завтра въ 8 часовъ вечера, хотелось бы съ Вами поговорить...

Я самъ был бы у Васъ, если моя старость и слабость здоровья мне бы не мѣшали, потому прошу извиненія, что безпокою Васъ.

Душевно всегда уважающій Вас Константин Мамацевъ

1894 года, 3 Июня

5

Многоуважаемый Князь, Иванъ Георгіевичъ!

Надѣюсь, что вы не забыли о моей просьбѣ конвертировать 6% закладные на 5%-ые, я просил письменно правленіе банка, какъ помнится, въ концѣ июня этого года.

Кажется въ этомъ ноябрѣ месяцѣ будетъ тиражъ, покорнейше прошу, не оставить моей просьбы, а то черезчуръ много приходиться платить вместо 5% по 6%-ов.

Очень сожалею, что не могъ присутствовать въ экстренномъ дворянскомъ собраніи 31-го октября, тамъ рѣшались важные вопросы; но теперь не всегда мнѣ позволяетъ старость, больше приходится сидеть дома. Долго сидеть и стоять уже не могу.

Съ желаніемъ Вамъ всего лучшего и искренно преданный Вамъ Константин Мамацевъ.

P. S. Что за ребяческая полемика почтенного Г-швили?

P. S. Передайте Вашей супругѣ мое глубочайшее уваженіе.

1894 года, 2 Ноября


6

Дрожайшій Князь, Иванъ Георгиевичъ!

Каково Ваше здоровье? Сердечно жалѣю, что я сам сделался так плохъ, отъ старости, сопряженной всегда болезненностью, что я не могъ ниразу навестить Васъ; но часто осведомляюсь о вашемъ здоровіи, слышу къ великому моему удвольствію, что Вамъ лучше, есть полная надежда на возстановленіе Вашего здоровья.

Вы еще молоды, а молодость выдерживаетъ и переноситъ благополучно самую сурьезную болезнь. Я въ молодости перенесъ страшные страдания, дожилъ до глубокой старости, мнѣ теперь 83 года.

Я покорнейше прошу, Вашу супругу Княгиню, конвертъ отъ меня на имя ея брата Князя Георгія, чтобъ при случае отправить, или если здесь князь Георгій, передать ему.



ვალერიან გუნია
თბილისი, 1890-იანი წლები
ფოტო: ალექსანდრე როინაშვილი

Очень радъ, что у насъ въ Горийскомъ уѣздe такой развитый, энергическій предводитель дворянства.

Я въ конверте посылаю князю Георгію присланный мнѣ имъ проэктъ об уѣздномъ дворянскомъ капитале, которому вполнѣ сочувствую.

Искренно желаю Вамъ скорейшего возстановленія здоровья и чтобъ Вы опять могли у насъ на общественной аренѣ работать съ прежнею энергіей.

Искренно Вамъ преданный Константинъ Мамацевъ
1898 года, 13 марта

ვალერიან გუნია

1

28. III.

მოწყალეო ხელმწიფევ, ივანე გიორგის ძე

თქვენ იქნება გეუცხოვათ, რომ წერილით მოგმართეთ, მაგრამ ამ საშუალებით შემიძლია, უფრო თავისუფლად გელაპარაკოთ, იმედი მაქვს, მომიტეოთ. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ჩარკვიანმა გამოსცა ჩემი კალენდარი. მან გამოსცა და იმანვე იგემა. მე შვიდი ეგზემპლიარის მეტი არა მრგებია რა, თუმცა, შრომა ბევრი დავსდევი. თქვენ მზეს ვფიცავ, რომ შარშან ივნისიდამ მოყოლებული დეკემბრის ბოლომდე თავი არ ამიღია და წელი არ გამიხრია – სულ კალენდარს ვეცოდვილებოდი, თუმცა, ამბობდნენ და ეხლაც ამბობენ, რომ მე სალახანობისა და ლოთობის მეტსა არას ჩავდიოდე – მაგრამ ჩვენში კარგი ვი-

ზე უთქვამთ, რომ ცუდი არა სთქვან. თორემ თვითონ კარგათ მოგეხსენებათ, რამდენი შრომა და ჭაპან-წყვეტა უნდა თუნდაც ისეთ უბრალო კალენდარს როგორც, მაგალითად, ჩემია. ჩემის გამოუცდილობისა და ჩარკვიანის დაუდევრობის გამო კალენდარი მხოლოდ დეკემბრის 24-ს გამოვიდა, სწორედ იმ დროს, როდესაც ყველა კალენდრები გაყიდულებია და ესეც იყო. მდივანოვის და ახპატელოვის კალენდრები სულ გაყიდულები იყო. მე მეგონა, რომ ჩემი კალენდარი ბაყლებს დარჩებოდა ხილის გასახვევად, მაგრამ საქმეზე სულ სხვა გამოვიდა. წარმოიდგინეთ $2^1/_2$ თვის განმავლობაში, ე. ი. მარტის 12-მდე ჩარკვიანს 600 ეკზემპლიარიდამ არც ერთი კალენდარი არ დარჩენია და ეხლა ვერსად ვერ იშოვნის კაცი საყიდელად. აქ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ჩარკვიანს საკომისიოდ არავისთვის არ მიუცია, არც წერაკითხვის საზოგადოებასაც მისცა, თუმცა, მსურველები ბევრნი იყვნენ აქაც და სხვა ადგილებშიაც. ამ გარემოებამ მე დამარწმუნა, რომ ცოტათი მაინც ხეირიანი კალენდარი ჩვენში კარგათ გაიყიდება. ამ ორი კვირის წინეთ ჩარკვიანმა მკითხა, რას შვრები, კალენდარს არდგენო? დიახ, ვარდგენ და ვასწორებ მეთქი, ხოლო ეხლა კი დროა, რომ ცოტა მეც მომცე შრომის ფული მეთქი. ბატონი ბრძანდებიო, მითხრა და ბევრი გამოანგარიშების შემდეგ წმინდა შემოსავალი 12 მან. რჩება და შენ მოგცემ 6 მანეთსაო!!! რაღა უნდა მეთქვა. ბრაზებმა ყელში წამიჭირეს, მაგრამ გამხეცებას კაცობა ვარჩიე და გამოველი. იმის შემდეგ არამც თუ ჩარკვიანთან, იმ ქუჩითაც არ გავსულვარ. გუშინ წინ შემომითვალა, თუ გინდა ორი კალენდარი – ერთი შენი დიდი და მეორე პატარა შეადგინეო და 30 მ. მოგცემ, ისიც ნაწილ ნაწილად. შარშან ჩარკვიანმა ჩემის ანგარიშით, სულ ცოტა რომ ვიანგარიშო, მოიგო 80–90 მანეთი და ამ წელს 1200 ეკზემპლარზე ხომ ერთი სამად მოიგებდა.

მე მივმართე „წერა-კითხვის საზოგ.“ გამგეობას, რომ იმათ გამოეცათ ჩემი კალენდარი, ზოგიერთებმა კიდეც დამპირდეს შემწეობას, მაგრამ გამგეობას არ უცვნია ღირსად თავისთვის სხვისი კალენდრის გამოცემა და შემომითვალეს: სულ მოგვყიდეო, რადგან ჩვენ, დიდი ხანია, განვიზრახეთ კალენდრის გამოცემაო. სწორედ მოგახსენოთ, მე არ დავსთანხმდი იმ აზრით, რომ უკალენდროთ შრომის წყურვილი რაზე მომეკლა, რადგან ჩვენში ყოველს საქმეს აუცილებლად ფული უნდა და რომ გამეყიდნა კიდეც, საზოგადოება იმდენს არ გაიმეტებდა და არც მე გამოვართმევდი, რომ სხვა რამე წიგნი გამომეცა და უამისოთ ხომ ფული ჩემთვის საჭირო არ იყო.

ბოლოს მე ვარჩიე, ისევ მე გამომეცა ჩემის საშუალობით, მაგრამ ღონე არ მომსდევს და ამიტომ თქვენ მოგმართავთ. მომიხერხეთ, რომ ჩვენი საამხანაგო კასსიდამ მივიღო ფული, რომელსაც ჩემი დივიდენტიდამ შეავსებთ. მართალია, მე კასსიდან აღებული მაქვს და მეტიც აღებული მაქვს (მე პირველი არ ვარ).

მე ამ კვირაში უნდა შევუდგე კალენდრის ბეჭდვას, თორემ გვიან გამოვა. მე ისე ვიჭერ საქმეს, რომ აგვისტოში აუცილებლად იყვეს, რომ უფრო ბევრი დრო მქოდეს გასასყიდათ და არც არავინ წინ დამასწროს. ყველა წიგნებს გადავცემ საკომისიოდ „წერა-კითხვის საზ.“ და მარტო საკომისიო ფული იმათ ერგებათ 100 მანეთზე მეტი. ჩემის ანგარიშით, კალენდარი დამიჯდება 1200 ეკზემპ. 360 მ. სურათებით. მე ამ ფულს, რა თქმა უნდა, არ ვითხოვ, ხოლო გთხოვთ, რომ ათი თუმნის კრედიტი გამიკეთოთ, შევამსებ თუ არა ფულს, ისევ შემეძლოს კრედიტით სარგებლობა; ეს, მართალია, ეწინააღმდეგება ჩვენ წესდებულებას, მაგრამ არც შეუძლებელია, თუ თქვენც მოისურვებთ და დაიყოლიებთ ზუბალოვს

და პავლენოვს. გარდა ამისა, ამასაც მოგახსენებთ, რომ ყველა წიგნებს ვაძლევ „წერაკითხვ. საზოგადოებას“ და მე შემიძლიან, პირობა მოგცეთ, რომ წიგნების გაყიდვისაგან რაც ფული შემოვა, თქვენ აიღოთ კასსისთვის. ერთის სიტყვით, მე კასსას ვაძლევ ყოველს გვარს პირობას, რაც კი ჩემს შეძლებაში იქნება. მე თუ ჩემის ხარჯით ვაპირებ წიგნის გამოცემას, ეს იმით არ მომდის, რომ მოგების სურვილს ავყოლოდე. მერწმუნეთ, რომ სულ სხვა აზრი მაქვს, თუ დარჩა რამე წიგნის გაყიდვისაგან, იმ ფულებს მოვახმარებ სხვა წიგნს, რომელსაც უკვე შევუდექი და თუ ერთხელ ფეხი მოვიდგი, მერე ადვილად შემიძლიან საქმის დატრიალება. სტამბა და ამწყობი უკვე მოვნახე, თაბახს აწყობენ და ბეჭდამენ 13 მან., ხოლო ქაღალდი მეტად ძვირია, 6-ზე ნაკლებ ვერსად ვშოულობ, სურათების გამოჭრას რუსეთში ვაპირებ – ერთის სიტყვით, იმედი მაქვს, რომ კალენდარი კარგი გამოვიდეს, კორრექტორსაც ვშოულობ, რა თქმა უნდა, ფასით – იმედი მაქვს, ივანე გიორგისძე, რომ, თუ შესაძლებელია, დამეხმარებით და ნებას დამრთავთ კასსიდამ 100 მან. კრედიტის შოვნისას.

თქვენი უმორჩილესი და პატივისმცემელი ვალ. გუნია
[1888 წელი]

2

ყოვლად პატივცემულო, ბატონო ივანე გიორგის ძევ!

ქართველ კაცის გულიდან აღმოხეთქილს, სრულს ჩემს სიხარულს და უდიდეს სიამოვნებას გიცხადებთ და გულითად გილოცავთ წუხანდელ თქვენს გამარჯვებას ქალაქის გამგეობაში.

იმედი მაქვს, ამ ჩემს გულწრფელ მილოცვას გულწრფელადვე მიიღებთ.

დავშთები მარად თქვენი პატივისმცემელი და თქვენი წარმატების მსურველი.

ვალერიან გუნია
24/IX. 91

ივანე სულხანიშვილი

М. В. Д. Горійскій уѣздный Предводитель Дворянства.
31 Марта 1888 г. №132, г. Гори.
Его Сіятельству князю И. Г. Мачабели.

Ваше Сиятельство Иванъ Георгіевичъ!

Уѣздное Дворянское Собраніе назначено на 10-е Апрѣля сѣго года въ 10 часовъ утра въ городѣ Гори въ зале Горийского Кружка.

Сообщая объ этомъ Вашѣму Сіятельству имѣю честь покорнѣйше просить Васъ пожаловать къ вышеозначенному времени.

Съ истиннымъ почтеніемъ и совершенною преданностью имѣю честь быть Вашъ покорный слуга.

И. Сулхановъ

ალექსანდრე სარაჯიშვილი

Многоуважаемый Князь Иванъ Георгіевичъ,

Прочли мы здѣсь, в одном из номеров „Иверіи“ о фееріи „Караманіани“ и в той замѣткѣ обратило на себя наше вниманіе извѣстіе о грузинских пѣснях, игранных хором музыки. Композитором (назовем его композитром) назван Баланчивадзе.

Имя композитора и самая пьеса – для нас новость.

Между тѣм у Кн. Арчила Чавчавадзе (командир конно-иррегулярнаго полка) новость эта породила идею научить свой полковой хор музыки этой новой пьесѣ и угостить грузинскими пѣснями Государя, когда он будет в Кахетіи и гдѣ Кн. Арчил будет со своим полком.

Кн. Арчил по своей сангвинической натурѣ захотѣл сейчас-же имѣть ноты пѣсен композитора Баланчивадзе и просил меня разузнать у кого, когда и за сколько можно имѣть эти ноты.

Так как Вы, многоуважаемый Князь, служите там по патріотической части, то Вы вѣроятно не откажете Кн. Арчилу в Вашем содействіи и сообщите мнѣ необходимыя сведенія. Я думаю и композитор ничего не будет имѣть против этого. Не откажите также сообщить и Ваше мненіе о произведеніи Баланчивадзе, насколько хороши его пѣсни. Признаюсь Вам „объективное“ отношеніе „Иверіи“ к его музыкѣ немного меня смущает. „Иверіа“ легко переходит в патриотическій пафос по поводу многих предметов имѣющих несомненно патриотическое значеніе, но цѣнность которых – научная, литературная или артистическая – равнятся нулю. Но все это в скобках, а я надѣюсь узнать Ваше мненіе о музыкѣ Баланчивадзе a parte.

Не нужно было быть пророком, чтоб предсказать блестящую побѣду Князя Ильи. Это было банковское veni, vidi, vici. Хотя побѣдителей не судят, но все-же вы не правы (это мое a parte). Не быть сторонником „формализма“ и „формалистики“, значит быть сразу произведенным в умные люди – как тут устоять?! Par acclemation, enlevé!..

В ожиданіи Вашего любезного отвѣта, Ваш покорный и преданный слуга

А. Сараджев.

4 Июня. 88. Шура.

ძმაო იაკობ, ნოტების თაობაზე ყველაფერი შემიტყე, გეთაყვა, რაც აქა სწერია, სანამ მოვიდოდე.

იოჰან ვოლტ

პარიზი, ფროშოს ქუჩა 7.

8 ივნისი, 1888.

ძვირფასო ბატონო,

პატივი მაქვს, მოგმართოთ კვირაში ერთხელ ფრანგული კორესპონდენციის შემოთავაზებით, რომელიც ერთდროულად პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ, ლიტერატურულ და მხატვრულ ინფორმაციას შეიცავს.

ეს კორესპონდენცია, იმ მანძილის გათვალისწინებით, რაც ჩვენს ქვეყნებს აშორებს, იქნება ინფორმაციული ხასიათის, პარიზული ყოფის ყოველმხრივი ანალიზი – პარიზული

ქრონიკა, რომელიც შემოიფარგლება აქტუალური საკითხების განხილვით დასკვნების გამოტანის გარეშე, რაც დააინტერესებს მკითხველს.

ცნობილ პარიზულ ჟურნალებთან თანამშრომლობის გარდა, მე ვიყავი პასუხისმგებელი ნორ დე ბრიუნელის კორესპონდენციაზე. დანარჩენის შესახებ შეგიძლიათ, გაარკვიოთ ბ-ნ ლებეისთან სააგენტოდან „ჰავა“, პეიროსთან „ნუველ რევიუდან“.

ახლა, ძვირფასო ბატონო, ჩემ მიერ შემოთავაზებული თანამშრომლობის პირობები:

1. თქვენ გამომიყოფთ ას ფრანკს კორესპონდენციაზე.

2. ეს კორესპონდენცია იქნება ყველაზე ცოტა სამასსტრიქონიანი.

3. თქვენ ფასდაკლებით ჟურნალს მომყიდით ყოველ თვე ან, თუ გირჩევნიათ, ათი ნომრის გამოცემის შემდეგ.

4. თქვენ რეგულარულად მომაწოდებთ თქვენს ჟურნალს და დამატებით სამ ეგზემპლარს, რომელიც შეიცავს ჩემს კორესპონდენციას.

იმედი მაქვს, ჩემს შეთავაზებასთან დაკავშირებით, მიიღებთ დადებით გადაწყვეტილებას, მე კი ჩემი მხრივ, ძვირფასო ბატონო, ბედნიერი ვიქნები, თუ თქვენ ის მოგეწონათ. დღეიდან მიგულეთ თქვენს განკარგულებაში, თუ დაგჭირდებით პარიზში.

ჩემთვის სასიამოვნო იქნება, თუ ჩემი წერილის მიღებისთანავე მიპასუხებთ ტელეგრაფით და ჩემი კორესპონდენციაც მაშინვე გამოიგზავნება.

ძვირფასო და პატივსაცემო ბატონო, მიიღოთ, ჩემი საუკეთესო გრძნობების გამოხატულება.

იოჰან ვოლტი

ვარლამ ჭილაძე

1

Г. Кутаисъ. 9 Июня 1888 г.

Многоуважаемый Иван Георгіевичъ!

Я имѣю посоветовать Вамъ одно весьма выгодное и хорошее дѣло, которое, я думаю, Вы согласитесь взять. Дѣло въ слѣдующемъ – вчера вечернимъ поѣздомъ пріѣхалъ изъ Тифлиса къ намъ, въ Кутаисъ, инспектор „Страхового и Транспортного Общества, учрежденнаго въ 1888 году“, Александръ Осиповичъ Берландъ, съ которымъ я хорошо знакомъ. Какъ знакомому онъ мнѣ предложилъ агентство въ Кутаисѣ и дал устав и другія бумаги, относящиеся до этого об-ва. Познакомившись съ ними, между прочимъ я вижу, что Рос. Имп. раздѣлена на нѣсколько округовъ, изъ которых, по доходности, самое лучшее Кавказское, которымъ будет завѣдовать главный агент. Этот главный агент будет назначать и увольнять агентовъ, ревизовать их и т. д. Он имѣетъ отдельную контору въ Тифлисѣ, каковая будетъ содержатся насчет об-ва. Вознагражденіе главному агенту будет отъ 12 до 15% со страховой премии, собранной со всего округа. Кромѣ того другія вознаграждения по части страхованія жизни и транспортированія людей. Все это составитъ в году въ пользу главного агента от 10, 12 т. При томъ занятіе главного агента будет настолько легкое, что нисколько не отразится на другие Ваши занятія. Хотя инспектору и сдѣлали предложеніе армяне съ положением, но я ему отсовѣтовалъ. Я его положительно убедилъ, что

подобнаго какъ Вы со свѣчой днемъ не достанетъ. Что у Васъ въ изобилии энергия, честность и т. п. Почему онъ и радъ имѣть съ Вами дѣло. Онъ выѣзжаетъ завтра въ Тифлисъ и Вы можете съ нимъ поговорить въ субботу. Онъ Васъ познакомитъ съ дѣлами и Вы увидите, что дѣло хорошее и выгодное. Онъ живетъ вмѣстѣ со своимъ зятьем А. Ф. Васильевымъ въ Пробежной Палатѣ, около сада. Если, почему либо, Вамъ стеснительно зайти къ нему, то я его даже упросилъ къ Вамъ зайти. Но только, в таком случаѣ, напишите ему записочку и скорее. უთუოთ დათანხმთით. კარქი საქმე არის. მოელაპარაკეთ. მაშინ აგენტებიც ჩვენები იქნება და მადლი არის. ნახვამდის.

უღრმესად თქვენი პატივის მცემელი ვარლამ ჭილაძე

P. S. თუ ვინიცობაა და რამე მიზეზისა გამო (ღმერთმა ნუ ინებოს), თქვენ არ დათანხმთით, სხვა ვინმე ქართველზედ მაინც უჩვენეთ. რასაკვირველია, შესაფერზედ. ჩიტახოვი და სხვა სომხები ცთილობენ და არ დაანებოთ.

2

5 სეკტემბერი, 1892 წ. ქუთაისი.

უაღრესად პატივცემულო ბატონო ივან გიორგიჩ!

თანახმად თქვენი წერილისა, რომელიც მე მხოლოდ გუშინ მივიღე, რადგან დროებით სოფელში გახთით, ამასთანავე გაახლებთ თქვენი წიგნების ანგარიშს:

22 ეგზემპლიარი ოტელო – 50.

22 „ჰამლეტი“ – 30.

14.08 კ.

20%. თოთხმეტ მანეთს და 08 კ. გაახლებთ.

დღესვე იგზავნება ასი ეგზემპლიარი სამგვარი – სიყვარული აკაკის.

როგორც ჩანს, წიგნებიდამ მიმიღია 450 ეგზ. „სამგვარი სიყვარული“ აკაკის სახელით. ასთე რომ ამ წიგნების ანგარიში აკაკისთან მექნება, მით უმეტეს, რომ მასზედ კიდევ გროშებია ჩემი.

წიგნი ძრიელ სუსტათ იყიდება.

თქვენი მორჩილი მონა ვ. ჭილაძე

კახეთის ახალგაზრდობა

დიდად პატივცემულო, ივანე გიორგის ძევ!

რასაკვირველია, კარგად მოგეხსენებათ, რომ ამ ოთხი წლის წინეთ თელავში დაარსდა საზოგადო წიგნსაცავი, რომელსაც თქვენ ისე ერთგულად იცავდით თქვენს გაზეთ „დროებაში“. ამ დაწესებულებამ ჯეროვანი წარმატებითი დღეგრძელობა იწყო, როგორც სჩანს, მისი თავგადასავალიდამ. წიგნები და ჟურნალ-გაზეთები საკმაოდ შეიძინა, მკითხველები და საზოგადოების თანაგრძნობა და პატივისცემა მოიპოვა. მეტის-მეტი სიამოვნებით გვემსებოდა გული, რომ ვხედავდით წიგნსაცავის სადგურში ყოველ საღამოთი სხვა და სხვა წოდებისა და ხელობის პირთ, ზოგთ კითხვაში გართობით და ზოგთ წიგნების

მთხოვნელთ. დიახ, ასე მშვენიერად წავიდა საქმე. ვფიქრობდით: „დღეის შემდეგ აღარა უშავს რა ჩვენს ბიბლიოთეკას, თვითონვე გაიკვლევს თავის გზასაო“. მაგრამ მოვსტყუვდით, ჩვენი იმედი გაცრუვდა. ამ ბოლოს უბედურება არც ამ უმანკო დაწესებულებას მოაშორეს. დღეს ბეწვზედ ჰკიდია ჩვენი წიგნსაცავის ბედი და იღბალი. აი, საქმე რაშია: წიგნსაცავის და მასთან სამკითხველოს დაარსების ნება დაგვრთო 1884 წ. 16 ოკტომბერს ადგილობრივმა პოლიციამ და თურმე ამისი ნება კი მას არ ჰქონია. მაშინდელი ნების დართვა შეცდომით მოსვლია. ახლა, ამ ოთხი წლის შემდეგ გვეუბნებიან: „ან დაკეტეთ, ან არა და გუბერნატორისაგან მოიპოვეთ ნებართვაო“. დაკეტა ღმერთმა გვაშოროს: ჩვენ ისე ვერ დავსთმობთ იმას, როგორც მოსიყვარულე დედ-მამა თავიანთ ძვირფას და ფრიად სასიხარულო შვილს ვერ დაუთმობენ სხვას. ამის გამო დღეს თხოვნა და წესდება წარმოვგზავნეთ გუბერნატორთან, ხოლო არ ვიცით-კი, რა შედეგი ექმნება ჩვენს თხოვნას. როგორც მოგეხსენებათ, ხშირად ამგვარ თხოვნებს არა სწრაფი მსვლელობა ეძლევა უპატრონოდ, ხშირად უყურადღებოდაც სტოვებენ, უარიც რო გვითხრან, რა უნდა ვუყოთ. ისიც უკეთ მოგეხსენებათ, რომ ახლანდელ დროში დახმარებით, პროტეკციით ბევრი საქმე კეთდება. „გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო“, ტყუილად კი არ არის ნათქვამი. ერთი-ორი თბილი სიტყვა ეყოფა ბატონ გუბერნატორს (მეტადრე ეხლა – ზისერმანის ავადყოფობის გამო თ. შარვაშიძე არისო, ამბობენ), რომ ჩვენს თხოვნაზე მოაწერეს: „ნებას გაძლევთო“ და წესდებაც დაგვიმტკიცოს. აი, ამისთანა გაჭირვების გამო და ამ მოსაზრებით მოგმართავთ თქვენ, პატივცემულო ივანე გიორგის ძევ, უმორჩილესი თხოვნით, რომ ამ საქმეში, რაც შეიძლება, მეტი დახმარება გაგვიწიოთ, რომ უეჭველად ნება დაგვრთონ. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ თქვენ, როგორც დაარსების დროს გამოესარჩლეთ და დიდი ერთგულობა გაუწიეთ ჩვენს წიგნსაცავს, ისე დღეს გაჭირვების დროს თქვენს სარჩელს, დახმარებას და კეთილი საქმისადმი სიყვარულს არ მოაკლებთ, სხვათა შორის, თელავის საზოგადო წიგნსაცავსაც. გარწმუნებთ, ასეთი თხოვნით მოგმართავთ თქვენ არა მარტო ჩვენ, თქვენი ფრიად პატივისმცემელი და ერთგული-ქვემორე ხელის მომწერნი, არამედ ამასვე გევედრებათ მთელი კახეთის შეგნებული ახალგაზრდობა.

დავშთებით თქვენი მარად პატივისმცემელნი:

ი. პ. როსტომოვი, ზ. ი. ჩხიკვაიძე, ი. თ. კოლელიშვილი, გ. ბურჭულაძე, ი. სიდამონ-ერისთავი, ი. ცისკარიშვილი, ვ. გამყრელიძე, ს. მელვინეთხუციშვილი

1888 წელს, 15 თიბათვეს, ქ. თელავი

ალექსი ჩიკოიძე

მეჯვრისხევი, 12 დეკემბერი.

მოწყალეო ხელმწიფევ, კნიაზო ივანე გიორგის ძევ!

მართალი შეგიტყვიათ – ახალსოფლელები წინააღმდეგნი არიან ხელთუბნის შკოლის ფულის გამოღებაზედ, მაგრამ „ძალა აღმართს ხნავს“ და ფულს ვახდევინებ. ამათ შეიტანეს უცნაური საჩივარი მთავარ-მართებელთან; ესენი სწერდნენ, რომ მიროვოი პასრედნიკმა ყალბათ შეადგინა პრიგავორიო; რომ ჩვენი სურვილი ის იყოვო, რომ მხოლოდ თითო მანეთის გამოღებით ერთხნივ (одиновременно) უნდა შევწეოდით შკოლასაო, – გარნა პას-

რედნიკს კი ჩაუწერია, ვითომ სამუდამო ხარჯი უნდა ვწიოთო, – თხოულობენ გამოძიებას, პრიგოვორის გაუქმებას და განთავისუფლებას შკოლის ხარჯიდგან. – იქონიეთ, კნიაზო, მხედველობაში, რომ მარტო ახალსოფლელებისა კი არ არის სურვილი, რომ შკოლის ხარჯიდგან ამოეშვან, ყველას სურს და მათ შორის, გაგიკვირდებათ, ხელთუბნელებსაც, რომელთაც, არ მახსოვს, იანვარში თუ თებერვალში, წრეულს არზა თავზე გადავახიე.

მაგრამ, იმედი მაქვს, რომ ახალსოფლელების სურვილმა არ გასჭრას და მით ცდას დაანებონ თავი სხვებმაც. ჩემს წარდგინებაში უეზდის ნაჩალნიკთან ვსწერ, რომ ისიც კმარა, პრიგავორის სინამდვილისათვის, რომ ახალსოფლელები ექვსი წელიწადია იძლევიან შკოლის ხარჯსა და ამ დროის განმავლობაში საჩივარი არ შეუტანიათ მეთქი; რომ ხელთუბნის სკოლა იმდენად კარგად არის დაყენებული, რომ აფსუსია იმის მოშლა და რომ ახალსოფლელები ამოუშვათ, შკოლის კეთილდღეობა შეირყევა მეთქი, რადგან ფულის შემოსავალი სოფლებიდან შეთანასწორებულია გასავალთან და მხოლოდ სამი თუმანი რჩება მეთქი, ისიც იმ პირობით, რომ ყველა სოფლებმა მუდმივ იძლიონ მეთქი და სხვა. ამ გვარათ მე სრული იმედი მაქვს, რომ ახალსოფლელებს არ გაანთავისუფლებენ და თუ თქვენც არ მოაკლებთ მზრუნველობას შკოლას, მაშინ სრულიად დარწმუნებული ვიქმნები, რომ ახალსოფლელების არზას უკმაყოფილოთ დასტოვებენ.

ჩემის აზრით, მე გავისარჯე შკოლის სასარგებლოთ, რამდონათაც კი ჭკუა გამიჭრიდა, და მერწმუნეთ, გულმხურვალეთაც ვისურვებ ამ შკოლის და საზოგადოთ შკოლების კეთილდღეობას. და ახლა თქვენ იცით.

თქვენი ბრწყინვალების მორჩილი მოსამსახურე,

ა. ჩიკოიძე, მეჯვრისხევის პრისტავი

[1888 წელი]

კონსტანტინე ბერეკაშვილი

თქვენო ბრწყინვალებავ, თავადო ივანე გიორგის ძევ!

უპირველესად შორიდამ თავს მოვიხრი და უმრავლეს ბოდიშს მოვიხდი თქვენის ბრწყინვალების წინაშე, რომ მე, ვიღაც თქვენგნით სრულიად უცნობი იმდენად ვკადნიერდები, რომ ვბედავ თხოვნით მოგმართოთ, მაგრამ ამას მაბედვინებს მე ა) თქვენნი მრავალნი თვისებანი ღირსეული კაცისა, რომლებითაც თქვენ ესსე უხვად ბრძანდებით დაჯილდოებული, თქვენი გულ-შემატკივრობა ყველა გაჭირვებულთადმი და ბ) ჩემი ბედკრული, შევიწროვებული მდგომარეობა, მისული უკანასკნელ გაჭირვების წერტილამდე.

არა მგონია, მაგრამ შეიძლება ბრძანოთ, საიდამ მიცნობს მე ეს მთხოვნელიო? თავადო! თქვენ უკვე ცნობილი ბრძანდებით ყოველი ქართველისაგან მაინც, როგორც თავგანწირული მოღვაწე და ყველაფერ კეთილი საქმისთვის თავ-დაუზოგველი უპირველსი მწევრი ჩვენის განათლებულის საზოგადოებისა. ამ მტკიცე საბუთით ვთურგნი ჩემში გაუბედაობას და სწორედ მოგმართავთ თხოვნით უმორჩილესად.

ორი წელიწადი გახლავსთ, რაც დავასრულე თბილისის სასულიერო სემინარია. სხვა და სხვა მოსაზრებით არ ვისურვე და არც მსურს რაიმე სასულიერო მთავრობის დაწესებულებაში ვიმსახურო. ამოდენა ხანი გახლავსთ, ვცდილობ სხვა რაიმე სამსახურში

შესვლას, მაგრა ვერ მომიხერხდა, რადგან არავინა მყავს შემწე. მოგეხსენებათ მეცხრამეტე საუკუნის ხასიათი! – შემწეობა. ახლა, თქვენო ბრწყინვალებავ! შევიწროებული ჩემის უკიდურესად შეწუხებულის მდგომარეობით, მოვისწრაფი თქვენდამი უმორჩილესი თხოვნით: მოგვაპყროთ თქვენი ძვირფასი ყურადღება და აღმოგვიჩინოთ რაიმე შემწეობა თქვენის ავტორიტეტულის ხმით რომელიმე სამსახურში: ან რკინის გზის, ან ტამოჟნის და ან აკციზის სამმართველოებში. ჩვენ თავადო თანახმა ვართ, ვიმსახუროთ კერძო კაცებთანაც კანტორებში; მაგ. როგორიც ბ. სარაჯიშვილის კანტორა გახლავთ. შრომას არ ვსირცხვილობთ და არც ვერიდებით, შრომის მეტი ჯერ არაფერი არ გვიცდია. მხოლოდ მონატრე ვართ ისეთი სამსახურის, სადაც წიგნის საკითხავად ცოტა დრო მაინც გვრჩებოდეს. გთხოვთ, სადმე თავშესაფარი გვიშოვოთ.


იმედია, ყველაფერ შეცდომას მოგვიტოვებთ ამ წერილში.

თქვენი უმორჩილესი მონა კონსტანტინე ბერეკაშვილი
[1888 წლის შემდეგ]

ელისაბედ (ლიზა) ქართველიშვილი

Вано, ты поставилъ мнѣ два условія: отдать ребенка, въ противномъ случае ни копейки не дашь на воспитаніе. Я увѣрена, что первое условіе поставлено только для того, чтобы иметь причину для второго. თუ ასე არ არი, განა შენ თვითონ არ იცი, რო მე მიშოს ვერ მოვიშორებ, და მე უფრო უკეთ ვიცი – რო შენ იმის გამზდელი არა ხარ.

ღმერთმანი, საკვირველია, კაცმა სვინდისზე აგრე ხელი როგორ უნდა აიღოს. სხვამ თუ არა, შენ ხომ კარგათ იცი, რო ჩემი სიცოცხლე ორ სულს შევალიე – შენ და ჩემ უბედურ დას, და ამ რამდვენივე თვის განმავლობაში ორივე დაგმარხეთ (შენ ცოცხლივ – უფრო ძნელი). შე უღმერთო, ხომ ხედავ, მარტო, სულ მარტო დავრჩი. Въ прошломъ ни однаго свѣтлаго луча, настоящее еще хуже, вся жизнь изковеркана и все это дѣло твоих рукъ и у тебя хватаетъ еще духу требовать отъ меня этой новой жертвы, отнимать послѣднюю привязанность, надежду, что можетъ быть въ далекомъ будущемъ около меня будетъ любящее существо, которое сколько нибудь примиритъ съ жизнью. Вы предлагаете отдать ребенка, какъ будто это старая перчатка, ребенокъ, который мнѣ такъ много стоилъ, можетъ быть не тѣх грошей, которые ты на него потратилъ, а нравственныхъ пыток, которых никакими деньгами не откупишь. А эти деньги дёшего мнѣ обходились? Можно забыть те оскорбленія! Какъ ты смѣлъ мнѣ ихъ прислать через свою любовницу, за что ты унижалъ меня, какой палачъ рѣшиться такъ добивать свою жертву, ты одинъ, только ты способенъ къ матери своего ребенка послать подобную женщину, какой цинизмъ! А это предпоследнее свиданье, где я должна была вымаливать на кормилицу? Зачѣмъ? Не совѣстно было Вамъ доводить мѣня до отчаяния, за что? Разве я одна виновата, что онъ непрошенный явился на светъ. Какое Вамъ дѣло, что ребенокъ и такъ обиженъ, что часто будетъ завидовать сыну последнего угольщика, того не будут назыв. ნაბიჭვარი. Нѣтъ, Вы сердиты отчего его не подбросили у перваго подъѣзда, тогда бы изъ Вашего кармана не уходили рубли. Ты себя считаешь интеллигентнымъ человѣкомъ и если кто нибудь усомнится въ твоей честности, ты



შალვა ქართველიშვილი
თბილისი, 1890-იანი წლები
ფოტო: დიმიტრი ერმაკოვი

встанешь на дыбы, но ты всмотрись въ себя и ты увидишь, что ты это чудовище, ничего нѣтъ у тебя святого. Почему то ты всегда находилъ естественным делать противъ меня всѣ гадости, которыя я должна была прощать тебѣ, въ силу этого должно быть ты рѣшился и на это. У меня противъ тебя было одно преступленье, эта моя беззаветная любовь, которую ты самъ насильно вызвалъ, всякий честный человекъ постарался бы отстранить ее, превратить въ дружбу или оттолкнуть наконецъ въ продолжении этого времени, а ты что сдѣлалъ? На что тебѣ понадобилось портить чужую жизнь, зачѣмъ нужно было дѣлать из меня любовницу! Ты себя оправдываешь увлечением, а почему за это увлеченіе я одна должна страдать всю жизнь! А когда эта любовница поняла, что эта роль не по ней и всеми силами старалась выкарабкаться изъ этой ямы, ты честный человекъ, помогъ ей, нет, еще сильнее столкнулъ ее? Помнишь письмо 88 – декабря, гдѣ я просила оставить меня въ покое, все прошлое прощаю, а за будущее не отвечаю! Что тебѣ следовало сделать, а что ты сдѣлалъ? Что ты мнѣ говорилъ при первомъ свиданіи по приезду изъ Ахал., что если и теперь простишь, то будешь безхарактерная и т. д. А когда я заговорила о самыхъ естественныхъ вещахъ, ты чуть руку не поднялъ на меня.

Я верю, что тебѣ трудно платить за Мишо, кажется домъ ваш еще не оконченъ, твоя честь требуетъ обеспечитъ дочь Абашид. вырастетъ, спасибо скажет, интересно что скажетъ твой единственный сынъ.

Ты говоришь, что малютка у тебя выиграетъ, должно быть, ты дашь лучшее воспитание, чѣмъ я; а какое воспитаніе получилъ бы онъ въ приютѣ, если бы послушалась въ маѣ месяце Васъ. იქ უნდა დურგლობა ესწავლებინათ, და მე სტალიარობას ხომ მაინც ვასწავლებინებ.

Если из любви къ тебѣ я пожертвовала столькимъ, то развѣ материнская любовь слабѣе, да наконецъ что я теряю, развѣ то что теперь говорятъ шопотомъ, то скажутъ громко, იტყვიან, ნაბიჭვარი ჰყავსო! ისიც ხომ არ დაავიწყდებათ, ვისგან; პირველი მაგალითი მე არ ვიქნები და არც შენ, скажите спасибо Микеладзе – проложилъ дорогу. Я посоветуюсь

съ некоторыми общими знакомыми, что посоветуютъ. Во всякомъ случае мальчика буду держать дома, ერთ ლუკმა პურ უშოვი, შენ არხეინათ იყავი, შენი გროში აღარ უნდა, პატიოსან სიტყვას გაძლევ, რო შემეხვეწო კიდეც, არა გამოგართო რა.

Ты почему то думалъ, что мнѣ лично дѣлаешь большое одолжение платя за своего ребенка, вѣдь смѣшно – какъ не понять, что одолженіе, то я дѣлала. მე ოხერი ცხრა მთა იქით რათ უნდა გადავკარგულიყავი, სხვა რაში დამრჩი მადლობელი. მიშოს გეფიცები, შენთვის უფრო ვფიქრობთ, мнѣ вѣдь нечего терять, მეცოდებოდი თუ მიყვარდი, ღმერთმა ნუ იცის ჩემი თავი. არ მინდოდა, მტერი გამეხარებინა, მაგრამ შენი საქციელი მეტის მეტია.

Да, главное забыла, я согласна на второе условіе.

Мнѣ сегодня передала М-ель Татьева, что какая то княг. Саша Шаликова говорила, ვანო ამბობსო, რო თვეში ათ თუმან ვაძლევ ბავშვისთვინაო. Очень, очень тебе благодарна, я знаю, кто это могла сказать, но я съ ней не могу имѣть дѣла, она черезчуръ грязная, მიშო მომიკვდეს, ხინას სულ გეფიცები, თუ ეს მე შენ გაპატიო, я публично дамъ за это тебѣ пощечину.

[1890 წლის შემდეგ]

ოლივერ უორდროპი

1

ბალიოლის კოლეჯი, ოქსფორდი, 20/1 თებერვალი, 1891 (ინგლისი).

ძვირფასო ბატონო,

სულ რამდენიმე სიტყვით მსურს, მადლობა გადაგიხადოთ კარგი მოგონებებისთვის, რომელთა მიმართაც ძალიან სენტიმენტალური ვარ და მოუთმენლად მოველი ბედნიერ დღეს, როცა პირადად შევძლებ მადლიერების გამოხატვას.

ნაკლებად შესაძლებელია, დავტოვო ინგლისი ოქტომბრის თვემდე. უნივერსიტეტში ჩემი გამოცდები იქნება ივლისში და ჩემი სამხედრო დავალებები დაიკავებს მთელ სექტემბერს. როცა მე სრულიად გავთავისუფლდები, გამოვფრინდები საქართველოსკენ, მომხიბლავი ქვეყნისკენ, რომელიც ყოველთვის მიზიდავს და უფრო და უფრო აღმაფრთოვანებს.

არ არის საჭირო გესაუბროთ იმის შესახებ, რაც ამჟამად ჩვენში ხდება, თქვენი გაზეთები ისედაც აშუქებენ აქ მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. სიტუაცია უფრო მშვიდდება. ვისაც ეროვნული ღირსება აქვს (სამწუხაროდ, ბევრნი არ ვართ), სირცხვილისაგან წითლდება ჰელგოლანდის საქმესთან დაკავშირებით. ბრედლოუს სახით ბრიტანეთმა დაკარგა დიდი სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც შეეძლო, გაძღოლოდა ხალხს თავისუფლებისაკენ, ყოველგვარი გადახვევის გარეშე – ისტორიისა და კანონის ფარგლებში.

კიდევ ერთხელ გმადლობთ. გთხოვთ, გადასცეთ თავად ილია ჭავჭავაძესა და სიმონ წერეთელს ჩემი ღრმა პატივისცემა.

პატივი მაქვს, ვიყო თქვენი ერთგული

ოლივერ უორდროპი

2

ჩიზლჰერსტი, კენტი, ინგლისი, 3 იანვარი, 1894.

ძვირფასო თავადო, გილოცავთ ახალ წელს!

დიდი ხანია საქართველოდან არავითარი ცნობა არ მომსვლია, მაგრამ მე მუდამ სიყვარულით ვიგონებ თქვენს მშვენიერ ქვეყანას, სადაც ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი უბედნიერესი ხანა გავატარე.

1892 წლის ოქტომბერს სანკტ-პეტერბურგში წამოვყევი პირად მდივნად აწ განსვენებულ სერ რობერტ მორიეს, რომლის სიკვდილს ახლაც განვიცდით. განზრახული მქონდა, ზაფხულში კავკასიაში ჩამოვსულიყავი, მაგრამ საუბედუროდ, ჩემმა საქმეებმა ამის საშუალება არ მომცა. ამჟამად საგარეო საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში ვიმყოფები ლონდონში. ვფიქრობ, რომ მალე დავინიშნები რაიმე თანამდებობაზე თქვენგან არცთუ ისე შორს.

სიამოვნებით ველი იმ მეგობრობის განახლებას, თბილისში ჩემი სტუმრობის ჟამს რომ გვაკავშირებდა. მანამდე კი ვბედავ, ვიფიქრო, რომ უარს არ მეტყვით, გამიწიოთ სამსახური, რისთვისაც მუდამ თქვენი მადლიერი ვიქნები.

ჩემი და გულდასმით შეუდგა ქართული ენის შესწავლას. მან თარგმნა რუსთაველის პოემის თითქმის მესამედი და დაასრულა აღნიაშვილის ხალხური ზღაპრების თარგმანი, რომლის გამოქვეყნებას სულ ცოტა ხანში ფიქრობს. ჩემი მეგობარი, პროფესორი ა. ა. ცაგარელი ხშირად უხსნიდა გაუგებარი სიტყვებისა და წინადადებების აზრს. მაგრამ მან, საუბედუროდ, ინგლისური ენა არ იცის. ამიტომ გთხოვთ, ნება დაგვრთოთ, გამოგიგზავნოთ ჩემი დის მიერ შესრულებული თარგმანების ცდები, რათა თქვენ დაგვეხმაროთ, თავიდან ავიცილოთ უხეში შეცდომები იმ ვერსიაში, რომელიც ინგლისელ საზოგადოებას უნდა შევთავაზოთ.

თბილისიდან წიგნების მიღება ისევ ჭირს, ან ფული არ აღწევს მითითებული მისამართით, ან წიგნების გამოგზავნა ძალიან გვიან ხდება და ა. შ. ამიტომ გადავწყვიტე თქვენთვის მეთხოვა წიგნების გამოგზავნა. სიას აქვე დავურთავ.

გთხოვთ, მაპატიოთ შეწუხებისთვის, მაგრამ ვფიქრობ, თქვენც ჩვენსავით ხართ მონდომებული, რომ დასავლეთში ქართულ ლიტერატურას გაეცნონ. როგორც კი საბოლოო ანგარიშის ჯამი მეცოდინება, გამოვგზავნი ქვითარს. ეს გადახდის უფრო მარტივი საშუალებაა, ვიდრე ის, რასაც მე აქამდე ვიყენებდი. მადლობას წინასწარ გიხდით.

აღფრთოვანება, რომლითაც ჩემი და თქვენი ენის მიმართ განიმსჭვალა, ნამდვილად არაჩვეულებრივია. ყოველდღიურად თქვენს კლასიკოს ავტორებს კითხულობს.

გასულ წელს ლონდონში გამოჩნდა ვინმე ივანე მახარაძე ოზურგეთიდან, რომელმაც ცხენზე ჯირითობის წარმოდგენები გამართა ჩვენს ქალაქში. უნდა გენახათ მისი გაკვირვება, როდესაც ინგლისელმა ქალიშვილმა მას მშობლიურ ენაზე მიმართა.

როგორც ჩანს, ინგლისში იმყოფება „ივერიის“ კორესპონდენტი, სახელად ვაზიანი. ხომ ვერ მეტყოდით მის მისამართს? ერთ საღამოს ერთ-ერთ ჩვენს მინისტრთან წვეულებაზე შევხვდი სომხური კოლონიის წევრებს. ვეცადე, რაიმე შემეტყო ბატონი ვაზიანის შესახებ, მაგრამ ვერავინ ვერაფერი მითხრა.

ძალიან კმაყოფილი ვიქნებოდი, ჩემი ძველი ქართველი მეგობრების შესახებ რომ მქონოდა რაიმე ცნობები. ხშირად ვიგონებ თავადებს ლევან და იოსებ ვაჩნაძეებს, სვიმონ

წერეთელს და მრავალ სხვას. როგორ ბრძანდება მომხიბლავი თეოდოსია ვასილევნა შიდლოვსკაია?

გავიგე სათავადაზნაურო ბანკში შემდგარი კრებების შესახებ. დარწმუნებული ვარ, რომ აზრთა ეს უმნიშვნელო სხვადასხვაობა ვერავითარ ზიანს ვერ მიაყენებს კეთილშობილ, ძმურ გრძნობებს, რომელიც ყველას გასულდგმულებთ და რომ პირადი საკითხები, რასაკვირველია, ვერ დათრგუნავს საერთო ინტერესების იდეას.

თუ თქვენი მრავალრიცხოვანი საქმეები საშუალებას მოგცემთ, მომწერეთ და შემატყობინეთ თქვენი ამბები.

გულითადი მოკითხვა ყველა ჩემს ნაცნობს თბილისში.

გთხოვთ, ირწმუნოთ ჩემი ურყევი მეგობრული გრძნობები.

მუდამ თქვენი ერთგული ოლივერ უორდროპი

3

ჩიზლჰერსტი, კენტი, ინგლისი. 28 თებერვალი, 1894.

ძვირფასო მეგობარო!

გმადლობთ გულითადი წერილისთვის. წიგნების დასტა ჩინებულ მდგომარეობაში ჩამოგვივიდა. ჩემი და მთხოვს, გადმოგცეთ მადლობა იმ შესანიშნავი საჩუქრისთვის, რომელიც თქვენ მას ჟურნალ „მოამბე“-ს სახით გაუკეთეთ. ეს გამოცემა სასახელოა თქვენი ქვეყნისთვის და თქვენ თანამემამულეთა ლიტერატურული მოღვაწეობის ბრწყინვალე საბუთს წარმოადგენს.

ნება მიბოძეთ, მოგილოცოთ თქვენი დაქორწინება ტასო ბაგრატიონ-დავითაშვილზე. გისურვებთ ბედნიერებას. მართალია, ცოტა არ იყოს, შემაგვიანდა, მიუხედავად ამისა, ჩემი სურვილები არანაკლებ გულწრფელია. ვიმედოვნებ, რომ მექნება სიამოვნება, გავიცნო ქალბატონი მაჩაბელი ჩემი მომავალი ჩამოსვლისას თბილისში; თუმცა, ღმერთმა უწყის, როდის მეღირსება ეს ბედნიერება.

ზუსტად არ ვიცი ჯერ, სად ვიმუშავებ. ამჟამად მოლაპარაკებას ვაწარმოებ ერთი თანამდებობისთვის... შორეულ აღმოსავლეთში. მაგრამ გადაწყვეტით ჯერ არაფერი არის ცნობილი. რამდენიმე თვეში შევძლებ, კვლავ მოვინახულო საქართველო.

მალე გამოგიგზავნით აღნიაშვილის ხალხური ზღაპრების თარგმანის ცდებს. გთხოვთ, დამიბრუნოთ ისინი, რაც შეიძლება მალე, თქვენი შენიშვნებითურთ. ჩემი და ფიქრობს, გამოაქვეყნოს იმავე ტომში ა. ცაგარელის „მეგრული ზღაპრები“ [სპბ., 1879] და „Грузинския народныя сказки, собр. Бебур...“, რაც მთლიანობაში დაახლოებით 200 გვერდს შეადგენს.

ვინაიდან გამოცემული იქნება მხოლოდ 500 ეგზემპლარი, ვიფიქრე, ურიგო არ იქნებოდა, შემეტყობინებინა ეს თქვენთვის, რათა თქვენმა წიგნით მოვაჭრეებმა დროულად შეძლონ დაკვეთების მიცემა, სანამ ტირაჟი არ ამოწურულა. ვიცი, რომ თქვენში ბევრი არ არის ინგლისურის მცოდნე, მაგრამ, შესაძლოა, ზოგს სურდეს, იქონიოს თავის ბიბლიოთეკაში პირველი ქართული წიგნი, გამოქვეყნებული ინგლისურ ენაზე. ფასი დაახლოებით 4 შილინგი იქნება, ხოლო გამომცემლის გვარია ბატონი დავით ნატი, 270 სტრენდი, ლონდონში.

ამ შრომას ცოტა ხნის შემდეგ მოყვება რუსთაველის პოემიდან 200 ბწკარის ლიტერატურული თარგმანი პროზად, მაგრამ ვიდრე ამ ნაშრომს დასაბეჭდად გავგზავნიდეთ,

საჭიროა რამოდენიმე ადგილის ახსნა-განმარტება, რაც მეტად გაუჭირდა ჩემს დას. ხომ არ ინებებდით, აგეხსნათ ჩემთვის შემდეგი სტროფების ზუსტი მნიშვნელობა:

17. „თვალთა მისგან უნათლოთა“ და ა. შ.

18. „რაცა ვის რა ბედმან“ და ა. შ.

19. „შაირობა პირველადვე“ და ა. შ.

26–31. „ჩემი აწ სცანით... კაცთა იახლების“-მდე.

ეს სტროფები პოემის შესავალშია.

საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე-სიცრუისას“ თარგმნა დავასრულე. ჩემმა დამ ის ორიგინალის ტექსტს შეადარა. ახლა გამომცემლის ძებნაში ვარ.

ბატონი ვაზიანი ამჟამად შოტლანდიაში იმყოფება, მაგრამ იმედია, სიამოვნება მექნება, გავიცნო იგი დაბრუნებისას, აპრილის თვეში.

კიდევ ერთი ცნობა მჭირდება: ხომ ვერ მეტყოდით, რა ლეგენდა არსებობს საქართველოს სამეფო იარაღის შესახებ. ვახტანგის მიერ მოსკოვში გამოქვეყნებულ ბიბლიაში ასოების გარჩევა ჭირს.

ამ კონვერტში თქვენ ნახავთ ქვითარს 45 მანეთსა და 70 კაპიკზე. მე თქვენი მმართებს 29 მან., და 14 კაპ., მაშასადამე, რჩება 16 მან., 56 კაპ. გთხოვთ, გადაიხადოთ „ივერიის“ ხელმოწერის 3 მან. 50 კაპ., რათა ეს გაზეთი ივნისის თვემდე გამომიგზავნონ. გთხოვთ, გამომიგზავნოთ აგრეთვე მ. საბინინის წიგნი „საქართველოს სამოთხე“, სანკტ-პეტერბურგი, 1882, 10 მან. თუ დარჩენილი ფულიდან გადახდის შემდეგ კიდევ რამე დაგრჩათ. გამომიგზავნეთ, გეთაყვა, განსვენებული ყაზბეგის თხზულებათა ტომი.

ჩემი და ჩემთან ერთად უღრმეს მადლობას გითვლით ყველაფრისთვის, რაც ჩვენთვის გააკეთეთ. მე კვლავ მალე მოგწერთ.

თქვენი ერთგული ოლივერ უორდროპი

4

ჩიზლჰერსტი, კენტი, ინგლისი, 15 აგვისტო, 1894.

ჩემო ძვირფასო მეგობარო!

ვჩქარობ, გიპასუხოთ 1/13 ივლისს გამოგზავნილ, გულთბილ წერილზე, რომელიც ამ დღეებში მომივიდა.

საუბედუროდ, ჯერ არ ვიცი, შევძლებ თუ არა ამ წელს თქვენთან ჩამოსვლას. მაგრამ თუ ჩამოვედი, ბევრი რამ მექნება თქვენთვის მოსაყოლი. ახლა კი კვლავ უნდა შეგაწუხოთ ახალი თხოვნით. გთხოვთ, მაპატიოთ, რომ ჩვენი სურვილი, შევადგინოთ ქართული წიგნების რაც შეიძლება სრული ბიბლიოთეკა, თქვენგან ამდენ წვალებას მოითხოვს.

უპირველეს ყოვლისა, გიგზავნით ახალ სიას იმ წიგნებისა, რომელიც მინდა ვიქონიო. გთხოვთ, აგრეთვე, ზედ დაურთოთ ახალი კატალოგი. თუ რაიმე საშუალება არის, დაძებნეთ ბუკინისტებთან საინტერესო ძველი წიგნები, ან ისეთები, რომელიც გასაყიდად აღარ არის. დიდად მადლობელი ვიქნები, თუ ინებებთ მათ გამოგზავნას. მაგ. ანტონის „Мерное слово“, „კალმასობა“, ჩუბინოვის „ქრესტომატია“, პლ. იოსელიანის ისტორიული შრომები, ხუცური დამწერლობის ძეგლები და ა. შ., რაც შეეხება ახალ გამოცემებს, ჩვენ გვინდა, ვიქონიოთ ყველაფერი, რაც ღისშესანიშნავია ისტორიული და ლიტერატურული თვალსაზრისით.

უნდა გითხრათ, რომ „წმინდა ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტების“ ეგზემპლარი სრული არ არის, XXXI–XLVI გვერდები აკლია. მოთხოვეთ, გეთაყვა, გამომცემლებს ნაკლული გვერდები.

აგვისტოს თვის „მოამბე“ მე-4-ე ნომრიდან მოყოლებული ჯერაც არ მიგვიღია. იმედი მაქვს, რომ ეს ჟურნალი დიდი პოპულარობით სარგებლობს. მისი შეძენა კიდეც ვურჩიე ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკას. რაც შეეხება „ივერიას“, არც ვიცი, რა ვადით გვაქვს გადახდილი მისი ხელმოწერა. საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, ის განაახლოთ.

ნამდვილად მრცხვენია კიდევ რაიმე გთხოვოთ, მაგრამ ეს ჩემი უკანასკნელი თხოვნა იქნება დღეისთვის. დიდი მადლობელი ვიქნებით, თუ შეგვატყობინებთ რუსთაველის პოემის შესავალში №17, 28, 29, 30, 31, სტროფების მიახლოებით მნიშვნელობას.

„ლიტერატურული საზოგადოების“ ანგარიშისა და სხვა ხარჯების დასაფარავად, რომელიც თქვენ გექნებათ, გიგზავნით 5L ღირებულების საბანკო ბილეთს. მისი მიღება, გთხოვთ, მაცნობოთ.

ჩვენი მეგობრის – ლევან ვაჩნაძისა კვლავ არაფერი ვიცი, მე თვითონ მივწერდი, მაგრამ მისი მისამართი არ ვიცი.

ბატონმა ვაზიანმა, „ივერიის“ კორესპონდენტმა პატივი დაგვდო და ჩვენთვის ქართული სალაპარაკო ენის გაკვეთილების ჩატარება ითავა. როგორც გვარწმუნებს, წარმატება გვეტყობა და ორი-სამი თვე თქვენთან რო გავატაროთ, საკმაოდ თავისუფლად ვილაპარაკებთ.

„ქართულ ხალხურ ზღაპრებს“ დიდი წარმატება ჰქონდა და გამომცემლები ფასის გადიდებას აპირებენ 4-დან 5 შილინგამდე.

„წიგნი სიბრძნე სიცრუისა“-ს თარგმანი თითქმის მზად არის და ვიმედოვნებ, რომ მომავალი თვის დასაწყისში ერთ ეგზემპლარს გამოგიგზავნით.

არ ვიცი, გითხარით თუ არა, რომ ივნისის თვეში სანკტ-პეტერბურგსა და მოსკოვში გახლდით. რუსეთში რვა დღე დავრჩი, იმედი მქონდა, რომ მოგზაურობას კავკასიამდე გავაგრძელებდი, მაგრამ იძულებული შევიქმენ, ლონდონში საჩქაროდ დავბრუნებულიყავი.

ჩემ შესახებ კიდევ მალე მოგწერთ. გარწმუნებთ, რომ თუ საშუალება მექნა, თბილისში წლის დამლევამდე ჩამოვალ.

ჩემი და მოკითხვას გითვლით და კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით ყველაფრისთვის.

პატივისცემით მოიკითხეთ ქალბატონი მაჩაბელი. ხელს ვართმევ ჩემს თბილისელ მეგობრებს.

თქვენი ოლივერ უორდროპი

5

ქერჩი, 19 ივნისი, 1895 წ., დიდი ბრიტანეთის ვიცე-საკონსულო.

ძვირფასო მეგობარო!

პატიებას გთხოვთ, უფრო ადრე რომ არ მოგწერეთ. ჩამოსვლის შემდეგ ბევრი საქმე მქონდა და თანაც ცოტა შეუძლოდ ვიყავი.

ზედმეტია იმის თქმა, რომ სულ ერთთავად თქვენზე ვლაპარაკობთ. ყოველ დღე ვნატრობთ, კვლავ ვინახულოთ თქვენი მშვენიერი ქვეყანა.

რამდენიმე დღეა, რაც გამოგიგზავნეთ ოქსფორდში დაბეჭდილი გამოცემა შექსპირისა, მიიღეთ როგორც მცირედი სახსოვარი. დღეს გიგზავნით დაპირებულ ფოტოსურათს. კნეინა ბაბომ, თქვენმა ცოლის დამ მთხოვა ჩემი პორტრეტი თავისი სურათის სანაცვლოდ. ვუგზავნი მას დიდ მოკითხვასთან ერთად.

ამჟამად თითქმის მოვეწყვეთ. ჩვენი სახლი საკმაოდ კეთილმოწყობილია და კარგ ადგილას დგას. საშინლად მოწყენილები ვართ, საზოგადოება გვაკლია. აბა, თქვენ იცით, თუ ჩამოხვალთ და გვანუგეშებთ. ერთი-ორი ოთახი ყოველთვის თქვენ განკარგულებაში იქნება.

წიგნების კითხვის საშუალებასაც მოკლებული ვარ. წარმოიდგინეთ! ჩემი წიგნები ჯერ კიდევ საბაჟოში იმყოფება. უნდოდათ ისინი ჟანდარმერიის უფროსს გაესინჯა. მე კი ცივ უარზე ვარ და ამ გასინჯვაზე არ ვთანხმდები ჩემი უფროსების ბრძანების გარეშე. საკითხი, ალბათ, წლის დასასრულამდე გადაწყდება.

სიკეთე მიყავით და ქართულ ტიპოგრაფიულ საზოგადოებას შეატყობინეთ, გამომიგზავნონ ყველა ახალი წიგნი გამოქვეყნებული ჩვენი წამოსვლის შემდეგ. გაზეთი „ივერია“ ხშირად გვატყობინებს ხოლმე ამის შესახებ. ანგარიში ყოველთვიურად გამომიგზავნონ, მე კი ერთიანად გადავიხდი თბილისზე გაგზავნილი ქვითრის საშუალებით. რამდენიმე თვეა, არ მიგვიღია „მოამბე“, შესაძლოა, რედაქციამ ჩვენი ახალი მისამართი არ იცის.

ჩემმა დამ რამდენიმე დღის წინ მისწერა კნეინა მაჩაბელს. ახლა კი მთხოვს, საუკეთესო სურვილები გადმოგცეთ თქვენ და ყველა ჩვენს მეგობარს თბილისში.

გადაეცით ჩემი ღრმა პატივისცემა კნეინა ტასოს და კნეინა ბაბოს. მეგობრული სალამი თავად მიშოს, გიგო დიასამიძეს, კოტე დოდაშვილს, ქალბატონ დემურიას – მოკლედ ყველას. ყოველ დღე ბევრს ვსაუბრობთ თქვენზე. აუცილებლად გვინახულეთ. სიამოვნებით ჩამოვიდოდი თქვენთან, მაგრამ საუბედუროდ, აქ ვარ გამომწყვდეული.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ოლივერ უორდროპი

6

ქერჩი, 29/10 სექტემბერი, 1895.


ძვირფასო მეგობარო,

ორი ჩემი მეგობარი, ბატონი ვილიამსები, უნივერსიტეტის ამხანაგები, რამდენიმე დღით ჩამოვიდნენ ჩვენთან. ხვალ ისინი მიემგზავრებიან ნოვოროსიისკში, ვლადიკავკაზსა და თბილისში, სადაც უნდა ჩავიდნენ 3/15 სექტემბერს, დაბინავდებიან სასტუმრო „ლონდონში“ ორი-სამი დღით. თუ ისევ თბილისში იქნებით, ძალიან მინდა, რომ ჩემს მეგობრებს ჰქონდეთ თქვენი გაცნობის პატივი. მე მათ მივეცი თქვენი მისამართი. წინასწარ გიხდით მადლობას ყველაფრისთვის, რასაც გააკეთებთ, რომ ჩემი მეგობრების ჩამოსვლა იყოს სასარგებლო და სასიამოვნო.

წიგნების გამომცემელ საზოგადოებას თბილისიდან ჯერ კიდევ არ გამოუგზავნია ანგარიშ-ფაქტურა, თუმცა, წიგნები დიდი ხანია მივიღე.

გთხოვთ, მოუყვეთ ჩვენს მეგობრებს თბილისში ჩემზე ბევრი რამ. ჩემმა დამ დამავალა, გადასცეთ მეგობრული მოკითხვა პრინცესა ტასოსა და პრინცესა ბაბოს. გართმევთ ხელს.

ოლივერ უორდროპი



398 MACBETH. [ACT IV.

And hums, as who should say, "You'll rue the time
That clogs me with this answer."
Len. And that well might
Advise him to a caution, to hold what distance
His wisdom can provide. Some holy angel
Fly to the court of England, and unfold
His message ere he come; that a swift blessing
May soon return to this our suffering country
Under a hand accurs'd!
Lord. I'll send my prayers with him.
[*Exeunt.*

ACT IV.

SCENE I. *A cavern. In the middle, a caldron boiling.*

Thunder. Enter the three Witches.

First Witch. Thrice the brinded cat hath mew'd.
Sec. Witch. Thrice and once the hedge-pig whin'd.
Third Witch. Harpy cries: — 'tis time, 'tis time.
First Witch. Round about the caldron go;
In the poison'd entrails throw. —
Toad, that under the cold stone
Days and nights hast thirty-one
Swelter'd venom sleeping got,
Boil thou first i' the charmèd pot.
All. Double, double toil and trouble;
Fire, burn; and, caldron, bubble.
Sec. Witch. Fillet of a fenny snake,
In the caldron boil and bake;
Eye of newt, and toe of frog,
Wool of bat, and tongue of dog,
Adder's fork, and blind-worm's sting,
Lizard's leg, and howlet's wing, —
For a charm of powerful trouble,
Like a hell-broth boil and bubble.
All. Double, double toil and trouble;
Fire, burn; and, caldron, bubble.

SCENE I.] MACBETH. 399

Third Witch. Scale of dragon; tooth of wolf;
Witches' mummy; maw and gulf
Of the ravin'd salt-sea shark;
Root of hemlock digg'd i' the dark;
Liver of blaspheming Jew;
Gall of goat; and slips of yew
Sliver'd in the moon's eclipse;
Nose of Turk, and Tartar's lips;
Finger of birth-strangled babe
Ditch-deliver'd by a drab, —
Make the gruel thick and slab:
Add thereto a tiger's chaudron,
For the ingredients of our caldron.
All. Double, double toil and trouble;
Fire, burn; and, caldron, bubble.
Sec. Witch. Cool it with a baboon's blood,
Then the charm is firm and good.

Enter HECATE.

Hec. O, well done! I commend your pains;
And every one shall share i' the gains:
And now about the caldron sing,
Like elves and fairies in a ring,
Enchanting all that you put in.
[*Music and song*, "Black spirits," &c.
[*Exit Hecate.*

Sec. Witch. By the pricking of my thumbs,
Something wicked this way comes: —
Open, locks,
Whoever knocks!

Enter MACBETH.

Macb. How now, you secret, black, and midnight hags!
What is't you do?
All. A deed without a name.
Macb. I cónjure you, by that which you profess, —
Howe'er you come to know it, — answer me:

უილიამ შექსპირის ნაწარმოებები, ლაიფციგი, 1868 წელი

ივანე მაჩაბლის მინაწერებით

7

ქერჩი, 28 მაისი, 1896.

ჩემო ძვირფასო მეგობარო!

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად მოგწერეთ. აქ, ქერჩში ისეთი ერთფეროვანია ცხოვრება, რომ არც არის რაიმე მოსაწერი.

დაახლოებით ექვსი კვირის წინ ჩემი დედ-მამა და ძმა ჩამოვიდნენ ქერჩში. ჩემი დის წინამძღოლობით უკვე მოიარეს და დაათვალიერეს ყირიმის უმთავრესი ღირსშესანიშნავი ადგილები და შემდეგ კვირას მისივე თანხლებით კავკასიაში მოეშურებიან. უეჭველად თქვენი სტუმრებიც იქნებიან, ასე, 1/13 ივნისისათვის, თუ, რა თქმა უნდა, იმ დროისთვის ჯერ კიდევ თბილისში იქნებით.

„იულიუს კეისრის“ თქვენეული თარგმანი სწორედ რომ საამაყოა: ეს არის თქვენი გენიისა და ამავე დროს თქვენი ენის განსაცვიფრებელი სიმდიდრის მტკიცება. მე წაკითხული მაქვს ამ პიესის ფრანგული, გერმანული, რუსული და ბულგარული თარგმანები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის დედანთან ისე სარწმუნო, როგორც თქვენი. თანამედროვეთ რომც არ დაგაფასონ სათანადოდ, თქვენ ისეთი რამ შეჰქმენით, რითაც შთამომავლობა აღფრთოვანებული იქნება. ვიმედოვნებ, რომ დროთა განმავლობაში სრულად თარგმნით შექსპირს.

ჩემი და გიამბობთ ახალ ამბებს, როდესაც გიხილავთ. მეც სულით და გულით მინდა ჩამოსვლა, მაგრამ დღესდღეობით ეს შეუძლებელია.

გთხოვთ, უმორჩილესი სალამი გადასცეთ კნეინებს – ტასოს და ბაბოს.

ჩემს დას უნდოდა წერილი მოეწერა თქვენი მეუღლისათვის, მაგრამ ისეა დაკავებული, რომ დრო ვერ გამონახა.

მომიკითხეთ ჩემი ძვირფასი თბილისელი მეგობრები.

მერწმუნეთ, მუდამ თქვენი ერთგული
ოლივერ უორდროპი

8

ქერჩი, 15/27 თებერვალი, 1898.

ძვირფასო მეგობარო!

სულ რამდენიმე დღეა შევიტყვე, რომ სერიოზულად ყოფილხართ ავად. ამ ამბავმა ძალიან შემაწუხა, მთელი გულით გისურვებთ სწრაფ და სრულ გამოჯანმრთელებას.

ძალიან იშვიათად იმიტომ გწერთ, რომ არაფერი საინტერესო არ მაქვს გასაზიარებელი. ქერჩში ჩვენი ცხოვრება ისეთი ერთფეროვანი და მოსაწყენია, რომ თითქმის არავითარ საბაბს არ იძლევა წერილისთვის.

განზრახული გვაქვს, გავემგზავროთ ლონდონს აპრილის თვეში; ინგლისში ივლისამდე დავრჩებით.

ჩვენმა ოჯახმა ბინა ქალაქის ცენტრში დაიკავა, რაც ჩვენს იქ ყოფნას უფრო მხიარულს გახდის.

ნოემბრის თვიდან არავითარი ცნობა არ გვაქვს ჟურნალ „მოამბე“-ს შესახებ, იმედია, რომ მისი გამოცემა გრძელდება. რედაქციამ პატივი დაგვდო და უფასოდ გვიგზავნის ჟურნალს, მაგრამ ეგებ აჯობებდა, ამიერიდან აღარ გვესარგებლა სულგრძელობით, რომელიც ასე ძვირად უჯდება ბატონ ჭყონიას.

ჩემს დას წინსვლა ეტყობა, რუსთაველის თარგმანი კარგად მიდის, განზრახული აქვს, სამუშაო ლონდონში ჩვენს გამგზავრებამდე დაასრულოს. რასაკვირველია, გამოქვეყნებას ჯერ ვერ შესძლებს, სანამ არ ჩაასწორებს, რაც მძიმე და ხანგრძლივ შრომას მოითხოვს.

„წმინდა ნინოს ცხოვრება“ უკვე ნაწილობრივ დაბეჭდილია ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა „კლარანდონის“ მიერ.

მოუთმენლად ველი თქვენი სრული განკურნვის ამბავს. ირწმუნეთ ჩემი გულწრფელი სიმპათია თქვენდამი. დიდი მოკითხვა ჩემგან კნეინა ტასოს, მთელ თქვენს ოჯახს და ჩემს თბილისელ მეგობრებს.

თქვენი ოლივერ უორდროპი

იაკობ მანსვეტაშვილი

1

23 თებერვალს – 91 წ.

ძმაო ვანო!

ერთხელაც გთხოვე, ბანკში რაიმე ადგილი მოგეცათ ჩემთვის და მგონი, უარს არ იყავ, თუ ადგილი იქმნებოდა. ეხლა, აი, არის ბუხჰალტერის ადგილი და თხოვნაც შემომაქვს.

დამეხმარე და აი, რისთვის გთხოვ ამ დახმარებას. შენ ხომ იცი კარგად, რამდენი წვრილმანი და გულგასაწვრილებელი საქმეა ამ „წერა-კით. საზოგად.“ სამსახურში. გარდა ამისა, იმასაც ხომ ჰხედავ, რომ ამ ბოლოს დროს ყელის ტკივილმა ლამის მომიდნოს და ამ ძველი წიგნების მტვერს და ათასგვარ სარბენს საქმეს უფრო ვაბრალებ ამ ჩემს სნეულებას. „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ეხლაც დავეხმარები ჩემის რჩევით და გამოცდილებით, მხოლოდ შეძლება მომეცით, რომ საზოგადო საქმეს ვემსახურო და ჯანი კი ზედ არ შევალიო.

ბევრს რაღას გეხვეწო, სრული იმედი მაქვს შენი მეგობრულის განწყობილებისა და რამდენად სხვა გვარად მაფასებ, ეგ შენ იცი.

შენი ერთგული ი. მანსვეტაშვილი

2

11 მაისს, 1892 წ.

ძმაო ვანო!

ერთი სათხოვარი მაქვს, ხოლო ჩემთვის კი არა. ქართველოვის ქალს მამისაგან ერთი სახლი დაჰრჩა, რომელიც ლამის ვალში გაეყიდოს. და თუ ეს მოხდა, მაშინ ოთხ-ოთხი სული ულუკმო-პუროდ დარჩება. მე ამას ჩემად გეუბნები, პატიოსან სიტყვას გეუბნები. ამათი დასხნა სწორედ მადლი იქმნება და აი, ამიტომ გიბედავ და გთხოვ, – აგები როგორმე ერთბაშად უშოვო ფული და დაიხსნა მეორე თამასუქი. თუ ამ სიკეთეს იზამ, ვეცდები, პირველი თამასუქიც გავაბათილოთ და ოცი თუმანი რომ არის დარჩენილი, ისიც გადაუხდელად თან გავაყოლოთ. – გეთაყვა, ვანო, კიდევ გთხოვ, ეცადე როგორმე, იქნება მოახერხო, უნდა ვუშველოთ საწყლებს. ეს ამოდენა ხანია, ვერც ადგილი რამ უშოვია, ვერც გაკვეთილები და ამის გამო ერთად-ერთი საღსარი საცხოვრებლად დაჰრჩომიათ სახლი. მგონი, დივიდენდიც უნდა გერგოს ას თუმნამდე, თუ სხვები ყველანი იღებენ, შენ რაღაზედ იტყვი უარს.

შენი ერთგული ი. მანსვეტაშვილი

3

24 ივლისს, 1892 წ.

ძმაო ვანო!

გიგზავნი ვესქელს. 25 მან. არსადა ჩანს, ჩაწერილი არ არის; მაგრამ, ვგონებ, უნდა დავიწყებული იყოს, თორემ ესეც მოცემული იქმნება. ამას თავი დავანებოთ და სათხოვარი სულ სხვა მაქვს.

როგორც მაისშიც მოგწერე, საწყალს ქალს სახლი ვალში ეღუპებოდა და რომ ვეღარას გახდა ვერსად, მე ვუშოვე, რის ვაი-ვაგლახით და ტანჯვით: 400 მან. გამოვართვი სანდროს, „პურღვინის“ პატრონს, 200 მან. ნიკიფოროვს, რომელიც %-თ მახრჩობს, 60%-დე იღებს თითქმის და 300 მან. კიდევ ჩვენ გენერალს, თარხნიშვილს გამოვართვი. სხვებს რომ თავი დავანებო, ამან სული შემიწუხა: დამდგომია და გინდა თუ არა, უნდა მიშოვოვო, მეც ძალიან მიჭირსო. გაივლის და გამოივლის თუ არა, მე ჩემი მემართება, თითქოს ეკლებზე ვზივარ-მეთქი. ყველა ამას თუ გწერ და ჩემი დარდებით გაწუხებ, აი, რისთვის: იქნება, გეთაყვა, როგორმე ხელი გაგვიმართო და მეორე ვექსელი როგორმე დავაგირაოთ

საკომერციო ბანკში (учесть). თუ იანვარში გაგიჭირდება დახსნა, მე პატიოსან სიტყვას გაძლევ, რომ მოგეშველები. ცალიერ სიტყვას, რასაკვირველია, დიდი გასავალი არა აქვს, მაგრამ წყაროებიც არის: ჩემი სტამბის პაების გაყიდვას თვით „ქართველთა წიგნების გამომცემი ამხანაგობა“ მშველის და იმედი მაქვს, რომ იანვრამდე 30 პაის თუ არა, 20 ხომ მაინც გავყიდი, რაიცა შეადგენს 1000 მან. ამას გარდა, მანამდე ბევრი დროა და შეიძლება, სხვა ღონეც რაიმე ვიღონოთ.

ასეა, გეთაყვა, ვანო, საქმე და გეთაყვა, პასუხს ნუ დამიგვიანებ და ნურც უნუგეშო პასუხს მომცემ.

შენი ერთგული ი. მანსვეტაშვილი

არტურ ლაისტი

1

კამენკა, 28/16 თებერვალი, 1891.

ჩემო უძვირფასესო მეგობარო,


პირველ რიგში, მიიღეთ ჩემი გულწრფელი მილოცვა თქვენს დაოჯახებასთან დაკავშირებით. დაგავიწყდათ, რომ მოგეწერათ, ვინ შეირთეთ, თუმცა, იცით, რომ ყველაფერი, რაც უკავშირდება თბილისურ ცხოვრებას, ძალიან მაინტერესებს. მთელი გულით გმადლობთ თარგმანებისათვის, რომლებითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. თუ დრო გექნებათ და გსურთ, მასიამოვნოთ, გთხოვთ, დანარჩენიც მითარგმნოთ, რადგან რამდენიმე თარგმანი მესაჭიროება ჩემი „ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის“. მოუთმენლად ველი „ქართულ-რუსულ ლექსიკონს“, რომელიც ძალიან მჭირდება. მე იოლად ვკითხულობ ქართულ ჟურნალებს. ჟურნალ „ივერიის“ ერთ-ერთი მომდევნო ნომრისთვის მოვამზადებ ქართული ცხოვრების შესახებ ჩემი ახალი მოთხრობის „ვარიპანიძიანთ ნინო“-ს რეზიუმეს, რომელიც გამოიცემა შტუტგარტში, „Über Land und Meer“-ში ან „Illustrirte Welt“-ში, რადგან ეს ორი ჟურნალი ერთდროულად გამოდის ერთსა და იმავე გამომცემლობაში. ამას გარდა, პიერსონისათვის ვამზადებ სამ მოთხრობას: „Am Schvarzen Meere“ („შავ ზღვაზე“) – რომელიც უკვე გამოიცა; „Ketewan“ („ქეთევანი“); „Der kleine Janira“ („პატარა ჯანირა“) დღემდე არაფერი მიმიღია პიერსონისაგან. რამდენჯერმე მივსწერე, შეენახა „ვეფხისტყაოსნის“ რეკურსიები, მაგრამ, როგორც ჩანს, ის ძალიან ზარმაცია. როგორ არის ჭავჭავაძე?

მაისში მივდივარ კონსტანტინოპოლში, რომელიც ძალიან მიზიდავს და ივლისში დავბრუნდები თბილისში. დიდი ხანია, მინდა, ვნახო ლამაზი თურქული ქალაქი და ბოსფორი.

მომიკითხეთ ჩემი ყველა მეგობარი, ნახვამდის. გულწრფელად გართმევთ ხელს.

თქვენი არტურ ლაისტი

ვოლინის გუბერნია, კორეცის გავლით კამენკა



არტურ ლაისტი
თბილისი, 1890-იანი წლები

2

ლეოპოლი, 1 დეკემბერი, 1891, ავსტრია.

ჩემო უძვირფასესო მეგობარო!

დიდი ხანია, თქვენგან არაფერი გამიგია, ჩემო ძვირფასო. მთელი ზაფხული იმედი მქონდა, შემოდგომაზე გნახავდით, მაგრამ ჩემი გამომგზავრების წინ ისე ავად გავხდი, რომ ხანგრძლივ მგზავრობას ვერ შევძლებ. საბოლოოდ გადავწყვიტე, ზამთარი გავატარო ლეოპოლში, სადაც ცხოვრება ძალიან ძვირი არ არის. ვმუშაობ დილიდან საღამომდე, რომ გაზაფხულამდე დავსრულო დიდი რომანი საქართველოს ცხოვრებაზე ჟურნალისთვის „Uber Land und Meer“ და შთაბეჭდილებების წიგნი სახელწოდებით „ერთწლიანი ხეტიალი კავკასიაში“. „Uber Land und Meer“-ში წაიკითხეთ ჩემი მოთხრობა „ვარო“? ამ ზამთარს ლაიპციგში, ვილჰელმ ფრიდრიჰის გამომცემლობაში, ვაქვეყნებ წიგნს, რომელშიც შევა სამი მოთხრობა. ჩემმა გამომცემელმა მომაწოდა რეცენზია, რომელსაც თქვენ გიგზავნით. შესაძლოა, თქვენ თარგმნოთ „ივერიისათვის“. ის იყო გამოქვეყნებული „Blaetter fur Litterarische Unterhaltung“-ში. მხოლოდ ახლა წავიკითხე „ივერიაში“ ჩვენი ძვირფასი მეგობრის დათიკო ერისთავის გარდაცვალების შესახებ. ამ ამბავმა ძალიან დამადარდიანა. მე აქ ვიღებ „ივერიას“ და ძალიან დიდი ინტერესით ვკითხულობ. ამგვარად, თქვენი ლიტერატურისა და ყველაფრის საქმის კურსში ვარ, რაც მნიშვნელოვანი ხდება საქართველოში. როგორ არის ჭავჭავაძე, გოგებაშვილი და ყველა ჩვენი ამხანაგი? „ივერიაში“ ვიპოვე ა. წერეთლის ლამაზი ლექსი „გედი“: „სიკვდილის წინეთ ამბობენ“ და ა. შ. მე მას ვთარგმნი.

იმედი მაქვს, მალე გამომიგზავნით თქვენს რომელიმე ნოველას. მოუთმენლად ველოდები მათ, მოკითხვა თქვენს ძმას, ილიკო ჭავჭავაძესა და ჩვენს ყველა მეგობარს.

თქვენი არტურ ლაისტი
ლეოპოლი (ლემბერგი), Place Chorążczyzna 15, II სართული

3

ლემბერგი, 8 იანვარი, 1892.

ჩემო უძვირფასესო მეგობარო!

უპირველეს ყოვლისა, მიიღეთ ჩემი გულწრფელი საახალწლო მოლოცვა. თქვენმა წერილმა ძალიან გამახარა და უფრო ადრე გიპასუხებდით, ძალიან დაკავებული რომ არ ვყოფილიყავი. გუშინ თბილისიდან მივიღე „Новое Обозреніе“, სადაც თქვენ გამოაქვეყნეთ „Blaetter fur Litterarische Unterhaltung“-ის რეცენზიის თარგმანი. იძულებული ვარ, ისევ შეგაწუხოთ ერთი სათხოვარით. გასულ წელს თქვენ გამოაგზავნინეთ ჩუბინოვის ლექსიკონი, მაგრამ სამწუხაროდ, გამომიგზავნეს რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც თითქმის უსარგებლო იყო ჩემთვის, რადგან ჩემი თარგმანებისათვის მე მჭირდება ქართულ-რუსული ლექსიკონი. ამის გამო მინდა, გთხოვოთ ჩემი პეტიციის წარდგენა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის. შესაძლოა, ამ ბატონებმა გამოიჩინონ გულისხმიერება და უფასოდ გამომიგზავნონ ეს წიგნი. ის მე ძალიან მესაჭიროება. მინდოდა, ხელახლა მეთარგმნა რამდენიმე ლექსი და შესაძლოა, „ივერიიდან“ რაიმე მოთხრობა, მაგრამ ლექსიკონის გარეშე არაფერი გამომივა. რამდენიმე კვირაში მე გამოგიგზავნით ჩემი მოთხრობების პირველ ტომს. ჩემი ახალი რომანი „Neue Kulturmenschen“ („ახალი კულტურული ადამიანი“) დასრულდება თებერვალში. თუ ჩემს მილოცვებს გადასცემთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, გთხოვთ, ასევე მიაწოდოთ ჩემი მისამართი ფრანგულად ან გერმანულად.

წელს ჩვენთან ზამთარი არ არის, მაგრამ შესაძლებელია, ის კიდევ დადგეს. როგორ არის ქალბატონი კაკო ჭავჭავაძე? ილია ჭავჭავაძეს ძალიან დიდი ხანია მართებს ჩემი ერთი წერილი. მე ვკითხულობ ყოველდღე „ივერიას“ და ამგვარად საქმის კურსში ვარ, რა ხდება თქვენს ლიტერატურაში. ძალიან მაინტერესებს გიორგი წერეთლის რომანის „პირველი ნაბიჯი“ წაკითხვა. მომიკითხეთ ჩემი მეგობრები.

თქვენი არტურ ლაისტი
ლემბერგი, Place Chorążczyzna 15, II სართული

4

ბათუმი, 4 მარტი, 1895.

ჩემო ძვირფასო მეგობარო,

„მოამბეში“ წავიკითხე „ვარიპანიძიანთ ნინოს“ თქვენეული თარგმანი და საჭიროდ მივიჩნევ, გამოვხატო გულწრფელი და ღრმა მადლიერება. ყველა მოხიბლულია თქვენი თარგმანით, რაც ამტკიცებს, რომ „ჰამლეტის“ თქვენეულ თარგმანს არ დაუკარგავს მაღალმხატვრულობა და ქართულ ენაზეც იშვიათი ელეგანტურობითა და პოეტური სრულყოფილებით გამოირჩევა, მიუხედავად იმისა, რომ მან ლიტერატურის არენიდან უკან დაიხია, რაც დასანანია.

ათასგზის გმადლობთ, ჩემო ძვირფასო, ლამაზი თარგმანისათვის. სააღდგომოდ ჩამოვალ ტფილისში და გეახლებით, რათა პირადად გადაგიხადოთ მადლობა. ნახვამდის.

თქვენი არტურ ლაისტი

5

ბათუმი, 14 აგვისტო, 95.

ჩემო ძვირფასო მეგობარო!

რადაგან „მოამბის“ მკითხველებს ძალიან სურთ, გაეცნონ ჩემს სხვა ნაწარმოებებს საქართველოში ცხოვრების შესახებ, მე ვბედავ, გთხოვოთ ჩემი კიდევ ერთი მოთხრობის „ვაროს“ თარგმნა, რომელიც გამოქვეყნდა „Uber Land und Meer“-ში. თუ თქვენ თანახმა იქნებით, ჩემო ძვირფასო მეგობარო, მე სასწრაფოდ გამოგიგზავნით ზემოხსენებულ ჟურნალს და დაგრჩებით ძალიან მადლიერი. ხელს გართმევთ.

თქვენი არტურ ლაისტი

6

კამენკა, 16 მაისი, 1897.

ჩემო უძვირფასესო მეგობარო!

უპირველეს ყოვლისა, მინდა, მადლობა გადაგიხადოთ ლექსებისთვის, რომელთა გამოგზავნითაც თქვენ უდიდესი სიკეთე გააკეთეთ. განსაკუთრებით მომეწონა ერთი – ორბელიანის „მოგონება“. პოეტმა ის დაწერა წინანდალში, სადაც მე ძალიან სასიამოვნოდ გავატარე სამი კვირა. ამასთან ერთად, მე მინდოდა, მეთქვა ამ მომხიბლავი ქვეყნისათვის – „აჰა, ადგილი! აჰა, ის არე!“.

დღეს თქვენთან ისევ ერთი სათხოვარი მაქვს, ჩემო ძვირფასო, რადგან ამ საქმით ნინო ისევე ინტერესდება, როგორც მე. იმედი მაქვს, უარს არ მეტყვით. გერმანელმა მეცნიერმა, ბ-ნმა არტურ შილბახმა დაიწყო ქართული ენის შესწავლა, მაგრამ რადგან მას ბროსეს ნაწარმოებების გარდა სხვა წიგნები არ აქვს, მომმართა თხოვნით, მიმეთითებინა სხვა წიგნები, კონკრეტულად, უფრო ახლები. მე ვუპასუხე, რომ ქართულის სწავლა შედარებით ადვილია პრაქტიკულად, რადგან გრამატიკა ჯერ კიდევ არ არის საკმარისად დახვეწილი. ვფიქრობ, ბ-ნ შილბახს უნდა გავუგზავნო: 1. მოკლე ფრანგული გრამატიკა, 40 ასლი; 2. მოკლე სახელმძღვანელო ფრანგული ენისა, 50 ასლი. ორივე წიგნი გამოცემულია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ და ვფიქრობ, ბ-ნი შილბახი იქიდან შეძლებს, ისწავლოს ყოველდღიური სიტყვები და გამოთქმები. რუსული რომ იცოდეს, გავუგზავნიდით ქართული ენის თვითმასწავლებელს, მაგრამ მან ეს ენა არ იცის. უთხარით ასევე გოგებაშვილს, მას გაუგზავნოს დედაენა და სხვა წიგნები. იმედი მაქვს, გამოიჩენთ გულისხმიერებას და მალევე გაუგზავნით პირდაპირ ბ-ნ შილბახს, რადგან მთხოვა, სასწრაფოდ მოვუძიო ეს წიგნები. ის ცხოვრობს შტუტგარტში – კორნერის ქუჩა, b-30, დოქტორი არტურ შილბახი. ძალიან ასიამოვნებთ ბ-ნ შილბახს, თუ მას გაუგზავნით შექსპირის თქვენეულ თარგმანებს.

გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და თქვენვე დააწეროთ გზავნილზე მისამართი, რადგან წიგნების მაღაზიის მმართველმა, შესაძლოა, არ იცოდეს გერმანული. ბ-ნი შილბახი ძალიან ინტერესდება თქვენი ლიტერატურით და ამჟამად ამზადებს კვლევას ხევსურებზე. რამდენიმე კვირაში მე ჩამოვალ ტფილისში, მაგრამ, სავარაუდოდ, მანამდე წავალ უცხოეთში. ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს, მალე შევხვდებით.

გულწრფელად თქვენი მეგობარი,
არტურ ლაისტი

ალექსანდრე ხახანაშვილი

პატივცემულო თავადო ივანე!

თუმცა თქვენი პირადი ცნობა არა მაქვს, მაგრამ მაინც ვბედავ, მცირედი თხოვნით მოგმართოთ. მოსკოვში მოვიდა ხმა, ვითომც სააზნაურო ბანკი აპირებს, დანიშნოს რამდენიმე სტიპენტია ქართველი სტუდენტებისთვის. თუ ეს ხმა გამართლდა, გთხოვთ, იყოლიოთ სახეში და იშუამდგომლოთ კრების წინაშე ერთი გაჭირებული მოსწავლისათვის, რომლის გვარს შეხვდებით მოსკოვიდამ მოწერილ ამბავში ქართული საღამოს შესახებ. ეს ყმაწვილი კაცი კარგარეთელია, სწავლობს კონსერვატორიაში და, როგორც იქაური პროფესორები ამბობენ, კაი ნიჭის და ხმის პატრონია. კარგარეთელს ჰსურს, შემდეგ თავის ცოდნა მოანდომოს ქართულ ხმების შესწავლას. ამ გვარად მომზადებული და ნიჭით აღჭურვილი პირი, ჩემის აზრით, საჭიროა ჩვენთვის. თუ შესაძლებლისად დაინახოთ, ნუ დასტოვებთ ამ თხოვნას უყურადღებოდ და მიეცით შესაფერი გზა, რომ გაემართოს ხელი გ. კარგარეთელს. დასასრულ, გთხოვთ, მომიტევოთ კადნიერება და, შეიძლება, უსაფუძვლო წერილით თქვენი შეწუხება.

თქვენი პატივისმცემელი ა. ხახანაშვილი
1891 წ. აპრილის 19 დღესა

Адр.: Воздвиженка, д. Армандъ, номера Осиповой или Лазаревский Институтъ.

აკაკი წერეთელი

1

ძმაო ვანო!

დიდ-გულობა სხვებისაც მეჯავრებოდა და დღეს გამოდგა, რომ თვითონ მე ვყოფილვარ გულ-დიდა: ექიმებმა დამიმოწმეს და იმედიც გადამიწყვიტეს. ვეუბნები, თუ არაფერი მიჭირს: დიდ მდგმურს სადგურიც დიდი ეჭირება მეთქი! დიდი გრძნობა მაქვს და გულიც დიდია საჭირო, რომ დაატიოს მეთქი, მაგრამ არ დამიჯერეს. გინდა თუ არა ბადენ-ბადენში გასწი ახლათ ახლავეო. ამ დალოცვილებმა რა იციან, რომ ჩემს მერანს ნალები აყრილი აქვს, დაუჭედელია და ველარსად მივყავარ. მასთანაც იმერელის არაკი მაგონდება: კუთხეში რომ მიიყვანეს საუზმეზე, ანუ უკეთ ვსთქვათ, საწუწკარზე და უთხრეს: ჯერ აქ მიირთვით და მერე სუფრაზე მობრძანდითო. იმას გაუკვირდა და სთქვა: „აქნის აქნობამდი რაღა საგზალი მეჭირვებაო“. მისი არ იყოს, თუ მართლა დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დამრჩენია, ბადენ-ბადენში გავლა რაღას მომეხმარება... რომ მოვჰკვდე, მაშინაც არ დაუჯერებენ ამ მ... თუმცა ჩუდნოვსკიმაც, ბოტკინის მოადგილემ იგივე მითხრა, რაც სხვამ... ხუმრობა გაშვებით იყოს და თუ მართლა რამე მამივიდეს, აქ კი არ დამაგდოთ... თორემ მაშინ ასრულდება ჩემ თავზე: „ვერიდებოდი ღოლოსა, დამიხვდა სოფლის ბოლოსაო!..“. სხვა რასა შვრებით? რა ანბებია მანდეთკენ? თუ მოიცალო და მომწერო, ძალიან მადლს იზამ. კნეინა ტასო პატივისცემით მომიკითხე, აგრეთვე ბაბო. ნიცას თუ წიგნი გაუგზავნოთ, ჩემ მაგიერ მოკითხვა!..

გიორგი გიგებს თუ უგებ ნარდში? მომიკითხე. დათას წიგნი მივსწერე და მიიღო თუ არა? ბაბოს შემახვეწე, რომ ჩემ მაგიერ სამძიმარი გადასცეს ნინოს. საბრალო ლუარსაბი!.. მეტად გული მატკინა მაგის სიკვდილმა!.. გულს ბევრი რამ უნდა, რომ მოგწეროს, მაგრამ თავ-ბრუ ნებას არ მაძლევს.

შენი მოყვარული აკაკი
[მაისი, 1891, პეტერბურგი]

2

ძმაო ვანო!

შენი წერილი მივიღე, გზაში გაცივებულიყო და უფრო ხალიჩის პასუხი იყო ვიდრე ჩემი წერილის. ჩემ შვილს ჰგონებია, რომ „ნადიოჟნათ“ გამოგზავნა შესაძლებელი ყოფილა მადედგანაც ისე, როგორც სხვა ქალაქებიდან. და რაც შეეხება არჩევას, ალბათ იფიქრა: იმას ხომ ბევრჯელ მოსვლია ფეშქეშათ ხალიჩები და არჩევაც ეცოდინებაო. ახლა რომ ჩამოვა, თვითონ აირჩევს!.. წავიკითხე „ივერია“, იმედია, პასუხს არ გასცემთ. ტყვილა კი არ არის ნათქვამი: „ობოლო, ვის დაჰკრავო? და ვინც გამზარდაო!“. თქვენ გაზარდეთ და გაადიდეთ ხალხის თვალში ეგ ვეშაპი და ახლა აგრე მოგიხდებათ!.. არც დიმიტრი ივანიჩის გაშვება მწყენია... „რა მიარბენინებდა გემზე?“. სხვა რაღა მოგწერო. მე ძალიან ავათა ვარ. პირიდან სისხლი მდის და მეუბნებიან, „ბიარიელში“ წადიო. მაგრამ მე ვარჩიე, რადგანც უფრო შორს წასვლა უადვილესია, აღარ ვიფიქრო „ბიარიელზე“... შენს ვალს, იმედია, ამ მოკლე ხანში მიიღებ. შვილმა დამპირდა გავუგზავნიო... მომიკითხე ჩვენები. ნეტავი, ისე არ მოვკვდებოდე, რომ სიმართლე გამარჯვებული ვერა ვნახო. მშვიდობით.

შენი აკაკი

წერა აკრძალული მაქვს და ბევრს ვეღარ გწერ.

[1891, პეტერბურგი]

3

ძვირფასო ძმაო და მეგობარო ვანო!

გისამძიმრებ დამარცხებას და იმავე დროს გილოცავ გამარჯვებასაც, რადგანაც მაგგვარი დამარცხება – იგივე გამარჯვებაა!.. სამწუხარო ის არის მხოლოდ, რომ უმეტესობა ძალმომრეობას ეთაყვანება და ადვილად შესაძლებელია, ბევრი სუსტი მეგობრები ჩამოგაშოროს (მაგალითი, ვგონებ, კიდეც ნახე) და მოულოდნელი ღალატი გულს გატკენს. მე კი პირადად ძალიან მიხარია შენი ამგვარი თავ-გადასავალი: უფრო დაუკვირდები, უკეთ გაარჩევ ნამდვილსა და მოჩვენებულს, თორემ, შე დალოცვილო, აჩქარებით, თვითონ შენ შესვამ ხოლმე ბედაურზე ზოგიერთებს, მაგალითად, ავიღოთ გინდ, „ღირსი მეგობარი და თანამშრომელი“ ანუ ცეტ-ბასილა ხ..ვი, რომელსაც ძალიან უახლოვდებოდი ხოლმე, შენვე გამოგყავს საჯირითო მოედანზე და ბოლოს გინდა, რომ ფეხ და ფეხ გამოუდგე და გადმოაგდო ცხენიდან უღირსი რაინდი!.. რათ იჭირვებ საქმეს? მაგრამ ნათქვამია: „წყალ-წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“. ისე ძვირია ჩვენში საზოგადო მოღვაწე, რომ შენ გინდა მატყუარებიც ნამდვილად მიიღო!.. ახლა კი იმედი მაქვს გაფრთხილდები და სხვა რა გიჭირს. მომავალი რომ თქვენი დასის იქნება, მე ეჭვი არა მაქვს. „ივერიისათვის“ რომ

მიგიმართავს, არ მომწონს. მტრის ოჯახში მასპინძლობა შეუძლებელია. დარწმუნებული ვარ, რამეს გიხრიკებენ იქ. „ობოზრენიაში“, ჰო, კიდევ და კიდევ რა გაეწყობა. თუ მოახერხო, გამოძებნე სანდო პირი, რომ ბოლოს არ გადგეს და გაზეთი ათხოვინე. მე იმედი მაქვს, რომ აქ ნება დართონ. დაპირებას არიან ჩემთან. მხოლოდ სანდო კი უნდა იყოს.

მე ძალიან ავათა ვარ, ასე რომ ტკივილები გულს მიწუხებენ ხოლმე. კარგი ექიმები მადგიან თავზე და, არ ვიცი, თუ გაუძელი, ღმერთმა ქმნა, შეიძლება, ერთი წლის შემდეგ ისევ ჩამოვიდე. თქვენები ყველა პატივისცემით მომიკითხე. კნეინა ტასოს ძმურის სიყვარულით ხელკოცნას ვუმცხადებ.. ნატალიამ სიყვარულითა და პატივის ცემით მოგიკითხათ. ნიცას ამბავი არა ვიცი რა: როგორ არის შვილებით? გიგზავნი ამ პატარა ლექსს. ველიჩკოს დაეწერა რუსულათ და მეც ვითომ გადავთარგმნე. ბაბოს ხომ მაინც უყვარს კითხვა და რამდენიმე წამით თავს შეიქცევს. ნიკო დიასამიძეს ლავაშები გამოეგზავნა ჩემთვის, მაგრამ კიკო ჩოლოყაშვილს რძის საქმე დამართნოდა. ძალიან გაბრაზებულია ნიკო „ღირსეულ მეგობარზე“. მისი ცოლი წამოვიდა გუშინ მანდეთ, საქმე უნდა გაარჩიონ და უთხარი ნიკოს, სტენოგრაფიული ანგარიში მისი საქმის თუ მანდ არ დაბეჭდონ, აქეთ გამომიგზავნოს. მე დავაბეჭდინებ და მაშინ გამოჩნდება მაგის ღირსეულობა. ბევრი მინდა მოგწერო, მაგრამ ეს ოხერი გული არ მაძლევს ნებას. იყავ მშვიდობით და შენებურად.

შენი მარად ერთგული აკაკი
[ივნისი, 1891, პეტერბურგი]

ვასო მომიკითხე მისის სახლობით.

4

საყვარელო ძმაო ვანო!

დიდი ხანია, რაც შენი წერილი არ მომსვლია და მეც აღარ გამომიგზავნია. შენ, ალბათ, არ გეცალა და მე კი ავადმყოფობა მიშლიდა ხელს. მართალია, ერთხანობით ცოტათი გამოვბრუნდი, მაგრამ ახლა ისევ შემიბრუნა. დავღოღავ, მაგრამ ვაი ამისთანა ფეხზე დგომას, რომ ყოველ წუთას გულის გახეთქვას ველი!.. მირჩევენ, ან საზღვარგარეთ წადი ან კავკასიაში წადიო. პირველის საშუალება არა მაქვს და მეორეზე გული არ მაძლევს ნებას: აქ მოვკვდე, ის მირჩევნია, მანდ სიკვდილს, რომ დასაფლავების დროს სამაიმუნოდ არ გავხდე. ნუ გაიკვირვებ ამ ჩემ სურვილს!.. მართალია, სამშობლო ტკბილია, ჩვენს ხალხსაც ვუყვარვარ და პატივს მცემს, ასე რომ, მე ათისთავისა და ასისთავის ღირსიც არა ვარ, მაგრამ რა გამოვიდა, როდესაც ეგ ქვეყანა და ეგ ხალხიც იმ გაიძვერების ხელშია, რომელთაც ინტელ.-მეთაურებს ეძახიან და მათ ნებაზე დადის. მაგ ფარისეველ-მეთაურების მცნებაც ხომ ვიცით, თუ რა არის: სიცოცხლეში გდევნიან, მახეს გიგებენ, სიკვდილამდე მიგიყვანენ, გატირებენ და რომ მოკვდები, მაშინ ზარს ანბობენ მხოლოდ თავის თავის გამოსაჩენად, იმერელ მოზარეებსავით!.. ძნელია, ამას რომ ვანბობ, მაგრამ რა ვქნა, რომ გულმა ვეღარ დაიტია და შენ რა უნდა დაგიფარო?

როდესაც მე აქ ვეგდე გაჭირვებული, ექიმისა და წამლის სასყიდელი არა მქონდა, რათ მინდოდა მე მაშინ მანდაური პარაკლისები და დაცინების სიტყვა: „ჩვენი საყვარელი აკაკი და სხვანი“. უცნობმა რუსებმა, რომელთაც მხოლოდ სახელი გაეგონათ ჩემი, მნახეს და მანუგეშეს... მანდედან ჩამოსულებმა კი ანბავიც არ იკითხეს... მხოლოდ გარედან ანბავს ტყობილობდენ: როდის მოკვდება? რაღას აგვიანებს, რომ ბარემ გაზეთში გამოვამცხა-

დოთ და ჩვენი ფარისევ-მაიმუნობა ქვეყანას ჩვენივე სასარგებლოთ დავანახვოთო. იმ გაჭირვების დროს ქუთაისის ბანკის გამგეობას, რომელიც ინტელიგენციისაგან არის შედგენილი, გაუგზავნე თხოვნა, რომ კრებისათვის გადაეცა და ერთი წლის პენსია წინდაწინ მოეცათ და გაჭირვებაში ხელი მოემართათ. ზედაც კერძო წერილები დავაყოლეთ თუ მე, თუ დავით მიქელაძემ წევრებთან და იმათ, ჩემი თხოვნის ნაცვლად განჩინება დაადგინეს: ფული აღარ არის და პენსია მოუსპეთ აკაკის, რადგანაც მაინც აღარას აკეთებსო და მთელი ხალხი საცინლად ააგდებიეს აქაურ გაზეთებს. როდესაც კრებამ არ მოუსმინა და მაინც გადამიწყვიტა, ახლაც კიდევ იგივე გამგეობა უარს მეუბნება... რასაკვირველია, მე მომავალ მაისს, მადლობას შევწირავ და უარსაც განვაცხადებ მაგ ვითომ პენსიაზე...

ეჰ, რომელი ერთი მოვთვალო!.. ღმერთმა ხელი მოუმართოსთ! არც მაგათი დაცინება მინდა და არც მაგათი შემწეობა. მაგათი ღვთის წყალობა ღვთის რისხვად მიმაჩნია... და მაგათი ქება ლანძღვად!!! სხვა რაღა მოგწერო, შეტყობილი გაქვს, ეგება, რომ ჩემი ზოგიერთი თხზულება რუსულათ ითარგმნა. მათ რიცხვში – „თამარ ცბიერი“ და „პატარა კახი“. ეს ორი მაინც მოწონებულია განსაკუთრებით. „პატარა კახი“ ძალიან მოსწონთ და მალე იქნება დაბეჭდილი, თუმცა პროზად არის ნათარგმნი... საკვირველია, „ივერიის“ დევ-გმირის გოშიების ყეფამ და წუწკუნმა აქ ვერ გასჭრა?.. ალბათ, ნასუფრალი ნამეტანი მოსვლიათ, მუცელი ტკენიათ და იმას აუწუწკუნებიათ. თუ სნეულებამ ხელი არ შემიშალა, აღარც მატერიალურათ მიჭირს რა: იანვრიდან თანამშრომლათ მიმიწვიეს ზოგიერთ აქაურმა დიდმა გაზეთ-ჟურნალებმა. იაკობ გოგებაშვილსა ჰკითხე, მომცემს ნებას, რომ გადათარგმნილ იქნეს მაგის „იავნანამ რა ქნა?“ რომელიც აქ ოსტროგორსკის ძალიან მოსწონს, თუ არა?

მაპატიე, რომ გაწუხებ გრძელი წერილით. ჩვენები მომიკითხე. შენს სახლობას უგულითადესი პატივისცემა.

შენი აკაკი
[ნოემბერი, 1891, პეტერბურგი]

5

საყვარელო ძმაო და ძვირფასო მეგობარო ვანო!

ვიცი, რომ პირადად ბედნიერი ხარ: მაგისთანა ოჯახობა და ნათესავები გახვევია გარს!.. ამას გარდა, ვინც კი რიგიანი გიცნობს, ყველა შენი მეგობარია და ურიგოებს კი თვალში ეჩხირები და შენგან გარბიან!.. (ესეც კიდევ უკეთესი ღვთის წყალობა!). ადგილიც თავისუფალი გიჭირავს, მაგრამ გული კი მაინც არ გექნება გამაძღარი. შენისთანა კაცები განა კერძოობით კმაყოფილდებიან? ყაზაზ-პოლოზებში ტრიალი კერძო საქმეა და საზოგადოც რომ იყოს, მაშინაც კი ისეთი წვრილმანია, რომ ნაცარ-ქექიების საკადრისია და არა შენი. მაჩაბელი გამიგონია: სარდალი, მოურავი, მსაჯული და არა ქვრივ-ობლების „ზედამხედველი“!.. ეგ ძველად ჭყონდიდელების საქმე იყო... ან ძალიან სულის კაცი უნდა, რომ ობლებისათვის იზრუნვოს მხოლოდ და ან ძალიან ხორცის, რომ იმავ დროს ქვრივებშიდაც იტრიალოს და შენ კი, ვგონებ, არც ერთი ეს უკიდურესობა არა გჭირს. ამისთანა დროს, როდესაც უმეცრება სულის სიღარიბესთან გადაკრიმანჭულებული ინტელიგენციის სახელით გამოდის მოედანზე, მეთაუროობს და ვნება მოაქვს საქვეყნოდ, შენგვარი კაცები განა ღობეს გადაღმა უნდა იყონ დარჩენილი და გულ-ხელ-დარჭობილი

შეჰყურებდენ შორედან? – შენი ხნის რომ ვიყო ან ტან-მრთელი, მაგათ განზე გაუდგებოდი? სხვას თუ ვეღარას მოვახერხებდი, იმდენს კი ვუყეფდი, სანამ ხმა არ ჩამიწყდებოდა, მაგრამ მაგათაც კი გულ-ღვიძლს გავუსივებდი და ცხვირიდან ნაღველს ვადენდი... იყო დრო, რომ სწორეთ მაგისთანა გზას ვადექი და ქვეყნის მგლებს ვაფრთხობდი.

მაგრამ, დღეს... დღეს კი აღარც ცოცხლებში ვურევივარ და აღარც მკვდრებში!.. არაფერს არ მაკარებენ, არც პურს, არც ღვინოს, არც რამეს, გარდა რძისა და მშრალი ხორცისა. პირველმა გამაბავშვა და მეორემ გამამხეცა – და ისე შემძულდა თავი, რომ სარკეც კი გავატანიე ჩემი ოთახიდან. სწორე გითხრა, დროებითად ჩამოვიდოდი... იმდენად მენატრება ზოგიერთების ნახვა, რამდენათაც მეზიზღება უმეტესობის დანახვა, მაგრამ რა პირით უნდა გეჩვენოთ, რომ ის ვეღარა ვარ, რაც ვიყავ... ეჰ, ჩემი „ზევსური“ გათავებულია და ამ ლექსით დაბოლოებული:

„გული წყლული, სული კრული,
სახე მჭკნარი, თმა-ჭაღარა..
ამისთანა სიცოცხლეც კი
გინდ იყოს და გინდა არა..“.

მახლას!! იყავ მშვიდობით. შენი ოჯახობა ერთობით სიმდაბლითა და სიყვარულით მომიკითხე.

პატარა მაჩაბელმა რათ დაიგვიანა? გიორგის შუამავლობა მისცეს თუ არა? დათა სოფელშია თუ ტფილისში? ამ ზამთარში ხომ არავინ ჩავარდნილა წყალში? კნიაჟნა ბაბოს ეცოდინება.

შენი მარად აკაკი
12 დეკემბერი, [1891, პეტერბურგი]

6

ძმაო ვანო!

რაი იმერეთში გადმოვედი, მასუკან ისეთ გუნებაზე ვარ, რომ... მტრისას!.. მაგრამ დღეს კი სულ გამოვედი მოთმინებიდან, ოთახიდან ოთახში გავრბი-გამოვრბივარ გიჟივით და ჩემებურათ რუსულათ ვილანძღები. მე აღარ მომდის „კვალი“, დღეს ვინათხოვრე სხვისგან და გადავიკითხე. ზოგიერთი სიგლახე ადამიანის მხოლოდ სიგიჟით აიხსნება!.. რა ფულებზე ამბობენ? იმ ფულებზე ხომ არა, რომელიც შენ ანდაზის წინააღმდეგ, უკუღმა კისერზე ვალათ დაგაწვა? და ან რას ნიშნავს კასის გატეხა და „აქშის“ შეძახება კაჭკაჭთან? მაგრამ ეს საწყენიც კი არ არის, სასაცინოა, როგორც გიჟი რამ როშვა!.. ვიცი, მაგრამ მაინც თავი ვერ შემიმაგრებია და გული მომდის. ამას გარდაც, კიდევ რა მიყვეს პირადად მე, რომ იცოდე?! შენიშვნა რომ გავაგზავნე გაზეთში, ის გამოვაგზავნე, როგორც განცხადება, ფულით. რედაქციაში კი აუღიათ და სათაური გამოუცვლიათ და „განცხადების“ მაგიერ გადაუსწორებიათ „მოგონებაო“. ეს მიტომ უქნიათ, რომ მკითხველები მოატყუონ, ვითომ და ამ სათაურით ადრეც სწერდა აკაკი და ახლაც ისე აგრძობს თანამშრომლობასო! – ამ ეზუიტობამ მაინც ისე ამაღელვა, რომ აღარ ვიცოდი, რა მექნა და სწორედ იმ დროს მომიტანეს ერთად ორი შენი წიგნი!.. მე თვითონ ვაპირებდი კაცის გამოგზავნას შენთან, ან გიორგი ბაგრატიონთან. კარგია, არაფერია, ვნახოთ, როგორ იფარფაშებს მომავალ წელს ხელის მომწერლებით. ახლა რაც შეეხება საქმეს, აი, რასა



აკაკი წერეთელი,
ანასტასია და ივანე მაჩაბლები

გწერ: რადგანაც შენთვისაც „აქში“ უთქვამთ, როგორც კაჭკაჭისათვის და მე თუმცა არ დაუთხოვივარ, მაგრამ ვირათ კი მიუწვევივარ მუქთად სახედნელად, მე, ჩემის მხრით, მაგათთან საერთო არა მაქვს რა და ვირობას ვერ ვიკისრებ!.. რაც შეეხება ჩემს შრომას, იმედია, რომ ისე მაინც დაფასდება, როგორც თვით გიორგის შრომა, მით უფრო, რომ ის [...] და ჩვენ ბარგი აგვიკრა და ამიტომ მე წარსულისათვის სრულს სასყიდელს ვითხოვთ და იმედიცა მაქვს, არ დამეკარგება! შენ ეგებ სულგრძელი იყო და არ გინდოდეს სასყიდელი, მაგრამ მე კი ამ სულგრძელობაზე ხელს ვიღებ და ჩემსას ვთხოვილობ, მით უფრო, რომ ძალიან მეჭირვება!.. ეჰ, სხვა რაღა მოგწერო, ქვეყანა სულ ასე უკუღმა მოტრიალეა. მაგრამ, ღმერთი მოწყალეა, ვნახოთ, საბოლოვოთ რა იქნება? თქვენები მომიკითხე ერთობით ყველა.

შენი მარად ერთგული მეგობარი აკაკი
[აგვისტო, 1893, საჩხერე]

7

1-ლი იანვარი.

ძმაო ვანო!

გილოცავ ერთობით დღესასწაულებს! როგორ ხართ და რასა იქმთ? პატარა ლიტა ხომ უკეთ არის? მე კარგათა ვარ, კარგ ყოფაშიც, მაგრამ რათ გინდა? თურმე მანდაური სიმწარე უფრო ასატანი ყოფილა ჩემთვის, ვიდრე აქაური სიტკბო!.. მშვენიერ ოპერაში როცა ვარ ხოლმე, ნიკუშასა და ელას ჭუჭყუნი მაგონდება, ის მირჩევნია!.. როცა აქ ტკბილსა და ალერსიან სიტყვებს მეუნებიან, მაშინაც ჩემი ნათლიდედის შემოტევები და „პროტივნი“ მაგონდება!! ამ დღეებში აქ წარმოადგინეს „ბანკირის კანტორა“. პიესაში ფულს აშრობდენ და მე სიცილი ამიტყდა, ბეჟან-არჩილი და ნიცა მომაგონდა... ვინატრე: ნეტავი

გიორგი აქ იყოს მეთქი!.. თქვენი წრე რასა იქმს? მომიკითხე ყველა. კოლა რას აპირებს? მიშო ისევ „დიკათ“ არის თუ მოთვინიერდა?.. ერთის მხრით, მოხარული ვარ, რომ მანდაურობას მოვშორდი და მეორეთი მაინც გული მწყდება. ჩემი საკუთარი საქმეების ჯერ არა ვიცი რა, რადგანაც ვერ გამოვდივარ ბევრს სიცივეების გამო. სახლობამ მოგიკითხათ, ყველა ერთად დღესასწაულს გილოცავთ. ვიცი, ბევრი საქმეები გაქვს და გრძელი წერილით აღარ გაწუხებ.

შენი მარად აკაკი

ჩემი ადრესი: Харьковъ, Симская, г. Гиршмана.

[1896, ხარკოვი]

8

6 დეკემბერი.

ძმაო ვანო!

გილოცავ ცოლშვილის დღეობას. ნეტავი შენ, ცოლშვილი გარს გახვევია და მერე მაგისთანა სამაგალითო!.. გეტიტყინებიან მშობლიურ ენაზე! გულს გიმხიარულებენ და მომავლისათვისაც ნუგეშს გაძლევენ! შენ რომ ცოტაც არი, დაღონდე რამეზე, არ გეპატივება. მართალია ხელ მოკლეობა დროებითი საფიქრებელია, მაგრამ, ეჰ, ჩემო კარგო, მე სულ ჩემი დღე და სოფელი უხელოთ, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ხელ ტიტველას მივლია, მაგრამ ამიტანია და მივჩვევივარ ისე, როგორც ჰაერის სუნთქვას. შენ ღმერთმა დაგიფაროს ჩემი ბედისაგან და ჩემი მწარე ხვედრისაგან!.. იმედია, შენი სიმართლე თავს გაიტანს და საქმე სიმართლის გზით წავა. მე მკითხე, რომ არც მარჯვენა მაქვს და არც მარცხენა და ამასთანაც სანუგეშოც არა მიმიძღვის რა, თორემ შენ სხვა ბედიც რომ არ გჰქონდეს, ერთი ისეთი ღვაწლი მიგიძღვის, რომ სამაგალითოა. მე ვანბობ იმაზე, რომ შეიძელი ვეშაპის, იმ საზიზღარი არსების, მორევა, რომელიც ქართველობას სამკეც რგოლად ჰქონდა შემოხვეული და, ზღაპრისა არ იყოს, კუდი კიდევ პირში ეჭირა (არ იფიქრო სხვებსავით შენც, რომ მე ილია მყავდეს მხედველობაში? მე იმას ხვლიკობასაც ვერ დავახარჯებ, თორემ გველეშაპობას როგორ შევწამებ). არა, მე იმ ზნეობით უბედურებაზე ვანბობ, რომელიც ამდენი ხანია თავზე აწვა ქვეყანას, რომელიც თვალს ხუჭავდა და თქვენი მეოხებით კი, ის მძინარი ქვეყანა ნელ-ნელა თვალს ახელს, როგორც მანდეთ, ისე აქეთაც. ჯაბადრის შესახებ რაც მოგეწერა, იმის შესახებ, გიგოსაგანაც მივიღე წერილი და აი, ჩემი აზრი: „მედეია“ ძალიან პატარა არის, ასე რომ, იმ პირობით ოთხი თუმანიც არ მერგება... მაშინ, როდესაც ოთხი წელიწადი მეტი მარტო – მასალების შეგროვებასა და დამუშავებას მოვუნდი. ქუთაისში ლაღიძემ 15 თუმანი მაძლია, ოღონდ კი ერთჯელ დამაბეჭდვიეო. მაგათ ეგ არ შეეძლებათ, ვიცი, და თუ უნდათ ჩემი მუდმივი თანამშრომლობა, დიდის სიამოვნებით, მხოლოდ უსასყიდლოდ კი არ შემიძლია. თუ მომცემენ იმას თვიურათ, რასაც ნიკოლაძეს აძლევენ, მაშინ ვალდებული ვიქნები, ყოველ ნუმერში იყოს ხოლმე ჩემი ნაწერები და აქ „მედეაც“ იქნება, უმეროსიც და სხვანიც; მოიფიქრონ: თუ ჩემი თანა-მშრომლობა შეჰმატებს ხელ-მომწერებს და ეგენიც არას წააგებენ, მხოლოდ მაშინ მიმიწვიონ. და თუ ვერას შევმატებ, ტყუილად ხარჯში რატომ შევიყვანო? ერთი დღით იმ კვირაში მინდა გამოგიარო და ყოლიფერს გეტყვი, რაც სათქმელი მაქვს. ამიტომ აქ კალამს ვტოვებ. მომიკითხე ყვე-

ლანი. დათას ჩემი უგულითადესი მადლობა და სიყვარული. ნეტავი ისე ვუყვარდე ბედს – როგორც მე ეგ მიყვარს და მაგის ნახვაც მესიამოვნება.

შენი მარად აკაკი
[6 დეკემბერი, 1896]

9

ძმაო ვანო!

ვზივარ მოწყენილი საჩხერეში. დიდი თოვლი და ზამთარია. ვერასა ვხედავ. ქვეყნიერების არა ვიცი რა, მაგრამ ის ისე არ მაწუხებს, როგორც თქვენი ანბის უცოდინრობა!.. ბანკის რა ამბავია? შექსპირს მორჩი? თავები ასამდე ვერ შეასრულე? ბაბო როგორ არის? კნეინა ტასოც ხომ კარგად ბრძანდება? ნიკუშასა და დათას ხომ ჯერ ჩხუბი არ მოსვლიათ მემკვიდრეობაზე? გიორგის ფეხი და დეპო როგორღა არის? ელა და ბაბო ხომ არ ჩხუბობენ?.. ერთი სიტყვით, ყველა ძალიან მეინტერისება. ნიცა და ბეჟანი ერთხელ ვნახე და ძალიან სწუხდენ თქვენგან უწიგნობას... ნიცა ცოტა წელს იტკენდა და ბეჟანს რომ ვკითხე, რა დაემართათქო? არაფერი მითხრა და შეფერებით ულვაშზე ხელი გადაისვა... მიქარავს!.. ბებრებმა საზოგადოთ ტრაბახი იციან!.. ამ ათ დღეში მეც წამოსვლას ვაპირებ, მაგრამ აღარ მესიამოვნება კი ქალაქში ჩამოსვლა. მე ვერ წარმომიდგენია უთქვენოთ ჩემი ქალაქში ყოფნა. ტასოს ხელს ვაკოცებ, ბაბოს თავზე, თვარა მაგის გათხოვებას და ხელზე კოცნას თუ ვუცადე, დავრჩები მშრალზე. ლიზა თუ მანდ არის, იმას კი პირდაპირ უბოდიშოდ ვაკოცებ, თუნდა პაპამისს ეკოცნოს. ყველანი მომიკითხე.

შენი მარად აკაკი
[1896]

P. S. ეს ახირებული წერილი ნუ გაგიკვირდება. სიბერე და საჩხერე ერთად შეერთებული აჩურჩუტებს კაცს.

ეკატერინე გურამიშვილი-სტაროსელსკაია

Письмо Ваше, дорогой искренноуважаемый Князь Иванъ Георгіевичъ, крайне удивило меня. Помните, я какъ говорила, что І-го Лорновъ уѣзжает за границу, что не надо ли съ нимъ поговорить авось чтонибудь устроит. Вы мне сказали, Вано, что Вы хотите лѣто отдохнуть и уж осенью скажите, что пока не надо. Теперь при всемъ желании ничего нельзя потому, что никого изъ нужных нѣтъ ни въ Тифлисѣ и я сама в деревнѣ.

Очень сожалѣю, что не смогу быть Вамъ приятной и полѣзной. Дорогую пренежную Княгиню цѣлую (надеюсь разрешит). Жму Вамъ руку, будьте всѣ здоровы.

Всегда готовая к услугам, преданная Вамъ искренно

Ек. Старосельская.

Мои глаза шалятъ, трудно писать.

5 іюля, Сагурамо
[1891 წელი]

პეტრე გვერდწითელი

3 Июля.

Многоуважаемый князь Иванъ Георгіевичъ!

На любезное письмо полученное мною лишь 3-го сего Июля спѣшу просить у Васъ прощенія за мое письмо къ Дата, которое Васъ поставило, дѣйствительно въ неловкое положеніе. Но если Вы убѣдитесь въ каком я возбужденномъ состояніи находился, то навѣрное, отнесетесь ко мнѣ сочуственно и не упрекнете меня за мое письмо. Вотъ причины побудившіе меня къ этому: 1. Одинъ изъ главныхъ кліентовъ моихъ, позволю назвать по фамиліи, избраннъ общ. соб. въ Директора кн. Аваловъ, чтобъ ему „ни дна, ни покрышки“ неблагодарным съ своимъ обращеніемъ, до такой степени безъ человечно поступилъ, что не нахожу словъ, окрестить его достоинымъ именемъ. Подъ предлогомъ дѣла взялъ у меня 1800 руб. и по договору, часть этихъ денегъ должен былъ заплатить еще 13 Июля, а что онъ со мною сдѣлалъ? Теперь приходится судится, вотъ что! Ваше Сиятельство, далѣе мой дорогой и возлюбленный кн. Георгій Вашь шуринь, тоже не правъ въ отношеніи меня; съ 3 Июня я, здалъ дѣло въ Государст. Банкъ, остановка стало за окладными листами, о чемъ я ему говорилъ, но теперь обошелся и безъ окладнаго листа. А по словестному нашему условію онъ долженъ былъ заплатить всё, какъ гонораръ, таъ и расходы тогда когда мною дѣло было бы доведено до порога банка, лишь съ тѣмъ, однако условіемъ, что долженъ сопутствовать оцѣнщикъ во время приѣзда его въ именіе. Чѣмъ же я тутъ виноватъ, если г. Волковъ управ. банкомъ, не изволилъ пока назначить оцѣнщика. Потому скажите, ради бога, развѣ я не вправѣ былъ просить его уплатить только 100 р. землемѣру.

Простите, что безпокою чтениемъ, можетъ быть не интересующего Васъ моего объяснения, но не могу и умолчать, что შეშინებულიო დოს უბერამდაო; განა მე არ ვიცი, რომ დათა ყოვლით კარგი და საიმედო ყმაწვილი კაცია ანუ აგრეთვე კიდევ მთლათ თქვენი ოჯახი, და მე არა მართებს რამე ეჭვის შეტანა და მგონია, იმისთანაც არა მომიწერიარა რომე, რამე საწყენო ყოფილიყოს თქვენთვის; და ამისიც იმედი მაქვს, რომ გაჭირებაში მოგმართოთ, შემეწევით კიდეც.

Ради бога, меня Вы извините, чтоже касается до Вашего дѣла, то на дняхъ буду съ оцѣнщикомъ въ Цхинвалахъ, о чемъ за два или 3 дня я извѣщу. Сообщите, когда землемѣръ кончитъ работу. Я ему заплатилъ здѣсъ 20 руб. Имѣете ввиду при окончаніи работъ, чтобы лишнихъ ему не переплатить. Нового нѣтъ ничего. Чавчавадзе въ Петербургѣ, изъ Питера поѣдетъ на Вѣну и за темъ въ Тифлисъ. Здесь у насъ страшные жары. Жара доходитъ до 45 градусовъ на солнцѣ.

Остаюсь искренно уважающій и преданный Петръ Гвердцители

Всѣмъ нижайший поклонъ.

[1891 წელი]

გრიგოლ (გიგო) დიასამიძე

1

ს. ბრილი, 22 ივლისისას, 1891 წ.

დიდად პატივსაცემო ბატონო ვანო!

მამაჩემი ამჟამად აქ არ იმყოფება: ეს ორი დღეა, რაც გიახლათ ს. საქაშეთს. ჩვენ მხოლოდ ხვალ, სამშაბათს, მოველით. გთხოვთ, გარდასცეთ ჩემი უგულითადესი მოკითხვა ბბ. მიშოს და მიტოს. ნუთუ იგინი ჩვენ უნახავად დაგვსტოვებენ? სრული იმედი მაქვს, რომ აქედაც გადმოიხედავენ. ვიმეორებ, ხვალ, მე მგონია, მამაჩემი ჩამოვა საქაშეთიდამ. კნეინა ტასოს, კნიაჟნა ბაბოს, გენეროზოვის ქალს, კნ. გიორგის, დათას მოკითხვას მოვახსენებ. დედაჩემმაც ერთობრივ მოგიკითხათ. დავშთები თქვენი მარად პატივისმცემელი.

გრ. დიასამიძე

P. S. აკაკისაგან წერილი მივიღე. იგი ამ ჟამად კარგად გახლავსთ. გამომიგზავნა ლექსი „გედი“. ლექსი ყოველის მხრით მშვენიერია. როცა გნახავთ, წაგიკითხავთ, მაგრამ რათა? შემიძლიან, ეხლაც გადმოვწერო. ეს ლექსი, როგორც იწერება აკაკი, რუსულად გადაითარგმნა და ჟურნალში დაიბეჭდა. რომელ ჟურნალშია დაბეჭდილი, იმას კი აღარ მატყობინებს.

გედი

სიკვდილის წინეთ, ამბობენ,
აჭიკჭიკდება გედიო,
და ტკბილ ჰანგებში იმარხვის
მისი არსების ბედიო!
უცნაურია გალობა
პირველ და უკანასკნელი:
აქ იხატება ცის სივრცე,
აქვე ისახვის ქვესკნელი.
ორაზროვანი ორკილო
ერთის ხმით გამომეტყველი
შემოქმედების ქებაა,
ცისა და ქვეყნის შემკვრელი.
საამაქვეყნო ზარია...
საიმქვეყანო ზევსური! –
გედო! – შევნატრი შენს ჭიკჭიკს,
შენ გვარ სიკვდილსაც მეც ვსური.

აკაკი

წერილი პესსიმისტიურ კილოთი არის გამსჭვალული, რაიც ამ ლექსშივე ეტყობა. დღესვე უნდა მივწერო პასუხი.

გ. დიასამიძე

2

გიორგობისთვის (ნოემბერი) 12-ს. 1896 წ. ქალაქ თბილისი.

ძმაო ვანო! შენი თხოვნისამებრ დღეს მირიმანოვს შევუტანე ბანკიდან გამოტანილი удостовѣрение; იმან მითხრა, ზეგ შემოდი და შეგატყობინებო. რაც შეეხება მას, შენ რომ მითხარი, გაიგე, სად არის полная довѣренность-იო, უნდა გითხრა, რომ ეს „დოვერენოსტი“ აღმოჩნდა ბანკში; ასე რომ, ისევ ისე უნდა ჩამოხვიდე და რწმუნების ქაღალდი დაწერო ჩემ სახელზე. 15-ისა ნუ გეშინია, არ დამავიწყდება კარგად იყავი! თქვენები მომიკითხე, შენი ყმაწვილები კარგად დაჰკოცნე ჩემ მაგივრად. გიორგი კარგად არის. ამ წერილს ამასთან ვწერ.

შენი მარადის გიგო დ.

P. S. გელი ან ველი შენ წერილს.

3

1896 წ. გიორგობისთვის (ნოემბერი) 20-ს. ქ. თბილისი.

ძმაო ვანო!

მირიმანოვმა შემოგითვალა, ყველანი უარს მეუბნებიან ფულის სესხებაზე, შიშობენ, ვაი თუ სახლი ვალის სიდიდის გამო ჩვენ დაგვრჩესო, მაგრამ მე მაინც ვეცდები, ამ ორ კვირაში ფული ვიშოვნო. ასე რომ, გადაჭრით არა უთქვამს რა. მეშინია, მატყუარა არ გამოდგეს ეს ვაჟბატონი. – 15-ს წარვადგინე საკომერციო ბანკში შენი ვექსილი; 25 კაპ. დამიბრუნეს, რომელსაც ამასთანავე გიგზავნი, ძველი ვექსილი კი არ მოუციათ, თვითონ თ. მაჩაბელს გადავცემთო. მეც არა ვუთხარი რა. როცა ჩამოხვალ, მიიღებ.

პეტერბურღიდან რაღაც კარგი ამბები მოდის. ამას წინად მაიკოვს ვრცელი წერილი მოუვიდა ჯაბადრისაგან. შინაარსი ამან არ მიამბო, რადგანაც ვანო სწერდა, ნურავის ეტყვიო. ეს კი თქვა მაიკოვმა, ივანე გიორგის ძეს უთხარი შამპანური დაამზადოსო. გაზეთის ნება-რთვასაც, მგონი, გვაძლევენ (რუსულისას). მაიკოვმა ასე თქვა: газета фактически разрѣшена, ждутъ только формальнаго разрѣшения. რამდენად მართალია ეს ამბავი, არ ვიცი. გთხოვ კი, რომ ყველა ეს დარჩეს ჩვენს შორის. კარგად იყავით!..

კნეინა ტასოს ხელკოცნას მოვახსენებ, კნიაჟნა ბაბოს – მოკითხვას. ყმაწვილები დამიკოცნე.

ნახვამდინ შენი გიგო

P. S. მე კიდეც გადავეცი „კავკაზის“ რედაქციას ჩემი წერილი ამ სათაურით „Горійский синдикатъ“. მგონი, დაბეჭდონ. ჩერქეზიშვილმა მითხრა, იმ კვირია დაიბეჭდება, ასე ან ორშაბათს, ან ხუთშაბათსაო. ვნახოთ.

გ. დ.

1

1891 г. 3 Августа. Г. Одесса.

Дорогой Вано!

Отъ меня не жди длинныхъ повѣствованій, а лучше самъ напиши мнѣ что либо, чтобы хоть сколько нибудь развлечь тоску. И угораздило меня поѣхать въ незнакомый городъ, наполненный жидами! Доктора ничего нового не сказали и лѣчутъ тѣмъ же, чѣмъ лѣчили въ Тифлисѣ, расходовъ масса, жара, развлеченій никакихъ, газеты наполнены только торговыми дѣлами, а что мнѣ съ того, что городъ грандіозный, дома и улицы красивы и намазанныя, причудливо одѣтыя дамы выглядываютъ красавицами! Однимъ словомъ обѣщаюсь больше такихъ глупостей, какъ поѣздки въ далекія страны, не дѣлать. Косте Амиреджиби большое спасибо, рекомендованный имъ Едельхановъ очень ко мнѣ внимателенъ и безъ него я положительно бѣжалъ бы отсюда. Больше, я думаю, и писать то нечего.

Узнай, пожалуйста, билетъ первого займа №19186/26 вышелъ въ тиражъ или нѣтъ? Затѣмъ будь здоровъ. Не знаю, когда меня отсюда отпустятъ. Передай Дата, если ему нужна довѣренность, чтобы онъ сообщилъ, я вышлю немедля. Целую всех.

Твой Георгий

Адресъ: Уголъ Торговой и Софьевской. Домъ дворянина Сикарда №6. Квартира 14. Такому-то. Сообщи о своемъ дѣлѣ.

2

8 Апреля 1892 г. Г. Гори.

Дорогой Вано!

Вчера я прислалъ тебѣ письмо въ распечатанномъ конвертѣ съ Гиго Тархановымъ. Это письмо къ Гиго ты прочти и если найдешь нужнымъ, передай ему. Скажи Сандро, почаще навѣщать Агало; не забывайте навѣщать лицо, которое немного в стороне от насъ, И. Г. Сегодня обедъ Мгалобелову. Сулханова сегодня ждемъ, чтобы поговорить о сельскохозяйственной школѣ; если не будетъ, ѣду къ нему завтра и сообщу Вамъ о днѣ дворянскаго собранія. Затѣмъ будьте здоровы. Сказаль мне Асико Эристовъ, что здесь слухъ о переносѣ редакціи Квали въ Кутаисъ. Вот такіе дикіе слухи! Слух также, что жен-премьеръ не ставитъ ящика. Гиго Тархановъ весьма и весьма важенъ, как посредникъ между партиями. Онъ своимъ вліяніемъ сильно можетъ неитрализовать многих. Противъ быть не можетъ, не мерзавецъ же въ самомъ деле онъ, эти 8 лѣтъ для его семейства я жертвовалъ и карманомъ и головой: разъясни ему причины недоразуменій, почему надо 8 лѣтъ молчать (этот вопросъ он мнѣ не разъ задавалъ), цѣль нашей борьбы (такой вопросъ тоже задалъ), и т. д. Затемъ будь здоровъ. Чтоже касается того вопроса, какую роль можетъ онъ играть въ нашемъ дѣле, это предоставьте мнѣ. Онъ не смѣетъ не слушать насъ, если въ немъ есть капля либо порядочности. Будьте здоровы.

Твой Георгий

3

Дорогой Вано!

რაც შეეხება აქციონერთა კრებას, როგორც მითხრა სანდო კაცმა, ზროდლოვსკის მაგიერად ახლა აქ დარჩენილმა, ჯერ არაფერი იციან, არც ის, თუ სად იქნება და არც დრო, როდის მოხდება. პარიჟიდამ მოვა ვინმე თუ არა და ვინ მოვა სახელდობრ, არც ამის შესახებ აქვთ ჯერ აქ ცნობა.

ნუ იფიქრებ, რომ ეგებ დამიმალეს და არ მითხრეს სიმართლე, – ეს კაცი მე არ დამიმალავდა და არც დასამალია აქ რამე. სანამ კრება მოხდებოდეს, ერთის თვის წინად განცხადებული იქნებაო წესისამებრ.

შენ რომ ცდილობ, იმ ალაგის აუარებელი მთხოვნელიაო. როგორც მოვკარი ყური, მგონია, სულაც ფიქრობენ გაუქმებას ამ სინეკურისას და თავისიანისათვის გადაცემას...

კნეინას და სახლობას მოკითხვა.

შენი ერთგული და მორჩილი გრ. ვოლსკი

დავით ბარათაშვილი

1

4-ს მარტს.

ძმაო ვანო, ისე გამოველ ქალაქიდამა, რო მაინც კიდევ ვერა გნახე ცოლშვილით, ასე დამაშინა მაღალოვმა, რო სწორე გითხრა, თავი ვეღარსად გამოვიჩინე ქალაქშია, ჩქარა გადი ქალაქიდამავო.

მე მომიხდება ჩამოსვლა ტბილის 15-ს მარტსა და მაშინ მოვილაპარაკოთ ყოველ ჩვენს საზოგადო საქმეებზედა და ეხლავ გატყობინეფ, რო ზოგიერთი პირების წინააღმდეგათ გარემზობლობა მივიღოთ ჩვენ საზოგადოობაშია, რო მერე კიდევ არ დავაგვიანოთ ხალხის მომზადება, რადგანაც ბანკის არჩევნობა შორს არ არის. მგონი, ანტონ ფურცელაძის ვადა არის გასვლისა და ისე უნდა მოვახდინოთ რო სწორეთ სრულიად გავიყვანოთ ბანკიდამა. ამისათვისა რო მერწმუნე, ჩვენთვის დიდათ ბოროტმომქმედი პირია და ღვთის

წინაშე ბანკისათვისაც დიდი მარგისი კაი ვერ გახლავთ. დერეკტორობის ადგილისასაც უნდა მოვიფიქროდ, ვინ დავნიშნოთ ავალიშვილის ადგილზე. უნდა გითხრა, რო ილიკოს კი, არ გეგონოს, სძინავს. ისინი, ესე იგი იმისი პარტია, როგორც გავიგე, ეხლავ ჩუმათ არიან, ზრუნვაშია, ვინც უნდა დაასკუპონ ამ ადგილებზე და, ფურცელაძე, რასაკვირველია, იმისი ფავარიტი არის და ყოვლის ღონისძიებით ეცდება იმის დარჩენასა, ეჭვი არ უნდა გქონდეს. ავალიშვილისას რა მოგახსენოთ, თუმცა, ცოტაოდენათ ავალიშვილი ებურტყუნება ხოლმე ილიკოსა, მაგრამ, მგონი, ილიკო ფიქრობს, რო პლავი რო ერათათ მიირთოს ავალიშვილთანა, არა ჰგონია, რო თითონ ზარალში დარჩეს და ამისათვის ფიქრობს იმასთან იოლათ წასვლასა; მე ჩემს აზრს გიხატავ, როგორც იმათი ერთმანეთის მოქმედებასა ვხედავ და შესაძლებელი არის, რო ვცდებოდე ამ საგანზე. რო ჩამოვალ, მაშინ მოვისაზროთ და მოვილაპარაკოთ, ვინ ვარჩიოთ. ფურცელაძის მაგივრათ მე კიდევ გიგო შალიკოვზე ვფიქროფ, რო ის გავიყვანოთ, ამისათვისა რო ყოველივე ხარისხი აქვს იმ ადგილისათვის, რო კარგი დამფასებელი იყოს, პატიოსნობით, ბეჯითობით საქმისა და აგრეთვე ამ საგანში ცოდნითაცა.

საწყალი ლევანის დამარხვაში დიდი ამბები ყოფილა და, საკურველია, არავის სიტყვის თქმით არ გაუპატიოსნებია, არც ჩვენს დიდ პოეტებსა, ესე იგი, ილია ჭავჭავაძესა და არც აკაკის, თუ მოსული არის და არც სხვა პატარა რეჩისტებსა. უნდა ვიფიქროთ, რო იმის ცხოვრებაში არა ყოფილა რა შესანიშნავი, მიზეზი ეს თუ უნდა იყოს.

ეს მოხუცებულები წვრილ წვრილათ იკრიფებიან ჩვენის საზოგადოებიდამა და ახლა საქმე ის არის, რო ჩვენმა ახალგაზრდობამა, ჯეროვან ხარისხზედა და ნიადაგზე იყენოს თავისი საზოგადოება, რო არ დაეტყოს უპატივმცემლობა როგორც საზოგადოთ, ისე მთავრობისაგანა. კნეინას, შენს მეუღლეს პატივისცემით მოვიკითხამ, შენი პაწაწა შვილი დამიკოცნე.

ვასოს უთხარი ჩემ მაგივრათა, რო თუ გრებერმა სთხოვოს პირობის გაკეთება მარგანეცის თაობაზე, არამც და არამც არ გაუკეთოს, ამისათვისა, რო ჩვენ თითონ პირდაპირ უკეთებთ სინდიკატს პირობასა და არა ამასთანა, ეს იცოდეს.

ვასო სიყვარულით მომიკითხე.

იყავით მშვიდობითა.

შენი დავით ბარათაშვილი

[1892 წელი]

2

27 მარტს. აღბულახით.

ძვირფასო ძმაო და ჩემო კარგო ვანო!

განა შეგიძლიან, წარმოიდგინო ჩემი მწუხარება, მაზე რო ჩემის ავათმყოფობის გამო ვერ დავესწარ თქვენს ბრძოლაში ქალაქის უპრავასთანა, ენდე ღმერთსა, რო კინაღამ ხელახლად ავათ გავხდი, იმ ფიქრითა, რომ მოკლებული ვარ თქვენშია და ამ დგომიაროზით ვერ ვასრულებ საზოგადო მოვალეობასა, რომელიც გვადევს ყველას ჩვენგან მწევრსა.

რა გაეწყობა ავათმყოფობასა, შენ, უეჭველია, სუმბუქი ავათმყოფი გონივარ, წარმოიდგინე, ისევ პლევრიტით გავხდი ავათა, როგორც მაშინ გალავის ვიბორების შემდეგ რო გავხდი ავათა, ხოლო იმაზე კი უფრო სუმბუქათა, მაგრამ ესეც საკმარისი არის ჩემთვისა

და ეხლა კი უკეთა ვარ, მაგრამ გარეთ გამოსვლას ჯერ ვერა ვბედავ. კარგის ამბით, ესე იგი თქვენის გამარჯვებით უპრავაზე, მაინც არის მასიამოვნეთ, თორე მე ჩემი დამემართება, მინამ გავიგეფ რასმეს, გული გასივდება. ჩემს ნათესავ ქალსა შესაბამ პატივისცემით მოვიკითხამ.

იყავით მშვიდობითა.

შენი დავით ბარათაშვილი.
[1892 წელი]

3

9-ს იანვარს.

ძმაო ვანო, ამ ბარათის მომტანი გახლავს შეუმძლო აზნაური მოსე მიმფარიშვილი, უნდა გითხრა, რო მე მთხოვა კანდუქტორის ალაგი გამირიგეთო რაფაელ ყაზიბეგთანა, სწორე გითხრა, თუმცა ისე დაახლოებული ცნობა არ მქონდა, მაგრამ მაინც მიუწერე თხოვნა და როგორც ეტყობა, თავიდამ მოუშორებია, ეთქვა, რო ჩემი საქმე არ არისო. მაინც კიდევ არ მეშვებიან, რო ვთხოვო ვინმეს ამ ადგილის გასარიგებლათა, როგორც ვიცი, მგონი, თუ არა ვცდები, შენი კარგი მეგობარი არის და თუ შეხვალ ამ საცოდავის მდგომარეობაში, დიდათ დაავალებ და დიდათ მადლობელი დაგრჩები მაზედ, რო მეცოდინება, რო ერთ ქართველს საზრუნავი ლუკმა პური არ ექნება და ეს დიდი საქმე არის. უნდა გითხრა, რო ამ რიგ სამსახურში ყოფილა და კიდევაც სთხოვს ის ინჟინერი, რომელთანაც უმსახურია, ხოლოთ ეს აბრკოლებს, რო ის ეპატიჟება ციმბირის რკინის გზაზე სამსახურს და ამ ყმაწვილის ქვრივი დედა, რომელსაც ამის მეტი ნუგეში არავინა ჰყავს, თავს იკლავს შვილის იმ ქვეყანაში წასვლაზე და ახლა შენ იცი, რასაც მოუგვარებ. ერთობ სიყვარულით მოგიკითხამთ.

შენი ერთგული ძმა და მონა დავით ბარათაშვილი

P. S. როდის უნდა შევიყარნეთ ერთად, რო ჩვენი გულის დარდები ერთმანეთს უამბოთ, ჩვენი საზოგადო საქმეების შესახებ.

ის ყმაწვილი, მე და შენ რო ვიცით, ეტყობა დიდ შეწუხებას გრძნობს, რო აუღია თავი და მოგზაურობს და თან კითხულობს, ვისა ჰყავს მოსანათლი ყმაწვილები, რო უნათლოს და მით მიიმხროს, რაც შეიძლება, ბლომა კენჭები, მოახლოებულ ჭაპანწყვეტის თავის შესამსუბუქებლათ შავის კენჭებისაგანა. მაგრამ უნდა უთხრა: შიში ვერ ისხნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა.

[1893 წლიდან]

ა. ბახმატოვ

Его Сият-ству Кн. И. Г. Мачабели.

Милостивый Государь,

Князь Иванъ Георгіевичъ

Императорское Кавказское Общество сельского хозяйства имѣетъ честь покорнѣйше просить

Васъ почтить своимъ присутствиемъ годичное Общее Собраніе, имѣющее быть въ зданіи Общества, подъ председательствомъ Почетнаго члена и основателя Общества Барона А. П. Николаи, въ воскресенье, 24 сего мая, въ 2 ч. дня.

1) Отчетъ о деятельности Общества за 1890 и 1891 года.

2) Отчетъ о дѣятельности Тифлисской школы садоводства за 1890 и 1891 года.

3) Докладъ Н. П. Таратынова „The basis of all wealth is agriculture“, т. е. „Основой всѣхъ богатствъ служитъ землѣделіе“.

4) Докладъ П. П. Муромцева „Объ учрежденіи опытной сельско-хозяйственной станціи въ сел. Патардзеули“.

5) Выборы членовъ Совѣта Общества, секретаря и казначея.

Примите, Милостивый Государь, увереніе въ совершенномъ почтеніи и преданности Вице-Президента.

А. Бахматова
[1892]

ალექსანდრე ჯაბადარი

1

ქართველთა ამხანაგობა წიგნების გამოცემისა.
ტფილისი. 18 ნოემბერი. 1892 წ.

ბატონო ივანე,

უმორჩილესად გთხოვთ, გვაუწყოთ, შეიძლება „მეფე ლირი“ მოვათავსოთ თ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მესამე ტომში თუ არა? თუ შეიძლება, გვაცნობეთ.

თქვენი პატივისმცემელი ალ. ჯაბადარი

2

პატივცემულო ბატონო ივანე. ძალიან ვწუხარ, რომ ვერ მოვახერხე, დავრჩომილიყავი და გამეგო, რაშია საქმე. გუშინდელის აქეთ სულ მაგ საქმეზე ვფიქრობ და ვერ გამიგია, რანაირად მოხდა, რომ ვანომ არ იცოდა საქმის გარემოება და თუ იცოდა, მე რისთვის ჩამაბა ამ საქმეში, როდესაც ჩემი საქმეებისათვისაც ვერ მომიცლია. ვიდრე რწმუნების წერილს მომცემდა ვანო (იოსებისაგან მისგან ჩამორთმეულს), მე რამდენჯერმე, თანადასწრებით ტიტიკო საყვარელიძისა, ვკითხე. საქმე როგორ არის, აკი, ტყე გაეყიდა და როგორღა აგროვებს მეთქი. ეგ საქმე გაკეთებულია, სოსიკომ ქაღალდი შეიტანა, „ვაჭრობა“ უკანონოა და სუდმა „ტორგები“ გააუქმაო. მე ვნახე კანონები და იმას შეუძლიან დაგირავებაო. არც მე მინდოდა დაგირავება, მაგრამ რაკი ვანოს ფული უჭირდა და უჩვენოთ ვერას დააგროვებდა – მეც დავთანხმდი. გუშინ საღამოზე ვნახე სოლ. ქურდოვანიძე, რომელმაც მაისურაძესთან ერთად იყიდა თურმე ის ტყე. ვკითხე და მითხრა: „ტორგები“ არ გაუუქმებიათ, „დანაია“ აღებული გვაქვსო და ვანომ ეს კარგად იცოდა, რადგან მე



ალექსანდრე ჯაბადარი
1890-იანი წლები

ვიცი, კიდევ დაუწერა რაღაცა თხოვნა ამის შესახებო. მაინცა და მაინც ქურდოვანიძე დათანხმდა, ან ვალი თვითონ გადიტანოს ან გავყოთ ტყე. ახლა მაისურაძეს საქმეა, როგორ გაათავებს. იქმნება, მართლა კანონიერიც არის ეს დაგირავება?! ეს მაკვირვებს, ან უფროს ნოტარიუსმა რატომ ვერ გაიგო, როდესაც „ოკრ. სუდს“ მოჰთხოვა ცნობები ამ მამულის შესახებ. უნდა დაგვავალოთ და მიანდოთ ვისმეს. გაიგოს „ოკრუჟნი სუდში“ ამ საქმეს გარემოება. ამასთანავე ვგზავნი ბანკის გამგეობის სახელზე განცხადებას. მე მგონია, ეს საჭიროა. თუ შეიძლება, გაისარჯეთ და საქმის გარემოება გარდაეცით სტამბაში, ისინი მომწერავენ, რომ თქვენ არ შეწუხდეთ. ვანოსაც მისწერთ წერილს, რასაკვირველია.

მარად პატივისმცემელი ალ. ჯაბადარი
28/III. 94

3

დიდად პატივცემულო ბ. ივანე.

ამასთანავე გიგზავნით ლეისტის მოთხრობას, რომელიც გვინდა, ჩვენ ჟურნალში დავბეჭდოთ. უნდა დაგვავალოთ და გადაგვითარგმნოთ. შეიძლება, თქვენ ისევ ის პასუხი ბრძანოთ, რაც ამას წინად ბრძანეთ, მაგრამ მაინც საჭიროა, გადათარგმნოთ და ასე თუ ისე მიიღოთ მონაწილეობა ჟურნალში. იმ დღეს ტელეფონით მინდოდა მელაპარაკნა, მაგრამ მოუხერხებელი იყო, ისე, სანახავად კი ვერ მოვიცალე.

თქვენი ალ. ჯაბადარი
21/XII
[1894 წელი]

4

15/II. 95.

პატივცემულო ბატონო ივანე!

ალ. პოლტარაცკის ჩავაბარეთ ფული ერთი პირისადმი გარდასაცემად. ეს იყო დეკემბერში. იმ პირს ფული არ მიეღო და პოლტარაცკის უნდა უკანვე დაებრუნებინა, მაგრამ ფული შემოჰხარჯოდა და მას შემდეგ ძლივ დავაღწიე 234 მ. (სულ 634 მან. იყო). ახლა მპირდება, ბანკიდამ მაქვს მისაღები და მოგცემთო, მე ჩივილს ვუპირებდი „ოკრუჟნ. სუდ.“ თავმჯდომარესთან, მაგრამ რადგან მითხრეს, კანტორას დაუკეტავენო, ვუცდი. როცა ფულს იღებდეს, მეგობრულად დაუჭირეთ 437 მ. 95 კ. თითონ კი მოიტანს, მაგრამ ვშიშობ, სხვა მოვალეებმა არ დამასწრონ და არ გამოართვან, ასე თუ მოხდა, ეგ კაცი დაიღუპება, რადგან მოცდა აღარ შემიძლიან და ვუჩივლებ.

თქვენი ალ. ჯაბადარი

5

Грузинское издательское Товарищество.
Тифлисъ. 30 ივნისი, 1895 г.

უპატივცემულესო ბატონო ივანე,

ბევრი ვიფიქრეთ, ავწონ-დავწონეთ, ვიანგარიშეთ და დავრწმუნდით, რომ თუმცა ჩვენი შესაფერი სახლია, მაგრამ ერთი ორად ძვირად დაგვიჯდება და ამას დაერთვის ზედმეტი ხარჯი დაბეჭდილის მანდედამ გადმოზიდვაზე, სიარულზე და სხვ. მანამ რკინის გზის საქმე არ გათავდება, ჩვენ ვერას მოგახსენებთ. თუ რკინის გზის საქმე დაგვრჩა, მაშინ კი არ დავერიდებით და შეიძლება, ორი მაგოდენა შენობა დაგვჭირდეს და მანდაც გადმოვსახლდეთ.

თქვენი მარად პატივისმცემელი
ალ. ჯაბადარი

6

„მოამბის“ რედაქცია.
ტფილისი. 13 სეკტემბერი, 1895 წ.

უუპატივცემულესო ბატონო ივანე.

ამასთანავე გიგზავნით შუშარდას შრომას. დაგვავალეთ და ჩვენი „მოამბი“-სათვის ან შეგვიდგინეთ სტატია ამ შრომის შესახებ, ან, თუ საჭიროა, ქართველ საზოგადოებისათვის – მთლად გადმოთარგმნეთ. ერთის სიტყვით, როგორც ამჯობინოთ, ის გადააკეთეთ, მოამბის რედაქციამ დამავალა, მე გთხოვოთ იკისროთ ეს შრომა.

მარად თქვენი პატივისმცემელი
ალ. ჯაბადარი

7

ალექსანდრე გიორგის ძე ჯაბადარი.

მარად პატივცემულო ბატონო ივანე!

ბევრი ავიღ-დავიღე, ვიანგარიშე მოსალოდნელი აუცილებელი ხარჯი, მაგრამ მაინც არ იქმნა, ვერ მოვიყვანე თავი თავს. ამ მოკლე ხანში მაგდენის მიცემა შეაჩერებს სხვა საქმეებს, რომლებზედაც არის დამოკიდებული ზოგიერთი შემოსავალი. დაარწმუნეთ ბატონი აკაკი, რომ ლაპარაკი უნდობლობაზე-კი არ არის, არამედ ჩვენ საკუთარ ანგარიშზედ. სტამბას ბევრი ხარჯი აქვს და ისიც გადაუდებელი, 200 მ. ახლა მოვუხერხებთ და 200 მან-ც ვეცდები, მალე გარდავცეთ. შეიძლება, ნახევარ თთვემ გასტანოს, ერთმა თთვემ – მაინც უკანასკნელი ვადა 30 ნოემბერი იყოს, რომ პირი არავისთან არ შევირცხვინოთ; აქამდის ანგარიშით მიგვყვანდა საქმე და ახლა არ გვინდა, უანგარიშობამ შეგვარცხვინოს ვისთანმე. ჩვენ რომ არ ვენდობოდეთ ბ. აკაკის, არც ამდენს ფულს მივცემდით წინდაწინ მოგების ანგარიშში. არავისთან ამისთანა პირობა ჩვენ არ შეგვიკრავს და არც მივცემთ. ჩვენ ვაფასებთ ბ. აკაკის შრომას, პატივსა ვცემთ და შესაძლებელსაც ვუსრულებთ. თუ საქმის წარმატება ჰსურთ – ჩვენც უნდა მოგვცენ შემწეობა, რომ ზურგგამაგრებულნი ვიყვნეთ და საქმე საქმედ დარჩეს. იმედი მაქვს, ეცდებით, დაარწმუნოთ ბ. აკაკი, რომ რაც კი შესაძლებელია – ვასრულებთ და მომავალშიც ვეცდებით, ღირსეულს მოღვაწეს ღირესეულად ვცეთ პატივი და არა დავიშუროთ რა, რაც კი ჩვენ ხელთ იქმნება.

თქვენი პატივის მცემელი ალ. ჯაბადარი

თუ მოახერხოთ, გვიშოვეთ დანარჩენი და ჩვენ მივცემთ პირობას, რომ მივცემთ დროზედ.

ა. ჯ.

[1896 წელი]

რევაზ მაჩაბელი

1

ძმაო ვანო!

Поздравляю тебя съ удачнымъ выборомъ тебя въ директоры банка и дай Богъ тебе полнаго успѣха. Съ этимъ конвертомъ посылается въ банкъ заявление моего тестя Николая Тактакова и пятнадцать руб. деньгами. Будь такъ добръ, похлопочи, чтобы поскорѣе зачислили его въ члены учредители банка, дабы ему взносить на погашенiе своего долга не 75 р., а 67 р. 50 к. Какъ только онъ будетъ зачисленъ въ члены учредители банка, сообщи мне въ ур. Бѣлый Ключь, а также и сумму, какую надо мнѣ взнести въ банкъ за себя для той же цели. Нашъ искреннiй приветъ тебе и твоей супругѣ. Целую тебя крепко.

Твой братъ Резо Мачабели

5 мая 1893 г. Ур. Бѣлый Ключь

2

Дорогой братъ Вано!

За имѣние Рвели Николая Георгіевича Тактакова должен я сдѣлать взносъ въ банкъ за 1-ое полугодіе 1896 (сего года) и эти 70 руб. у меня в карманѣ, но выслать могу только въ среду 10 Апрѣля, такъ какъ раньше почта не отходитъ. Будь такъ добръ, предупреди, чтобы Князь Тактаковъ не попалъ въ объявленіи, чтобы за публикацію торговъ не платить. Поклонъ всемъ твоимъ.

Твой братъ Резо Мачабели

7 Апрѣля 1896 г. Ур. Бѣлый Ключъ

დიმიტრი დადიანი

უპატივცემულესო ივანე გიორგის ძე!

მომილოცავს სურვილის აღსრულება. არ მეგონა, თუ ისევ დაუბრუნდებოდით ბანკს, მაგრამ, ჩემის აზრით, უეჭველად ასე უნდა მოქცეულიყავით, და გამარჯვებული რომ გამოდით, გარწმუნებთ დიდათ სასიამოვნოა.

ამას წინეთ ილია ჭავჭავაძეს ბარათი მივსწერე, რომელშიც ვუცხადებდი ჩემს სურვილს მამულის გადაგირავებაზედ თქვენს ბანკში და ვსთხოვე, რომ შეეტყობინებინა ჩემთვის, სოფლის მამულის გარდაგირავება შეიძლებოდა თუ არა. პასუხათ მივიღე ბანკის უსტავი და ინსტრუქცია, გარდა ამისა, ისეც მომწერა, რომ ერთი საბუთთაგანი საჭიროა მამულის მეჟევოი პლანიო. ამაზე ხელახალი ბარათი მივსწერე და შევუთვალე, რომ სოფლის მამული ჩემი (ეზო ას თორმეტი დესეტინა) დაგირავებულია ქუთაისის სააზნაურო ბანკში ოთხმოცდა ექვსიდან; საბუთები მაქვს: დაკლადნოე სვიდეტელსტვო, ვოლნი ლისტი და ბანკის ზემლემერისგან აღებული პლანი, გარდა ამისა, მექნება მეთქი გირაოს მოწმობა (Залоговое свидѣтельство). ეს ბარათი მე სწორედ იმ დროს გავუგზავნე, როცა თქვენი ბანკის კრება იყო და რადგანაც მაშინ დრო არ ჰქონდა, შეიძლება, პასუხის გამოგზავნა სრულიად დაავიწყდა და ან ბარათი დაეკარგა. ასე თუ ისე, ამ უკანასკნელი ბარათის პასუხი მე არ მიმიღია. ამისათვის იძულებული ვარ, ამ საგანზე თქვენ მოგმართოთ ეხლა, სრულიად დაიმედებული, რომ პასუხის მოწერას არ დაიზარებთ.

როგორც ზემოთ ვსწერ, მე ჩემს მამულზედ შემდეგი საბუთები მაქვს: ვლადელნოე სვიდეტელსტვო, ვოლნი ლისტი, უფროსი ნოტარიუსის გირაოს მოწმობა და კერძო პლანი. თუ ესენი საკმაოა და ამ საბუთების საფუძველზედ სოფლის მამულს მიიღებთ გირაოთ, მე ეხლავე შევუდგები გირაოს მოწმობის გამოტანას. გამიჯნული მამულები ჩვენში ძლიერ იშვიათია და არც ჩემი მამულია გამიჯნული, ამისათვის არც მეჟევოი პლანი მაქვს; მაგრამ ესეც უნდა იქონიოთ სახეში, რომ ჩემი მამული აგერ რვა წელიწადი დაგირავებულია ბანკში, დავა და საჩივარი მისდღემში არ მქონია. ამით მინდა, გითხრათ, რომ სადავიდარაბო მამული მე არა მაქვს, მით უმეტეს ეზო, რომლის გაგირავებას ვეშურები ეხლა.

ეხლა გთხოვთ, მოელაპარაკოთ თქვენს ამხანაგებს და მაცნობოთ – მიიღებთ ჩემს მამულს თუ არა და შეუდგე გირაოს მოწმობის გამოტანას, თუ არა? იმედი მაქვს, რომ პასუხს არ დამიგვიანებთ. მომწერეთ გადაწყვეტილი, როგორ მოვიქცე.

დავშთები მუდამ თქვენი პატივისმცემელი,

დიმიტრი ელიზბარის ძე დადიანი
18-ს მაისს, 1893 წ.

P. S. პასუხი გამომიგზავნეთ ახალ-სენაკს.

პ. ვასილიევ

11 Іюня 1893 г. Тифлис.

Многоуважаемый Князь Иванъ Георгіевичъ!

Партія „Дворцовыхъ Номеровъ“ прибѣгнула къ послѣднему отчаянному фортелю, разославъ депутаціи къ русскимъ упросить послѣднихъ баллотироваться, или лучше сказать сойти за баластъ. Какъ видите изъ газетъ, они успѣли переманить нѣсколько человѣкъ. Но намъ необходимо во что-бы ни стало парализовать этотъ замыселъ, для чего мы должны стянуть сколько возможно болѣе силъ на баллотировку и постараться забаллотировать русскихъ кандидатовъ, если не удастся убѣдить ихъ снять свои ящики. Нельзя-ли собраться намъ и потолковать какъ дѣйствовать.

Не можете-ли написать г. Кобіеву, чтобы онъ чрезъ своихъ чиновниковъ собралъ побольше послѣднихъ, служащихъ въ артилерійскомъ вѣдомствѣ.

Что и какъ рѣшите дѣйствовать, сообщите мнѣ.

Искренне уважающій Васъ П. Васильевъ

ალექსანდრე ჭყონია და ნიკოლოზ ღოღობერიძე

ჟურნალი „მოამბის“ რედაქცია.
31 აგვისტო, 1893 წ.
თ. ი. გ. მაჩაბელს.

მოწყალეო ხელმწიფევ!

შვიდი წელიწადია ქართველი საზოგადოება მოკლებული იყო ყოველთვიურ ჟურნალს. ამ დიდად საგრძნობელ ნაკლის შესავსებლად ჩვენ ვიწყებთ მომავალი წლის იანვრიდან ჟურნალი „მოამბის“ გამოცემას, რომლის შესახებ ნებართვა უკვე მივიღეთ. ჟურნალის საქმის რიგზე მომართვისათვის საჭიროა თანაგრძნობა და დახმარება ყველა ქართველ მწერლებისა და განათლებულ კაცებისა, რომელთაც შეუძლიათ სალიტერატურო მასალის მოწოდება.

ამისათვის მოგმართავთ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, და უმორჩილესადა გთხოვთ, იკისროთ „მოამბის“ თანამშრომლობა და მომავალ სექტემბრის 12-მდი გვაცნობოთ თქვენი თანხმობა, რათა გამოგაცხადოთ ჩვენის ჟურნალის თანამშრომლად.

თქვენი თანაგრძნობის მოიმედენი მორჩილი მოსამსახურენი:
რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია
გამომცემელი ნიკოლოზ ღოღობერიძე

ვლადიმერ აღნიაშვილი

„შუამავალი“ – ქართველთა სავაჭრო ამხანაგობა
7 ენკენისთვეს 1893 წ. ქ. თბილისი.
თ-დს ივანე მაჩაბელს.

მოწყალეო ხელმწიფე!

თანახმად დამფუძნებელ წევრთა საზოგადო კრების გარდაწყვეტილებისა გაუწყებთ, რომ ქ. თბილისს დაარსდა ახალი ამხანაგობა „შუამავალი“, რომელსაც საგნადა აქვს გაუჩინოს კაი ბაზარი მწარმოებელთა და შეუმსუბუქოს ხარჯი მხმარებელთ, ე. ი. იქმნეს ნამდვილი შუამავალი მწარმოებელთა და მხმარებელთა შორის.

წარმოგეგზავნებათ ამასთანავე პროექტი ჩვენის წესდებისა და უკეთუ საზოგადო აზრი ამ ამხანაგობისა შეწყნარებულ იქმნება თქვენ მიერ, დარწმუნებული ვართ, კეთილ ინებებთ ჩვენში ჩაწერასა და არ მოაკლებთ ამ ახალ ამხანაგობას თქვენს მუდმივ თანაგრძნობას.

საწევრო გარდასახადი ამ ამხანაგობისა არის 10 თუმანი, რომელთაგან პირველში, წევრად ჩაწერისა თანავე უნდა იქმნას წარმოდგენილი მხოლოდ ერთი თუმანი და დანარჩენიც ასე ნაწილ-ნაწილად.

წევრნი დამფუძნებელნი: ვლ. აღნიაშვილი, დ. ჯმუხაძე

ეკატერინე ავალიშვილი

ძმაო ვანო!

ამ წერის გამბედაობას მაბედვინებს ნათესაობა, თორემ დიდი კრძალვა რიდი თვით მე მიშლის, თუ რა გზით გწერთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ თქვენი კეთილი ხასიათიდგან ყველასათვის კეთილი მზრუნველი ფიქრი და მშრომელი. საერთოთ თქვენი მამული შვილებისათვის ფიქრობ და ამისათვის კიდევ გთხოვ ჩემი შვილის, ვანოს საქმეს. წარმოიდგინე, ვანო ძიელ ეკარგება დრო და ჟამი, რო იცოდე ამის გარემოება უფრო ძიელ შესწუხდები... ა. ნათაძესაც გადავეცი თქვენდამი ორიოდ სიტყვა. ოთხი წელიწადია ვცდილობ ყველასთან თითო სიტყვით, ჩამოვალ, ვეხვეწები. არც ერთი ჩემი შვილი არ მიიღეს. ეხლა მაინც ძლიერ ძნელ ცხოვრებაში მეგულებიან ჩემი შვილები. ვანოს რო ეშოვნა რამე ალაგი მანდა, ვითომ ორივ ბავშვები მიეღოთ, ისე ჩავთვლიდი, უფრო მაფიქრებინა, რომელს არა. რადგანაც ამბობენ, დამოჟნებში არის ვაკანსიაო. შენი ჭირიმე, შენს სადღეგრძელოთ და შენი ცოლშვილის სადღეგრძელოთ, უშველეთ რამე ჩემს შვილებსა. ისეთი პატიოსნება სჩვევიათ და სინიდისი, რომ დაქადებულ სიტყვას აღგისრულებენ და არ მოსტყუვდებით. ახლა თქვენც იცით ავალიშვილების გარემოება. ეს არი ჩემი უბედურება, მომეტებულს ვერავის ვაწუხებ პირადადაც თხოვნითა. თქვენს ცოლსა და შვილებს მოკითხვას განუცხადებ.

დავშთები თქვენი კეთილის მსურველი და ნათესავი.

კნ. ეკეტერინე ესტატეს ასული ავალიშვილისა

1893 წ. 11-სა სეკტემბერს



ლუარსაბ (შაქრო) მაღალაშვილი
მოსკოვი, 1880-იანი წლები
ფოტო: ვასილი ჩეხოვსკი

ლუარსაბ მაღალაშვილი

М. В. Д. Тифлисскій Губернскій Предводитель дворянства.
19 Октября 1893 года. №212. г. Тифлисъ.

Его Сіятельству Кн. И. Г. Мачабели.

Милостивый Государь Князь Иванъ Георгіевичъ!

Въ виду отказа И. С. Джабадари учавствовать въ комиссіи, уполномоченной принять проектъ Кахетинской Желѣзной Дороги и въ виду трудности вновь собрать гг. Членовъ Комиссіи по проведенію Ках. Ж. Д. на засѣданіе для выбора уполномоченного на мѣсто И. С. Джабадари, покорнейше прошу Ваше Сиятельство, принять участіе въ пріемѣ проекта и всѣхъ нужныхъ къ нему добавленій и принявъ оные, передать дѣло производителю Комиссіи И. Мачаваріани.

Примите увереніе въ совершенномъ къ Вамъ почтеніи и преданности.

Л. Магаловъ

პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები

ყოვლად პატივცემულო თ. ივანე გიორგის ძე.

პეტერბურლის ქართველი სტუდენტები თავის მოვალეობათა სთვლიან, მოგმართონ თქვენ საპატიო ბილეთით ჩვეულებრივ ქართულ საღამოზედ დასასწრებად, რომელიც

იმართება სათავად-აზნაურო დარბაზში, სრულის იმედით, რომ ამ წვლილს მიიღებთ მათგან ნიშნად მათის თქვენდამი ღრმა პატივისცემისა.

ნ. ნაკაშიძე
გამგე პირნი: ნ. მდივანი, ა. ჯორჯაძე, ი. ივაშკევიჩი
29 ნოემბერს. 1893 წ. პეტერბურღი

ანა მაყაშვილი

ნოემბრის 11 დღესა. იყალთოთა.

პატივ საცემელო ივან გიორგიჩ!

მოვიდა ბანკის დრო და შეუდექ თქვენს შეწუხებას. ისე ვარ თქვენზედ დარწმუნებული, რომ სხვას ვერავის ვენდობი ხოლმე. გთხოვთ, მაცნობოთ, შენი ჭირიმე, მალე, რა მაქვს შემოსატანი, თუმცა ძალიან დაზარალებული ვარ წელს, მარამ რა ვქნა, უნდა შევუდგე შოვნას. ამისათვის გთხოვ, დიდათ მალე გამაგებინოთ, შრომა მიღოთ ორიოდე კალმათ.

მაპატიეთ ამთენს გაწუხებთ, გებოდიშებით. ისე იმედით გიგულებთ ბანკში თქვენ, ასე მგონია, მე თვითონ ვიყო მანდ და საქმე არ გამიფუჭდება. იყალთოში გახლავარ და აქ მომწერეთ. დავშთები თქვენი პატივისმცემელი

ანნა რევაზოვნა მაყაევასი
[1893 წელი]

2

პატივსაცემელო ივან გიორგიჩ.

თქვენი წიგნი მივიღე ექვს დეკენბერს. ისე ღმერთმა თქვენ გაგახაროთ ყოვლის კეთილობით თქვენის სახლობით, როგორც მე ვისიამოვნე. მე თქვენთან არაფერი პატივის ცემა მიმიძღვის, გარდა ამისი, რომ გავედრებთ ღმერთს ყოველდროს, მამიღვთისას ვსთხოვ, ყოვლის კეთილებით აგავსოთ, გაბედნიეროთ ღმერთმა. ბანკის ხალხიც სულ თქვენ თავს შემოგავლოთ, ამიტომ მარტო თქვენ შედიხართ ადამიანების ზრუნვაში და სიბრალულში, როგორ ძნელია მამულის გაყიდვა საზარალოთ და სხვები ამას არ უგდებენ ყურსა, ცივათ ეკიდებიან ყველას. დიდათ მადლობელი ვარ, ღმერთმა გადაგიხადოთ ჩემმიერი. კვიტანცია კი ჯერ არ მიმიღია. იყავით დღეგრძელობით, რომელიც ჩვენთვისაც სასიამოვნოა თქვენი ყოველი კეთილი.

დავშთები თქვენი პატივის მცემელი ანიკო მაყაევისა
დეკენბრის ექვსში
[1893 წელი]

3

პატივ სადებელო ივან გიორგიჩ.

არ ვიცი, რა მადლობა გიძღვნათ, ღმერთს თქვენს დღეგრძელობას შევსთხოვ. ეხლა ვგზავნი თავნიდან ექვს თუმან ნახევარს, სარგებელს შვიდ თუმანს და ცხრა მანეთს.

გთხოვ, იშუამავლოთ და გამიკეთოთ ეს საქმე პრაშენიის, აღარ დავიტანჯო წელს. ესეც დიდი გაჭირვებით მოვახერხე და სული ამოვიგდე. შარშანწინ თავნიდან არ მქონდა შემოსატანი, შარშაენ კი წარმოვადგინე თავნიდანაც. მე წელს, მეგონა, თავნიდან არ წარმომადგენინებდენ. ძალიან გთხოვთ, ამითი გათავდეს და აღარ შევწუხდე. მალე მაცნობე პასუხი. შენი ჭირიმე, მარკა გამოართვით და წიგნიც მომწერეთ.

ბევრს გაწუხებთ. გებოდიშებით.

თქვენი პატივისმცემელი ანნა მაყაევისა
ნოემბრის 24-ს
[1893 წელი]

ივანე ჯაბადარი

14 декабря 1893 года.

Дорогой мой Вано!

Послѣ долгих странствій, во время которых мы съ женой изрядно таки захворали и 3 дня лѣчились въ Владикавказѣ, наконецъ 8-го числа прибыли въ Питеръ крайне ослабѣвшими отъ пути и болѣзней. Жена и до сих поръ лежит въ инфлуэнцѣ, которая очень свирѣпствуетъ. На другой же день моего пріезда я навелъ справки въ министерствѣ о Кахетинкѣ и 9-го числа далъ тебѣ телеграмму, въ кот. просилъ поспѣшить съ приемкой полномочій и денегъ; между тем сегодня уже 14-е число, а от тебя ни гу-гу. Что бы сие значило? Что Магаловъ еще не выезжалъ, это я знаю от нѣкоего Георгія Зурабовича Андроникова, который, представь себѣ, здесь хлопоталъ двѣ недели назадъ тому (по приездѣ жены Магалова), чтоб жена нѣкоего Бучкіева повліяла телеграммой на своего мужа, живущаго в Тифлисѣ, выдать 3000 р. Шакро. Довольнотаки странный способъ добыванія денегъ: какъ на охоту, так и собакъ кормитъ. Оставлять теперь Кахетинку на полпути просто безрассудно: мнѣ сказали, что ею всѣ очень интересуются и есть полная надежда, что все пойдет крайне успѣшно. Во всем делѣ Кахетинки оказывается рѣшающим является Витте и уездное ведомство, министерство же путей сообщенія играет второстепенную роль. Что у вас там такое происходит, я положительно ума не приложу! Неужели все еще препираетесь, как и в мое время. Ради самого аллаха. Если Магаловъ не может, ну и бог с ними, достаточно прислать одного из директоровъ Банка и съ однимъ директором, если что вы нам дадите настоящія полномочія в 2-3 ліца оборудуют вам все дѣло. До воскресенья я еще подожду, а там я опять черкну телеграмму тѣбѣ на счетъ полномочій. Пойми, что я не желаю фигурировать въ качествѣ самозванца. Я ужасно сглупил, что не взял с собой полномочій! Я уже нашелъ инженеровъ путей сообщенія, служащих в самом министерствѣ и отдал им изучить наши техническія изъясненія. Сегодня вечером они мнѣ принесутъ всѣ необходимые данные для написанія записки в министерство; тутъ будет и финансовый планъ и концессіонныя условія и пр. проч. Я уже приступилъ к изготовленію взятой на себя записки. На днях пріѣдет въ Питер и Михайловский 2-ой, который теперь без места и его тоже привлеку к Кахетинкѣ. Словом дѣло пойдет хорошо, только вы господа с вашей стороны не тормозите его.

Мои личныя дѣла тоже идут хорошо. Мнѣ разрешено держать государственный экзамен на кандидата права. Я надѣюсь к январю 1895 года, если только бог даст мнѣ жизни и здоровья, справится с этим экзаменом и написать соотвѣтствующую диссертацію.

Напиши мнѣ, бога ради, разрешила-ли кредитная канцелярія моему отцу долгосрочную ссуду; если нѣтъ, то что теперь делать?

Еще разъ убѣдительно прошу тебя не медлить зря с Кахетинкой, иначе пропустим самое благоприятное время.

Мой адрес: Невскій проспектъ, д. №77, Мебелиров. Номера Канцевича, №10, Ив. Спир. Джабадари.

Когда получу полномочія и деньги, выпишу и Радцига, а до того никого не хочется тревожить. Хорошо что я захватилъ с собою (с разрѣшенія Магалова) полный экземпляръ Черническихъ изысканий Кахетинки. Пришлите мне по крайней мере и остальные 2 экземпляра.

Жму крепко твою руку и жду от тебя весточки; а можетъ быть, бог даст и сам пріедешь!

Твой Вано Джабадари

Скажи, пожалуйста, Вано Мачавариани, чтоб в моей статьѣ для груз. журнала „Моамбэ“, вмѣсто слова სამკეცი (тройственный) поставил слово „სამპირი“; это я дорогой надумалъ и очень удачно.

მიხეილ მაჩაბელი

თებერვლის 12 დღესა.

თქვენო მაღალ ბრწყინვალებავ კნიაზო ივან გიორგიევიჩ!

პირველად ღმერთსა ვსთხომ თქვენს დიდ ხანს სიცოცხლესა და თქვენის კარგის ცოლ-შვილის სიცოცხლეს, რომ გეცოცხლოს დიდხანს ჩემს ნუგეშათა. ახლა, აი, ვგზავნი თქვენს სახელზედ სტრახის კვიტანციასაც და კუპჩის კოპიოსაცა და გთხომ უმორჩილესად, მალე გააგზავნინო და დამავალოთ სამუდამოთ.

გწერ თქვენი დიდხანს სიცოცხლის მონატრე მონა თქვენი

მიხეილ მაჩაბელი

[1893 წლიდან]

სვიმონ წერეთელი

1

ძმაო ვანო,

შენი წერილი მომივიდა იმ დილით, როდესაც კრება იყო დანიშნული, ე. ი. 20-ს ამ თვეს და აღარა მოხერხდებოდა რა. მაგრამ ის პროეკტიც ისეა შემდგარი მაინც, როგორც შენ იწერებოდი – მხოლოდ ის არ არის, რომ წარმომადგედეთ ამოსარჩევ კრებაზე, სხვა არაფერზე შეიძლება ბაასი გარდა არჩევისა. მიშოს თხოვნით გიგზავნი სამინისტრო ქაღალის კოპიას. არ ვიცი კი, რად გინდათ. პროეკტის კოპიო და ჩვენი კრების გადაწყვეტილების – მიშომ წამოიღო.

ამას გარდა, ერთი რამ უნდა მოგწერო, მიშომ და კოლა თუმანიშვილმა რაღაცაზე მოილაპარაკეს ჩემთან – თითონაც გეტყოდნენ, მაგრამ გუშინ და ამ დილით, სრულებით შემთხვევით ისეთი რამეები მიანბეს, რომ ყოვლად შეუძლებელი ხდება ჩემთვის ეს საქმე. ამას იმიტომ ვჩქარობ, მოგწერო, რომ არა წაგიხდესთ რა ამის გამო და იცოდეთ. თითონ მე მომიხდება მალე ჩამოსვლა მანდა და ყველაფერს დაწვრილებით მაშინ მოგიყვები.

შენი ერთგული ძმა სვიმონ წერეთელი
23 იანვარი, 1894 წ., ქ. ქუთაისი

2

1 თებერვალი, 94 წ.

ძმაო ვანო,

უკაცრავათ, რომ ამდენ ხანს პასუხი ვერ მოგწერე, მაგრამ არ ვჩქარობდი, რადგან ვასო, შენი ძმა იყო აქა და ის გიამბობდა ზოგიერთ ჩემს ანბავს.

ახლა ერთი სათხოვარი მაქვს შენთან, თუ არ დაგეზარა.

თუ შეიძლება, შემომითვალე, რამდენია შემოსატანი „დაბღაჩისა“ და როდისათვის ინიშნება ტორგები. ამას გარდა, გაგზავნე ვინმე სახელმწიფო პირები და შეატყობინე იქაც, როდისათვის ინიშნება ლაჩბადინის ტორგები. ძალიან დამავალებ, რომ მალე შეატყობინებდე.

შენი ძმა ს. წერეთელი

სამსონ გელოვანი

4 თებერვალს, 1894 წ. ქ. ხარკოვი.

მრავალ-პატივცემულო ბატონო ვანო!

თქვენი წერილი მივიღე 3 თებერვალს. ვისწრაფი, პასუხი მოგაწოდოთ. თუმცა, ქართველ სტუდენტებს ყველას კარგად ვიცნობ და მათი მატერიალური მდგომარეობაც დაწვრილებით ვიცი, მაგრამ მეტის სიმართლისათვის ყველას პირადათ და საზოგადოთ მოველაპარაკე შესახებ თქვენის კითხვისა. შედეგი მათის ჩვენებისა გახლავთ შემდეგი:

A. უნივერსიტეტშიდ სწავლობს 20 კაცი. მათ შორის, მედიკურ ფაკულტეტზე 15 კაცია: მათ შორის, პირველ კურსზედ: 1. პარმენ ჭიჭინაძე ღებულობს სახლიდამ თვეში 25 მან. ხარჯათ. 2) სიმონ დ. ჯაფარიძე ღებ. სახლ. 25 მან., მაგრამ თავის დროზედ ისიც არ მოუდის. 3) პალიკო კიკალიშვილი ღებულობს თვეში თორმეტი მანეთიდამ თუთხმეტ მანეთამდის და ის არის იმის ცხოვრების სახსარი. 4) ალექსანდრე ბასილაია – თვეში 30 მან. სახლიდამ. 5) ვარლამ მოსეშვილი ღებ. თვეში 15 მან. 6) ალექსი გეხთმანი – სახლიდამ არა მოუდის რა, სცხოვრობს გაკვეთილით.

მეორე კურსზედ: 1) არხიპო მუსხელიშვილი ხან მიიღებს სახლიდამ ან ვინმე ნათესავიდამ ფულს ან არა. წელს მოუვიდა 150 მან. და მეტს ვეღარას მიიღებს მაისის დამლევამდის, ე. ი. ამ წელშიდ ერთბაშად მიიღო ფული, ამისათვის, რომ ცოტა მამული გაუყიდიათ

იმის ოჯახობას, 2) ივანე კარგარეთელი ღებ. თვეში 15 მანეთს სახლიდან (ძმისგან). 3. ვლადიმერ მახვილაძე – 25 მან. თვეში სახლიდამ. 4) გიორგი ღოღობერიძე ღებულობს სახლიდამ თვეში 20 მან. და ამას გარდა, 180 მან. (Субсид. изъ „комит. о раненн.“). 5. ნიკო ერისთავი – თვეშიდ 55 მან. სახლ.

მესამე კურსზედ: 1) კლემენტო თოფურიძე ღებულობს სახლიდამ და სხვ. და სხვ. ნათესავებიდამ 25 მანეთამდე, მაგრამ თავის დროზედ მას არ ახსოვს (და არც მე), რომ ფული მიეღოს. 2) ნესტორ მდივანი თვეშიდ 25 მან. ბიძისაგან.

მეოთხე კურსზედ არავინ არის ქართველთაგანი. მეხუთე კურსზედ მხოლოდ ერთი დავით ლორთქიფანიძე ღებულობს თვეში სახლიდამ 30 მან.

იურიდიულ ფაკულტეტზედ ორი კაცი სწავლობს 4 კურსზედ:

1. ივანე ქაფთარაძე ღებულობს თვეში 15 მან.

2. სამსონ გელოვანი – თვეშიდ 25 მან. სტიპენდიას. (Стип. „Кавказскаго учеб. округа“).

ისტორია-ფილოლოგიურ ფაკულტეტზედაც ორი კაცი სწავლობს: 1) მირიან ჯინორიძე მეოთხე (4) კურსზედ. ღებულობს თვეშიდ 20 მან. და 83 კაპ. სტიპენდიას (Стип. „Западнаго края“ 20 р. 83 к.). 2) გიორგი გეხთმანი მესამე კურსზედ ღებ. თვეშიდ 25 მან. სტიპ. (Стипендія „Кавк. учеб. округа“) და ამას გარდა, 10 მან. სახლიდამ.

მათემათიკის ფაკულტეტზედ მხოლოთ ერთი კაცია: 1) გედეონ წერეთელი. პირველს კურსზედ. სახლიდამ არა მოსდის რა, ჯერ-ჯერობით კატო ნიკოლაძის ქალის შემწევობით სცხოვრობს და შემდეგში როგორ იქნება იმის საქმე, არც თვით იცის.

B) ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში 4 კაცი სწავლობს პირველ კურსზედ: 1) გ. ქურდოვანიძე სახლიდამ ღებ. თვეში 15 მან. 2) იოსებ მუსხელიშვილი თვეშიდ ღებულობს 50 მან. (ძმებისაგან). მეორე კურსზედ: 1) ვ. ჯანდიერი ღებ. თვეში 30 მანეთს სახლიდამ. 2) დაკიშევიჩ თვეშიდ ღებ. 25 მან. სახლ.

C) საბეითალო ინსტიტუტში სულ ორი კაცი სწავლობს: 1) ნიკო იოსელიანი ღებულობს თვეშიდ 25 მან. სახლიდამ (შარშან 40 მანეთზეც მეტი მოსდიოდა). 2) გრიგოლ ლორთქიფანიძე მესამე კურსზედ. ღებულობს 8 მანეთს თვეშიდ და ისიც არ მოსდის თავის დროზედ.

როგორც ზევით მოყვანილი სიისაგან სჩანს, ხარკოვის უმაღლეს სასწავლებლებშიდ სწავლობენ სულ 26 ქართველი, მათ შორის: გიორგი გეხთმანი, მისი ძმა ალექსი და დაკიშევიჩი, თუმცა, შთამომავლობით სულ ნამდვილი ქართველნი არ არიან, მაგრამ რწმუნებით, გულით და მიმართულებით ქართველებს ეკუთვნიან ჯერ-ჯერობით და ჩვენც მათ ქართველებს ვეძახით. ივანე ქაფთარაძე თუმცა ქართველია, სიმართლე მოითხოვს და უნდა ითქვას, რომ ქართველ სტუდენტობასთან არავითარი კავშირი არა აქვს არც ჩვენს წრეშიდ იღებს მონაწილეობას.

ეს ცნობები გახლავთ ნამდვილი და შეუბღალავი პირი ხარკოველ ქართვ. სტუდენტების ცხოვრებისა. მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ კიკალიშვილს, ლორთქიფანიძეს (გრიგოლს), მოსეშვილს, წერეთელს, გელოვანს, ჯინორიძეს, მუსხელიშვილს არხიპოს, კარგარეთელს, ქურდოვანიძეს და კლ. თოფურიძეს მეტი არა მოუდისთ რა, რაც ნაჩვენები არ არის ზევით. ის არის მათი საზრდო, ტანთსაცმელი, წიგნები და სხვ. ამ გვარი აუცილებელი საჭიროების მალამო და სახსარი. უეჭველია, გაკვირვებით იკითხავთ: „რა ნაირად სცხოვრობთ მაგისთანა მატერიალურ წყაროების პატრონები?“ არც მე ვიცი... ჩვენც გვიკვირს...

სულ უკანასკნელი ხარჯი მოსწავლისათვის ხარკოვშიდ გარდა ტანისამოსისა და წიგნებისა (რომლნიც ძალიან ძვირად ღირან და აუცილებელი საჭიროც არიან): 10 მან. პატარა ოთახი თვეში; 8 მან. გლახა სადილი და 7 მან. ჩაიშაქარი, პური, სარეცხი, მოსამსახურე, ნავთი, საპონი და სხ.

დავშთები თქვენი ღრმათ პატივისმცემელი ს. გელოვანი

ვასილ პეტრიაშვილი

ოდესსა, 6 თებერვალი, 1894 წელი.

უძვირფასესო და დაუვიწყარო ბატონო ივანე!

თქვენი კითხვის პასუხათ აქაურ სტუდენტებზე და იმათი ცხოვრების სურათზე, აი, რას მოგახსენებთ;

აქაურ უნივერსიტეტებში ოცი ქართველი სტუდენტი არის, სახელდობრ:

1. აბაშიძე ივანე, იურისტი, მესამე კურსისა; 2. ამირაჯიბი სიმონი, ბუნებით მეც. ფაკულტ., პირველი კურსი; 3. აბზიანიძე კირილე, იურისტი მეორე კურსისა; 4. დეკანოზოვი ანდრია იურისტი მეორე კურსისა; 5. გოთუა ივ., ფილოლოგი პირველი კურ.; 6. გამბაროვი ბუნების მეც. ფაკ. პირველი კურსი; 7. კვიტაშვილი სიმონა, იურისტი პირველი კურ.; 8. ლორთქიფანიძე ვლადიმირი, ფილოლოგი 2 კურსის; 9. მდივანი დავით, იურისტი მეორე კურსის; 10. თავდგირიძე ნიკო, იურისტი მეორე კურსისა; 11. თაქთაქაშვილი, მათემათიკი მესამე კურსისა; 12. თუმანოვი ვასილ, იურისტი პირველი კურსის; 13. თურქესტანოვი, იურისტი მეოთხე კურსისა; 14. სიდავა ივანე, იურისტი მეორე კურსისა; 15. ხარაზოვი ნიკ., მათემათ. პირველი კურსისა; 16. ჟვანია ივანე, იურისტი პირველი კურსისა; 17. ჯაფარიძე სერგეი, იურისტი მეორე კურსისა; 18. ჩოღოშვილი ნიკ. მათ პირველი კურს.; 19. ფიფინოვი ივანე, მათემათ. პირველი კურსისა; 20. ჟორჟოლაძე სიმ., ბუნებ. მეც. ფაკ. 4 კურსისა.

ამ ოცში მხოლოდ ხუთს მოსდის სახლიდამ სახარჯო ფული დაუბრკოლებლათ და, მგონი, შეძლებულნიც არიან: ჟვანია, თუმანოვი, ფიფინოვი, ამირაჯიბი და გამბაროვი. რვას სტიპენდია აქვს, ზოგს აქაური და ზოგს კავკასიისა: აბაშიძე, ჯაფარიძე, ლორთქიფანიძე, თავდგირიძე, თაქთაქაშვილი, ხარაზოვი, თურქესტანოვი და ჩოღოშვილი. სამს: გოთუა, სიდავა და მდივანი, თუმცა ცოტაოდენი შემწეობა მოსდით სახლიდამ, მაგრამ იშვიათად, ღარიბი სახლობიდან არიან.

და უკანასკნელი ოთხი: დეკანოზოვი, აბზიანიძე, კვიტაშვილი და ჯორჯაძე სულ ღარიბები არიან და ღვთის ანაბარას, სახლიდამ არავითარი შემწეობა არ მოსდით და, რასაკვირველია, ამის გამო დიდად შეწუხებულები არიან. თუ ქართველი საზოგადოება ცოტაოდენ შემწეობას ამოუჩენს ამ ყმაწვილებს, რომლებიც დიდის ხალისით და ენერგიით მეცადინეობენ, რა თქმა უნდა, რომ კეთილ საქმეს ჩაიდენს და ესენიც დიდად მადლობელნი დარჩებიან.

თქვენი ერთგული ვასილ პეტრიაშვილი

იოსებ ჩარექიშვილი

1894 წ. თებერვლის 21.

მოწყალეო ხელმწიფევ!

სამი დღე იქნება, რაც თქვენი წერილი ჩემამდე გარდმომცეს მე. აი მიზეზი, რის გამოც წერილის პასუხი დაგიგვიანეთ. თქვენს თხოვნას დიდის სიამოვნებით ვასრულებთ, და ამ წერილთან ერთად გიგზავნით ტაბლიცას, სადაც ნაჩვენებია სტატისტიკური ცნობები შესახებ ჩვენი პეტერბურგის სტუდენტებისა.

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ, აქ პატარა შენიშვნა მოვათავსო, თქვენ გეცოდინებათ, რომ სტატისტიკურ ცნობებს არ უნდა მიენდოს კაცმა, სანამ მათ არ ახსნის. ამ ტაბლიცასაც ამ ნაირად უნდა მოექცეს კაცმა. ეს ტაბლიცა გარდა ხუთი კაცისა (2 სტუდენტი და 32 ემზადებიან), რომლებიც ასე თუ ისე მაინც ცხოვრობენ, არავის არ ხატავს ცუდს მდგომარეობაში, მაშინ როდესაც ბევრია ცუდს მდგომარეობაში. რასაკვირველია, მდგომარეობას რომ ვამბობ, მხედველობაში მაქვს მდგომარეობა მოსწავლე სტუდენტებისა. ცუდ მდგომარეობაში არიან ჩაყრილნი ყველა ის სტუდენტები, რომელთაც 25 მან. მეტი არ აქვთ. მე აქ მინდოდა ცოტა ვრცლად შევხებოდი ამ კითხვას და მომეყვანა სტუდენტის minimum თვიური ხარჯი, ხოლო მეშინია, თავი არ მოგაწყინოთ, მით უმეტეს, რომ ეს ყოვლისფერი თქვენ გეცოდინებათ; და თუ თქვენ მოისურვებთ, ყოველ თქვენ კითხვაზედ დიდის სიამოვნებით გიპასუხებთ. ამისათვის გატყობინებთ ჩემს ბინადრობას.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი ი. ჩარექიშვილი.

P. S. Уголь Тороховой и Казанской ул. домъ 24/24 кв. 5. Студенту Университета Иосифу П. Чарекову. Г. С-Петербург.

გარდა ამ 34 სტუდენტისა პეტერბურგში ცხოვრობს სამი მოსწავლე ქართველი. ორს მათგანს გიმნაზია აქვთ გათავებული და ემზადებიან სპეციალურ უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად მომავალ აგვისტოში. მესამე პირმა დაამთავრა უნივერსიტეტი. ხოლო ამ მაისში ეგზამენიები უნდა დაიჭიროს დიპლომის მისაღებად. ამ სამთავე პირს სრულიად არაფერი მოსდით სახლიდამ უქონლობის გამო, და ცხოვრობენ ვაი ვაგლახათ ან გაკვეთილებით, ან სხვა საქმეებით ან კერძო ამხანაგების დახმარებით. ასევე ცხოვრობენ ზემოთ აღნიშნული ორი სტუდენტი.

შიო ჩიტაძე

20-ს მარტს. ქ. კიევი.

მოწყალეო ხელმწიფევ!

პირველად უნდა ბოდიში მოვიხადო თქვენს წინაშე წერილზე პასუხის დაგვიანებისათვის. ერთი მიზეზის გამო, დროებით უნდა შემეწყვიტა მიწერ-მოწერა, რომ უსიამოვნება არა გამოსულიყო-რა ჩემთვისაც და სხვისთვისაც. ეხლა შემიძლიან, პასუხი მოგცეთ თქვენს კითხვებზედ.

კიევის უნივერსიტეტში სწავლობს თექვსმეტი ქართველი, იმათგან – ერთი იურიდიულ ფაკულტეტზე არის, ერთი – ფილოლოგიურზედ და დანარჩენი მედიკურზედ. იურისტი გახლავთ მესამე კურსზედ, ფილოლოგი – პირველზედ, მედიკებიდან: ორი – მესამეზე, რვა – მეორეზე და ოთხიც – პირველზედ.

თექვსმეტი კაციდგან მარტო ნახევარს აქვს გადაწყვეტილი საშუალება ცხოვრებისა, საშუალო რიცხვით – 25 მან., მეორე ნახევარი შემთხვევის ანაბრათ არიან. არც პირველების ყოფაა ისე სანატრელი. უნივერსიტეტის ქალაქში, თუ სტუდენტმა მოინდომა მატერიალური ცხოვრების გარდა სულიერიც, ოცდა ხუთი მანეთი არ სწვდება და არ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ოცდა სამი მანეთი პირველ საჭიროებაზედ იხარჯება და დანარჩენი ლექციების ფულად არც კი ჰყოფნის სტუდენტს. ქართველი სტუდენტი მოკლებულია რუსულ ჟურნალ-გაზეთს, მოკლებულია წიგნებს. თექვსმეტი კაციდგან ორი სამი კაცი იყო ჩაწერილი ბიბლიოთეკაში, ისიც დრო გამოშვებით ფულების ქონების დაგვარად. რა საკვირველია, რომ მათი ჭკუა არ ფართოვდება უნივერსიტეტში. თვით უნივერსიტეტი ოფიციალური მეცნიერების მეტს არას გვაძლევს, გარეთ ცხოვრება მიყუჩებულია და ჩვენმა სტუდენტებმაც თავისი წიგნების და ლექციების მეტი არა იციან რა. ასეთ მდგომარეობაში არიან ისინი, რომელთაც ოცდახუთი მანეთი მისდის (კიევში შედარებით უფრო იაფია ცხოვრება. მოსკოვში ეგრეთივე ცხოვრება თხოულობს 35 მანეთს; ნაკლებს მოსდევს არა ერთი დღე შიმშილი).

მეორე ნახევარს ზოგს სულ არაფერი მოსდის, ზოგს თუ მოსდის, სულ მცირედი, ისიც დრო გამოშვებით. ცხოვრობენ ზოგი გაკვეთილებით, ზოგი აქაურ საქველმოქმედო საზოგადოების ფულით და ზოგიც ჩვენი კასსის შემწეობით.

ეს სენი მთლად აქარწყლებს უნივერსიტეტში ყოფნას: ყოველ დღიური ფიქრი ლუკმა პურზედ უფუჭებს გულს სტუდენტს, ძალას ართმევს და გულს უცრუებს მეცნიერებაზედ. ეხლანდელი სტუდენტი ისევ ის გიმნაზისტია, რომელიც მარტო გამოცდისთვის სწავლობს: სტუდენტს სახეში მხოლოდ გამოცდა აქვს. სხვაფრივ ძალა არა აქვს რომ მოიქცეს.

თქვენი აზრი ყველამ სიამოვნებით მოისმინა და გულით ვისურვებთ, რომ აღსრულებაში მოგეყვანოთ.

ვშთები თქვენი პატივის ცემელი შიო ჩიტაძე

P. S. თუ ცნობები კიდევ დაგჭირდეთ რამე, მე მზათა ვარ, მოგაწოდოთ.

შ. ჩიტაძე

ადრესი: г. Кіевъ. Университетъ св. Владиміра, студенту филологическаго факультета Ш. Ч.
[1894 წელი]

მაკინე ფავლენიშვილი

1894 წ. აპრილის 7.

ძვირფასო და საკუთარო ძმაო კნიაზო ვანო! ღმერთმა მრავალს აღდგომას დაგასწროს თქვენის კარგის ცოლშვილით, ბედნიერის ცხოვრებით. ამას თანავე გენაცვალე, ვანო-

ჯან! ვიცი, რომ თქვენ იმისთანა კეთილი ბრძანდებით რომ იქვე სიბავშვითვე გვახსომს ერთმანეთი როგორც მახლობელს ნათესაობას შვენის და გეხვეწები როგორც თქვენ, ისე ალექსანდრე გურამოვს, რომელიც ღმერთმა აცოცხლოს, თითონვე მიბრძანეს, რომ ნუღარავის შეაწუხებო, მე ვეცდებიო, რომ შენი საქმე მე ვიკისრო ბანკში. შარშან დასეტყვილი იყო ჩემი ვენახი და ახლა გადუწყვეტნიათ ოთხი თუმანი. თქვენ გენაცვალეთ, ორივეს გეხვეწებით, თქვენც და კნიაზ ალექსანდრე გურამოვსაც, რომ იმდენი შემწეობა გამიწიეთ, ფოშტით გამამიგზავნეთ ცხინვალში, რომელიც დიდი სამადლობელი იქნება. მე ავათა ვარ, შენმა სიცოცხლემ და გეფიცები პირი ღვთისას ეს რაღაც წყეული ინფულენცია მჭირდა და ეს ორი თვით ქვესაგებიდან ველარ ავაწიე, აი, თუ მადლი გინდათ ორივეს, ეს იქნება, რომ მე მანდ აღარ ჩამამიყვანთ, თორემ ეგეც მანდ დამეხარჯება და ვალმა ლამის დამახრჩოს. უთუოთ ველი, ამ წერილს როგორც მიიღებთ, რომ ფულს გამამიგზავნით და წიგნითაც მაცნობებთ პასუხს, გენაცვათ. ჩემს საყვარელ ტასოს ვაკოცებ.

თქვენი ერთგული საკუთარი და მაკინე ფავლენოვი

თუ გინდათ, რომ გილოცოთ ორივენი ამ საღდგამოთ, მამაშველეთ ეგ ფული, თქვენი ჭირიმეთ.

კნიაზ გურამოვს ცალკე მივწერდი წერილს, მარამ ადრესი არ ვიცი მაგათი.

საჭირო არ იქნება დავერნოსტობა, თქვენც მოახერხებთ და მერე კვიტანციას მე მოგართმევთ ფოშტით.

იური მილიუტინ

Редакторъ-издатель газеты „Кавказъ“ Юрій Николаевичъ Милютинъ.
Тифлисъ. Дворцовая ул. №10.
28. V. 94.

Милостивый Государь Князь Иванъ Георгіевичъ.

Съ Вашимъ письмомъ въ редакцію произошелъ въ высшей степени прискорбный для меня случай, за который приношу Вамъ искреннія извиненія. Дѣло вотъ въ чемъ. Вчера цензоръ выкинулъ изъ письма все то, что касалось княжны М. В. Орбеліани. Я въ тотъ же вечеръ отправился къ нему и послѣ долгихъ переговоровъ мнѣ удалось убѣдитъ его изменить свое решеніе и пропустить письмо почти цѣликомъ. Къ сожаленію, при существующемъ въ казенной типографіи безпорядкѣ, оказалось слишкомъ поздно для этого исправленія и, не смотря на мое приказаніе, письмо было напечатано по первому цензурному листу. Я заявилъ уже жалобу, кому следуетъ, но не знаю, какъ быть относительно Васъ. Если Вы желаете, можно будетъ завтра напечатать Ваше письмо целикомъ, съ оговоркою, что сегодня произошла ошибка. Говорю цѣликомъ, ибо цензоромъ окончательно вычеркнуты только две фразы: 1) „Можно себѣ представить, кому это было на руку“ и т. д. до первой точки. 2) „судите сами, на сколько права была княжна“ и т. д. до первой точки.

Во всякомъ случае буду ждать Вашего ответа на подчеркнутыя слова.

Ю. Милютинъ



მარიამ ორბელიანი
1890-იანი წლები

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი

Распорядительный комитетъ Общества дворянъ Тифлисской Губернии.
Для содѣйствія нуждающимся въ обученіи, №29.
15 іюня 1894 г. Тифлисъ.
Его Сі-ству Кн. Ив. Геор. Мачабели.

Милостивый Государь Иванъ Георгіевичъ!

Постановленіемъ Распорядительного Комитета „Общества дворянъ Тифлисской губерніи для содѣйствия нуждающимся въ обучени“ отъ 14-го іюня с/г. избранъ казначеемъ членъ Комитета Н. З. Цхветадзе, которому Комитетъ имѣетъ честь просить Васъ, Милостивый Государь, сдать хранящіяся у Васъ, какъ у бывшаго казначея Комитета, суммы и чековую книжку.

За Предсѣдателя Комитета
Вицепредсѣдательница Кн. М. В. Дж. Орбелиани
За секретаря Д. Эпитовъ

ეკატერინე ნიკოლაძე

1

დიდად პატივ-ცემულო კნიაზო ივანე გიორგის ძევ!

აქ უფროს ნატარიუსს ვკითხე და მითხრა, რომ პასუხი დიდი-ხანია მივსწერე თფილისის სააზნაურო ბანკის მართველობასო. მაშასადამე, ახლა დაბრკოლება აღარაფერი იქ-

მნება და ძალიან მიკვირს, ფული რატომ არ გამომიგზავნეს აქამდის. ახლა უმორჩილესად გთხოვთ, ჩემთან გამოსაგზავნი ფულები, თუ ჯერ კიდევ არ გამოგიგზავნიათ, გადასცეთ კნიაზ სამსონ გელოვანს, რომელიც ამ წერილს გადმოგცემთ თქვენ. იმედი მაქვს, უბრძანებთ, ვისიც რიგია და აასრულებთ ამ ჩემს თხოვნას. მაშინ მითხარით, ამ დღეებში გამოვგზავნითო და მასუკან კი სამი კვირაც გავიდა და აღარაფელი შეგიტყობინებიათ. ნუ დაიზარებთ, მომწეროთ, თუ კიდევ რამე შეხვდა დასაბრკოლებელი.

მარად თქვენი პატივისცემის მსურველი ეკ. ნიკოლაძე
6/VIII. 1894

Двести девять рублей и семъ копѣекъ получилъ 7 сентября 1894 года. Кн. Самсон Геловани эти деньги полученъ мною изъ банка для передачи Екатеринѣ Яков. Николадзе.

Кн. Самсон Геловани.

2

მრავალ პატივ-ცემულო ივანე გიორგი ძევ!

გთხოვთ, შემატყობინოთ, როდის შემიძლია დანარჩენი ფულების მიღება თქვენი ბანკიდამ. მე მაშინ ჩემი გირაოს ფურცლები არ მომეცით, რომ თვითონ გამეყიდნა. მითხარით, გადაწყვეტილი გვაქვს, არავის მივცეთო. თუმცა, ერთი თვის შემდეგ ჩემს ძმას კი მიეცით და იმან ვიღაც ბანკირს მიჰყიდა მანდ. მე რა საბუთით მითხარით უარი, არ ვიცი. უთუოდ სხვა და სხვა პირისათვის, სხვა და სხვა კანონები გქონიათ დადგენილი. რაც მე მანდედამ ახალი სესხი ავიღე, აგერ ოთხი თვე გავიდა და ვიხდი სარგებელს იმ ფულისას, რომელიც თვალითაც არ დამინახავს. ეს თუ სამართლიანია, უსამართლობა სადღა ვეძიოთ?! ასეა თუ ისე, გთხოვთ, გაისარჯოთ და შემატყობინოთ: მერგება მე რამე კიდევ, თუ არა? და თუ მერგება, როდის და როგორ უნდა მივიღო. უკაცრავად, რომ გაწუხებთ, მაგრამ მანდ ვერავის ვიცნობ და ვის უნდა მივმართო? სრული იმედი მაქვს, არ დაიზარებთ ამ ჩემი თხოვნის ასრულებას და ყველაფერს გარკვევით და დაწვრილებით ამიხსნით, რისთვისაც დავშთები დიდი მადლობელი.

მარად თქვენი პატივისმცემელი ეკ. ნიკოლაძე
14/XII. 1894

P. S. ჩემი ადრესი: Въ г. Кутаисъ.

Ек. Як. Николадзе.

ფ. რელიგიონი

Аптека Ф. А. Религіони въ Кутаисѣ.

Глубокоуважаемый Князь Иванъ Георгіевичъ!

Не имѣя возможности въ данное время быть лично въ Тифлисѣ, обращаюсъ къ Вашему Сіятельству съ покорнейшей просьбой: еще въ февралѣ м-цѣ текущаго года, я просил ссуду въ количестве 18 т. руб., почему Князь Циціановъ, по пріѣздѣ въ Кутаисъ, осмотрѣвъ мое имѣніе и

заставъ его еще не совершенно оконченымъ, полагалъ, что я быть можетъ оставлю мою новую постройку въ такомъ виде и впредь, и на этомъ основаніи оцѣнилъ мое имѣніе только въ 20 т., тогда какъ одинъ только участокъ земли послѣ приведения его въ порядокъ обошелся слишкомъ 10 т. а съ постройкой воздвигнутой на немъ 40 т. Банкъ на основаніи оцѣнки Князя Цицианова разрѣшилъ мнѣ ссуду согласно уставу 60% 12 т. Подобной оцѣнкой я довольствоваться не могъ, и просилъ правленіе банка о перѣоценкѣ, почему Князь Черкезовъ, пріѣхавъ въ Іюнѣ м-цѣ, хотя и засталъ все именіе въ законченомъ видѣ, но переоцѣнилъ довольно скудно, по всей вѣроятности изъ нежеланія сдѣлать неприятность своему коллеге, переоцѣнилъ всего въ 26 т. Что же дѣлать? Въ виду наступающихъ срочных платежей и не имѣя болѣе ни времени, ни возможности опять просить въ третій разъ о переоценкѣ, то я изъявляю на эту последнюю оцѣнку 26 т. свое согласіе, покорнейше прошу Ваше Сіятельство оказать содѣйствіѣ въ ускореніи разрешенія назначить мнѣ 60% по оценкѣ, т. е. 15.600 руб., въ противномъ случаѣ меня труженника и мою семью ожидаетъ полное разореніе, чего никакъ не могу допустить изъ принципа, что банки предназначены охранять людей трудящихся отъ произвола растовщиковъ, въ когтяхъ которыхъ я нахожусъ въ настоящее время. Вѣрьте, Ваше Сіятельство, что 28-ой лѣтний трудъ мой пропадетъ даромъ, если правленіе банка не ускоритъ ссуду и этимъ защититъ меня отъ ростовщиковъ. Имѣя долгъ около 20 т., имѣніе мое стоящее 40 т. можетъ быть продано съ аукциона. Въ надеждѣ, что не оставите мое письмо безъ вниманія, остаюсь всегда Вашимъ покорнымъ слугою

Ф. Религіони
1894 годъ, Сентября 9 дня, Кутаисъ

ივანე ჯორჯაძე

ძმაო ვანო! მოგილოცამ ახალ-წელიწადს და ვინატვრი შენს ბედნიერ ცხოვრებას. ეხლა შენ, ჩემო ძამიავ, ძალიან არ გაგიკვირდება ეს ჩემი წერილი და წამოიძახებ, ეს რა მოსვლია ვანოსაო, რომ წიგნს იწერებაო. მაქთვენი არაფერი; მაგრამ ერთი აზრი მაინც მაქვს და ის მინდა ავასრულო, ამ ასრულებას ფული უნდა; არც მინდა ჩვენებური ქართული სარგებლის მიცემა, რათგან ეგ გატყავებას ნიშნამს და რაკი შენა ქთხოვე ერთხელ, სხვას აღარ მივმართე და ისევ შენ გაწუხებ – ხომ გახსომს, ქალაქში ამ ბოლო დროს რომ ვიყავი, ქთხოვე ქართველოვისათვის, სარაჯევისათვის მოგელაპარაკნა შესახებ, რომ კრედიტი გეეხსნათ ჩემთვინ ოთხასი თუმნისა სახელმწიფო ბანკში – ამ საგანზედ მოელაპარაკე თუ არა, ან რა გითხრეს? პროტექციას გამიკეთებენ თუ არა? თუ ორიოდ სიტყვას ჩემს სასარგებლოთ იტყვიან და დაგპირდნენ, მაშინ მეც განცხადებას შევიტან – თუ არა, მაშინ რაზედ შევირცხვინო თავი – მაშასადამე, თუ პირობა მოგცეს, ერთი ბლანკიც გამოართვი განცხადებისა, რათგან სხვანაირი განცხადება აქვთ, „ბლანკები“, სადაც სხვადასხვა კითხვებია და იმას პასუხი უნდა – ეგრე, ჩემო ვანო, ეგ სიკეთე მიყავი. ველი შენს პასუხს.

შენი ძმა ვანო ჯორჯაძე
3 იანვ., 1895

ჩემი ადრესი: Сигнахъ Такому-то Бакурцихскому Приставу.

კონსტანტინე ტატიშვილი

თქვენო მაღალ კეთილშობილებავ ივან გიორგიჩ.

თქვენ დითხანს სიცოცხლეს თქვენის ცოლშვილით ყოვლად შემძლებელ ღმერთსა ვთხოვ. ვიცი, რო მეც მიკითხამთ, მე კარგათ გახლავართ. ვანო, მე რომ გთხოვე ჩემი ქალის თაობაზედ, დამპირდით კიდეც შემწეობას. ცხინვალში მარშალი ვნახე, თოთხმეტს იქ ვიყავ, ვთხოვე იმასაც და მითხრა, რო გორიდგან თხოვნას გავგზავნი, რო გაპატიონ სწავლის ფულიო. ცოტა მცდელობა უნდა ზავედენიაში. ეს არის ჩემი სათხოვარი. მუხრანსკიც დამპირდა, ეგება, მამიხერხოთ თქვენ და ალექსანდრემ. კრუპენიკოვი ჩემი ამხანაგი იყო. თუ რამე შეეხება, პატივსა მცემს. თქვენი ჭირიმეთ, მიშველეთ რამ და დამავალეთ საუკუნოთ. კნეინას პატივისცემით მოვიკითხამ.

თქვენი პატივის მცემელი მორჩილი და მეგობარი

კოტე ტატიშვილი
1895 წელსა 15 თებერვალს.

ივანე თაქთაქიშვილი

15. 02. 95.

ძმაო ვანო!

მოგიკითხამ სიყვარულით და ვისურვებ შენთვის ყოველს კეთილს.

ახლა ჩემი საქმის რაღა მოგწერო, აგერ თებერვალიც გადის და დამფასებელი კიდევ არ მოვიდა.

ამის წინათ რომ ვიყავი, გიგო ციციშვილს გადასცეს ჩემი საქმე და, შენის სულის ჭირიმე, უთხარი, რომ დროზედ ამოვიდეს, თორემ ველარ მოვასწრეფ ფულის მიღებას პუბლიკაციამდინ.

იმედი მაქვს, ჩემ თხოვნას შეასრულებთ და საქმეს დააჩქარებინებთ.

თქვენი ერთგული მეგობარი
ვანო თაქთაქიშვილი

გიორგი თარხნიშვილი

1

17-ს თებერვალს, 95 წ.

ძმაო ვანო! ამ ხელმოსაწერი ფურცლით მოგმართავთ შენ და შენს ნაცნობ ქართველობას, რომელთაც ბევრჯელ შეუწირავთ კეთილის საქმისთვის შეძლებისდაგვარათ. – იცი, რომ აქ, ჯავახეთში ბევრი გათათრებული ქართველობა არის, რომელთაც გაეხსნათ გრძნობა და სურვილი სწავლისა. – მათ შორის არის სოფ. ხერთვისი, სადაც განვითარე-

ბულმა ქართველებმა თითონ მომმართა მე თხოვნით, რომ მივიღო რამე საშუალება იმათის სწავლის გაუმჯობესებისათვის. – ესეც იცი, რომ სწავლას ჯერ სახლი უნდა; თითონ, რაც კი შეიძლება და მოეთხოვება იმათ დიდ სიღარიბეს, არას ზოგავენ ამ საქმისათვის – პაპეჩიტელს იანოვსკისაც ამავე საქმისათვის გამოვსთხოვე ასი თუმანი, რომელმაც, ღმერთმა უშველოს, უარი არ მითხრა და გამოგზავნა, მაგრამ ეს სულ ცოტა არის; აქაურებს, ვისაც კი რამე აბადია, წავართმევ ზოგს ძალით, ზოგს ნებით და რადგანაც აქაურ ქართველობას და მხარეს მანდაურები საზოგადოთ ცოტას იცნობენ, არას შემწეობასაც არ აძლევენ, და ამასთანავე ესენი შეადგენენ ძველს საფუძველს საქართველოისას, – მე გთხოვ, მიიღო მონაწილეობა და რასაც კი მოაგროვებ, მიღებული იქნება ხერთვისელებისაგან დიდის მადლობით – და ჩემის მხრით, ხომ სახსოვარს დაგიდგამთ ყველა ქართველებს შიგ ხერთვისში – როდესაც თითონ ხალხი თხოულობს, ამოვიხსნათ უმეცრობისაგან და მეტადრე ის ხალხი, რომელიც სიღარიბით ამ მხარეში გათქმულია და თანაც მოშორებულია მდებიარობით ამათზედ წინ წასულს ხალხზედ.

ერთი ამისთანა ფურცელი გაუგზავნე დღეს ბაბალე ბარათოვისას, მეორე – ილია ჭავჭავაძეს, რომელნიც, ჩემის აზრით, ცოტასაც არის, თავისის შრომით მოგვაწოდებს რასმეს. – საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ხერთვისში უნდა ავაშენოთ სასწავლებლის სახლი, რომელიც სულ არა აქვთ; რაც ჰქონდათ, ისიც სულ დაინგრა. – ხალხი თვითონ მეტათ ღარიბ და ღატაკი, მაგრამ ჩინებული პატიოსნებით, ზნეობით და მსურველი სწავლისა.

ტასო, ბაბო, შენი შვილები დამიკოცნე.

შენი ერთგული გიგო თარხან-მოურავი

2

26-ს აგვისტოს, 96 წ.

ძმაო ვანო! შენი დაბრუნება პეტერბურღიდან კი შევიტყე, მაგრამ რითი გათავდა ის საქმე, რის გამოითაც წახვედი? – გაზეთებიდან ვიცით, რომ მინისტრების ხმა გაყოფილია (თუ მართალია), და ახლა რაზედ დადგნენ? მე კი ვფიქრობ, რომ ორთავე კრების გადაწყვეტილება მოიშლება. თუ არ დაიზარებ, შემატყობინე მოკლეთ, რა დასასრული იქნება, ანუ არის.

შენი ცოლ-შვილი მომიკითხე.

შენი ძმა გიგო თარხან-მოურავი

თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი

1

Его Сіятельству Князю Ивану Георгіевичу Мачабели.

Милостивый Государь Князь Иванъ Георгіевичъ!

Комиссія, избранная общимъ собраніемъ членовъ Тифлисскаго дворянского Земельного Банка для заведыванія деломъ леченія виноградниковъ отъ мильдью и ондиума, въ засѣданіи своемъ 23-го прошлаго іюня постановила просить Васъ принять участіе въ занятияхъ комиссіи,

съ исполненіемъ обязанностей секретаря ея. Если Вы съ своей стороны изъявите на это согласіе, то, по порученію комиссіи, имѣю честь просить Васъ пожаловать сегодня, 7-го іюля, въ 8 часовъ вечера на засѣданіе ея.

Прошу принять увереніе въ совершенномъ моемъ почтеніи и преданности.

За секретаря комиссіи В. Черкезов
7-го іюля 1893 г.

2

Справка

Справка сія выдана Чл. Пр. Т. Д. З. Б. Кн. И. Г. Мачабели, согласно поданнаго имъ означенному Правленію заявленія, въ томъ, что по проверкѣ приложенных къ сказанному заявленію двухъ списковъ дѣлъ банка: одного дѣламъ съ актами собственной его, Кн. М. оцѣнки имѣній за время бытности его членом одѣл. к-сіи сего Банка, т. е. съ 15 Іюня 1881 г. по 10-е Мая 1883 г. и другого дѣламъ съ такими актами осмотра и оцѣнки именій, по коимъ онъ Кн. М. принималъ участие въ заключенияхъ оцѣн. к-сіи за тоже время, – оказалось во 1-х, что по перечисленнымъ въ первомъ спискѣ Кн. М. 61-му дѣлу акты составлены действительно имъ, князем М., но изъ числа этихъ 61 дела 50 делъ оказались прекращенными, за погашеніемъ ссуды или по другимъ причинамъ, и, во 2-х, что въ заключеніяхъ оц. к-сии по актамъ оценки, имѣющимся въ перечисленных во второмъ списке его же Кн. М. 103 дѣлахъ онъ, Кн. М. действительно принималъ участіе, при чемъ изъ числа сказанныхъ 103 дѣлъ 63 дѣла оказались прекращенными за погашенім ссуды или по другимъ причинамъ.

Верно: сѣкретарь Кн. Джорджадзе

Настоящая справка выдана Правлениемъ Т. Д. З. Б. члену этого-же Правления Кн. Ив. Г. М.

7 Сентября 1893 г. г. Тифлисъ.

Предсѣдатель Кн. Чавчавадзе
Чл. правления Кн. Мих. Грузинский

3

№1823.
Его Сіятельству Кн. И. Г. Мачабели.

Предсѣдатель Наблюдательнаго Комитета Тифлисскаго Дворянскаго Земельнаго Банка приглашаетъ Васъ Въ заседаніе Комитета, имѣющее быть 6 Января Въ 8 часовъ вечера, въ помѣщеніи Банка

Предметы занятій:

1. Предложеніе Предсѣдателя Кн. П. А. Грузинскаго о способѣ въ порядкѣ и времени скрѣпы подписями протоколовъ лицами, принимавшими участіе въ засѣданіяхъ въ связи съ припискою Кн. И. Г. Мачабели на протоколъ 6 апрѣля 1894 г.
2. Прошенія о разсрочкахъ срочныхъ платежей.
3. Разсмотреніе проэкта преобразованій общихъ собраній.

Делопроизводитель
[1894 წელი]

4

Наблюдательный комитетъ Тифлисскаго дворянскаго земельнаго Банка.
№82. 13 Марта 1895 г. Тифлисъ.

Его Сіятельству Кн. Ивану Георгіевичу Мачабели.

Наблюдательный Комитетъ, въ засѣдании своемъ отъ 10 сего Марта, разсмотрѣвъ заявленіе Ваше о выдачѣ Вамъ копіи съ протоколовъ заседаній Соединенного присутствія Наблюдательного Комитета и Правленія Банка отъ 2, 6 и 20 января сего 1895 г., постановилъ: таковыя выдать Вамъ по учиненіи Вами на этихъ протоколахъ подписей, такъ какъ, Вы принимали участіе въ тѣхъ засѣданіяхъ Соединеннаго присутствія.

О вышеизложенномъ Наблюдательный Комитетъ имѣетъ честь сообщить Вашему Сіятельству.

Предсѣдатель: Кн. П. Грузинский
Членъ Комитета: Кн. Гурамов

5

Наблюдательный Комитетъ Тбилисскаго земельнаго Банка.
№141. 12 Мая 1895 г. Тифлисъ.

Его Сіятельству Кн. Ивану Георгіевичу Мачабели.

Наблюдательный Комитетъ Тифлисскаго Дворянскаго Земельнаго банка, согласно постановленію своему отъ 7-го мая сего 1895 года, покорнѣйше просить Ваше Сиятельство представить Комитету нѣсколько экземпляровъ докладной записки, поданной Вами Ревизующему дѣла названнаго банка Г-ну Добецкому.

Председатель: Кн. П. Грузинский
Членъ Комитета А. Чолокаев

6

Тифлисскій Дворянскій земельный Банкъ. №3379.
24 Июня 1896 г.

Его Сіятельству Кн. Ивану Георгіевичу Мачабели.

Правленіе банка покорнѣйше проситъ о возвратѣ имѣющегося у Васъ ключа отъ кассы банка.

Председатель
Членъ Правленія Кн. Мих. Грузинскій
Секретарь Я. Ма...

ანდრია ერისთავი

საყვარელო ძმაო ვანო!

გთხოვ, დამავალო და მაცნობო, ვინ არის ამორჩეული წევრებად ახალ დაფუძნებულ სამეურნო ბანკში, აგრეთვე, თუ შეიძლება, ერთი ეგზემპლიარი უსტავი გამომიგზავნო ახალსენაკს.

შენი ერთული ძმა ანდრია ერისთავი
18 მარტს, 1895 წელს

კოტე ყიფიანი

1

Христосъ Воскресе!

Дорогой Вано!

Поздравляю тебя съ Великимъ нашимъ праздникомъ и желаю тебѣ, съ семействомъ твоимъ всего лучшаго на семъ бренномъ мірѣ.

Подходитъ время банковскихъ выборовъ, я думаю баллотироваться в оцѣнщики и вполнѣ надеюсь, что ты съ твоими друзьями поддержишь мою кандидатуру. Поэтому ввѣряю въ твои руки мою баллотировочную судьбу.

Будь столь любезенъ, поручи кому нибудь выслать мнѣ по почте (на мой счетъ) бланокъ довѣренностей штукъ 20 или болѣе, чтобы успѣть во время ихъ представить въ банкъ.

Въ нашемъ лѣсу мы заготовляемъ дрова для продажи. Нельзя ли наши дрова пріобрѣсти банку? Отъ кого это зависитъ, сообщи мнѣ.

Нельзя ли какъ нибудь усроить намъ, получить отдѣльную ложу на общемъ собрании.

Остаюсь всегда твоимъ Коте Кипіани

P. S. Поклонъ твоей супруге и ея сестрѣ отъ насъ.

16 Апреля 1895, Сел. Квишхети
Адресъ: Варварино

2

Дорогой Вано!

Считаю своимъ долгомъ выразить свое извиненіе предъ тобой и твоимъ семействомъ за вчерашнее недоразумение по поводу губернаторской ложи. На груз. спектакли никогда не присылалъ губернаторъ ни институтокъ и ни другихъ воспитанницъ, но вчера къ общему нашему удивленію онъ воспользовался своимъ правомъ.

Такъ какъ это недоразумѣніе произошло исключительно по моей не распорядительности; но никакъ не по чьей другой – то я могъ бы расчитывать, что ты и семейство твое снисходительно отнеслись бы ко мнѣ. Еще разъ извиняюсь за совершенно не вольное недоразумѣніе, опять таки вызванное изъ за желанія предоставить Вамъ литерную ложу, семейством твоимъ – очень желанную.

Остаюсь глубоко тебя любящій и уважающій Коте Кипіани
1895 г. Декабря 28 дня. Гор. Тифлись

მიხეილ ჯორჯაძე

ძმაო ვანო,

დიდი მადლობელი ვარ, რომ სხვებსავით არ დამივიწყე ამ მწუხარე მდგომარეობაში. დედის დაკარგვამ დიდათ დამჩაგრა, რადგან ძრიელ მიყვარდა და პატივსვცემდი მას. მართლა რომ, იმან გამიწია დედობა: როგორც შეეფერებოდა ქართველ დედას, ისე მივლიდა და ზრუნავდა ჩემთვის და ჩემის სახლობისათვის. მე კი, უბედურმა ვერ დავმარხე, რადგან წასვლა გამიჭირდა აქედამ სამსახურის და მატერიალურ ცუდ მდგომარეობის გამო. რომ ყველა მოგწერო, შორს წავა და როცა გნახამ, მაშინ გიანბობ დაწვრილებით. ახლა კი გეტყვი, რომ მე ათი წელიწადია, რაც ვარ მაზრის უფროსის თანაშემწედ და მაზრა არ მაღირსეს. მიზეზი, მგონი, ის არის, რომ, ვარ ქართველი, თორემ ჩემსავით არავინ არ ემსახურება. ახლაც გაიხსნა ლენქარანის მაზრის უფროსის ალაგი და ამბობენ, აქეთ გადმოჰყავთ ჯევათის მაზრის უფროსი სილიჩი და მის ალაგას ასახელებენ ბაქოს პოლიცმეისტრის პომოშნიკს – ჩერქასოვს, რომელიც არის ძლიერ მოხუცებული და მარცხენა ხელს ვერა ხმარობს დაჭრილობისაგან. მასთან კანტანისტია და მწერლიდამ ამძვრალი კაცი. ქართველი არ გეგონოს – რუსია. გარდა ამისა, ასახელებენ ბაქოს მაზრის უფროსის თანაშემწეს ივანოვს, რომელიც რამთენჯერმე იყო სამსახურიდან დათხოვნილი და ძრიელ ჩერჩეტია, მხოლოდ უნივერსიტეტი აქვს გათავებული. მესამეს მე მასახელებენ და არ ვიცი, როგორ იქნება საქმე. ამისათვის გთხოვ, შეხვიდე მთავარ მართებლის კანცელიარიაში და იქ მოსამსახურე საქმის მართველს (дѣлопроизводитель) თა-დ თუმანოვს ჰკითხო, ვინ სად არის წარდგენილი და ყოველივე დაწვრილებით შემატყობინო. შენც შენის მხრით აქეთ იქით ეცადე ჩემი დანიშვნა. სთხოვე თვითონ თუმანოვს, რომელსაც შეუძლია ხრიკები მოუდოს, თუ სხვა წარმოადგინეს ვინმე. მართალია, ყოველ წარდგენას სეკრეტათ იქონიებენ, მაგრამ შენ თუმანოვი, რომ არ იცნობდე კიდეც, არ დაგიმალამს, რადგან ჩვენს მეტს არავის არ ეცოდინება. სხვა რა მოგწერო? ჩემი სახლობა ამ ჟამად თბილისშია. ქთხოვ, შენს მეუღლეს ჩემს მაგიერათ უმდაბლესი პატივისცემა გარდასცე. შვილები დამიკოცნე.

მოგეხვევა შენი ძმა-მეგობარი მ. ჯორჯაძე
20 აპრილი 1895 წ. ქ. ლენქარანით.

მიხეილ (მიშო) მაჩაბელი

1-ლი მაისი, 95 წ.

ძმაო ვანო!

შენმა ძმამ, ვასომ ძალიან შემაშინა და ამაღელვა: ეხლა გავიგეო, რო დობეცკიო და ჭავჭავაძე კახეთში წავიდნენო და იქიდან ჩამოვა თუ არაო, რუსეთში წავაო და ვანო თავის მოხსენებას ვერ ჩააბარებსო. წარმოიდგინე, როგორი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ჩემზე ამ ლაპარაკს. მე ამ წერილს გიგოსთანა ვწერ. წუხელ მოვედი ახალქალაქში და გიგოსთან ჩამოვხტი. დღეს დუხაბორის სოფლებში მივდივარ. ჯერ არ ვიცი, როდის დავახწევ აქედან თავს. შენი ჭირიმე, შემატყობინე ტელეგრამით, როდისაც ჩააბარებ შენ

მოხსენებას. ორი სიტყვა მომწერე ან მე ან გიგოს; „Докладъ сданъ?“. გიგო ამ ტელეგრამას დუხაბორიაში გამომიგზავნის. არ დაივიწყო ტელეგრამის გამოგზავნა. თუ წერილსაც გამომიგზავნი და შემატყობინებ, რა ქნეს კოლა ორბელიანმა და ლადომ კომისიაში დიდი მადლობელი ვიქნები. შენ წერილს ჩემთვინ დიდი მნიშვნელობა ექნება. უკან რო დავბრუნდები, გზა-გზა გამოვიყენეფ. სხვა რა მოგწერო. მე მშვიდობით მოვედი. ხვალ საქმეს შეუდგები. გიგო ერთობ ყველას მოკითხვას გითვლით. ჩემ მაგიერათაც პატივისცემით მომიკითხე კნეინა ტასო, საერთოთ ოპოზიციის ქალები და მეომარნი ვაჟკაცნი. ყმაწვილებო! ტობეცკი ხელიდან არ წაგივიდეთ!... მშვიდობით. ჩვენებსაც შეატყობინე, რო კარგათა ვარ. წერილები გიგოს სახელობაზე მოიწერეთ და ის გამომიგზავნის.

შენი მ. მაჩაბელი

სიმონ გუმბაძე

მოწყალეო ხელმწიფევ ბატ. ივანე!

უმორჩილესად გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფევ, მიაქციოთ ყურადღება ქვემომოყვანილ ჩემს განძრახულებას და ეჭვი არ არის – თუმც სცნობთ სასარგებლოდ – აღმოგვიჩენთ მომხრეობას, როგორც თქვენი მხრით, ისე სხვისგნით. სწორედ წელიწადნახევარი შესრულდა მას აქეთ, რა რომ ჩემმა მიზანმა გამამაძევა სამშობლოდგან აქ, იმ ფიქრით, რომ შევსულიყავ რომელიმე იმ სასწავლებელთაგანში, რომელშიდაც ინგლისურ-ფრანგულს ასწავლიან განვითარებულად. ინგლისურ-ფრანგული და უმეტეს ნაწილად ინგლისური მინდოდა შემესწავლა ისე, როგორც ამ ენის მცოდნე მწერალს (თუ არ ვსცდები, ჩემი აზრით). მაგრამ ჩემს მიზანს ვერა ვსწვდები შეუძლებლობლის გამო და არც არავინა გვყავს მისთანა ნაცნობნი პირნი, რომ თანაუგრძნონ და შემწეობა აღმოგვიჩინონ. გადის ამნაირად დრო, და ჩემი მიზანიც მოუსვენარ მდგომარეობაში მაგდებს თანდათან. ამნაირმა მდგომარეობამ გამაბედვინა მოქცევა თქვენდამი, როგორც სამშობლოს პირველ ხარისხოვან მოღვაწესთან, მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო ივანე და, იმედია, აღმოგვიჩენთ შემწეობას თუ თქვენი მხრით არა, – ვინმე სხვა შეძლებულ და თანამგრძნობელ პირებიდგან მაინც და გამომიყვანთ სასარგებლო ასპარეზზედ. ამნაირი სასწავლებლები, სადაც ჩემი აზრების დაკმაყოფილება შეიძლება, ბევრია – როგორც შვეიცარიაში, ისე სხვაგან – როგორც მოგეხსენებათ და, სადაც სწავლა პანსიონით (შვეიცარიაში) 300 მანეთამდის ეღირება წელიწადში. უმორჩილესად გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფევ, აღმოგვიჩინოთ თქვენი თანაგრძნობა და მომიხერხოთ რამ თქვენგნით ნაცნობ პირებთან, რომელნიც თქვენს თხოვნას უარს არა ჰყოფენ და თუ სამუდამოდ არა, იმდენ შემწეობას მაინც მომცემენ, რომ აქედგან (კონსტანტინეპოლიდგან) გავიდო სამზღვარგარეთ და იქ კი – ღმერთია მოწყალე – იქნებ მალე არ მომეხუთოს სული, რისაც მე არ ვარ – და არ ვიქნები – მარტო მაგალითი. გთხოვთ, გვაღირსოთ პასუხი და თქვენ შემწეობაზე ჰკიდია ჩემი აქიდგან ადრე და მალე გამოხსნა. ჩემს შესახებ, თუ ინებებთ, ქ-ნი ნიკოლაძისა (ბოგ. გელიოდ), რომელიც ამ ათი წლის წინად კონსტანტინეპოლში ბრძანდებოდა – იგინი მოგახსენებენ.

დავშთები თქვენი მოსამსახურე და მომლოდინე თქვენით სასიხარულო პასუხისა, მოწყალეო ხელმწიფევ.

სიმონ გუმბაძე

ადრესი: Константинополъ Александру Ивановичу Гараканидзе (До востребованія). გადასაცემად სიმონ გ-ძეზე (ქართულად). (ამ ადრესით შეიძლება ყოველნაირი წერილების გამოგზავნა).

1895 წ. მაისის 1 დღესა, ქ. კონსტანტინოპოლი

მოგმართავთ, როგორც თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, ისე ბბ. აკაკის, გ. წერეთელს, ნ. ნიკოლაძეს და ქ. გაბაშვილისას.

დავით კეზელი

1

19 მაისს, 95 წ.

ძმაო ვანო!

მოულოდნელმა შემთხვევამ ქალაქიდან გამომიტაცა. ძალიან ვსწუხარ და გთხოვთ ყველას, ეს ჩემი საქციელი ღალატში არ ჩამომართოთ. Давидъ Кэзели на измѣну не способенъ! მერწმუნე, ვანო, ჩემს დღეში პირადი ანგარიში არ მქონია ჩემის მოქმედების სახელმძღვანელოდ და არც როდისმე მექნება. ჩვენმა საქმემ მე ზნეობით ამამღლა და ამაფრთოვანა. ჯერ თვალი გადაავლე, რა ბიჭები არიან ჩვენ დროშას შეფარებულნი და რა უმსგავსოთა ხროვაა იმათკენ. ნიჭი, ცოდნა, პატიოსნება, ვაჟ-კაცური გაბედულობა ჩვენკენ არის და მტკნარი უნიჭობა, უვიცობა, უსინიდისობა და ნაცარქექიული ფახიფუხი გალაღებული დედაბრისა მათკენ. დეე, დროებით სიბნელემ გაიმარჯვოს, ხომ ოდესმე ნათელი მოეფინება ქვეყანას. მე ძალიან გულ ნატკენათა ვარ შენ ცოლისძმა გიგაზედ და ნიკო დიასამიძეზედ. იმიტომ კი არა, რომ წრეულ ეგენი არ მოვიდენ, – მაგათ ფრთები ჩამოყარეს და სასოწარკვეთილებას მიეცნენ. რა უსამართლობაა, რომ ღმერთ ბაბო არ დაუბადნია კაცად, – უკაცრავად (ლადოს „виноватъ“!), მამა-კაცად. მართლა, თუ გინდა ჩვენ ქალებს გადავხედოთ: უმანკოება, სულის და სხეულის სიმშვენიერე ჩვენკენ და იმათკენ отвратительный, вонючій манеризмъ. ლაჩარი და ქალაჩუნა უნდა იყოს ის კაცი, ვინც, კოტე ტატიშვილისა არ იყოს, ამ მშვენიერ საზოგადოებაში სასოწარკვეთილებას მიეცემა. ჩვენი საკამათო რომ მარტო ბანკი იყოს, მე არც კი გავერეოდი, მაგრამ აქ საქმე იმაზეა მიმდგარი, თუ სამშობლოს დროშაზედ გულწრფელობა, უანგაროობა, იდეიასთვის თავგანწირულობა უნდა იყოს დაწერილი, თუ მტკნარი უტვინობა და ზნეობით გახრწნილობა (პანამა)? ესე მესმის ჩვენი ბრძოლის დაფარული აზრი და ამისთვის თავზედაც ხელი ამიღია. ვინც ამ საქმეს უღალატოს, დედა შეერთოს ცოლადა! ხოლოდ ერთი ლავაშის ოდენა გაზეთი და მაშინ ნახავენ ყველანი, ამ მძორს რა მალე გადმოვუგდებთ კისრულზედ. ყველა ჩვენებს მეგობრულად მივესალმები.

დავით კეზელი

P. S. გიგზავნი ერთ ლექსს, რომელსაც დღეს შემთხვევით წავაწყდი ჩემი სტოლის უჯრაში. ეს არის პასუხი „ივერიის“ საახალწლოსი, სადაც ჩემზედ იყო ნათქვამი: „დავშვითო მოყვასის გმირი მოხრილი ფარითა, გატეხილი ხმალითა... ვინ დავით სოსლანი და ვინ

კეზელი დავითი“ და სხვანი. მაშინ ეს ლექსი ფოშტით გაუგზავნე ჭავჭავაძეს და მივწერე, თუ ვაჟ-კაცი ხარ, ესეც დაბეჭდე მეთქი.

შენი დავით კეზელი

2

27 მაისს – 95 წ.

ძმაო ვანო!

ჩემ წერილს მიიღებდი, მაგრამ ეს კი მეწყინა, რომ აქამდენ არაფერი არ მომწერეთ. „Тиф. Листокъ“-ის ამ თვის 19-ის ნომერში წავიკითხე ხაჩატუროვის დაჯღაბნული, ღმერთო შეგცოდე, მოწინავე და გული ბოლმით ამევსო. მან რომ ვყოფილიყავი, მაინცა ვცემდი მათრახით, რომ, თუნდა იქვე სატიკჭორე თხასავით ჩამოვეკიდეთ. ჯერ მოვიცალო და მაინც შავ დღეს დავაყენგებ. მიკვირს, რატომ კოლამ მაინც თავისებურად აქამდენ ყურები არ აახია მაგ მყრალ სომეხს. ესწრაფები, ჩქარა ჩამოვიდე, რომ დაწვრილებით შევიტყო, რა მოხდა ჩემს შემდეგ ბანკში. ამის შემდეგ „Листокъ“-თან ყველაფერი კავშირი შეწყვეტილი მაქვს. უამხანაგობა და დამაკავშირებელი წრის უქონლობა ამას უზამს კაცს, რაც მე გადამხდა: ხავსს მოვეჭიდე და რვა წელიწადი ამ სამარცხვინო და თავზედ ლაფჩამოსხმულ კაცს ვედექი გვერდში. ვინ უნდა მაპატიოს მე ეს? Но все понимать, значитъ все прощать! (М-მე Сталь). თუ შენ არა გცალიან, ჩვენს სტატს-სეკრეტარს გიგოს მიანდეთ, მომწეროს. სუყველა ჩვენებს მეგობრულად მოვიკითხავ.

შენი ერთგული დავით კეზელი

P. S. მაინც მიშომ, ჩემი ფიქრით, ამისთანა პოია სომხის გაბედული რახა-რუხი უყურადღებოთ არ უნდა დასტოვოს და უფროსი ხაჩატურა, როგორც რედაქტორი, უნდა გამოითხოვოს за систематически не добросовѣстное и злостно клеветническое извращеніе фактовъ.

3

6 დეკემბერს – 95 წ.

ძვირფასო ძმაო ვანო!

მე და ნათიშვილებს ფული გვაქვს შემოსატანი ბანკში. წლიურ გადასახადში მე შემხვდება 22 მ. და რაღამდენიც კაპ. მე მაგათ ვაძლევ და ერთად შემოაქვთ. მე ტორგისთვის ვერ ჩამოვალ და შენ გეთაყვანე, ყური უგდე, არ დავიღუპო...

მგონია, მინამ დეპეშა არ მომივა, რომ გაზეთის ნება-რთვა მოგვივიდაო, მინამ ვერ ჩამოვალ. მრავალი მოკითხვა „ჩვენებს“.

შენი უერთგულესი დავით კეზელი

4

10 თებერვალს – 96 წ.

ძმაო ვანო!

აი, გიგზავნით პირველს ნაწილს ჯიბრიელის ბიოგრაფიისას. როგორც ჰხედავთ, ეს მე ლექციათ წავიკითხე კისერას ბაკში, აუდიტორიას კამეჩობა შეადგენდა. ეცადეთ, „კვალ-



დავით კეზელი ცოლ-შვილთან
1890-იანი წლები

ში“ დაიბეჭდოს. აქ ერთი უმართებულო სიტყვა არ მოიპოება. ლანძღვა-თრევა ფაქტებით არის გამოხატული და ფაქტები კი სულ მართალია. ჩემებური გესლიანობით ვერ არის დაწერილი, ამიტომ რომ тѣма Корганова наводитъ на меня тоску. სწორე გითხრა, ამ საქმეში ყველას გულს გამდურებთ. კაცმა რაზბონიკულად მამული წამართო, დღეს თუ ხვალ საციმბიროთ თავი უნდა გავიხადო და არც ერთმა თქვენგანმა ერთი რიხიანად ვერ შესძახა იმ მამაძაღლს (მეტი კი არაფერი უნდოდა), რომ კაცს არ გაგაცარცვინებთ და ჩვენ თითონ საქვეყნოთ გავხდით ამ ამბავს. ეჰ, ყველაფერია ჩვენში და გული არ არის, შემატკივარი გული! როცა მე მაგას ჩავაძაღლებ, მაშინ უფრო ზურგს შემომაქცევთ და დაიძახებთ: ეს რა ჩაიდინა იმ მხეცმა?..

მოკითხვა ყველასთან.

შენი კეთილის მოსურნე
დავით კეზელი

5

26 მარტს – 96 წ.

ძმაო ვანო, ქრისტე აღსდგა!

გულით და სულით ვისურვებ, ბედნიერად დაესწრო შენის კარგი ცოლშვილით მრავალ აღდგომას. მგონია, ზეპირად იტყვი ამ ჩემი წერილის შინაარს, ამიტომ რომ იცი, რაც მაწუხებს. კორღანოვს შემოუთვლია ჩემთვის, ტყე და სახნავი მთელ ნაჭრებათ აიღეო. მთელ ნაჭრად სახნავი აქ მხოლოდ ერთია, რომელსაც პლანზედ „ზაალიანთკარი“ ქვიან. ეს მამული ოსებს უჭირავთ და ამათგან ერთი ხათაბალა გამიხდება, მაგრამ, ოღონდ საქმე გამითავოს და თანახმა ვარ. არც ვენახში მინდა წილი, სამაგიერო მამული მომცეს. კოლა ხომ იცი, უხასიათო კაცია, თავის საქმესაც არ უვლის და ჩემსას როგორ მოუვლის,

– ამიტომ მთელი იმედი შენზედ დამიყრია. თუ ამ ორიოდ დღეში არ გაუთავე, მერე ბანკიაობა დაიწყობა და შენც ველარ მოიცლი. თუ ჩემი მეგობრობა გწამს, ერთ დღეს ჩემთვის მოიცალე და საქმეც გამითავე.

როდის იწყობა ბანკიაობა? რამდენიმე ბლანკი გამომიგზავნე, რომ რწმუნების წერილები ჩამოვიტანო.

შენი დავით კეზელი

6

12 ივნისს – 96 წ.

ძმაო ვანო!

მე ერთი ის უსინდისობა ჩავიდინე, რომ აქამდენ არ ვატყობინებდი ჩემ ცოლს, რა პირობით უთავებდი ყორღანოვს საქმეს. ეხლა, როდესაც ნათიშვილი აქ იყო, ყველაფერი გაიგო და ისეთი საბუთები წარმომიდგინა ჩემი გულკეთილობითის სისულელისა, რომ ამის წინააღმდეგ წასვლა იქნება ცოლშვილზედ ხელის აღება. აიღე მაგათი წინადადება, გაარჩიე და დარწმუნდები, რომ მაგათ უნდათ ჩემი დახრჩობა და ამოწყვეტა. მაძლევენ ორ ნაჭერ ტყეს – 54 დეს. და მართმევენ 500 მანეთს – 400 მანეთს ნაღდათ და ათი თუმნის ვექსილს. ნათიშვილი ამას „ნეუსტოიკას“ არ ეძახის. შარშან ჩემი ანგარიშით ამდენი შემოსავალი უნდა მქონიყო, შენ შეშა არ ჩამომიტანეო და ორმოცი თუმანი უნდა მომცეო! თუნდა რომ პირობაც დამერღვიოს, ერგებოდა ოცდაათი და არა ორმოცი თუმანი. ნათიშვილის დედამაც ნახა, რომ საგდებელი კისერზედა მაქვს გადაგდებული, იმანაც შემთხვევითა ისარგებლა, ზოგიერთ ფულზედ უარი სთქვა და ჩემი ცოლის ათი თუმანი უნდა გააქვითოს.

შარშან მაგათი წილი მამული მქონდა აღებული იჯარით 360 მან. ძმობასა და ჩემ შვილებს გეფიცები, რომ შარშან ორ მაისამდენ ჩაბარებული მაქვს 333 მანეთი. ორი მაისიდამ თითონ ნათიშვილმა წაიღო ხუთი თუმანი: ორი თუმანი ერთხელ, ერთი თუმანი მეორედ და ორი თუმანიც მესამედ. სულ შესდგება 383 მ. ამ ათ თუმანს რაღაშია მთხოვს? ზურაბ ნათიშვილმა მომცა ისევ ის მამული ოცდათორმეტ თუმნათ და ამ ფულში უნდა 36 საჟ. შეშა მიმეტანა სტანციებში. ექვსი საჟენი მივუტანე, დანარჩენი დავაგვიანე შესაწყნარებელი მიზეზების გამო. მერე თითონვე გაწყრა – შეშა აღარ მინდაო და მეც თავი დავანებე.

ჩემგანა აქვს მიღებული ფულად 70 მ. და შეშისა 102 მ. იანვარში ხალხს გამოუცხადეს, რომ კეზელი მოიჯარადრე აღარ არისო და პირობა თითონ დაარღვიეს, ასე რომ, თუ მაგათა აქვსთ უფლება „ნეუსტოიკის“ გადახდევინებისა, ისე მე მაქვს. ექვსი თვე მამული ვიხმარე და მიმიცია 70 მ. ფულად, 102 მ. აიღო ჩემი ჩატანილი შეშისა, 23 მ. დედის იჯარას გადამიყვა (ეს ბანკში შესატანი იყო ჩემ წილად), 400 მანეთს ფულადა მთხოვენ და 100 მ. ვესილს. მაშასადამე, ექვსი თვის სარგებლობაში 160 მ. მაგიერ (წელიწადში 320 მან. მქონდა იჯარით), მახდევინებენ: 695 მანეთს! კაცმა ღმერთს არ უნდა შეხედოს? ეს კიდევ არაფერი. ჩემი თუ თავიანთი მდგომარეობით სარგებლობენ და სახნავი მამულებიდანაც ცარიელზედა მსომენ. მაღებინებენ ვენახზედ ხელს, ტბის სანაპიროზედ, მზვარეზედ, ჭალაზედ, რაც კი საჭიროა აქაური მცხოვრებელისთვის, მაძლევენ ერთ მივარდნილ კუნჭულში ხრიოკებს, ჩემს კარმიდამოზედ მაძლევენ ერთ ნაჭერს და მეორეს (1660 კვ. საჟ.) კი არ მაძლევენ. რატომ, იმიტომ რომ ჩემ ვენახს ზედ აკრავს და შეუმატებსო. გარ-

და ამისა, მე მაქვს სახნავი პრიკაზში დაგირავებული და ეგენი მაძლევენ დედის მამულებს, ბანკში დაგირავებულს. ჩემმა ცოლმა გონივრულად შენიშნა, რომ ეხლა პრიკაზისა ზოგი გვეპატივა და შემდეგშიაც შეღავათს უნდა მოველოდეთო. ამ მიზეზების გამო, მაგათი პირობები ჩემი ცოლშვილისთვის დასაღუპია და ვერ ვეთანხმები. ძმურად გთხოვ, ყორღანოვს ყველაფერი ეს აუხსნა და ეს უკანასკნელი ჩემი სურვილი გარდასცე: ტყე, სადაც უნდა ორმოცი დესეტინა, ის მომიჭრას 11 დესეტინად. თუნდა მზვარეში მომცეს ჯაგიანი, თუნდა კუნელაურში, თუნდა ყასიამაანთკარს. სახნავი მამულები შეფარდებით მომცეს ისინი, რომელიც ჩემია საერთო ნათიევთან. ვენახი თუ საკუთრათ უნდათ, სამადლო მამული მომცენ. თუ მაგისმა სიძემ ჩემგან რამე იზარალა, იმის გარდა, რაც მიუღია, ორმოც თუმნად შეუსრულებ, თუმცა ექვსი თვის მეტი არ მისარგებლია. სხვა დანარჩენ ხარჯს მე ვკისრულობ. ვანოჯან, ორშაფათამდენ ველი პასუხს, რომ ჩემ თავს მოუარო.

შენი დავით კეზელი

ეს ერთი ნაჭერი მიწა, რომელიც ჩემ კარებზეა მაგათი, თუნდა ვენახის სამადლოთ მომცენ, თუნდა სხვა მამულში გამიცვალონ.

7

ძმაო ვანო!

ღმერთმან ყოველ კეთილ საქმეში გამარჯვებულ გყოს, შეგარჩინოს ბოლომდის ის, შენთვის თავდადებული მეგობრები, რომლებიც ეხლა გარს გარტყია და ოცი ამდენიც სხვა მოგცეს. შემატყობინე, გეთაყვანე, ამ საათში ბანკი რა მდგომარეობაშია და როგორ უნდა იწარმოვოს, послѣ паденія министерства Криспи? (მამაუცხონდა, კრისპის თან კოჭი უსხლტის!). ჩემის აზრით, ყოჩაღათ ვერა ყოფილხართ, თორემ მაშინვე უნდა ამოგერჩიათ ჭავჭავაძის და გრუზინსკის მაგიერი და მთელი ზედამხედველი კომიტეტი. ეხლა შეეტყო, ვინც ბრძანებულა ის მამაცაშვილი, რომელმაც შენთან სამსახური ვითომ იუკადრისა! საცოდავი კაცი, ჯამბაზი ჭავჭავაძის პამპულა და მისი ყურმოჭრილი ყმა! მაინც და მაინც на лаврахъ почивать не слѣдуетъ и теперь же нужно представить министерству полную картину всѣхъ подлостей этой, теперь разсѣянной шайки „укрывателей“ и „маскирователей“. კარგი იქნებოდა, რომ კოლა და მუსხელოვი ეხლავე წავიდნენ პეტერბურღში. ამასთანავე კიდევ შემატყობინე ის, ვინ მაჭავარიანმა მიაყენა მიშოს შეურაცხყოფა, ან როგორ შეარჩინეთ?..

ეხლა, ვანო, ჩემ საქმესაც მიჰხედე. მიდი ყორღანოვთან და მოსთხოვე, მომცეს ჩემი წილი ტყე, საიდანაც მერგება, როგორც იცი, 51 დეს. და საჟნები. ამ რიცხვში 40 დეს. მომიჭრას 524/455 № დამ. მომცეს პატარა ჯაგიანი ჩემს ბანთ უკან, სულ 2 დეს. 1020 საჟ. №230/472 და დანარჩენი 7 დეს. მომიზომოს „მზვარიდამა“, სადაც ძეძვის მეტი არაფერია, მაგრამ ჩემი ღობისთვის ძეძვი საჭიროა. პირობა დაუწესე, შინაური ორ თვეზედ დამიმტკიცოს და თავისი 400 მან. მიიღოს. სახნავებთან მაინც მაგას ხელი არა აქვს და დარჩეს ჯერ გაუყოფელი. აბა, შენი ჭირიმე, რაღა გეხვეწო! ძმურად მოგიკითხავ შენის ცოლშვილით.

შენი ერთგული დავით კეზელი

[20 ივნისის შემდეგ, 1896 წელი]

8

17 ოქტომბერს – 96 წ.

ძმაო ვანო!

რასაკვირელია, ბარბარეს ქელეხში საქმეზედ ლაპარაკის დრო არ იყო და არც მოგელაპარაკე. მე ეხლა ორი საქმე მაწუხებს: ერთი საქვეყნო, მაჩაბლის საქმედ წოდებული, და მეორე ჩემი ყორღანოვთან. მთელ ქალაქში ხმა დაუგდიათ, რომ მაჩაბელი ყორღანოვს მიუდგა და კეზელი გაამტყუნაო და ამ ხმებმა უფრო ფთები შეასხა ამ ვაჟბატონსა. მამტყუნებ, მაგრამ უსამართლოთ, ამიტომ რომ ყორღანოვმა ხელში ჩამიგდო და მყვლეფავს. ვანო, ერთი სიკეთე უნდა დამდო: დაათანხმე ყორღანოვი, რომ ის ორმოცი თუმანი ერთ წელიწადს დამაცადოს და ვექსილს გამოუგზავნი, ხოლოდ ის თერთმეტი თუმანი, რომელიც ჩემი ჰმართებს, ნათიევის დედას გამოიბაროს. წინანდელ ხარჯს არაფერს ვიკისრებ და ეხლა რაც ჩემ სახელზედ ტყის გადმოსაღები ხარჯი დასჭირდება, ის კი სულ ჩემი იქნება. სახნავი მამულებიც გავიყოთ არა ისე, როგორ მაგათა ჰნებავთ, არამედ ყველგან მიღებული წესით, ე. ი. შეფარდებით. იმედი მაქვს, შენ თითონ მითავდებებ და დაარწმუნებ ყორღანოვს, რომ ოცდაათ თუმანს თავის დროზედ მიიღებს. ვანო, როგორმე უნდა დააბოლავო ეს საქმე, თორემ ჩემი ცოლ-შვილი სამუდამოთ დაიღუპება, ამიტომ რომ მე მაგას უთოფოთ ჩემ ნაწილ ტყეში არ შეუშვებ და ბოლო ცხადია: მე მაგას მოვკლავ და ციმბირში უნდა წავიდე...

თუ დაიყაბულებ, მომწერე და აქვე ნატარიუსს შევადგენინებ ოცდაათი თუმნის ვექსილს და გამოუგზავნი. მე ეხლავე მერჩივნა ფულის მიცემა, მაგრამ სახლები ავაშენე, ამ ზაფხულს კიდევ ერთი ორმოცი დღის სახნავი მამული ვიყიდე და ამიტომ ნაღდ ფულს ვერ მოვახერხებ. თუ საჭიროა, რწმუნების წერილს გამოგიგზავნი და შენ გაუთავე საქმე ამ პირობებით. შენი ჭირიმე, ვანო, თუ ძმობა და მეგობრობა გწამს, გულმხურვალეთ მოჰკიდე ხელი ამ საქმეს და მალე გაათავე, თორემ ძალიან ცუდი შედეგი მოჰყვება.

А все таки меня удивляетъ, что отказъ Корганова от торжественно даннаго имъ честного слова и его шейлоковскія требованія тебя не возмущаютъ.

Поклонъ Княжнѣ Тасо и всѣмъ твоимъ.

შენი ერთგული დავით კეზელი

დიმიტრი (მიტო) ფავლენიშვილი

1

23 Июня 95 г.

Дорогой другъ и братъ Вано!

Вина моя так велика предъ вами, моими лучшими друзьями, что я не стою того, чтобъ просить за себя прощеніе. Совесть моя мнѣ говоритъ, что я преступенъ, что можетъ быть постановлено лишь одно рѣшеніе: „виновенъ, не заслуживаетъ снисхожденія“. Преступникъ предъ вами, казните его. Боюсь нашего прокурора, вся надежда на тебя. Скажи грозному прокурору, что я занятъ весь день, скажи ему, что открываю магазинъ въ 8 часовъ утра, сижу тамъ и занимаюсь до 4, в 4

ухожу домой обедать, в 5 возвращаюсь обратно в магазинъ, гдѣ просиживаю и работаю до 9 час. (зимой до 10), прихожу домой въ 2 мин. 10-го и занимаюсь почти до 12 часов ночи, скажи ему, что у меня нѣт праздников, скажи ему... Скажи ему, что онъ аспидъ, если всего этого недостаточно, чтобы смягчить его, что у него не сердце въ груди, а бомба, бомба не чугунная (кажется, бомбы изъ чугуна делаютъ), а стальная. Да, брат Вано, это не шутки, а настоящая правда – я занятъ пока весь день, но на днях покончу со старыми счетами, вгоню дѣло в колею, останутся одни текущія дѣла, а на них потребуется у меня не особенно много времени и труда, хотя, конечно, я всеже цѣлый день должен буду сидеть в магазинѣ. Дѣло живое, оно мнѣ по душе, я доволен. Живу себѣ тихо, смирно. Было совершенно успокоился от тифлисских мерзостей, но паршивое „Новое Обозрѣніе“ опять вновь заставило ходуном заходить несчастное мое сердце. Мне пришлось прочитать несколько номеров (Давид в бытность свою в Москве получал их), где описывалось столкновение Мишо съ Кипиани, гдѣ поносили Илико. Читал я, братецъ, и чувствовал всю гадость, всю мерзость, всю пакость читаемого. Читал я и душа моя рвалось к вамъ, я бы былъ готов 10 лѣт жизни своей дать, чтобъ в это время быть съ вами, в ваших рядах. Жму крепко на крепко вам, друзья мои, руки, мужайтесь, не падайте духом – правда пробьет, брешь!

Фельетонов Илико я не читал и, если пришлешь их мнѣ, скажу великое спасибо.

Дѣла мои денежныя очень скверны. Къ всем моим долгам еще прибавилось 400 руб., израсходованных на переѣзды. Я получаю съ мая месяца жалованья 1900 руб., квартиру и отопленіе и освещеніе (ты должно быть уже знаешь, что в настоящее время я состою завѣдывающимъ). Из 1900 руб. в продолженіи года я обязался Давиду выплатить 400 руб., что я и делаю ежемесячными взносами. Жить здесь очень дорого и трудно, а въ особенности на первое время. Ума не приложу, что мне делать съ моими долгами, они не дают мнѣ покоя. Удѣлить из моего жалования, кроме 33 р., по крайней мере, въ настоящее время, у меня нѣт возможности.

2

23 Сентября 95 г.

Дорогой Вано!

Месяцъ тому со мною случилась бѣда, от которой не могъ опомниться долго. Дѣло въ том, что у меня взломавъ письменный стол въ магазинѣ, до котораго добрались опять таки послѣ взлома четырех замковъ, украли 936 руб.

Вот уже дней шесть как я совершенно расхворался и, как только прихожу из магазина домой, ложусь прямо въ постель, а потому пишу тебѣ теперь изъ магазина. Посылаю заявленіе въ коммерческій банк о томъ, что билетъ передал в полную твою собственность.

Что у Вас нового? Пришли, пожалуйста, „Кавказ“, где статья Хинели относительно празднованія думой столетія Крцанисскаго боя (отвѣтъ Хачатурову). За номера „Кавказ“ и „მწყემსი“ приношу великое спасибо – ими ты доставил мне большое удовольствіе. Илико велик, но еще болѣе велик Коля (извиняюсь предъ ним за фамилярность, но иначе теперь я его назвать не могу). Многое бы хотел тебѣ сказать по поводу этих номеров, но, во 1-х, нѣт времени, и во 2-х, меня всего ломаетъ.

Не знаю буду-ль я когда нибудь въ состояніи отплатить тебѣ за все то, что ты дѣлаешь для меня.

Целую руки у кн. Тасо и кн. Бабо. Разцелуй за меня твоих дѣток. Гило, который на днях был у меня на нѣсколько часов (проѣздом в Воронеж), в восторгѣ от них. Стыдно Мишо и Сандро, что не напишут мнѣ ни одного письма. Жму крѣпко рукі всѣм друзьям. Цѣлую их. Будь здоров.

Твой братъ и друг Мито

3

Москва, Марта 17 дня 1896 г.

Дорогой Вано!

Просматривая сегодня „Иверію“, я был поражен объявлением по поводу смерти дѣвочки кн. Нины Александровны. Прошу передать ей и кн. Бежану мое глубокое и искреннее сочувствие къ несчастію.

Вчера я выслал на твое имя Сосико Тарханову четыре довѣренности. Из ума теперь не выходит у меня, каковы будут результаты твоих выборов. Чуть-ли не десятилѣтняя борьба наша, дорогой мой, доказала нам, что общество наше, к сожаленію, на столько испорчено, на столько безнравственно и гадко, что ничего нѣт удивительного в том, что нынѣ у нас царит подкуп, что в скором будущем есть полная надежда на благоденствѣнное и мирное житье всяких лизоблюдовъ.

Все это гадко, но, в случае твоей неудачи, на что ты должен скорѣе всего разсчитывать, есть-ли у тебя что либо в виду? Вопрос этот сильно тревожит меня. Полагаю, ты не нуждаешься в моих увѣрениях, что все касающееся тебя близко и дорого моему сердцу, а потому было бы жестоко от времени до времени не подавать мнѣ вѣстей о происходящих у вас ныне.

О себѣ сказать мне нечего, ибо имѣете у себя Сосико, который, по всей вѣроятности, не оставит вас без вѣстей обо мне.

Присылаю новый вексель на имя Цатурова, % вышлю послѣ праздников за годъ, по наступленіи срока – выплачу сполна и капитал.

Цѣлую твоих деток и ручки у кн. Тасо и кн. Бабо. Нина часто вспоминает Нико. Крѣпко жму руки друзьям и тебѣ. Будь здоров. Поклон от жены всѣм вам.

Твой брат и друг Митo

Г-ну инспектору, принимая во вниманіе его нервы, молчанье прощаю, но лордъ Сандро – скотъ. Обними и поцелуй их за меня.

4

Ты пишешь о долгѣ Цатурову, но это не Цатуровъ, а господин Минасовъ, но только подъ соусом Цатурова. Что с ним делать, как быть? Нужно чтобъ он подождал. Впутал я тебя, голубчик мой, въ свои денежныя дела и это страшно мучает меня. Знаю, что и безъ того тебѣ круто, а тут я еще насѣл на шею. Скверно! Просто-напросто, ложись да умирай. Как ни думай, ничего не выдумаешь. Единственный человѣк, который бы могъ помочь мне – это отец, но ты прекрасно знаешь, что скорѣе лбомъ своим можно пробить тонель чрез кавказский хребет, чѣм тронуть его сердце, легче взять Гибралтар, чѣм его карман. Да, брат, сколько не думай, а ничего не выдумаешь. Единственный источник – это мое жалованье, а потому остается одно, а именно: выплативъ Давиду, начать платить другим. Как ни прыгай, выше не прыгнешь.

Дорогіе друзья, не сердитесь за мое молчание, будьте истинными христіанами и воздайте мнѣ добром за зло, сиречъ пишите мнѣ. Господа, ведь съ вашей стороны будет порядочным кошонством, если поступите инако: я одинъ, а васъ много. Стыдно и не хорошо обижать бѣдного человека! Ради Аллаха, пишите, что у вас там, пишите почаще и побольше. Прошу каждого из вас передать своей семье мое глубокое почтеніе, всем барыням (сюда входят и вдовушки) и барышням цѣлую ручки. Цѣлую Сандро. აფუ მე, კარგ გემოსაც ჩავატან ბარიშნების და ვდო-

ვუშკების რუჩკების შემდეგ, კაი პურ ლა ბონ ბუშია, თქვენმა მზემ, სანდროს პირისახე. Нѣт, братцы, я цѣлую всѣх вас без Сандро, ибо его цѣлуют всѣ, а в особенности прохвостъ Гило, который, как видно, пріѣхал в Петербург и не повидался со мной.

Будь здоров, дорогой мой Вано. Поклон от меня всѣм вам. Нина моя здорова и часто вспоминает Нико. Поди как он должно быть вырос теперь. Поцѣлуй его за меня крепко. Поцѣлуй за меня (это уже не въ счет абонимента) ручки у кн. Тасо и кн. Бабо. Будь здоровъ. Как поживает Акакій?

Твой Митo
[მარტი, 1896 წელი]

5

Москва, Декабря 12 дня 1896 г.

Дорогой Вано!

Свинство съ твоей стороны писать мне извиненія и всякую ерунду в родѣ „მითომ გიჩუქებია“. Это доказываетъ твою неуверенность въ том, что я убѣжденъ, что одна крайняя нужда могла заставить обратиться ко мне. Не друг, не братъ я тебе, что-ли! Но это въ сторону – не до изливанія чувств. Сегодня написал Давиду (здесь положительно ничего сдѣлать не могу), чтобъ он выдал тебѣ 200 руб. Больно, дорогой, что мы попали в такое скверное положеніе, а еще больнѣе, что не могу удовлетворить в настоящее время вполнѣ, так как 50 руб. из этих 200 руб. я принужден просить тебя передать матери моей для кое-кого, которому обязательно нужно заплатить. Но что дѣлать, если Давидъ откажетъ?! Дело будетъ скверное, чертъ меня побери! Тогда, остается одно средство, поговорить съ моим милым папа не так, как говорил до сих поръ. Впрочем, съ ним нужно поговорить во всяком случае, ибо раз банки стали требовать погашенія капитала теперь, будут требовать и дальше, но, помимо этого, нужно-же платить %, нужно как нибудь мнѣ покончить со всеми моими долгами, а то нѣт болѣе мочи – вѣчныя думы, вѣчныя заботы о них измучили меня окончательно.

Въ настоящее время здѣсь Вано Джабадари. Он говорит, что в текущем месяце наконец будет конец банковскому делу, конец – думаю благопріятный для нас. Объ этом и в этом-же смыслѣ писал мне и Орбеліани. Да, поможет нам Аллах! Мужайся, дорогой Вано, будь твердъ!

Цѣлую ручки у кн. Тасо и кн. Бабо, обнимаю и цѣлую тебя и деток твоих. Съ каким бы удовольствием я делал это на деле, а не чѣрез посредством этой несчатной бумажки. Будем надѣяться, что будет и это. Будьте здоровы, дорогіе друзья.

Твой Митo

О результатѣ письма моего к Давиду сообщи немедленно.

6

6 Апреля 1898 г. Москва.

Дорогой Вано!

Извини, что пишу так редко и отвѣчаю так поздно на твое последнее письмо. Во 1-х, за время пребыванія г. патрона моего в Москвѣ у меня набралась масса работы, во 2-х, ждал

пріѣзда обратно Марсовых из Тифлиса, откуда они должны были доставить мнѣ кое-какія сведенія и в 3-х, самому пришлось недавно съѣздить в Петербург по дѣлам Давида, откуда я вернулся 29 прошлого месяца, т. е. к разгару городской торговли. Сказать, чтобъ из-за дѣл у меня не оставалось времени на переписку с товарищами, конечно, не могу, но работать, как я это делал въ былое время, болѣе не в состояніи. Старость-ли тут причиной или просто помѣщение, где приходится работать (целый день при газовомъ освещении, в спертом и удушливом, из-за отсутствия у меня въ кабинете окна, воздуха), но послѣ обѣда рука не поднимается на работу, мозги отказываются служить. Впрочем, дѣло не в этом, а в том – как быть съ долгами? Удѣлять что-либо из жалованья у меня нет никакой возможности, ибо жить в Москве страшно дорого и при этом еще приходится выплачивать ежемесячно конторе по 50 руб. Въ Тифлисѣ, как говорятъ Марсовы, решили по пріходе туда старшаго брата моего, что будетъ въ маѣ, произвести дележъ, но что будетъ это за дележъ и дастъ-ли он что-либо – ведает один Аллах. Единственная надежда на одно дѣло в Дагестанѣ, в котором мне принадлежитъ маленькая доля. Объ этом дѣле по всей вѣроятности, говорил тебе Вано Джабадари. Предварительное условие съ капиталистами уже заключено и если только на арендуемом нами участке земли окажется выходъ нефти в достаточном количестве, то въ начале будущего года можно будетъ получить кое-что, что хватитъ съ излишком на расплату всех моих долгов. Шансы очень большіе и в особенности теперь, когда, как сообщаютъ, рядом съ нашим участком бьетъ фантан нефти. Это-ли дѣло, дѣлем-ли, но в продолженіи этих 9-10 мѣсяцев съ долгами я должен раздѣлаться обязательно, а то нѣт более мочи быть постоянно подъ их давлением. Хоть убей меня, дорогой Вано, но ни о чем г. Габаева просить я не въ состояніи. Если к сроку, о котором пишешь, не успѣю что-либо сдѣлать здесь, то нужно будетъ переговорить съ Мих. Ив. Тамамшевым. Думаю, что он будетъ согласен на то, чтобъ ты учелъ мой вексель. Надѣюсь, что это будетъ последним. Объ этом-же векселе на всякій случай напишу старшему брату, когда онъ будетъ в Тифлисѣ. Думаю, что и Минасовъ будетъ так добръ, что по старой памяти обо мнѣ еще раз и в последній не откажетъ в помощи по поводу своего векселя.

Думаю, что Ноут-Кутан (так называется арендуемый нами участок нефтеносной земли) оправдаетъ возлогаемыя на нее надежды и блестяще поправитъ наши дела.

Я и Мишо взялись уплатить Георгію за Сандро Мирзашвили, если не ошибаюсь, 400 руб. и сколько из этой суммы причитается на мою долю, не помню, а книжка съ замѣтками у меня пропала, а потому прошу справиться по этому вопросу у Мишо или Георгія. Вообще прошу, дорогой мой, сообщить мнѣ о том, сколько я должен тебѣ и Георгію съ причислением, конечно, %, которые пришлось Вам платить за меня.

Много, много виноватъ я предъ тобою и кн. Тасо, в особенности предъ ней. Одна надежда на ваше великодушіе. Будь здоров, дорогой мой. Цѣлую ручки у кн. Тасо и кн. Бабо и еще раз прошу у кн. Тасо прощенія. Поцелуй за меня дѣток своих.

Жмет тебе крепко руку твой Митo

Поклон Мишо и всѣм друзьям от Гило. Он шлетъ Вам привет. Мишо, старый чорт, оказывается уже женился и хоть бы сообщил. Скотъ он и больше ничего!

Присылаю на всякій случай копію съ письма моего к Васо Габаеву.

ცხინვალის სასწავლებლის სასოფლო-სამეურნეო საბჭო

1

Сельско-хозяйственный советъ при Цхинвальском Нормальномъ у-щѣ.
12 Августа 1895 г. М. Цхинвалъ.

Сельско-хозяйственный комитетъ, будучи глубоко увѣренъ, что Вы вполнѣ сочувствуете всѣмъ благимъ начинаніямъ, льстить себя надеждою и почтительнѣйше проситъ Васъ осчастливить Вашимъ посѣщениемъ день открытія и освященія Сельско-хозяйственнаго отдѣленія при Цхинвальскомъ Нормальномъ у-щѣ, назначеннаго на 18-е число сего Августа.

Съ глубокимъ почтеніемъ имѣемъ честь бытъ,

Предсѣдатель комитета

Члены: С. Джапаридзе, საჩინო შერმადინი, Свящ. Тірг. [Абрамов], ვასილ შერმადინი, К. Кобаладзе

2

Сельско-хозяйственный советъ при Цхинвальском Нормальномъ у-щѣ.
12 Августа 1895 г. М. Цхинвалъ.

Многократныя доказательства Милостиваго расположенія Вашего къ добрым общественнымъ начинаніямъ дают Сельско-хозяйственному комитету Цхинвальской школы смѣлость обратиться къ Вамъ съ покорнѣйшей просьбою осчастливить Вашимъ присутствіемъ день открытія и освященія Сельско-хозяйственнаго отдѣленія, назначеннаго на 18-е число сего Августа.

Съ глубокимъ почтеніемъ имѣемъ честь бытъ,

Председатель комитета

Члены: С. Джапаридзе, საჩინო შერმადინი, Свящ. Тірг. [Абрамов], ვასილ შერმადინი, К. Кобаладзе

ლევან ციციშვილი

1895 წელ. აგვისტოს 16-ს.

ორმაგ პატივცემულო თავადო, ივანე გიორგის ძევ,

მრავალ მოკითხვას მოგახსენებთ და ვისურვებ თქვენს დიდხანს სიცოცხლეს ჩვენის ქვეყნის სასარგებლოდ და სასახელოთ. შემდეგ ამისა, უნდა მოგახსენოთ, რომ რადგან მე გადავწყვიტე წრეულობით თბილისში ჩამოსვლა, ამისა მაშო დემურიას ვსთხოვე, ჩემს მაგიერ თქვენის სახლების დაქირავების შესახებ მოლაპარაკებულიყო თქვენთან. აი, პასუხიც მივიღე მაშოსგან, რომელიც მატყობინებს, რო თქვენ ოთხს ოთახს 35 მან. აქირავებთ: დიახაც ეს ფასი არ არის დიდი, მაგრამ წრეულობით ამ ფასის მოცემას მე ვერ შევძლებ, რადგან წლევანდელი ჩემი შემოსავალი სხვა ჩემს მოთხოვნილებათა ვერ დააკმაყოფილებს. უკაცრავად გახლავართ, ივანე გიორგის ძევ, თუ შეიძლებთ და 25 მან. დამითმობთ, მაშინ ჩემის მხრითაც იმ შეღავათს მოგცემთ, რო ჯერ ამ თავით ოთხს თუ-

მანს მოგართმევთ და შემდეგაც ყოველთვის 3-4 თვის ქირასაც წინდაწინვე. დიდს ბოდიშს გიხდი ასეთი კადნიერებისათვის; ჩემი შეუძლებლობა აქ მოსატანი არ არის და არც არაფერს ამტკიცებს იმისას, რომ თქვენ სახლები ამ ფასად დამითმოთ, მაგრამ ჩემის მხრით მე ჩემს პირობას გატყობინებთ. თუ ვინიცობაა, დათანხმდით და ჩემმა პირობამ დაგაკმაყოფილოთ, გთხოვთ, ბიძაჩემის ჯიბრელლის პირით შემატყობინოთ. მე მეტად მინდა თქვენთან დაახლოვება, რადგან თქვენ ჩემზედ ყოველთვის დიდი გავლენა გქონდათ. თუ მე დღეს რამეს წარმოვადგენ და ანუ ვიქნები რამე, ეს თქვენის ზედ გავლენით და მეოხებით, რადგან თქვენ ჩემთვის იყავით იდეალი სათნოებისა და ზნეობისა. დიახ, თქვენ გამისტუმრეთ საფრანგეთში, თქვენ შემაყვარეთ მამულიც და მეცნიერებაც, იმ დროს, როდესაც თქვენთან დაახლოებული არ ვიყავი და მხოლოდ შორით გადევნებდით თვალს; მე რაღაც სულით ნათესაობას ვგრძნობ თქვენთან და ამისა გამო მსურს თქვენთან ახლო ვიყო. მომიტევეთ, რო მე თითონ არ გიახელით თქვენთან: ეს მე საჭიროდ არა ვცანი მით უფრო, რომ ცოტა შეუძლოდაც გახლავართ. თქვენი სახლები მაშომ ამიწერა, სრული კმაყოფილი ვარ. თქვენს მეუღლეს დიდის პატივისცემით თავს დავუკრავ. ჩვენებმა ერთობ მრავალი მოკითხვა მოგახსენეს.

დავშთები თქვენი ღრმად პატივისმცემელი
ლევან ციციშვილი

ლევან ამირეჯიბი

1895-ro წ. დ. 6-ro.

ძმაო ვანო!

ამას წინაზედ რომ დავაწყეთ ფულის საქმე, თორმეტს არის ვადა სოსიკოს ვექსილებისა. ის ოთხმოცდა ათი თუმანი რომ შენ მოახერხო, დანარჩენს მე ვიშოვნი. ბილეთების საქმეც მომწერე, ჩემი ჩამოსვლა საჭირო არის თუ არა. გეთაყვა, ყველაფერი მომწერე.

შენი ძმა ლევან ამირეჯიბი

ტასო მოიკითხე მე და მაშოს მაგიერათ. ბავშვებს ვაკოცებ.

ივანე ბერძენიშვილი

მარად პატივცემულო! ძვირფასო ჩვენო ივან გიორგევიჩ!

შენი ჭირიმე, შემატყობინე ჩემი სიდედრის, ანასტასია ბარანოვის, მამულის ტორგი როდის არის. თუ უკეთუ ამ დღეებში, მიშველე რამე, არ დამღუპოთ. ტელეგრამა მამწერეთ საჩქაროთ. რისათვის დავშთები სამუდამოთ ისედაც პატივისცემის გადამხდელი.

თქვენი პატივისმცემელი და ბედნიერი ცხოვრების მოსურნე
ვანო ბერძნიშვილი
13. XII. 1895 წ.

გავრიილ ტერ-სტეპანოვ

Присяжный повѣренный Гавріил Сулхановичъ Тэръ-Степановъ
14 декабря 1895 г.
Г. Тифлисъ. Старо-Институтская улица, №14.

Вано,

Георгій Назарбеговъ желаетъ заложить у Васъ въ банкѣ садъ въ Ахалкалакахъ. Укажи ему, пожалуйста, лицо, къ которому онъ могъ бы обратиться и поручитъ эту операцію за умѣренную плату и вообще наставь его, что ему дѣлать.

Твой Г. Тэръ-Степановъ

ივანე ჯავახიშვილი

დიდათ პატივცემულო ბატონო ივანე!

პეტერბურლის ქართველი სტუდენტობა გიძღვნის საპატიო ბილეთს საღამოზედ, რომელიც არის დანიშნული 20 დეკემბერს 1895 წ. ღარიბ ქართველ სტუდენტთა სასარგებლოთ.

მინდობილობით,
სტუდენტი ივანე ჯავახიშვილი
Казанская ул. д. 15, кв. 7.
[პეტერბურგი, დეკემბერი, 1895 წელი]

დავით ღამბაშიძე

„მწყემსის“ რედაქცია.

ჩყუე (1895). ყვირილა.

ბატონო ივანე!

თავადმა ნიკოლოზ ვახტანგის ძემ ორბელიანმა გვთხოვა ჩვენ წინათ, რომ გაგვეგზავნა 300 ცალი „მწყემსისა“, რომელშიც მოთავსებული იქმნებოდა მისი წერილი ილ. ჭ-ძის შესახებ. 300 ნომერი „მწყემსისა“ მე თქვენ მოგართვით გარდასაცემათ ფოსტით 6 ივლის. გთხოვთ, გაახსენოთ, ამ 300 ნომრის ფასი თუთხმეტი მანეთი გამოგზავნოს რედაქციაში.

თქვენი პატივისმცემელი: დეკ. დ. ღამბაშიძე

დიმიტრი მაყაშვილი

1

Ваше Сіятельство Иванъ Георгіевичъ!

Не откажитѣ показать или расказать сыну умершего недавно, въ какую сумму заложено его именіе въ телавскомъ уѣзде и когда надо вносить проценты.

Много объяжете покорного слугу
Дмитрия Соломоновича Кн. Макаева
5 Янв. 1896 г., г. Телавъ

2

ბრწყინვალეო კნიაზო ივანე გიორგის ძე!

გთხოვთ, შეიბრალოთ ϕონ-შადდეს შვილები და თუ შესაძლებელი იქნება, დეეხმაროთ, რომ მარიამჯვრის მამული, რომელიც უყიდნია პოლკოვნიკს ოგანეზოვს, ისევ დაუბრუნდეთ, რადგანაც ის ენა ჩავარდნილი ერთი თვე ლოგინში იწვა და თანაც გადაჰყვა საცოდავი და ამ ობლების დედას, ბეგლარ მაყაშვილის ქალს არა სცოდნია, შესატანი ჰქონდა ფული თუ არა, თორემ ხუთ თუმანში როგორ გააყიდინებდნენ.

დარწმუნებულნი ვართ თქვენს კეთილ გულზედ, რომ, თუ შეიძლება, როგორმე დეეხმარებით, ხუთი ობოლი დარჩა სულ გასასზდელები და დედა მაყაანთ ქალი, ამათი მადლი გეყოფათ სააქაოსაც და საიქიოსაც.

თქვენი ბრწყინვალების უმორჩილესი მონა დიმიტრი ივანეს ძე მაყაშვილი

P. S. ბოდიშს ვიხდი, რომ გაწუხებთ, მაგრამ სიბრალული ობლებისა მაბედინებს.

[1898 წლის ივნისამდე]

ვასილ მაჩაბელი

23 თებერვალს, 1896 წელი.

უძვირფასესო ძმაო კნიაზ ივან გიორგიჩ!

ამ წიგნით გიბედავთ და გთხოვთ, ვიცი, რომ არ დამზარდებით და თქვენის კეთილის გულით შემატყობინებთ და შემეწევით, რაც კი შეიძლება თქვენის მხრით. ჩემი საქმე, აი, რაში დგმოიაროაბს: მე მინდა, ვიყიდო მამული ვანო ფავლენიშვილისა სოფელ ერედვში, იმას მეტს სახელს უძახდნენ გრუზენშტეინს, იქნება გაგეგონოთ; ეს მოკვდა და რაკი უშვილო იყო, იმის მამული გადავიდა იმის დებზედ. ერთი იმათგანა გათხოვილია კოტე ხიდირბეგოვზედ, რომელთაც უნდათ, გაყიდონ ათას თუმნად (10 000 მან.). ისიც უნდათ, რომ ვინმე მეზობელი თავადის შვილმა, ანუ ვინმე ქართველმა იყიდოს. როგორც მე ამიწერეს, ეს მამული არის 300 დღის საკუთარ სახნავი მიწები, 200 დღის ნადელია, შესყიდული არ არის გლეხებისაგან, ოთხი ვენახი (14 დღემდინ) და ტყე, რომელსაც თურმე შემოაქვს წელიწადში 300 მან. და ორი სართულიანი ქვიტკირის სახლი თავის გამართუ-

ლობით. ვინც აღწერა ეს მამული და მირჩია ყიდვა, იმან მითხრა, რომ ამ მამულს აქვსო შემოსავალი 200 თუმანი (2000 მან.) წელიწადში, მაგრამ მე ვიხდი 1000 მანათს შემოსავალს წელიწადში. მე მინდა, რომ ეს მამული შევიძინო ბანკის შემწეობით და დახმარებით, რადგან მე ერთი გროშიც არა მაქვს. სულ ერთია, ბანკი ხომ თავისას არას დაკარგამს, მაგრამ მამული კი შეიძლება, რომ ვინმემ ჩაიგდოს ხელში, რომელიც ჩვენთვის, საერთოდ ვამბობ, გამოუყენებელი იქნება. როგორ უნდა მოვიგცე, დამარიგეთ. ან თუ შეიძლება, თუ არა, რომ ფული გამოვიტანო და როდესაც კუპჩას შევადგენთ, მაშინ ბანკში შემოვიტანო ან, როგორც ჯობდეს, ისე, გთხოვთ, შემატყობინოთ. მამული სულ ერთს ალაგასა არის, აწერილიც არის და ის სია სუდშია. დიდი წვალება მამულის აწერას არ უნდა.

თუ ამ საქმეს მომიხერხებთ, დიდს ვალს დამადებთ, სამუდამოთ მონად გამხდით.

თქვენს კნეინასაც მოვიკითხამ. პასუხი არ დამიგვიანოთ.

თქვენი სიცოცხლის მსურველი თ. ვასო მაჩაბელი

ადრესი: Въ с. Сарыкамышъ, Капитану Князю В. Ревазовичу Мачабели.

ვლადიმერ ხერხეულიძე

1896 წ. მარტის 20-ს.

ძმაო ივან გიორგიჩ!

გაზეთებიდან გავიგე თქვენი საქმის კეთილი გადაწყვეტილება, დიდატ მოხარული დავრჩი, და გილოცამთ გამარჯვებასა, მადლობ ღმერთსა, რომ მტრის გულისათ არ დავჩით არც თქვენ და არც ჩვენ. სხვებრ იყავით თქვენის ცოლშვილით ბედნიერათა.

თქვენი კეთილის მსურველი ძმა თ. ვლადიმერ ხერხეულიძე

ქართველი – ილია ჭავჭავაძესა და ივანე მაჩაბელს

ქ. ბაქო. 1896 წელს, 27 მაისს.
მის ბრწყინვალებას ი. გ. ჭავჭავაძეს, ქ. თბილისში.

მოწყალეო ხელმწიფევ!

გულმხურვალეთ გეფიცებით, რომ თქვენ და უფ. მაჩაბლის შორის შეტაკება და უთანხმოება ჩვენ გულს გვიჭკნობს აქ. უნდა მიხვიდეთ ერთიერთმანეთთან შინაურულად სახლში, თუ აშკარაობა შერიგებისა გეთაკილებათ, მოუხერხებლად მიგაჩნიათ, და შერიგდეთ ძმურად, სიყვარულით, რომ სხდომებზე აღარ ეწინააღმდეგებოდეთ ერთი ერთმანეთს. რომ ერთის ნათქვამი სიტყვა მეორემ ჩააფუჩეჩოთ და უვარგისად გამოიყვანოთ სხვებთანა შებმა-ლაპარაკში. ტყუილ-უბრალოთ დროს ჰლუპავთ, ჰკარგავთ. როდემდის უნდა იყვეთ მაგ აღელვებაში. შეიძლება, ეგ სიბრაზიანე უფრო გამწვავდეს და ერთ მხარეს სიტყვაზე (რასაკვირველია, ამისთანა შემთხვევაში წინააღმდეგი ცდილობს რაც შეიძლება უფრო მწარე სიტყვები ამოარჩიოს უდროვო-უდროვოთ სათქმელად და იმისთანა ადგილ-

ზეც ეტყვის, როცა შეატყობს, რომ უფრო მწარეთ დაუთუთქამს გულს) მოუთმენლობამ დიდად არსასიამოვნო რამე დაატრიალოს. მეტი ბაასი არ საჭიროობს. გთხოვთ, გევედრებით შერიგდეთ, – იყავით კეთილგონებიერნი.

კეთილის არმდომს ნუ ახარებთ თქვენზე.

ამასთანავე წერილი ეგზავნება უფ. მაჩაბელს

ქართველი

ივანე ბარათაშვილი

Князь Иванъ Георгіевичъ,

По моему мнѣнію, не обсудивъ какъ слѣдуетъ, не нужно посылать телеграммы, тѣмъ болѣе нетъ меня и Кипіани.

მაგ ტელეგრამას, როგორც მე მგონია, ისეთს ყურადღებას არ მიაქცევენ, როგორც დიმიტრი ივანიჩის მიწერილობას. მე და ყიფიანის ტელეგრამა (საჩივარი) კლიაუზასავით მიიღებენ და ჰჯობია ერთი კიდევ მოვიფიქროთ და ნუ ავჩქარდებით; словомъ нужно хорошо обсудить и такъ дѣйствовать.

Готовый къ услугамъ Кн. Ив. Баратов

5/27/96 г. г. Тифлисъ

შაქრო ხერხეულიძე

კნ. ივანე გიორგის ძე მაჩაბელს.
30 Мая.

ვანო!

ეს დეპეშა წუხელის სამს საათზე მოვიდა, ილიკოც აქ არის – თუმცა, ვიცი, იტყვი: глупо и поздно, მაგრამ მაინც გიგზავნი. წაიკითხე და დამიბრუნე. თუ არჩევა დღეს იქნება, პასუხსაც არ მივწერ და თუ ხვალ იქნება ამ დეპეშას მარია ვახტანგოვნას გაუგზავნი, თითონ მისწეროს პასუხი შაქროს ანუ თვით საშიკოს; მე არც ერთის ადრესი არ ვიცი.

შაქრო ხერხეულიძე

P. S. დღეს იქნება კენჭი?

[1896 წელი]

Уговоримъ Сашико поставить ящикъ, переговори с Вано Мачабели и председателемъ Сулхановымъ о шансах сообщи магалову.

გიორგი აბაშიძე

1896 г. 3 Июня. Ур. Делижанъ.

Многоуважаемый Князь Вано!

Прежде всего поздравляю Васъ съ полной побѣдой и прошу Васъ не отказать сообщить мнѣ скорѣй: сколько мнѣ слѣдуетъ внести въ банкъ и можно-ли внести не все, теща моя, княгиня Бабе сказала, что кто подалъ прошеніе – разрѣшили внести половину, нельзя-ли мнѣ подать теперь – успею ли? Простите за безпокойство. Жена и я шлемъ наше почтеніе княгине Тасо и Вамъ.

Глубокоуважающий Васъ Г. Абашидзе

ალექსანდრე ჩოლოყაშვილი

საყვარელო ძმაო ვანო!

თუმცა წამოველ და მოგშორდი, მაგრამ ჩემი გული და გონება შენთან არის ნამეტნავათ დიმიტრი ივანიჩთან. გთხოვ, მაცნობო რა მოხდა, რით გათავდა, ჩვენი კრების ალიაქოთი ან რა მდგომარეობაში ხარ თითონ შენ! რას აპირებთ? ერთი სიტყვით, მე შენთანა ვარ, დაიჯერე.

ხელს კოცნას მოვახსენებ კნეინებს ნინუცას და ტასოს, კნეიჟნა ბაბოს მოკითხვას. კიდევ მოკითხვას დიმიტრი ივანიჩს, ვასოს, კოლას, გიორგის, ჩვენ მედუქნეს. ნიკო დიასამიძის საქმე რით გათავდა ან რას ელით ან ახალი ამბავი რა არის, გთხოვთ დაწვრილებით მომწერო.

შენი ერთგული ძმა სანდრო ჩოლოყაშვილი ყარაბულახელი
4 თიბათვეს, 1896 წელი
ს. ყარაბულახი

ალექსანდრა ფალავანდიშვილი

პატივცემულო ბიძია ვანო!

ერთობ მრავალ მოკითხვას გითვლით თქვენის სახლობით.

იმედი მაქვს მაპატივებთ ამ შეწუხებისათვის: რადგანაც სასოფლო სამკითხველოს ვმართავთ ს. ქვემოჭალაში და დამავალეს, იმისთანა პირებთან დამერიგებინა ბილეთები, რომელიც დიდ თანაგრძნობას გამოაცხადებენ. ამისათვის გავბედე და მოგართვით წარმოდგენის ბილეთები და მგონია, რომ არც უკმაყოფილო დარჩეთ. იმედი მაქვს, რო ამ ბილეთებს თქვენში გამისაღებთ.

თქვენი პატივისმცემელი კნ. საშა ფალავანდოვისა
1896 წელს, 12 თიბათვეს

მიხეილ ჯორჯაძე

ძმაო ვანო!

ამ დღეებში ლენქარანში იყვნენ ჩვენი ბანკის დამფასებლები, რომელთაც გასინჯეს ასტარიის მაღალი. ჩვენი ძველ ნაცნობს იაღულკოვსკის უნდა შეიტყოს, რამდენათ დააფასეს ტაგი ხანის მამული და ამასთანავე მთხოვა, მოგწერო შენ იმისი თხოვნა, რომელიც დგომარეობს მასში, რომ შენ მისწერო ტელეგრამმა მას. იმ ტელეგრამმაში დასწერ მხოლოდ ხუთას, ექვსას და სხვ. იმ რიცხვს ასი თუმნისას, როგორათაც დაფასებულია და გვარს ნუ მოაწერ. მაგალითად: Ленкоранъ Яголковскому Оцѣнено 600.

Будетъ понятно что оцѣнено в 600 рубл.

ამას გარდა, იაღულკოვსკიმ (Иванъ Кіріоновичъ) ქთხოვთ, მოსწეროთ წიგნი, შეუძლიან თუ არა, აიღოს ბანკიდამ კოპიო დამფასებლების პროტოკოლისა, რომელშიაც იქნება გადაწყვეტილი დაფასება ტაგი ხანის მამულისა.

სხვა რა მოგწერო?

აქ ახალი და შენთვის საინტერესო არა არის რა.

მხოლოდ მოგილოცავ გამარჯვებას და ღმერთსა ვთხოვ, ყოველთვის იყო გამარჯვებული. იყავი მაგრათ და ღმერთი შენკენ იქნება.

ჩემმა ცოლმა უმდაბლესი მოკითხვა მოგახსენა. ქთხოვ შენს მეუღლეს განუცხადო ჩემს მაგიერად უმდაბლესი პატივისცემა. ბალღები დამიკოცნე.

მოგეხვევა შენი ძმა მიშო ჯორჯაძე

P. S. თუ საჭირო იქნება, ვექილობას გამოგიგზავნი.

13 ივნისი, 1896 წელს. ქ. ლენქარანი.

ნიკოლოზ (კიკო) ჩოლოყაშვილი

1

საყვარელო ძმებო ვანო და კოლა,

ტელეგრამა და წიგნი მომივიდა მუხროვანში, სადაც სახლობა დაჩად არიან, ძალიან შეწუხებული ვარ, პატარა ჩემი შვილიშვილი, თადოს ქალი ეს ათი დღეა, რო რაც ძალიან ავათა მყამს, არ ვიცი, რას ინებებს ღმერთი. ორ-ორი ექიმი ადგას, ამბობენ (жаба) არისო: ყელი სტკივა (глазные зубы прорѣзываются)... მოკითხვისათვის დიდი მოკითხვა, ჩვენებმა ერთობ ბელიკომ, კატომ, უცნობმა ბაიკამ, თადომ და ბიძომ და პატარა ბელიჩკამ, ავანტყოფმა. მეც ბევრს გაკოცებთ ორივეს. სიყვარულით მომიკითხე მარფა ისიდოროვნა.

ახლა დურაკებო, ხო იცით, заинтересованный человѣкъ, въ какомъ положеніи находится, каждую минуту дѣло передъ глазами стоитъ. Адресъ мой въ Гомбора по почтѣ; а телеграмму – въ Авлабаръ Мартирузу Нунупарову.

ჯაბადრის წიგნი მომივიდა, რომა ზაქარია და ნინიკო ჭავჭავაძეები, ივ. ჯანდიერი – портятъ дѣло; къ 28-му я былъ въ собраніи. Эти трое расчитывали, что что-нибудь серіозное сдѣлаютъ, главными зачинщиками были во первых Илья Чавчавадзе, Аваловъ и Князь Георгій

Тархановъ. Предсѣдателемъ былъ Телавскій предводитель Т. Макаевъ, кромѣ него никого не было въ губернскомъ чрезвычайномъ собраніи – как видите, глупо и незаконно; просилъ слова первый я, „что хотите, дѣлаете, мы 11 человѣкъ, кто подписались, договоръ составили съ Михайловымъ, не можемъ отказатся и наконецъ, это некрасиво для нашей чести и Михайловъ навсегда потеряетъ реноме“. Вынулъ изъ кармана засвидетѣльственную копію и сказалъ, кто смѣетъ отказатся отъ своей подписи, это было ударомъ какъ для Ильи Чавчав. такъ для другихъ.

Послѣ всего этого составили глупый протоколъ для составленія комиссіи и чтобы потребовать документы отъ Магалова. Мы всѣ консеціонеры отказались отъ подписи, они также по неволѣ согласилисть съ нами не подписать: – оба, Чавчав. и Джандіери. Много было преній – Тархановъ, А. Чолокаевъ, Илья и др... Такъ что Мишо Мачабели назвалъ Илью умнымъ, а онъ отплатилъ тѣмже. Я должен тебѣ сказать, что уѣхалъ в Карабулахъ, потому что злодѣйское мнѣніе Ильи не удалось. Джабадари уѣхалъ въ Крымъ, жена больна, онъ кажется подалъ Михайлову бумагу, такъ какъ онъ деньги не внесъ въ срокъ, уничтожать договоръ, а кто далъ право самому Джабадари? Пишите, что знаете хорошего подробно.

Кико Карабулахскій
5 августа
[1896 წელი]

2

Тифлисъ. 4/IX 96 г.

Вано, письмо твое получено. На другой же день я пріехалъ больной. Сейчасъ къ тебѣ, но ты уѣхалъ въ деревню. Очень сожалѣю, что я тебя не видѣлъ, кого только не видѣлъ изъ нашихъ противниковъ. Я не думаю, чтобы для тѣбя былъ кто-либо, кроме мѣня Іудою. Дураки, я не знаю, чего они гордятся. Вѣдь они не знали, что имѣютъ посольство. Теперь они знаютъ это и должны быть намъ благодарны, и не наоборотъ. Я при годах, хвораю и ѣду сейчас домой. Передай поклон всѣм нашим родственникамъ и родственницамъ и всѣй семье и близким знакомымъ поклон, так же Георгіию.

Твой Кико кн. Челокаевъ Карабулахский

P. S. Сейчас пишу Вано Джабадари письмо.

სვიმონ აბაშიძე

თავადი სვიმონ დიმიტრის ძე აბაშიძე და კნეინა თეკლე ქაიხოსროს ასული აბაშიძისა, უმორჩილესად გთხოვთ, მობრძანდეთ ჩვენი შვილის, ლევან სვიმონის ძე აბაშიძის ნათლობაში, ამა 25 აგვისტოს შუადღის 2 საათზე ზემოჭალაში.

1896 წელსა

ძვირფასო ძმაო ვანო!

უნდა დამავალოთ და კნეინა ტასომ შვილი უნდა მამინათლოს. იმედი მაქვს, მირონს არ დამიჭერს. დავშთები შენი სიკვდილამდისინ ერთგული მეგობარი.

სვიმონ აბაშიძე

1

28 ენკენისთვე, 1896 წ. ქ. სოხუმი.

დიდად პატივცემულო ბატონო ივანე გიორგის ძევ!

რაც პეტერბურგში წაბრძანდით, თქვენი ის-ღა ვიცი, რომ ტფილისში ისევ დაბრუნდით. არ ვიცი, რანაირად გათავდება თქვენი დამოკიდებულება ბანკთან ან რა მოჰყვა თქვენს წასვლას პეტერბურგში.

მე კი, როგორც მოგახსენევით აქედ წამოსვლის წინად, ჯერ არავისთვის მითქვამს პირდაპირ თქვენს შესახებ. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება: როცა აქ მოვედი, მკითხეს, ხომ კარგი იქმნება, თ. ივანე მაჩაბელი თავად ამოვირჩიოთო? ანტონ ფურცელაძემ გვირჩიაო.

მკათათვეში აქ ან. ფურცელაძე ყოფილა და უთქვამს, ივ. მაჩაბელი მაინც ბანკს თავს ანებებს და ამოირჩიეთო. ვინც-კი მოჰკრა ყური თქვენს სახელს, ამ ამბავს დიდის სიხარულით მიეგება. მე მაშინ ის ვუთხარ აქაურ გავლენიან პირთ, რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ წამოვიდა-მეთქი. დაასკვნეს, შევიტყოთ, თუ ტფილისს დასთმობს, უეჭველად მოვიწვიოთო. მე დავპირდი, შევიტყობ-მეთქი.

და აჰა ახლა, რა თქმა უნდა, დამავალებთ, ასე თუ ისე გადაწყვეტილს შემატყობინებთ. თუ თანხმობა იქმნება თქვენის მხრივ, მაშინ დავტრიალდებით და წინდაწინვე მოწყობილი გვექმნება საქმე ამ კითხვის შესახებ.

როგორც მაშინაც მოგახსენეთ, 26 ხმოსანში, 16 ხმოსანი დანამდვილებით გვყავს. დანარჩენი 12 ხმა საშიში არ არის, რათგან ყოველი სამი კაცი თავისს კანდიდატს წამოაყენებს (მათს შორის 3 რუსია, 4 ბერძენი, ბერძენი ბერძენს მოინდომებს, რუსი კიდევ – რუსს. ასე რომ, ამ მხრივ შიში არაფრისაა.

რაც შეეხება ჯამაგირს, ჯერ მხოლოდ 2500 მანეთს ამბობენ, მაგრამ თუ კარგი თავი გვეყოლა, და 500 მ. კიდევ რო მოუმატოთ ან მეტიც, ის ფული დაკარგული თავის დღეში არ იქმნებაო.

ცხოვრება აქ ტფილისსავით იაფი არ არის, მაგრამ არც მაინცა-და-მაინც ძვირია. სამაგიეროდ, მოთხონილება, ანუ უკედ სახარჯავი ადგილი, გაცილებით ნაკლებია. კარქს სახლს იშოვით 300 მანეთად წელიწადში.

თითონ არჩევნები ჯერ არ დაუმტკიცებიათ. ძალიან გაჭიანურდა საქმე. პოლიტიკური ხასიათი მისცეს – მიგრანტებმა ჩაიგდეს ხელში ქალაქიო. თუმცა, უსაფუძვლო საყვედურია: ქალაქი მეგრელებისაა და, რა თქმა უნდა, მეგრელები თავისას სხვას არ დაანებებენ... ყოველსავე შემთხვევაში, ქალაქის თავის არჩევა, ჩემის აზრით, შობამდე უნდა გათავდეს და ახალწლიდან ქალაქის თვითმართველობამ პოლიციისაგან ყოველივე საქმეები უნდა ჩაიბაროს ქალაქისა.

მე მაინც აქა ვრჩები ნოემბრის გასვლამდე. მაშინ ტფილისში ვაპირებ ჩამოსვლას, მაგრამ თუ მანამდე რამე ამბავი მოვიდა, არსად წავალ, სანამ ყველაფერი არ გათავდება.

უუმდაბლესის პატივისცემით მოკითხვა კნეინას.

მარად თქვენი გულწრფელად პატივისმცემელი და თქვენის გამარჯვების მონატრული
თ. სახოკია

წ. კ. ადრესი სოხუმი, სახელი და გვარი.

2

12 მარტს, 1898 წ. ქ. სოხუმი.

დიდად პატივცემულო ბატონო ივანე გიორგის ძევ

სამოთხედ წოდებულ ქალაქიდან თავს გიკრავთ უმდაბლესად და მოგიკითხავთ. მით უფრო, რომ, რაც წამოვსულვარ, თქვენი ამბავი თითქმის არ ვიცი. ამიტომ, მეტი იქმნება, წინდაწინვე მოგახსენოთ ჩემი სიხარული. თუ თქვენის კარგათ ყოფნის ამბავს გავიგებ და ისიც თქვენის ხელით ნაწერის წერილის შემწეობით.

მოკითხვასთან ერთად გიგზავნით მცირედს ძღვენს, და იმედი მაქვს არ გამრისხავთ გულისწრფელით მოძღვნილისათვის. ორი ძირი გახლავთ სამის წლის ნაზარდი ხურმა იაპონიისა, ორივე კარგის ჯიშისაა. ერთსა ჰქვიან gibochin, მეორეს – Raki Kiombo. ორსავე აქვს იერლიყები. სიცივისა არ ეშინიან. შეგიძლიათ თქვენს ეზოში დარგოთ და მანდ დასტოვოთ ზამთარ-ზაფხულ. საგაისოდ, თუ ღმერთმა მშვიდობით მიგვიყვანა, მათ ნაყოფსაც ვიგემებთ. ამათს გარდა, ერთი ძირი ინდოური მცენარე Horenia duleis, ეს მცენარე აქ ახალი მოტანილია. მეტად კარგი ხილი იცისო. ამას კი სჭირია გაფრთხილება. დიდის ყინვების დროს გარედან ჭილობის შემოხვევა უნდა. მეოთხე გახლავსთ ჩაის ბუჩქი. ამას საკუთრივ ნიკოსა და ელიკოს ვუგზავნი. როცა გეწვევით, ელიკომ თავისის ხელით უნდა დამალევინოს ამ ბუჩქისაგან მოკრეფილი ფოთლებისაგან გამოცემული თერმონი. არც ამას ეშინიან სიცივისა. შეგიძლიათ, ესეც გარედ დარგოთ, სხვა ხეებთან ერთად. ყოველივე ეს ივანე მაჭავარიანის სახელობაზეა გამოგზავნილი, „მოამბის“ რედაქციაში. ამიტომ, კარგს ინებებთ, ამ წერილის მიღების მეორე დღეს თუ მსახურს გაუგზავნით და მოიკითხავთ.

თვითონ მაჭავარიანსაცა ვსთხოვე, როგორც მიიღებს, მაშინვე გამოგიგზავნოსთ.

დიდის პატივისცემით მოკითხვა თქვენს ოჯახობას, კოლას, ელიკოს.

თქვენი გულითადი პატივისმცემელი თედო სახოკია

P. S. მე აქ აპრილის გასვლამდე დავრჩები. გამიტკბა აქაურობა. ზღვამ მომხიბლა.

გიორგი მაჩაბელი

1

Ты навѣрное будешь удивленъ, дорогой Вано, получивъ мое письмо! Впрочемъ, откуда и кто тебѣ не пишетъ; почѣму бы и мне не иметь до тебя дѣло! Въ нашъ банкъ поступило заявленіе братьевъ Цераловыхъ – Захарія и Константина, просящихъ выдать имъ ссуду въ 50000 р. подъ залогъ городского имѣнія въ г. Елисаветполѣ. Ты навѣрное знаешь по этому дѣлу всю переписку и главное должно быть тебѣ известно, въ какую сумму оцѣнилъ ихъ имѣние Гиго Циціановъ, который недавно былъ для этого въ Елисаветполѣ. По уверенію Цераловыхъ оцѣночная комиссія, на основаніи описи имущества Циціанова, остановилась на оцѣнкѣ сада, дома, и лавокъ и бани (въ лучшей части города, на главной улице) въ 85000 р. Между тѣм Правленіе банка сообщаетъ имъ, что оно разрѣшаетъ выдачу имъ на руки ссуды закладными листами въ 40000 р. Вѣдь если оцѣнено въ 85000, то они въ праве требовать 60% этой оценки, т. е. 51000, а не 40000 р.

Пожалуйста, дорогой Вано, разъясни это недоразумение, такъ какъ не думаю, чтобы упустить изъ рукъ вѣрную ссуду было въ интересахъ банка, не говоря уже о том, что, зачѣмъ отказывать въ помощи тамъ, гдѣ самъ ничѣмъ не рискуешь. Эти люди съ хорошимъ состояніемъ и – самое главное то, что въ 50000 р. ссуда совершенно будетъ, мнѣ кажется, обезпечена тѣмъ прекраснымъ имѣніемъ, которое поступитъ въ банкъ, как залогъ ея.

Такъ или иначе не откажись написать нѣсколько строкъ по этому дѣлу и сообщи въ какомъ случаѣ братья Цераловы могутъ надеяться на ссуду въ 50000 р., а не менѣе. Приближается судный день, какъ вы – главнокомандующіе себя чувствуете? Что касается солдатъ, ведите въ огонь и воду, – убежденъ, что теперь не найдутся болѣе сомнѣвающиеся, – кто правъ, кто виноватъ, какъ это было въ недалеком прошломъ!

Передай мой искренній приветъ женѣ и Княжнѣ Бабо. Князю Георгію – поклонъ. Никусю расцелуй отъ имени პატარა მიშო, პატარასთან კი ვერას უკაცრაოთ – ვერ ვიცნობ!

გაკოცებ ბევრს შენი ძმა გიორგი მაჩაბელი

Г. Елисаветп. 4-го февраля 1894 г.

2

Наконецъ я могу обрадовать тебя, дорогой Вано, давноожидаемымъ извѣстиемъ о нашей злополучной газете – разрешеніе изданія вопросъ очень недалекого будущаго. Дѣло обстояло такъ. Соловьевъ при первомъ разговорѣ о газетѣ сталъ упорно уклонятся отъ участія, утверждая, что онъ ничего не можетъ сдѣлать безъ согласія Главноначальствующаго. Тогда я просилъ пересмотрѣть только самое дѣло Орбелиани и изъ него вывести свое заключеніе, а чтобы онъ могъ читать и между строкъ этого дела, я испросилъ у него разрешеніе сообщить въ деталяхъ весь ходъ ходатайства Ник. Вахт. Подробностями онъ очень былъ заинтересованъ. Я, конечно, оставилъ наши семейныя дрязги и главным образомъ напиралъ на происки армянской партіи на Кавказѣ и ихъ деморализующее влияніе во всех сферахъ, словомъ пелъ въ духѣ времени и убѣжденій самого Соловьева, о каковыхъ я зналъ изъ частныхъ съ нимъ разговоровъ. На второй день онъ уже прислалъ записку, каковую тебѣ присылаю для большей увѣренности въ успѣхѣ дела, а сегодня представлялся ему Никол. Вахт., которому категорически уже было сказано, что газета будетъ разрешѣна и по всей вѣроятности здѣсь же по докладѣ объ этомъ Министру Внутр. Д. Горемыкину.

Поздравляю, голубчикъ! Ура, сейчасъ прислала t-te Соловьева записку, поздравляетъ съ успѣхомъ нашего ходатайства и выражаетъ свое намъ сочувствіе. О „დროება“ не безпокойся, какъ только послѣдуетъ официальное разрѣшеніе изданія „Закавказья“, посылай прошеніе объ издании „დროება“ и почти не сомневаюсь въ успѣхѣ и этого ходатайства. Завтра Коля отправляется къ Витте. Что онъ скажетъ, на чемъ остановятся, сообщу Мишо. Пока же до свиданія, голубчикъ, не тревожься, богъ за нами! Кланяюсь и цѣлую руку Княгини Тасо, детишекъ обнимаетъ პატარა მიშო, передай мой приветъ Княжнѣ Бабо, Гига и Васо. И такъ, еще разъ тебя обнимаю и съ тобой вмѣстѣ радостно приветствую новую эру въ нашей общественной жизни, созданной на развалинахъ Чавчавадзевскаго режима и всей этой прохвостнической компаніи. Хотелось бы многое еще тебѣ написать, но не могу, – можешь себѣ представить со мной случилось тоже, что было одно время съ Мишо – не могу писать, періодически въ особенности! Не говори этого нашимъ. Досвиданія же, жму тебѣ руку и крепко цѣлую.

Георгій Мачабели

11-го октября 96 г. Петербург

Пока не говори никому о газете, конечно кроме тѣсного кружка людей.

3

Дорогой Вано, спѣшу отвѣтить тебѣ на письмо и успокоить на счетъ газеты – она непременно будетъ разрѣшена въ ближайшемъ будущемъ. Соловьевъ третьяго дня сказалъ мнѣ, что онъ лично написалъ письмо Гакемо, такъ какъ игнорировать мѣстное отдѣленіе цензурн. комитета онъ находитъ неудобнымъ и по полученіи отвѣта (благоприятного несомнѣнно, какъ утверждаетъ Соловьевъ) будетъ оповѣщено о разрешеніи въ Сенатскихъ Ведемостяхъ. Это дѣло вѣрное, дай богъ, чтобы въ такой же мере удачно было и банковское дело. Я не стану сообщать тебѣ подробностей о послѣднемъ – Джабадари разскажетъ на словахъ. Досвиданія, голубчикъ. Кланяюсь всѣмъ твоимъ.

По полученіи разрешенія издания „Закавказья“ буду телеграфировать. „დროება“ оживетъ, если ты возмешь на себя трудъ изданія. Досвиданія, жму руку.

Г. Мачабели

11 декабря, 1896, г. Петербург

ნიკოლოზ ერისთავი

Октября 31 дня 1896 г.

Ваше Сіятельство Князь Иванъ Георгіевичъ!

Уставъ сельскохозяйственного товарищества землевладѣльцевъ Горійского уѣзда уже утвержденъ подлежащей властью. Настоящимъ письмомъ имѣю честь просить Васъ, какъ учредителя, подписавшаго уставъ, пожаловать въ гор. Гори, въ помѣщение горійского общественнаго клуба 10-го Ноября сего года, къ 12 час. дня на частное совѣщаніе для избранія временного комитета, имеющего принимать паевые взносы отъ учредителей и для назначенія дня перваго общего собранія.

Генералъ-Лейтенантъ Кн. Н. Эристовъ

ტომსკის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები

ბატონო ივანე!

უკვე 10 წელი შესრულდა, რაც ქალაქ ტომსკში უნივერსიტეტი დაარსდა და სხვათაშორის სემინარიაში სწავლა დამთავრებულებსაც მიეცათ ნება აქ სწავლისა. ამ გარემოებას მცირე მნიშვნელობა არა აქვს ქართველთათვის, ვინაიდან ბევრი ახალგაზრდა ქართველი ამთავრებს სწავლას სემინარიაში. აქამდეც ყოველწლივ 10-მდე ქართველი სტუდენტი არ გამოლეულა ამ უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგისათვის, იმედია, ეს რიცხვი გაორკეცდება და გასამკეცდება, რადგან რკინის გზამ ტომსკი უკვე შეუერთა ევროპას. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ აქაური ქართველი სტუდენტობა ყოველთვის უღარიბესი იქნება ყოველ სხვა უნივერსიტეტის სტუდენტობაზე. მაშასადამე, ის მატერიალური გაჭირვება,

რომელსაც ყოველთვის უჩივიან ქართველი სტუდენტები, ჩვენს შორის მრავალკეც უნდა იგულისხმებოდეს. ამის გამო აქაურმა სტუდენტებმა განვიძრახეთ აწინდელს ჩვენს კასასას, რომელიც ეხლა 15 მან. არ აღემატება, შევმატოთ რამე შეწირულებათა შეკრებით და თქვენც, როგორც წევრს ქართველს საზოგადოებისას, მოგმართოთ ამავე თხოვნით.

ქართველი სტუდენტები

ქ. ტომსკი, 1896 წელს, ოქტომბერს

რადგან კასსა ოფიციალური არ არის, ამიტომ ადრესი ეს არის: Въ г. Томскъ. Студенту Университета Николаю Мревлову.

როსებ ამირეჯიბი

ძმაო ვანო!

გთხოვ, ხვალ სადილად მეწვიო შენის ცოლის ძმებით, გიორგი და თუ დათაც აქა ბრძანდება. სადილი მაქვს ვერაზედ ბაღში „Фантазия“.

თუ დათიკო ამილახვრის ბინა იცოდეთ, დიდათ გთხოვ, შეატყობინო, რომ მეწვიოს ხვალ ბაღში.

შენი უერდგულესი როსებ ამირეჯიბი

16 ноября 96 г. г. Тифлисъ.

რუსული თეატრალური საზოგადოება

Состоящее подъ Августѣйшимъ покровительствомъ Его Императорскаго Величества Государя Императора Русское Театральное общество.

Совѣтъ Общества.

№433. 7/19 Декабря 1896 г.

Его Сіятельству Князю И. Г. Мачабели.

Милостивый Государь,

Князь Иванъ Георгіевичъ!

Совѣтъ Русскаго Театральнаго Общества, по рекомендаціи А. Н. Кремлева, имѣетъ честь покорнѣйше просить Васъ, не признаете ли Вы возможнымъ принять на себя обязанности агента Общества въ Тифлисѣ и о согласіи Вашемъ на принятіе званія агента и соединенныхъ съ симъ обязанностей, благоволить сообщить Совѣту, который, по полученіи Вашего отвѣта, немедленно доставитъ Вамъ довѣренность и квитанціонную книжку для выдачи расписокъ въ получаемыхъ суммахъ.

Председатель Совѣта А. Потюхин

За Секретаря А. Кремлев



დომინიკა ერისთავი
თბილისი, 1896 წელი
ფოტო: ალექსანდრე როინაშვილი

გ. სივეროვ

Ваше Сіятельство,

Спѣшу сообщить Вамъ, что Е. И. В. Великій Князь Николай Михаиловичъ проситъ Васъ зайти къ нему завтра вторникъ 10-го Декабря въ 12 час. дня.

Вашъ покорній слуга Г. Сиверовъ
Тифлисъ, 9-го Декабря 1896 г.

დომინიკა ერისთავი

დიდად პატივცემულო თავადო ივანე გიორგის ძევ!

მადლობის ღირსი არა ვარ, ბატონო. გინა ასე მცირე რამესთვის მადლობა უნდა მიბრძანოთ! თქვენმა მზემ და შვილებს გეფიცებით, იმ ზომამდე გვაწუხებდა ყველა თქვენს პატივისმცემლებს თქვენი ავადმყოფობა, რომ მეტი არ შეიძლება და ღმერთს ვმადლობთ, რომ არ დაგვიკარგა თქვენი თავი ჩვენის ქვეყნის სასარგებლოდ. იცოცხლეთ ათასს წელს ძვირფასის სახლეულობით.

მარად თქვენი პატივისმცემელი დომინიკა ერისთავი
[1896 წელი]

დავით კარიჭაშვილი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება
საზოგადოების გამგეობა.

16 ქრისტ. 1896 წ.

მივიღე თ. ივანე მაჩაბლისგან საზოგადოების ყულაბი №84.

მდივანი დ. კარიჭაშვილი

დიმიტრი ბასილაია

დიდად პატივცემულო ივანე გიორგის ძევ!

ყოველი ქართველისათვის, მათ შორის ჩვენთვისაც, ამ უკანასკნელ წლებში საჭირ-ბოროტო საქმედ გახდა სათავად-აზნაურო ბანკები. ესენი ერთად ერთი დაწესებულებანი არიან ჩვენის ქვეყნისა, რომელთაც ადევთ ეროვნული ელფერი, ამოქმედებს და ასაზრდოვებს ეროვნული გრძნობა. ყოველი ქართველი გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს ამ ეროვნულ დაწესებულებათ, თუ პირადად არა, სულიერად მაინც ღებულობს მონაწილეობას იმ პატრიოტულ ბრძოლაში, რომელიც ბანკებმა ჩვენში ააღორძინეს. ვისაც მდგომარეობა აძლევს ნებას, დაესწროს ბრძოლის მომენტს პარტიებთა შორის, უეჭველია, ის უმეტესს შემთხვევაში, თუკი არ არის „სულიერად დაკავშირებული“ რომელიმე პარტიის „წარმომადგენელთან“. მოკლებული თვალ-ხედვის ისარს, შეიმუშავებს უტყუარს აზრს, კრიტერიუმს პარტიების შესახებ. მაგ., რა ჰქნას მან, რომელიც წმინდა მოვალეობად სთვლის, ბანკების ძარღვის ცემას უდარაჯოს და პირადად კი არ ძალ-უძს მათი მდგომარეობა, მათი მმართველთ მოღვაწეობა თავისი საწყაოთი ასწონოს.

ერთად ერთი სახსარი, რომელიც მას სურვილს დააკმაყოფილებინებს, არის ბეჭდვითი სიტყვა – დღიური გაზეთი. მაგრამ ჩვენი პერიოდული გამოცემანი ასრულებენ თუ არა ამ წმინდა დანიშნულებას, აწვდიან თუ არა საზოგადოებას დარბაისლურს, მიუდგომელს, დამჯდარს აზრს, დასკვნას იმაზედ, რაც ბრძოლის ასპარეზზედ ხდება.

არა, ათასჯერ და ათი ათასჯერ არა!! რისთვის? ეს ყველამ კარგად უწყის, ბატონო ივანე გიორგის ძევ!

თანამედროვე ცხოვრებაში ბეჭდვითი სიტყვას სუსტს, მოკლებულსა სიმართლესაც მკითხველი და თანამგრძნობელი ბევრი ჰყავს. მათი რიცხვი დღითი-დღე მრავლდება მაშინ, როცა ამ სიმართლეს მოკლებულ აზრს შესაფერისი იარაღით აღჭურვილი მოპირდაპირე, მოპოლემიკე არ გააჩნია, რომელმაც რიდე ახადოს, სინათლე მიაშუქოს დაჩრდილულსა და დაფარულ საქმის ვითარებას.

სწორედ გაზეთების გავლენით აიხსნება, რომ ზოგიერთ დაბა-სოფლებში მცხოვრებთ „ოპოზიციის“ შესახებ აქვთ შედგენილი დამახინჯებული აზრი... ჩვენც იმავე გაზეთების მიზეზით, ვინ იცის, რასა ვფიქრობდით, ვის ვამართლებდით და ვის ვამტყუნებდით... მაგრამ, როცა დავესწარით ბანკის დღევანდელ კრებას და შემდეგ გადავათვალიერეთ გა-

ზეთები, დავინახეთ, თუ რა უსამართლობით გაჟღენთილნი არიან ის ორგანონი, რომელნიც წამდა-უწუმ სხვებს უკიჟინებენ სამართლიანობას და კანონის დარღვევას...

დასავლეთ ევროპაში, როგორც უკეთ მოგეხსენებათ, პატივცემულო ივანე გიორგის ძევ, არამც თუ პარტიებს, დასებს, წრეებს, არამედ თვით გავლენიან მოღვაწეთ აქვთ თავიანთი გაზეთი, თავისის სამოღვაწეო პროგრამის, მისწრაფების გამომაქვეყნებელი და მოდავე მოწინააღმდეგეებთან.

ამგვარი ტიპის გაზეთები ყველგან და ყველასაგან მიმჩნეული არიან სასარგებლოდ და ყოველ მებრძოლ პარტიის აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ. აი, რას წერს ამაზედ ჩვენი ცნობილი პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე: „ვერ ვინ იტყვის, რომ პარტიები არ გვყავდეს, გამწარებით, დაუზოგველნად მებრძოლნი, ერთი მეორის წინააღმდეგ, მიბრძანეთ, რომელი ორგანო გაგვაჩნია მათის პროგრამების, მათის განზრახვის, მსჯელობის, კრიტიკის გამომთქმელი?“. „რადგანაც პარტიები გვყავს, რადგანაც მათ შორის ბრძოლაა გაჩაღებული, მათი პირდაპირი მოვალეობაა, მათი პატიოსნების ვალია, მწერლობაშიდაც იქონიონ ღირსეული ორღანოები თავიანთი მიმართულების და შეხედულების დამცველად და გამომთქმელად“. „პარტიული ორგანოების არსებობა, განაგრძობს იგი, დიდად საჭირო და სასარგებლოა ქვეყნის ზრდისა და წარმატებისათვის, რადგანაც საზოგადოება ამ აზრების შეხლა-შეტაკებით ეჩვევა ჭეშმარიტების გამოკვლევას და სწორე გზის არჩევას“...

სწორე გზის ჩვენება ერის უმრავლესობისათვის უსამართლოების ნანგრევებზე სამართლიანობის ბრწყინვალედ დამყარება დაუვიწყარ, უაღრესს ღვაწლად ჩაეთვლება საზოგადო მოღვაწეს. რადგანაც თქვენი დედა აზრი, თქვენი მისწრაფება „ბრძოლაა“ სამართლიანობის დასამყნევად ჩვენის ობოლ ეროვნულს დაწესებულებაში, გიცხადებთ რა ჩვენს გულწრფელს თანაგრძნობას, უმორჩილესად გთხოვთ – იხმაროთ ყოველი ღონის-ძიება დედა ენაზედ გაზეთის გამოსაცემად, რომ მისი საშუალებით ახლო-მომავალში შეიძლოთ თქვენი მიზნის სავსებით დაგვირგვინება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენისთანა მხნეს, დიდად განვითარებულს, მომზადებულს მოღვაწეს გაზეთის პირადად ხელმძღვანელობა, გამოცემა, საერთო ძალ-ღონით არ გაუძნელდება, მითუფრო ამ ჟამად, როცა ქართულს გაზეთს მკითხველი საზოგადოება ათასობით ჰყავს.

ამ რწმენამ გამოიწვია ჩვენი წერილი თქვენდამი, ჩვენი სუსტი ხმა, ხმა წარმოშობილი წრფელი გრძნობიდგან.

თუ ეს ჩვენი სუსტი ხმა თქვენ მოგწვდათ, ჩვენ დიდად ვიქნებით დაჯილდოვებულნი.

თქვენი ღრმად პატივისმცემელნი: ი. უზნაძე, ა. ხოშტარია, ს. ორახელაშვილი, ნ. ლ. ჯინორიძე, ა. დ. ლორთქიფანიძე, მ. გ. ბოლქვაძე, ვ. სულაქველიძე, თ. თოფურიძე, დ. ჩარკვიანი, დიმ. ბასილაია

P. S. ამ ბარათზე ბევრ ჩვენი თანამოაზრეთათვის შეგვეძლო, ხელი მოგვეწერინებინა, მაგრამ ეს საჭიროდ არ ჩავთვალეთ, აგრეთვე შეგვეძლო, დაგვესახელებინა, ჩვენის ჰფიქრით, წყარო გაზეთის გამოსაცემად, პირი, რომელსაც აეღო ნება-რთვა გაზეთის გამოცემისა მთავრობისგან, მაგრამ უადგილოდ ვცანით მოწინავე კაცს, შეგიძლიათ ჩვენზედ უკეთესად მიაგნოთ ყოველგვარს წყაროსა და სხვებისათვის შეუძლებელი შეიძლოთ.

დიმ. ბ-ია

[1896 წელი]

რუსეთის ფინანსთა სამინისტრო

Министерство Финансовъ.
Особенная Канцеларія по Кредитной части, Отдѣленіе 5, столъ 1.
3 Июня 1897 г., №8573.

Его Сиятельству Князю Ивану Георгіевичу Мачабели,

По докладѣ Г. Министру Финансовъ ходатайства Вашего по предмету отмѣны постановленій чрезвычайнаго общаго собранія членовъ тифлисскаго Дворянскаго Земельнаго Банка 19-21 Июня 1896 г., а также доставленныхъ Правленіемъ Банка по требованію Министерства Финансовъ, по поводу однородныхъ ходатайствъ, объясненій, Его Превосходительство не призналъ возможнымъ сдѣлать какие либо распоряженія по означенному ходайству Вашему, о чемъ Особенная Канцелярія по Кредитной части и имѣетъ честь поставить Васъ, Милостивый Государъ, въ извѣстность.

Директоръ Б. Малешевский
Начальникъ Отдѣленія А. Петровский

ივანე ელიაშვილი

11/VI. 1897 წ. ზაქათალა.

ძმაო ვანო! დიდ ბოდიშს ვიხდი შენ წინაშე, რომ წამოსვლის დროს ვერ გნახე, მაგრამ იმედი მაქვს, მაპატიებ, როგორც არაჩვეულებრივ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს. ამასთანავე ჩემი შენდამი ამდაგვარი გულგრილად მოქცევა უნდა გარწმუნებდეს შენ, თუ როგორ არასამძიმოთ მიმაჩნია მე შენი ავადმყოფობა. მხოლოდ ერთი რჩევა მინდოდა მე შენთვის მომეცა და ვერ მოვასწარი თქმა მაქ ყოფნის დროს, თუნდა გიორგის კი ვუთხარი, როგორც მახსოვს. საქმე ის არის, რომ შენ გამოკეთების შემდეგ აპირებ გამგზავრებას ვასოსთან და ეს მე არ მომწონს. არ მომწონს მისთვის, რომ იქ შენ სრულებით უექიმოთ იქნები და ეს გარემოება თითონვე შენ არ მოგცემს მოსვენებას. მეორეც ის, რომ იქაური ჰაერი ისე სასარგებლო არ იქნება შენთვის, როგორათაც აბასთუმნის. ამისათვის მე გირჩევ, როგორმე გაიჭივრო საქმე და ეს მომავალი ორი თვე აბასთუმანში დაჰყო. იქაური ჰავა სრულებით განგკურნავს და მერწმუნე, ყველა შენი მეგობრები მოხარულნი იქნებიან შენი ჯანმრთელად ყოფნით. იმედია, ამჟამად იმოდენად კარგად იქნები, რომ შეგეძლება აბასთუმნისაკენ გამგზავრება, თუ მატერიალური მდგომარეობა ნებას გაძლევს, თუნდა ჩემის აზრით, არ უნდა დაზოგო და უთუოდ უნდა მოახერხო ეს საქმე. კიდევ გიმეორებ, შენის ჯანმრთელობის აღდგენისათვის მე აუცილებელ საჭიროებად ვრაცხავ აბასთუმანს. ეხლა მეტს არას გწერ. მოვიკითხავ დიდის პატივისცემით ყველას შენ ოჯახში მყოფთ.

შენი ერთგული ძმა და მეგობარი ვანო ელიაშვილი

ნიკოლოზ ყიფიანი

Извините меня, Иванъ Георгіевичъ,

Что не могу пренебречь и 50 р. которые Вы такъ любезно предлагаете. Придется собрать по мелочамъ.

Деньги эти я возвращу Вамъ, какъ вчера писалъ, 9-15 февраля. Потрудитесь прислать съ подателем.

Къ услугам вашим Н. Кипиани

17 января, *[1898 წლამდე]*

კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელი

М. В. Д. Тифлисскій Губернскій Предводитель дворянства
28 Марта 1898 года. №114. г. Тифлисъ.
Его Сіятельству Князю И. Г. Мачабели.

Милостивый Государь Князь Иванъ Георгіевичъ!

Управляющій Государственнымъ Дворянскимъ Земельнымъ Банкомъ, по порученію Г. Министра Финансовъ, препровождая ко мнѣ проектъ положения о дворянскихъ кассахъ взаимопомощи, проситъ внести означенный проэктъ на обсужденіе Собранія Предводителей и Депутатовъ Дворянства и заключеніе сего Собрания сообщить ему.

Для тщательнаго и всестороннаго обсужденія упомянутаго проэкта нашелъ необходимымъ предварительно внесенія его въ Собраніе Предводителей и Депутатовъ Дворянства имѣть въ виду мненіе по этому проекту компетентныхъ лицъ и интересующихся положеніемъ дворянства.

Посему препровождая при семъ одинъ экземпляръ упомянутого проэкта, имѣю честь покорнѣйше просить Ваше Сиятельство по возможности въ самомъ непродолжительномъ времени сообщить мнѣ мненіе Ваше по сему проэкту.

Покорно прошу Ваше Сіятельство принять увѣреніе въ истинномъ моемъ уваженіи и совершенной преданности.

Князь Константин Багратион-Мухранский

გიორგი ამირეჯიბი

Метехск. Замок. 17 Дек.

საყვარელო ძმაო ვანო! იმედი მაქვს ამ თხოვნას შემისრულებ, ძალიან და ძალიან საჭირო საქმე მაქვს თქვენთან, ისე რომ, წერილით ვერას გაგაგებინებ, ხუჩაბათს უნდა მნახო, მხოლოდ პროკ-როს სთხოვთ და იმის ნებართვით შემოხვალთ, კვირაობით კი უი-მისოთაც შეიძლება, მაგრამ ხუჩაბათობით მინდა ნახვა, რადგანაც ძალიან საჩქარო არის.

აგრეთვე თუ გიორგი აქ არის, ან ნიკოს, ან გიოს ვსთხოვ, თუ ჩემი მეგობრობა და მეზობლობა გწამსთ, გთხოვთ, როგორც ტყვე, არ დამზარდეთ და მნახოთ რომლითაც საუკუნო გადაუხადი ვალით ვიქნები დავალებული, ამაზე მეტად ნუღარ შემიხვეწებთ: მოგელით როგორც მომაკვდავი მოძღვარს; კნეინა ტასოს უმდაბლესთ მოკითხვას მოვახსენებ. იმედი მაქვს, თუ თქვენ შორს სადმე იქნებით, ამ წერილს დიასამიძიანთა გადასცემთ, იმათი ადრესი არ ვიცი.

თქვენი ერთგული ძმა გიორგი ამირეჯიბი

[1898 წლამდე]

გიორგი თარხნიშვილი

Прошу Васъ, искренно уважаемый Князь Вано, ускорить разрешеніе о выдаче свидетельства подъ вторую закладную въ частные руки дома. სიმონსონიც შემოგიტანთ, რაც მაკლია შემოსატანი ბანკში საგურამოსი და სახლისა.

რა არის, რო ისე დამივიწყეთ, რო უცხოებს გადააჭარბეთ. მაისში ვაპირებ წასვლას გრანიცაში, თუ ღმერთი მომეხმარა.

Шлю Вамъ сердечный приветъ.

Искренно уважающий Васъ Кн. Тархнишвили

27 Апреля

[1898 წლის ივნისამდე]

სტაროსელსკი

Многоуважаемый кн. Иванъ Георгіевичъ.

На дняхъ тирдзнисскій сельскій учитель, г. Сехніевъ, прося о предоставленіи ему мѣста разслѣдователя филоксеры, передалъ мнѣ Ваше рекомендательное письмо. Не смотря на большое значеніе для меня Вашей рекомендаціи, я не имѣю никакой возможности предоставит г-ну Сехніеву просимое мѣсто, вслѣдствіе сокращенія личнаго состава подчиненной мнѣ партіи почти на половину.

Крайне сожалѣю, что принужденъ отвѣтить Вамъ отказомъ и прошу вѣрить, что я искренно желалъ-бы обратнаго.

Преданный Вамъ Кн. Старосельский

6 мая, Сурамъ

[1898 წლის ივნისამდე]

ნიკოლოზ ყორღანოვი

Многоуважаемый Князь Иван Георгіьвич!

Извините великодушно, что до сих поръ не могъ сообщить Вамъ просимые справки, – виною тому переписка съ Коджорцами. Как увидите из прилагаемой телеграммы, я ошибся, что писал Дукельскому; по получении его телеграммы, я писал завѣдывающему финансовою частью г. Глоба, полученную от которого телеграмму при семъ же присылаю Вамъ. Еду сейчас в Коджоры, гдѣ буду лично просить об ускоренія дѣла.

Примитѣ Князь увѣрения въ совершенномъ почтении и преданности
Вашего покорнейшего слуги Н. Карганова
25/VII

[1898 წლის ივნისამდე]

ივან ხუდადოვ

Многоуважаемый Иванъ Георгіевичъ!

Хотя неудобно Васъ безпокоить, но одинъ товарищъ долженъ внести въ банкъ въ кредит. общество 35 руб. Если можете въ счетъ этихъ ста руб. если же нѣтъ, на нѣсколько дней одолжите.

Деньги передайте этому мушѣ.

Уваж. Васъ И. Худадовъ

[1898 წლის ივნისამდე]

მალხაზ ანდრონიკაშვილი

26-го Декабря. Сигнахская Тюрьма.

Преждѣ всѣго, позвольте дорогой Князь Вано, поздравить Васъ и Вашѣ Семѣіство Рождественскимъ Праздникомъ и наступающимъ Новымъ Годомъ. Желаю Вамъ всѣго-всѣго хорошаго.

Теперь прошу Васъ простить мнѣ за мою безъпечность и присылаю Вам за журналы Квали четыре рубля, которые я долженъ за 2-ое полугодіе. Я совсемъ забылъ, что еще не уплачивалъ и только вчера жена напомнила мнѣ въ своемъ письме – послалъ ли я деньги за Квали – по почте? И вотъ спѣшу проплатить, чтобъ не считали-бы меня за не аккуратного плательщика.

Дорогой Князь, прошу сообщить мнѣ адресъ редакции журнала „Квали“ – а то не знаю адреса – чтобъ опять выписать сей журналъ, а журналы все у моей жены – я же нахожусь въ Сигнахе въ Теплой Тюрьме – вотъ уже мѣсяцъ и срокъ у меня кончается только 1-го февраля. Развѣ когда нибудь я могъ вообразить, что Рождество и Новый годъ проведу въ тюрьмѣ и это все за имѣния и проклятого Тамамшева.

Затѣмъ до свиданія и еще прошу Васъ простить мнѣ за мою не акуратность. Нижайший мой привѣтъ Вашей супруге, княгине Тасо и княжне Бабо.

Остаюсь Уважающий Васъ Малхазъ Андрониковъ

[1898 წლამდე]

სპირიდონ ვაწაძე

1

თბილისი. 19 ივნისი.

ძმაო ვანო.

თქვენი წერილის პასუხი, ვამჯობინე, გაცნობოთ წერილითვე. მთელს აბასთუმანში სამს ალაგას ვნახე ისეთი ოთახი, როგორიც თქვენ გნებავთ. იძლევიან ოთახს სეზონობით ათი თუმნიდგან თუთხმეტ თუმნამდე უმოსამსამხუროთ და უსამოვროთ; სამოვარში ცალკე თხოულობენ ოთხ მანეთს თვეში, მოსამსახურე კი თვეში ეღირება ხუთი მანეთი. ოთახები მივარდნილ, უკანა ადგილას არიან, უსუფთაო, მოუწყობელი და უმარჯვო. აქ არის ახალი სასტუმრო, ქვემო ეტაჟის ოთახები ეძლევა ავათმყოფებს, ზემო ეტაჟის – შედარებით კარგათ მყოფებს. ოთახი სრული, ბალკონით, მებელით, ვატერკლოზეტით, სამოვრით, ქალ-ბიჭი მოსამსახურით სეზონობით ღირს 175 მანეთი. აქვე გვარიანი სადილებია, ღირს ორი თავი საჭმელი თვეში თუთხმეტ მანეთათ. მე გირჩევთ, სასტუმროს ოთახი ამჯობინოთ. პასუხი ტელეგრამით მაცნობეთ, მთხოვნელები ბევრია.

თქვენი პატივის მცემელი სპირიდონ ვაწაძე
[1898 წელი]

2

ძმაო ვანო!

ავტოფსკის დაჩაზედ არის ოთახი, მაგრამ ნესტიანი და ბნელი, არ ვარგა, ამისათვის ვამჯობინეთ გასტინიცაში; ბე მიცემული გვაქვს, ფაფუკი სავარძელი და სკამი ერთიც არ არის; დეზინფექცია მოვახდინეთ, თუმცა, საჭირო არ იყო, ახლად შეღებილია, სუფთა, არავინ მდგარა.

თქვენი პატივის მცემელი სფირიდონ
29 Июня, 98 г.

დეპეშები ივანე მაჩაბელს

ლუარსაბ (შაქრო) მაღალაშვილი

Тифлис, Ольгинская. Князю Ивану Георгіевичу Мачабели.
29/V-го, 1882 г. Петербург.

Переговори своими, имеет ли шанс Сашико Орбелиани если поставит ящик на губернскаго предводителя.

Магалов

ეფროსინე და ალექსი ჭიჭინაძეები

Редактору Дроэба Князю Мачабели.
В Тифлис из Кутаиса, 16/IX-го 1885 г.

Глубоко огорчены извѣстіем о закрытіи Дроэба.

Ефросинья и Алексѣй Чичинадзе

კოტე ყიფიანი

Редактору Дроэба.
Кутаисъ, 16/IX-го 1885 г. Тифлисъ.

Все грузинское общество возмущено и опечалено горестнымъ извѣстіем о закрытіи единственной Грузинской Газеты.

Коте

მიხაი ზიჩი

Тифлис, поземельный Банк, Князю Мачабели.
Петербург, 16/12-го 1887 г.

Благодарю высоко ценю вашу дружбу.

Зичи

აკაკი წერეთელი

Дворянский Земельный Банк, Князю Мачабели.
20/V 1891 г.

Только что послана на подпись министру, твоя депеша запоздала.

Акакий

ევსტატე თარხნიშვილი

Тифлис, Ольгинская Князю Ивану Мачабели.
Петербург. 26/VI-го 1896 г.

Кем скосировано предыдущія выборы, кто председательствовал, балотировались ли вы.

Невский 54.

Евстафій Тарханов

ნიკოლოზ ორბელიანი

1

Петербург. 11/X-го 1896 г.

Возобновил газетное дело успех обезпечен, сообщи Илико подробности письмом.

Коля

2

Тифлис, Ольгинская 40. Князю Ивану Мачабели.
21/XII-го 1896 г. Петербург.

Постараися скорее учест тысячу и перевести через юнкера, дело кончится хорошо половине января.

Коля

3

Тифлис, Ольгинская 40. Князю.
4/I-го, 1897 г. Петербург.

Высланных не получил, постарайся поспешить учетом и переводом. Объявление получено пишу ответ.

Коля

4

Тифлис, Ольгинская 40, Князю Ивану Мачабели.
Тифлис-Петербург, 9/V-го 1897 г.

Постановления чрезвычайнаго собрания отменяются безусловно, может только к двадцатому запоздать сообщение банку об отмене. Необходимо пятидесяти лицам подать главноначальствующему прошение – отсрочить собрание, для избежаний недоразумений впредь до ответа кредитной канцелярии, отмена же безусловна.

Орбелиани

5

Тифлис, Ольгинская 40. Князю Ивану Мачабели.
13/V-го 1897 г. Петербург.

К двацатому сообщение об отмене запоздает, избрание Чавчавадзе не имеет значения, все

следующее за выборами твоими признается недействительным, поэтому если состоится общее собрание, следовало бы держатся спакойнаго протеста как в прошлом году, торжествую нравственным удовлетворением. Привет нашим.

Орбелиани

6

Тифлис. Ольгинская 40. Князю Ивану Мачабели.
22/V-го 1897 г. Петербург.

Сообщи Гунцадзе, кредитная канцелярия ответила в субботу предводителю, что дело скоро разрешится. В конце недели сообщат правлению об отмене постановления чрезвычаинаго собрания ето безповоротно.

Орбелиани

7

Тифлис, Ольгинская 40, Князю Ивану Мачабели.
27-го 1897 г., Петербург.

Когда приблизительно кончится собрание, можете быть в канцелярии, успеете сообщить телеграмой в сумме собраны.

Орбелиани

ვასილ მაჩაბელი

Изъ Петербурга, Г-ну Вано Мачабели.
7/III-го [1897].
Гоми. Вано Мачабели.

Коля на дняхъ подастъ. В теченіе Марта дѣла кончится телеграфитровалъ.

Васо

ანანიევ

Тифлисъ, Ольгинская. Ивану Мачабели.
Из Кутаиса. 11/V-го 1897 г.

Я и жена очень рады, что правда восторжествовала поздравляемъ.

Ананьевъ

დიმიტრი ფავლენიშვილი

Тифлис Ольгинская. Князю Мачабели.
9/XI-го 1897 г.

Уверяю, что не сижу сложа руки о результате уведомлю на днях.

Мито

ივანე მაჩაბლის დღიურები



ივანე მაჩაბელი
თბილისი, 1890-იანი წლები
ფოტო: ალექსანდრე როინაშვილი

1

იანვრის 8, 1894 წ. 1) ხვალ საზოგადო კრებაა წ. კ. საზოგადოებისა. სასურველია, ამ კრებაზედ მიექცეს ყურადღება „საზოგადოების“ სკოლების გამრავლებას და შესდგეს კომისია, რომელმაც გამოარკვიოს უფლება „საზოგადოებისა“ სკოლების გახსნის შესახებ. ამ კომისიაში წევრად კარგი იქნება, ამოარჩიოთ ნ. ცხვედაძე, ა. ჭყონია, ა. ჭიჭინაძე, ა. წერეთელი და მ. მაჩაბელი.

იანვრის 15. 1) წარსული გადაწყვეტილება მთლად ვერ ასრულდა, თუმცა კომისია ამოვირჩიეთ, რომელშიაც მოჰყვნენ ნ. ცხვედაძე, ა. ჭიჭინაძე, ა. წერეთელი, გ. საყვარელიძე და ა. ყიფშიძე. შემდეგში წესად უნდა შემოვიღოთ, რომ კომისიებში და კომიტეტებში მხოლოდ ფარულის კენჭის ყრით ამოვირჩიოთ ხოლმე.

2) თვალყური ვადევნოთ, რომ კომისიამ შეიმუშავოს საგანი სკოლების გამრავლებისა და, რადგან საგანგებო კრებაა, მარტში უნდა მოხდეს, ამ კრებამდე ჩვენც განვიხილოთ ეს საგანი. აქ მიენდოს ა. ჭიჭინაძეს და ი. მაჩაბელს, წერილი მისწერონ სვ. წერეთელს და აცნობონ შემდეგი: 20 იანვარს დანიშნულია საგანგებო კრება ქუთაისის თავადაზნაურობისა დეპუტატების თაობაზედ ბანკში. ეს ისეთი საგანია, რომელიც მთელს ჩვენს ქვეყანას შეეხება და ორივ ბანკების ბედზედ იმოქმედებს, ამიტომ ეცადოს კრება, ამ საქმის გადაწყვეტა გადასდოს და კომისია ამოარჩიოს, რომელმაც აქაურ წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავოს, თუ როგორ იქნება სამჯობინოთ ამ საქმის მოწყობა. თუ ვინიცობაა, კომისია არ მოხერხდა, ამას მაინც ეცადოს კრება, რომ დეპუტატების ამორჩევის წესში სამი პირობა იყოს დაცული: ა) დეპუტატები ამორჩეული იქმნენ არა მარტო მაზრობით, არამედ

დამფუძნებელთა რიცხვის კვალობაზედ, ბ) მსესხებლებს სრულებით ჩამოერთვას უფლება დეპუტატების ამორჩევისა, ან თუ არ მოხერხდება, მათი უფლება ბევრათ ნაკლები იყოს დამფუძნებელთა უფლებაზე და გ) მაზრებში დეპუტატების ამორჩევის დროს შეეძლოთ გასინჯვაც ყველა იმ საგნისა, რომელიც საზოგადო კრებაზედ უნდა განხილულ იქნას.

იანვრის 22. 1. ამოვარჩიეთ კომიტეტი ხუთის პირისაგან: ლადო ვაჩნაძისა, გიგო დიასამიძისა, ევგ. ვაწაძისა, ალ. ბაქრაძისა და ვანო მაჩაბლისაგან, რომელსაც მიენდო სამეურნეო საზოგადოების ყურის გდება. მათი დანიშნულებაა, ბლომად ჩასწერონ ქართველობა ამ საზოგადოებაში წევრად, საწევრო ფული დროზედ შეატანინონ ხოლმე და ყური უგდონ, როცა შესანიშნავი საგანი იქნება რამე, ყველანი გამოსცხადდენ. ამასთანავე კომიტეტი შესდგა დრამატიული საზოგადოებისათვის. კომიტეტში არიან ი. გუნცაძე, ი. ბახტაძე, ნ. თარხნიშვილი, სახოკია და ი. მაჩაბელი.

2. სათავადაზნაურო სკოლის საზოგადოების კომიტეტმა დაარსოს განსაკუთრებული თანხა სხვადასხვა სასწავლებლებში მოსწავლეთათვის და ზნეობრივად დაევალოთ იმ პირთ, რომელნიც ამ თანხიდან სწავლის დროს ფულს გაიტანენ, შემდეგში ნაწილ-ნაწილ მაინც შეავსონ. წრევანდელ კრებაშივე ბანკს მოეთხოვოს ამ საგნისთვის ორას თუმნამდე, მაგრამ იმ დრომდე ცნობები მოიკრიფოს სხვადასხვა რუსეთის ქალაქებიდან, რომელ სასწავლებელში რამდენი ქართველი მოსწავლეა, რომელ ფაკულტეტებზე, რა კურსზე და რა საშუალებითა სცხოვრობს.

იანვრის 29. იყო ლაპარაკი დეპუტატების ამორჩევის შესახებ ბანკში. ვარჩიეთ, რომ ქუთაისისა და თბილისის ინტელიგენციის წარმომადგენელთ საერთოდ შეიმუშავონ, თუ მოსახერხებელი იქნება, ის წესები, რომელნიც სამჯობინაროთ იქნება ან ერთის ბანკისთვის ან მეორესთვის, და საზოგადოდ ჩვენის ცხოვრების მიმდინარეობისათვის.

თებერვლის 5. 1) შემდეგის სხდომისათვის სამეურნეო კომიტეტმა მოხსენება წარმოგვიდგინოს აწინდელ მდგომარეობაზედ სამეურნეო საზოგადოებისა.

2) ბანკმა იყოლიოს აგრონომი. ინსტრუქცია ამ აგრონომისათვის შეიმუშავოს მიმდინარე თვეს კომისიამ მოწვეულ კაცთა თანა-დასწრებით.

თებერვლის 12. პირველსავე სამეურნეო საზ. კრებაზედ გამოცხადდენ ყველანი და წევრად ვაცნობინოთ ყველანი, ვისაც წესდების ძალით ეს უფლება არ დაუკარგავს. ამ საზ-ის ჟურნალის რედაქტორად ამოვარჩეინოთ ის პირი, რომელზედაც ჩვენი კომიტეტი მიგვითითებს. რედაქტორისა და სეკრეტრის თანამდებობა არ შევაერთებინოთ. კანდიდატები ვიცეპრეზიდენტის თანამდებობაზედ: 1) გეევსკი, 2) შიმანოვსკი, 3) ტარატინოვი და 4) ვეირენჰოფი. რჩევის წევრად ორი პირი დავასახელეთ: ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ვ. გ. მაჩაბელი.

თებერვლის 19. 1) ქარვასლა სკოლის საზოგადოებას გადაეცეს.

2) წესდება ამ საზოგადოებისა ნუ შეიცვლება, 15 ხმ. წინააღ. 4.

3) აწინდელის წერილების ძალით წევრად ამ საზოგადოებისა შეიძლება იყოს მხოლოდ თავადაზნაური თბ. გუბერნიისა.

თებერვლის 26. დაესწრენ 16. 1) ნიკო დიასამიძის წინადადება: სათავადაზნ. კრებებზედ აღვძრათ ბაასი იმის შესახებ, რომ თავადაზნაურს სახლ-კარბინადრობა და რამდენიმე დღიური სამუდამოდ შერჩეს. ამ წინადადების დასაბუთიანება შემდეგის კრებისათვის მიენდო ნიკო დიასამიძეს, გიგო დიასამიძეს და გიორგი ბაგრატიონს.

2) ბანკის კრებამ გადასწყვიტოს ქარვასლის შეძენა სკოლის საზოგადოებისგან და გადაწყვეტილება გაყიდვის წესზედ მიენდოს გამგეობას და ზედამხ. კ-ტეტს.

წრეულს უეჭველად აღიძრას ამაზედ ლაპარაკი, თუნდ გამგეობამ არ აღძრას (მიშო მაჩაბელი და მიტო ფავლენიშვილი არ ეთანხმებიან ამ აზრს). 50 კაცს ხელი მოვაწერინოთ და ამ საგანზედ ლაპარაკი ავატეხინოთ.

3) სტუმრები მივიღოთ – ქალაქგარეშელები. ხმა გადამწყვეტი ნუ ექნებათ – მხოლოდ სარჩევი, 3 პირის რეკომენდაციით.

მარტის 5. დ. 24 და 3 სტ. 1) საჭიროა, რომ თავადაზნაურობას შერჩეს მამული საკუთრებად ისე და იმ ზომაზედ, როგორც კომისია გადასწყვეტს. ეს minimum-ი ვერც გაიყიდება, ვერც დაგირავდება. კომისია უნდა ამოარჩიოს გუბერნიის თავადაზნაურთა კრებამ და უნდა ეცადოს, საშვილიშვილოდ მამულები ქართველობასვე შერჩეს. რა გზას ამოირჩევს კომისია, ან რა ცნობებს დაისაჭიროებს, ეს მასზედ არის დამოკიდებული.

მარტის 12. დ. 16. 1) მალე განხორციელდეს ქალების სკოლის დაარსება.

2) თავადაზნაურთა კრებებზე აღიძრას ამაზედ ლაპარაკი და გაწერილი ფული სასკოლოდ ამ თანხას მიემატოს.

3) ბანკში, რაც სათავადაზნ. სკ. და წინამძღრიანთისას გადარჩეს, ამ თანხას მიემატოს.

4) ქუთაის. გუბერნიის მარშალსაც შევატყობინოთ, რომ იქაც ჩვენთან ერთად იზრუნონ ამ საგანზედ.

5) პროვინციებში ყოველ შესანიშნავ დაბა-ქალაქში თითო პირი ამოერჩიოთ, რომელმაც ან კომიტ. შეადგინოს, ან თითონ იზრუნოს ქალების სკოლის თანხის გაძლიერებისათვის. ეთხოვოს არ. ქუთათელაძეს, შემდეგის კრებისათვის სია წარმოედგინოს საქართველოს შესანიშნავ დაბა-ქალაქებისა.

მარტის 14. დ. 24 – სტ. 3. 1) სასკოლო საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვაში 3000 მ. შევიტანოთ წუხანდელს კრებაზედ სასტ. ფონდისათვის.

2) სათავადაზნაურო სასწავლებლებს შერჩეს ის ხასიათი საზოგადო განათლების სასწავლებლისა, რაც ეხლა აქვს. 2272.

მარტის 26. დ. 26, სტ. 1. 1) მოვიპოვოთ სათავად. სასწავლებლისათვის უფლება თუ არა? ბევრის ლაპარაკის შემდეგ ეს საგანი გადაუწყვეტელი დარჩა იმ დრომდე, ვიდრე ქალებისა და წინამძღვრიანთ კარის სკოლაზედ მოვილაპარაკებდეთ.

აპრილის 2. დ. 21. 1) სეკტემბრიდან 1895 წ. დაარსდეს ქალების სკოლა, რომლისათვისაც შემუშავდეს პროგრამა 1895 წ. მაისისათვის. მოთავეობა პროგრამის შედგენაში ეთხოვოს იმ ქალებს, რომელთაც ეს საქმე პირველადვე დაიწყეს.

2) ბანკის მოგებიდან მიეცეს წლიური ხარჯი სკოლის საზოგადოებას ქალებისა და ვაჟების სკოლებისათვის, დანარჩენიდან 50% გადაეცეს ქარვასლის გამოსახსნელ ფონდს და 50% სხვა საჭიროებას, მაგრამ თუ რომელსამე წელს სხვა საჭიროება არ იქნება, ისიც გამოსახსნელად გადაიდოს.

3) სასურველია, რომ სკ. კომიტეტში ღირსეული ქალებიც ამოვარჩიოთ. ეს საჭიროა, გავიხსენოთ იმიტომ, რომ ეს უფლება ქალებისა დღემდის თითქმის არ განგვიხორციელებია. 2071.

4. სკოლის კრებამ გამოაცხადოს, რომ მომავალში ყოველი ფონდი შუა გაიყოს ქალებისა და ვაჟების სკოლებშიც. 1576.

აპრილის 9. დ. 20, სტ. 4. 1) სასკოლო საზოგადოების აზრის მოუსმენლად ბანკმა არც ერთი გროში არ გაიღოს სწავლისათვის მომავალში.

2) წელს 5000 მან. წინამძღვრიშვილის სკოლას მიეცეს.

3) გამოირკვეს, რომ სტიპენდიატების დანიშვნა კომიტეტის უფლებაა.

4) სასკოლო კომიტეტს მიენდოს სკოლის მდგომარეობის გაცნობა და, თუ ბ. წინამძღვრიშვილი თანახმა იქნება, მოიფიქროს ამ სკოლის საუკეთესოდ მომართვასა და საბოლოოდ დამკვიდრებაზედ.

აპრილის 14 (ხუთშაბათი). დ. 19, სტ. 2. 1) წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაიცვას თავისი უფლება სკოლების გახსნის შესახებ წესდების ძალით თუ აქაურმა მთავრობამ უარი უთხრას, საჩივარს სენატამდე მიჰყვეს.

აპრილის 23. 15 – 4. 1. უფლება მოვუპოვოთ თუ არა სათავადაზნ. სკოლას? – ეს საგანი გადაიდოს, ვიდრე კრება გათავდებოდეს. 14 – 1.

2. გარდაწყვეტილებას შარშანდელს იმის შესახებ, რომ ნუღარავის რას მივცემთ მოგებიდან, ჯერჯერობით ნუ შევცვლით.

მაისის 7. 14 – 4. 1. სკოლის ხარჯთ-აღრიცხვა დაწვრილებით მხოლოდ კრებას წარმოედგინოს საერთოს და ბანკს საერთო ჯამი მოვთხოვოთ.

2. აგრონომზედ წრეულს ლაპარაკს ნუ ავტეხთ. პროექტის შესამუშავებლად.

3. კახელების თხოვნას მცირე-ვადიან ბანკის დაარსების შესახებ თანავუგრძნოთ – კომისია ამოვირჩიოთ პროექტის შესამუშავებლად.

მაისის 28. 1. ვანო მაჩაბელმა დააშავა, რომ მ. ვახტანგის ას. ორბელიანის სიტყვით თავი დაანება კომიტეტს.

2. დარჩეს კომიტეტში, თუ მაჩაბელმა, ან თვით ორბელიანის ცოლმა მოითხოვეს დარჩენა.

3. დარჩეს, თუ ორბელიანის ცოლი აღარ შემოვიდა კომიტეტში.

4. არზა მისცეს მარშალს ვ. მაჩაბელმა დათხოვნისა და გააცნოს საქმის მდგომარეობა.

5. კასაცია მოხდეს ბანკის არჩევნებისა, თუ გრუზინსკები მიწერილნი არ არიან ტფილ. გუბერნ. და თავადაზნაურობისადმი.

6. პროტესტი შეიერთოს და კვლავ მიეცეს.

7. მიენდოს ამაზედ თავიანთ აზრის წარმოდგენა კოლა ორბელიანს, ბახტაძეს, გუბელაძეს და გიგო დიასამიძეს.

დეკემბრის 10. 1. კრება მოხდეს ყოველ შაბათობით და სხდომა დაიწყოს ხოლმე უთუოდ რვა საათზედ, რამდენი პირიც უნდა გამოცხადდეს.

2. შემდეგ კრებაზედ განვიხილოთ ქარვასლის შეძენის საქმე და წარმომადგენლობისა.

დეკემბრის 17. 13. 1. მივიღოთ ყოვ. ღონისძიება, რომ მოსალოდნელ ბანკის საზ. კრებაზედ ბლომად დაესწრნენ დამფუძნებელნი და ქარვასლა თავად-აზნაურობას დავუმტკიცოთ.

2. თუ 19-ს არ გადასწყვიტა საზ. კრების დანიშვნა ზედამხედველმა კომიტეტმა, 50 კაცმა მოვითხოვოთ ამ კრების დანიშვნა.

3. თუ გამგეობა წინააღმდეგი იქნება ქარვასლის დამტკიცებისა თავადაზნაურობის სახელზე, ნიკ. ორბელიანმა დაუმტკიცოს უსაფუძვლობა უწინდელის ბანკის მოხსენებისა და პირადი ინტერესობა გამოაშკარავოს.



ილია ჭავჭავაძე
თბილისი, 1890-იანი წლები
ფოტო: დიმიტრი ერმაკოვი

2

10 სექტემბერი, 94 წ. დღიური ამ წუთისათვის შესაფერი სახელი არ არის. ამაში მოქცეულია უფრო ჩვენი შინაური დავიდარაბის ამბები და ის საბუთები, რომელიც დღითიდღე ამიკრეფია და აქ ამინუსხავს მომავალში გამოსაყენებლად. ეს ამბები და საბუთები უფრო ბანკის საქმეთ შეეხება და აქ ჩაწერილია განუმარტებლად. იქნება, ოდესმე დრო დადგეს მათდა განსამარტებლად და ჰაერზე გამოსაფენად. ჯერჯერობით კი დარჩეს ამ წიგნში ჩამარხული.

გზა და გზა, შესაძლოა, სხვა და სხვა საქმეებსაც შევეხო, ან ჩავწერო ის, რაც წამიკითხავს, ან რაც მიგრძვნია დღის განმავლობაში.

ამ ნაწერებს სრულიად შეუმუშავებელი ხასიათი აქვთ, არავისთვის გამოსაყენებელი არ იქნება და არც სასიამოვნო ჩემს გარდა. მე კი, იქნება, მრავალი საბუთი მომცეს და მრავალი რამ გამახსენოს, რაც უამწიგნოდ გონებიდან წამეშლებოდა დროთა განმავლობაში. ჯერჯერობით გავიხსენებ, რაც მოხდა ამ უკანასკნელ ხანში და მერე კი წესიერს დღიურს შევუდგები.

ივნისის 3, 94. კ. ტატიშვილმა ითხოვა, 200 მანათს ნუ მომთხოვთ თავნში, ექვსი თვე მაცალეთ, სანამ ღვინოს ჯეროვან ფასად გავყიდდე, რადგან შარშანწინ სეტყვამ დამაზარალა და ჯერაც არ მოვსულიერებულვართ. საბუთებიც წარმოადგინა, მაგრამ უარი უთხრეს. ვნახოთ, სხვებსაც ასე მოექცევიან, თუ არა?

ივნისის 9, 94. მიხაილოვსკისა საჩივარსა გზავნის გირავნობის ფურცლების გაუყიდველობაზედ. არარსებული აპეკა დავაარსეთ, რომელიც არც ბანკს არგებს და არც სესხის ამღებთ. ყოველდღიური ამბები ამტკიცებენ თვალსაჩინოდ, რომ გამგეობას არ ესმის აზრი თავის განკარგულებისა და მაინც ჯიუტობს.

ნალი საზოგადო კრებისა.

1) ივანე გაბრიელის ძე ჩერქეზიშვილს ქაღალდი შეაქვს კომიტეტში. მე, თუმცა, პროტესტზედ ხელი მოვაწერე, მაგრამ არ ვიცოდი, რას ვაწერდით. პითაგორმა რომ ასი ძროხა დაუკლა ლიბერალებს, ალბად ეს ჩერქეზიშვილიც ერთი იმ ძროხათაგანი იყო, მაგრამ ჩერქეზიშვილისა რა გვაკვირვებს, რომ ჩვენმა ბრწყინვალე ღენერლებმაც წრეულს ამისთანა უცნაურის უარით თავი ისახელეს.

2) ვიღაც ოკიტოვის ცოლი, მაღალოვისა და სხვა, ჩაწერილნი არიან კომიტეტის წევრად როგორც ზანდუკელის ქალები. ამაზედ ეჭვი გამოაცხადა ერთ-ერთს საზოგადო კრებაზედ კეზელმა და კომიტეტმა იმ პასუხის მაგიერად თავის კრებაში რაღაც გამოურკვეველი საბუთები წარმოადგინა და მოწმობა კობიაშვილისა, გამკითხავი ვინ იყო?

3) აფხაზის მამული. 771 დესეტინა 32000 მანათად გადააგირავა სახელმწიფო ბანკში, 5 დესეტინაც გაყიდულია 4000 თუმნად და დანარჩენი 1919 დესეტ. უნდა 1000 მანათში დარჩენილიყო გირაოდ... ამას ეძახიან დიდ დაფასებას და ამ მამულზედ მოუნდა კომიტეტს სამი კრების მოხდენა იმის გამოსარკვევად, თუ ვის აკისროს ზარალი, რომელიც არ არის. ზარალი კი არა, აფხაზმა ამ მამულიდან ათას თუმნამდე კიდევ ჩაიდო ჯიბეში გადაგირავების დროს და კიდევ აპირობს, ერთი ოთხი ხუთი ათასი თუმნის აღებას და კრებაზე კი აცახედებდა, ვითომ ჩემის ხათრით იყიდა!...

ივნისის 22, 94. მაისურაძეს უარი ვუთხარი გირავნობის ფურცლების მიცემისა, თუმცა დროებით მცირე ვადიანი სესხი ჰქონდა. ეს წინააღმდეგია თებერვლის პროტოკოლისა, მაგრამ ჭავჭ. ამ ანკარგულებას იმ საბუთით ამართლებს, ვითომ: февральскій протоколъ надо поменять въ томъ смыслѣ, что когда настанетъ годичный срокъ прошласрочных ссудъ временных, тогда выдавать закладные листы на руки. ეს ახსნა სრულიად გაუგებარია და უმართებულობად მარტო ისიცა კმარა, რომ აქამდის სრულებით ასე არ ესმოდათ თებერვლის პროტოკოლი.

ივნისის 22, 94. ჭავჭავაძემ წინადადება შემოიტანა, რომ იორამ ჯორჯაძე წევრად გამგეობამ ჩარიცხოს უკომიტეტოდ, რადგან თავისი წილი ფული შემოაქვს ყმებში მიღებულიდან და ჩარიცხეს კიდეც ივნისის 23. მაგრამ ასევე არ ვიქცევით ყველას შესახებ.

ივნისის 22, 94. პროტოკოლი იმასზედ, რომ ყველას მიეცეს მცირევალიანი სესხი. თითქო ფული არ გვქონდა. მერე ბიძინა ჩოლოყაშვილის მეუღლე და იმის ცოლის ძმა კ. წერეთელი რომ ვერ მიიღებდენ! ისინი ხომ წევრები არ არიან.

კობახიძე დიმიტრი ტარიელის ძე. ამის აქტი შემდგარი ანტ. ფურცელაძისაგან ისე საძაგლად, რომ ორჯერ გადაასწორებინეს და მაინც არა გამოვიდა რა. კრედიტის კანცელიარიამ მოითხოვა აქტი და მაშინ იძულებული ვიყავით, გაგვემშვენიერებინა და ისე გაგვეგზავნა, თუკი ანტ. ფურცელაძის ნაწერების გამშვენიერება იქნება. აქტი გრუზინსკისაგან არის განხილული და შეუნიშნავად დატოვებული.

ჰაჯი აბდულ კასუმ ჰაჯი აგანონ ოღლის ჰაჯი ახუნდოვის საქმეში ცალკე აზრია ჭავჭავაძისა, ვლადენნოე სვიდეტელსტვოების შესახებ. ვერავინ ჭკუათამყოფელი ამ აზრს ვერ დაეთანხმება. საჩხერიდან დაბრუნების შემდეგ, დათხოვნის ვადა რომ გამითავდა, წარმომიდგინეს ხელმოსაწერად პროტოკოლი 20 და 21 ივნისისა, რომელშიაც სწერია, სანამ მე ეს აზრი წარმომეთქვას, რომ 1/3 ყველას დავაცალოთ შემოსატანიდან მეთქი. ეს აშკარა ცილისწამებაა და განგებ შეთხზული, რომ ხელი მომაწერიონ შეცდომით და მას უკან ქვეყანაში იყვირონ, აი, მაჩაბლის სიფთხილე და თავდაჭერილობაო! პროტაკოლსა, რასაკვირველია, ხელი არ მოვაწერე.

ივნისის 25, 94. ბიძინა ჩოლოყაშვილის და იმის ცოლსა და ცოლის ძმას მისცეს 6000 მანათი მცირე ვადიანი სესხი ერთს ვენახში, რომელიც სამად გაუყვიათ. არ ვიცი, ვ. წერეთელს, რომელიც იმ დროს, ვგონებ, პეტერბურგში იყო, როგორ უწერია ხელი.

ივლისის 8, 94. გადაწყვეტილებაა ზედამხედვ. კომიტეტისა, გაიგზავნონ ხიმშიაშვილისა და ზანდუკელის თხოვნების შესამოწმებლადო პ. ყიფიანი და გ. ჟურული. თითოს საგზაოდ მიეცეს ათი თუმანი. ხიმშიაშვილს ამ გამოკვლევის შემდეგ 1000 მანათი მისცეს სესხად უსარგებლოდ 13-წლიანი. ამბობენ, აქედან 600 მანათი კობიაშვილმა თავისი ვალი გაინაღდაო.

სექტემბრის 1. უარი ეთქვა ილია უზნაძეს სესხის მიცემაზედ, თუმცა, იმასაც იგივე დოკუმენტები ჰქონდა, როგორც იმის ძმას, ლევანს, რომელმაც სესხი გაიტანა. გრუზინსკი ორივე გადაწყვეტილებას დაესწრო და სხვადასხვა აზრი გამოსთქვა.

ჩერქეზოვს ლევანს დიდი საყვედური შეუთვალა გამგეობამ ნიკოლ. ვახვახოვის საქმის თაობაზედ, რომელსაც 250 მანათი აქვს შემოსატანი სხვისი არენდის პირობით და ჩერქეზოვს კი მარტო მისი მამულის შემოსავალი 700 მანეთზედ მეტი უანგარიშა.

აგვისტოს დამლევიდან გირავნობის ფურცლებს ვაძლევთ თითქმის ყველას. თუმცა, ყოველ ცალკე შემოსულს ვითომ ცალკე ვსინჯავთ, მაგრამ რასა ვსინჯავთ, ჩვენც არ ვიცით. განა გამოცდილებამ კი არ დაამტკიცა, რომ ფურცლების გაუცემლობამ კი ასწია, დასწია უფრო მათი ფასი. ან რა ლარი და ხაზი უნდა იმის გაგებას, რომ საქვეყნო ხარჯზედ ჩვენ ჩვენის წიტიანის ათიათას თუმნებით ვერას გავხდებით ასსა და ათას მილიონებთან და თავი კი კარლიკის ბაყაყივით დიდი და ზორბა გვგონია.

სექტემბრის 6. სესხი არ მივეცით სოსი ჩოლაყაშვილს მამულზედ – პრიკაზში დაგირავებული გამოდგა. ამავე მიზეზით არ მივეცით ჯიბო ჩოლოყაშვილს მეორე ნახევარი, თუმცა, პირველი ნახევარი უჩემოდ მიუციათ და ამათ ერთად კი კიკო ჩოლოყაშვილმა ამავე მდგომარეობაში მყოფმა თავისუფლად გაიტანა 7199, თუმცა, მე ცალკე აზრი მივაწერე.

7 სექტემბერი. უარი უთხრეს რუტკოვსკის ახალგორის მამულზედ, რადგან მფლობელობის საბუთი ჰქონდა მარტო. უარი უნდა გვეთქვა ბაქოელ ზაკიევისთვის, რომელსაც ეგეთივე დოკუმენტი ჰქონდა, ვუთხარით კიდეც, მაგრამ ჭ-ძემ საქმე გამოაბრუნა და თავის ჩვეულებრივს რიდს ამისთანა დოკუმენტების წინაშე უმტყუნა. ეს რატომ? იმიტომ რომ ზაკიევი მდიდარი ბაქოელია, ქაღალდს თამაშობს დიდ ფულზედ. აბრეჩნია ჭავჭავაძისა და ტელეგრამები სესხის თაობაზედ ჭ-ძეს მოსდის. სასაცილო იყო ის სცენა, რომელიც მოხდა ზაკიევის თაობაზედ. ჭ-ძეს უნდოდა რომ, მიგვეცა ამ კაცისათვის, მაგრამ თითონვე ხომ ვერ იტყოდა თავის სურვილს, აშკარა წინააღმდეგობა იქნებოდა თავისივე აზრისა, უნდოდა, გრუზინსკი დამთანხმებოდა მე, მაგრამ გ-სკი ვერ მიუხვდა. შემდეგ გადაწყვეტილებისა ჭ-ძემ აიღო საქმე, სინჯა ეს და ვითომ იმის საბუთი იპოვნა, რომ ზაკიევის საქმე უფრო ნაღდია რუტკოვსკისაზედ – ეს ოკრუჟნი სუდით არის ჩაბარებულიო და ყველა დაწესებულებიდან ცნობები მოკრეფილიო, თითქო იგივე არ მოხდება ხოლმე, როცა მომრიგებელი მოსამართლე აბარებს მფლობელის ძალით მამულს!

სექტემბრის 12. ორ-ორი დღე თითომ ვირგუნეთ თავისუფალი კვირაში – ჭ-ძემ ორშაბათ-სამშაბათი, გ-კიმ პარასკევ-შაბათი, მე კი მერგებოდა ოთხშაბათი-ხუთშაბათი, მაგრამ გამოვაცხადე, არ მინდა ეს დღეები, იქნება, ათასში ერთხელ რამდენიმე საათით კი

მომიხდეს დაგვიანება ამ დღეებში მეთქი. დღეს ჭ-ძე არ გამოცხადებულა, არც გ-სკი მოვიდა პირველ საათამდე, მარტო ვიყავ და არაფერი არ დაბრკოლებულა. ამისთვის ნებავდათ ოთხი წევრი! სამნიც კარგად ავდივართ და ორ ორ დღესაც ვპოულობთ კვირაში თავისუფალს თითოსათვის. ამაზედ მეტი მასხარად აგდება იქნება საზოგადოებისა!

სექტ. 17. დღეს გირავნობის ფურცლებს ფრედონოვი ყიდულობდა 98-75 კ.-ად, თუმცა, გუშინ, გუშინ წინ და კიდევ უფრო წინად ყიდულობდა 98-62$^1/_2$ კ.-ად. საყურადღებო ის არის, რომ რადგან ფული ნაღდი აღარა გვქონდა ავანსის ძლევას ვუკელით და თითქმის ყველას გირავნობის ფურცლებს ხელში ვაძლევდით. თუ გაცემა გირავნობის ფურცლებისა გამგეობის თეორიით ფასს დასწევს, როგორ მოხდა, რომ მათმა ფასმა აიწია სწორედ მაშინ, როცა ამ ფურცლებს ხელში ვაძლევდით სესხის ამღებთ და დაიწია კი მაშინ, როცა ავანსით ვაძლევდით ფულს. სამი დღეა გრუზინსკი არა ყოფილა, ორნიც კარგად ავდივართ – რა საჭირო იყო მეოთხე წევრი?!.

სექტ. 20. სოლაღოვმა იასემ უკმაყოფილება გამოაცხადა, რატომ ივლისშივე არ გამაყიდვინეთ გირ. ფ-ცლები, როცა აქვე 99 მ. 50 კ. მაძლევდენ და ნაწილში მომცეს კიდეცაო. ეხლა კი 98-75 მეტს არ მაძლევენ და ამდენი ხანი კი შტრაფი უნდა მეძლიაო და ბოლოს იაფად გამეყიდნაო. ეს ფული ჩემის მარწმუნებლისა არის, ბარათაშვილებისა, თორემ ჩემი რომ იყოს, კიდევ არას ვიტყოდიო. ჭ-ძემ უთხრა, მაისს აქეთ აქ 99-50 კ.-ად არა ყოფილაო. სოლაღოვი მაშინვე წავიდა და ფრალინოვის კანტორიდან მოიტანა ცნობა, რომ 1 ივლისს 99-50 კ.-ად უყიდნიათ იმისაგან!!! მასუკან, არ ვიცი, რა მოხდა.

შაქრო ერისთავმა პლანი ითხოვა. მე გამოვუცხადე საზოგადო გადაწყვეტილება – არვის არ ვაძლევთ მეთქი – თუ გინდა, გავუგზავნით რომელსამე დაწესებულებასა მეთქი. ჭ-ძე რომ მივიდა, იმან კი დაუმატა, კონვერტში ჩავდებთ და თუ გინდათ, თქვენი ხელითვე გაუგზავნითო. თითქო ეს ისევ მიცემა არ იყოს... მაგრამ ჭ-ძე სცდილობს ყველას აამოს ამ ბოლოს დროს, თუმცა კი, ამ ბრალს სხვებს ახვევს კისერზედ.

შარაშიძე ერთში მამულს აგირავებს. მე მოვახსენე გამგეობას საქმე. აღმოჩნდა, რომ ნასყიდობის წერილი მედიატორების განაჩენის ძალით იყო შედგენილი. გრუზინსკიმ შესაძლებულად სცნო გაცემა, რაკი ნასყიდ. წერილი არისო, თითქო ეს უკანასკნელი ყოველ უკანონო დოკუმენტს კანონიერად ნათლავდეს! პირიქით, მე ეჭვი მაქვს, რომ აქ ყოველისფერი განგებ არის გაკეთებული: ჯერ მედიატორების განაცხადია შემდგარა 1893 წ., შემდეგ ნასყიდ. წერილი, რომ ბანკმა უარი არ უთხრას. ხელმძღვანელად შეიძლება შაქრო მაღალაშვილი ყოფილიყოს, მწერალი, რომელიც ამ საქმეზე ცდილობს. მე ეს გამოვთქვი კიდეც გამგეობაში. ჩვენმა გაუგებარმა მოქმედებამ დოკუმენტების შესახებ შეიძლება შექმნას მომავალში დოკუმენტების ნამდვილი ფაბრიკაცია.

სექტ. 21. ოთხშაბათი. დღეს ჭ-ძე არ მობრძანებულა, თუმცა კი, ვითომ მე უნდა ვყოფილიყავ თავისუფალი ოთხშაბათ-ხუთშაბათობით.

სექტ. 22. ხუთშაბათი. არც დღეს ბრძანებულა ჭ-ძე.

სექტ. 23. დიდი ლაპარაკი იყო ჯიბო ჩოლაყაშვილის თაობაზედ, 6500 წინდაწინვე მიუციათ უჩემოდ პრიკაზში დაგირავებულ მამულში და ეხლა უნდათ 13000 მისცენ. მე არ დავეთანხმე. ჩ-შვილმა მოიტანა უფროს ნოტარიუსის მოწმობა, საიდანაც აშკარადა სჩანს, რომ დაგირავებული ყოფილა მამული. ჭ-ძე აპირობს როგორმე გამოძრომას და ჩემს შეთანხმებას გ-სკი, რასაკვირველია, ყოველიფერში ეთანხმება – ნოდარ ჯორჯაძეც კი მოიხმო

და დასვა პროტოკოლის საწერად, ვითომ შემაშინოს, მაგრამ მე მაინც ცალკე აზრს დავადექ. ეს ცალკე აზრი პროტოკოლში იქნება ჩაწერილი, თუ ეს პროტოკოლი შესდგა და რომ შესდგება, ამაში ეჭვი არ მაქვს, რადგან უთუოდ უნდათ მეორე ნახევარიც მისცენ ჯიბო ჩოლაყაშვილს. ვნახოთ, როგორ დააღწევენ თავს ამ უსიამოვნო მდგომარეობას.

ანტონ ფურცელაძე დღეს „ივერიაში“ გამოებაასა კიტა აბაშიძეს თავის „ბავშვურ“ ნაწერების შესახებ და მოულოდნელად ბანკს გადმოსწვდა, მეც ნახირ-ნახირო. ეტყობა, ბ. ფურცელაძეს ფერმა უმტყუნა, რომ იქ შემიტია, საცა იმას არაფერი ესმის სრულიად. ან ბანკი და მასში მომქმედნი რა ხელ-წამოსაკრავნი იყვნენ, მერე ვისგან? ანტ. ფურცელაძისაგან, რომელიც მამულებს ერთი-ერთმანეთისაგან ვერ არჩევს და ათი წელიწადი კი დამფასებლად არის (ნახე საქმე ქეთევან ციციშვილისა, რომლის მამულის დაფასების დროს ალექსიძის მამულიც ზედ მიუბიათ და ორივე ერთად დააფასა, თითქო მარტო ერთს ეკუთვნოდესო), რომელსაც მრავალი სხვა შეცდომა მიუძღვის და უსინდისობა თავთავის დროზედ არანუსხავი.

24. ქართველოვმა მოინდომა ნაკლებ დაზღვევა თავის დაგირავებული მამულისა, სადაც ბაღის შემოსატანი 1700 მანათია ნაჩვენები. ჭ-ძემ გამოუცხადა კანონი ნებასა არ გვაძლებსო. კანონში კი წერია: всякое строеніе заложенное должно быть застраховано. სრული უვიცობაა საქმისა. ან როგორა გვაქვს დაზღვეული 30 მანათში არწრუნისეული მამული, დაგირავებული 60 ათ. მან?!. კლიუჩაროვმა ითხოვა ნებართვა თავის წილის გადაგირავებისა. ჭ-ძემ უარი უთხრა მარტომ. რატომ არ მოინდომა საერთოდ განხილვა. ჩემის აზრით, სრული უფლება გვქონდა მიგვეცა ეს ნება-რთვა.

დღეს გ-სკი არ ყოფილა.

25. დღეს სულხანოვის ამორჩევა იყო გორში. 65 კენჭი მოუვიდა თეთრი, არცერთი შავი. გიორგიც ამოირჩიეს კანდიდატად.

26. დრამატიულ საზოგადოების კრება იყო. 11 კაცმა გადასწყვიტა რაღაც ამხანაგობას მიანდოს წარმოდგენების მართვა და აძლიოს 500 მან. წელიწადში. როგორც ამბობდენ, გადამწყვეტნი ისევ ამხანაგობის წევრნი იყვნენ. უცნაურია, – გამგეობა რაღა საჭირო იყო და არის. მე წარმოვთქვი, ბანკი 1000 მან. იმ პირობით აძლევს გამგეობას, რომ წარმოდგენები მართოს მეთქი. არაო, ბრძანა ვ. თუმანიშვილმა, იმ პირობით, რომ წარმოდგენები იყოსო. ბრძანა და იცრუა. ნახე ქაღალდი ზედამხედველი კომიტეტისა გამგეობასთან.

27. ჯიბოს მისცეს, სოსი ჩოლაყაშვილს კი არა. სოსი ისე საჭირო არ არის, როგორც ჯიბო. რამდენი ოფლი დაღვარეს და ღვრიან, რომ სამაგიეროთ თავი იმართლონ.

კლიუჩაროვს უარი უთხრეს უფლების გადაცემაზედ ხმ. უმეტესობ. отпросивъ о разрѣшеніи заложить половину заложеннаго имущество... ჭ-ძემ „ატვეჩენნი“ პროცენტებზე დაიწყო ლაპარაკი და თითონვე გაება ბარდებში.

გადასწყვიტეს, რომ ქალაქის მამულები მთელ სუმაში იყვნენ დაზღვეულნი, თუნდ რომ დიდი ნაწილი მამულისა ცალიერ ადგილს შეადგენდეს, ან ბაღის და ცალკე იძლეოდეს შემოსავალს. – ეს სრულს უმეცრებას ამტკიცებს გადამწყვეტთა. ან არწრუნისეული სახლი ბაღით როგორა გვაქვს დაზღვეული 30000, როცა 60000-შია დაგირავებული?

28. ლადოს ცოლის, ელენეს მამული ძლიერ დააფასეს, ისე რომ 700 მანათის მიცემა შეიძლება. დესეტინა ნახევარია. ფილოქსერა რომ გაჩნდეს, мое почтеніе-ო ბრძანა ჭ-ძემ.

მე ვუპასუხე 7 დესიეტინა ბაღში ივანე გიორგის ძე ვაჩნაძეს/პოხროს როგორ გადავუწყვიტეთ 6000 მანათი მეთქი. იქ 7 დესეტინა отъ платніе – გ-სკიც დაეთანხმა, რომ შვიდი დესეტინა отъ платніе და 6000 მან. მიცემაც შეიძლება, თუნდ ფილოქსერა გაჩნდეს.

29-30. ეს სამი დღეა განგაში გააქვს Т. Л.-ს ორ-არშინიან მილზედ, რომელიც ჩემის სახლებიდან გავიყვანე კირაკოზოვის ბაღში და 50 მან. კირაკოზოვს მივეც ამ უფლებისათვის. რატომ ქალაქისაგან ნება-რთვა არ აიღე და ჩვენი შესატანი არ გადაიხადეთ, როგორც ამისათვის არის დადგენილი საბჭოსაგანაო. მართალია, ნება-რთვა უნდა ამეღო, ვიდრე ამ ორ-არშინიან მილს გავაყვანინებდი, და ეს შეცდომაა ჩემის მხრივ, მაგრამ როდის გადასწყვიტა საბჭომ ან რა საბუთითა მთხოვს ქალაქი ათ თუმანს, როდესაც მილი კირაკოზოვისგან არის გაყვანილი. ამას ამ დღეებში შევიტყობ და ჯეროვანს გადასახადს გადავიხდი. საყურადღებო ის არის, რომ ამ ორარშინიან მილის შესახებ ხაჩატუროვმა ამდენი ამბავი ასტეხა იმის შესახებ კი, რომ რიყეზე მთელი სახლი დაიქცა, დედაკაცები და ბავშვები დაიტანა – მხოლოდ გაკვრით ამბობს.

ოქტომბერი 3. დღეს კობიაშვილი მიხეილი იმათ პარტიისა მოვიდა და გულმოსულმა მკითხა, მოუვლელობით რომ ვენახი წავახდინო, ფულს მომცემთ თუ არაო – ხიმშიაშვილს ნიკოს რომ ასი თუმანი მისცეს, იმას გადაჰკრა – ძალიან იმუქრებოდა – მაგრამ რა გამოვიდა – კრების წინად დაუყვაებენ და ისიც დალბება.

4. გუშინ და დღეს ჭ-ძე არ ყოფილა. გუშინ პირველ საათამდე მარტო ვიყავ ბანკში. დღეს სულხანოვს შესცდა სიმეონიდის ანგარიში. კობიაშვილის ცოლის სესხზედა მარტო ორს უწერია ხელი ჭ-ძეს და გრუზინსკის, მაგრამ განა მე ამიტომ უარი უნდა ვთქვა? ჭ-ძე კი უარს იტყოდა ამგვარსავე შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზის გამო ხელმოუწერელი დარჩებოდა და ბანკი რასმე იზარალებდა, თუნდაც რომ დასრულებული ყოფილიყო და შემთხვევით მხოლოდ არ მოეწერა.

ბათუმში ქალაქის არჩევნებზედ ქართველებს გაუმარჯვნიათ.

8. მთელი ერთი კვირა ჭ-ძე არ ყოფილა ბანკში, არც დათხოვნილია კანონიერად.

9. დღეს ფელეტონია დაბეჭდილი ანტ. ფურცელაძისა, სადაც ის გვაგინებს, გარყვნილებას გვწამებს და ამბობს, მე რომ მონობა მომენდომებინა, ბევრად უკეთესს ალაგს მივიღებდიო. ამ ჩემმა ალაგმა შეილია ჩემი ღონე, ძალი და ცოდნაო. უნდა როდისმე გამოვარკვიოთ, რა ცოდნა აქვს ბ. ფურცელაძეს, ან როგორ სინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას. ნახე საქმეები: 1) ნანოსოვისა, 2) ქეთო ციციშვილისა, კობახიძისა, ერთი კიდევ ქუთაისელისა და სხვ.

10. დღეს მე არ წავსულვარ ბანკში.

11. გ-სკი არც გუშინ ყოფილა და დღესაც 1 საათზედ მოვიდა.

12. ამ დღეებში მითხრეს, რომ მარიამ ორბელიანისას შეუტანია აზრი სკოლის კომიტეტში მოსამზადებელი კლასის პირველსა და მეორე განყოფილებაში ქალები იყვნენო, – ნათაძისა და ჯაჯანაშვილის წინააღმდეგ. მოვიგონოთ სიტყვა ჯაჯანაშვილისა ჭ-ის წინააღმდეგ ტელეგრამის თაობაზედ. იქამდე მივიდა საქმე, რომ ტერორი გამოაცხადეს ყველა ჩვენ მომხრეების წინააღმდეგ. – სიმშილით უნდათ დაგვამარცხონ. ჩაუგდიათ შარვაშიძე ხელში და ალაგებს ურიგებენ თავიანთ მომხრეებს. დღეს კიკო ჩოლაყაშვილი

სთხოვდა ჭავჭავაძეს, შიხის ადგილი უშოვე გუბერნატორთანაო. შიხი ალბად ტუსიშვილია. ძალიან ძნელია ამისთანა მდგომარეობაში კაცს გულგრილობა შერჩეს და პირდაპირ არ ლანძღოს კოლა ორბელიანსავით.

15. დღეს, როცა პარტნოვს სესხს ვაძლევდით, ჭ-ძემ აზრი შემოიტანა, ავანსით ნუღარავის მივცემთ, ხელში ვაძლიოთ გირავნობის ფურცლები, თორემ ვიცი, დაგვაკლდებაო(?!) გ-სკიც დაეთანხმა. გაიგეთ რამე ამათი?

18. გრუზინსკი დღესაც არა ყოფილა.

19. მე არ წავსულვარ ბანკში.

21. მინისტრს არ მოუცია ნება ქარვასლის შეძენისა ბანკის სახელზედ, გილო იწერება პეტერბურგიდან.

24. დღეს არცერთი არ მოსულა, არც შეუტყობინებიათ.

27. კობიევს ხმის უმეტესობით (ი. ჭ. და გ.) გადავწყვიტეთ, მივცეთ 1500 მანათის გირავნობის ფურცელზედ 85 მან. ავანსი, თუმცა, რამდენიმე წუთის წინათ უარი ვუთხარით ქართველოვს გიორგის და საზოგადოდ ავანსით, არავის რას ვაძლევთ ფულის სიცოტავისა და ბილეთების გაუყიდველობის გამო.

ნოემბერი 8. დღეს მარტო მე ვიყავ ბ-ში. თანდათან მტკიცდება მეოთხე წევრის საჭიროება! ქარვასლის დამტკიცების საჭიროება, ბანკზედ რომ დამტკიცდა. სამინისტროში უპატიურად მოჰქცევიან ავალიშვილს ამ საგანზედ მოხსენების წარდგენის გამო, ალბად იმათაც კბილზედ დაიკრეს ამათი ცოდნა. ჭ-ძე მაინც აბრუს არ იტეხს და ამბობს კ-ში, რომელიც ამ საგნის შესახებ ამოირჩია თავადაზნაურთა კრებაში, რომ გამგეობა მაინც ეცდება, ბანკს დაუმტკიცოსო. ავალიშვილის შერცხვენა არ იკმარა, იქნება ახლა თითონ უნდა წაბრძანება. გ. თუმანიშვილი მიშო მაჩაბელს პასუხს სთხოვს ნ. ობოზ-ში და ეს წერილი დღეს ივერიაშიაც გადმობეჭდილია, მართლა ბეჭდვის წარმომადგენლები საიდუმლოსა სცემენ თუ არაო. თუ როგორი ერთგულნი არიან ძმანი თუმანიშვილები ქართული საქმისა, ცხადად მტკიცდება. იმათ გაზეთში ამ გაზაფხულზედ დაბეჭდილ ფელეტონით მსესხებელთა შესახებ და მოწინავე წერილებით ამავე საგანზედ.

ვორდროპი მოვიდა. ინგლისელიც კი არ დაინდეს და ვინ იცის, რას არ ეუბნებიან ჩვენზე. – თითონვე მითხრა. ჩვენგან აჩენილი ბინა მესხიევებთან დაატოვებინეს და ბარათაანთსა გადაიყვანეს. მაგრამ ვერ იდგომილა და ისევ სასტუმროში გადმოვიდა terre neutu, როგორც თითონ ამბობს, გიორგი ძალიან აღტაცებულია სავაჭრო საზოგადოების დაარსების აზრით. იმედია, გამოვა რამე, თუ მომხრეები რიგიანი იშოვა. სულ კანონებს და წესდებებს ეძებს.

9. დღესაც 1 საათამდე მარტო ვიყავ ბ-ში – მერე გ-სკი მოვიდა. ყიფიანმა პეტრემ წარმოადგინა უკანვე 82 მან. 100 მან. ავანსიდან ხამშიევის საქმის გამო წასასვლელად რომ აიღო, ჟურულმა რაღა უყო?

10. ჭ-ძე დღესაც არ მოსულა.

11. დღეს წარმომადგენლობის თაობაზედ გვქონდა სჯა ბ-ში. ჭ-ძე და ავალ. იმ აზრისანი არიან და გ-კიც, რასაკვ., მიემხრობა, რომ ყოველმა მაზრამ 25 კაცი ამოირჩიოს თანაბრად დამფუძნებელი. ბორჩალომაც, დუშეთმაც და გორმაც(!). ორი წილი ჩვენ გვე-

ყოლება და ერთი წილი მსესხებელთაო. მერე ბორჩალოში კი ქართველებს ამოირჩევენ ან თბილისის მაზრაში? იმ პირობით, რომ თუ რომელსამე მაზრაში 25 დამფუძნებელზე ნაკლები იყოს, მეზობელ მაზრას შეუერთდესო. მაშ, 26 რომ იყოს, ყველანი ამორჩეულნი იქნებიან ერთის გარდა. გორის მაზრაში 822 და თბილის-ბორჩალო-დუშეთში 340. ეს უკანასკნელი ახლა სამად გაჰყავით. აი, სამართლიანობაც ამასა ჰქვიან!

14-21. აკაკისთან ვიყავით. ძალიან ავად იყო. მეტად იამა, გზაზედ მრავალი შთაბეჭდილება, დიდი მხიარულება.

28. ამ დღეებში კრება იყო საერთო გამგეობისა და ზედამხ. კომიტეტისა ქარვასლის თაობაზე. ჭ-ძეს კიდევ იმედი აქვს, რომ ბანკს დაამტკიცებინებს, ავალიშვილმა კი აღიარა, ვნანობ რომ, იმ აზრისა ვიყავი ბანკს დავუმტკიცოთო, რადგან ვინ იცის, რა ცვლილება მოხდეს ბანკში წარმომადგენლობის გამოო.

დეკემბერი 4. რაღას აგვიანებს ქარვასლის დამტკიცებას ჭ-ძე, როდესაც გაზეთში თითონვე ჩაუწერია, რომ სომხები კამპანიას ადგენენო. იმას თუ ელის, რომ სომხებმა ქაღალდი შემოიტანონ, ვაჭრობა დანიშნეთ საჯაროთაო, მაშინ ხომ სამუდამოდ დავკარგავთ ქარვასლას.

7. კრება გამგეობისა და მუხრანსკისა. ჭ-ძე ჭირვეულობს, ცდილობს, გადასდოს დამტკიცება ქარვასლისა თავადაზნაურობის სახელზედ. კინარი და იმის შეტაკება.

გურგენიანს გამოუგზავნია დამტკიცებული ნოტარიუსისაგან ქაღალდი. ერთ ძმას თავის ნახევარი დაუგირავებია კერძო პირთან, ანუ თავის უფლება. თითქო არ შეიძლებაო (კლიუჩარევი).

ავალიშვილს ძალიან ეწყინა, რომ უიმისოდ გადავწყვიტეთ, რომ ერთსა და იმავე დროს არ ვაძლევთ ნებას დაგირავებისა და გაყიდვისას. სრულიად საფუძვლიანია ამისთანა ნებართვა. მე მაინც ამ აზრისა ვიყავი წინადაც, მაგრამ ჭ-ძემ და გრ-კიმ მაინც თავისი გაიტანეს.

ჭ-ძე запродажная запис-სა სწერს თავადაზნაურობისა და ბანკს შორის ქარვასლის თაობაზედ. გაყიდვის სუმას 30000 მანათი წაუმატა. რისთვის და რა მიზეზით? ადვილი მისახვედრია. არა მგონია, კოწიამ ამაზედ ხელი მოაწეროს...

8. მაინც ხელი მოაწერინეს კოწიას. ყველა პირობები აშკარად გამოცხადებული არ არის ამ запрод. запис-ში, ასე რომ როდინდლიდან გადადის თავადაზნაურობის ხელში, არა სჩანს. 30000 მან. ტყვილად დააკერეს ვალად ქარვასლას.

9. შეერთებ. კრება გამგეობისა და ზედამხედვ. კომიტეტისა. პროტოკოლის წაკითხვის დროს კობიაშვილი და ჭ-ძე ცდილობენ ჩამაბან იმაში, ვითომ მე ჩემს თავსავე ვეწინააღმდეგებოდი, როცა ორბელიანისა და ბალანოვის ტორგების გადადების შესახებ იყო ლაპარაკი. მაგრამ ჩემთან ერთად ექვსი სხვაც უნდა ჩაეთრიათ, რადგან ერთის აზრისანი ვიყავით.

10. ამ დღეებში ფირალოვის წყალობით ისე მოახერხეს, რომ სახელმწიფო ქონებათა გამგეობაში დანიშნულ სხდომაზედ ვენახებზედ სესხის გაცემის შესახებ მიიწვიეს ყველა გამგეობის წევრი და მე კი არა, ამას, რასაკვირველია, გაბერავდენ გაზეთებში და ეგრეცა ჰქნეს.

11. კოწიას სულხანოვი დაუბარებია გომიდან და უთქვამს, ბლომად ჩამოიყვანე ხალხი საგანგებო კრებისთვისაო. ჭ-ძე შეუჩივლია.

15. მხოლოდ დღეს მომიტანეს ხელმოსაწერად აპრილის გარდაწყვეტილობა გირავნობის ფურცლების მიცემის შესახებ. აქ. ჭ-ის და ავალ-ის აზრი ლამაზად განსპეტაკებულია, ეტყობა, თითონვე დაუწერიათ, ჩემი აზრი დამახინჯებული. ეს გარემოება მინაწერში შეუნიშნავად არ დავტოვე.

21. წერილი ჯაბადარისა მოამბეში მონაწილეობის შესახებ. მთხოვენ, ლეისტის მოთხრობა გადავთარგმნო და საზოგადოდ ვითანამშროლო. ბახტაძის წერილით თუ მარწმუნებენ.

ჩოლოყაშვილის თაობაზედ ვუთხარ გამგეობამ შეიძლება докладная справка არ მოითხოვონ მეთქი. გირავნობის მოწმობა წმინდა ჰქონდა და ნახევარი მცირე-ვალიანი სესხიც მიცემული 20 ოქტომბერს, მაინც მოსთხოვეს, რადგან ჩემი შუამდგომლობით იყო საქმე დაწყებული. ასე დავიხსომოთ.

დღეს მთავრობის კანონმდებლობათა და განკარგულებათა კრებულში 11 დეკემბ. 94 № ამოვიკითხე, რომ ხელმწიფეს 19 ოქტომბ. ნება მიუცია [...] კნეინისთვის თავის მამული საჩუქრად მისცეს Дворянству Московск. Губ. а не Дворянскому Обществу Моск. Губ. როგორც დასწერდენ ჩვენი запрогажя-ს შემადგენელნი.

იანვრის 2. კომიტეტმა და მისმა თავმჯდომარემ გ-სკიმ ერთი ამბავი ასტეხა ჩემს მიწერილზედ აპრილის პროტოკოლზედ გირავნ. ფურცლების გაცემის შესახებ. ეს პროტოკოლი მე მომიტანეს ხელმოსაწერად დეკემბერში, 8-9 თვის შემდეგ და რომ წავიკითხე, ისე გამაოცა ჭ-ძის კილომ ჩემის წინადადების შესახებ, რომ მივაწერე, შავი უნდა მოეტანათ და წაეკითხებინათ მეთქი. დამვიწყებია, თურმე შავი მოუტანიათ და ჩემის ხელითვე გასწორებულია ჩემი აზრი; მაგრამ შავი 4 თაბახისაგან შესდგება და წავიკითხე, ან მომიტანეს მთელი შავი თუ არა, არ ვიცი. მე ეჭვი მაქვს, თუ მომიტანეს, ჩემის წაკითხვის შემდეგ ჭ-ძისთვის გადაესწორებინოთ და ისე გადეწეროთ. გ-კი კი ამტკიცებს, რომ მთლად წავიკითხე, ვითომ კარგად ახსოვდეს. როგორც ვატყობ, ამ ამბავს დიდად გააზვიადებენ. შეადარე: 1) პროტოკოლი ჩემ შესახებ პასუხის მიცემის თაობაზედ მარიმანოვის დაფასების გამო. 2) დამფასებელთა აქტი 1894 წ. ამ მამულის დანაწილების შესახებ. 3) რამდენი გადაგირავდა რა ფასში.

საჭიროა, გადავსინჯო პროტოკოლი აბამელიქოვის სესხისა, ვგონებ, იქ შესცდა ჭ-ძეს ვალის დაჭერის ჩაწერა და ყველამ კი ხელი მოვაწერეთ. მაგისთანავე შეცდომა მომსვლია მე სემიჩის დაფასებაზედ გამგეობის გადაწყვეტილების დროს. ხელი უწერია მხოლოდ თარხნიშვილს და მე. უთუოდ ჭ-ძეც იქნებოდა და დაავიწყდებოდა და ეხლა უარს იტყვის; ეს ხშირად მოხდება ხოლმე, სამსა გვაქვს გადაწყვეტილი და ორნი კი ვაწერთ.

3. შხიმიანცის წერილი 2 იანვრიდან, რომელშიაც ჩივის გირავნ. ფურცლ. მიუცემლობით და უფრო იაფად გაყიდვით იმაზედ, რა ფასსაც მაისში მაძლევენო და ჰკითხულობს, ვის უნდა მივმართო საჩივრითაო.

6. კომიტეტმა ერთი ალიაქოთი ასტეხა მინაწერთა გამო. კრებამდე მივა ეს საქმე, უნდათ გადააწყვეტინონ, რომ дѣйствія... გავიხსენო კრებისათვის: 1) პროტოკოლები უკანასკნელის კრებისა, მეტადრე უკანასკნელი პროტოკოლი. 2) მიდგომით მოქმედება თავმჯდომარისა – я сосидатель. 3) ჩემი წინადადება იურისკონსულტზედ ავალიშვილისაგან საქმის წაგება – ყველა საქმის – რჟევსკისაგან მოგება. ჭ-ძემ გამოაცხადა, ასე საქმის წაყვანა არ იქნება – საქმეები ბანკისა ბრკოლდებაო, გამოიძიეთ და დამნაშავე გადადგესო. ვის ანდობს გამოსაძიებლად?!

7. ტატიშვილს რომ არ მისცეს ნება 10 %-ის შემოუტანლობისა, დღეს რად მისცეს ამის ნება მიხეილ, ილია, იოსებ და სხვა, ედიბო ვაჩნაძეებს?

იანვრის 9. დღეს ვაჭრობა იყო მამულებისა. ჭ.-ძემ და გ-კიმ გადაწყვიტეს 60 მანათამდე ნულარ დავტოვებთო. ეს უკანასკნელს საათს. გუშინ და გუშინ წინ კი ვტოვებდით, დღეს დილითაც კი. მე პროტოკოლის შედგენა მოვითხოვე, მერე კიდევ შესცვალეს. მირიანოვს ნება მისცეს 10 მან-ის დატოვებისა და ბარნაბოვს – 8 მან.-ისა. მირიანოვმა ივაჭრა კიდევ 15-ის აგროვება. ამისი კი აღარა მესმის-რა.

იანვრის 10. დღეს ლევან ციციშვილს, რომელსაც მამა მოკვდომოდა, 60 მან. არ დავაცალეთ. ხვალ როგორ-ღა მოვიქცევით, ვნახოთ. გ. ზანდუკელს და კიდევ სხვა ვიღაცაებს აღარ მოვთხოვთ, მოვთხოვეთ თავნში მცირე-ვადიან სესხში, ეხლა კი წავიდა. ციციშვილი სხვა იყო და ზანდუკელი სხვა. საღამოზედ შეერთებული კრება იყო. კრება კი არა მასხარაობა. ლაპარაკობდენ 63 კაცისგან მოწერილ ქაღალდზე – კრება მოახდინეთო. გადასწყვიტეს: 1) კომიტეტს შეუძლიან, არ შეჰყაროს კრება, თუნდ 50 კაცს ეწეროს ხელი. 2) მაინც შევიტანოთო. 3) საგანი არ არის, რისთვისაც უნდა შევყაროთ. როდის შევყაროთო. სამმა სთქვა – 29 იანვარსა, დანარჩენებმა კი – ჯერ საგანი აღმოჩნდესო. კობიაშვილმა აიჟინა – надо вырвать предметъ, მივწეროთო პატივსაცემ პირებს, რომელთაც უწერიათ ხელი და ვკითხოთ, რა უნდათო. თუმანოვის სულელური აზრი, გამოვაცხადოთ კრება, იმ პირობით, რომ თუ იმათვე შემოიტანეს დასაბუთებული წინადადება, მაშინ მოხდება კრებაო. ვერა გადაწყვიტეს-რა. გადავსებულმა გ-კიმ უთხრა სეკრეტარს, ჩასწერე, რომ თუმცა ორჯერ ვკითხე კომიტეტს, როდის დავნიშნოთო, მაინც გარკვეული პასუხი ვერ მივიღეო. მაშასადამე, როდის იქნება კრება საგანგებო, როგორც ვატყობ, არადროს, თუმცა გადასწყვიტეს – созвать. კობიაშვილი – გ-კი მიხ. და индѣйскій пѣтух.

11. დღეს მრავალს გადაუდეს ვაჭრობა, თუმცა, სრულიად არ შემოუტანიათ. გუშინ რაღა იყო.

17. დღეს ჭ-ძე არ მოსულა. ამ დღეებში ზედ. კომიტეტმა მისცა ბიძინა ჩოლოყაშვილს ექსტრაორდ. კაპიტალიდამ დასეტყვის გამო(!).

20. ნატროევის მამული ქალაქში უჩემოდ დამფასებ. კ-სიას დაუფასებია 3100, გამგეობას არ დაუკლია 3400-მდე და მიუციათ სესხი 4000(?). ეს მომხდარა 1892 წ. – დაუმტკიცებიათ, что я нестерпимъ. პროტოკოლის წაკითხვის დროს ერთი განგაში: ჩემი აზრი იქვე ჩამაწერინეს, გადაესხვაფერებინათ. სხვებმაც გაასწორეს. სხვებს ნება მისცეს, მაგრამ ჩემი აზრი კარგად ჩაწერილად სცნეს და გადასწყვიტეს პროტოკოლში ჩაწერა, რომ, როგორც იყო ჩაწერილიო ის სწორე იყოო და ეხლანდელი ჩემი აზრი კი ტყუილი. არც კი უყრიათ კენჭი, ისე შეთანხმებულად მიაჩნდათ თავი.

21. ცდილობენ ჩამაბან რაშიმე: იმ დღეს როცა ვამბობდი ტყუილად ვაკეთებთ სარგებელზედ 30000 მან. ფულს თავანზე მეტსა მეთქი, ჭ-ძემ უთხრა კოწიას, მაჩაბელი სხვა აზრს არა და, ალბად, თავის აზრს პროტოკოლში ჩასწერსო, ჩვენ კი იმ აზრისანი ვართ, თუ ცოტაოდენს მოგებას მისცემთ ბანკს, უფრო ნამდვილს ეგვანება ეგ გაყიდვაო, საშველია! ვისთვის ეგონება ნამდვილი? ან პროტოკოლი რომ შემედგინებია, მაშინვე არ ჩამაბეზღებდა, გამგეობის წევრი წინააღმდეგია, რომ ბანკმა მეტი მოიგოსო.

დღეს კრება გვექონდა და გადავწყვიტეთ, კოლა ორბელიანისგან შემდგარი პროექტი წესდების შეცვლისა თავის განმარტებითურთ გარდაეცეს კომისიის თავმჯდომარეს, კოწიას, რომ გზა მისცეს. ჩვენს პროექტში 300 წარმომადგენელია – 240 თავადაზნ. და 60 მოვალე ბანკისა.

24. დღეს ჭ-ძე არ მოსულა. თეთრაშირ ნიკ. აბრ. საქმე ანტ. ფურცელაძისაგან დაფასებული. ერთს აქტში ამბობს „завет в битву“ – მეორეში „никакого насилія нѣт“ (!!). იქვე 1891 წ. დამტკიცებულია არენდის პირობა ხუთის წლით და ვადა გასულიაო.

26. შაბუროვის აპეკუნის კვალიაშვილის თხოვნა, რომ გადამედო ვაჭრობა შაბუროვის მამულისა. თურმე ჩვენ გადაგვიწყვეტია: „За неподачей не подлежитъ лицам продать“ – რწმუნების ქაღალდში კი შიგა ყოფილა! ჭ-ძემ მოახსენა გამგეობას ეს საქმე. ყველას ხომ სათითაოდ ვერ ჩავუკირკიტდებით. მე რომ მომსვლოდა ეს საქმე ერთ ფინტს ასტეხდენ.

27. დღეს ბახტაძემ მიამბო: ჭ-ძეს საგუბერნიო კრებულში მიწვეულს, სადაც სჯა ყოფილა იმაზედ, თუ როგორ შეიცვალოს სინოდის თვით-მმართველობა, ის აზრი შეუტანია, რომ თავადაზნაურობაც მამასახლისებს დაუმორჩილონ და უკანასკნელებს ნება ჰქონდეთ 30 დღით სატუსაღოში ჩასმისა და ადმინისტრაციულად გაგზავნისაც როგორც თავადაზნაურებისა, ისე გლეხებისა, ნუ თუ ეს მართალია? მაშინ პოლიცია ხომ ყოვლად ძლიერი იქნება, ან, იქნება, ჭ-ძეს გონია, რომ შარვაშიძე უკვდავია და იმის გამგონე დარჩება.

28. დღეს შეგნებ. კრებაში აღარ წავედი – თავშიამც ქვა უხლიათ. იმ დღეს ავალიშვილი არ იყო, თეატრში წასულიყო, ჭ-ძე რამდენჯერ არ მოსულა, ვინ იცის.

29. დღეს გავათავეთ პროექტი წარმომადგენლობის შესახებ. კოლა ორბელიანმა იკისრა დაბეჭდვაც, მასუკან უნდა შევიკრიბნოთ, ხელი მოვაწერინოთ იმ პირთ, რომელთაც დავნიშნავთ და გადავცეთ გუბერნიის მარშალს.

30. მოგვივიდა სასამართლოს უწყება – ზაალოვის საქმეა დანიშნული 31-ს. ჭ-ძესათვის მიუწერია საყვარელიძეს – თუ თქვენ არ იკისრებთ, მე ვიკისრებო – честь моя, – г-ит, – защитить это дѣло. ჭ-ძეს სადღაც მიუგდია წერილი და დავიწყებია. მეორე წერილი საყვარელიძისა – რადგან პასუხს არ მაძლევთ, ეტყობა, სხვაფრივ მოახერხეთ და ეხლა თქვენ იცითო. მე იმავე აზრისა ვარ – სა-ძეს მივცეთ ეს საქმე. სხვანი კი, მეტადრე ა-შვილი და შ-ძეი არა ნდომობენ სა-ძეს. ავალიშვილი წიწმატობს, ს-ძე შემოვიდა დღეს და ჯავრობს, რად დაკარგა წერილი ჭ-ძემაო. მე ვიკითხებო მაგ საქმეს და ამ საგანზედ ქაღალდს მივცემო გამგეობას, თორემ ა-შვილი წააგებს და მერე მე დამაბრალებს, ცუდად ჰქონდა საქმე დაწყებულიო, ვნახოთ, გვერდზე გადასდებს ს-ძე თავის გულგრილობას, თუ ცხარედ მოეკიდება.

31. თეთრაძის საქმე. კერძოდ გადავეცი კომისიისადმი. შეუსწორებიათ. უმზგავსი აქტი ანტონისა ამოუღიათ და იმის მაგიერად მეორე ჩაუკერებიათ, რომელშიაც შეცდომები გასწორებულია ვითომ, მაგრამ უცნაურად. პირობა წარმოუდგენია თეთრაძეს. ჩვენ ამის გამო გადავუწყვიტეთ.

1 თებერვალი. გავსინჯე კარგად შავი ყბად-აღებული პროტოკოლისა. 4 თაბახია. 1-სა, 3-სა და მე-4-ზედ ჩემგან გასწორებული არა არის-რა. მეორეში მხოლოდ ცოტაა გასწორებული. თაბახი თავდება სიტყვით „мотивироваться“. დარჩენილია კარგა ბლომა ცარიე-

ლი ადგილი და ჭ-ია დასმული. მეორე და მესამე თაბახის ქაღალდი ერთ და იგივედ არ მეჩვენა. რას ნიშნავს ყველა ესა(?!).

სარქისოვსა და ხითაროვს, რომელთაც ყარალაანთი და კიკო ჩოლაყაშვილის მამული იყიდეს ვაჭრობით ჩვენსავე ბანკში 150004 მანათად, ჩვენ გადავუწყვიტეთ სესხად 15000 მან. ამბობენ, უკან უბრუნებენ პატრონებსაო. სხვა ამისთანავე შემთხვევაში ჭ-ძე გამოეკიდებოდა ვაჭრობის ფასს და 15000 მანათზე მეტს არ დააფასებდა, ყოფილა ასეთი შემთხვევაც, ეხლა აღარ მახსოვს რომელი და, იმედია, მალე იქნება კიდევ.

3. დღეს მოვიდა ბანკში ქაღალდი თელავის მარშლისა, რომელიც გზავნის არზას ევგენია გიორგის ას. ჩოლაყაშვილისას წევრად ჩარიცხვაზე. სამი მეზობლის მოწმობაა, რომ აქვს 30 დეს. სახნავი და 3 დეს. ვენახი ლალისყურში და შემოსდის წელიწადში 100 მან. ზედამხედველს კომიტეტს გარდავეცით. ვნახოთ, ჩარიცხავენ თუ არა. დღეს შეერთებ. კრებაზე აღარ წავედი: სინჯავენ წარმომადგენლობის პროექტს; დეე, გასინჯონ, გამგეობა რა შუაშია.

4. მოეწერათ ყველას ხელი იმაზედ, რომ ციციშვილს, დამფასებელს „поставить на видъ“, რომ დროზე არ წავიდა ალექსანდროპოლში – მე შევნიშნე, რომ ნება არა გვაქვს მეთქი და მერე გადაასწორეს: обратить вниманіе, ავალიშვილმა წინდაწინვე სთქვა ასე, მაგრამ ხელი კი მოუწერა.

ზიალოვის საქმისათვის ჩემესოვი მოვიწვიეთ – ავალიშვილი რიღასთვის არის საჭირო, თითქო იურისკონსულტი აღარ დაგვჭირდებაო. ბლანშის საქმეზე ავალიშვილს აპელაციის ვადა გაუტარებია და გვეუბნება, გადასწყვიტეთ. თუ საჭირო იყო აპელაცია, მე გიზღავთო – რა ყოფაში აყენებს გამგეობას.

პროტოკოლი რომ მინდა შევადგენინო 60 მანათზე – სასაცილოდ აიგდეს თავისთვის, როგორ შეიძლება ამისთანა უკანონობის დაკანონებაო. ის კი ავიწყდებათ, რომ მე მომაწერეს, ვითომ იმ აზრისა ვიყავ, რომ $^1/_3$ დაეტოვებინათ ყველასთვის და ყველამ კი ხელი მოაწერა – ეს პროტოკოლი ხომ საქებია.

შეერთებ. კრება დღევანდელი – ცხარე ლაპარაკი კობიაშვილისა და გრუზინსკის შუა – თავმჯდომარეს მოვალეობაზედ – ძმის გამოსარჩლება.

6. ზიალოვის საქმე ჩემესოვს მივანდეთ 1200 მანათად, თუ მოიგო, თუ წააგო 500 მან. თითქო იურისკონსულტი არ დაგვჭირდებაო. ჩემი წინადადება 60 მან. შესახებ უარ-ჰყვეს, წესდებას ხომ ვერ ვუყრით კენჭსაო. მაშინ კარგად გადასწყვიტეს, მაჩაბელი იმ აზრისა იყო, რომ ყველაზედ $^1/_3$ დავტოვოთო, მაშ, მე წესდების წინააღმდეგი ვყოფილვარ და ეს აღუბეჭდიათ კიდეც ღირსეულ სამებას უჩემოდ.

7. გამოაშკარავდა შემდეგი: ვაჭობის დღეს, 11 იანვარს ზაქარია ალექსანდრეს ძეს (თუ ალ. ზ-ძეს) ამილახვარს უთხოვნია, ვაჭრობა გადასდეთ, რადგან ზედამხედველმა კომიტეტმა ჩემი შემოსატანის ვადა მომცა (ივლისამდე, ქაღალდიც ყოფილა ამ საგანზედ კომიტეტისა, მაგრამ ავალიშვილს (დეჟურნს) ყურადღება არ მიუქცევია და სულ მოუთხოვნია. იმანაც სულ შემოიტანა, ვინ იცის, რა წვალებით.

15. დღეს გამოაშკარავდა შემდეგი: მაისში პრიკაზი აპირობს ჯიბო ჩოლაყაშვილის მამულის გაყიდვას, რადგან სესხის მიცემის დროს 3700 და კიდევ რაღაც პრიკაზის ვალი არ დავუჭირეთ და არ გავუგზავნეთ პრიკაზს. დიდი ალიაქოთია გამგეობაში.

მივეცით მოწმობა ერთი ვიღასაც (მამულის). ტელეგრამით მოითხოვა იზმაილოვმა, ვგონებ, ამირალოვს და სოლაღაშვილს რომ ნება აქვთ, თავიანთი წილი 1/2 და 1/6 გადააგირავონ. ამგვარივე მოწმობა არ მივეცით კლიუჩაროვს. მაშინ მე დავრჩი ცალკე, ეხლა ყველანი მომადგნენ. თუმცა ჭ-ძე გვარწმუნებს, ის სხვა შემთხვევა იყოო. სრულებით ერთი და იგივეა. კლიუჩაროვისთვის რომ მიგვეცა მოწმობა, იქნება იმის მამული ბათუმში აღარ დაგვრჩენოდა, რაკი მეორე გირავნობის პატრონი იქნებოდა ვინმე.

21. პოლტარაცკის გამოეგზავნა შავი პროექტი ქარვასლის დამტკიცებისა ბანკის სახელზედ. ავალიშვილმა მოაწერა ხელი და გადმოგვცა ხელ-მოსაწერად. თურმე არ წაეკითხა: მიჯნები არცკი იყო. და პეტრე ალექს. ძე გრუზინსკი ეწერა.

ამ დღეებში მოვაწერეთ ხელი პროტოკოლზედ, ვინ რა მოხსენება შეადგინოს. მე მომანდეს პროცესებზედ მოხსენება – ავალიშვილმა მიჯიბრა ვითომ.

22. ზიჩენკოს საქმე ბანკთან ტხორევსკის მოუგია. სკრას ვუმტკიცებთ სკოლას. ძლივს გამოვიტანეთ უფლება უხარჯოდ დამტკიცებისა და ჭ-ძე ამბობს, ამაზე იმ აზრისა ვარ, ბანკზე დავამტკიცოთ 1200 მან., დავხარჯოთ და მერე სკოლაზე გადავამტკიცოთო. საქმის ერთგულებაც ამასა ჰქვიან.

25. ჭ-ძე დღეს არ მოსულა.

პროტოკოლები გადავსინჯე და შემდეგი აღმოჩნდა. როცა უწყება მოგვსვლია ბლანშის საქმისა, სჯა გვქონია ავალიშვილს, გ-ნსკის და მე, ვის მივანდოთო. ავალიშვილი თავმჯდომარის ალაგს იყო და გადაგვიწყვეტია, ავალიშვილს მივანდოთო. მე ცალკე აზრზე დავრჩენილვარ, სხვა ადვოკატს მივანდოთ ვისმე მეთქი. შეადარეთ: წაგება ავალიშვილისაგან საქმისა და ვადის გადაცილება.

27. დღეს უჩემოდ გადაეწყვიტათ (მე დეჟურნად ვიყავ) პასუხი სალამბეგოვის ტელეგრამისა, რომელიც 21000 მან. იღებს სესხად და ბილეთები მე-7 სერიისა არის გამოცემული (ეხლა მერვე სერიის დროა) და იწერებოდა, შეიძლება თუ არა ერთის თვის შემდეგ მივიღო სესხიო. ავალიშვილს ისე მოეხსენებინა, გირავნობის მოწმობის ვადა ერთი წელიწადი გადასულია და ერთ თვეს კიდევ თხოულობსო, მიეწერათ, არ შეიძლებაო და შავი სამისაგან ხელ-მოწერილი მომიტანეს გასვლის დროს ხელ-მოსაწერად. შევამოწმებინე ნოდარ ჯორჯაძეს და აღმოჩნდა, რომ გირავნობის მოწმობის ვადა წლისა მხოლოდ მაისის გასულს დგება. შეიძლებოდა ამგვარად, ავალიშვილის დაუდევრობით ამისთანა სესხი დაგვეკარგა? საქმე შევაჩერეთ მეორე დღემდე, ტელეგრამა აღარ გაგვიგზავნია.

28. მეორე დღეს ტელეგრამა გავგზავნეთ – თანახმა ვართო.

მარტი 2. ხაჩატუროვმა ანანოვისაგან ნაყიდ მამულში შემოიტანა 5000 მან. თავნში. ჭ-ძემ და გ-სკიმ ამის წინააღმდეგ გადასწყვიტეს, რომ ეს 5000 მან. პირველი თავნიდანაც გამოერიცხათ და იქიდანაც, რომელიც 1 კათათვისათვის 1895 წ. არის დარჩენილი და მოვალემ უნდა აძლიოს. 14400 – 5000 – 9000 მანათიდანაო. ხაჩატუროვმა იგრძნო უსამართლობა და საქმის უცოდინარობა. ჩივილს აპირობს. ნეტავი არ მინდა. მაშინ დამტკიცდება სრულიათ ამათი უვიცობა. ვნახოთ, ან ბუღალტერი როგორ გაატარებს ამ სირეგვნეს წიგნებში.

4. ძალა დამატანეს, ჩქარა მოაწერე ზემოხსენებულ პროტოკოლზე ხელიო, შავიც თხუთმეტჯერ გადაასწორეს. ჯორჯაძემ გაათეთრა და მოგვიტანა. ყველამ ხელი მოვაწე-

რეთ. შემდეგ, ვგონებ, ყიფიანმა უთხრა, ეგრე გაკეთება ანგარიშისა შეუძლებელიაო და როცა გავდიოდით, ჭ-ძემ დაავლო ხელი შავსაც და თეთრსაც, ჩვენგან ხელმოწერილს და შინ წაიღო – ეს პროტოკოლი აგრე არ არის შედგენილიო. თუ არ იყო შედგენილი, ხელს რად აწერდა და რაკი მოაწერეს, შინ როგორღა მიჰქონდა, მეტადრე ჩემგან ხელმოწერილი.

მოგვივიდა ტელეგრამა „зачетный банк“-ისა, 100000 მან. 99,25-ად გავყიდითო. ჩვენ გადავწყვიტეთ მიწერა: сообщить, что нѣт листов для продажи. ეს ტელეგრამაზედაც ეწერა და სამივემ ხელი მოვაწერეთ. ჭ-ძეს მერე გადაუწყვეტია და ასე მიუწერია: „по такому курсу не имѣемъ возможность продать“ და მიუწერია ჭ-ძე. მაშ, ჩვენ მასხარები ვყოფილვართ! მე მეორე რედაქციაზე არ მოვაწერე, გ-სკიმ, რასაკვირველია, მოაწერა.

დღეს მინისტრისაგან გამოგზავნილი რევიზორები მოვლენ. პოლშელები არიან. ეტყობათ, საქმე იციან და ჭ-ძეს ყომარბაზობა თვალებს ვერ აუბამს. ჭ-ძემ არ წარგვადგინა დირექტორები, თითონ იმანვე სთხოვა და მასუკან თავისი ამხანაგები გაგვაცნო. ჭ-ძეს ჰკითხა, რა მიზეზია, რომ ქუთაისის ბანკში თბილისის მამულები გირავდება და ტფილისისაში ქუთაისისაო. ჭ-ძემ ვერ აუხსნა, მე ავუხსენ. შემდეგ იკითხა, როგორ მოხდა, რომ 1881 მსესხებელთადმი მიცემულის უფლების ჩამორთმევა 1882 წელში მოინდომეთო. უმაგისოდ ურთიერთ შორის პასუხისგების ნებას არ მოგვცემდენო. თუ მაშინ არ მოგვცემდნენ, ერთის წლის უკან როგორ-ღა დაყაბულდებოდნენ მაგ უფლების შერჩენას თქვენდამი და მსესხებელთადმი ჩამორთმევასაო.

Залоги! ფულის თვლის დროს ნუ იტყვიანო, უთხრა ჭ-ძემ, თორემ ეგონებათ, გირაოთი ვიღებთ ბილეთებს. პირველ ხანებში კი, ვგონებ, ამისთანა რამ სცადეთო, მიუგო ღიმილით დობეცკიმ, და იმით მართლულებდა, მგონი, თავს, რომ: „все что не запрещено закономъ, то дозволено“-ო. მოაგონა ჭ-ძეს თავისებური სინდისი.

5. დღეს რევიზორი დობეცკი მოსულიყო ჩემს სანახავად. ბიჭს ვერ გაეგო და ეთქვა, შინ არ არისო. მაშინვე ვიზიტი გადავუხადე.

წერა-კითხვის საზ. კრება იყო. მე და მიშო არ წავსულვართ. ამოურჩევიათ სხვათა შორის: ელიაშვილი, გუმცაძე, გარსევანოვი, მაჭავარიანი.

6. დღეს ჭ-ძე ათის ნახევარზედ ბანკში იყო გამოჭიმული, თმა-გადავარცხნილი, სუფთად ჩაცმული. დაარსებიდანვე ბანკისა ასე ადრე მისვლა არ შეხვედრია, ვგონებ, ა-შვილიც ადრე მისულიყო.

7. ა-შვილმა გამოაცხადა, მე რევიზორს ერთ ნაბიჯსაც არ გადავადგმევინებ უჩემოდო. რევიზორმა ჰკითხა პ. გრუზინსკის, რატომ დაბეჭდილ ამოკრეფილში, საცა არის ნათქვამი, რა წესით უნდა მიიღოთ ხოლმე წევრები, უკანასკნელი მუხლი კი არ არის, როცა ლაპარაკია იმაზედ, რომ ეს წესი ერთის წლით დარჩეს მხოლოდაო. – მან უპასუხა: тамъ только руководящія постановленія – პასუხმა, როგორც ეტყობოდა, არ დააკმაყოფილა და ჩაინიშნა. ვერც იმაზე მიუგეს რიგიანად, რატომ უყმო ჩაწერილ წევრებს არ წარუდგენთ ხოლმე კრებას საზოგადოს დასამტკიცებლად, როგორც ეს ერთხელ მომხდარა, ვგონებ, 1875 წელს.

8. ავალიშვილი მართლაც ერთ ნაბიჯზედ არა შორდება რევიზორებს, სცდილობენ მეტადრე, მე ერთ წამსაც არ დავრჩე მათთან მარტო. მე მაინც რას მოვერიდები, დღეს შემთხვევით ერთად მომიხდა გასვლა. ფონოგრაფი უნდა მოსულიყო ჩვენსა 8 საათზედ ვარინკას სიმღერების გადასაღებად. ჩემი ლაპარაკიდან შეიტყეს ეს ამბავი და ისე რიგად მკითხეს, სად იბარებთ ფონოგრაფსაო, რომ ისინიც უნდა მომეწვია. ჩინებულად გავატარეთ საღამო. მიშოსა და გ-ნის ლაპარაკი მათთან.

9. საშინლად შეშინებულები არიან ჭ-ძე და ა-შვილი. მე კოპიო მოვითხოვე ჩემზედ შედგენილი პროტოკოლებისა. ხალხში გაუვრცელებიათ ხმა, რომ ვითომ ჩვენის დაბეზღებით მოსულიყვნენ რევიზორები. კიდეც რომ ასე იყოს, განა ნება არა გვქონდა, მაგრამ მე ვგონებ, უფრო იმის გამო არიან გამოგზავნილნი, რომ იქ, საკრედიტო კანცელიარიაში ავალიშვილის უმეცრება დაინახეს, გამოაგდეს კიდეც და უნდათ ნახონ, როგორ არის ამისთანა ბანკი წარმართული.

დ-ცკიმ (რევიზორმა) გაიკვირვა, როგორ გადასწყვიტეთ ქარვასლის დამტკიცება ბანკზეო, სათადარიგო თანხას როგორ მოანდომებდით სულ ამასაო. ჯერ კიდევ არ იცნობს მათ მოხსენებას და ჩემს ცალკე აზრს, მაშინ უფრო გაიოცებს.

10. 30 მან. უნდა მივცეთ ვიღაც თუმანოვების საქმეში. უწყება მოგვსვლია, გადაგვიცია საყვარელიძისათვის და არავინ გამოცხადებულა. უნდა გამოვიძიო ეს საქმე.

ჭ-ძე სულ ზის და ციფრებს სინჯავს. 5000 მანათის პროტოკოლი აწუხებს. რევიზორი სინჯავს რევიზიებს, მომხდარს ზედამხედვ. კომიტეტისაგან. ადრინდელი კომიტეტისა მოიწონა, მაგრამ ეხლანდელებს პირდაპირ დასცინის. კობიევი – ეგზამენზე. 4 ენკენისთვეს მოუხდენია კასის რევიზია და წიგნები კი შეუმოწმებია თიბათვისა და კათათვისა – პროტოკოლი, რომელიც რამდენიმე სტრიქონისაგან შესდგება – დაუწერია 22 დეკემბერს. რევიზორმა გაიოცა ეს ამბები, ვერაგზით ვერ აუხსნეს, მოიწვიეს კომიტეტის მათემატიკოსი კობიაშვილი, მაგრამ სულ ხმა ჩაუვარდა.

109 – прочет-ი. ერთ პროტოკოლში, მოხსენებაში ერთის თვის შემდეგ გამქრალა, ერთის თვის შემდეგ კიდევ 9 მან. გამოჩენილა და ამ 9 მანათიან პროტოკოლის შემდეგ გვწერენ, 109 ჩამოსწერეთ ანგარიშებიდანაო, აქ კი სულ დაიბნენ. ავალიშვილმა იცრუა, კომიტეტის მოწერილობამდე გამოვწერეთო, მე რეალურათ წინააღმდეგი დავამტკიცე, სულ აირივნენ. ა-შვილი ლაქლაქებს და შუაზე სწყვეტს თავის სიტყვას, რომ აღარ იცის, როგორ გაათავოს. გ-სკის (პეტრე I наблюдательный комитет-ისა) ნაცრის ფერი ედება. კ-შვილი ჩუმად არის გაშეშებული. რევიზორი იცინის ჩემს სიტყვაზედ, კასირს ვიღასგანაც აუწაპნია-მეთქი (ორსავეს ისე, ხუმრობით ვამბობდი) თავისი დანაკლისი. ჩვენ ვიცინით და ისინი კი გაშეშებულნი არიან ყველანი. ჭ-ძე მოიშველიეს, თუმცა, ის ცდილობს არ მიეკაროს, მაგრამ რას აუხსნის. – მოიტანეთ ესა და ეს ქაღალდიო... Да это же здесь, ეუბნება გ-სკი.

სამშაბათს (შაბათს დიდი რევიზია იყო) თუმანოვსა და გ-სკის კასის რევიზია მოუხდენიათ! მასხარები.

გზაზედ ბევრი ვიცინეთ მე და რევიზორმა ამ ამბებზედ, ავუხსენ ნამდვილი მნიშვნელობა ჩვენის კომიტეტისა.

რევიზორმა ითხოვა ქაღალდები შინ წასაღებად, – ჭ-ძე დაყოყმანდა, კომიტეტისაგან ნება არა გვაქსო, შემდეგ მაინც მივეცით.

11. ჩამოვარდა ლაპარაკი იმაზედ, უნდა გამოვართვათ თუ არა სესხის ამღებს წინა ნახევარ-წლის % на управленіе – ჯერ დობეცკი იმათ დაეთანხმა, შემდეგ მე რომ ავუხსენ ყველაფერი, გადაჭრით გამოაცხადა, რომ არ უნდა გამოართვათო. ჭ-ძე და მეტადრე ა-შვილი გაწიწმატდენ; თავიდან მოსაშორებლად გამოუცხადა, შეადგინეთ ორი აზრი და კანცელიარიას დაეკითხეთ. მე წარვუდგინე პროტოკოლი 1891 წ. ჭ-ძისაგან დაწერილი და სამივესაგან, ჩემგან, თარხნიშვილისგან და ჭ-ძისაგან ხელმოწერილი, რომელიც ჩემს აზრს ამართლებს. ჭ-ძემ გამოაცხადა, შეცდომააო(?). შემდეგ დავიწყეთ ლაპარაკი ინსტრუქციაზედ: ის მუხლი, რომელიც ამბობს: % капитализаціи не долженъ б. 1% рост. и 7%

платимаго заемщикамъ, ჩვენგან მასხარად აგდებული, ვერც დ-ცკიმ გააკეთა, კანცელარიაშიც ვერ გაიგესო. ჭ-ძე ცდილობს ახსნას ესეც, დ-ცკიმ მაინც ვერა გაიგო-რა; თითქო ჩემგან ცდილობს ხსნას, მე საქმეში არ ვერევი.

თუმანოვებთან საქმე 17 დეკ. 1893 წ. ყოფილა დანიშნული და საყვარელიძისათვის გაგვაგზავნია 16 დეკ. 93 წ.

12. დ-ცკი იყო ჩვენსა, 2 საათი იჯდა, მე მითხრა, იმდღევანდელ საგანზე კიდევ ვიფიქრეო: რაც შეეხება %, ბანკის ხარჯად არ უნდა აიღოთ ხოლმე წინა ნახევარ-წლისა, მაგრამ რაც სათადარიგო თანხისათვის და სხვა თანხებში მიდის, ის კი უნდა აიღოთო. მე არ დავეთანხმე, საბუთები წარვუდგინე, მაგრამ ვერ დავასრულეთ ლაპარაკი.

13. ჩვენი პროტოკოლები წაიღო სახლში, მერე თავნის გადახდაზედ ჩამოაგდო ლაპარაკი: მე ავუხსენ, დღემდის როგორ ვიქცეოდით, მაგრამ ეხლა გამგეობამ სხვა წესი შემოიღო, რომლისაც მე თანახმა არა ვარ მეთქი. ეგ წესი სრულიად საფუძვლიანია და ჩვენც აგრე ჩავდივართ. ა-შვილმა დაუწყო რაღაც ბურტყუნი... დ-ცკი: не понимаю, ჭ-ძე მოეშველა: мы вычитываемъ 100 пр. остатки и остальное возводимъ къ первоначальному долгу. ვერც ამისი გაიგო რამე დ-ცკიმ. ჭ-ძემ საქმის გასასწორებლად განაგრძო: есть 4 способа погашеніи. დ-ცკი: какіе? მე სიცილი ვეღარ შევიკავე და შინ წამოვედი.... კომიტეტს კოპიოები მოვთხოვე „нетерпимости"-ისა.

14. დღეს დ-ცკიმ გირავნობის ფურცლებზედ დაიწყო ლაპარაკი, დაუმტკიცა, რომ მიუცემლობა მათი есть кардинальное нарушеніе устава. Я не упрекаю и говорю не съ формальной стороны, а какъ гражданской стороны и полагаю, что такое учрежд., какъ банк, основанное на арен. доклад, заботиться одинаково о всех, заемщиках. Вы меня, г-да, – მიუბრუნდა ჭ-ძეს და ავალიშვილს – не убѣдили. გ-სკებიც გაერივნენ. მერე ჩამოაგდო იურისკონსულტზე ლაპარაკი, კანონიერად ვერ იცნო, კონტროლი როგორღა იქნება. იცრუეს, ჩვენ ვუკეთებთ კონტროლსაო. მე მთხოვა, შევატყობინო პროცესების ამბავი. გ-სკი: мы нашли, что 4-й член [...] юрисконсульта.

15. მუხრანსკი გავასვენეთ. გვირგვინი გორის მაზრისა. ყურძენი და თავთავები. 2 საათზე დავბრუნდი ბანკში. დ-ცკი აპირობს მცხეთაში წასვლას ხვალ. ისა და ჭ-ძე ერთად მიდიან ფაეტონით, მე ვუთხარ, ხომ არ გინდათ, ცნობები გუშინდელი საგნის შესახებ-მეთქი მომეცით, მაგრამ შინაურობაშივე დარჩესო(?). კუპონების თვლა დაუწყვიათ, სისტემა ვერა დაუდვიათრა, ჩემგან ნარჩევი სისტემა მიიღო. მოუთხოვნია ჯამაგირების სია. შეუდგენიათ არეული სია. მე მივუთითე ამ არეულ სიაზედ, ავალიშვილი გაწიწმატდა, სწორეაო, ბოლოს მართალი აღმოჩნდა და მისცა გასასწორებლად. შევნიშნე, როგორ მოხდა, რომ სმეტით დანიშნული ფული არ გაგინაწილებიათ პროტოკოლითაო – ვის რა ჯამაგირი აქვსო. სულხანოვს 1200 აქვს და ყიფიანს 200-იო! შევადაროთ ჩემ შენიშვნასთან სულხანოვის დანიშვნის თაობაზედ, რომ რა ჯამაგირს უნიშნავდნენ, არა სთქვეს-რა.

კოპიოები კომიტეტმა არ მომცა, ხელი მოაწერეო. მე პასუხი მივეც. უკანონოდ ვიცან იმათი გადაწყვეტილება.

16. მცხეთაში ვიყავით. დ-ცკი და ჭ-ძე ერთად მოვიდნენ. მე არ მივკარებივარ. გუშინ ჩ-შვილი და სხვანი ამოურჩევიათ საურთ. კრედიტში. ჯერ გროში არავის შეუტანია, უკანონოა.

17. დღეს გავიხსენე პროტოკოლი 1893 წ. დეკ. 14. საყვარელიძემ უარი სთქვა საქმეების დაცვაზე და დარჩა „для совѣтовъ и сиденія письменной части“ 50 მან. თვეში. ეხლა მესმის, თუმანიანცების საქმე რადაც წავაგეთ 9 მარტს 1894 წ. მე განცხადება შევიტანე ჩვენის საპროცესო საქმეების ურგობაზე, – გადასწყვიტეს: не нужно приглашать особаго повѣреннаго.

რამდენიმე რამ ჰკითხა დ-ცკიმ გ-სკის, ვერაფერი მოუგო: 1) [ერვიეს] საქმე, 2) какъ распрѣделяется взносъ между основными и дополнительными капиталами, 3) რეზერვის ფონდი. მე ავუხსენ. შემდეგ ჩამოვარდა ლაპარაკი ორს პროტოკოლზედ: 4 აპრილი 1894 წელ. და წლევანდელები, სადაც ჩემს „нетерпимостъ“-ზედ არის ლაპარაკი. გ-სკიმ ჩამოაგდო ლაპარაკი: მე ვუთხარ, რაკი გაგიცვნიათ, მეც აგიხსნით მაგ პროტოკოლების ხასიათსა მეთქი და მოვუყევ. იმათაც მოხსნეს გუდა. დ-ცკის აზრი, რომელიც ცოტა შეირყა: შეერთებულ კრებას სხვა საგანი ვერა ექნება-რა, გარდა შეღავათებისაო. რაც შეეხება საზოგადო კრებისაგან მინდობილებას, ეგეც უკანონობააო. ჭ-ძე: კი კომისიას ანდობენ. დ-ცკი: კომისიამ უნდა კრებასვე მოახსენოსო. ჩემთვის უსიამოვნო ისა სთქვა, უნდა ხელი მოგეწერაო, რადგან რჩევის ხმა გქონდაო და 9 თვეს უკან არ უნდა მოგეწერაო. მე ავუხსენ, რომ 9 თვეს უკან მომიტანეს მეთქი. ჰქონდათ ნება, заранѣе принести обсуждать – დაუმატა მან, თუმცა, ვერ ამიხსნა, ჰქონდათ ნება თუ არა признать меня нетерпимымъ.

18. დ-ცკიმ გამომიცხადა: практикуемая правленіемъ мера невыдачи закл. лист. на руки и незаконно и нецѣлесообразно, ამაზედ მინდოდა, წინდაწინვე მიმეწერა ჩემს წასვლამდე სამინისტროშიო, მაგრამ ვგონებ, საჭირო არ არის, რადგან, მგონი, ეხლა აძლევთ, ვისაც უნდაო, მეც დავეთანხმე. კომიტეტის პროტოკოლიც წავიკითხე ამ საგანზედ, მაგრამ ჩემი აზრი გარდაწყვეტილიაო. მერე ლაპარაკი ჩამოვარდა გუშინდელ პროტოკოლზე და მე ვუთხარ, მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა იმის შესახებ, მაგრამ ყველანი აქ არ არიან მეთქი, მარტო ა-შვილი იყო. ხომ არ შემოხვალთ ჩემთანაო, მითხრა დ-ცკიმ, არა მეთქი. მე დასამალავი არა მაქვს-რა და ყოველისფერზე მოხსენებას მოგართმევთ მეთქი და ამ ბანკის კედლებ გარეშე კი მე თქვენთან ბანკის საქმეზე არ მინდა მეთქი ლაპარაკი. კარგად გამოვეთხოვეთ. დ-ცკის, როგორც ეტყობოდა, ბათუმში წამოსვლა უნდოდა ჩემთან, ხომ არ გადაიდებაო, იკითხა. საღამოზედ ყმაწვილები იყვნენ შეყრილნი, გაუხარდათ. გადაწყვიტეს დ-ცკის დაუახლოვდეს ჩვენი წრე: კომისია: გეგე, კოლა და მიშო. მეც თან. მე მომანდეს მოხსენების დაწერა.

19. ბათუმს წამოველ. კოწიას ლაპარაკი – განგებ გავლანძღე მიშოო, მე ნეიტრალი უნდა ვიყოო ნამდვილი.

20-21. ბათუმში დავყავ. როჩილდის ქარხანა. გურულებისა და მეგრელების სიმარჯვე. სულ ქართველობა.

22. ქალაქში წამოველ ბათუმიდან. გზაში – აკაკი. გახარებია რევიზორის ამბები, ვარინკას უთქვამს.

23. დ-ცკის დაუწყვია სინჯვა ბანკზე დარჩენილი მამულებისა: მაღალოვის ქალაქის მამული. დამფასებელს 6000 მან. უჩვენებია შემოსავალი, მოუმატებია უსაბუთოდ 2000 მან. და დაუფასებია 8000 მან. კომისიაში კიდევ მიუმატებია 120000. გამგეობას დაუმტკიცებია 80000, მიუცია 48000. მერე ეს სესხი მიუცია გირავნობის ფურცლების გამოცემამდე.

რაღაც ვალდებულება უკისრია გამგეობას ფრილინოვის წინაშე, რომელსაც ნაღდად მიუცია მაღალოვისათვის ფული და უყიდნია ჯერ არ გამოცემული ბილეთები. დამფასებელ კომისიის ინსტრუქციაზედ შენიშნა, არც ერთი ინსტრუქცია არ ვარგაო. კომისიისგან შემუშავებულში კიდევ უფრო ცოტა წესებიაო, ვიდრე გამგეობისაშიო – მიუთითა ქარვასლასა და დუქნებზე. ჩაუგონებიათ. ის კი აღარ შეუმჩნევია, თუ რამდენი ნაკლულევანებაა თვით გამგეობის ინსტრუქციაში.

უკანონოა თქვენი პროტოკოლიო, რომლის ძალითაც სკოლისგან დამატებული 14000 მან. ათ წელიწადზედ გაგიყვიათ და გითქვამთ კიდეც 1 დღის სმეტაში შევიდეს ხოლმე ყოველწლივ 1400 მანათი – ეგ რა თქვენი საქმე იყოო.

24. ხვალ უნდა დ-ცკის წავუღო ჩემი წერილები н. о-зрѣніе-ში და ან კავკაზისა, სადაც ჭ-ძე გამოთხოვილი მყავს. დღეს ლაპარაკის დროს ნება-რთვა ვთხოვე მიტანისა, როცა ლაპარაკის დროს მაჩვენა, რომ არ იცის, საიდან და როგორ მოუაროს საქმეებს – იქნება რაშიმე დაგეხმაროთ მეთქი.

25. ვიყავ დ-ცკისთან. ორი საათი ვილაპარაკეთ. რამდენჯერმე არ გამომიშვა. ყველაფერი თვალსაჩინოდ ავუხსენ. შეთანხმებაზე დამიწყო ლაპარაკი, აზრი ერთი გაქვთო. მე ვუთხარ, აზრი ერთი გვაქვს, მაგრამ იმათ შეუძლიანთ, თავიანთ თავმოყვარეობას აზრი შესწირონ მეთქი. ეს დავასკვენით, რომ ჩემს მოხსენებაზე უნდა გადაჭრილი სიტყვა სთქვას. საღამოზე კრება გვქონდა, ვუამბე, კმაყოფილნი დარჩნენ. ხოლერისაგან დაზარალებულთათვის მოგროვილ ფულზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, გეგემა სთქვა, სულხანოვს ეცოდინება, სად წავიდაო. ივერიის რედაქციაში 1892 წ. ამ საგნისათვის 1140-მდე მოგროვილა (იხილე ამ წლის „ივერია“).

27. დღეს დ-ცკი არ მოსულა, შინ დაუბარებია საქმეები ქალაქისა, ბანკზე დარჩენილი მამულებისა.

ახვერდოვის საქმე. ვაჭრობის დროს წაუმატებიათ 10000 მანათამდე. მირზაიანელი ცალკე თხოულობს, ხაზინა ცალკე. ჩვენ უარი არ გვითქვამს მირზაიანელისათვის, მაგრამ სლინკის ქაღალდზე, რომელიც ადვოკატია მირზაიანელისა, ჭ-ძეს წაუწერია: выдать копію съ отказа. სლინკის უჩივლია. ავალოვი შიშობს, ამ ჭ-ძეს რეზოლიუციამ საქმე არ წაახდინოსო და ურჩევს, მიაწეროს რამე. ჭ-ძე დიდხანს ფიქრობდა, რა მიეწერა, ბოლოს უარი სთქვა: ალბად მე მომერიდა. ამისთანა ხალხის ხელიდან ყველაფერი გამოვა.

28. დღეს დ-ცკი მხოლოდ 2 საათზედ მოსულა, არ უთქვამს-რა წერილებზე. განსაკუთრებით ზრდილობიანად ეპყრობა გ-სკებს და ჭ-ძესაც. ჩემთან დღეს ისე კარგად ვერ იყო. რა მენაღვლება. ეხლა რაკი ყოველისფერი ავუხსენ, შორს დავიჭერ თავს, თითონვე მომნახოს, როცა ისინი ვერას აუხსნიან. როგორც ვატყობ, ავალიშვილს ხშირად გაუჭირდება ახსნა და სხვებს ხომ რაღა! რაც უნდა ეცადოს, ხელიდან ვეღარ წამივა. უნდა სთქვას და სთქვას თავის გარდაწყვეტილი აზრი ყოველ იმ საგანზედ, რომელზედაც ჩემს მოხსენებაში ვლაპარაკობ.

ჭ-ძეს დ-ცკისათვის მცხეთის სობორის ეზოში თავისი კაი ნაცნობი ბაბო ცაგარლისა გაუცვნობია. რა აქვს დ-ცკის საერთო ბაბო ცაგარელთან!!.

29. გიორგი ჩამოვიდა. აღტაცებულია გორის მაზრის მდგომარეობით. ამბობს, ბევრი რამ გაკეთდებაო იქ და მარშალსაც დიდი უფლება აქვსო. რევაზი უშლის. გ-ის ლაპა-

რაკი ბოგდანოვთან. სკოლების გახსნას დახმარებია, მაგრამ მერე შეუტყვია, რომ ჩვენს სასოფლო სკოლებში ბავშვებს რუსულის სწავლებით აიდიოტებენ. ამ საქმეში ბევრი შეგვიძლიანო, შეიძლება, კრება შევადგინოთ და იანოვსკის წესები გავაუქმებინოთო. ცოტა აჭარბებს, მაგრამ ეს უფრო უკეთესი. ჟურნალის გულგრილობას რომ ცოტა გადაჭარბება მოჰყვეს, არ არის ურიგო.

აპრილი 3. დ-ცკი ვიზიტად იყო. ბოლოს ლაპარაკი ჩამოაგდო ბანკზე – პრინციპებში განსხვავება არა არის-რა, პირადი მტრობაა – ერთმანეთშიო, მოუმზადებიათ. უნდა შეერთდეთო, სომხებისაგან მაგალითი აიღეთო. თორემ აქეთ-იქიდან მტრები გახვევიათ და თქვენც რომ იომოთ ერთმანეთში, რას გახდებითო.

საღამოზე ლომაური იყო. დილით ჭ-ძესთან ყოფილა, უთქვამს შერიგებაზე, ჭ-ძეს ხმა არ გაუცია, კვლავ კი თურმე დიდს უარზე იდგა.

აპრილი 4. წერილი წავიკითხე ნ-ლისა მარტის წიგნში. ჭ-ძეს პროექტს უქებს სამეურნეო თანხის დაარსების შესახებ. კრეტინობაა ეს, მა რა ჯანაბაა! როგორ ვერ მიმხვდარა, რომ ეს თანხა სრულიად ჩვენს ხელს უნდა ყოფილიყო, რისთვისაც გვინდოდა, უნდა მოგვეხმარებინა და განსაკუთრებული დანიშნულება რა საჭირო იყო, რად ვუცვივდებით ხელში სხვა კონტროლს, როცა ჩვენის თავისა და ქონების პატრონნი ჩვენვე ვართ.

აპრ. 10. წუხელის კოლა ორბელიანისას წავიკითხე ჩემგან შედგენილი მოხსენება რევიზორისთვის. ყველას მოეწონა. სათვალეები დამჭირდა. გადავწყვიტეთ დაბეჭდა. ხვალ დ-ცკი ჭ-ძესთანა და ანტ. ფურცელაძესთან ერთად მიდის ბათუმსა და ბაქოში. დღეს მამულებს ქალაქისას სინჯავდა მათთანვე ერთად.

ილიკო ჯორჯაძის სესხში პრისტავის მოწერილობით იყო დაჭერილი 2000 მან. ბაღდოევისათვის. უნდა პრისტავისთვისვე გაგვეგზავნა. 800 მანათზე უარი ეთქვა მაღალოვს და ილ. ჯორჯაძისთვისვე მიგვიცია – უკანონობაა. დღეს უნდოდათ 1200 მან. მიეცათ ბაღდოევისათვის – ავალოვს ეთქვა, ნდობის ქაღ. მოიტანოს და მივცემთო. მოატანინა, მაგრამ ველარ მივეცით – დიდი უკმაყოფილობა.

ავანსით წაიღო მგზავრობისთვის ჭ-ძემ 200 მან. და ანტ. ფურცელაძემ 100 მან, თუმცა, 150 უნდოდა. ჯერ წინა ავანსის ანგარიში არ წარმოუდგენია.

11. დღეს დარჩენილან. ხვალ წავლენ მხოლოდ, სოფლის მამულებიც უნდა გასინჯოს, ბორჯომისაც. დ-ცკის ძალიან ცხარე ლაპარაკი ჰქონდა ავალიშვილთან. მრავალ ზარალზედ მიუთითა ინსტრუქციის უქონლობისა და უყურადღებობის გამო. სხვათა შორის კოსთანდინოვის მამულზე, რომელიც ჩემ დროს არის მიღებული სესხში. ძალიან შეშინებულები არიან. უნდათ, დამფასებლებს გადააბრალონ ყველაფერი – ქაღალდები მოითხოვა გამგეობამ, მიწერ-მოწერა კომისიასთან დასამტკიცებლად ყურადღებისა.

17. დღეს მოხსენებას ცენზორმა წაუკითხავად ხელი მოაწერა. ნავალი მედო. მივეც დასაბეჭდად – ამ ორ-სამ დღეში გათავდება.

18. დაბრუნდნენ. დ-ცკი მთვრალი ყოფილა. ქარელის სტანციაში, მაკინესთან და კალატოზიანთასა უქეიფნიათ. დღეს მივეცით გლიბოვსკისას იმის მამულის აღწერის კოპიო. ავალიშვილი იმ აზრისა იყო, რომ არ უნდა მივცეთო, ხელი არა აქვსო. გ-სკი მე დამეთანხმა, რისგან არის?

19. კოლა ორბელიანთან ვიყავით შეყრილნი. გადავწყვიტეთ, ცალკე უნდა გადიწეროს

